



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს პარლამენტის  
აქრძველი ბიბლიოთეკა

ეგნატე ნინოშვილი

კრებულო

# ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა)

კრებული

# პარტაზი

## I

რატაც გამოურკვეველი სევდა შემოგაწვებათ გულზე, როცა სოფელ ...ში ერთ ყრუ მიდამოს გაუვლით მახლობლად: ტყით დაჩრდილული ფერდოს ძირში, რომელსაც პატარა ჩქრიალა მდინარე ჩაუვლის ახლო, დგას ფიცრული სახლი, რომლის სახურავი თითქმის სულ ჩანგრეულა, უსახურაოდ დარჩენილი კედლები სტიქიონთ ძალით გაშავებულა, აქა-იქ ღოჯებში ცოტათი დამპალა კიდეც, ხავსი მოჰკიდებია, სუროთი მობარდულა. დანარჩენი შენობები ზოგი, ეტყობა, წაუღიათ და ზოგი კი, მაგალითად, ფაცხა, საძროხე და მისთანა წვრილმანები დამპალა და დალეწილა.

ჭიშკრიდან და ეზოს ღობიდან მხოლოდ აქეთ-იქით გადაზნექილ - გადმოზნექილი ურთხლის ბოძები და სარები დარჩენილა. ეზო ტევრად გადაქცეულა, ბარდეკალს მოუცავს, ნორჩი ხეხილები - ლელვი, ატამი, ბია და სხვა - საქონელს დაუმტვრევია და გაუფუჭებია. სულ მთლად აქაურობა სამარისებურ მყუდროებას მოუცვამს. იმ სოფლის ხალხი, მეტადრე ქალები და ბავშვები, როცა გაივლიან ამ ყრუ მიდამოს სიახლოვეს, შეაფურთხებენ, თვალს მოარიდებენ და წმინდა გიორგი, შენ დამიცევიო, იტყვიან პირჯვრის წერით.

პირველად რომ ამ მიდამოს ნახავთ, ნაღვლიანი ფიქრი და კითხვები გებადება: ერთ დროს აქ ადამიანს უცხოვრია, უმოქმედი, ცდილა თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, უშენებია, უმამულებია აქაურობა. რა იქნა ეს ადამიანი? ნუთუ გაქრა, აღიგავა მისი არსებობა! ნუთუ ეგეთი უსაფუძვლო მოჩვენებაა

ადამიანის ცხოვრება! ცხოვრების ერთ რომელიმე უკულმა  
ნასროლ ტალღას გაუქრია ამ მიდამოში სიცოცხლის  
ლამპარი!

რამდენიმე წლის წინეთ, - მაშინ ეს მიდამო ყრუ და  
გავერანებული კი არ იყო, - ზემოაწერილი სახლის გვერდს  
მიუჯდა ცხრამეტი თუ ოცი წლის ქალი და რაღაც  
სასოწარკვეთილებით ხელაპყრობილმა წარმოსთქვა:  
„ღმერთო, იგი დღეი რეზა არ დააქციე, რაც დღეს მე ჯვარი  
დამწერესო”

- იმ დღეს ნუ სწყევლი-მეთქინ, გითხარი! თუ გინდა შენი  
თავი დასწყევლე, ჯვარისწერასთან რა ხელი გაქ! - უთხრა  
პირველს ხმელმა, ჯერ კიდევ ყმაწვილმა, საკმაოდ  
ლამაზმა ქალმა, რომელიც ამ ლაპარაკზე გამოვიდა  
სახლიდან და დაჯდა პირველი ქალის მახლობლად.

- ჩემს თავს ვსწყევლი, ჰო, ჩემს თავს! - უპასუხა გაჯავრებით პირველმა.

- რომ სწყევლი, მერე რა გჭირს შენ საწყევლელი? ახლა მოგინდა უპატრონოთ ბუნდრუკი შენს ბიძიშვილსავით? უკაცრავათ, შენ ახლა პატრონი გყავს, იმისთანაი პატრონი, რომ ქვესკნელში ჩახვიდე, იქინეიც მიგაგნებს და ამოგათრევს. იგი არ იფიქრო კიდევ, ზოგიერთები რომაა ლამბი, ჯერან იგი იყოს. ფეხის გადადგმა რომ იფიქრო, ბაწრით ჩამოგკიდებს და ჩამოგარჩობს!

- ღმერთო, სა წევიდე აწი! აღარ გეყვენ იგი, რაც გული მომიკალით და ახლა აქანაიც გამომდიე! დამეთხუეთ-მეთქინ, გიჩივი, დამეთხუეთ! - უპასუხა პირველმა.

- იძახე ახლა, სა წევიდე და სა წევიდე თქვა! ძალუანი თვალ-ყური კი გაქ იმ წასვლაზე, მარა იგი დღეი შენ არ

მოგესრობა! - უპასუხა მეორემ.

- ველარ გაძეხით ჩემი წვალეებით! აბა, ჰა, მოდით და ჭამეთ ჩემი ხორცი!

- ქალო, შენ ნამეტარი ეიგდე თავი! გამომდგახარ ქვეყნის შარაზე და ყვირი, ჭამეთ ჩემი ხორციო! რა კაცის მჭამელათ გვნახე ჩვენ! აღარც შიშო, აღარც მორიდებავ? კი მემართლება, რომ მიჩივა შვილი - შენ მიქენი ყოლიფერი სიავეო. - ამ სიტყვებით გამოვიდა მესამე ქალი და დაჯდა მოდავე ქალების სიახლოვეს.

ეს მესამე ქალი იქნებოდა ორმოცდაათი წლის. ეს იყო ხმელ-ხმელი, მომაღლო ტანის, სწორი, ჩამომჭკნარი პირისახის, რომელზე ახლაც ეტყობოდა, რომ ერთ დროს ლამაზი უნდა ყოფილიყო.

- ახლა აგიც გამოჰყვა! აბა, ჰა, შეეწიეთ ნადათ დედა-შვილმა ერთმანეთს და დამესიეთ მე! ფუი, თქვენ ქალობას! - უთხრა პირველმა ქალმა მოხუცებულს.

ამ სიტყვებმა ისე გააცეცხლა მოხუცი ქალი, რომ პირისახე დაემანჭა.

- რავა? მე ფუი! - მრისხანედ ჰკითხა იმან პირველ ქალს.

- ვის, ქალო, ფუი?.. ნენას?! აგიც აღარ დაგვაკელი? მარა კი ემართლები, რომ ჯერანს არაფრამდე შენი შერთვა არ უნდოდა და ნენამ ძალათაი შეართვია შენი თავი. ახლა მის მაგიორში თვალში აფრუტნი და ფუიო უძახი! - წაეკიდა ამ სიტყვებით პირველს მოხუცის მაგიერ მეორე ქალი.

- ღმერთმა გიქნა თქვენ იმისთანაი კაი, რავარიც მე



მიქენით! - უთხრა პირველმა.

- რავა, ნენას კაი არ უქნია შენდა! შენ კი იშოვიდი ჯერანისთანა ქმარს? - გაკვირვებით ჰკითხა მეორემ.

- დიეთხუე ციცავ! თქვა და იგი იყო, მეტი რაღა გინდა! ბატონიშვილის ქალს ეკადრებოდა ჩემი ჯერან ქმრათ; გადევეკიდეთ, შევართვიეთ აი მაიმუნი ცოლათ და ახლა ხედავ, რას გვიჩივა! - ბრაზმორევით უთხრა მოხუცმა მეორე ქალს.

ამის შემდეგ ქალებმა კიდევ კარგა ხანს იდავეს, ბევრი მწარე და მხამიანი სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. ამასობაში მოსალამოვდა და ქალებმა დავა შესწყვიტეს, რადგანაც მუშაკაცი მოვიდოდა ყანიდან და ვახშამი უნდა მოემზადებიათ. სამივე ქალს ისეთი გაფანტულობა და მოქანცულობა ეტყობოდათ საქმის კეთების დროს, რომ

გეგონებოდათ, რაღაც დიდი ფიზიკური შრომა გადახდენიათ თავზე და იმას დაუღლიაო. ახლა ისინი ხანდახან წაჰკრავ-წამოჰკრავდენ ერთმანეთს ამ მწარე სიტყვებს და ან წყევა-ლანძღვას. მაგალითად, მოხუცმა ქალმა ფილი მოიტანა თაროდან, სანაყი ქვის მოტანა კი დაავიწყდა და, როცა ამ უკანასკნელის მოსატანად წამოდგა, დაიწყევლა:

„ღმერთო, დუუკარქე ტვინიც და გრძნობაც, ვინცხამ ასე მომაქცია დღესო“. „თუ მტყვანი ვიყო, აგისრულოს, თუ არა და შენ დაგემართოსო“ - მოისმა ამის პასუხად. „გველი დაგეკიდა იმ ენაზე, თუ მისდღემში არ იწყევლებოდეო“, - მოისმა მესამე ხმა.

## II

ჯერან ტევრიძე გლენკაცის პირობაზე ძალიან სახელოვანი

ყმაწვილი კაცი იყო თავის სოფელში. მაღალი ტანის, ბეჭებში კარგა მოყვანილი, ცოტა მოშავგვრემანო, ვაჟკაცური, ლამაზი პირისახის და, რაც შეეფერება უსწავლელ კაცს, კარგი სიტყვა-პასუხის პატრონი. ამასთან მუყაითი მუშა და მეოჯახე. იმ სოფელში ჯერანზე უკეთესი და შეძლებული გლეხი ორიც არ მოიპოვებოდა. ოროთახიანი, ყავრით დახურული ფიცრის სახლი, მეორე კიდეც ისლით დახურული პატარა ფიცრულა სახლი საჭმლის საკეთებლად, კაი ბელელი, ფაცხა, ნალია, ოჯახისათვის საჭირო სხვადასხვა პატარა შენობები, ერთი უღელი ხარი, ორი მეწველი ძროხა, ღორები, - ესენი ყველა მოეპოვებოდა ჯერანს და ეს დიდ შეძლებად ითვლება გლეხკაცობაში. ამასთან ბატონისაგან დახსნილი თორმეტი ქცევა საკუთარი მიწა - საყანე და ვენახიანი, კარგა მოზრდილი ეზო, ნიგვზის ხეებით დაჩრდილული, ეზოზე მოდებული საჩხები, რომელშიაც შეშა, წნელი, სარი და სხვა ამისთანაობა

თავის დღეში არ გამოიღეოდა. რა ბრძანებაა, გლახობაში ჯერანისთანა შეძლებული ასზე ერთი ძლივს მოიპოება. მართალია, ჯერანს თავისი ოჯახის მოწყობა დიდ შრომად უჯდა, ბევრჯერ ღამე დღეზე მიუტანებია მუშაობაში, ბევრჯერ ისე გაჭირვებია ტვირთი, რომ თავისი გაჩენის დღე უწყევლია. როცა სახლის და ბელლის ფიცრები გამოჰქონდა ტყიდან, მხრები და ზურგი საკურტნე ცხენის ზურგივით დაუშავდა, ტუჩები დაუსქდა და სისხლი მოსდიოდა ზედ. მაგრამ ისიც კარგია, რომ მისი ამგვარი შრომა დაუჯილდოვებელი არ დარჩა. უმეტესი ნაწილი გლახობისა ჯერანზე ნაკლებ შრომას არ ეწევა, მაგრამ მაინც არა აბადია რა. ახლა ჯერანს სხვადასხვა მოვალეობის გადახდაც აღარ უჭირდა სხვა გლახებსავით, ხან სიმინდს ჰყიდდა, ხან ღომს და ამ საშუალებით ყოველთვის თავის დროზე აძლევდა „ფოსტის ფულს“ და სხვა გადასახადებს. ამის შემდეგ გასაკვირველიც არ არის, რომ ჯერანს ბევრი იმ სოფლის გლახკაცი ნატრობდა

სიძედ, ბევრ ღარიბ აზნაურის ოჯახსაც ეჭირა თვალი ჯერანზე, - ვინიცობაა, ცოტა რამ მოგვცეს სასყიდლოდ და ჩვენი ქალი ითხოვოსო. მაგრამ ჯერან ძლიერ ფრთხილობდა და აზვიადებდა ცოლის შერთვას. „კი, პაწაი რომ დევიხარჯო, აზნაურის ქალს მომცემენ ცოლათ, მარა რაი! დაჯდება ამ ჩემ ნაკვტავ ოჯახში და იტყვის: ჩემმა ბედმა ყაძახის ხელში ჩამაგდო და ჩემ სიცოცხლეში მაინც ვჭამ მის ოჯახსო. გეიჩენს კურუებს და ვინცხას მომაკლიებს. არაა ჩემი საქმე!” - ფიქრობდა ჯერან. გლეხის ქალებში ატანდა თვალყურს, მაგრამ ჯერ ვერსად ენახა შესაფერი: ზოგის თვალადობა არ მოსწონდა; ზოგი ლამაზი იყო, მაგრამ მშობლები მეტისმეტად ღარიბი ჰყავდა და ამიტომ სწუნობდა; ზოგი ლამაზიც იყო, გლეხის პირობაზე შეძლებული ოჯახის ქალიც, მაგრამ „იმისთანაი ეშმაკური თვალეები აქ, რომ წმინდათ ვერ შეინახავს თავსო” და ამიტომ არ ირთავდა. ამასთან ჯერანს ცოლის შერთვა ისე არ შეეძლო, თუ მისი დედა და

დაი თანახმა არ იქნებოდენ. „იგი კაცათ არ მიხსენებია, ვინც დედის უნებურს იზამსო” - ამბობდა ჯერან, რომელიც მართლაცდა დიდი პატივით ეპყრობოდა დედას და დას. ამ უკანასკნელებს, რასაკვირველია, მზე ჯერანზე ამოდიოდათ. მართალია, ხანდახან უკმაყოფილებაც მოუვიდოდა ჯერანს ან დედასთან, ან დასთან, აწყენიებდენ ერთმანეთს, გაიბუტებოდენ, დამდურდებოდენ, მაგრამ კარგად რომ გაგესინჯათ მათი უკმაყოფილების საგანი, აი რა გამოდიოდა: რომელიმე ამათგანი რამე მიზეზისა გამო უსაყვედურებდა მეორეს - ჩემი სიყვარული და პატივცემა არ გაქვსო. ეს უკანასკნელი იწყენდა, იჭვი როგორ შემოიტანა ჩემზე: „იგი თვარ მიყვარს, აბა, ვილა მეყვარება ქვეყანაზე სხვაიო”. ამ მიზეზისაგან გამოწვეული საყვედური ხანდახან გვარიან ქარბუქად გადაიქცეოდა, მაგრამ დიდხანს ვერ გაატანდა, ადრე ცხრებოდა და მთელი ოჯახი ისევ ერთსულად და ერთგულად ცხოვრობდა. ამ

ერთ სულგულობას ხელს უწყობდა ოჯახის მცირერიცხვიანობა: დედა და და-ძმა, ამათზე მეტი არავინ იყო ჯერანის ოჯახში. ხვარამზე (ჯერანის დედის სახელია) დადიოდა მკითხავებთან და აკითხვინებდა - ჯერანს როგორი ბედი მოეღოს ცოლის შერთვაშიო. მკითხავები აიმედებდენ: „დიდი ბედნიერი შეიქნება ცოლის შერთვითო“. მაგრამ თუ ვინ უნდა აერჩია ხვარამზეს სარძლოდ, ამის შესახებ კი არას ეუბნებოდენ. ვაჟიშვილის დაქორწინებას გარდა, ხვარამზეს ქალიშვილის გათხოვებაზედაც უნდა ეზრუნა. ელისაბედ (ჯერანის და) წლოვანებით უფროსი იყო ძმაზე. მაგრამ, ხვარამზეს ფიქრით, ვაჟიშვილის შესახებ ზრუნვას დედისთვის ყოველთვის უპირველესი ადგილი უნდა სჭეროდა. ამ მოსაზრების წინააღმდეგ ელისაბედიც ვერას გაბედავდა, თუმცა მისი გათხოვება საკმაოდ დაგვიანდა.

მაშინ თვრამეტი წლის იყო ელისაბედ, რომ შეუყვარდა

ერთი მეზობელი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ყანა ჰქონდა ჯერანის ზიარი. ეს იყო კარგი თვალტანადი მუშა ბიჭი, ოცი-ოცდაორი წლისა. ბევრი ღამე გაეტარებია ელისაბედს უძილოდ ამ ყმაწვილზე ფიქრით; დარწმუნებული იყო, რომ ეს ყმაწვილი კაციც თავის მხრივ არ იყო გულგრილად მასთან, - უყვარდა ელისაბედ. მაგრამ ეს სიყვარული ისე გამოუთქმელად ჩაკლა ელისაბედმა თავის გულში, რადგანაც ბოზობად ჩაუთვლიდენ დედა და ძმა, რომ გაემხილა - მიყვარს და იმაზე გამათხოვეთო; ან კიდევ ძმის დაქორწინებამდე როგორ უნდა გათხოვებულიყო!

თუმცაღა თავის გათხოვების საქმეში ელისაბედს არ ჰქონდა ხმა და უფლება, მაგრამ ძმის დაქორწინებაში დიდ მონაწილეობას იღებდა და პირდაპირ მოვალეობადაც თვლიდა თავის მხრივ ამ საქმეში მონაწილეობის მიღებას. მისი ფიქრით, სულ მთლადაც დედის და დის მოვალეობა იყო ჯერანისთვის საცოლო



ქალის მონახვა. “მამა რომ გვყავდეს ცოცხალი, მაშინ ჩვენ აღარ გვექნებოდა ხმაი. მარა მამა აღარ გვყავს. ჩემი ძმის ჭირისუფალი ახლა მე და ნენაი ვართ; ახლა ჩვენ თავზე იმისი ცოლის შერთვაო”, - ფიქრობდა ელისაბედ. როგორც დედამისი, ისე ელისაბედიც დადიოდა მკითხავებთან ჯერანის ბედის საკითხავად; ჰქონდა მოლაპარაკება შუამავლებთან; ზოგ შუამავალს დედის დაუკითხავადაც უარით ისტუმრებდა. ერთი-ორი შუამავალი კიდეც გამოლანძღა: „რავა გაბედე ჩემი ძმისთვის ასე გლაზა ქალის თქმაიო”. რაც შეიძლება გლეხის ქალისაგან, ელისაბედ ამპარტავანი და მედიდური ქალი იყო. ამიტომაც არც ერთი არ მოსწონდა იმ ქალებში, რომლებსაც მისი ძმის საცოლოდ ასახელებდენ შუამავლები. მისი ფიქრით, ჯერანის ცოლი ძლიერ კარგი თვალტანადიც უნდა ყოფილიყო და კარგი ოჯახის შვილიც, ჭკუა-გონების და სიტყვა-პასუხის პატრონი, აბა, რასაკვირველია, რომ ხშირად მოსვლია ელისაბედს

ძმასთან უკმაყოფილება, როცა ამ უკანასკნელს უხუმრია  
- ეს და ეს ქალი უნდა შევირთო.

- არა, მითხარი რავა გეივლე გულში იმის შერთვა? -  
ეტყოდა საყვედურით ელისაბედ.

- რეიზა, ვითამ რა უჭირს, მე კი მომწონს და! - აჯავრებდა  
ჯერან.

- შენ მაინც მის მეტი ხათრი და მორიდება არ გაქ შენი  
დედის და დის!

- არა, რაცხა ისე დამიჯდა თვალში, უნდა შევირთო!

- ჯერ დედა და დაი დაგვკალი და მერე შეირთე! -  
ანჩხლდებოდა ელისაბედ.

- ახლა ასე რომ გაცეცხლდები, რა ბრიყვი მნახე მე, რომ შენ და ნენაის უნებურათ ცოლი შევირთო!

- მეც გამიკვირდა, მარა შენ ისე თქვი, რომ მართალი მეგონა, - იტყოდა ბოლოს დამშვიდებული ელისაბედ.

### III

ერთს შაბათ საღამოს ჯერანს ესტუმრა მამიდამისი ქალიჯან, რომელიც გათხოვილი იყო ერთ მახლობელ სოფელში. ქალიჯან საკმაოდ მოხუცებული, მაგრამ სამაგიეროდ რიხიანი და კარგი სიტყვა-პასუხის დედაკაცი იყო. მას დიდი სიყვარული წაჰყოლოდა იმ ოჯახის, სადაც დაიბადა და აღიზარდა. ხვარამზემაც კარგად იცოდა, რომ მისი მული კეთილის მდომი იყო მისი და მისი შვილების, ამიტომ დიდი სიხარულით ეგებებოდა მის სტუმრად მოსვლას. ჯერანს და ელისაბედსაც ძლიერ უყვარდათ

მამიდა ქალიჯან. უცხო თავის დღეში ვერ იფიქრებდა ქალიჯანზე, რომ მას თავისი საკუთარი ოჯახი აქვს და ტევრიძის ოჯახში ის ოჯახის უფროსი ქალი არ არისო, როცა უყურებდა, რომ ქალიჯან თავისი ძმისწულის ოჯახში მისვლისთანავე მიაღაგ-მოაღაგებდა, რაც საჭირო იყო, თუ რამე არ მოეწონებოდა შენიშვნას აძლევდა ხვარამზეს და მის შვილებს: „აი კარქათ ვერ გიქნიანო“. თანაგრძნობით გაუმტყუნებდა და გაუწყრებოდა, თუ რამე ურიგობას ნახავდა. ამასთან პირდაპირი და გულგახსნილი ლაპარაკი უყვარდა, მიხვეულ მოხვეულობა ლაპარაკშიაც და საქმეშიაც ძლიერ ეჯავრებოდა.

- რა ქენი, ჩემო რძალო, ბიჭს ცოლი ვერ აფიქრებიე? - ჰკითხა ქალიჯანმა ხვარამზეს ცოტა ხნის შემდეგ.

- რა ვქნა, ჩემო მულო, რომ არ ვხედავ არსად, თვალში რომ

დამიჯდეს, იმისთანა ქალს, - უპასუხა ხვარამზემ.

- ახლა ნამეტარს ნურც შენ მეინდომებ. კაი ქალიც იყოს, კაი ოჯახის შვილიც, კაი გვარისაც, ეგება ვერ ვიშოვეთ ასთე ყოლისფრამდე შემკული.

- აბა, ბაბიდავ, ნულარ ვეძებთ, ავია თუ კაი, ასე ვინც შეგხვთეს ხელში, შევროთო? - საყვედურით უთხრა ქალიჯანს ელისაბედმა.

- ციცავ, შენ ნუ ხარ ნამეტანი გულდიდი! ავს და კას ნუ ეძებო, რავა იქნება! მარა ნამეტარს ნუ გავყობით-მეთქინ, ვჩივი, - გაუწყრა ქალიჯან თავისებურად თავის ძმისწულს და მერე მიუბრუნდა ისევ რძალს:

- მე ახლა იმიზა ვარ მოსული, სხვაი საქმე არ მქონებია, ზალიკა ნარიშვილს ყავს კაი ციცაი და, თუ თქვენც

დაგიჯდეს, იგი შევრთოთ-მეთქინ.

ზალიკაი ნარიშვილი ერთ დროს თავის სოფელში განთქმული ვაჟკაცი იყო.

ბატონყმობის დროს ორჯერ აუჯანყა თავის ბატონს შინაყმები, გახდა მათ მეთაურად და აპირებდა ოსმალეთში გადასახლებას, თუ რომ ბატონს წერილობითი პირობით არ დაეთმო შინაყმებისათვის და არ მიეცა ისა საღავათი, რომელსაც ეს უკანასკნელები თხოულობდენ. ერთჯერ კიდევ - ესეც ბატონყმობის დროს იყო - ზალიკა რამდენიმე კაცით გზაზე თავს დაესხა ბატონის მოურავს და დაატოვებია თავისი ნათესავი ობოლი ბიჭი, რომელიც ბატონის მოურავს და მის კაცებს ოსმალეთში გასაყიდად მიჰყავდათ. მართალია, ის დრო წავიდა, როცა ასეთი უსამართლობისაგან ვაჟკაცობით შეიძლებოდა თავის დაფარვა, მაგრამ ვაჟკაცობის სახელი

მაინც დარჩენოდა და ესეც დიდ ძეგლად მიაჩნდა ზალიკას. რაც შეეხება ყოფა-ცხოვრებას, ზალიკა ძლიერ ღარიბად ცხოვრობდა, რადგანაც თავისი ვაჟკაცობა ძალმომრეობასთან ბრძოლაში გაატარა. ამის გამო ცოლი გვიან შეირთო და მოხუცების დროს დიდი წვრილშვილი ჰყავდა სარჩენი.

- ზალიკას? - დაფიქრებით იკითხა ხვარამზემ და შემდეგ განაგრძო, - ზალიკაი, მართალია, კი, უწინ ქებული ბიჭი იყო, ბატონს ეშინოდა მისი, მარა ახლა ძალუვან ღარიბს ჩივიან, რა ვიცი. ქალი ხომ ძალიან კაია მაინც?

- ახლა მე მაჭანკალი არ ვარ, რომ მოვყვე ასეა და ასე-მეთქინ. ზალიკაი ღარიბია, აგი შენც ქე გაგიგონია. ესე ციცაი კაი ციცაია, კაი თვალტანადი, კაი მეოჯახე. მე უფრო კიდევ იმიზა ვიფიქრე აი საქმე, რომ ზალიკაის ოჯახი, თქვენი არ იყოს, მართალი და პირიანი ოჯახია. აწი

თქვენც ნახეთ და თუ დაგიჯდეს იგია, ქე ათხოვიეთ ბიჭს; თუ არა და თქვენ იცით. ესე ჩემი ჭკუით, ამ ოჯახის შესაფერი კია.

- აბა, ბიჭს ნუ ვეტყვით ამელამ, ხვალ მე წავალ, ვნახავ ქალს და თუ დამიჯდა, მაშინ კიდევ ვუთხრათ და საქმეც გავაკეთოთ, - უთხრა ხვარამზემ.

- ბიჭს რეიზა ნუ ვეტყვით? შენ ნახვას იგი არ ჯობს, იმან ნახოს და, თუ დუუჯდება ქალი, მერე საქმე დავიწყოთ, - უპასუხა ქალიჯანმა.

ხვარამზე ერთხანს არ გაუხდა ამ აზრის თანახმა. მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, მოეწყვენ რძალი და მული ერთმანეთში და გადაწყვიტეს, რომ ჯერანსაც გაანდონ ამთავითვე ეს ამბავი.



სალამოს ჯერანი მოვიდა ყანიდან შინ. ნავახშმევეს ხვარამზემ გაუმხილა შვილს, თუ რისთვის იყო ქალიჯან მოსული. ჯერან კარგა ხანს იყო ამას შემდეგ ჩაფიქრებული და ბოლოს თქვა:

- ზალიკაის ქალს მე არ დავიწუნებ, თუ ქალი კი ვარგა.
- ქალი ნახე და, თუ დაგიჯდება, იგია, - უპასუხა ქალიჯანმა.
- არა, ნენამ ნახოს. შენ და ნენაი მე არ მიღალატებთ. თუ თქვენ ორს კი დაგიჯდებათ, მეც ვარს არ ვიტყვი, - თქვა გადაწყვეტილად ბოლოს ჯერანმა.

მეორე დღეს ქალიჯან და ხვარამზე წავიდენ ქალის სანახავად. ქალიჯანმა მოიხმო თავისი მეზობელი ზალიკაის ქალიშვილი ლიზა და აჩვენა ხვარამზეს. ლიზა

იყო თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის ქალი, საკმაოდ კარგად მოყვანილი, სავსე ტანის შავგვრემანი, მაგრამ სწორი, სავსე და ეშხიანი პირისახის. რადგანაც ქალიჯანს არ გაუმხელია არც ლიზასთვის და არც მისი მშობლებისთვის, რომ ხვარამზე მის სანახავად იყო მოსული, ლიზაც მოურთველ-მოუკაზმავი, ისე სადათ ჩაცმული მოვიდა ქალიჯანისას.

- ქალიჯან, საქმეზე მოხმარება გინდოდა და იმიზე დამიძახე, მეგონა, - უთხრა ლიზამ ქალიჯანს.

ქალიჯანს ეზარებოდა ტყუილის თქმა, მაგრამ ახლა კი რაღა ექნა!

- ხო, საკერავი მაქ პაწაი და იმიზე დაგიძახე, - უპასუხა მან ლიზას.

ლიზამ აიყვანა, დაისვა მუხლზე ქალიჯანის ხატავერი კატა და დაუწყო თამაში. ხვარამზე კი ძალზე უჭვრეტდა, მაგრამ ლიზა არ ამჩნევდა ამას და ისევ ისე კატას ეთამაშებოდა.

- კატა არა, ახლა შენ ერთი კვირა მოწიფული ბიჭი გინდა, იმას უფრო დუუწყებ თამაშობას, - გაეხუმრა ქალიჯან ლიზას.

- აბა! - თქვა ლიზამ და სახის წამოწითლებაზე ეტყობოდა შერცხვა კიდევ.

- აბა და მე ვიცი, გულს დაგწვავს! იი ძუძუები რომ გაქ დახვითქინებულო, ერთი კვირა ბიჭი რომ დაგაწვეს ზეთ. არ გამომიცთია მოწიფულობა თუ! სიზმარი მაწვალებდა, სანამდი არ გამათხოვეს, - კიდევ მარილიანად გაეხუმრა ქალიჯანი.

- რაა, ქალიჯან, რაფერი ხარ, ა! - თქვა მორცხვად ლიზამ, გააგდო კატა ხელიდან და ადგა შინ წასასვლელად.

- რა ქენი, მიხვალ? - ჰკითხა ქალიჯანმა.

- ახლა წავალ და მერე მუვალ. - ამ სიტყვებით ლიზა წავიდა შინ ისე, რომ აზრადაც არ მოსვლია, ხვარამზე რისთვის უმზერდა ისე მუყაითად.

- კაი ციცაი ყოფილა, - თქვა ხვარამზემ, რომელსაც ძლიერ მოეწონა ლიზა.

- ხომ დაგიჯდა? მერე რა გუნებისაა! - უთხრა ქალიჯანმა.

- აბა, ჩემო მულო, ახლა შენზეა საქმე, უთხარი დედ-მამას, - უთხრა ქალიჯანს ხვარამზემ. ამის შემდეგ რძალმა და

მულმა მოილაპარაკეს, დააწყვეს გეგმები და ხვარამზემ სიხარულით გამოსწია შინისკენ. მას უხაროდა, რომ კარგი სარძლო ქალი გამონახა.

- აბა, ჰა, ნენავ, კაი ამბავი თუ მოგვიტანე? - ჰკითხა ქალიშვილმა ხვარამზეს, როცა ეს უკანასკნელი შინ მივიდა.

- ძაღოვანი ქალი ყოფილა! - უპასუხა ხვარამზემ თავის ქალს.

- მეც კაი ამბავი დაგახვედრე! - მხიარულად დაიწყო ელისაბედმა. - ფეხათ მოგასწარი აგია, მემაჯესთან ვიყავი და იქიდან მეხუთოესთან გამევიარე. ორივე მარჩიელმა ერთხმად მითხრეს: ბედი კარზე მოგდგომიათ, ხელიდან არ გუუშვათო, მემაჯემ იგიც მითხრა - იმ ქალის ფეხზე თქვენი ოჯახი, წვიმაში რომ წყალი მატულობდეს, ისე

იმატებსო.

- მაშინვე გულმა მითხრა, რაცაც კი დეიწყო ქალიჯანმა, ჩემი ჯერანის ბედი სტორეთ აგი უნდა იყოს-მეთქინ. სხომის რამდონი უთქვამთ, მარა არც ერთზე გული არ შემქნია. ამაზე ახსენა თუ არა, მაშინვე გულმა მიგრძნო, ბედია, ბედიო, - თქვა ხვარამზემ.

- მეც, მეც, - თქვა ელისაბედმა.

- ორმა მარჩიელმა ხომ ასთე გითხრა. ერთი ხვალ მებანქოესთანაც წავალ, ვნახავ, რას მეტყვის.

- მერე მებანქოემ რომ გითხრას, არ არის მისი ბედიო?

- მითხრას, ორი ხომ - კაიაო, ჩივა. ორის უფრო დასაჯერებელი არაა?

- რა სათქმელია! მე იმაზე გამოგცადე, აბა, ნენაი, რას იტყვის-მეთქინ. წადი, არჩევინებ მებანქოეს, თუ უთქვამს ამ ორსავით, იგია. თუ არა და ამით მიხთი, არ ყოფილა მისი რჩევა მისაღები. ფეხს აღარ დავაბიჯებ მერე მასთან.

- არც ეღირება მერე მისი რჩევა.

- ისევე შენიანის იმედი უნდა გქონდეს კაცს. იმდონი ქალი დაგვისახელეს და აბა იმისთანაი თუ უთქვამს ვინმეს, ქალიჯანმა რომ გამოგვირჩია! - თქვა ხვარამზემ კმაყოფილებით.

- რეიზა გიკვირს! ჯერან შენი შვილია, ჩემი ძმაი, მარა მისი ძმისწულია მაგიორში, - უპასუხა ქალიშვილმა.

საღამოს როცა დედამ უამბო ჯერანს, ძალუანი ციცაია და

მარჩიელებსაც ესე უთქვავს, შენი ბედიაო, ჯერანმა გულდანდობილი კილოთი თქვა:

- რა ვიცი, ერთი დედა ხარ, მეორე დაი და მესამე მამიდაი, თქვენ თუ არ გენდობით, აბა ვილას უნდა ვენდო?

#### IV

შაბათი საღამო იყო. ზალიკა ნარიშვილისას დიდ ფაცაფუცში იყვენ. მეზობლები, მოკეთეები, ვინც კი გააჩნდა, სუყველა აქ იყვნენ და ტრიალებდენ სხვადასხვა საქმეზე: ვინ ახალდაკლულ თხას კაფსავდა და აწყობდა კარდალებში, სახარჩოეს ცალკე და მშრალ ხორცად მოსახარშავს ცალკე; ვინ ახალდაკლულ, მსუქან ღორს იღებდა ფელიკ-ფელიკად და ეუბნებოდა მეორეს: „აგი საჯიჭიოა, აგი ზურგიელი, აგი მკერდი, აგი გვერდი, უნდა მეიხარჩოს, აჰა, კელევერი და ჭაჭა მწვადად უნდა



შეიწვას”. ქალები ბურტყნიდენ დაკლოულ ქათმებს, ოთხ ბატს და ორ მამალ ინდოურს. ორი ხანში შესული ქალი აცხობდა ხაჭაპურებს. რამდენიმე კოხტად გამოწყობილი ქალი და კაცი ისხდენ ზალიკაის დიდ სახლში, რომელიც დღეს სასტუმროდ იყო მოწყობილი. აი რაში გამოიხატებოდა ეს სასტუმროდ მოწყობა: აქეთ-იქით ძველ ტახტებზე ეგო ჭილობის მაგიერად მეზობლებიდან ნათხოვარი ორი ნოხი და ორი ფარდაგი; ზედა კუთხეში იდგა ერთი გრძელი, გაულაქავი მაგიდა, რომელსაც ახალნაყიდი იაფფასიანი მიტკალი ჰქონდა გადაფარებული. მაგიდაზე ეწყო: ზოგი შინაური და ზოგი მეზობლიდან ნათხოვარი სსვადასხვა სიმსხო-სიდიდის და სახის ბოთლები, ორი დიუჟინა ჩაის ჭიქა თავისი ფინჯნებით და ექვსიოდე საკმაოდ დაჟანგებული ფრაჟის და ცინკის კოვზი, ექვსიოდე ღვინის ჭიქა, ორი პატარა, იაფფასიანი ლამპა, ორი თითბერის შანდალი სტეარინის სანთლებით და ორი რიუმკა. ორი ბოთლი ხილის არყით

იყო სავსე, დანარჩენი კი - ადგილობრივი წითელი და თეთრი ღვინით. რაც შეეხება სახლს, ეს იყო გრძელი, განიერი ფიცრული ძველი შენობა, ისლით დახურული, მიწის იატაკით და წინ მიშენებული დერეფნით. შუა ადგილას სახლში იდო დიდი ქვის კერა, რომლის ზევით სხვა დროს ეკიდა გამჭვარტლული ჯაჭვი, მაგრამ დღეს კი ჩამოეღოთ. საჭმელების სამზადად გაეკეთებიათ ერთი დიდი ქოხი, თუმცაღა კი სხვა დროს ზალიკაის მეუღლე თავისი ქმარ-შვილისთვის იმ სახლში აკეთებდა საჭმელს, რომელიც დღეს სასტუმროდ იყო მორთული. მოხუცი ზალიკაი მზიარული და მზრუნველი სახით გადადიოდა ერთი საქმიდან მეორეზე, უნდოდა ყველგან ხელი წაეყო და მიხმარებოდა, ყველას მადლობას ეუბნებოდა მარჯვედ გარჯისთვის. ზალიკას მეუღლე სუსანაი და რამდენიმე ქალი, სადაც ერია ჩვენი ნაცნობი ქალიჯანიც, უკან სახლზე მიღობილ ფაცხაში, „საფარეშოში“ კაზმავდენ ღიზას ახალი ტანისამოსით.

ყველა ამ ფაცაფუცის და მზადების მიზეზი გახლდათ ისა, რომ იმ ღამეს უნდა მოსულიყო ზალიკაის ოჯახში სიძე ჯერან ტევრიძე, უნდა დაენიშნა საცოლოდ ზალიკაის უფროსი ქალი, ლიზა. ამისათვის მოეწვია მოხუც ზალიკას თავისი მოკეთეები და მეზობლები, ამისათვის ამზადებდა პურ-ღვინოს, რომელიც კაი მძიმე ფასად დაუჯდა ღარიბ გლეხს ზალიკას.

კარგა მოსალამოვდა. ყოველივე სამზადისი მზად იყო. ახლა სტუმარს თუ მასპინძელს, ყველას თვალი ჭისკრისკენ ეჭირათ, მაგრამ სიძე ჯერ არსად ჩანდა. ამ გარემოებამ ყველა დააღონა. მართლა რაღა უნდა ექნათ, რომ სასიძო არ მოსულიყო! ხომ ტყუილად გაიარდა ამდენი მზადება და ხარჯი!

- ქალიჯან, რაფერ არის საქმე, თუ იცი, რეიზა დააგვიანდა

ამ კაცს? ჩემმა მტერმა და მოყვარემ, ყველამ შეიტყო აგი ანბავი, ჩემი მეზობლები და მოკეთე, ყველაი ვაწვიე და ახლა რომ გამაბახოს, უთოფოთ ვერ გადამირჩება, - უთხრა ზალიკამ ქალიჯანს.

- ჯერანს შენც კარგათ იცნობ, რა პირის ბიჭია. რომ იტყვის, მერე სიტყვას აღარ გატეხს. მე და დედამისს, ორივეს სიტყვა მოგვცა. ახლა რავა გვიღალატებს - აიმედებდა ქალიჯანს.

- აი საქმე რომ ახლა დეიფუშოს, ციცაი მომიკტება, გავბახდიო, - თქვა სუსანამ.

- ამ სიბერის დღეს არ ამაძაღლოს, თვარა... - ზალიკას კიდევ უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ დაიძახა, მოვიდენო და ზალიკაიც გამოვარდა გარეთ. ეზოში ჩამოვიდენ ცხენებით დაწყობილ-დაკაზმულნი

ჯერან და ექვსი მისი მხლებელი. ყველა სიხარულით მიეგება ახალმოსულებს. საჩქაროდ ჩამოართვეს ცხენები. სიძე და მისი მხლებელნი მიიწვიეს სახლში.

ჯერანმა გახედ-გამოხედა ზალიკაის მიდამოს, სადაც ძველ სახლს, ძველ ბელელს, ძველ ნალიას და პატარა შენობებს, მაგალითად, საძროხეს და მისთანებს გარდა, არ მოიპოვებოდა არავითარი შენობა. „აგი ნამეტარი ფუხარაი ყოფილა. ასე თუ იყო, მგონებოდა, არ ჩამოვიდოდი აქანაი სამოყვროთო“, - გაურბინა ჯერანს ფიქრებში. როცა სიბნელემ მოატანა, აანთეს ლამპები. სტუმრები ჩამწკრივდნენ აქეთ-იქით ტახტებზე.

არ გაუვლია ამის შემდეგ რამდენიმე წამს, რომ გაიღო ქვედა კარი, ჯერ შემოვიდა ქალიჯან, მერე საპატარძლო, ლიზა, მასთან ლიზას დედა, სუსანაი, და რამდენიმე ქალი, - ზოგი მოხუცი და ზოგი ყმაწვილი. ჯერან და მისი

მზღებელნი წამოდგე ფეხზე. ქალიჯანმა მიიყვანა  
ამათთან ქალები სალამისათვის. ჯერანმა, სალამის დროს  
ხელს რომ ართმევდა ქალებს, შენიშნა, რომ ერთი  
თეთრტანისამოსიანი შავგვრემანი ქალი სხვებზე უფრო  
მორცხვობდა. ამ ქალის შავგვრემანი სახე და მორცხვობა  
არ ესიამოვნა ჯერანს და გაიფიქრა: „ხომ არ გუუწყრა  
ღმერთი, აგი ხომ არ არისო“. ჯერანი ვერ იცნობდა თავის  
საცოლოს. ის მხოლოდ დაჯერდა დედის სიტყვებს:  
„ძალუანი ქალი არისო“, და წამოიღო სანიშნოდ ქარვა და  
ბეჭედი. დედას გარდა, ჯერანის დამ ელისაბედმაც ნახა  
ლიზა და ისიც ეუბნებოდა ძმას, კაი ქალიაო. მართალია,  
ელისაბედს მაინცდა-მაინც არ მოსწონდა ლიზას  
თვალტანადობა, ის უკეთეს ქალს ეძებდა ძმისათვის,  
იმისთანას, რომ „სახტარზე მისი რძლისთანა ქალი მეორე  
არ გამოსულიყო“. მაგრამ მკითხავების სიტყვით, ლიზა  
იყო ჯერანის ბედზე დაბადებული. ასე გასინჯეთ, მესამე  
მკითხავმა, მებანქოემაც, პირველი ორი მკითხავის

სიტყვებს მიემოწმა. მებანქოვე მკითხავმა ისიც დაუმატა: “იმ ქალის (ლიზას) მამას ფული ქონებია შენახული. ჯერ არ აჩენს, იგი ფულიც ჯერანის ლუკმააო”. ამის შემდეგ, აბა, როგორ არ ურჩევდა ცრუმორწმუნე ელისაბედ თავის ძმას, ლიზა შეირთეო. ჯერანის მხლებლებშიაც, გარდა ერთისა, ვერც ერთი ვერ იცნობდა ჯერანის საცოლოს.

როცა ქალები დასხდენ, ქალიჯან მიუბრუნდა თავის ძმისწულს და თავისებური სადა კილოთი ჰკითხა:

- იცი, ბიჭო, რომელია შენი?

- რა ვიცი მე რომელია! - უპასუხა ჯერანმა.

- ეე, თეთრი რომ აცვია, იგია, - აჩვენა ქალიჯანმა იმ ქალზე, რომლის შესახებაც იმ ორი-სამი წამის წინეთ ჯერან ფიქრობდა: „არ გაუწყრეს ღმერთი, იგი არ იყოსო”.

ჯერანს სახეზე შავი ფერი გადაეკრა და წარბები მის უნებურად ჩამოეხარა ძირს. „ყველამ მე რეიზა მილალატა, მამიდამ, დედამ, დამ, რას მემართლებოდენ?“ - გაიფიქრა ჯერანმა, მაგრამ ენით თქმას კი ვერ ახერხებდა.

- რაა, ბიჭო, არ დაგიჯდა? - ჩურჩულით ჰკითხა ქალიჯანმა.

- რას მერჩოდნი, მამიდავ, რომ ჩეიქციე ჩემი სისხლი? - ძლივს გასაგონად ჩაულაპარაკა ჯერანმა ქალიჯანს.

- რას ჩივი, ბიჭო, შენ კარქა არ შეგიხედავს, თვარა ძალიან ქალია! კაი რომ არ იყოს, მე კაი, თუ გინდა, მარა დედა და დაი რავა გილალატებდა! ყველას მოსწონს შენს გამეტს, - ნმადაბლა უპასუხა ქალიჯანმა.

ამ ლაპარაკს ყური მოჰკრეს ჯერანის მხლებლებმაც,



რომლებშიაც ზოგი ახლო ნათესავი იყო ჯერანისა, ზოგი მეგობარი და ზოგი კარგი მეზობელი და ფუჩუნით კითხულობდენ, რომელიაო. ქალიჯანმა ამათაც დაანახვა ლიზა და ახლა იმათაც დაუწყეს ლიზას ჭკრეტა. ჭკრეტის დროს ზოგი წარბებს ხრიდა, ზოგი ერთმანეთში რაღაცას ფუჩუნობდა. უნდა ვთქვათ, რომ თეთრ ტანსაცმელში ლიზა არ ჩანდა ლამაზ ქალად. ამასთან ლიზა ბუნებითაც მორცხვი იყო და როცა შეამჩნია, ძალზე მიჭკრეტენო, სულ მთლად მოიბუზა. იჯდა თავდაღუნული, წარბებდახრილი, სახემოდრუბლული და თავს ვერ იღებდა. ერთმა ახლო ნათესავმა გაიხმო ცალკე ჯერან და ჰკითხა:

- მოგწონს ქალი?

- ყველამ მიღალატა, ყველამ! - უპასუხა გულმოკლულად ჯერანმა.

- რა ვქნათ ახლა?

- რაღა უნდა ვქნა! სხაპში ვარ გაბმული და რაღა უნდა ვქნა! ცხენები რომ ხელში გვყავდეს, კიდეც რამეს ვიფიქრებდი, თუ გინდა მოვეკალი. ახლა რაღა!

- სადაა, თუ იცი, ჩვენი ცხენები?

- რა ვიცი სადაა? რაღამც იგი ჟონდენ გულში, ცხენებსაც ქე დამალავდენ. ახლა რა მიწაში ჩევიდე! დავტიო აქანაი შვიდი ცხენი და წევიდე? მერე მე რავა შემიძლია გადვუხადო პატრონებს, ჩემი ოჯახი არ უუთავდება! არა და რაი, მილალატეს, გამაბეს სხაპში და იგია. რაღა ვქნა ახლა, თავი მევიკლა, თუ რაღა ვქნა?

- მეიცა, ბიჭებსაც ვკითხოთ.

ჯერანის ნათესავმა გამოიხმო გარეთ თავისი ამხანაგები, დასხდენ ერთი ხის ძირში და დაიწყეს თათბირი, მაგრამ ყველა მათგანი სხვადასხვა აზრისანი იყვენ იმის შესახებ, რაც ისე აღელვებდა ჯერანს. ზოგი ამბობდა: “მართალია, მზისუნახავი არაა, მარა არც თლათ დასაწუნარია, კაცის ოჯახში ჩამოვსულვართ, ახლა ასე წრიხი აღარ დეიკვრის; აგი რომ ვქნათ, უთოფოთ არ გაგვიშვებენო”. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ ჯერანის შესაფერი ქალი არ არის და მისი მხლებლებისათვის სირცხვილი იქნება, იმაზე რომ დაინიშნოსო. ზოგი არჩევდა, „ცხენები მოვითხოვოთ, თუ მოგვცეს, იგია, თუ არა, ჩვენ მაინც წევიდეთ და ცხენებს მერე საჩივრით ამოვიგებთო”. უკანასკნელ ყველა ამ დასკვნამდე მივიდა: „წასვლა რომ ვიფიქროთ, არც ერთს ცოცხალს არ გაგვიშვებენ ზალიკაი და მისი სახლიკაცებიო”. სცადეს, გაუგზავნეს ზალიკას მოციქული და შეუთვალეს: „სასიძოს ქალი არ მოსწონს და

ნაძალადევათ შერთული მადლიანი საქმე არ იქნებაო”.

- გაბახება ზღომებია ჩემი ოჯახის! ჩემმა მტერ-მოყვარემ ყველამ შეიტყო იგი ანბავი, თუ სადმე მოკეთე მყავდა, ყველაი ვიწვიე და ახლა ამას მიჩივა! ჩემი ოჯახის შერცხვენას ნუ მეინდომებს, თვარა დღეს მეც გავთავდები და იგიც გათავდება! თუ მოყვრათ მოსულა, ჩვენც მოყვრათ დახვდებით და თუ სამტროთ მოვიდა, ჩვენც ვიცით მტერის დახვედრა! - უპასუხა მოციქულს ზალიკამ.

მართალია, ზალიკაი არ იყო ისეთი პირი, რომელიც სარგებლობს შემთხვევით და, თუ შემთხვევამ საქმე მოუმარჯვა, სამართლიანობას აღარ დაგიდევს. არა, რაც გაეგებოდა, ზალიკაი სამართლიანობის მოყვარე კაცი იყო, რჯული და სინდისი დიდად სწამდა. მაგრამ ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. მას თავის დღეში ასე

ენახა და გაეგონა: მშობლები მონახავენ ვაჟიშვილისთვის  
საცოლოს და ქალიშვილისთვის - საქმროს და გააწყობენ  
საქმეს ისე, რომ ხშირად ჯვარისწერამდე ვერც კი  
გაიგებენ ამას საქმრო-საცოლო. მართალია, ხანდახან  
მოხდება კი, რომ საქმრო და საცოლო თვითონ აირჩევენ  
ერთმანეთს. მაგრამ ეს იშვიათი მოვლენაა და ხშირად  
ასეთი არჩევა, თუ საქმრო-საცოლოს მშობლებს არ  
მოეწონათ, ვერც კი მიაღწევს მიზანს. ზალიკაის ქალი  
ნახეს ჯერანის დედამ და დამ, საქმე გააწყვეს და ახლა  
ჯერანი უარს ამბობდა! ჯერანს რომ ლიზა დაწუნებით  
დაეტოვებია, ზალიკაის ოჯახი ხომ შერცხვენილი  
დარჩებოდა მისი მეზობლების თვალში! ამ შემთხვევაში  
სამართლიანად მიაჩნდა ზალიკას ძალის მოხმარება.  
მოციქულმა მიუტანა ზალიკაის სიტყვები ჯერანს. რაღა  
უნდა ექნათ! ცოცხალმკვდარი ჯერან თითქმის ხელით  
შეიტანს სახლში მისმა მზლებლებმა. გააწყვეს სუფრა.  
როცა თითო ჭიქა ღვინო დალიეს, ჯერანის ნათესავმა

კაცმა გადასცა ქალიჯანს ჯერანის მაგიერ ქალის  
სანიშნოდ ქარვის კრიალოსანი და პატარა, ხუთმანეთიანი  
ოქროს ბეჭედი, ფირუზის თვლიანი. ქალიჯანმა  
კრიალოსანი კისერზე გადააცვა ლიზას და ბეჭედი თითზე  
წამოუგო. ლიზას ისე შერცხვა ამ დროს, რო ქვესკნელში  
ჩავარდნილიყო, გული არ უშლიდა. გაჩნდა ღვინის სმა,  
ზალიკაის სტუმრები თანდათან მხიარულებაში  
შედიოდენ, მხოლოდ ჯერან იყო მოწყენილი. რაც შეეხება  
ლიზას, თუმცაღა მისთვის არავის უთქვამს გიწუნებენო,  
მაგრამ მან ინსტინქტურად იგრძნო, საქმრო მწუნობსო  
და ცოცხლად მოჰკლა ამ იჭვმა. მართალია. თავისი მხრით  
ლიზასაც არ მოეწონა საქმრო, რაღაც უეშხო კაცად ეჩვენა,  
მაგრამ ამის თქმას როგორღა გაბედავდა ლიზა ან  
თავისიანთან და ან სხვასთან! თქმა კი არა და ისე იჯდა  
გაქვავებული, რომ ერთხელაც ზევით არ აუხედნია.  
ლიზას სიახლოვეს იჯდა ორი ყმაწვილი ქალი, - ერთი ქერა  
და მეორე რძელაღვინისფერი. ეს ქალები ისეთი ლამაზები

იყვენ, რომ მგონია, მშვენიერი თამარ მეფე და ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა ამათზე ლამაზი არ იქნებოდენ. ამ ქალების სილამაზემ მაინც სულ დაჩრდილა ლიზა. ჯერან ისეთი თვალით შეხედავდა ჯერ ამ ლამაზ ქალებს და მერე ლიზას. თითქო ერთ მხარეს სამოთხეა, მეორე მხარეს ჯოჯოხეთი და ჯერანს ეს უკანასკნელი რგებიაო.

შეჭეიფიანებულმა სტუმრებმა თითქმის ძალათ მიიყვანეს ჯერან და დასვეს ლიზას პირდაპირ სუფრაზე, მერე დაუყინეს და სადღეგრძელო დაალევინეს ერთს მეორესი. მაგრამ ყოველივე ამას ისეთი ნაძალადეობა ეტყობოდა, თითქო ორი მომდურავი ადამიანი მოუყვანიათ ერთმანეთთან შესარიგებლად, მაგრამ არ რიგდებიანო. როცა ერთმანეთის სადღეგრძელოს სვამდენ, არც ჯერანს და არც ლიზას ხმა არ ამოუღიათ. ისე მხოლოდ ჯერანმა ნახევარი ჭიქა დალია და ლიზა კი პირით შეეხო ჭიქას, ღვინო არც კი ჩაუშვია პირში. მეორე

დღეს, სწვა სტუმრებთან ერთად, ჯერანმა გადმოიარა ზალიკას სახლიდან და გაუდგა თავის შინისკენ. მოლაპარაკება სიძესა და სიმამრს შორის არავითარი არ ყოფილა იმის გარდა, რომ ზალიკამ უთხრა ჯერანს:

- ჩემო სიძევ, წაყვანის ვადა დამიდევი.

- ჯერ ვერ გეტყვი ნამდვილს. აგერ შინ მივალ, მევიფიქრებ და შეგატყობიებ, - უპასუხა ჯერანმა.

## V

გავიდა შემოდგომის ორი მესამედი. სოფელმა ჭირნახული მიაღაგა და გაჩნდა ქორწილები; ისე კვირა-უქმე დღე არ გავიდოდა, რომ ქორწილი არ მომხდარიყო. შემოდგომა, ჭირნახულის დაღაგების შემდეგ საუკეთესოდ როა სოფელისთვის, ვისაც ჯვარის დაწერა და



ქორწილი ესაჭიროება. პური, ღვინო, თავისუფალი დრო  
თუ აქვს, სწორედ მაშინ აქვს გლახკაცს. გასათხოვარი  
ქალებიც მოუთმენლად მოელოდებიან ამ დროს. ზალიკა  
ნარიშვილი დღითი დღე მოელოდა თავისი სიძისაგან  
ამბავს, მაგრამ გადიოდა დღეები, კვირები და ჯერ არც  
ჯერან და არც მისგან გამოგზავნილი კაცი არსად ჩანდა.

ბოლოს ზალიკამ დაკარგა მოთმინება და თვითონ  
გაუგზავნა მოციქული ჯერანს: „მიგყავს ჩემი ქალი თუ  
არაო“. „ქალი დანიშნული მყავს, იგია, და აწი ჭკუაში რომ  
მომივა, ჯვარს დავიწერ ზეთო!“ იყო ჯერანისაგან პასუხი.  
ზალიკაის მეუღლე დადიოდა მკითხავენთან, მაგრამ არც  
ერთი მკითხავი სანუგეშოს არას ეუბნებოდა. მეტადრე  
ერთმა მკითხავმა ძლიერ გაუტენა გული სუსანას:  
„ტყუილია, არ შეირთავსო“. მაგრამ თან ამასაც უმატებდა  
ის მკითხავი: „მაგიორში მეორე ნიშანი მოდის და იგი კი  
უტყუარია, გვირგვინი მოყოლა ამ მეორესო“. მაგრამ ჯერ

არსად ჩანდა არც ეს მეორე. ამ გარემოებამ ბოლოს და ბოლოს მეტად დააღონა ზალიკაის ოჯახი. ლიზას კი ერთი მხრით თითქოს კიდევ უნაროდა თავისი გათხოვების დაგვიანება: მას გარკვევით ჩაბეჭდოდა ხსოვნაში ჯერანის დახრილი წარბები და მწყრომარე თვალები; კარგად იცოდა ისიც, მისმა საქმრომ იმიტომ დახარა წარბები, იმიტომ მიიღო მწყრომარე გამომეტყველება, რომ ის, ლიზა არ მოსწონდა. ამასთან, თვითონ ლიზასაც არ მოსწონდა ჯერან, მისი შეხედულებით, ძლიერ უეშხო და უსიამოვნო თვალადობის კაცი იყო მისი საქმრო. მაგრამ, მეორე მხრით, ლიზას გულს უკლავდა, რომ ის დანიშვნის შემდეგ დატოვა ქმარმა. რას იტყოდა მასზე ამის შემდეგ მისი მეზობლები! ჯერ ცოტაოდენი დაგვიანდა დანიშვნის შემდეგ ლიზას გათხოვება და ზოგიერთმა ენაჭარტალა მეზობლის ქალმა ათასგვარი გულის მომშხამელი ჭორი გააგონეს ლიზას და მის მშობლებს. როცა ნამდვილს გაიგონებდენ, დატოვაო,

მაშინ რაღას იზამდენ! „რეიზა დევიბადე მე ამისთანაი? ჩემს სიცოცხლეში სადარდელათ უნდა დუუვარდე ჩემ დედ-მამას! რა უჭირდა არ გევეჩინე ღმერთს!“ - ფიქრობდა ლიზა. ამგვარი მუდმივი მწარე ფიქრებისაგან მისი სავსე პირისაზე საკმაოდ დადნა. სუსანაი წუწუნებდა: „დადნა ციცაი, თლათ დადნაო“, მაგრამ რა უნდა ექნა იმაზე მეტი, რომ მკითხავის სიტყვებით ანუგეშებდა.

ქალიჯან ძლიერ სწუნდა, რომ მისი დაწყებული საქმე ასე ცუდად ბოლოვდებოდა, მაგრამ რა ექნა? ჯერანმა ის დაითხოვა: „ჩემ ოჯახში ფენი არ დააბიჯო, რალამც ასე მილალატეო“.

დიდი საყვედური შეხვდა ქალიჯანს ზალიკაის ოჯახიდანაც.

საკმაოდ დაიტანჯენ ჯერანის დედაც და დაც: ჯერანმა, ლიზას დანიშვნის შემდეგ რომ შინ დაბრუნდა, დედას და დას ასე უთხრა:

- ზღაპარში გამიგონია დედა და დაი მოლალატეთ, მართა თუ მართალი იყო, დღემდე არ ვიცოდი და დღეს კი ჩემი თვალით ვნახეო!

- რავა, მე გილალატე? - ძლივს მოიბრუნა ენა გულმოწყვეტილმა ხვარამზემ, - შვილი რომ ამას მწამობს, სხვაი რაღას მეტყვის!.. მილალატეო. - ხვარამზემ დაიწყო ტირილი.

- თვარ გილალატებია, წაი, კარჭა შეხედე შენ სარძლოს და ქე მიხთები! - უთხრა დედას ჯერანმა მწარედ.

- კი გილალატეთ და ქთამიც ევიღეთ შენს ღალატში! -

მწარედ უპასუხა ძმას ელისაბედმა.

- ელისაბედავ, შენ მაინც დამეთხოვე, აღარ გამაგონო შენი შხამიანი ენა, თვარა ან თავს მევიკლავ და ან შენ მოგკლავ! - უთხრა გაცეცხლებულმა ჯერანმა.

- კაია, საცოლო ჭე დანიშნე და აწი რაღათ გინდა ან დაი ან დედა! დაგვხოცე! ამაზე უკეთესს მაინც არ მოველოდით შენგან! - უპასუხა დამ.

ამ მწარე სიტყვებმა ისე გააცოფა ჯერან, რომ რაც კი შეხვდა სიახლოვეს, ჭურჭელი თუ სხვა, სულ დალეწა. მხოლოდ დას კი არ შეეხო ხელით, ეს რჯულად ჰქონდა: „ვინც დედას, დას და ცოლს გალაზავს, იგი კაცათ არ მიხსენებიაო“.

ორი დღის განმავლობაში ამას შემდეგ ჯერანისას არც

სადილი და არც ვახშამი აღარ გაკეთებულა. ნახევარი თვე ისე გავიდა, რომ ჯერანს ხმა არ გაუცია დედის და დისათვის. მართალია, ის სრულიადაც არ იყო დარწმუნებული, თითქო დედას და დას მისთვის ელალატებიოსთ და განზრახ გამოენახოსთ მისთვის ისეთი ქალი, რომელიც, ჯერანის ფიქრით, თითქმის მახინჯი იყო. მაგრამ გულმოსულობის დროს ის აღარ არჩევდა, მართალია თუ მტყუანიო, რაც მოადგა ენაზე გულდათუთქულ ადამიანს, ის წამოისროლა. ნახევარი თვის შემდეგ, როცა ჯერანი დედას და დას შეურიგდა, გააფრთხილა ეს უკანასკნელები: „იმ ქალზე აღარაფერი გამახსენოთ, თვარა მიგიტიებთ ამ ოჯახს და დევიკარქებო“.

ამის შემდეგ ხვარამზე და ელისაბედ მართლადაც კრინტს ვერ სძრავდენ ჯერანთან ამ უკანასკნელის საცოლეზე, თუმცაღა კი შიშით გული უსკდებოდათ, თუ ლიზა არ

შეერთო, ზალიკაი მოკლავს ჯერანსო. ამიტომ ჩუმად ეხვეწებოდენ ყველა თავიანთ მოკეთეს: ურჩიეთ ჯერანს, შეართვიეთ ლიზაო. მაგრამ ჯერანი ყველას ასეთ პასუხს აძლევდა: „მაცათ, თუ ღმერთი გწამთ, ჩევიჭერი ერთი კაცი, იგია, და სულ ქე მაინც ნულარ შემეწუხებთ სულს ამის ლაპარაკითო”. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯერანს ლიზა არ უნდოდა ცოლად, მაგრამ დანიშნულ ქალზე ხელის აღებაც უპირობად და უსინდისობად მიაჩნდა. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასეთი მდგომარეობა ჯერანს და ზალიკას შორის, რომ ერთ მოულოდნელ გარემოებას არ აეჩქარებია ამ საქმის გადაწყვეტა.

ზალიკა ნარიშვილის მეზობლად ესახლა ერთი ობოლი გლეხი, ნიკო მოახლიშვილი. ლიზა და ნიკო, როგორც ახლო მეზობლები და ერთი წლოვანებისა, ბავშვობისას ერთად დადიოდენ ფიჩხზე, ძროხების მოსადენად, ხბოების სამწყემსავად, სათამაშოდ და სხვაგან.

უყვარდათ კიდევ ბავშვური სიყვარულით ერთმანეთი. როცა გაიზარდენ, როგორც ეს ჩვეულებად არის, რიდი შეექმნათ ერთმანეთის, წინანდებურად მარტო წასვლა-წამოსვლა აღარ შეეძლოთ ერთმანეთთან. მაგრამ სიყვარული და თანაგრძნობა ერთმანეთისადმი კი არ გამქრალიყო ამათ გულში. ლიზას ძმასავით უყვარდა ნიკო. ნიკო კი ფიქრობდა ლიზას ცოლად შერთვას, მაგრამ ჯერ ოჯახი ჰქონდა გაუწყობელი, ამიტომ აგვიანებდა და ვერ უმხელდა ზალიკას. ამასობაში, ის იყო, ჯერანმა მოასწრო ლიზას დანიშვნა. საწყალ ნიკოს მთელი ღამე არ უძინია, როცა გაიგო, ლიზა დანიშნესო. შემდეგ, როცა ჯერანმა ლიზას წაყვანა დააგვიანა, ნიკოს იმედი მოეცა, აღარ შეირთავსო და მიუგზავნა ზალიკას შუამავალი - ლიზა მომეცი ცოლადო. სუსანამ სიხარულით მიიღო ნიკოს მოციქული და თანხმობა განაცხადა ნიკოს წინადადებაზე; ლიზასაც გულმა სიხარულით დაუწყო ცემა. მაგრამ პირმართალი ზალიკაი სულ სხვანაირად



უყურებდა საქმეს: „მე კაცს მიძახიან, იმ კაცმა ჩემი ქალი დანიშნა და ახლა სხვაზე რავა გავათხოვო ასე ადვილათო“ - უთხრა მან ნიკოს მოციქულს. აქ ჯერანსაც მიუვიდა ამბავი, ზალიკაი სხვაზე ათხოვებს ლიზასო. „რავა, ჩემი ნიშანი ხელზე აქ ქალს და ახლა სხვაზე ათხოვენ! არ ნდომებიათ თავი ცოცხალი და იგია. ეტყობა, კაცათ არ მაგდებენ! ამის მეტი სირცხვილის ჭამა რაღა იქნება, ჩემ დანიშნულ ქალს სხვაი შეირთავს!“ - თქვა ჯერანმა და აფრინა კაცი ზალიკასთან: ამა და ამ ღამეს ჯვარი უნდა დავიწერო შენ ქალიშვილზეო. სიხარულისაგან აღტაცებულმა ზალიკამ დანიშნულ დროს გამოუწყო თავის ქალს შეძლებებისდაგვარად მზითვი.

\*\*\*

გიორგობისთვის წყნარი დღე იყო. ლიზას ისე ჩარჩა ხსოვნაში დაუვიწყარად ის სევდიანი წყნარი დღე.

მთვრალმა მაცრებმა მშობლის სახლიდან წაიყვანეს ლიზა ეკლესიაში, სადაც მღვდელმა ქრისტიანული წესით შეაუღლა ის ჯერანთან.

## VI

- ნეტაი, ნენავ, შენ და ბაბიდას უწინ ფეხი მოგტეხოდათ, სანამდი ჯერანის საცოლოს გამონახავდით! - ეუბნებოდა ერთ უქმე დღეს ეკლესიიდან დაბრუნებული ელისაბედი თავის დედას. - გამოვიდენ ახალმოყვანილი ქალები, მარა რა გამოვიდენ! იმისთანაი თვალ-ტანადი, რომ მეტი არ იქნება! შევხედე ჩემ რძალს, მიწა გამისკტა... დგანა აგი შავრიოზაი! შინ ქია კიდე რაცხა, აი მიწა გასახეთქი, იქინეი, რომ გეერია ქალებში, აღარც თვალადობა უვარგოდა და აღარც ტანადობა! ოსიკელაის ცოლყოფილმა თამარამ იკითხა: ვინ არისო და რომ შეიტყო, მე ჩამიფურჩულა ყურში: რამ დაგიყენა ყველას

თვალი, აი, რა ჯერანის საკადრისიაო! თინიეის ბიჭი, მასიკელაი, ჯერანის ფეხთა მტვრათ არ ღირს, მარა მის ცოლს დღეს თელი სახტარი უმზერდა. რომ იდგა ქალებში ჯილასავით, კურცხალი მომადგა თვალებზე, - აგი რეიზა ჩვენი რძალი არ არის-მეთქი. თინიეის ბიჭს თუკი მისცეს იმისთანაი ქალი, ჯერანს ვინ დუუკავებდა! მარა წადით ორი გამოყრუებული მოლოზანი, ნახეთ აი შავრიოზაი და კაი გეგონენ.

- მე არა, მამიდაშენს რეიზა არ დუუდგა უწინ თვალები და მოტყდა ფეხი! იმას უნდა სცოდნოდა, იმ კისერმოსატეხს, თვარა მე რა შუაში ვარ! ერთი გზობა ვნახე და რა გასაკვირვალაია, მოვტყუვდი! - უპასუხა ქალიშვილს ხვარამზემ და ამოიოხრა, რადგანაც დანაშაულად მიაჩნდა თავისი თავი - რეიზა უკეთესი ქალი, თინიეის რძალი რომაა, ვთქვათ, იმისთანაი არ მოვაყვანიე ჯერანსო.

ასე გასაყიდი საქონელივით ფასდებოდა ლიზა მას შემდეგ, რაც კი ტევრიძის ოჯახში შევიდა. ჯერ ახალმოყვანილი რომ იყო ლიზა, როგორც ეს ჩვეულებად აქვთ სოფელში, დადიოდნენ მის სანახავად ჯერანის ნათესავები და მეზობლები, მეტადრე ქალები. ამათ წინდაწინვე შეტყობილი ჰქონდათ - ჯერან ცოლს სწუნობსო, ამიტომ წინდაწინვე შედგენილი აზრით, - ეტყობა, გლახა ქალი უნდა იყოს ჯერანის ცოლიო, - ჰვრეტდნენ ლიზას და იპრუწავდნენ ტუჩებს აღმა, „მართალი ყოფილა, შენი ჭირიმე! იგი ბიჭი მოტყუებულაო“. „ვინც ნამეტარს მეინდომებს, იმას ყოველთვის ვარესი შეხთებაო“, - ნიშნის მოგებით ამბობდნენ ჯერანზე ერთმანეთში საიდუმლოთ ზოგიერთები. ჯერანის მეზობლებში ერია კი ერთი-ორი ისეთი პირიც, რომელსაც, როცა ძლიერ დააკვირდნენ მის საქციელს, ლაპარაკს, მიხრა-მოხრას, ლიზა ძლიერ

მოსწონდა. მეტადრე ძლიერ აქებდა ლიზას ერთი ჯერანის მეზობელი მოხუცი ქალი, თეკლე.

- მოგიკტი, თუ ჯერანის ცოლი ბევრით არ ჯობდეს იმ ქალებს, სახტარზე რომ ჯილასავით იჯგიმებიან და შინ რომ ნახო სადათ, ტყემლათ არ ღირს არც ერთი. აგი სხვანაირი, ყუნჩი ქალია. უწინ არ გეჩვენება კაი, მარა მერე რომ დუუკვირდები და დუუკვირდები, სულ კეთულობს შენ თვალში. სხვაი სხვაია, რაცხა იმისთანაი საყვარელია, რომ ამის გულში მოვკტე, გული არ მომიშლისო, იტყვი, როცა კარქა გეიცნობ, - ეუბნებოდა თეკლე ერთხელ თავის მეუღლეს.

ჯერანს ხომ თაობიდანვე არ მოსწონდა თავისი ცოლი. მართალია, ის დარწმუნდა, რომ ლიზა სრულიად არ იყო ისეთი მახინჯი, როგორადაც მას ნიშნობის ღამეს ეჩვენა. მაგრამ ერთხელ გატეხილი გული თავის მეუღლეზე მაინც

აღარ მთელდებოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ თითქმის ის მოხერხებულად გააბა ზალიკამ მახეში, სხვათა შორის, ლიზას მზითვითაც არ იყო ჯერან კმაყოფილი. ერთი იაფფასიანი ნოხი, ერთი ფარდაგი, ერთი სპილენძის ქვაბი, ერთი მწვანე ზანდუკი და ერთი ხელი ლოგინის წყობილება, - აი, ეს იყო სულ ლიზას მზითვი. ჯერან შეხედავდა თავის ცოლის ღარიბ მზითვს და მწარე დაცინვით ეტყოდა ცოლს: „რა ბერძეგანი მამა გყავს, რა მგზითი მოგცა! მარტო ზანდუკი ღირს ერთ ბედაურ ცხენათ!“

ლიზა, როგორც ახალმოყვანილი ქალი, ურიგობად თვლიდა ხმის ამოღებას, თუმცაღა კი გულზე კბენდა ეს მწარე დაცინვა. ჯერან განაგრძობდა:

- მარა შენისთანა მზისუნახავს რათ უნდოდა მგზითი? მაინც გაგასალა მამაშენმა! - ეხლა ჯერან დედას

მიუბრუნდა: - დიდხანს ეძება ნენამ და ბოლოს მიაგნო, რავაც იყო ამ მზისუნახავს!

- კაი, ახლა, ყოველიფერი ბედის საქმეა. ახლა რომ იწუნო, გამოგიცვლიან თუ? ალბათ, აგი ყოფილა შენი ბედი! - უპასუხებდა შვილს დედა.

- შენ რომ დაბერდე და თვალებმა გიმტყუნოს, აქანაი ბედი რა შვაშია?

- გესლიანად ეტყოდა ჯერან დედას.

- ცთაი ბედის მონახევრეაო, იტყვიან, მარა ახლა რაღა დროისაა! - ჩაერეოდა ელისაბედიც ლაპარაკში.

ხშირად ჰქონდათ ამნაირი ლაპარაკი ჯერანისას, როცა ლიზა ჯერ კიდევ ახალმოყვანილი იყო. ლიზას ბევრჯერ

ჩუმად უტირია ასეთი ლაპარაკის გამო. მაგრამ მარტო ამ ლაპარაკით არ გათავდებოდა ჯერანის უკმაყოფილება ცოლისადმი. რადგანაც ლიზა სილამაზით არ უდრიდა მის იდეალს, ჯერანმა გადასწყვიტა: წამხთარ საქმეზე, ხასიათით მაინც იმისთანა უნდა გავხადო, რავაიც მე მინდაო. პირველი ნაბიჯი ჯერანისა ამ მიზნის მისაღწევად ის იყო, რომ სახელი დაუწუნა თავის ცოლს. „ლიზაი ბოზის სახელია, პატიოსანი ქალი სახელათ ლიზას რავა დეითქვამსო!“ - და ლიზას მაგიერათ მელანია უწოდა სახელად. შემდეგ ჯერანმა მიჰყო ხელი მელანიას (ამას შემდეგ ჩვენც მელანია ვუწოდოთ ჯერანის მეუღლეს) ზნე-ჩვეულების გარდაქმნას და ისეთ წვრილმანობამდე მივიდა, რომ თავისი თმაც კი ისე უნდა დაეწნა მელანიას, როგორც ჯერანს მოსწონდა. დედა და დაც, რა თქმა უნდა, ეხმარებოდა ამ საქმეში ჯერანს. „თვალტანადობაში ქე მოვტყუვდით და სხვაფერ მაინც დარჩეს ჯერანის მოსმინე და მორჩილიო“ - ფიქრობდენ



ესენი. ამ განზრახვით ამათაც დაუწყეს დევნა მელანიას იმ ჩვეულებებს და ხასიათს, რომლებიც ჯერანს არ მოეწონებოდა.

ეს დევნა იქამდე მივიდა, რომ მელანიას არ შეეძლო წყენა ან სიხარული გაემჟღავნებია რომელიმე შემთხვევის გამო, თუკი ეს წყენა თუ სიხარული მის ქმარს, დედამთილს და მუღს არ მოეწონებოდათ. მელანია პირველად თითქმის ყოველივეში ემორჩილებოდა ამათ. მართალია, ხანდახან გული მოუვიდოდა: „ყოლიფერი მათ ნებაზე უნდებიანო“, მაგრამ ფარავდა თავის გულის მოყვანას, რომ არ ეწყეინებია ქმრისა და დედამთილ-მუღისათვის, ის ხშირად უარს ამბობდა თავის გრძნობებზე; მაგალითად, ხშირი იყო ასეთი სცენა:

- რა არის, ქალო, რომ მოხარე წარბები! ქმრის შიში და რიდი აღარ აქ მაინც!.. ეტყოდა დედამთილი ან მუღი

რძალს, თუ ამ უკანასკნელს რამე ეწყინებოდა ქმრის ან მისი დედის და დის ნებადაურთველად.

- არაფერი არ მწყენია, ესე ტყვილაი, - უარობდა მელანია.

- რავა არ გწყენია, რომ წარბები მოხარე!

- დედა არ მომიკტეს, არ მწყენოდეს.

ან კიდევ, მაგალითად:

- რა არის, ქალბატონო, რომ გაგიბრწყინდა სახე? თუ გასახარელი ყოფილიყო, ჩვენ რეიზა არ გაგვიხარდა? - წაეკიდებოდა რძალს მული.

- არ გამხარებია, ისე ტყულა, - ფიცავდა მელანია.

- რავა არ გაგხარებია, სახეზე მზეი ამოგივიდა ამაზე მეტი მორიდება არ გაქ კაცის?!

- მამა არ მომიკტეს, არ გამხარებოდეს!

ერთხელ, მაგალითად, ასეთი შემთხვევა იყო: ელისაბედმა მოიტანა საიდანღაც ორი სხვადასხვაფერი ჩითის ნიმუში და აჩვენა დედას, რომელი ჯობსო. ერთი ნიმუში იისფერი იყო და ზედ იის ყვავილის მსგავსად შავი სახეები ჰქონდა ამოყვანილი; მეორე, მიწისფერი ჩითი კი ლაჟვარდი ყვავილებით იყო მოხატული. ხვარამზემ ეს უკანასკნელი არჩია.

- მეც აგი ვარჩიე, - მიემოწმა დედას ქალიშვილი.

- მე რომ მკითხოს კაცმა, აგი მირჩევნია, - თქვა მელანია და აჩვენა იისფერ ჩითზე.

- აბა, აგია, ამის მეტი ზდილობა და მორიდება არ გაქ: დედამ და შვილმა, ორივემ მიწისფერი ვირჩიეთ, შენ მაინცდამაინც - იისფერი! ვითამ რაი, რალამც თქვენ მოგწონს, მე ჯინზე აღარ მევიწონებო! თვარა ვინ იტყვის, შენს მეტი, მიწისფერს იისფერი ჯობსო? - უთხრა მწარე საყვედურით რძალს მულმა.

- ჩემი მორიდება რალაიზა ექნება ახლა ვინმეს! - ისეთ აჩვილებით თქვა ხვარამზემ, თითქო ვისმე დიდი შეურაცხყოფა მიეყენებინოს.

- არა, ქალბატონო, ესე, უწინ ერთ შეხედვაზე ვერ მივხთი. თვარა სტორეთ მიწისფერი ჯობს, - საჩქაროდ გაასწორა თავისი შეცდომა მელანია, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ უმცროსი უფროსს ყოველისფერში უნდა დაეთანხმოს, თორემ უზდელობა იქნებაო. მართალია,

მელანიას აჯავრებდა ეს თვალთმაქცობა: „რაც იგინს მოსწონს, შენც იგი მეიწონეო! ვაჟო, ეგება არ მომწონს! არა, მაინც „კი“ თქვიო. კაი, ვთქვი, მარა რა გამოვიდა ამით, ჩემ გულში მაინც არ მომწონს!“

მელანიას ჩვეულებად ჰქონდა, როცა სასაქმოს გაათავებდა, დაჯდებოდა თავის ლოგინზე ზანდუკთან, ნიდაყვს ზანდუკზე დააბჯენდა, შემოიდებდა თავზე ცალ ხელს და სევდიანად დაფიქრდებოდა. ეს ჩვეულება არ დარჩა შეუმჩნევლად მეტადრე ელისაბედს, რომელიც დედაზე და ძმაზე ბევრით უფრო ფხიზელი იყო ამისთანაობის შემთხვევაში.

- ნეტა რა წესია აი გლოვიარეთ ჯდომა! საგლოვიარო, ღვთის მადლით, ჯერ აფერი სჭირს ჩვენ ოჯახს! - შენიშნა ერთ დღეს ელისაბედმა მელანიას, როცა ეს უკანასკნელი მოწყენით იყო თავზე ხელშემოდებული და იჯდა თავის

ზანდუკთან.

- აფერი, რაცხა ისე დავფიქრდი, - უპასუხა მელანია, ჩამოიღო თავიდან ხელი და ცდილობდა მხიარული სახე მიეღო, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ელისაბედმა ამხელად ზემოთქმული შენიშვნით გაათავა ეს ლაპარაკი, მაგრამ დაიხსომა კი ეს შემთხვევა.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი კვირა, რომ ელისაბედმა ნახა კიდევ რძალი დაღონებული და თავზე ხელშემოდებული.

- რავა, კიდომ ასე მგლოვიარეთ დამჯდარხარ! არა, ახლა თუ არ მითხარი, რა გლოვა გაქ, არ გაგეყრები!

- აფერი, ისე ტყულაი, - თქვა მელანია, ადგა და აპირებდა

წასვლას.

- სად მიხვალ? უნდა მითხრა!..
- ღმერთი არ გამიწყრეს, არაფერი არ ყოფილიყოს.
- ააა, ასთე ვერ მომატყუებ! რაცხა დიდ ამბავში ხარ, მარა უნდა მითხრა, რა არის?
- რა იყო, ცავ - იკითხა ხვარამზემ, რომელიც ამ დროს შემოვიდა სახლში.
- რა იყო, რას ქვია? გამევიხედავ, ქე ზის აქანაი გლოვიარეთ, გამევიხედავ, ქე ზის! ახლა უნდა მითხრას, რა ანბავია! - თქვა ელისაბედმა.
- გლოვა ჩემი მტრის ოჯახს დუუბედეს! ჩვენ რა გვჭირს

საგლოვი! - თქვა ხვარამზემ და წყრომიარედ შეხედა რძალს.

- დედა არ მომიკტეს, არაფერი არ ყოფილიყოს, ესე ტყულად ჩამომეყვინთა, - ფიცულობდა მელათა.

- ააა, სხვანაირობა ჩვენს ოჯახში არ დევინახო, თვარა!.. - მუქარით უთხრა ბოლოს ხვარამზემ.

იმ დღიდან მოწყებული, მელანია მაც თავი დაანება ზანდუკთან თავზე ხელშემოდებულ ჯდომას. როცა დაფიქრებული იყო, მელანია იმალებოდა დედამთილისა და მულისაგან.

## VII

გავიდა რამდენიმე თვე. მელანია ეხლა უკვირდებოდა



თავის ცხოვრებას და ხედავდა, რომ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა მისთვის ეს ცხოვრება. ცდილობდა, მაგრამ ჯერანის გულში მცირეოდენი თანაგრძნობის ადგილიც კი ვერ დაეჭირა.

მათი ცოლქმრობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ღამით ერთმანეთთან წვებოდენ, ესეც ისეთი გულცივად და უხასიათოდ, რომ თითქო ძალდატანებით ასრულებიებენ ამ მოვალეობასო. დაწოლის დროს ჯერან ან ლოგინს დაიწუნებდა, - უხეიროთ არის დაგებულო, ან სხვა რასმე მოიმიზეზებდა და მაინც უსაყვედურებდა ცოლს, რაც უნდა რიგზე ყოფილიყო ყოველივე. თუ უქმე ან ავდრიანი დღე იყო, ჯერან დილიდან საღამომდე შინ დარჩებოდა და მაშინ ხომ რა, - ერთი წვალება უნდა გამოევლო მელანიას: ჯერან უთვალთვალებდა მას საქმის კეთებაზე, უწუნებდა ყოველივეს, აყვედრიდა ყოველ წამში: „სხვაი-სხვაი და საქციერიც უხეირო გაქო!”

ხვარამზე და ელისაბედ ხომ მუდამ შინ იყვენ და მუდამ წვრთნიდენ რძალს წაღმა-უკულმა, მაგრამ. რაც დრო გადიოდა, მით თანდათან კარგავდა მელანია ამათდამი პატივისცემას და მორიდებას. „რაც უნდა მეინდომო, რაც უნდა აამო, აგინის გულს მაინც ვერ შეაჯერებო“.

ახლა დედამთილი და მული რომ ბრალის დებას დაუწყებდენ, მელანია წინანდებურად ფიცილს კი არ მოყვებოდა, არა, ისე სიჩუმით ჩაატარებდა.

მართალია, ხვარამზეს და ელისაბედს, მეტადრე ანჩხლი ხასიათის ელისაბედს, ძლიერ აჯავრებდა ეს გამოურკვეველი სიჩუმე.

- ესე გველსავით გარისინდება და ჩაიწყვეტს ენას, რომ გულზე ცეცხლი მოგეკიდება კაცს! - ეუბნებოდა ერთ დღეს ელისაბედ დედას.

- ყველა გველმა ადამიანმა ესე იცის გაჩერება, ვითამდა ასე, მე კაი სულიერი ვარ, შენ რაც გინდა მითხარი, მე მაინც არ მეწყინება, მაგიორს არ გეტყვიო. მარა გულში ქე სწერს ყველას და ბოლოს გველსავით საწამლავათ გადმოანთხევს, - მიუგო ქალიშვილს ხვარამზემ.

ერთ დღეს ელისაბედმა ატეხა მსჯელობა თეთრფეროვან და შავგვრემანი ქალების ხასიათებზე და ბოლოს თვითონვე მისცა თავის მსჯელობას დასკვნა:

- შავგვრემან ქალებში უმფრო ბევრი მოდის ავი გულის პატრონები და კახპებიც! - თითონ ელისაბედ და დედამისი შაქრისფერი თეთრი ქალები იყვენ. მელანიამ მულის სიტყვებზე წარბები ჩამოუშვა, რადგანაც, მისი ფიქრით, ეს სიტყვები მისკენ იყო გადაკრული, ელისაბედი თავისებურად ჩაუყინდა რძალს:

- წარბები რომ დახარე, აბა რა ვთქვი შენი საწყენი?
- რა ვიცი, კი მეწყინა და! - უპასუხა მელანიამ ცოტა ცივად.
- კი მარა იმას აღარ მეტყვი, რა იყო ამაში შენი საწყენი?
- იყო თუ არ იყო, კი მეწყინა და ახლა რაი! გულს ხომ ვერ ამოვიგლეჯ!
- თქვი ბარემ, რა გიქნეს საწყენი? - უთხრა ხვარამზემ.
- მეწყინა-მეთქინ, ვთქვი, იგია და მეტი რაი!
- რომ გეწყინა, იმას გკითხავ მეც, რა ვთქვი შენი საწყენი? რეიზა მიიღე შენ თავზე?

- ჩემზე თქვი და ჩემ თავზე მივიღე.

- მერე რა მტერობა მქონდა შენზე? ხედავ, რა ავი გულის ყოფილა! რა იფიქრა! თურმე მტერათ გვიყურებს!

- რა ვიცი, ყოლთვის კი ჩივით იმისთანას, რო მეწყინება და! - გამოტყდა მელანია.

- აბა, ამიზა იყო, რომ მე და ნენას წამდაუწუმ გვიჭუნავდი წარბებს! ამისთანა გული გაქ შენ! - მძიმე საყვედურით უთხრა ელისაბედმა.

აქ რძალმა რაღაც მწარე სიტყვა შემოსტყორცნა მუღს და გაიმართა კაი გვარიანი აყალმაყალი, რომელშიაც მელანიამ საკმაო მწარე სიტყვებად გადმოანთხია აქამომდე დაფარული და გულში დაგუბებული ნაღველი.

იმ დღიდან მოწყებული ხშირად იმართებოდა ჯერანის ოჯახში ასეთი აყალმაყალი, რომელიც დროთ განმავლობაში უფროდაუფრო ცხარე ხასიათსაც ღებულობდა. ბოლოს და ბოლოს მელანია აღარ ურჩებოდა უკან დედამთილს და მუღს წყევა-კრულვაში და ლანძღვა-გინებაში, რაც იშვიათი არ იყო ამათ შორის. ამ გარემოებამ ჯერანის ყურამდეც მიაწია. „ნენას და ჩემ დას ავი სიტყვა არ აკადრო, თვარა სულს ამოგნთიო”. - ექადოდა ჯერან ცოლს. მაგრამ ეს მუქარა სრულიადაც ვერ სპობდა მის ოჯახში ქალების დავას და უთანხმოებას.

## VIII

რაც დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა ჯერანის და მელანიას ერთმანეთთან ცხოვრება. ჯერან თხოულობდა თავის მეუღლისაგან უსაზღვრო მორჩილებას. ეს კიდევ, ჰო, ვთქვათ, არ ეუცხოებოდა

მელანიას, რადგანაც თითქმის ყველა გაუნათლებელი და, მეტადრე გლახკაცი, ამასვე თხოულობს თავისი მეუღლისაგან. მაგრამ ვაი-ვაგლახი ის იყო, რომ ცოლის იმ მოქმედებაში და სიტყვებშიაც კი, სადაც ეს უკანასკნელი ცდილობდა ქმრის სურვილისდაგვარად მოქცეულიყო, ჯერან უმორჩილობას ხედავდა და ცეცხლდებოდა: „აგი მაიმუნი შევირთე და ხედავ რაებს მიბედავსო“. ამას გარდა იყო ორი ადამიანი, რომელიც იმგვარსავე უსაზღვრო მორჩილებას თხოულობდა მელანიასაგან, როგორსაც თვითონ ჯერან. ეს ორი ადამიანი მელანიას დედამთილი და მული გახლდათ, რომლებმაც გულის და გრძნობის გამოცვლაც კი მოუნდომეს მელანიას. ზემოთქმულს გარდა იყო კიდევ სხვა ისეთი მიზეზებიც, რომლებსაც შეუძლია უსწავლელ ხალხში შეყვარებულნიც კი დააშოროს და ერთმანეთის მომძულვარედ გახადოს.

აი ეს მიზეზებიც: ერთი მკითხავი ეუბნებოდა ხვარამზეს და მის ქალს: „თქვენი რძალი იმისთანა ავი ფეხის ყოფილა, რომ თქვენი ოჯახი აწი ძნელათ რომ უკან-უკან არ წევიდესო”. საუბედუროდ, ცოლის შერთვის შემდეგ ერთი ხარი მგელმა შეუჭამა ჯერანს; ერთი ხბოიანი ძროხა რაღაც მოარულმა საქონლის ჭირმა მოუკლა. თითონ ჯერანმა საუკეთესო მუშაობის დროს უცბად ცული დაიკრა ფეხზე და მთელი ორი თვე ეზოდან არ გადაუარია, ისე უქმად იჯდა სახლში. ეს ზიანი საგრძნობლად დააჩნდა ჯერანის ოჯახობას და ყოველი ეს ზიანი, ხვარამზეს და მისი ქალის ფიქრით, იმიტომ დაემართათ, რომ მათი რძალი ავფეხი იყო. რაც შეეხება იმას, რომ ერთ დროს მკითხავი ეუბნებოდა ხვარამზეს: ჯერანის სიმამრს დიდძალი ფული აქ მიწაში შენახული და ეს ფული ჯერანის ლუკმა გახდებო, ეს კი არ მართლდებოდა, როგორც ეტყობოდა, ზალიკას ან სულ არ ჰქონდა შენახული ფული და, თუ მაინცადამაინც ჰქონდა,



ჯერანის ლუკმად არ გახდებოდა ეს ფული. ამის დასამტკიცებლად ისიც საკმაო იყო, რომ გაჭირვების დროს რამდენჯერმე მიირბინა ჯერანმა სიმამრთან ფულის სასესხებლად, მაგრამ ვერც ერთ დროს ერთი გროშითაც ვერ გაიწყო ხელი. „იგი საყვარელი ჩემი ქალიშვილი არ მომიკტეს, არ მქონდეს, თვარა შენ რავა დაგიკავებდიო“ - ეფიცებოდა ზალიკაი. ბევრჯერ ზალიკა თავის მეზობლებშიაც დატრიალდა - იქნება ვიშოვო სასესხებლად და სიძეს ხელი გავუწყოვო, მაგრამ ვერას გახდა. ჯერანს არ სჯეროდა სიმამრის გულწრფელობა: „ბერძალლი იგი, სხვაგან რომ დარბის პირისფერობით, მიწაში რომ აქ კოჭბით შენახული, იგი მომცესო“. თავდაპირველად ძლიერ ერიდებოდა ზალიკას სიძის სახლში. პირველად რომ ესტუმრა, ჯერანმა ისეთი სადილი გაუწყო, რომ ერთ პატარა ქორწილს შეეფერებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფულის სესხებაზე გაწბილებული დაბრუნდა, ჯერან ძლიერ გულგრილად

ექცეოდა სიმამრს. ზალიკამ შეატყო - სიძისას, ქალიშვილს გარდა, ყველა ცივად მეპყრობაო და ამიტომ ძლიერ გვიან-გვიან დაიწყო იქ სიარული. „რა ვქნა, მენატრება ჩემი ქალიშვილის ნახვა, მარა ვატყობ, წყენენ ჩემი მისლა და მეც ქე დევებოხუე. ქალი რო გათხოვდება, მერე ქმარია მისი პატრონი. მამა გულში თუ შეინახავს მის სიყვარულს, თვარა მეტი უფლება აღარ აქ!“ - ამბობდა გულდამწვარი ზალიკაი. მელანიას დედა, სუსანაი სულ მთლად ფეხამოკვეთილი იყო სიძის სახლიდან. ჯერანს თაობიდანვე არ მოსწონდა სიდედრი, რადგანაც უთვალადო მოხუცი დედაკაცი იყო და სიტყვა-პასუხიც არ ჰქონდა რიგიანი. - „იგი რომ სტუმრებთან აბჟუტურდება, სირცხვილით ძვლები მიტყდებაო“, - ამბობდა სიძე. მაგრამ შესაძლებელია ამ მიზეზისათვის არ დაეთხოვა ჯერანს სიდედრი, რომ სხვა უფრო დიდი მიზეზი არ გაჩენილიყო: იმ ღამეს, როცა ჯერანმა ჯვარი დაიწერა, ზალიკაისაგან გაგზავნილ მაცრებში ერია

სუსანაის ნათესავი ყმაწვილი კაცი, კოწია. კოწია იყო ოცი თუ ოცდაორი წლის, კარგი მოსიმღერე და მომღბენი, კოხტა ყმაწვილი. ამ ყმაწვილმა რომ თავისი წკრიალა ხმით ხასანბეგურა შემოსძახა, მერე გამოვიდა და იცეკვა, იქ მყოფ ყმაწვილ ქალებს თვალი მაზე შერჩათ. ერთი აზნაურის ცოლი, მეტად ლამაზი ქალი, დიდხანს უმზერდა კოწიას თვალებზე წყალმოდენილი, მერე მიუბრუნდა მის ახლო მჯდომ ქალს და ვითომ ხუმრობით, მაგრამ თან აღტაცებით უთხრა: „იფ, ვენაცვალე იმ კისერში, ბიჭი ამისთანაი უნდაო“. ჯერანის ოჯახმა, ის იყო, იმ ღამეს პირველად გაიცნო კოწია, მაგრამ მოეწონათ კი ძლიერ. „ვინ იფიქრებდა, თუ სუსანას ამისთანაი ნათესავი ეყოლებოდა“ - მგონია სამჯერ კი უთხრა იმ ღამის განმავლობაში ხვარამზემ თავის ქალიშვილს. ელისაბედ დედის სიტყვებზე მორცხვად თავს ჩაღუნავდა და ხმას არ იღებდა.

არ გასულა ქორწილის შემდეგ ერთი კვირა, რომ ჯერან ეუბნებოდა სიდედრს: „ოღონდ კოწიეი მამეიყვანეთ სიძეთ ჩემ ოჯახში და სული არ მშურს, სულიო“. „აბა შენი მოყვრობა ახლა დაფასდება, თუ ამ საქმეს გეიყვან“, - უმატებდა თავის მხრივ ხვარამზე. ელისაბედმა იცოდა კი, რომ მისი დედა და ძმა შეუდგენ კოწიაზე მისი გათხოვების ზრუნვას, ძლიერაც უტოკავდა გული, რადგანაც კოწია მოეწონა, მაგრამ მონაწილეობას კი არ იღებდა თავისი გათხოვების ზრუნვაში. ამ საქმეში რომ თითონ ჩარეოდა და თავისი მხრივაც რამე ეთქვა, ურცხოება-თავაშვებულობაში ჩამოართმევდენ და ამას აბა როგორ იზამდა ისეთ სასტიკ ზნეობაში, - რასაკვირველია, თავისებურ ზნეობაში - აღზრდილი ქალი, როგორიც ელისაბედი იყო. „აბა შენ იცი, ნენავ, ეცადე, ეცადე, დეიყოლიე კოწიეი! თვალტანათ, შენც ხედავ, კაია, მარა თვალტანადობა რაა? იმისთანა ჭკუიანი და მეოჯახე ციცაია, რომ ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს. ზოგიერთებს

როის გავს, ბიჭებზე რო უჭირავენ თვალი, ამისთანობაში წმინდანია, წმინდანი. ჩემი ნენაი, შენებურა გულით მეინდომე, ჩემი ნენაი!” - ეხვეწებოდა დედას მელანია თავისი მულისათვის.

სუსანა წრფელი გულით შეუდგა შუამავლობას და ერთ კვირა დღეს, ვითომც სტუმრად მოუყვანია თავისი ნათესავი სიძისაო, ამოიყვანა კოწია ელისაბედის სანახავად. როგორც ვთქვი, ელისაბედი საკმაოდ ლამაზი ქალი იყო: სოფელში ამბობდენ კიდევ: „თლათ დიდკაცური შეხედულება აქ ელისაბედსო”. ხვარამზემ გამოაწყო საჩქაროდ თავისი ქალი და სადილზე დაუსო კოწიას პირდაპირ. ყველაფერში გაბედული ელისაბედი ახლა ისე დამორცხვდა ისე მოკატუნდა, რომ ერთხელაც არ აუღია თავი ზევით. გათავდა ეს ნახვაც და კოწია იმ დღესვე წავიდა შინ. მაგრამ იმ დასაქცევს თურმე კი არ მოეწონა ელისაბედი! რამდენიმეჯერ იყო ამას შემდეგ

სუსანა კოწიასთან, ეგება დავითანხმო, შევროთო ელისაბედო, მაგრამ არ იქნა, ხუმარა კოწია ყოველთვის ამ სიტყვებით ისტუმრებდა სუსანას: „არა, მამიდაჩემო, ელისაბედისთანა მჭლე ქალი მე არ მინდა, ერთი ზვითქი ციცაი გამომინახე, ზვითქიო”. კოწიასთვის ეს საქმე სახუმარო იყო, მაგრამ სუსანას და მისი ქალიშვილისთვის ძლიერ მწარე შედეგი მოჰყვა: ზვარამზემ და მისმა შვილებმა შესწამეს სუსანას, ამ საქმეში გულწრფელად არ იმოქმედაო. „არა, ამ საქმის შესრულება ზდომებოდა, იმას იზამდა, დაგვატაკა კაცი უცფათაი თავზე, ციცაის მოკაზმვაც ვერ მოვასწარი ხეირიანათ! პირდაპირ ვარი ველარ გვითხრა და, იგი იყო, ვითომ დეიწყო საქმე ჩვენდა მოსატყუებლად!” - ამბობდა გულდათუთქული ზვარამზე.

- თუ გულით მიენდომებია, ქალის სანახავათ საქმის გაკეთებამდე რეიზა მეიყვანა? ჯერ საქმეს გავაკეთებდი

და ქალის ნახვას, დასანიშნავათ რომ მოვიდოდა, მაშინც  
ქე მოესწრებოდა! ქვეყანა ასე შობა. ქალის დასანიშნავათ  
რომ მევიყვანდი, მერე ქე ნახავდა, თუ წევიდოდა!  
ცოცხალს არ გადუშობდი კარზე! კოწიაზე ვარესი ბიჭი  
ვიყავი, რომ მიმიტყუეს და ძალათი შემრთეს, ვინც არ  
მინდოდა, მარა არ მეინდომა და იგია! - ამბობდა ჯერან. რა  
თქმა უნდა, ამის შემდეგ სუსანა ფეხს ვერ დაადგამდა  
სიძის ოჯახში. მაგრამ სუსანას დათხოვნით არ  
დაბოლოებულა ეს საქმე: ხვარამზემ და მისმა  
ქალიშვილმა შეწამეს რძალს, თითქოს სულაც ამ  
უკანასკნელის სიტყვით ჩაშლილიყოს ელისაბედის  
კოწიაზე გათხოვების საქმე. „არ ხედავდი, გაყობოდა  
დედას და თითო საათს ჩუმათაი ეფუჩუნებოდა! თურმე  
ჩემი ცოცხლითაი დამარხვა უნდოდა!” - ეუბნებოდა  
დედას კოწიასაგან დაწუნებული და მით გულდამწვარი  
ელისაბედ. ამ ეჭვმა ისე დაამტერა ელისაბედ რძალთან,  
რომ სისხლი შეესვა ამ უკანასკნელის, გული არ

მოუშლიდა.

- იცი, ნენა, წუხელის რა დამესიზმრა? - უთხრა ერთ დილას ელისაბედმა დედას, - ვითამ მოვიდა ჩემი რძალი, ამომართვა გული, ჩემი თვალით დევინახე კაკალი გული, გახვია ქახალდში და წაატანა დედამისს.

ელისაბედ არ ტყუოდა, მან ნახა ძილში ეს სიზმარი.

ხვარამზე ისე შეაშინა ამ სიზმარმა, რომ სიტყვის თქმას ვერ ბედავდა. ერთი საათის შემდეგ ის გაემგზარა მკითხავთან.

- დედაც და შვილიც ორივე ყოფილა! - უთხრა მკითხავმა ხვარამზეს. სიტყვა „ყოფილას“ განმარტება არ ეჭირვებოდა ხვარამზესთვის, ის ცხადად მიხვდა მკითხავის აზრს, - მელანია და დედამისი მავნე სული



ყოფილაო.

რომ დაეფარა ელისაბედ მავნე სულისაგან, მკითხავმა გამოკერა რაღაც შელოცვილი ნივთი ტილოს ნაჭერში, მისცა ხვარამზეს, ელისაბედს შეაბი ყელზეო, შემდგომ მისცა სიტყვიერი დარიგება, თუ როგორ მოქცეულიყვნენ: „ნამეტარი უფრთხილდი დადეგ დღესო“ (პირველ სექტემბერს), და ამნაირად დარიგებული გამოისტუმრა შინისაკენ. არ გასულა ამის შემდეგ ერთი თვე, რომ ელისაბედმა მეორე სიზმარი ნახა და უამბო დედას:

- წუხელი ძილში ჩემმა რძალმა ჯერ ქათმის ფინთი ჩამიდვა პირში და მერე ქათმის ფინთში გასვრილი ფეხი მკრა გულზე.

მელანიას საუბედუროდ, ელისაბედ, მას შემდეგ რაც კოწიამ დაწუნებული დასტოვა, ჩამოხმა და ხანდახან

ავად ხდებოდა კიდევ. ხვარამზე ყოველ კვირაში დადიოდა ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე მკითხავთან. ეს მკითხავებიც მოისმენდენ ხვარამზესაგან ელისაბედის სიზმრებს და იმასვე იმეორებდენ, რაც პირველმა მკითხავმა თქვა: „რძალი და დედამისი მავნე სული ყოფილან და იგინი ჭამენ ელისაბედის გულსო“. თავისი ქალის სიზმრები და მკითხავების სიტყვები ხვარამზემ უამბო ჯერანს. დამწვარზე მღუღარე გადაესხაო, რომ იტყვიან, სწორედ ისე დაემართა ჯერანს: ჯერ უამისოდაც არ უყვარდა ცოლი და ახლა კიდევ ეს საშინელი ამბავი! მელანიას თუმცაღა არ უმხელდა ამ ამბავს, - მკითხავმა უთხრა ხვარამზეს: არ გაიგოს, თვარა წამალი აღარ გასჭრისო, - მაგრამ დედამთილის და მულის საიდუმლო ფუჩუნის და მათი მტრული გამომეტყველებიდან მისდამი მაინც მიხვდა მელანია, რომ მთელი ოჯახი რაღაც საშინელს სწამებდა მას. ბევრი ღამე გაატარებია ამ საიდუმლო ფუჩუნმა უძილოდ მელანიას; ბევრჯერ

ჩუმად უტირია მას ამ საიდუმლო საშინელი დაწამების გამო. „გული ამუართვაო, მწამებენ! ამისთანაი საშინელი დაწამება! მე რაფერ შემეძლო გულის ამორთმევა! რეიზა უთხრა იმ დაწყევლილმა მარჩიელმა ამისთანაი ცრუობა? რა მტერობა ქონდა ჩემი! რეიზა უთხრა?“ - ყოველ ღამ ამის ფიქრში იყო მელანია. შუალამე ისე გავიდოდა, რომ არ ეძინა. უკანასკნელ იჭვშიაც შევიდა თავისთავზე:

„რა ვიცი, ეგება, რომ დამეძინება, მერე ეშმაკს მიყავს ჩემი სული და ავ საქმეს ამოქმედებსო“. ერთ ღამეს ამ ფიქრებზე მას მოაგონდა, თუ რამე ახირებული სიზმრები კი უნახავს მის სიცოცხლეში და ისე შეეშინდა, რომ საბანი წაიფარა თავზე და გატვრინა სული. იმ ღამიდან მოწყებული მელანია მუდამ იჭვიანობდა თავის თავზე. იმდენად აუტანელი შეიქნა მელანიას ცხოვრება ქმრის ოჯახში, რომ მელანიამ დაუწყო ქმარს ხვეწნა:

„გამიშვი ბაბასთან, მასთან ვიქნებიო”. „ეგდე! არ ამეილო  
ენა, თვარა!..” - დაუყვირებდა ჯერან ამ ხვეწნის პასუხად.

ხანდახან, როცა ძლიერ სასტიკად მოეპყრობოდენ ქმრის  
ოჯახში, მელანია ქმრის უნებურად დააპირებდა მამისას  
გაქცევას, მაგრამ ჯერან თოფს წამოავლებდა ხელს და  
დაუძახებდა.

„მობრუნდი, თვარა, კვერნაი რომ მომიკლავს, ისე გაგწეკვ  
წელშიო”.

მელანია ველარ გაბედავდა წასვლას. მობრუნებული  
დაეგდებოდა სახლის უკან მიწაზე და ტიროდა. მელანიას  
მეტადრე აშინებდა ის გარემოება, რომ ჯერან ექადოდა:  
„მამაშენისას რომ გეიქცე, ჩამოალო და შენიან  
დედმამაშენიანა ყველას ღორსავით დაგკლავო”.  
მართალია, ჯერან არ იყო ისეთი სისხლისმოყვარე კაცი,

რომ ადამიანის მოკვლა ან დაკვლა ისე ადვილი ყოფილიყოს მისთვის, როგორც ამბობდა. პირიქით, ბევრ შემთხვევაში ჯერან გულსათუთიც იყო, ძლიერ ეზარებოდა გოჭის ან ქათმის დაკვლა, ხარის და ძროხის, მით უმეტეს. მაგრამ ესეც კარგად იცოდა მელანია, რომ, როცა გულმოსული იყო მისი ქმარი, ცოფიანს მოგაგონებდა, ისე ლეწავდა სახლში ჭურჭელს და სხვა ავეჯს, რაც მოხვდებოდა. ამიტომაც ფიქრობდა მელანია: „იგი რომ გაცოფდება, ღმერთი აღარ ახსოვს, კაცის მოკლასაც არ დაზოგოვსო!“ ჯერან იმიტომ კი არ იჭერდა თავის ცოლს, რომ თითქო ცოტა არის მაინც ყვარებოდეს; არა, ჯერანს სძულდა კიდევ ცოლი, მეტადრე მას შემდეგ, რაც მკითხავებმა უთხრეს, მავნე სულიაო. ის მხოლოდ შემდეგი მოსაზრებით არ აძლევდა ცოლს წასვლის ნებას: „მამამისისას რომ დეეგდებოდეს, მაშინ რა მენაღვლება, წეთერიოს და ეგდოს! მარა, რომ გააღიროს თავი და სადმე ქალაქში წეთერიოს საკახპოთ, მაშინ ხომ მომეჭრა თავი!

ქვეყანა იტყვის - ჯერანის ცოლი საკახპოში აგდიაო! რაც უნდა იყო, ჩემი სახელი ადევს, რჯულიერი ცოლი ქვია, სახტარზე ქრისტიანულათ ჯვარი დაგვიწერია. არ მოვტყუებულებიყავი, კაი იყო და აწი რაღა დროისაა. ავია თუ კაი, გათავდა, აწი ერთად უნდა დავბერდეთ მე და იგიო”. ამავე აზრის იყვენ ჯერანის დედაც და დაც. იმათი ფიქრით, მელანიას ფეხზე უკულმა მიდიოდა მათი ოჯახი, მავნე სულიც იყო მათი რძალი, მაგრამ ბედმა აგი შეგვახვედრა და აწი რაღა ეშველებო, - ფიქრობდენ ისინი. ხშირად თვალყურსაც ადევნებდენ რძალს - არ გაიპაროსო.

## IX

ერთ დღეს ხვარამზე და მისი ქალი სხვაგან წავიდენ და მელანია მარტო დარჩა სახლში. მაისის ბრწყინვალე დღე იყო. მელანიამ, რაც საჭირო იყო, მიალაგ-მოალაგა სახლში,

შემდეგ გამოიტანა სკამი და დაჯდა აივანზე. ის დიდ სიამოვნებას გრძნობდა, რომ ამ წამში მაინც მას არავინ უთვალთვალებდა. ასეთი თავისუფალი წამები, მას შემდეგ, რაც გათხოვდა, იშვიათი იყო მის ცხოვრებაში. აივნიდან ჩანდა აჭარის მთა, რომლის წვეროები აქა-იქ ჯერ კიდევ თოვლით იყო დაფარული და თვალის მომჭრელად ბრწყინავდა მზის სხივებში. მთას გადაღმა ცას რაღაც მკრთალი, მიბნედილი ფერი ედო. მელანია დიდხანს უყურებდა ამ სურათს და ფიქრობდა: - „ნეტაი ამსვა და იქინეი, იმ მთის გადაღმა, დამსვა! რა კაი იქნება! მოშორდი ამ წვალებას, ამ ვაი-ვაგლახს! ვინ იცის, იქინეი რა ანბავია, მარა მაინც, რაც უნდა იყოს!.. ამაზე ვარესი ხომ არ იქნება! მარტო აქაურობის მოშორება რათ ღირს!..“ ამ ფიქრებიდან მელანია გადავიდა იმ ფიქრებზე, რომლებზედაც ასჯერ გაუტეხია ძილი: „გევიპარვი აქედან, დევიკარქვი საცხაო“.

ამხელად ერთი კიდევ დიდხანს იტრიალა მისმა ფიქრებმა ამ კითხვებზე და ბოლოს გადწყვიტა: „გევიპარვი, გევიპარვი და დროიც ახლა მაქო“.

ამ გადაწყვეტილებით მელანიამ ამოალაგა თავისი ზანდუკიდან ტანისამოსი, რაც საჭირო იყო, ჩაიცვა; ახალი წულები, ქარვა და ბეჭედი, რომლითაც ის პირველად დანიშნა ქმარმა, გაჯავრებით ჩააბრუნა ზანდუკში: „აგი არ მინდაო“; ის კაბაც დატოვა, რომელიც ჯვარისწერის დღეს ეცვა: „არც აგი მინდაო“; დასინჯა ყუთში რალაც წვრიმალნი ნივთები, ამოიღო უმარილის სადაფი. „ამას წევილებ, ნენაის ნახელავიაო“; მერე ნახა თითბრის სათითური, „ამასაც, - ბაბაის მოტანილიაო“; ჩაიდვა ჯიბეში თეთრი ძვლის სავარცხელი, „ჩემი აფხანაგი ფოტინაის ნაჩუქარიაო“. ბოლოს დახურა ყუთი ამ სიტყვებით: „მეტი არაფერია შიგ, არც მინდაო“. ის ჩქარობდა, რომ დედამთილს და მულს არ მოესწროთ, ან



სხვა გარემოებას არ შეეშალა ხელი განზრახულის აღსრულებაში. რამდენიმე წამის განმავლობაში საჭმე მზად იყო, წასვლის მეტი აღარა აკლდა რა. მაგრამ ეგ წასვლა არ იყო ადვილი.

მელანიამ დაიკავა ხელში მოკრული ფუთა და დაჯდა ლოგინზე. „რა ტყუილად მოემზადე!“ - თითქოს ვიღაცამ გარკვევით ჩასძახა მას გულის ყურში. დიდხანს იყო მელანია დაფიქრებული, ბოლოს დადვა მოკრული ფუთა ლოგინზე და თქვა: „არა, ამას ვერ ვიზამო“. მას გაახსენდა თავისი მული და დედამთილის სიტყვები: „მიწაში, ქვესკნელში რომ ჩაძვრე, იქიდან ამოგათრევს შენი ქმარი და მაშვინ უყურე შენს სეირსო“. გაახსენდა ისიც, რომ ერთი მათი მეზობლის ქალი დაჭერილი მოაყვანია მამასახლისმა და ჩააბარა ქმარს. გაგონილი ჰქონდა მელანიას ის შემთხვევაც, რომ ერთმა გლეხმა მიაგნო სადღაც ქალაქში თავის ცოლს და დამბაჩით მოკლა.

„უშველოს ღმერთმა, ყაძახი იგი ყოფილა, ასთე უნდოდა იმისთანა ბოზ დედაკაცსაო“, - ამბობდა ამ შემთხვევის გამო ხალხი. ხმა გამოვიდა, რომ პოლიციამ მოუწონა გლახს ეს მკვლელობა და „ფიქრი ნუ გაქ შენ, ამიზა ციმბირში არ გაგზავნიანო“, - უთხრაო. ხვარამზე და მისი ქალი განზრახ უამბობდენ ერთმანეთს მელანიას გასაგონად სხვადასხვა შემთხვევას, თუ როგორ სარტიკად დაუსჯიათ ცოლი ზოგი თვითონ ქმარს, ზოგი სასულიერო მთავრობას და ზოგი პოლიციას, ქმრის სახლიდან გაქცევისთვის. ახსოვდა მელანიას ჯერანის მუქარაც: „იცოდე, რომ გეიპარო, შენიან, შენი ჭირისუფალიანა, ყველას ღორსავით დაგკლაო“. „ჩემი გულისთვის ბაბას, ნენას, ჩემ დებს და ძმებს მოკლავს“, - გაიფიქრა მელანიამ და ჟრუანტელმა დაუარა ტანში. გაახსენდა ისიც, რომ ქმრის ოჯახში ყველა ამას ეუბნებოდა: „შენ იმისთანაი გვარი გაქ, თუ თავი ხელათ იშონე, საკახპოში გეიქცევო“. ეს შეწამება მელანიას

შესახებ გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მელანიას ერთმა ბიძაშვილმა უგვირგვინოდ შვილი შობა და ბოლოს სადღაც გადაიკარგა. „გამაგრდი, არ გაუმართლო სიტყვა დედამთილს და მუღს“, - ეუბნებოდა თავმოყვარეობა მელანიას. მაგრამ ყველა ზემოჩამოთვლილს გარდა იყო ერთი რამე, რის გამოც მელანიას არ შეეძლო ქმრის სახლის მიტოვება და მართლაც ტყუილად მოემზადა გასაპარავად. ეს ანდამატი, რომელიც ასე იჭერდა და არ უშვებდა მელანიას ქმრის სახლიდან, გახლდათ პატარა ლუკა, ერთი წლის ვაჟი მელანიასი. პირველად წასვლა რომ გადაწყვიტა მელანიამ, ლუკასაც წაყვანას უპირებდა, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა: „აბა სად უნდა წევყვანო, თვითონ მე სად მივალ, რომ არ ვიცი! ისევ გევიმაგრებ გუღს. დავტიებ, კი გამიჭირდება, მარა რა ვქნა, მისდა უკეთესი იქნება; იგი ყველას უყვარს და მოუვლიანო“. ამრიგად ის აპირებდა ლუკას დატოვებას. მაგრამ როცა ყოველივე მოამზადა და შეხედა აკვანში მძინარე ლუკას,

რომელიც ის იყო უნდა დაეტოვებია, გული რაღაც სიტკბოებით დაუამდა და მუხლები მოეკვეთა. „სხვაი ყველაი რომ აფერათ ჩავაგდო, ამას მაინც ვერ დავტყუებ, ტყუილია, ვერ დავტყუებ!“ - გადაწყვიტა თავის გულში მელანიამ და წასაღებად მომზადებული ნივთები ხელახლა ჩააწყო ზანდუკში.

ცოტა ხნის შემდეგ გაიღვიძა ბავშვმა. მელანიამ საჩქაროდ ამოიყვანა იგი, მიიკრა მკერდზე, თან ძუძუს აძლევდა და კიდევ კოცნიდა. ბავშვი კარგა ხანს მადიანად ჭამდა ძუძუს, შემდეგ გაძღა, დაეთხოვა და ახლა ეტიტინებოდა დედას თავის გაუგებარ ენაზე. მაგრამ ისე მჭერმეტყველოურად გამოთქმული სანუგეშო სიტყვები ვერ ანუგეშებს ადამიანს, როგორც ეს გაუგებარი ტიტინი ანუგეშებდა მელანიას, ლუკა, მხოლოდ ლუკა ენთო იმედის ლამპარად მელანიას ტანჯულ გულში. მართალია, ჯერან ხშირად ამბობდა: „დედა რაა შვილის? დედა

ტომარაია, მეტი აფერი. შვილი მამისაა, მამის გვარი ეთქმევა, კალონით შვილი მამას ერგებაო” და სხვა. ხვარამზე და მისი ქალი ლუკას ხუმრობით ასწავლიდენ: „დაატი, დაატი დედასო”, - ლუკაც ვითომ და სცემსო, უფაჩუნებდა თავის პატარა ხელებით დედას სახეზე, მაგრამ მელანია კი ჩაიკრავდა ამ დროს შვილს გულში და მხურვალედ ჰკოცნიდა. ეს იყო დედის სიყვარული შვილისადმი, რომელიც მაღლა დგას დედისთვის ყოველივე ცხოვრების ანგარიშზე. თუმცაღა თავის ლუკაზე ისეთ იმედებსაც ამყარებდა მელანია, რომლებიც უფრო ცხოვრების ანგარიშს ეხება, ვინემ უანგარო სიყვარულს: „აგერ გეიზდება ჩემი ლუკაი და მერე ტკპილათ ვიცხოვრებ, ავათ მოჰყრობასაც ვერვინ გამიბედავსო”. მაგრამ ამ დროს რომ დაგერწმუნებით მელანია: „ლუკა როცა გაიზდება, შეგიძულეებს, ჯერანზე უარესადაც მოგეპყრობა, გაგაგდებს კიდევაც სახლიდან, ჯობს ახლავე მოიშორო, მიატოვო”, მელანია

გიჰასუხებდათ: „რაც უნდა მიქნას ლუკამ, მე მაინც ვერ მოვიძულე, მაინც მიყვარს იგიო” და თან ისევ ისე მგრძნობიარედ ჩაკოცნიდა თავის პაწია ვაჟს. განა ცოტა იცოდა მელანიამ მაგალითები, რომ შვილი დედას ცუდათ ეპყრობოდა: სცემდა, სახლიდან აგდებდა, მაგრამ არც ერთს ამ მაგალითთაგანს არ შეურყევია სიყვარული თავისი პაწია შვილისადმი.

ერთი-ორი საათის შემდეგ სრულიად დამშვიდებულმა მელანიამ, მის მაგიერად, რომ, როგორც თვითონ ფიქრობდა, სამუდამოდ გამოსთხოვებოდა ქმრის ოჯახს და გადაკარგულიყო სადღაც შორს, დაიკავა ხელში თავისი პატარა ვაჟი და გადავიდა მეზობელ თეკლესთან.

თეკლე, რომელიც ერთ ადგილას ამ მოთხრობაში აქამომდეც გვყავს მოხსენებული, მოხუცი ქალი იყო, მეტად გულკეთილი, სოფლის დედაკაცს რაც შეეფერება,

ჭკვიანი, გაგებული სიტყვა-პასუხის პატრონი. მელანიამ ადრე გაიგო, თეკლეს თანამგრძნობი კეთილი გული აქვსო და ორ-სამჯერ მასთან ლაპარაკის შემდეგ ისე დაუახლოვდა მას, რომ ყოველივე თავისი ზვაშიადი შეეძლო გაემხილა მასთან. „ღმერთმა აცოცხლოს ჩემი ნუგეშისმცემელი და მასტავლებელი თეკლე! იგი რომ არ ყოფლოყო, აქამდი, სხვაი თუ არა, წყალში გადავარდებოდით“, - ამბობდა მელანია და, ცოტა არ იყოს, ხშირ-ხშირად დადიოდა თეკლესთან. რისთვისაც მას უწყობოდენ მული და დედამთილი: „რაა, ნეტაი, სულ თეკლესას, სულ თეკლესას! შენს ოჯახში ეკალი ხომ არ ამოგსლია, რავაც მეიცლი, რომ მაშინათვე თეკლესთან მირბიო“ - უწყობოდენ, მაგრამ მელანია არ იშლიდა სიარულს, და უფრო სასტიკი ზომების მიღებას დედამთილი და მული არ ხედავდენ საჭიროდ, რადგან დარწმუნებული იყვენ, რომ თეკლე ცუდს არას ურჩევდა მათ რძალსა და თვითონაც ხშირი სტუმარი იყვენ

თეკლესი, როგორც კარგი მეზობლისა. ხვარამზეს და მის ქალს თუ ეზარებოდათ თეკლესთან ხშირი სიარული რძლისა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქმრის ოჯახის საიდუმლო არ გადაეცა მელანიას: „ვინც უნდა იყოს, ოჯახის საიდუმლო არ ითქმება მასთან, შენი ოჯახის ამბავი გარეშემ თავის დღეში ვერ უნდა გაიგოსო”.

- რა შვილი გყავს, მელო, რა შვილი! ამის დედამ ყოლიფერი უნდა ეიტანო, - უთხრა თეკლემ მელანიას მისვლის დროს, გამოართვა ბავშვი ხელიდან და ჩაკოცნა.

- მართაღს ჩივი, თეკლე, უნდა ევიტანო, მარა ნამეტარი მომძულდა თავი, ქე ვიფიქრებ მე ცოდვილი, არც შვილის ჯავრი მაქ, არც რაი, თავს ვუშველი-მეთქი. დღეს რაცნა ისე მომექცა გული, რომ პაწია დამაკლტა, კალამ... - მელანიას ტირილმა მოუსწრო და ველარ დააბოლოვა სიტყვა.



- კალამ რაი?

- კალამ გადვირიე, კალამ გევიჭერი საცხა! - თქვა მელანამ, რომელიც ცდილობდა ზრდილობა მოეხმარა და სხვის ოჯახში არ ეტირა.

- გადირიე, ქალო, რას ქვია გაჭრა! აგერ ანგელოზსავით შვილი გეზდება. მოითმინე პაწია და მერე ისე წავა შენი ცხოვრება, რომ ღმერთს მადლოდე.

- ღმერთმა შენი თავი, ნუ მომიშალოს, თეკლე, სულ გულს მიკეთებ და მაიმედებ, მარა ნამეტარი გლახა ყოფაში ვარ; ათასნაირათ კი მევინდომე შეფერება და არ იქნა.

- მართალია, შვილო, ძალიან. გასაჭირი საქმეა! რას ჩივი. სხვისი და სხვისი შვილი ჯერ ერთმანეთს ვერც ქე

იცნობენ, ისე შეხებებიან ცოლ-ქმართ! თუ იღბალმა ქნა და კაი თვალზე შეხედეს ერთმანეთს, იგია, ქე იცხოვრებენ, თუ არა. ძნელია! ნამეტარი ძნელია! მარა სულგრძელობის მეტი არაფერი გეეწყობა. ხომ იცი, შვილო, თუ ერთი დეისკვნა, მერე ცოლქმრობა აღარ დეირლოვა. შენ კიდო რა გიჭირს! რამდენი შენზე ვარესი მინახავს და გამიგონია, ჰმ! მარა რას იზამ, ასეა ჩვენი რჯული, სიცოცხლეში ცოლ-ქმარი ველარ მოსცილდება ერთი მეორეს. შენ გგონია, შენს ოჯახს უხარია ასე ყოფნა, გადაკიდული რომ ხართ? იგინიც წუხლარია, მარა რა ქნან? რამდონჯელ უტირია შენს დედამთილს ჩემთან, - თავობიდან იმას ვცთილობდი კარქათ ვყოფილიყავით, ტკპილათ ვყოფილიყავით ოჯახში და არ იქნაო. ერთი გზობა შენმა ქმარმაც მითხრა, ჩემი ჯანი ოჯახის კეთებას შევალე, კარქა ვიცხოვრებ-მეთქინ, ვფიქრობდი, მარა რაცხა ესე მეირთო ჩემი საქმე, რომ აღარ იქნაო. ასეა, შვილო, იგინიც არ არიან ავი სულიერები, ჩვენ ქვეყანას

იგინზე უკეთესი პირის და სამართლის ადამიანები არ მეიძებნება. მარა რაცხა ესე უკულმა მოეწყო საქმე, იგინს შენ არ უყვარხარ და შენ იგინი! ძალიან ძნელია ასე ყოფნა, მარა ახლა მოთმენის მეტი აღარ გიეწყობა. შენი კაი ქალობა იგი იქნება, მეითმინო და შუუფერო, ამასობაში, იგია, შვილიც გამოგეზდება, იგინიც გულს დეიდუმებენ და ესე კარქა წავა შენი ყოფნა, რომ შენც არ მიელოდე! აბა რავა გგონია, თუ იცი? მერე კიდევ, რაც ქალს ამისთანაი შვილი გყავს, ამის დედამ ყოლიფერი ტანჯვა უნდა დეივიწყო! აგი, ანგელოზი! - თეკლემ კიდევ ჩაკოცნა ბავშვი.

- სტორეთ, სტორეთ, თეკლე, აგი ანთია ჩემ დაღამებულ გულში სანთლით, აგი რომ არ მყავდეს, რა ვიცი, რას ვიზამდი, - უთხრა მელანიამ თეკლეს და ჩაიკრა შვილი გულში.

კიდევე დიდხანს ილაპარაკეს თეკლემ და მელანია.  
თეკლე გადავიდა სხვადასხვა ამბებზე. იმდენი რაღაც  
გასართობი ძველი და ახალი უამბო, რომ მელანია  
კმაყოფილი გულით და დამშვიდებული სულით  
დაბრუნდა შინ.

## X

ზაფხულის ღამე იყო, მაგრამ უმთვარო და  
მოღრუბლული. ხანდახან გაანათებდა ელვა და სადღაც  
შორს-შორს გაისმოდა ქუჩილის გუგუნი. საწვიმრად  
მომზადებულ ბუნებაში მძიმედ ჩასძინებოდა სოფელს.  
ჯერან ტევრიძის ოჯახში ყველას ეძინა. გარდა მელანიასა.  
ეს უკანასკნელი კი წამომდგარიყო ლოგინიდან.  
ჩვეულებრივად შემოედგა თავზე ხელი და ნიდაყვი  
დაებჯინა თავის ზანდუკზე; ელვაზე დაინახავდით, რომ  
ლოგინის მეორე მხარეს ეძინა ჯერანს. მხოლოდ ამათი

ვაჟი - ლუკა აღარსად ჩანდა.

„რაც უნდათ, იგი თქვან მერე!“ - ჩაიფუჩუნა მელანია და განაგრძო ნაჭერ-ნაჭერად ფიქრი, - „გული არ გეიტეხო, რას ქვია, ჯერ კიდევ ბალანაი ხარ, ეგება იმისთანაი ბედნიერება მოგელის, რომ შენ ბედს ძაღლმა არ დაჰყეფოსო“, მითხრა თეკლემ. რა კაი გულისაა! ყველა უბედური ანუგეშოს უნდა. კაია ნუგეში, თუ გწამს... მარა მე აღარ მწამს... წევიდა იგი დროი, რომ ვფიქრავდი, აი დღეს, აი ხვალ უკეთესათ შეიცვლება ჩემი ყოფნა-მეთქინ!.. რა კაია ბაღნობა!.. რაზე გამახსენდა ახლა ბაღნობა?.. რავაც კაი ტკბილი სიზმარი, ესე მახსოვს ჩემი ბაღნობა... იმ ღამეს რომ სიზმარი ვნახე, ვითამ მე ნიკოს ცოლი ვიყავი, ახალი სახლი გვქონდა, ჩემი ლუკაი თეთრი პერანგით თამაშობდა ეზოში. ვითამ ჩემი და ნიკოს შვილი იყო. რავა სიყვარულით მიმზერდა ნიკო! მაინც სიზმარში ხანდახან ყოლიფერი ესე კარგათ არის, რომ

ცხადათ თავის დღეში არ იქნება... მარა იმ ღამეს საშინელი სიზმარი ვნახე! კლტეი იყო, დაბლა ზღვასავით ბნელი იდგა. რაცხამ გადამაგდო და წევედი უფსკრულში. არსა აღარ იყო ფსკერი, მივფრიალებდი ესე. რა შემეშინა!.. რომ გევიღვიძე, სული შემგუბებოდა. ნეტაი რაა სიზმარი? ნენამ მითხრა, კაცს რომ დიეძინება, სული გაფრინდება და იგიაო. მერე ნიკოს ცოლი რომ არ ვყოფილვარ მე, რეიზა დამესიზმრა?.. რა კაი იქნებოდა, ნიკოს ცოლი რომ ვყოფილიყავი, მარა ვინ იცის? ეგება ქე შეგვძულებოდა ერთი მეორეს. ბევრი ქნილა ამისთანაი... არა, ტყუილია! ერთი გზობა თუკი გიყვარდა კაცს, იმას მერე ასთე მაინც ვერ შეიძულებ. რავარც მე ვძულვარ ჩემ ქმარს. ოცჯელ კი მითხრა - შენ არ მოკტები და სხვაი ყველაო. მართალია! იმას მერე ვითამ და რავალა ვარ ცოცხალი!.. ღმერთმა იცის, ათასჯელ კი მინატრია სიკტილი. არ მოვკტი! რაა ახლა აგი, ყოლიფერი რომ გამახსენდა? რალათ მინდა ახლა აგინი? მესამე გზობაა აგი რომ მემართება: ვფიქრავ,

ვფიქრავ, ყოლიფერი გამახსენდება და ბოლოს აღაფერი!  
იმ დღესაც ასეთ დამემართა - ვფიქრე, ვფიქრე, ბოლოს  
ფიქრით მოღალული მივედი წყლის პირზე, შემეშინა და  
ქე დავბრუნდი შინ. ერთი უწინ კიდევ მევიტანე ფიშტო -  
მქონდა, მქონდა ხელში, ველარ გავბედე და ისევ შევინახე.  
ნახავ, ახლაც ასე თუ არ დამემართოს!.. ამისთანა დროს  
ფიქრი ვის გუუგონია! უცფათაი უნდა... და გათავდა!  
მახსოვს, ბაღნობას ცოფიანმა დამსუნა. მომიტანეს ცოფის  
წამალი, მარა არ იქნა ვერ დავლიე და ვერა. რავაც  
მივიკარებდი პირთან, გულზე წამომაზილებდა და ვერ  
დავლევდი. არ დამელია, საშველი არ იყო. ბოლოს მივედი,  
უცფათაი დავხუჭე თვალები და გადვუშვი პირში.  
გათავდა, სულაც არ იყო ისე საშინელი, მე რომ მეგონა...  
რა კაია ბაღნობა! მე და ნიკო რომ დავპარპალდებოდით  
ქედში წაბლიზა! ბაღანაის გული სამოთხეა! - ერთი  
გუმზამ მესიზმა კიდევ: მე და ნიკო ვითამ ესევე ბაღანაი  
ვიყავით და ერთათ ვთამაშობდით. ესე ტკპილათ კი

გამომელვიდა მაშვინ; რომ!.. ნეტაი არ გამომლვიძებოდა!..  
ღმერთო, რა და რას მოვყვები!.. ვის ეწყინება? ნიკოს  
ეწყინება, ეგებ კიდეც ატირდეს. ნეტაი ერთი მანახვა  
ახლა! ჯერ ცოლი კიდეც არ შეურთავს თურმე. ნენას,  
ბაბას, დებს, ძმებს? უწინ ყველას ვუყვარდი და მას მერე  
ყველამ შემიჩვენა. რამდონი ხანია თვალაი აღარ შემივლია  
არც ერთიზა! ნეტაი იგინს თუ ენატრება ჩემი ნახვა, რავაც  
მე იგინის? რა სულელი ვარ! თუ ენატრებაბოდეს, ვინ  
დუუშლიდა! რომ შევსძულდი, შევსძულდი ყველას!  
რეზა შეცთიო? რა ვიცი, რეზა შევცთი! ისე იყო ჩემი საჭმე  
მოწყობილი და შევცთი! თლათ იგინია დანაშაული ჩემ  
შეცთომაში! არა ვითამ? აბა მე ვარ? რა ვიცი, გეიგებს კაცი,  
ესეა მოწყობილი ჩვენი ყოფნა!.. ნეტაი ლევანს თუ  
ეწყინება? არა, იმას არ ვუყვარდი, თვარა არც ისე  
მომიძულებდა! მე ამ დღეში ჩამაგდო, თვითონ ცოლი  
შეირთო და არის ტკპილათ!.. მატყუებდა მიყვარხარო!  
ვითამ და რა უნდა ექნა? მე ხომ ვერ შემირთავდა ქმრიან



ქალს? ესე წევიყვანე საქმე? ჯერანს რომ, კაი, გადავრჩენოდით, კანოლი არ გაგვიშობდა. ძალიანი უბედურათ არის ქალის საქმე! ყაძახის ქალი ნამეტური დაჭირულია! ჯერ დედ-მამაა შენი ბატონი და მერე ქმარი! ხმაის ნება არც ერთთან არ გაქ! რომ განწვალონ, მაინც იმათ ხელში უნდა დარჩე, სანამდი ცოცხალი ხარ! აბა, სხვაი რა გაგივა? გეიქცევი? რა გამოვიდა მერე? რამდონი გეიქცა, მარა ზოგი დაჭერილი მეიყვანეს, ზოგი ქმარმა მოკლა და ზოგი ჭირმა დააღპო. თაობიდან არის ყოლიფერი უხეიროთ მოწყობილი და იგია!.. რათ მინდა ახლა, ამას რომ ვფიქრავ! დასწყევლოს ღმერთმა, ერთი ფიქრიდან მეორეს გავყვები და მერე აღარ გათავდება! ფიქრი? ფიქრს რა გაათავებს! ფიქრი მაშვინ გათავდება!.. მაშვინ ყოლიფერი გათავდება!.. რამდონზე ვაგვიანებ, იმდონზე ვარესია. ცოფის წამალი რომ არ დავლიე, იმის არ იყოს, უცფათაი დაჭუტე თვალები და გათავდა!” მელანია ნელა წამოდგა ლოგინიდან და გაჩერდა.

„ვაიმე, მაშინდულა გული მისუსტდება და მიკანკალებს!“ - ჩაიფუჩუნა და დაუმატა: „არ შემიძლია!“  
ხელახლავ დაჯდა ლოგინზე. დაჯდომის დროს ლოგინმა თუ იატაკმა დაიჭრიალა, ჭრიალზე ჯერანმა გაიღვდა და „ვაიშვილოო“, დაიძახა ზმორებით. მჯდომარე არ დამინახოსო, გაიფიქრა მელანიამ, დაწვა და წაიხურა თავზე საბანი, თითქოს სძინავსო.

მართალია, ჯერ არაფელი მითქვამს მის შესახებ, რომ იმ ხანად ჯერან ტევრიძის ოჯახში ორი სამწუხარო შემთხვევა მოხდა. რადგანაც მისი დაწვრილებით აწერა მეტად გააჭიანურებდა ჩვენ მოთხრობას, მოკლედ გიამბობ, მკითხველო, ამის შინაარსს.

\*\*\*

ერთ ყმაწვილ კაცს, ჯერანის ახლო მეზობელს, ძლიერ მოსწონდა მელანია. „რაცხა იმფერი ეშხიანია, იმისთანაი საყვარელი ენა აქ, რომ მისი გულიზა დადნებო“, - ფიქრობდა მელანიას შესახებ ეს ყმაწვილი და თან ძლიერ ემდურებოდა ბედს, რომ მელანია მას არ შეახვედრა ცოლად. ერთ საღამოს მელანია ძროხების მოსადენათ წავიდა. მაისის იაკამა დარი იდგა: მწვანე ბუჩქებით და ტყეებით დამოსილ ბუნებას გულის დამატკბობელი შეხედულება ედვა. მელანიას უყვარდა ბუნების ამნაირი მდუმარება. მის დაღონებულ გულს რაღაც ერთგვარი სიტკბოება ედებოდა, როცა უმზერდა საღამოს ლურჯი ცის ქვეშ დადუმებულ მწვანე ქედებს, ბუჩქებს და პატარა-პატარა მინდვრებს, აქა-იქ ყანებით აჭრელებულს. ის მიდიოდა ნელი ნაბიჯით და თან ესიყვარულებოდა ბუნებას. გაიარა ვიწრო, მწვანე მინდორი; გავიდა პატარა მდინარეზე, რომელიც, თითქო რაღაცას ლაპარაკობსო, ისე ჩუმი, საიდუმლო დუდუნით გარბოდა წვრილი, შავი

ქვით მოფენილ კალაპოტში. აუარა გვერდი ყანას, რომელშიაც ლურჯ-მუქის ფერ ზღვასავით გადაშლილიყო ახალამოსული სიმინდი; უკანასკნელ, მელანია შევიდა ერთ ბუჩქნარში, რომელშიაც მიდიოდა ძლივს შესამჩნევი ბილიკი. როცა მიაწია იმ ადგილს, სადაც ბილიკი ორად იყოფოდა, მელანიას შემოესმა ფოთლების შრიალი. „სუ, ძროხა თუა!“ - იფიქრა ქალმა, შეჩერდა და გაიხედა იქით, საიდანაც შრიალი მოესმა. მაგრამ ძროხის მაგიერ ბილიკზე გამოვიდა ლევან (ის ყმაწვილი, რომელსაც მელანია მოსწონდა) და მორცხვად უთხრა მელანიას:

- სალამო მშვიდობის.

ხშირ სუნთქვაზე ეტყობოდა, რომ ყმაწვილი კაცის გული ძლიერ მღელვარებდა. მელანიას თუმცაღა ცოტა გაუკვირდა, „რას უცდიდა აი კაცი აქანაიო“, მაგრამ მღელვარება კი არ შეუმჩნევია.

- ჩემი ძროხები ნახე ეგება? - ჰკითხა მან ყმაწვილ კაცს და როცა პასუხად მიიღო: „ეგერაა ყველაყაი, გადაღმაო“, აპირებდა წასვლას, მაგრამ ლევანმა გადაუღობა გზა და ხმის კანკალით უთხრა:

- შენთან სიტყვა მაქ.

- რა სიტყვა? - ჰკითხა გაკვირვებულმა მელანიამ.

- იგი სიტყვა, რომ დევიწვი კაცი, შენმა მზერამ დამწვა! - მღელვარებით უთხრა ლევანმა და სახეზე ალმური მოედვა.

მელანიასათვის ეს სიტყვები სრულიად მოულოდნელი იყო, მაგრამ მაინც კი სწრაფად უპასუხა ლევანს:

- ლევან, თუ კაცის ნამუსი გაქ, დამეთხოვე! ყოლიფერში უბედური რომ გამუა ადამიანი, მე ვარ! ჩემ სიცოცხლეში იმისთანაობა გულში არ გამივლია და შენ მაინც გიფიქრია, ვითამც მე იმნაირი ქალი ვიყო!

- ვერ დაგეთხოვი! ვიცი, მიუკარებელი ხარ, მარა მაინც ვერ დაგეთხოვი!

- აბა, რას აპირობ, ძალას? აბა, ჰა, გაბედე თუ კაი ბიჭი ხარ!

- მუქარით უთხრა მელანია და დააპირა წასვლა, მაგრამ ლევამა მოჰკიდა ხელი და უთხრა:

- ვერ გაგიშობ, ჩემი გულის ამბავი თუ არ შეგატყობიე, ისე ვერ გაგიშობ!

- იცოდე ლევან, თავს შემოგაკლავ და საიმგვაროთ არ დაგნებდები! - თავგანწირულებით მიუგო მელანია.

- იმას არა, ისთე, ტყუილაი, თითო პირს შენთან ყოფნის ნებას მომცემ?

- არა, ლევან, გაფიცებ, ხელი ეიღო ჩემგან!..

- თითო პირი ტყუილაი, ესე ერთათ ყოფნა და ლაპარაკი?

- ღმერთო! მოდი ჩვენსას და იყავი ვინ გიშლის?

- თქვენსას ვერა, თქვენსას რომ მუალ, შემოხედვასაც ვერ ვბედავ, სადმე სხვაგან.

- მერე რაი, რა გვაქ სალაპარაკო?

- მე მაქ, - თუ ვინმე გიყვარს, სულ იმასთან იყო და ილაპარაკო გინდა კაცს. შენ მიყვარხარ, ტყვია მომხთეს ამ

გულში, თუ ჯერ ესე მყვარებოდეს ვინმე, რავაც შენ!

- რეიზა, ლევან, სხვას ყველას ვძულვარ და შენ რა ჩემმა უბედურობამ შეგაყვარა ჩემი თავი? ან რათ გინდა ჩემი სიყვარული?!

- რა ვიცი, კი გაჩნდა ამ გულში და, რა ვიცი! შენ გულს... შენ გულს არაფერი შეუტყვია? - ამ კითხვის დროს, ცოტა დააკლდა, კინალამ ცრემლები არ გადმოსცვივდა ლევანს თვალებიდან.

მელანიამ შეხედა და მოაგონდა ნიკო მოახლიშვილი. ნიკომ იცოდა ასე მგრძნობიარედ შემოხედვა, როგორც ახლა უმზერდა მას ლევან. ამ მოგონებამ ცოტაოდნად მოაღბო მელანიას გული.

- ჩემი გული რას შეიტყობდა? მე მიმაჩნიხარ ესე, რავაც



ერთი კაი მეზობელი.

- მეტი არაფერი? რა ცრუობა ყოფილა, რომ იტყვიან, გული გულს იცნობსო. ახლა მითხარი, მაძლევ თუ არა ნებას თქვენსას არა, სამე სხვაგან, ჩემს მეტი რომ არ იყოს ესე?

- ლევან, ტყულადი ერთათ ყოფნით და ლაპარაკით შენ არაფერი გაგიკეთდება და რომ შეგვიტყონ, ჩვენ არჩევ ქვეყანას ქე დააქცევენ. ხომ იცი, ჩვენი ოჯახის ამბავი!

- ვერ შეგვიტყობენ, ვერა! ნუ მომკლავ! მითხარი, კი-თქვა.

- ღმერთო! ლევან, არ ჯობს, დამიჯერე!..

- სამშაბათს აქანადი დაგხთები.

- ნუ, ლევან, თვარა ბოლოს შენც გეწყინება რეიზა ვქენი

აგო!..

- სამშაბათს ამ დროზე, მაძლევ თუ არა სიტყვას?

- არ ვიცი, ეგება ქე მევიდე, ნამდვილს ვერ გეტყვი.

- კაი, თუ გული გიზამს, მომატყუე. ჩემდა თავათ სამშაბათს აქანაი გიცთი, იცოდე.

ამ სიტყვებით დაშორდენ იმ დღეს ლევან და მელანია ერთმანეთს! „ნამდვილათ მუალ-მეთქინ ხომ არ მითქვამს. არც მივალ“, - ფიქრობდა პირველად მელანია და უნდოდა დავიწყებოდა ის შემთხვევა, ლევანის იმდღეინდელი შეხვედრა. მაგრამ არ იქნა, არ ავიწყდებოდა. წინააღმდეგ, ატყობდა, რომ, იმ დღიდან მოწყებული, მის გულში რაღაც ცვლილება მოხდა: რაღაც აშინებდა, თან რაღაც უხაროდა. ერთ ღამეს დაესიზმრა,

რომ ლევან და ის ეხვეოდნენ ერთმანეთს. შემდეგ კიდევ ნახა სიზმრად - თითქო ლევან იგივე ნიკო მოახლიშვილი იყო და ისე უყვარდა, რომ ისეთ მძლავრ სიყვარულს ენით ვერც კი გამოხატავს ადამიანი. ყოველ შემთხვევაში მელანიამ გადასწყვიტა არ მისულიყო ლევანთან პაემანზე. მაგრამ მოაწია თუ არა პაემანის დღემ, მელანიამ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება: ის ჩვეულებრივზე ერთი საათით ადრე წავიდა ძროხების მოსადენად, რომ ლევანს შეხვედროდა დანიშნულ ადგილას. როცა ლევანმა უთხრა მას: „აბა მოვეფაროთ იქით და პაწა ხანს ვილაპარაკოთო“, მელანია თანახმა გაუხდა, მხოლოდ ეს კია, რომ ჯიბიდან ამოიღო პატარა ყვითელტარიანი დანა, აჩვენა ლევანს და უთხრა:

- აა, ხედავ ამას? იმისთანობა რომ რამე იფიქრო და ძალით მომერიო, შენ თუ ვერა, ჩემ თავს შენ თვალწინ დევიკლავ.

- იმ დღესაც გითხარი მიყვარხარ და შეყვარებულთან ძალადობას, აბა, რავა იზამს კაცი! მხეცი ხომ არ ვარ! - უპასუხა ლევანმა გულწრფელად.

კარგა ერთ საათს ისხდენ მელანია და ლევან ერთად. ლევან უამბობდა, თუ პირველი გაცნობისთანავე როგორ „სხვაფერათ შეექნა გული მასზე“, თუ როგორ ესიზმრა ერთ ღამეს, ვითომ მელანია მისი ცოლი იყო და სხვა ამგვარებს. მელანია გაჩუმებული უგდებდა ყურს და მხოლოდ ხანდახან იტყოდა თითო-ოროლა სიტყვას: „მერე“, „ჰო“, „კი“ და სხვა ამისთანას. მაგრამ ლევანის საუბარმა, რომელშიაც ისმოდა გულწრფელობა და უტყუარობა, საკმაოდ იმოქმედა მასზე. მოშორების დროს ლევანმა და მელანიამ კიდევ დანიშნეს პაემანი, კიდევ შეხვდენ ერთმანეთს, კიდევ ბევრი ილაპარაკა ლევანმა თავის გრძნობებზე. მელანიამ მეორე ნახვის დროს მხოლოდ თავის სიზმრები უამბო ლევანს. განმეორდა

ასეთი პაემანი და ნახვა რამდენიმეჯერ. ყოველი ნახვის შემდეგ ლევან უფრო და უფრო ვრცელ ადგილს იჭერდა მელანიას გულში. მელანია დარწმუნდა, რომ ლევან ერთადერთი ადამიანი იყო მისთვის, რომელთანაც შეეძლო გამოეთქვა თავისი გულის პასუხი. მართალია, მელანიას ასეთ ადამიანად ლევანის გაცნობამდე თეკლე მიაჩნდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლევან გაიცნო, დარწმუნდა, თეკლეს ისე სრულიად არ შეეძლო მისი გულის გაგება, როგორც ლევანს. ლევანი და მელანია თითქოს ხედავდენ კიდევ ერთმანეთის გულს, ისინი მარტო სიტყვით კი არა, თვალებითაც ელაპარაკებოდენ ერთმანეთს, გაეგებოდათ ერთმანეთის გრძნობები და თანაუგრძნობდენ ერთმანეთს. ამნაირი ერთმანეთის გაგებით და თანაგრძნობით უნდა აიხსნას ის, რომ მელანიას შეუყვარდა ლევან. ახლა მელანიასთვის ის წამი იყო ნეტარების წამი, როცა ლევანს უმზერდა. ის აღარ ემუქრებოდა ლევანს, „იმგვარობა არ იფიქრო, თვარა

დანით დევიკლავ თავსაო”. ლევან რომ გაგიჟებულიყო და დანით მოენდომებია მელანიას დაკვლა, მელანია ყელს უჩვენებდა. „აჰა, დამკალ, თუკი შენ გაამებ ამითო”. ლევან და მელანია სრულიადაც არ ფიქრობდენ იმაზე, თუ რა შედეგი უნდა ქონებოდა იმათ სიყვარულს. მხოლოდ, ხანდახან მელანია კი ეტყოდა ლევანს: „წევყვანოთ ჩემი ლუკაი და საცხა გადავიკარქოთო”. ლევანსაც უნდოდა მელანია საკუთარი მისი გამზდარიყო, თავისუფლად შესძლებოდა მასთან ტრფიალი, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ამის მიღწევა შეუძლებელი იყო მისთვის: ჯერ რომ ჯერან არ გადაარჩენდა ცოცხალს ასეთი შეურაცხყოფისთვის. ეს, ვთქვათ, კიდევ არაფერი. ლევან კარგი ვაჟკაცური გულის და ღონის პატრონი იყო და არ შეუშინდებოდა ამ დაბკროლებას, მაგრამ სასულიერო და საერო კანონები, ხალხისაგან ლანძღვა-კიცხვა, ნათესავებისაგან წყრომა და სიძულვილი - ესენი ყველა მათ დაუწყებდა დევნას. თუმცაღა ლევან ერთი

უსწავლელი გლები იყო, მაგრამ ესენი ყველა მაინც კარგად ესმოდა მას და ამიტომაც მელანიას ასე პასუხობდა: „არა, ჩემო მელო, ასე ჭურდულათ ვიყოთ, უკეთესია, თვარა რომ გევიქცეთ, მოგვაგნებენ, მთლათ მოგვაცილებენ ერთმანეთს. და მაშინ რაღაი!“ ისე კი ლევანმა გადასწყვიტა თავის გულში: ცოლს არ შევირთავ, რაღამც მელანია შემიყვარდაო.

ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მელანიას და ლევანს შორის ამგვარი ცხოვრება, რომ ხვარამზეს და მის ქალს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, ეჭვი არ აელო რძალზე, - ვინცხა უნდა უყვარდესო. ამ იჭვის მიზეზად გახდა ის გარემოება, რომ მელანიას ძლიერ შეუყვარდა ძროხის მოსადენად მარტო წასვლა. „რაცხა კი მიეგულება იქით, რომ ესე უხარია ამ ბოლოს ძროხიზა სიარული“, ფიქრობდა, ერთ დღეს, როცა მელანია ძროხების მოსადენად წავიდა, მულიც გაჰყვა უკან ჩუმად.

- რა ნახა დღეს იგი ჩემა დასაფსებმა თვალებმა! რეზა არ დამიდგა თვალები იმის ნახვამდი! - შეილაპარაკა სახეგაფითრებულმა ელისაბედმა სახლში, როცა დაბრუნდა.

- რა იქნა, ციცავ? მითხარი რა ამბავია, თვარა აგია გამისკტა გული! - მიაგება თავის ქალს პირში ხვარამზემ, რომელმაც დიდი მოუთმენლობა იცოდა ამისთანაობაში.

ელისაბედმა უამბო დედას, თუ როგორ ისხდენ მათი რძალი და ლევან ერთად ბუჩქნარში.

- მივარდნოდი და ფრჩხილით დამეგლიჯა ორივე, გული არ მიშლიდა, მარა იქინეი ჩემი ყოფნა რომ შიეტყვენ, ჩვენი გამბახებელი რძალი შინ აღარ მევიდოდა, მომკლავენო და საცხა გეიქცევოდა, მაშვინ მთლათ თავი



მოგვეჭრებოდა ქვეყანაში! - დააბოლოვა ელისაბედმა თავისი სიტყვა.

ხვარამზეს ისეთი თავზარი დასცა ამ ამბავმა, რომ დიდხანს ვერ ახერხებდა სიტყვის თქმას. როცა ცოტაოდნათ დამშვიდდენ, ხვარამზემ და მისმა ქალმა არჩიეს და გადასწყვიტეს, რომ ეს გარემოება გააგებიონ ჯერანს. მაგრამ ესეც ძლიერ საშიში საქმე იყო: ჯერან მოკლავდა ცოლს და მაშინ ხომ სულ დაიღუპებოდენ. საჭირო იყო, რომ ამ ამბის ჯერანთან გამხელის დროს, ორი-სამი მოკეთე და კაი მეზობელი დაესწროთ. ვინიცობაა, თუ ჯერან თავისი ცოლის მოკვლას დააპირებდა, ესენი არ დაანებებდენ, ჩამოდგებოდენ ცოლ-ქმარს შორის მოსაშუალოდ, შეარიგებდენ და მერე, როცა ჯერანი სიტყვას დადებდა, არ მოვკლავო, იცოდენ, რომ აღარ უმტყუნებდა თავის სიტყვას.

მოსალამოვდა. მელანია მოდენა ძროხები და დაამწყვდია ქალტაში, მერე მობრუნდა და დაუწყო სიყვარულობა თავის ლუკას. მეტისმეტ კარგ გუნებაზე იყო. იჭვადაც არ იცოდა, თუ რა ამბები ჰქონდათ მის გამო მის დედამთილს და მულს. მართალია, ეს უკანასკნელები ისე უყურებდნენ მას, თითქო შეჭმა უნდათ მისიო, მაგრამ სიტყვით კი არას ეუბნებოდნენ და ამიტომ ვერ მიხვდა მათი გამომეტყველების აზრს. ათასჯერ უნახავს ამათ სახეზე ასეთი გამომეტყველება. მოვიდა ჯერანიც ყანიდან. ზვარამზემ გადაიარა და მოიყვანა სამი კაცი, რომლებსაც წინდაწინვე გაანდო, ასე და ასეა საქმეო. შიშის ჟრუანტელი უვლიდა ტანში როგორც ზვარამზეს, ისე მის ქალსაც. არ იცოდნენ, რით გათავდებოდა ეს საქმე. მაგრამ რა ექნათ? მათი ფიქრით, ისინი მოლალატენი შეიქნებოდნენ ჯერანის წინაშე, რომ არ გაემხილათ - ცოლი გლალატობსო.

ხვარამზემ გაიხმო ჯერან გარეთ და სახეგაფითრებულმა, ხმის კანკალით გაუმხილა ყოველივე, - თუ როგორ ნახა ელისაბედმა მელანია და ლევან ერთად და სხვ. თითონ მელანია ამ დროს პატარა სახლში იყო და ვახშამს ამზადებდა. ჯერანს ისეთი სახე დაედო, რომ იფიქრებდით - ცოფდება და ბნედა ემართებაო. ის ხმაამოუღებლივ შევარდა სახლში, ჩამოიღო თოფი და დააპირა გარეთ გავარდნა. მაგრამ მას ეცენ ხელში განზრახ ამ საქმისთვის მოწვეული მეზობლები და, როგორც იყო, აართვეს თოფი. ჯერან ეხლა მივარდა დამბაჩას, იგდო ხელში, ერთი ლომივით დატრიალდა, შემოიცილა გარს ყველა, მაგრამ კარებში ხელახლავ შებოჭეს. მხოლოდ ეს კი, რომ არ იქნა, დამბაჩა ვერ წაართვეს ხელიდგან.

- გამიშვით! გამიშვით! - გიჟივით ყვიროდა ჯერან, მაგრამ მეზობლებს მაგრად ეჭირათ ხელში და ეუბნებოდენ:

- გადაირიე, ბიჭო?! თავს ილუპავ! შენსგამეტს არ დამართია ამისთანაი თუ? ციმბირში გაგგზავნიან! დედა და დაი მაინც აღარ გეცოდება?

ამ ხმაურობაზე მოვიდენ სხვა მეზობლებიც, რომლებითგან ზოგი ეხვეწებოდა ჯერანს, დადუმდიო, ზოგი უწყობდა: „ჩვენც კაცი ვართ, დაგვიჯერე, თვარა ბაწრით შეგკრავთ და ისე გამყოფებთო“, ზოგი უსახელებდა მაგალითებს - ამა და ამ კაცებს დაემართათ შენსავით, მარა ცოლი არ მოუკლავსო. ქალები კი მელანიას შემოეხვიენ და ერთ შავ დღეს აყენებდენ: „ცხენის ძუაზე ჩამოსაკიდი ხარ, მიწაში უნდა ჩაძვრე, რავა გაბედე ასე ქვეყნის დაქცევასო“ და სხვა. მელანია კი ეგდო მიწაზე და ტიროდა. თავის გასამართლებლად ერთ სიტყვასაც ვერ ახერხებდა. უკანასკნელ, თან მოქანცულმა და თან მეზობლების რჩევით გონზე მოსულმა ჯერანმა

გააგდო დამბაჩა ხელიდან. ამის შემდეგ სამ დღეს კიდევ მალავდა თეკლე მელანიას თავის ოჯახში. მეოთხე დღეს მეზობლები ჩამოდგენ მოსაშუალებდ და შეარიგეს ჯერანს ცოლი.

ამის შემდეგ წაიშალა ჯერანმა ხელი ცოლზე საცემრად, დაავიწყდა, რომ ამბობდა: „ცოლს ვინც გალახავს, იგი კაცათ არ მიხსენებიაო“. აიმიზეზებდა რალაც უმნიშვნელო საბაბს, მოავლებდა მელანიას თმაში ხელს, დასცემდა მიწაზე და ამოიყრიდა ჯავრს. ხვარამზე და მისი ქალი ეცემოდენ ჯერანს ხელში დასაკავებლად, მაგრამ რას განდებოდა ორი სუსტი ქალის ძალა გალომებულ ვაჟკაცთან! ხანდახან პატარა ლუკა იხსნიდა დედას ცემისაგან: ის გააბამდა საშინელ ტირილს და ყვირილს, როცა დედას მიწაზე დაცემულს დაინახავდა. ჯერანსაც მოუღებებოდა გული შვილის ტირილზე და დაეთხოვებოდა მელანიას. მელანია დანაშაულად

გრძნობდა თავს და ამიტომ ემორჩილებოდა ქმრის სისასტიკეს. ფიქრადაც აღარ მოსვლია იმ შემთხვევის შემდეგ ქმრის სახლიდან გაქცევა, ან კი სად უნდა წასულიყო? მისმა მშობლებმა როცა შეიტყვეს - ჩვენს ქალს ქმრისთვის უღალატიაო, წყევლა-კრულვით გამოეთხოვეს მას. მელანია ყოველთვის ტირილს დაიწყოებდა, როცა გაახსენდებოდა მამის სიტყვები: „თავი მომჭარი ამ სიბერის დღეს, მარა ჩემმა თვალმა აღარ გნახოს ამას იქით! შენ დღეის იქით აღარ გყავს არც დედ-მამა და არც და-ძმებიო”. მართალია, მელანია ძლიერ იშვიათად დადიოდა მშობლების სახლში; ხანდახან მამა თუ ინახულებდა თავის ქალს, თვარა სიდედრი, ცოლის დები და ცოლის ძმები დათხოვნილი ჰყავდა ჯერანს თავის სახლიდან, მაგრამ მელანიას მაინც დიდ იმედად მიაჩნდა ისინი. ახლა ყველა დაჰკარგა! ლევანის ნახვა ხომ აღარ შეეძლო და არა მელანიას. ხვარამზე და მისი ქალი ახლა კარზე აღარ უშვებდენ რძალს მარტო. თვითონ

ლევანსაც ხომ ასეთი დღე დააყენეს მშობლებმა: „რავა გაბედე ქალის შეყვარებაო“; მერე მოუნახეს საცოლო და თითქმის ძალად დააწერინეს ზედ ჯვარი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ სულ მთლად მოხარშა მაინც მელანიას გული. მთელ ღამეებს ტირილით ატარებდა.

არ გაუვლია ზემოაწერილი შემთხვევის შემდეგ ორ თვეს, რომ მეორე თავზარდამცემი შემთხვევა მოხდა ჯერან ტევრიძის სახლში: ჯერანის ვაჟი ლუკა მოკვდა ყელის ტკივილით ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, „კისერბატონებით“. ლუკას სიკვდილმა, რა თქმა უნდა, მთელი ოჯახი მწარედ დააგლოვიარა. ხვარამზე დღე და ღამე არ ისვენებდა ტირილისაგან; ელისაბედ ყოველ დღე მოიტანდა ლუკას პერანგს, რომელიც თავისი ხელით შეუკერა და აყრიდა ზედ ცრემლებს; ჯერან ცოცხალ-მკვდარი დადიოდა და ყოველ წამში ოხვრით ამოიძახებდა: „ვაიმე, შვილოო“. მაგრამ მელანიას

მწუხარება სულ სხვა იყო. მელანიასთვის შვილის სიკვდილით მოისპო ყოველივე ნუგეში; მას შემდეგ ის ხშირად ეკითხებოდა თავის თავს: „რადღაიზა ვარ ცოცხალი? რეიზა არ გავყევი ჩემ ლუკასო“. მართალია აიმედებდენ. მეტადრე თეკლე: „ნუ გეშინია, ჯერ კიდო ბაღანაი ხარ, ასე ქვია, შვილსაც მიესწრობი და ყოლიფერ სიკეთესო“ მაგრამ მელანიასთვის ახლა აღარ ჰქონდა ამ სიტყვებს მანუგეშებელი ძალა; ცხოვრების უკუღმართობამ ასწავლა მას ყოველივესთვის ეჭვის თვალით ემზირა. ოჯახი კი ისე უყურებდა მელანიას, თითქო ამ უკანასკნელს მოეკლას თავისი შვილი. „შენმა ცოდვამ და ურჯულობამ დააქცია ჩვენი ოჯახიო“, - ეუბნებოდა მას ხან მული და ხან დედამთილი. „შენ არ მოკტები, თვარა სხვაი ყველაიო“, - რამდენჯერმე უთხრა ქმარმა. „ვითამ რა დასაქცევი ყოფილა იი სიკვტილი! ვისაც არ უნდა, იმას კლავს და ჩემისტანა უბედურს არ ეკარებაო“, - ფიქრობდა მელანია. სცადა თითონ მოელო



ბოლო თავის თავისთვის, ერთჯერ წყალში გადავარდნა დააპირა, მეორეჯერ დამბაჩით აპირებდა თავის მოკვლას, მაგრამ ვერ გაბედა ვერც ერთი.

\*\*\*

იმ ღამეს, რომელიც ჩვენ ამ თავის დასაწყისში მოვიხსენიეთ, მელანია მეტის მეტად აიტანა შავმა ფიქრებმა, ის რამდენიმეჯერ წამოდგა ლოგინიდან რალაც განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მაგრამ ვერ ბედავდა.

შუალამე გადავიდა. ქუხილი და ელვა მატულობდა. ბოლოს დაუშვა ზაფხულის მსხვილი წვიმა, რომელსაც საშინელი გრიალი გაჰქონდა ყავრით დახურულ სახლზე. „რა წვიმაა! - დაიწყო მელანიამ ფიქრი, - ამისთანაი წვიმა რომ იქნებოდა, ჩემი ლუკაი მკითხავდა, ნენა ლაა იიო. ნეტაი თუ ვნახავ ჩემ ლუკას? ბაღნები ანგელოზებში

ურევიაო. მე ვინ მიმიშობს მასთან! იგიც კაია, შორიდან  
თუ დევინახე. ვინ იცის, ეგება ტყუილი ვატყუებ თავს,  
აფერი არაა! სტავლულებმა თურმე, - არააო. ეგება  
იმისთანაი ბნელი უფსკრულია, მე რომ იმ ღამეს მესიზმა.  
წახვალ შით, წახვალ, ხელის მოსაკიდი არ გაქ და ფეხის!..  
რას ვფიქრავ? თვითონ ვნახავ, რაც არის... შენ არ მოკტები  
და სხვაი ყველაიო!.. ეგება დასტურ არ მოკტები! არა,  
ცრობაა, ყოლიკაცი მოკტება... სუ! მგონია მამალმა  
იყივლა, თუ ტყულა მომეყურა? მალე, თვარა  
დამათენდება თავზე! ამელამ თუ არ იქნა, მერე აღარ  
იქნება... აა, შენ გლახავ, ჩემო თაო! შენგამეტს არ უქნია  
თუ? ცოფის წამალზე რომ ვქენი, ესე თვალეები დავხუჭე,  
გააქანე ხელი და გათავდა!.. იმისთანაი წვიმაა, რომ კაცი  
ვეფერს გეიგონებს. მერე ქე გეიგონონ, თუ გინდა, რა  
მენაღვლება! სიფრთხილე კია საჭირო, ასვლაზე არ  
დამინახოს. რას დეინახავს, სძინავს” - ამ სიტყვებით  
მელანია ხელახლა წამოდგა ლოგინიდან, სწრაფად

მივიდა ქმრის თავსასთუმალთან, ფრთხილად აიღო დამბაჩა და წამოიღო თავის ზანდუკისკენ. ჯერანს ეძინა. „ამით მიპირობდა ჩემი ქმარი მოკვლას! ნეტაი მოვეკალი“, - გაიფიქრა მელანია და დაჯდა ლოგინზე. რამდენიმე ხანს კიდევ მძიმედ იყო ჩაფიქრებული, მერე ასწია თავი: „ასე უნდა, მგონიაო, - თქვა, შეაყენა ჩახმახი ფეხზე, - აბა, მაშვინ რომ ვქენი, ესეო“, - ჩაილაპარაკა და მიიღვა დამბაჩა გულზე. მაგრამ გააჟრჟოლა და ხელახლავ ჩამოიღო ხელი. ერთი-ორი წამის შემდეგ ხელახლავ მიიღვა, დახუჭა თვალები და სწრაფად მოსწია დამბაჩის ფეხი.

დამბაჩის ხმამ გააღვიძა ჯერან, რომელსაც ეგონა, მეხი დაეცა სახლსო, და გაღვიძების დროს დაიყვირა: „აუ, დააქცია მეხმა სახლი!“ წამოვარდენ ლოგინიდან ზვარამზე და ელისაბედიც, ამათაც ასე ეგონათ, მეხი მოხვდა სახლსო.

- რეიქნა ქიაფი? - დაუწყო ჯერანმა ძებნა სპიჩკას.

- რა ვიცი, თქვენ გქონდათ იქინეი, - გამოსძახა ელისაბედმა ძმას და შემდეგ

გაჯავრებულმა, რომ მისი რძალი ხმას არ იღებს ასეთ დროს, დაატანა:

- დედაკაცო, რომ გატყვირე ახლა სული, შენ ვერ მონახავ ქიაფს?

- ამას სხუმის როის ქონდა ოჯახის ჯავრი, ახლა რომ ექნება! სახლი კალამ დაგვექცა თავზე და ამას ყურიც არ გუუნძრევია! - თქვა მწყრომიარედ ჯერანმა, რომელმაც ამასობაში ნახა სპიჩკა და აანთო.

სინათლეზე გამოჩნდა მელანია, რომელიც ზანდუკის სიახლოვეს დაცემულიყო იატაკზე და მკერდიდან სისხლი გადმოსდიოდა. მის სიახლოვეს ეგდო დაცლილი დამბაჩა, ოთახში იდგა თოფის წამლის სუნი. ჯერანმა მორთო ყვირილი. შემოვარდენ ხვარამზე და ელისაბედ მეორე ოთახიდან და ამათაც მორთეს წივილ-კივილი. დიდხანს ყვიროდენ და კიოდენ. მაგრამ რადგანაც საშინელი წვიმა იყო, ამათი ხმა მეზობლებმა დილამდე ვერ გაიგონეს. როცა მეზობლები მოვიდენ და ნახეს - მელანია ტყვიით არის მკვდარიო, - მოილაპარაკეს ერთმანეთში: აგი რომ დავმალოთ, სისხლის სამართალში მიქვცემენო. შეატყობინეს მამასახლისს. ამ უკანასკნელმა გაგზავნა რაპორტი, სადაც რიგი იყო. მოვიდენ ექიმი და გამომძიებელი, შეამოწმეს მელანიას გვაში და მისცეს ხალხს მისი დამარხვის ნება. ჯერან კი დაიჭირა გამომძიებელმა და გაგზავნა სატყუსადოში. - როცა დამტკიცდება, თვითონ მოიკლა თავი და შენ არ

მოგიკლავს, გაგათავისუფლებენო, - უთხრა მას წაყვანის დროს.

\*\*\*

გავიდა ხანი. ჯერან ციმბირში გაგზავნეს, რადგანაც ვერ დაამტკიცა, რომ მისმა ცოლმა თვითონ მოიკლა თავი. მეტადრე დიდი მნიშვნელობა იქონია ჯერანის საქმეში იმ გარემოებამ, რომ ჯერან ერთ დროს უპირებდა თავის ცოლს მოკვლას. ელისაბედს ხომ დიდი ხნიდან ეტყობოდა ჭლეჩის ნიშნები. ძმის დაკარგვამ სულ მთლად მოუღო ბოლო მის სიცოცხლეს. სამ წელს იყო ჭლეჩით ავად, შემდეგ მოკვდა. ხვარამზე რამდენიმე თვეს მოსთქვამდა და ტიროდა შვილებს. მერე დატოვა სახლ-კარი და სენაკში დადგა. მხოლოდ ხადახან ჩამოვიდოდა დაყრუებულ ოჯახში, თითო პირს იტირებდა და ხელახლავ წავიდოდა. ბოლოს საბრალო

ჭკუიდან შეიშალა და ვისაც შეხვდებოდა, ეხვეწებოდა - ჩემი ჯერანის საცოლოთ ერთი კაი ქალი გამომირჩიეთო. კარგა ხანს იყო ამ ყოფაში და ბოლოს ეშველა - მოკვდა.

უპატრონოდ დარჩენილი ჯერანის ოჯახი გაინაწილეს ჯერანის ახლო ნათესავებმა. წაიღეს ბელელი, ნალია, პატარა სახლი და სხვა, რაც კი რამ მოიხმარებოდა. მხოლოდ ოდას კი არავინ ჰკიდებდა ხელს, რადგანაც ჭლეჩიანი ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, ხველიანი მოკვდა შიგ. გაყიდვა უნდოდათ, მაგრამ მუშტარი არ გამოჩნდა: ამიტომაც ადგილზე ღპებოდა ეს კოპწია, ოროთახიანი სახლი. ჯერანის ნათესავებს შორის საცილოდ გამხდარი ეზო კი გავერანდა.

აი, ეს გახლავს, ჩემო მკითხველო, იმ პარტახის ისტორია, რომლის სურათი ამ მოთხრობის დასაწყისში შეგხვდათ.





# მოსე მწერალი

## I

ვინ მოსთვლის, რამდენი ვაი-ვაგლახი და შავი დღე გამოიარა უნათლოშვილის ქვრივმა ბაბაღემ, მინამ თავის ორს ვაჟს, სოფონას და ოქრუას, გამოზრდიდა. ჯერ კიდევ ოცდასამი წლის ჯანსაღი ქალი იყო ბაბაღე, რომ დაქვრივდა; შეეძლო მეორეთაც გათხოვილიყო, ქვრივობლობის ვარამს ასცდენოდა; ვინ იცის, იქნება მეორე ქმრის ხელში კეთილი ცხოვრებაც ჰქონოდა, მაგრამ ყოველივე ეს უარჰყო ბაბაღემ. სილატაკე, ყანაში მუშაობა, მოხელეებისაგან სახელმწიფო და სხვა გადასახადებისათვის ლანძღვა-გინების ატანა არჩია და თავის მცირეწლოვან ვაჟებს კი არ მოშორდა. სამაგიეროდ დაუჯილდოვებელიც არ დარჩა ბაბაღეს ღვაწლი: სოფონა

და ოქრუა ისეთი დარდიმანდი ბიჭები გამოვიდენ, რომ იმ მუხუროში იშვიათად მოიპოვებოდა მათი ბადალი. უფროსმა, სოფონამ, ცოლი შეერთო და აგერ სამი შვილის პატრონი კაცი გახდა. ბაბაღეს ისე უყვარდა შვილისშვილები, რომ თვალში ჩავარდნოდენ, ხელს არ მოისვამდა. შვილები და რძალი ბაბაღეს აღარა რჯიდენ. ახლა ბაბაღე მხოლოდ იმ საქმეს აკეთებდა, რომლის გაკეთებაც თვითონაც ეხალისებოდა და სიამოვნებას მოუპოვებდა. დანარჩენ დროს ბადიშების ალერსში ატარებდა. მართალია, იმ აუარებელი შრომა-ტანჯვისაგან, რომელიც მას გადახედოდა თავის ობლების გამოზრდაზე, ბაბაღე ცოტათი მოტყუდა, მოიხარა, მაგრამ, სულიერად კმაყოფილი, ის არც კი იმჩნევდა ფიზიკურად დასუსტებას, გული ისევ ყმაწვილი ქალივით მხნე და გაუტეხელი ჰქონდა.

- დეილოცა მისი დიდება! ღმერთმა არ დამიკარქა იმდენი

ღვაწლი! დიდი ჭირი გადამხდა, ბევრი შავი ღლეი გამევიარე, მარა სამაგიეროდ ბოლოს კი შევიქენი ბედნიერი. ჩემი შვილები მე კი არა, თავადის ქალს ეკადრება შვილებათ. გურიაში ყაძახის შვილი ჩემ შვილებს წინ ვერ დუუდგება! - ამბობდა სიხარულით ბაბაღე.

მაგრამ აგერ გაჩნდა ოჯახების აწერა, გაისმა ხმა: სალდათობა იწყება ჩვენ ქვეყანაშიცაო, და შეშფოთდა ბაბაღე.

- ნეტაი არ მომეწია ამ დღემდე! თლათ ჩვენი მუხურო რომ დატიონ, თვალს რომ შეავლებენ ჩემ შვილებს, აღარ შემარჩენენ! სხვაი რომ არა, მარტო თვალტანადობის გულიზა წეიყვანენ სალდათათ. ჩემდა საუბედუროთ გამოვიდენ ჩემი შვილები იმისთანაი კაი! - წუწუნებდა შიშისაგან თავზარდაცემული ბაბაღე, - დავმალო, სად დავმალო?! მტერი ჩაასმენს, თვითან რომ ვერ შეიტყონ.

უმტერო ვინ არის ქვეყანაზე! რა მიწაში ჩავიდე, რა ვქნა?!  
ორივეს თუ არა, ერთს მაინც წამართმევენ! რა უჭირდა იმ  
დალოცვილ ღმერთს, აქამდი არ მოვეტანე!

ასეთი ფიქრებით ატარებდა ბაბაღე დღე და ღამეებს მას  
შემდეგ, რაც საოჯახო სიების შემდგენელმა, სხვათა  
შორის, დაიბარა ბაბაღე და მისი შვილები სოფლის  
კანცელარიაზე და ჩასწერა ვებერთელა რვეულში.

შემდეგ, როცა ყმაწვილკაცობა მიიწვიეს სამხედრო  
ბეგრისთვის, ბაბაღეს ერთი ციებ-ცხელება აუტყდა: დღეს  
არა, ხვალ ჩემ შვილებსაც წაიყვანენო. ამიტომ ხან  
მამასახლისთან დარბოდა და ეხვეწებოდა, მიშველე  
რამეო, ხან მწერალთან, ხან მღვდელთან და ვინ  
მოსთვლის, ვისთან არა. ყველა აიმედებდა ბაბაღეს:

- ნუ გეშინია, უფროს შვილს არ წაიყვანენ ერთი იმიტომ,  
რომ უფროსია, მეორე წლოვანებითაც წაყვანის ვადა

გასული აქვს; უმცროსი კი ჯერ არ არის იმდენი წლისა, რომ წაიყვანონ; სინამ წლოვანი გახდება, ბარე ორი-სამი წელი გაივლის და მაშინ კიდევ ვინ იცის, შეხვდება თუ არა ბეგარა, რადგან ლატარიით არის შეხვედრა და არშეხვედრა.

ბაბაღე კი მაინც ვერ ნუგეშობდა. დღით თვალი ეჭირა ჭიშკრისკენ: მოვლენ და წაიყვანებენ ჩემს სოფონას ან ოქრუასაო.

მაგრამ გათავდა ეს პირველი დაბარებაც სამხედრო ბეგრისთვის და ბაბაღეს ვაჟები არავის მოუკითხავს. ახლა კი ბაბაღემ თავისუფლად ამოისუნთქა და, ცოტა არ იყოს, ყვედრებაც დაუწყო თავის თავს:

- რა ვიფიქრე მე სულელმა! მე, ქვრივსა და ოხერს, შვილებს აბა ვინ წამართმევდა! რაც იმათ გაზდაზე შავი დღეები მინახავს, ქვეყანაზე სამართალი აღარ იქნებოდა,

თუ იმათ წამართუმდენ!

- ახლა ბაბაღე მხოლოდ სხვის უბედურებაზე წუწუნებდა:

- თურმე საცოდავებს მატლიანი შავი პურით და აყროლებული ნახარჩით არჩენენ! ზოგს პირიდან აღებინებს თურმე, ზოგს მუცელი ეშლება და ზოგს კიდევ რა ვიცი. აგი კიდევ რაა, ისე სცემენ თურმე, რავაც მეყანე ძროხას! საცოდავი გულქანაის ბიჭმა ველარ გუუძლო თურმე, და თქვენს მტერსა და ავს იმისთანაი, საცხა ლაზარეს სადგომიაო, იქინეი დალია სული თავისიანების უნახავათ! პეტრიეის ბიჭს ერთი ყური გუუფუჭდა ნაცემიო. ევანეს ბიჭი სამ თვეზე მეტს ვერ იცოცხლებს, ისე ახველებსო. ზოგს როზგიც დაჰკრეს თურმე. როზგი რომ კაცს დიეკრება, მისი სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა! დეილოცა იგი ღმერთი, რაც ღმერთმა ჩემი შვილები იპატივა! კი იცოდა დიდებულმა ჩემი საცოდავობის

ანბავი. რალაი, გადვირეოდი, იქინეი რომ შვილი მყავდეს!

როცა შეხვდებოდა ბაბაღე სოფლად მოსულ ჯარისკაცს, დიდის ყურადღებით ეკითხებოდა იქაურ ამბებს და შემდეგ იცემდა გულში ხელს “შვილებო, შვილებო, რა დღეში ყოფილხართ!.. რაფერ ვიყავი ასე ბედნიერი, რომ ჩემი შვილები გადარჩა იქინეი ყოფნას!.. მარა ღმერთი სამართლიანიაო, იტყვიან”. - იმეორებდა ბაბაღე.

ასე გავიდა ბაბაღესთვის პირველი და მეორე წელი. მაგრამ მესამე წელს, სწორედ იმ დროს, როცა ბაბაღე სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მის შვილებს აღარ წაიყვანდენ, გაიგო ბაბაღემ მამასახლისისაგან, რომ სამხედრო ბეგრისთვის მიწვეულ ყმაწვილ კაცების სიაში ბაბაღეს ვაჟი ოქრუაც არის მოხსენებული. ბაბაღეს ამის გაგონებაზე კინალამ გული წაუვიდა. ერთხანს ელდანაცემმა ენის დაძვრაც ვერ მოახერხა, შემდეგ კი, როცა გონს მოვიდა, დაუწყო ხვეწნა მამასახლისს,

მიშველე რამეო, მაგრამ მამასახლისმა მტკიცე უარი უთხრა: “ამ საქმეში ვერას გიშველიო”. ის ღამე ტირილით გაატარა ბაბაღემ, დილაადრიან კი წამოდგა და გასწია მოსე მწერლისაკენ.

## II

მოსე გულფუჭადეს, ანუ, როგორც ეძახდენ, მოსე მწერალს, დიდი სწავლული კაცის სახელი ჰქონდა სოფელში. მოსე იყო სოფლის სკოლაში ნასწავლი, გლეხკაცის შვილი, მამამისს, როგორც ღარიბ გლეხს, არ შეეძლო მიეცა საშუალება თავის შვილისთვის, რომ მას სოფლის სკოლის შემდეგაც განეგრძო სწავლა. მაგრამ არც ის უნდოდა, რომ სკოლაში ნამყოფი შვილისთვის თოხი მიეცა ხელში. თავისი მხრით მოსეც ძალიან ცდილობდა გაენთავისუფლებია თავი თოხისაგან. მან გამოცდილებით კარგად იცოდა, თუ რა მძიმე და მომქანცველია ეს სამუშაო იარაღი. მოსეს მამას უნდოდა



დუქანში მიებარებია შვილი, მაგრამ ამ დროს შემთხვევით მამასახლისისაგან შეიტყო, რომ ერთს პოლიციის ბოქაულს ოჯახში ხელზე მოსამსახურე ეჭირვებოდა. “დუქანი ჯერ ვერსად ამიჩენია იმისთანაი, - იფიქრა მამამ, - რომ შვილის მიბარება ღირდეს; მოდი, იმ პრისტავს მივაბარებ ჩემ შვილს; ჯამაგირი ჯამაგირათ ექნება, ამას გარდა, ერთი რამ საჭიროება რომ შემექნას, პრისტავი მწყალობელი მეყოლება, ამასთან კიდევ პრისტავის ოჯახში ჩემი შვილი ბევრ რამეს ისწავლისო”. მამამ მისცა ბოქაულს თავისი შვილი მოჯამაგირედ.

ბოქაულმა ნახა, რომ მოსეს რუსულ წერაში საკმაოდ კარგი ხელი ჰქონდა და ამიტომ ხშირად აძლევდა მას გადასაწერად შავად დაწერილ საქმის ქაღალდებს. ასე ამრიგად მოსე ბოქაულისთვის ხელზე მოსამსახურედაც გამოდგა და ქაღალდების გადამწერადაც. რამდენიმე ხნის ვარჯიშობით მოსემ ისე გაიმართა რუსულ წერაში ხელი,

რომ პატარა საქმეების მიწერ-მოწერაზე შავიც აღარ სჭირდებოდა, ისე სიტყვიერად ეტყოდა ბოქაული და მერე მოსე თითონ შეადგენდა. მართალია, მოსეს რუსული მართლწერა არ შეეძლო და რუსული ლაპარაკიც ძლიერ ცუდად იცოდა, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქლების ფორმები სულ გაზეპირებული ჰქონდა და ეს ძლიერ შველოდა წერის დროს. როცა მოსეს მამამ შეიტყო, ჩემმა შვილმა ქალაქების შედგენა ისწავლაო, დაუწყო ბოქაულს ძღვენის ზიდვა და ხვეწნა: ჩვენი სოფლის კანცელარიაში დააყენე ჩემი შვილი მწერლათაო. ბოქაულმა, როცა კარგად გაიძლო მუცელი ძღვენით, მოსე სოფლის სამმართველოში გაამწესა მწერლად იმ პირობით კი, რომ ერთი მეოთხედი თავისი ჯამაგირისა ბოქაულისთვის ეძლია. თავდაპირველად მოსეს არა თუ რიდი და პატივისცემა ჰქონდა გლეხებისა, არამედ ეშინოდა კიდევაც მათი. როცა გლეხები შევიდოდენ სოფლის სამმართველოში, მოსე ფეხზე წამოუდგებოდა

და მორიდებით ეკითხებოდა, რა გნებავთო. მაგრამ გავიდა ხანი, მოსე გამოიცადა, შეისწავლა თუ როგორ ეპყრობიან უფროსები გლეხებს და თითონაც გათამამდა. ბოლოს და ბოლოს იქამდე გათამამდა, რომ მოსეს ბუზებადაც აღარ მიაჩნდა გლეხები. ამასთან მოსე შეეჩვია ქრთამების აღებას და ყალბი ქალღმერთების შედგენას. მამასახლისს და სოფლის მსაჯულებს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა, რაც თითონ სურდა, იმას აკეთებდა. როცა თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა მოსეს სიყალბე და ცუდი საქციელი, გლეხებმა მოინდომეს მისი გაძევება. ჯერ თითონ განუცხადეს მოციქულის პირით: აღარ გვინდინარ და მოგვშორდით. მაგრამ, როგორც იტყვიან, მოსემ ბრე გადააყარა გლეხების მოციქულს თავზე: “ასე უთხარი, თქვენთვის არც მოსლა მიკითხავს და არც წასლას გკითხავთ”. გაჯავრებულმა გლეხებმა დაუწყეს მოსეს საჩივარი. მაგრამ აბა რას განდებოდენ გლეხები თავიანთი საჩივრით, როცა იმათი საჩივრის სიმართლე

თუ სიმრუდე იმ ბოქაულს ჰქონდა მინდობილი საძიებლად, რომელსაც მოსე თავის ჯამაგირიდან მეოთხედ ნაწილს აძლევდა. გლეხებისაგან არზის მისართმევად ამორჩეული პირები კინალამ სატუსალოში არ ჩასვა ბოქაულმა, ტუქსვა და ლანძღვა ხომ აუარებელი მიიღეს მისგან. მოსე, რა თქმა უნდა, ისევ მწერლად დარჩა სოფელში. გლეხებმა ერთი კიდეც სცადეს და გუბერნატორს მიართვეს მოსეზე საჩივარი, მაგრამ აქედამაც არაფერი გამოვიდა. გამარჯვებული მოსე მწერალი ახლა გადაემტერა იმ გლეხებს, რომლებიც საჩივრის მოთავენი იყვნენ და, საცა კი იმათი საქმე ჩაუვარდებოდა ხელში, უკუღმა წაიყვანდა ხოლმე, რაც უნდა მართალი საქმე ყოფილიყო.

კარგა ხანს იყო მოსე ამ სოფელში მწერლად, შემდეგ კი თავისი სურვილით გადავიდა სხვა სოფლის სამმართველოში. აქაც აწეწ-დაწეწა საქმე, ააყაყანა

გლებები. აქაც გაჩნდა გლებებსა და მის შორის საჩივარი, მაგრამ მოსე აქაც გამარჯვებული დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოსე აქედანაც გადავიდა მესამე სოფლის სამმართველოში, მესამედან - მეოთხეში და ასე ამრიგად რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის მთელი მაზრის სოფლის სამმართველოებში დაჰყო. ამგვარ ღოღვას სოფლიდან სოფელში პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სოფლის მწერლებისთვის: იმათ ეშინიათ, რომ მათგან თავმობეზრებულს გლებებში ისეთები არ გამოჩნდნენ, რომ იდუმალად ავნონ რამე, რაკი საჩივრით ვერაფერს გახდებიან. ამიტომაც სოფლის მწერლები დიდხანს არა რჩებიან ერთსა და იმავე სოფელში. ისინი ჯერ ერთმანეთში მორიგდებიან ადგილის გაცვლაზე და შემდეგ ბოქაულის ნებართვას იღებენ, კარგად იციან, რომ სოფლიდან სოფელში ველარავინ გაედევნება სამტროდ.

ბოლოს მოსე ისე გამოიქნა გაიძვერობაში, რომ ძლიერ

გამჭრიახი თვალი უნდოდა, რომ ის სიყალბეში დაეჭირა, თუმცა კი დღე იშვიათად გავიდოდა, რომ რამე ყალბი ქაღალდი არ შეედგინა და ქრთამი არ აეღო. ასეთი სიყალბე-გაიძვერაობით მოსემ შეიძინა სოფლის კვალობაზე საკმაო სიმდიდრე, გამოჭიმა კოხტა სახლი, შეირთო აზნაურის ლამაზი ქალი და ცხოვრობდა თავისთვის ლაზათიანად. ამასთან მაზრის სამმართველოში მოსამსახურე ერთი გავლენიანი პირი მეტად პატივისმცემელი იყო მოსეს მეუღლისა, რომლის წყალობითაც მოსეს პირველი ადგილი ეჭირა სოფლის მწერლებში, სანდო და კეთილსაიმედო პირად იყო ცნობილი მაზრის სამმართველოში. ამას შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ გლეხებს მოსე დიდი სწავლული კაცი ეგონათ და ამბობდენ იმაზე: “სტავლას, ძმავ, მოხმარა უნდა! რამდონია იგი რაცხა უნივერსია თუ სემილარია, იქიდან გამოსული, მარა ნახე, თუ ჩვენი მოსე მწერლის მეთაუდი საქმე შეეძლოს!”

აი ეს მოსე იყო, რომლისგანაც ბაბაღე მოელოდა შველას.

### III

ერთ მომალლო ვაკე ადგილზე იდგა ორი შენობა, - ერთი პატარა, ძველი, ოროთახიანი და მეორე - საკმაოდ მოზრდილი, ხუთოთახიანი, თეთრად შეღებილის კედლებით და ლამაზი ფანჯრებით. პირველი იყო სოფლის სკოლა, მეორე - სოფლის სამმართველო. თუმცა მოსე მწერალს ცოლი მშობლებთან ჰყავდა და იქ საზოგადოების ცხენით დადიოდა, მაგრამ ორი ოთახი სოფლის სამმართველოში მაინც თავისთვის ეჭირა მარტო იმისთვის, რომ კვირაში ერთი ან ორი ღამე გაეთია იქ, როცა საწერი შეუგროვდებოდა და ან ვინმე უფროსს მოელოდა.

მზეს ჯერ კიდევ არ ამოეყო თავი, რომ ბაბაღე მივიდა სამმართველოში და იკითხა:

- მწერალი სად ბძანდება?

- მწერალი წუხელ შინ წაბძანდა და დღეს მოვა, - უპასუხა მოსამსახურე ბიჭმა, რომელსაც სტოროუს ეძახდენ. - შე დალოცვილო, ამ ცის იალონზე რომ ჩამოგირბენია, მწერალი, თუ გინდა აქანაი ბძანებულიყო, ჯერ კი არა, სადილობამდე არ გაიღვიძებდა.

- გასაჭირი მადგია, შვილო, გასაჭირი! - უპასუხა ბაბაღემ და დაჯდა მწერლის ოთახის წინ, რომლის ფანჯრებსაც იისფერი ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული.

ერთ-ორი საათის განმავლობაში სამმართველოს წინ თითო-ოროლობით შეიკრიბა ათიოდე გლეხი, რომელნიც ზოგი მამასახლისისაგან იყო დაბარებული და ზოგი კი თავისი საქმის გამო მოსულიყო მოსე მწერალთან.

- ეი, აქანაი არ იქნება ჯდომა, მწერალი გაჯავრდება! იმ



კუთხეში დაჯდით! - უთხრა სტოროჟმა ბაბალესა და გლეხებს, როცა დაინახა მწერლის ოთახის წინ დამსხდარნი.

- დიდება შენდა, ღმერთო! ტყავი გაგვაძვრეს ამ სახლის ფასში და ახლა კარებთან ჯდომის ნებაც არ გაქვანო, გვიჩვიან! - ჩაილაპარაკა ერთმა გლეხმა. ბაბალე და გლეხები გადავიდენ სტოროჟისაგან ნაჩვენებ კუთხეში. მზე საშუადღეოზე ავიდა და მწერალი მაინც არა ჩანდა.

- ნამეტარი აგვიგდო ჩვენმა მწერალმა! დაგვიბარებს, დილას ჩამოდიო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩამოხვალ და იგი შინ წასულა! მოდგე და უნდა უყუნცულო სალამომდე! ერთი ვინმემ იკითხოს, რას გავს ჩვენი საქმე? - სთქვა ერთმა გლეხმა.

- ჩვენი ბრალია, ძმავ, რეზა ვიყენებთ მწერლათ იმისთანა კაცებს? ჩვენ რომ გვაამოს, იმისთანაი დევნიენოთ და ქე

იქნება! - სთქვა მეორემ.

- მერე, ვინ გვკითხავს ჩვენ ან დაყენებას და ან გადაყენებას? თითონ აყენებენ და შენ მეტი რა გზაი გაქ, უნდა მიიღო! - სთქვა მესამემ.

- უწინ ისე გამოგვიცხადეს მწერალიც და უჩიტელიც სოფლის საქმეაო, - სთქვა მოხუცმა გლეხმა.

- უწინ მართალია, ისე გამოგვიცხადეს სოფლის საქმეაო, მარა ახლა გამოგვიცხადეს - აღარ არის სოფლის საქმეო. ახლა რას იზამ? სამართალში ხომ ვერ გეიწოვ ამიზა? მათი ნება არ არის, უნდა ასე გამოგვიცხადებენ და უნდა ისე! - სთქვა იმ გლეხმა, რომელიც მოხუცზე წინად ლაპარაკობდა.

- ბიჭო, მამასახლისის ამორჩევა არ წაგვართვან და სხვას ნუ ჩივი! - სთქვა იმ გლეხმა, რომელმაც პირველად აღძრა

ლაპარაკი.

- მართლა, ჩივიან, ამასაც არ გვაუფლებენო, გლეხის ყრილობას მეველის და იასაულის მეტი სხვა მოხელეების ამორჩევის ნება არ ექნებაო.

- შენი ჭკუით, ახლა ვითამდა კი გვაქ უფლება? მობძანდება პრისტავი და ვინც თითონ სურს, იმას გვაჩეჩებს მამასახლისად ხელში. თუ დევჩემეთ და მაინცადამაინც ჩვენი სურვილით ამევირჩიეთ, მეორე დღესვე გამოაბუნძულებენ, არ ვარგა, არ შეუძლია მამასახლისობაო. ჩვენ კი გვგონია, ჩვენ ვაყენებთ მამასახლისს.

- აი რაც არის, არის, მარა წვიმა რომ აღარ მევიდა, აგი რაღაის ბრაღია? ბეწვზეა, აგერ დამეხოცება ბაღნები უფქვილობით. ესე გახმა ჩემი წისქვილის ბორბალი, რომ ნაპერწკალი დიეცეს, დეიწობა. - გამოაკერა ლაპარაკში

ერთმა გლეხმა.

- იმის ბრალია, რომ უქმეებს აღარ ვინახავთ, აღარ ვმარხულობთ, ღმერთს აღარ ვლოცულობთ და, რა ვიცი, გეირყვნა ქვეყანა! - თქვა მოხუცმა გლეხმა.

- უი, მოგცლია, ბიძავ, შენ! მუდამ რომ მუშაობ და მაშვინაც ვერ გაუძებ ოჯახს და ათას გადასახადს, შენ კიდევ უქმეები განსოვს? - უპასუხა ერთმა მოხუცს.

- იგია ხო, იმიზა არ გაქ ხეირი, უქმს რომ ტებ! უქმი დღეს ნამუშეირს რა ხვავი და ბარაქა ექნება? - შენიშნა დაციინვის კილოთი მოხუცმა.

- მერე, შენ რომ არ ტებ უქმეებს, ნეტაი შენ რაღა რომილდი ხარ ჩემზე! შარშან არ იყო, რომ ფოშტის ფულში შენი რძლის ნამგზვითი ზანდუკი წაგართვეს?! - უპასუხა მობაასემ.

ამ პასუხზე გლახებმა დაიწყეს სიცილი. მოხუცი გლახი, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი დარჩა ამ პასუხით; გაწითლდა, ჩაღუნა თავი, მაგრამ კი არა სთქვა რა.

შემდეგ კიდევ ბევრი იბაასეს გლახებმა სხვადასხვა საგანზე, ბაბალესაც ჰკითხეს: შენ რაღაზე ჩამოსულხარო და, როცა ბაბალემ თავისი გასაჭირი უამბო, უთხრეს: “ტყუილია, კენჭში თუ ამევიდა შენი შვილი, ველარაფერი ველარ დააბრუნებს”. მხოლოდ ერთმა-ორმა კი დააიმედა: “ჩვენმა მწერალმა თუ მეინდომა და ქალაქი გაგიკეთა, უეჭველათ გასჭრის, იმის გაკეთებული ქალაქი არ დაცთება”. ბოლოს ამ აზრს დანარჩენი გლახებიც დაეთანხმენ. ამასობაში გამოჩნდა მამასახლისიც.

- ჩვენ მამასახლისს წითელი ჩოხა შეუკერავს. - თქვა ერთმა.

- რაც ეს ქთამებს იღებს, წითელსაც შეიკერავს და

ყვითელსაც. - უთხრა მეორემ.

- სუ, კაცო, გეიგონებს! - უთხრა მესამემ.

- გეიგონებს თვარა, ხახვი არ დამაჭრას თავზე! ერთი ტყავი მაქ, იმასაც ქე მაძრობენ და სხვას რაღას მიზმენ? - ხუმრობის კილოთი და დაბალი ხმით თქვა ისევ მეორე გლეხმა.

- გასაკვირველია, ღმერთს გეფიცები! ხომ ჩვენისთანაი ყაძახია, ჩვენივე ამორჩეული. აბა რაღაიზა გვეშინია მისი? - თქვა პირველმა.

- მამასახლისი კანოლის ძალით არის და იმიზა გვეშინია. კანოლის ძალით რომ არ იყოს, რეზა შეგვეშინდებოდა, ჩვენისთანა ყაძახია. - უპასუხა მოხუცმა გლეხმა.

- ქთამებს რომ იღებს და ყალბ ქალღმერთებზე ბეჭედს

ასვამს, იგიც კანოლის ძალით არის? - ჰკითხა მოხუცს დაცინვის კილოთი იმ გლეხმა, რომელიც წელან უქმეების გამო ებაასებოდა. ამ კითხვაზე გლეხებმა დაბალი ხმით გაიცინეს.

მამასახლისი ჩამოხტა ცხენიდან და, ცოტა არ იყოს, ბარბაცით წავიდა სამმართველოსკენ. გლეხები წამოუდგენ ფეხზე და მოკრძალებით სალამი მისცეს.

“მმ... ი-ცო-ხლეთ!” - უპასუხა ენის ჟღაჟნით მამასახლისმა გლეხებს, შევიდა ოთახში, გაიშოტა და ამოუშვა ხვრინვა.

- აგი ესე გახეთქილა დღეს საცხა, რომ ვინმე ალაღმართალს კი გადუბიძგებდა წყალში. - თქვა ერთმა.

- კანოლის ძალით! - უპასუხა იმ გლეხმა, რომლის ხუმრობა ისე აცინებდა დანარჩენ გლეხებს.

სამხრობის დროს მოაწია მწერალმაც. გლეხები წამოცვივდნენ ფეხზე და მისცეს სალამი. მწერალმა მადლობის ნიშნად მოკეცილი მათრახი მიიღო ქუდის კოზიროკზე და შევიდა თავის ოთახში. ჯერ კარგა მოისვენა, შემდეგ მოდგა კარებზე და უთხრა გლეხებს:

- ვინც დღეისთვის იყავით დაბარებული, ეხლა წადით და ხვალ დილას მოდით.

- დევილუპეთ, ბატონო! მუშა კაციზა აგი დღეები ძვირათ ღირს! თუ შეიძლება, გაგვათავისუფლეთ! - აყაყანდენ გლეხები.

- მერე თქვენ რომ სულელურათ აქ დაცვინდეთ, ჩემი ბრალია? ხომ დეინახეთ, დამაგვიანდა, რატომ არ წადით სახლში?

- რა ვიცი, თქვე დალოცვილო, ხან იმას გვიჩივი, რავა



გაბედეთ წასლა, საღამომდი უნდა მოგეცადათო, ხან - რეზა არ წადითო, რა გევიგოთ ამისაგან? - უთხრა ერთმა გლეხმა.

- შენთან სალაცხო თავი არ მაქვს, მოსვენება მესაჭიროება; გეუბნებით, ხვალ დილას მოდით, თუ არა - წადით და თქვენებურად დამიწყეთ საჩივარი.

გლეხები წავიდენ. მხოლოდ სამიოდე გლეხი, რომლებსაც საკუთარი სათხოვარი ჰქონდათ მწერალთან, დარჩენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ, როცა მწერალი კაი გუნებაზე იქნებოდა, მოეხსენებიათ თავიანთი სათხოვარი.

- შენი მუხლების ჭირიმე, ნუ გამიწყრები! - დაელრიჯა ბაბაღე მწერალს.

- რა გინდა, რა საქმე გაქვს? თქვი, თორემ მოსვენება მესაჭიროება. - უთხრა რბილად მწერალმა.

- ჩემი ოქროუაი სალადათათ დაუწერიათ.

- მერე?

- გვიშველე რამე! ერთი, შენ ხელს რომ ეკადრებოდეს, იმისთანაი ქალაღდი გამიკეთე.

- ამ შემთხვევაში შველა არ შეიძლება: ხელმწიფის გაღწყვეტილია, ვისაც შეხვდება, უნდა წავიღეს.

- წეიღე რაც გვაბადია და გვიშველე რამე!

მოსე დაფიქრდა ბაბაღეს სიტყვებზე და შემდეგ უთხრა:

- არ შეიძლება, გეუბნები. შემოღდი ოთახში და გეტყვი, თუ რისთვის არ შეიძლება.

ბაბაღე შეჰყვა მოსეს ოთახში. მოსემ დაუღგა სკამი,

დაბრძანდითო, უთხრა და თვითონაც დაჯდა და განაგრძო ლაპარაკი:

- სალდათობის საქმე ყველა საქმეზე უმძიმესია. სხვაი საქმე რომ იყოს, ადვილათ გიშველიდით, ეგ კი, როგორც ვთქვი, მეტათ ძნელია. მაგრამ ვთქვათ, მოვახერხე და გიშველე, რას მოგვცემთ გასამჯელოს?

- გვიქენი მოწყალება, გვიშველე რამე და თლათ ჩვენი ოჯახი რომ წეიღო, გულს არ დაგვაკლტება. - უპასუხა ბაბაღემ.

- არც ოჯახს წევიღებ და არც ოჯახის მეასედს; ისე, თუ მოგიხერხო და გავათავისუფლო ოქრუა, ხუთი თუმანი მომეცით.

- ხუთი თუმანი რამდენი მანათია?

- ხუთი თუმანი ორმოცდაათი მანათია. რა გეძვირა? არ გიღირს ოქრუა ხუთ თუმნად?

- ვაი, შენ ჩემო თავო! რა მიბძანეთ აგი, ოქრუაი არ მიღირს ორმოცდაათ მანათათ! იმაზე დავფიქრდი ბედშავი, გავახერხებთ თუ ვერა ამდონს-მეთქინ.

- რაი, ხუთ თუმანს ვერ გაახერხებენ შენი შვილები?! ხუთ თუმანს კი არა, ხუთი ათას მანეთსაც გაახერხებენ. მე კარგად ვიცნობ სოფონას და ოქრუას. მე ჯერ სიტყვას ვერ მოგცემ, შემიძლია გიშველოთ თუ არა. თუკი შველა შეიძლება, ხუთი თუმნის გადახდაც ნუ დაგეზარებათ, ოქრუა ხუთ თუმანზე მეტი ღირს.

- არა, შენი ჭირიმე, თლათ გავყიდი საცხოვრებელს და შვილს ვერ გევიმეტებ.

- მაშ ახლა წადი, მოელაპარაკე შვილებს, თუ ისინიც

დაგეთანხმონ, ცხენი გამოგზავნეთ და ხვალ საღამოს ამოვალ თქვენსა.

ბაბალემ მოკრძალებით მაღლი გადაუხადა მწერალს და დაბრუნდა შინისკენ ძლიერ დაიმედებული. მაგრამ ამ დიდ იმედთან ერთი გარემოება ძლიერ აღონებდა: სად უნდა ეშოვნათ ასე ხელად ხუთი თუმანი? მართალია, უნათლოშვილები არ იყვენ ლატაკები, არ აკლდათ მჭადი და ღომი, მისაჭამადი, გლეხის პირობაზე საცმელ-სამოსელი, თავის დროზე იხდიდენ სახელმწიფო და საზოგადო გადასახადებს. ასეთ გლეხს მდიდარს ეძახიან და უნათლოშვილებიც მდიდრებად ირიცხებოდენ, მაგრამ ხუთი თუმნის გადახდა და ისიც ასე მოკლე დროს განმავლობაში, მეტად საძნელო იყო ამათთვის. აი ეს აღონებდა ბაბალეს. “სად უნდა გავახერხოთ ორმოცდათი მანათი?” - ეკითხებოდა გზადაგზა თავის თავს.

მეორე დღეს სოფონა დარბოდა მეზობლობაში. “ხარებს ვყიდით ურმიანათ, ვის გინდათ, იყიდეთ”. ყველას უკვირდა: “რა გასაჭირი დასდგომიათ უნათლოშვილებს ისეთი, რომ ხარებს და ურემს ყიდიანო”. უნათლოშვილების ხარები და ურემი განთქმული იყო მთელ იმ მუხუროში. ბევრჯერ სოფონას და ოქრუას სიყვარულით მიუკრავთ გულზე თავიანთი შანგულაის და ბუღიას (ხარების სახელია) დუნჩი. ბაბაღე, როცა მარილს აჭმევდა ხარებს, ეტყოდა: “თქვენი ჭირიმე, ჩვენო მარჩენალო!..” ახლა კი მეზობლები ხედავდნენ, რომ უნათლოშვილები იმეტებდნენ ამ მარჩენალს და დაეძებდნენ მუშტარს. მეზობლების კითხვაზე: “ასე უცფათ რა გასაჭირი დაგდგომიათ, ხარებს რომ ყიდითო”, სოფონა ეუბნებოდა პასუხად: “ერთი იმისთანა საქმე მაქ, თლათ ჩემი ოჯახი რომ მოუნდეს, დღეს ხუთი თუმანი უნდა ვიშონო”. ოქრუა კი არ იყო თანახმა ხარების გაყიდვაზე:

- ოჯახს ნუ ღუპავთ ჩემი გულიზა, ნუ გეშინიან, მე იგინს თავს არ მივსცემ გასაროზგავათ. ჩვენს ტყეში ათასი ფირალი დეიმაღვის და მე რა ღმერთი გამიწყრება, ვერ დევიმალო! - ამბობდა ოქრუა.

მაგრამ დედა და ძმა არ უჯერებდენ ოქრუას: “ცეხლიდან გაქცეული წყალში დაირჩობაო, რომ იტყვიან, სტორეთ ეს იქნება აგი საქმე: გაფირალდები და მგელსავით დაგიწყებენ დევნას. სოფელს სოფლათ შეაწუხებენ და შენ საცხა ცოფიანივით ჩაგკლავენ. კაია მერე აგი?” - ეუბნებოდა ძმას სოფონა. ბაბაღე ხომ ყოველივეს გაიმეტებდა ოქრუას დახსნისათვის. იმან და მისმა უფროსმა შვილმა წინა ღამითვე გადასწყვიტეს ხარების გაყიდვა, რადგანაც უამისოდ არას გზით არ შეეძლოთ ხუთი თუმნის შოვნა, რომელიც მწერალისთვის უნდა მიეცათ ოქრუას განთავისუფლებისათვის.

მთელი დღის განმავლობაში ეძებდა სოფონა ხარების

მუშტარს, “რომ იტყვიან, შეძლეული პური ძაღლმა არ ჭამაო, სტორედ ეგია, აქამდინ კარს არ მიცივებენ, შენი ხარები მომყიდუო ათი თუმანი რომ მეთქვა, დამითვლიდენ და ახლა კაცს აღარ უნდა, ხუთ თუმანსაც არ მაძლევენ!” - ამბობდა სოფონა სასოწარკვეთილებით, უნდოდათ და ბევრსაც ძლიერ ეხარბებოდა მეზობელ გლეხებში უნათლოშვილის ხარები, მაგრამ სად იყო ფული? როგორც უნათლოშვილის ზანდუკში არ იყო ჩაკეცილი თუმნები, ისე არც მისი მეზობელი გლეხების ზანდუკში. უკანასკნელ, ერთმა მედუქნემ, რომელიც სიმინდითაც ვაჭრობდა, მისცა სოფონას ხარებსა და ურემში ექვსი თუმანი, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ სანამ საჭირო იქნებოდა, სიმინდს აზიდვიებდა ხარებს და შემდეგ ათ თუმნად გაჰყიდდა.

სალამოს სოფონამ ნაჭირავები ცხენით მოიყვანა შინ მოსე მწერალი.



- იცით რა, მგონია, ამაოთ ჩაგვივლის თათბირი: ბევრი ვიფიქრე, მაგრამ არაფერი უხერხდება რა. - უთხრა უნათლოშვილებს მწერალმა, რომელმაც ჩვეულებრივად ფეხის თამაშით გაიარ-გამოიარა უნათლოშვილების პატარა, მაგრამ სუფთა და მწვანე ეზოში.

ბაბალეს და მის შვილებს ელდა ეცათ. ხარები და ურემი არაფრად გაყიდეს ამ საქმისთვის და ახლა კი ეუბნებიან, “აღარ შეიძლებაო!” მერე ვინ? ის, ვინც, თუ მოინდომა, ამათი ფიქრით, დაღმა მიმავალ მდინარეს აღმა დააწყებებს დენას.

- შენს ხელს კაცის მკვლელიც კი დუუბრუნებია სიმბილიდან და მე რა უბედური შევიქენი იმისთანაი, რომ ჩემ საქმეს არაფერი უხერხთება! - უთხრა ბაბალემ მორიდებით მწერალს.

მოსეს, რა თქმა უნდა, მოუხერხებლად არ მიაჩნდა ეს

საქმე. იმას იმ თავითვე დაწყობილი ჰქონდა პლანი ამ საქმის შესახებ, როცა ბაბაღეს დაჰპირდა, ცხენი გამომიგზავნე და მოვალო. მაგრამ ეხლა იმიტომ თქვა, ამ საქმეს არა უხერხდება რაო, რომ შეეშინებია უნათლოშვილები და შემდეგ უცბათ გამოეცხადებია: ნუ გეშინიათ, შესაძლებელია თქვენი დახსნაო. ეს ხერხი იმიტომ იხმარა მოსემ, რომ სასოწარკვეთილებიდან უცბად გამოყვანილი უნათლოშვილები ყოველს იმის პირობებზე დათანხმებულნიყვენ. ამისთანებში გამოცდილი კაცი იყო მოსე.

- იცით, ერთი აზრი მომივიდა... არა, მგონია მოვახერხო... მოხერხდება კი, - თქვა მოსემ ვითომ და დიდი დაფიქრების შემდეგ. - გაფრინდით ეხლავ ორივენი და ერთმა ათანასე მღვდელი მომგვარეთ, მეორემ მამასახლისის თანაშემწე და კეთილსინდისიერი მოწამე. სინდისიერს მოწამეს და თანაშემწეს ჩემ მაგიერ ეტყვიან,

მწერალი გიბარებს-თქვა. ათანასე მღვდელს თქვენ შეეხვეწეთ საქმე გვაქვს და დაგვესწარი-თქვა. არა, მოხერხდება... მოხერხდება! მოვახერხებ, როგორც იქნება!

- შენ თუ წყალობას გვიზამ, ჩვენი საქმე წალმა წავა! შენი ხელით გაკეთებული საქმე სხომის როის დამცდარა, ახლა რომ დაცდეს? შენისთანაი სტავლული... - ერთხმად უთხრეს სიხარულით აღტაცებულმა ბაბალომ და სოფონამ.

- ღვდელი რაზე გვჭირია? - ჰკითხა ოქრუამ მწერალს.

- აი რისთვის გვინდა ღვდელი: უნდა გავაკეთოთ მოწმობა, ვითამც სოფონა გერია ბაბალოესი და არა მისი ნაშობი, რომ ბაბალოეს მარტო შენ ჰყავხარ, ერთადერთი შვილი და, შენ გარდა სხვა მარჩენალი არ მოეპოება ამ სიბერის დროს. ასეთ მოწმობას რომ წარადგენ, გაგათავისუფლებენ. - მიუგო მწერალმა.

- ვაიმე, რა ბძანეთ აი საშინელი!... უფროსი შვილი გერთ რავა დავიწერო!.. - თქვა შეშინებულმა ბაბაღემ.

- მერე ეგ რომ ტყუილი იქნება? - უთხრა ოქრუამ მწერალს.

სოფონასაც უნდოდა ეთქვა რაღაცა, ის იყო დააღო პირი სალაპარაკოდ, მაგრამ მწერალმა დაასწრო ლაპარაკი და სოფონას სიტყვა ენაზე დარჩა.

- თქვე დალოცვილო, თქვენ თუ იცოდით კანონები, მე რაღათ მომიყვანეთ? გააკეთეთ ისე, როგორც გნებავთ, და თუ მე მკითხავთ, კიდევ უნდა დამიჯეროთ. განა თქვენ უნდა მასწავლოთ კანონები, ან როგორ უნდა საქმეს გაკეთება? - გაჯავრებით სთქვა მოსემ და შემდეგ დაუმატა: - თუ საქმე კი გაგიკეთო ისე, რომ სალდათობა აქცთეს, ის არის, თუ არა, თქვენი ფული ხელში გაქვთ, მე გრომსაც არ წავიღებ ოქრუას გათავისუფლებამდე. ოღონ ეს არის - თქვენ არ დამიწყოთ აგი და იგიო, მე თქვენზე

კარგად ვიცი კანონები.

როცა კანონების ცოდნაზე მიდგა საქმე, აბა რაღა ეთქმოდათ მოსესთან ბაბაღეს და მის შვილებს. მართალია, ისინი გრძნობდენ, რომ აქ რაღაც დიდი ყალბი საქმე ხერხდებოდა, მაგრამ კანონების მცოდნე მოსე მწერალს აბა როგორ რამის თქმას გაუბედავდენ.

- ათანასე ღვდელი რომ არ დაგვიკრავს ბეჭედს გერობაზე? იგი იმისთანაი პირმართალი ღვდელია, რომ არაფრის გულიზა არ იზამს მაგისტანაობას. - თქვა სოფონამ.

- ათანასე მაღლიანი კაცია, არ იტყვის უარს. ან რატომ უნდა თქვას? მას არაფერი დაუშავდება და თქვენთვის კი დიდი შემწეობა იქნება. ან მაინცადამაინც რა საჭიროა გაუმხილოთ ათანასეს, რომ სოფონა გერთ არის დაწერილიო. ათანასემ ხომ ხელნაწერის კითხვა არ იცის... ერთი სიტყვით, შენ ამაზე მეტს ნურას ეტყვი: საქმეზე

მწერალი მოვიყვანეთ და დაგვესწარით-თქვა. ერთი აქ კი მოიყვანეთ და მერე მე ვიცი. სწორეთ ეგრე: მომგვარეთ ათანასე, სინდისიერი მოწამე და თანაშემწე მამასახლისისა. თუ გვითხონ, რაზე გესაჭიროებიო, თქვენ ასე უთხარით: მწერალი გვიკეთებს ქალაქს და იმან გვითხრა, საჭირო არიან, სხვა არ ვიცი-თქვა, მერე ჩემი საქმეა.

- შენი ჭირიშე, ისეთი არ გააკეთო საქმე, რომ ჩემი გულიზა სხვაი ჩავარდეს ხლაფორთში. გნებავს გამიწყერით, ამას სიკვტილი მირჩევნია. - უთხრა ოქრუამ მწერალს.

ბაბაღე და სოფონა კი სრულიად დაენდენ მწერალს და არც არას ამბობდენ.

- აბა მითხარი, ჩემი გაკეთებული საქმე როდის გამომდგარა ურიგო? - თავმომწონეთ მიუგო მწერალმა ოქრუას.

რა თქმა უნდა, მოსე მწერალი იმიტომ არ იმტვრევდა თავს, რომ ოქრუასათვის სალდათობა აეცდინა. მოსეს მხოლოდ ხუთი თუმნის ხელში მოგდება უნდოდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ცდილობდა როგორმე ეს საქმე მოხერხებულიყო. როცა უნათლოშვილები დაითანხმა, მოსემ დაწერა შავად ორი მოწმობა: ერთი იმაზედ, ვითამც სოფონა გერი ყოფილიყოს ბაბალესი და მეორე, ვითამც სოფონა ცალკე მოსახლედ მდგარიყოს, და მისცა სოფონას.

- აჰა, მზათ არის, გადასწერე!

- ამას რას მიბრძანებ! შენ დაწერილს კიდევ გადაწერა უნდა? - ჰკითხა მწერალს გაკვირვებულმა სოფონამ.

- ჰო, გადაწერა უნდა, თუ არ უნდოდეს, არც გეტყოდია.

- მერე, ქართული ვარგა?

- შენ გადაწერე და სხვაი მე ვიცი. ჯვარს მაცვით, ერთი სიტყვით! კაცო, მე უფრო არ ვიცი, რაც უნდა და რაც ვარგა?! - თითქმის გაჯავრებით უთხრა მწერალმა.

სოფონას ხმა არ ამოუღია, ისე გადაწერა მოწმობები საკმაო სუფთად და ლამაზად და შემდეგ მღვდლის მოსაყვანად წავიდა. ოქრუა კიდევ კეთილსინდისიერის მოწამის და მამასახლისის თანაშემწის მოსაყვანად გაგზავნა მოსემ. ბაბაღე და მისი რძალი ვახშმის მზადებას შეუდგენ და ცდილობდენ კარგი ვახშამი გაეკეთებიათ, რომ სირცხვილეული არ დარჩენილიყვნენ ისეთ საპატიო სტუმართან, როგორც მოსე მწერალი იყო მათთვის.

მოსე მწერალმა კი ჩაიწყო ჯიბეებში ხელები, დადიოდა უნათლოშვილების პატარა სახლის წინ და ფიქრობდა: კარგა მოვიდა ეგ საქმე: ორი კალმის მოსმით ხუთი თუმანი ჩავიდე ჯიბეში! ოქრუას როგორც კი



გამოუცხადებენ თავისუფალი ხარო, მოსვლისთანავე უნდა დამითვალოს ხუთი თუმანი, როგორ მომიწონებს კატო (მოსეს მეუღლეს კატო ერქვა სახელად), როცა ვეტყვი ამ ამბავს! როცა ასე ბლომათ ფულებს მივუტან და ვეტყვი - ეს ჯამაგირის გარეშეა-მეთქი, ყელზე მომანტება და მეტყვის: “შენი მარჯვენის ჭირიმე, შენიო - და მერე - აბა ახლა ესა და ეს მიყიდეო”.

## V

მღვდელი ათანასე სამოცის თუ სამოცდახუთი წლის კაცი იყო. გარდა ხუცური კითხვისა, იმან არც წერა იცოდა, არც მხედრულის კითხვა. წირვა-ლოცვის წესრიგი გაზეპირებული ჰქონდა, მაგრამ აზრი კი ძლიერ ცოტა ესმოდა მისი, თუმცა აგერ ორმოც წელზე მეტი იყო, რაც თითქმის ყოველ დღე იმეორებდა. ის აკურთხეს იმ დროს, როცა მღვდლად კურთხევისთვის საკმარისი იყო ცოტათ თუ ბევრად ხუცურის კითხვა, რამდენიმე ლოცვის

გაზეპირება და რამდენიმე მანეთი ჯიბეში “კურთხევის ხარჯათ”. პირველად ათანასე ერთ შტატსგარეშე ეკლესიაში დანიშნეს მღვდლად. შემდეგ კი ჩააბარეს ერთი მცირე მრევლიანი შტატის ეკლესია. ათანასე მეტად გულკეთილი და პატიოსანი კაცი იყო: ჯვარის დაწერისთვის, მკვდრის დამარხვისთვის, ნათვლისთვის და სხვა იმისთანებზე ის თავის დღეში არ იტყოდა: ამდენი და ამდენი მერგებაო; მისცემდენ რასმეს, მადლობელი იყო, არა და, ხმას არ ამოიღებდა. თუ მასპინძელი ღატაკი იყო, იქ სულაც არ აიღებდა ფულს, თუნდა კიდევ შეეძლიათ. ასეთი უანგარობისა და სხვა კიდევ ბევრი კარგი თვისების გამო მრევლმა ძლიერ შეიყვარა ათანასე. ისე მოხუცდა ათანასე, რომ ერთხელაც არ ჩამოვარდნილა უკმაყოფილება მასა და მრევლის შორის. ბოლოს სასულიერო მთავრობამ ათანასე მოხუცებულად იცნო, დაუჩიმა: “თხოვნა შემოიტანე და გაგათავისუფლებთო”. ათანასეს ადგილზე ერთი

სემინარიაში ნასწავლი დიაკვანი უნდა ეკურთხებიათ და უფრო ამიტომ უნდოდათ ათანასეს დათხოვნა. მაგრამ გაიგო თუ არა ათანასეს მრევლმა, ჩვენს ათანასეს სამსახურიდან ითხოვენო, დაუყოვნებლივ თხოვნა მიართვა, სადაც რიგი იყო: სანამ ათანასე ცოცხალია, ჩვენ სხვა მღვდელი არ გვინდა და არც მივიღებთო. მრევლის თხოვნა შეწყნარებულ იქნა და ათანასე ისევ დასტოვეს. მრევლს ძლიერ უხაროდა ეს გამარჯვება “რას ჩივი, ძმავ, - ამბობენ ათანასეს მრევლში, - ათანასე ღვდელი ესეა ჩვენთან, რავაც კაი მამა - შვილებთან. ღვდლის ფულს რომ გვახთიებენ, იგი რა მისი ბრალია, ხაზინამ უბძანა ესე. სხვაფერ ათანასეს მჭადის ყუა რომ წუუტებოთ, დაგვჯერდება, არ გვექნება და დაგვიჯერებს. იგი სემელარისტია თუ ვინცხა, ხუცობა რომ უნდოდა, შემდგარა პოლსაპოშკებზე, ატლასის კაბა ჩოუცვამს, თავზე თუმნიანი ქუდი დოუხურავს და პარპაშობს. არა, ძმავ, იგი ჩვენი საქმე არ არის იმას იმიზა უნდოდა

ხუცობა, რომ ჩვენ ზურგზე ბატონსავით იცხოვროს, თვარა რა ეხუცება, ერთი მითხარი: კაცს ღმერთი არ სწამს და ხატი! არა, ძმავ, ჩვენი ათანასე ათასჯელ გვირჩევნია, ვინცხაა იმ თვალთმაქც სემელარისტს. ათანასეს ღმერთიც სწამს და რჯულიც და იმიზა ეკურთხა ხუცათ. იმ სემელარისტს იმიზა უნდა კურთხევა, რომ ფაშვი გეიფსოს“. მრევლს კარგად ესმოდა, რომ ათანასე თითქმის მათსავით უსწავლელი კაცი იყო. ზოგიერთი ხუმარა ყმაწვილები დასცინოდენ კიდევ ხანდახან ათანასეს. ბევრს ხუმრობდენ ყმაწვილები ათანასეზე, მაგრამ მაინც უყვარდა მრევლს და პატივს სცემდა. მრევლი კარგად ატყობდა, რომ ათანასე, რაც კი გაეგებოდა, სათნოების მსახური იყო და არა ჯამაგირისთვის მოსამსახურე მოხელე.

ეკლესიის მახლობლად, მომაღლო ადგილას, იდგა ათანასეს პატარა ფიცრული სახლი, რომელშიაც

ცხოვრობდენ ისა და მისი მოხუცი მეუღლე. სანამ ათანასეს ქალიშვილებს ქმრები წაიყვანდენ (ვაჟი არ ჰყავდა ათანასეს), ეს პატარა სახლი სიცოცხლით სავსე იყო: ათანასეს ლამაზი, ცქრიალა ქალიშვილების ხელსაქმობა, სიცილ-კისკისი, ჩანგურის დაკვრა და გალობა აცოცხლებდა იმ მიდამოს. მაგრამ მას შემდეგ კი, რაც ათანასეს ქალები ქმრებმა წაიყვანეს, ათანასეს სახლი ნაღვლით მოცულ სენაკს მოგაგონებდათ. საქმიდლეობით ათანასე იქვე ახლომახლო ყანაში ან ბაღში მუშაობდა, უქმე დღეს კი წირვა-ლოცვას უნდებოდა. სიმდიდრე ათანასეს და მის მეუღლეს არა მოეპოვებოდათ რა; თუ რამ გააჩნდათ, ისიც თავის ქალებს მისცეს მზითვად.

სოფონა მივიდა, გაჩერდა ათანასეს სახლის კარებთან და დაიძახა: “ათანასე, ბძანდები შინ?”

- შემოდი, შვილო, სახლში. - გამოსძახა ათანასემ, რომელიც იმ დღეს ცოტა შეუძლოდ იყო და ლოგინში

იწვა.

ათანასეს მეუღლემ გაუღო სტუმარს კარები და შეიწვია სახლში, რომელშიაც მკრთალად ანათებდა პატარა თუნუქის ლამპა.

- სოფონავ, შენ?! რამ მოგიყვანა, ბიჭო, ხომ არაფერი გიჭირს? - თავისებური თანაგრძნობით ჰკითხა ათანასემ.

- თქვენ მტერს გოუჭირდეს ესე! ოქრუას მართმევენ სალდათათ. - უთხრა სოფონამ.

- ვაი, საწყალო! შენ კიდევ რა გიჭირს ვაჟკაცი ხარ; საცოდავი ეხლა ბაბაღეა. სალდათობა არა, ჩემი ქალიშვილები რომ ქმრებმა წეიყვანეს, თითოზე თითო წელიწადს ვტიროდი. - თქვა ათანასეს მეუღლემ.

- იქნება თხოვნა მიეწყობოდეს, ვინ იცის, იქნება

მთავრობამ შეიწყნაროს ბაბაღეს სისაწყლე, ვეცადოთ რამე, - თქვა ათანასემ.

- თავად იმიზა გიახელი, მამაო. მწერალი მევიყვანეთ და გვიჩივა, არძას გაგიკეთებ და აღარ წეიყვანებენო. მწერალმა შენც გთხოვა დასწრება. მარა ახლა თქვენ შეუძლოთ ბრძანებულხართ და რა მეშველება, აღარ ვიცი!..

- მთხოვა და წამოვალ. არც ისე ვარ, რომ შენსას ჩამოსვლა ვერ შევიძლო. პაწია სურდუ შემხვთა, მარა რა უჭირს! - ამ სიტყვებით ათანასემ ჩაიცვა ტანთ, დაიკავა ხელში თავისი ყავარჯენი, დააბარა თავის მეუღლეს, ადრე მოვალო და გაჰყვა სოფონას.

ხელში ყავარჯენით, თოვლივით თეთრი გრძელი წვერით და სათნოიანი სახის მეტყველებით ათანასე მოგაგონებდათ ძველი დროის პატრიარქს.

- ამ საწყალი კაცის გულისთვის შეგაწუხეთ, მამაო ათანასე, იქნება რამე ეშველოს-მეთქი. - უთხრა მოსე მწერალმა მღვდელს დანახვისთანავე.

- კაი დაგემართოს, კაი საქმე იქნება, თუ რამეს უშველით! მოგეხსენება, საწყალი კაცებია. - უპასუხა ათანასემ გულწრფელად.

- ვფიქრობ, თქვენ და ამათ, - მიიშვირა მოსემ ხელი მამასახლისის თანაშემწეზე და სინდისიერ მოწმეზე, რომლებიც მღვდლის შემოსვლის დროს ადგენ, ემთხვიენ ხელზე მღვდელს და ისევ დასხდენ, - რომ მოწმობა მისცეთ ბაბაღეს, დიდი სისაწყლე და შრომა გადახთაობლების გამოზრდაზეო, გაათავისუფლებენ ოქრუას. მე კიდევ დავწერე მოწმობები, ინებეთ წაკითხვა. - მწერალმა მიაწოდა მღვდელს დაწერილი მოწმობები, რადგანაც კარგად იცოდა, რომ წაკითხვა არ შეეძლო.



- სტავლილი კაცი თქვენ ხართ და კანონები თქვენ ხელთ არის. თუ ეშველება რამე და უშველით, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს. მე ერთი უსტავლელი სოფლის მღვდელი ვარ, ამისთანაი საქმის აბა რა გამეგება? სისაწყლე და საცოდავობა ბაბალესოდენა ვის გამოუვლია! ამის მოწმობაზე ვინ იტყვის უარს. - სთქვა ათანასემ და დადო იქვე მწერლისაგან მიწოდებული ქალაქები.

- იმედია, გეშველებათ, რადგან ღვდელმა მოწმობის მოცემა ინება. - უთხრა მოსემ სოფონას და ოქრუას, რომლებიც იქვე იდგენ გაჩუმებულნი.

შემდეგ მწერალი ისევ ათანასეს მიუბრუნდა:

- აბა, მამაო, რადგან სიკეთე უყავით ამ საწყალ ხალხს, ინებეთ ქალაქების შემოწმება, ბარემ მოვრჩეთ ამ საქმეს და შემდეგ, იმედია, ვახშამს გვაჭმევინ.

ათანასემ ამოიღო საეკლესიო ბეჭედი, გადასცა მწერალს და უთხრა:

- კანონების მცოდნე თქვენ ხართ და ჩემგან რაღა გაფრთხილება გჭირია: იმედია, არც შეცდებით და არც შემაცდენთ.

- რა ბძანებაა, მამაო! ინებეთ წაკითხვა, თუ არა, თვითონ მე წაგიკითხავ.

ამ სიტყვებით მოსემ გასწია მღვდლისკენ პატარა ლამპა, მიიტანა მოწმობები და დაუწყო კითხვა ისე, რომ მღვდელსაც შეეძლო კითხვის დროს თვალი ედევნებია. მოსემ წაიკითხა: მოწმობებში ის, რაც სრულიად არ ეწერა შიგ.

- აგი ქვეყანამ იცის, რომ ასე იყო. - თქვა მღვდელმა.

- აბა, ინებეთ ხელის მოწერა.

ათანასეს დიაკვნობის დროს დაესწავლა ქალაქში თავისი სახელისა და გვარის გამოყვანა და მას შემდეგ აწერდა ხელს მეტრიკულ მოწმობებზე და სხვა საეკლესიო დოკუმენტებზე, რომელთაც ერთი დიაკვანი უწერდა. როცა ათანასემ მოწმობებზე ხელის კანკალით თავისი სახელი და გვარი მოაწერა, მწერალმა დაასვა საეკლესიო ბეჭედი, შემდეგ მოსთხოვა ბეჭდები მამასახლისის თანაშემწეს და კეთილსინდისიერ მოწამეს; ამათაც დაუყოვნებლივ მიაწოდეს. ეს უკანასკნელი ორი ბეჭედი მოსემ დაასვა იმ მოწმობას, რომელშიაც ეწერა, სოფონა ცალკე სახლობს, ხოლო ბაბალესთან ერთადერთი შვილი, ოქრუა, ცხოვრობსო, როცა ამაებს მორჩა, მოსემ მოსთხოვა მასპინძელს ოთხი მანეთი; ამათაც უარის უთქმელად მოურბენიეს ფული, რომელიც მოსემ გაჰყო: ორი მანეთი მღვდელს მიაწოდა ამ სიტყვებით: საწყალი

კაცებია და ამიტომ გიბედავენ ესე მცირესო, და თითო მანეთიც მამასახლისის თანაშემწეს და სინდისიერ მოწამეს.

- რაი, მე ბეჭედის დასმისთვის ფული წევილო და იგიც ამ ოჯახიდან?! ამის თქმაი რეზა იკადრე ამ სტავლილმა კაცმა?! - უთხრა ათანასემ მწერალს და მერე მიუბრუნდა ოქრუას: - თუ არ გეზარება, შინ წამყევი, თვალს მაკლია და ამ ბნელში გზას ვერ გევიგნებ.

მამასახლისის თანაშემწემ და სინდისიერმა მოწამემ, ცოტა უარის შემდეგ, მიიღეს ფული. ათანასემ არც ფული წაიღო და არც ვახშამს მოუცადა.

- ფულს არ ევიღებ და, ასე შეუძლოთ რომ არ ვიყო, ვახშმათ კი შევიცთიდი. ამ ოჯახში ამაზე რა პატიჟი მინდა, ჩვენ ერთმანეთისას სადილ-ვახშამი კი გვიჭამია და ახლაც ვჭამდი, მარა შეუძლოთა ვარ და რაღაი! - თქვა

ათანასემ, უთხრა მასპინძელს აშენება, მწერალს მადლობა გადაუხადა, ამ საწყალს კაცებს რომ ამისთანაი კაი საქმე მოუხერხეო, შემდეგ წაიყოლა ოქრუა და წავიდა შინ.

მწერალი, თანაშემწე მამასახლისისა და სინდისიერი მოწამე კი დარჩენ და კარგადაც ჩათვრენ იმ ღამეს უნათლოშვილებისას. იყო ერთი სადღეგრძელოს სმა, ლოცავდენ ხან ერთმანეთს და ხან მასპინძელს. მოსე იმდენად შეხურდა ღვინით, რომ მუქარით თქვა: “მე რომ მოვინდომო, მთელ სოფელს ციმბირში გავაგზავნიებო”. ამ სიტყვებზე ისე მძლავრად დაჰკრა სტოლს ხელი, რომ ჭურჭელი კინაღამ დაიმტვრა. უნათლოშვილის საქმეზე კი ამბობდა: “მაშ რა გეგონათ! მოსემ მეინდომოს და ვერ მოახერხოს! ეგ რა საფიქრებელია! რომ მევინდომო, ციმბირს გაგზავნილ კაცს გზიდან დავაბრუნებ... ჩემ კატოს რომ დაინახავს ვასილ ივანიჩი, ფეხზე წამოდგება...

ერთი რომ ასე ანიშნოს კატომ (მოსემ თითი აიშვირა), მეტი არ უნდა, შედგენილ საქმეს დაახევიებს... ვასილ ივანიჩი, ჰმ, რა გგონიათ თქვენ? კატოს ყურმოჭრილ ყმასავით ყავს იმსისხო დიდი კაცი... ჩემი კატო თქვენ რა გგონიათ? იმისთანა ჭკუიანი გუბერნატორის ცოლიც ვერ იქნება... იმას კი ენაცვალოს მოსე!”

დილას, ლაზათიანი საუზმის შემდეგ, რომელზედაც კიდევ საკმაო ღვინო შეისვა, მოსემ გაიხმო ცალკე ბაბაღე და მისი შვილები, გადასცა მოწმობები და უთხრა:

- აჰა, ბაბაღე, წაიღე ესენი, მიდი იქ, ხომ იცი, ახალ მიწვეულ ჯარისკაცებს რომ იღებენ, მონახე ვინმე მწერალი, იქ ისინი ძაღლებივით ყრიან და ვინც მივა, თვალებში უყურებენ, იქნება რამე დაგვაწერიოსო, აჩვენე ეს მოწმობები და უთხარი: ესენი რუსულად გადამითარგმნე და მერე ამაზე არცა გამიკეთე-თქვა. სულ გამოგართმევენ სამ მანეთს.

- ბარელამ რომ შენ გექნა სიკეთე და დაგეწერა, კაი იყო. -  
უთხრა მწერალს სოფონამ

- არა, საქმე, ხომ ხედავთ, გაკეთებულია, ეს  
წვრიმალებილა დარჩა. ეს რომ იქ გააკეთებოთ, ჯობია, მე  
რომ გითხრა, დამიჯერეთ. - რიხიანად უთხრა მოსემ.

- შენ თუ არ დაგიჯერებთ, აბა ვისლა უნდა დუუჯეროთ? -  
თქვა ბაბალემ.

- ასე, რავაც გითხარი: ესენი გადაათარგმნიეთ,  
გაკეთებინეთ არძა, თითონ გასწავლიან, სადაც უნდა  
მირთმევა და მიაართვით. ვინიცობაა, გკითხოს ვინმემ -  
ვინ შეგიდგინა მოწმობებიო, ღვდელმა - თქვა, უთხარით,  
- თუ გკითხონ, შენ, ბაბალე, ვაჟი მეორე არ გყავსო, არა-  
თქვა, უთხარი. - შენ თუ გკითხონ, ოქრუა, ძმაი გყავს თუ  
არაო, არა-თქვა. - ხომ გაიგეთ, რასაც გეუბნებით. ასე, როცა  
გაგათავისუფლონ და შინ მოხვიდეთ, ჩემი ხუთი თუმანი

მომიტანეთ. არ გაბრიყვდეთ, უარი არ თქვათ მერე, თორემ საციმბიროთ გაგზნდით ყველას, იცოდეთ.

- ვაიმე, რა ბძანეთ აგი! დასტურ, ასე აბდალაები გგონივართ, რომ აგი ვიფიქროთ! ზანტუკში მაქ ეგერ შენი ფული, იმ დღესვე მოგირბენიებ ჩემი ხელით. - უთხრა სოფონამ.

მწერალმა ხელახლა დაარიგა ბაბალე და მისი შვილები, როგორ უნდა ეწარმოებიათ საქმე, გააფრთხილა კიდევ, ფულის მოტანა არ დამიყოვნოთო და წავიდა სრულიად დარწმუნებული, რომ ოქრუას განთავისუფლების შემდეგ ფულზე უარს არ ეტყოდენ, და რაც შეეხება ოქრუას განთავისუფლებას, ეს ხომ ცხადი იყო ათანასეს მოწმობის შემდეგ.



- ყოლიფერში რავა უნდა მომთაონ უნათლოშვილებმა! - დაღონებული ეუბნებოდა თავის ცოლს და შვილებს ბაგრატ ჭერაძე, - ჩემი ბიჭის გულიზა იმდონი ვიტანტალე, იმდონი არძა მივართვი, იმდონი ფული დავხარჯე, მარა მაინც წეიყვანეს სალდათათ, მაინც! უნათლოშვილის ოქრუა ერთი არძის მირთმევით ქე გაუთავისუფლებიათ და ჩამოჰყვა დედამისს. მაინც იმ დასაქცევი მოსე მწერლის დაწერილი არძა რომ არ ვარდება! უკულმა წეიყვანს ღმერთი! მირჩიეს, - საცხა სალდათებს ღებულობენ, იქინეია კაი მწერლები, იგინს დააწერიეო. მეც გავბრიყვტი, ტყულაი ფული გადავყარე და ბოლოს მაინც წამართვეს შვილი. მოსე მწერალს რომ ჩემი არძა დიეწერა, შვილი შინ მეყოლებოდა. ყოლიფერში რომ მაჯობეს უნათლოშვილებმა! ერთი აგი კი უნდა შევიტყო, რა საბუთით გაათავისუფლეს.

- შენ მაინც ესე უკულმა უნდა ქნა ყოლიფერი! ქვეყანა

ჩივა, მოსე მწერლისთანაი სტავლული კაცი კანკასიაში არ არისო და შენ მაინც წადი ცხრა ფთას იქით და ვინცხა მუდრეკს დააჯღაბნიე. მოსე მწერალს რომ დიეწერა, ვილა წამართმევდა შვილს! ოქრუაი შინ უნდა იყოს და ჩემი შვილი სალდათათ! ამფერუმ შენ ჭკუას! - მწარე საყვედურით უთხრა ბაგრატას ცოლმა.

- ბაბამ ესე იცოდა ყოველთვის: ფულს გადაყრიდა უთავბოლოთ, საქმე გაკეთებული გვეგონებოდა და ბოლოს გეიხედავდი, ჩიჩი თვალებში, მოვტყუებულვართ! - თქვა ბაგრატას უფროსმა შვილმა.

- მე რომ შამომესევით და დამიწყებთ ბრალებას, თუ უკეთესათ იცოდით, რეზა არ ქენით? არ ხედავთ, დავბერდი! - გაჯავრდა ბაგრატა.

- აგია ხო, შენ არ შეგიძლია, სხვას არ დაანებებ და ქე ილუპება ჩვენი საქმე ყოველთვის და უნათლოშვილები

გვყაროდა თავზე ბრეს. - კიდევ საყვედურით უთხრა შვილმა.

- ნუ იგდებ თავს, გაჩუმდი თვარა!.. - დაუყვირა შვილს გაცეცხლებულმა ბაგრატამ, მერე გადისვა ულვაშებზე ხელი და ჩაილაპარაკა თავისთვის: “რაც უნდა დამეხარჯოს, ერთი აგი უნდა შევიტყო, რა ზაბუთით არისო” და გაჩერდა.

უნათლოშვილები და ქერაძენი ახლო მეზობლები იყვენ ერთმანეთისა; მაგრამ მეზობლობის მაგიერ მუდამ მტრობა ჰქონდათ ერთმანეთ შორის. ჯერ ბაბალეს ქმრის სიცოცხლეშივე ატყდა ამათში დავა საჩივარი ერთ ნაჭერ მიწაზე, რომელიც მათი ეზოების შუაზე მდებარეობდა, ვინ მოსთვლის რა საშუალებას არ მიმართეს თავის დროს! ქრთამებს აძლევდენ, ერთმანეთს თავს ესხმოდენ, თავპირს ამტვრევდენ, ჭორებს უგონებდენ, ხალხში ლანძღავდენ ერთმანეთს და სხვა. ბოლოს სამსჯავრომ

სადაო მიწა არგუნა უნათლოშვილს. მაგრამ სამსჯავროში  
საქმის დაბოლოვებით მტრობა არა თუ არ დასცხრა მათ  
შორის, უფროც გამწვავდა. ქერაძე დარწმუნებული იყო,  
რომ უნათლოშვილმა ქრთამით გაიმარჯვა, თორემ სადაო  
მიწა მე მეკუთვნოდაო. როცა ბაბაღეს მეუღლე მოკვდა,  
ბაგრატ ქერაძემ ხელახლა მოინდომა უნათლოშვილების  
მიწის მითვისება, დაუწყო კიდევ საყანეთ ღობვა. მაგრამ  
ბაბაღემ გამოუცხადა ადგილობრივ პოლიციას - ძალად  
მართმევს საჩივრით მოგებულ ადგილსაო. პოლიციამ  
გამოიკვლია საქმის გარემოება და აღუკრძალა ბაგრატს  
უნათლოშვილების ადგილში მუშაობა. ხელახლა  
დამარცხებით გაბრაზებული ბაგრატა ეხლა მხოლოდ  
შემთხვევას უცდიდა: ვუშონი ყელს, რომ ჯავრი  
ამევიყარო! მართლაც რომ შემთხვევამ არ დაიგვიანა:  
ბაბაღეს ძროხა შესულიყო ბაგრატს ღომში დილიდან  
საღამომდე, ზოგი შეეჭამა და ზოგიც ფეხით გაეფუჭებია.  
ბაგრატამ რომ ეგ ნახა, გაცეცხლებული მივარდა და

ბაბალებს ძროხას თავი გააგდებია. ბევრი ცრემლი დაიღვარა უნათლოშვილის ქვრივ-ობლებისა ამ ძროხის გამო. ეს ძროხა იყო იმათი მარჩენალი, ობლებისათვის ეს მეორე დედა იყო და კიდევაც დედას ეძახდნენ. ძროხის დაკვლის შემდეგ კარგა ხანს, პატარა ოქრუა გაიგონებდა თუ არა სადმე ძროხის ბლავილს, სიხარულით მირბოდა დედასთან: “ჩვენი დედანაი ბლავაო”. “სალაა, შვილო, დედანაი, ესე ბაგრატამ ნახა ცოლ-შვილი, რავაც აწი ჩვენ დედანაი ვნახოთ!” - ტირილით ეტყოდა ბაბალებს შვილს. წყევლაზე მეტს ბაბალებს ვერაფერს ახერხებდა. მართალია, მამასახლისს შეეხვეწა, მაგრამ მამასახლისი ბაგრატამ როგორღაც მიიბირა. საქონელი რომ სხვის ყანაში ჩავა, მოკლავენ, კანოლი ესეა, და მე რა ვქნაო. - ეუბნებოდა მამასახლისი ბაბალებს. ბაგრატა და მისი ცოლ-შვილი სიხარულით ცას ეწეოდნენ, როცა უნათლოშვილის ქვრივ-ობლებს მტირალს ხედავდნენ. “არ იცოდა, ვუშონიდი ყელს! ქთამით რომ გეიმარჯვა და მიწა წამართო!

მაცალოს პაწია, კიდევ უარესსაც ვუზამ!” - ამბობდა ბაგრატა. მაგრამ აგერ ვილაცამ ურჩია ბაბალებს: მამასახლისს რომ ჩასციებიხარ, სუდში უჩივლე, ძროხასაც ამოიგებ და ნაცთენსაცო. ბაბალებმ მართლაც დაუწყეს ბაგრატას საჩივარი სამსჯავროში. აქ ვეჭილიც გამოუჩნდა ბაბალებს, რომელმაც მიინდო თავის თავზე საქმის წარმოება. მოსდგენ საწყალ ბაგრატა ქერაძეს და ბარემ ცხრა თუმანი წაართვეს ძროხის ფასში, ძროხის მოკვლის გამო მომხდარ ზიანში. საბრალო ბაგრატას კინალამ კერა გაუცივდა, იმდენად გააღატაკა ამ ფულის გადახდამ. ამის შემდეგ გული არ მოუშლიდა ბაგრატას, რომ უნათლოშვილის ქვრივ-ობოლნი დაეკლა, ან იმათი სახლისთვის ცეცხლი მოედო, კარები დაეკეტა და ისე ცოცხლად დაეწვა, მაგრამ სასჯელისა ეშინოდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ვერ მიმართა ასეთ საშუალებას. როცა უნათლოშვილის ობლები, სოფონა და ოქრუა, წამოიზარდენ, ერთხელ კიდევ მოხდა იმათ და

ქერაძეს შორის შეტაკება. ეს უკანასკნელი შეტაკება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: უნათლოშვილებისას მისასვლელი საურმე გზა ბაგრატი ქერაძის ეზოს გვერდით მიდიოდა. ერთი მხრით ამ გზას რუ ჰქონდა საზღვრად, მეორეს მხრით - ქერაძის ეზოს ღობე. რუ ცოტცოტაობით ხრამავდა მიწას და ამიტომ გზა თანდათან ვიწროვდებოდა. ერთხელ წყალდიდობის დროს რუმ იმდენზე მოამზღვლია მიწა, რომ უნათლოშვილებს საცალფეხო გზა ძლივსღა დარჩათ. ამ გარემოებამ მეტად შეაწუხა უნათლოშვილები. გლენკაცებისთვის საურმე გზა მიუცილებელი საჭიროებაა. სხვა რაღა უნდა ექნათ, მოიხარეს თავი სოფონამ და ოქროუამ და გაუგზავნეს მოციქული ბაგრატას: “ან ფულზე მოგვყიდე, ურმის გზათ რომ გვეყოფა, იმოდენი მიწა და ან სამაგიერო მიწაზე გაგვიცვალე, სადაც შენ ამოირჩევ ჩვენ ადგილებში, იმას მოგართმევთ სამაგიეროთო”.

- ათასი მანეთიც რომ მომცეთ, არც ფულზე მოგყიდით და არც სამაგიეროზე გაგიცვლითო. - შემოუთვალა ბაგრატამ პასუხად. - კაი მოყვრებია იგინი ჩემი, რომ ეზო გავარღვიო მათი გულიზა! ჯერ სადაა, მეიცადონ პაწია, უუტირდება დედა! - ამბობდა დოინჯ-შემოყრილი ბაგრატა. შინაურულად რომ ვერ მორიგდენ ქერაძესთან, უნათლოშვილებმა ახლა მამასახლისს მიმართეს თხოვნით, - მოაცემიეთ საურმე გზისთვის მიწა ბაგრატასაო. მაგრამ ბაგრატას მამასახლისი ამისთანებში როგორღაც ყოველთვის გადაბირებული ჰყავდა.

- რა ვქნა, ნებით არ გაძლევს და ძალით ეზოს ვერ გაურღვევო. - ეუბნებოდა მამასახლისი უნათლოშვილებს. მეტისმეტად რომ გაუჭირდათ უგზოობა, უნათლოშვილებმა მიმართეს ძალმომრეობას: ერთ დილას, როცა ბაგრატა და მისი ვაჟები სხვაგან იყვნენ, სოფონამ და ოქრუამ გაარღვიეს ბაგრატას ღობე და



გაიარეს ეზოზე ხარით და ურმით. ბაგრატას ცოლი და ქალიშვილი წივილ-კივილით დაუხვდენ წინ უნათლოშვილებს, მაგრამ ქალებს როგორ შეუშინდებოდა ორი ვაჟკაცი! წივილ-კივილით და ლანძღვა-გინებით რომ ვერას გახდენ, ბაგრატას ცოლი და ქალი გაიქცენ ბაგრატასთან. ბაგრატა და მისი ორი ვაჟი მეტად ააღელვა უნათლოშვილების მოქმედებამ. ისინი საჩქაროდ მოვარდენ შინ კეტებით და დაუწყეს ლოდინი უნათლოშვილებს, რომ თავ-პირი დაემტვრიათ მათთვის, თუ კიდევ გაბედავდენ ეზოში გავლას. საღამოს სოფონამ და ოქრუამ მოაჭრიალეს დატვირთული ურემი და, ის იყო, შევიდენ თუ არა ქერაძის ეზოში, ბაგრატა და მისი შვილები მიუვარდენ კეტებით და დაუშინეს ხარს და კაცს გაურჩევლად. უნათლოშვილებმა წინდაწინვე იცოდენ, რომ ბაგრატა უჩხუბრათ არ გაუშვებდა მათ ეზოში და თვითონაც მომზადებულნი იყვენ კეტებით. ისეთი გამეტებით სცემდენ ერთმანეთს, რომ

გეგონებოდათ, ეს-ეს არის დახოცეს ერთმანეთით. ჩხუბში ბაბაღე და ბაგრატას ცოლიც მივიდენ და ეცენ ერთმანეთს თმაში. ამასობაში მოუსწრეს მეზობლებმა და მაჩხუბრები გააშველეს. მაგრამ გაშველებამდე ორივე მხარემ შეჟეს ერთმანეთი: ბაგრატას თავი ჰქონდა გატეხილი და ჭალარა თმა სისხლით შეღებილი; სოფონასთვის შუბლში დაეკრათ კეტი და ღვარად ჩამოსდიოდა სისხლი; ბაგრატას უფროს ვაჟს ერთი მხარი ჰქონდა დაშავებული; ბაგრატას ცოლს და ბაბაღეს საშინლათ დაეკაწრათ ერთმანეთისათვის სახე. ოქრუასთვისაც დაეკრათ თავში, მაგრამ მაინცადამაინც არ ჰქონდა დაშავებული. საბრალო ხარებსაც ხომ ბევრი მოხვდა, მაგრამ კი ვერა მოეტეხათ რა, თუმცა ბაგრატას ძლიერ უნდოდა ორივე ხარისთვის თეძოები დაემტვრია. მხოლოდ ბაგრატას უმცროსი ვაჟი გადარჩენილიყო უვნებლად, რადგანაც შეშინებოდა და ჩხუბში არ გარეულიყო. ის მხოლოდ შორიანლოს დარბოდა და ყვიროდა: “მომეხმარეთ მოკლეს ბაბაიო”.

ამ ჩხუბის გამო სოფონა და ოქრუა რამდენსამე თვეს ჩასვეს სატუსაღში, რადგანაც დამტკიცდა მოწმეების ჩვენებით, რომ ძალად გაერღვიათ ქერაძის ეზო, ჩხუბიც პირველად იმათ აეტენათ და ბაგრატასთვისაც კეტი პირველად იმათ დაეკრათ. ბაგრატა სრული კმაყოფილი იყო სამართლის განაჩენისა და უხაროდა, რომ მისი მტრები საპატიმროში ისხდენ. მაგრამ როცა სოფონა და ოქრუა სატუსაღოდან გამოვიდენ, დაიწყეს გზის შესახებ საჩივარი. მსაჯულმა თვითონ თავისი თვალით ნახა, რომ უნათლოშვილები უგზოობით მეტად შევიწროებულნი იყვენ და ამიტომ მიუსაჯა: “ბაგრატა ქერაძემ მისცეს უნათლოშვილებს საურმე გზისთვის მიწა თავის ეზოში, ხოლო უნათლოშვილებმა მიუზღონ ბაგრატას მიწის ფასად შვიდი მანეთიო”. ამ განაჩენით ბაგრატა ხელახლად დამარცხდა უნათლოშვილებისაგან.

- უნათლოშვილებიზა ვყოფილვარ გაჩენილი, ყოლიფერში

მაჯობეს და რაღა უნდა ვქნაო, - ჩიოდა გულდათუთქული ბაგრატა და თან ეხვეწებოდა ღმერთს: - ერთი იგინის საწყენი საქმე შემაძლებიეო.

ოქრუას სამხედრო ბეგრიდან გათავისუფლება რომ შეიტყო ბაგრატამ, მეტად აულრინდა გული: “ყოლისფერში მომთავეს უნათლოშვილებმა”, - იძახდა და თან იმეორებდა: “არა, რა საბუთით გაათავისუფლეს, ერთი აგი კი უნდა შევიტყო, რათაც უნდა დამიჯდეს, თუ რამე ნაეშმაკევია, ვაცხონებ მამასო”.

## VII

ერთს საღამოს მოსე მწერალი მეტად დაღონებული დადიოდა სოფლის სამმართველოს წინ, აღარც სიხარულის დროის ფეხის თამაში ემჩნეოდა და აღარც ულვაშებქვეშ ადრინდებული ღიმილი. ღრმად დაფიქრებული იკვნეტავდა ულვაშებს და საქმისათვის

მისულ გლეხებს თითო-ორორი სიტყვით იშორებდა. თუ ვინმე ლაპარაკს გააბამდა და ჩქარა არ მოშორდებოდა, მოსე ლანძღავდა და ისე აგდებდა, “ღმერთო, რა ხალხია! თუნდა სული გხთებოდეს, მაინც არ მოგეშვებიან!” - იძახოდა ხანდახან გაბრაზებული. “ამ ჩვენ მწერალს რაცხა ფარცაგი არ დამართია!” - ამბობდენ იქ მყოფი გლეხები. “აი, ღმერთო, თუ ეკითხოს ძველი და ახლის ცოდვა!” - უმატებდენ ჩუმად ზოგიერთები.

- ბიჭო, წადი უნათლოშვილებისას და უთხარი, რომ ბაბაღე და სოფონაი ამელამვე ჩამოვიდენ ჩემთან. - უთხრა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მოსემ სტოროჟს.

- ამ ლამე ჩამევიდენ, ბატონო? - ჰკითხა ბიჭმა.

- ლამე, ჰო, ტურები ხომ არ დაჭამენ, სულელო, შენ რასაც გეუბნებიან, ის აასრულე! უთხარი, ძალიან დიდი საქმე აქვს, უეჭველათ ამელამ ჩამოდით-თქვა.

ბიჭს ხმა არ დაუძრავს, ისე გაუდგა გზას. ის იყო, დაბნეულდა, როცა სტოროჟი უნათლოშვილებისას მივიდა. მისგან მიტანილმა ამბავმა შიშის ზარი დასცა უნათლოშვილებს.

- რეიზა ჩამოდით ამ ღამე, რა ამბავიაო? - ძლივს მოიბრუნა ენა ოქრუამ.

- რა ვიცი, ასე მითხრა, დიდი ამბავია და უსათუოთ ჩამევიდენო. - სთქვა ბიჭმა.

სოფონას და ოქრუას იმ წელს ხარები არ ჰყავდათ. ცდილობდნენ უხარობა არ დაემჩნიათ და გადამეტებული მუშაობით ისე იღლებოდნენ, რომ მეტი არ შეიძლება. იმ საღამოსაც ძლიერ იყვენ მოქანცულნი, მაგრამ ახლა ვინღა მიხედავდა მოქანცულობას? ბაბალე და სოფონა ისე ვახშამუჭმელი წაჰყვენ სტოროჟს. რადგანაც მოღრუბლული, უმთვარო ღამე იყო და ძლიერ ბნელოდა,

თვალნაკლოული ბაბაღე გზადგზა ყოველ საფრთხილო  
ალაგას ზურგით გადაჰყავდა სოფონას. სწორე ადგილას  
ბაბაღეს დასუსტებულ თვალებს ხშირად ორმოები  
ეჩვენებოდა და იძახოდა: “შვილო, სოფონავ, აქანაი  
ნოყოა, მგონია”. “საცოდავო ნენავ, თლათ დაბერდი!  
ხელის გულსავით გატკეცილ გზაზეც ნოყოები  
გეჩვენება?” - უთხრა დედას სოფონამ. “დავბერდი,  
შვილო, ჰო. იგი არა, გასაკვირალია, ცოცხალი რეზა ვარ,  
რაც მე ჯაფა და ვაი-ვაგლახი მინახავს!” - მიუგო ბაბაღემ  
შვილს.

სოფელი დაძინებული იყო, როცა ბაბაღე და სოფონა  
მივიდენ სოფლის სამმართველოში, არ ეძინა მხოლოდ  
მწერალს. მას შემდეგ, რაც სამხედრო გამომძიებლის  
უწყება მოუვიდა, რომლითაც იგი იბარებდა მას (მოსეს),  
ბაბაღეს და მის შვილებს, ათანასე მღვდელს,  
სინდისიერს მოწამეს და მამასახლისის თანაშემწეს, მოსე

ძლიერ ცუდ გუნებაზე იყო. არც ძილი ახსოვდა, არც საჭმელი და არც სასმელი, სადილზე ხელიც არ დაუყვია. იმ ღამეს მხოლოდ ერთი ჭიქა ჩაი დალია, ვახშამი არ უჭამია. როცა უნათლოშვილებისათვის მოსე ყალბს მოწმობებს ადგენდა, ყოველივე ზომა მიიღო, რომ, თუ ვინცობაა ეს საქმე გამოაშკარავებულიყო, მას არაფერი დაშავებოდა. რიცხვიც ისე დააწერა მოწმობებს, როგორც მისთვის იყო სამჯობინარო. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ მისგან ყალბად შემდგარ საქმეზე ბევრჯერ ატეხილა ძიება, მაგრამ ის ყოველთვის უვნებლად გამომძვრალა ასეთი საქმეებიდან. ამ ახალი საქმიდან კი მოსე ადვილად ვერ გამოიძვრენდა თავს. იმან კარგად იცოდა, რომ ამ საქმეს სასტიკად გამოიძიებდენ. ყალბი მოწმობები მოსემ უფრო იმ იმედით შეადგინა, რომ ვერავინ გაიგებს ამ საქმეს და თუნდა კიდევ გაიგოს ვინმე ყაძახმა, როგორ გაბედავს ჩემს დაბეზლებასო. მაგრამ ეს მოსაზრება გაუცრუვდა მოსეს: ხედავდა ვილაცამ დააბეზლა ისე, რომ



ვერც კი გაიგო, ვინ უნდა ყოფილიყო დამბეზლებელი. მოსეს მეტადრე იმისი ეშინოდა, რომ მღვდელმა და უნათლოშვილებმა პირი არ შეკრან და მე არ გამცენო. ამიტომაც უნდოდა უნათლოშვილები დაერიგებია, - თავის დაღუპვა თუ არ გინდათ, ესე და ესე თქვით მაძიებელთანო. რაც შეეხებოდა სინდისიერს მოწამეს და მამასახლისის თანაშემწეს, იმათი მოსეს სრულიადაც არ ეშინოდა: ამათ რაც უნდოდა, იმას ათქმევინებდა.

- იცით რა? - უთხრა ბაბალეს და სოფონას მოსემ, როცა ბიჭი გარეთ გავიდა და კარები ჩაიკეტა, - თქვენ დაბარებული ხართ ვაენი სლედოვატელისაგან იმ მოწმობების გამო, რომლებითაც ოქრუა გაანთავისუფლეს სალდათობიდან. საშიშო კი არაფელია. მაძიებელი გკითხავს, - ვინ მოქცა ეგ მოწმობებით? თქვენ უპასუხეთ, - ღვდელმა მოგვცა-თქვა. ვინ შეადგინაო, თუ გკითხონ, - ღვდელმა შეადგინა და მე გადამაწერია-თქვა. ასე უთხარი

შენ, სოფონა, გესმის?

- გერი ხარ თუ არაო, რომ მკითხონ, ბატონო, მაშინ რაფერ ვთქვა? - ჰკითხა სოფონამ.

აქ მოსე დაფიქრდა ამ საგნის შესახებ აქამომდეც ბევრი ეფიქრა მოსეს, მაგრამ ვერა მოიფიქრა რა. თუ ერჩია ამათთვის გერობაზე უარი ეთქვათ, მაშინ უნათლოშვილები მიხვდებოდნენ, რომ საქმე ცუდათ არისო და თვითონ მოსე ვარდებოდა საშიშროებაში, არა-და, იღუპებოდა ერთი ოჯახი მთლად და, რაც უნდა გულქვა ყოფილიყო მოსე, მაინც ებრალებოდა ეს უდანაშაულო ხალხი. ბევრი იფიქრა მოსემ და ბოლოს გადასწყვიტა, “თავის თავის საშიშროებაში მიცემას, ისევ სხვა გავიმეტო, სჯობიაო” და ურჩია სოფონას:

- თუ ეგ გკითხონ, უთხარი ეგრე არის, გერი ვარ, ამას ღვდლის მოწმობაც ამტკიცებს-თქვა. შენც, ბაბალე,

აჩვენე, გერი არის ჩემი-თქვა.

- კაი დაგემართოს, ასე მოვახსენებთ, ბატონო. - თქვა სოფონამ.

- ღვდელსაც უთხარით, რომ იმანაც ისე უთხრას გამომძიებელს, რომ მოწმობები ჩემი მიცემული არის-თქვა.

- ღვდელი, ბატონო, იმნაირი კაცია, რომ თავის სვინდისს თუ არ დაეკითხა, ესე სხვისი რჩევით არ იტყვის.

- მაშ კარგი, თუ ასეა, სულაც ნუღარაფელს ეტყვით. თქვენ კი ისე უთხარით, რომ ღვდელმა შეადგინა მოწმობები და მოგვცა-თქვა. ჩემი სახელი არ გააცხადოთ. ჩვენ სოფლის პოლიციის მწერალი ვართ და ღვდელთან ხელი არ გვაქვს. ისე კი იმ დღეს მეც დაგესწრობით იქ.

ის კი აღარ უთხრა მწერალმა, რომ თვითონაც დაბარებული იყო გამომძიებელთან.

- ეს იყო, ამიტომ დაიბარეთ. ახლა წადით და, როცა კითხვის დრო მოვიდეს, ისე მოიქეცით, როგორც დაგარიგეთ. უთხრა მწერალმა ბაბაღეს და სოფონას და გაისტუმრა შინ.

ამის შემდეგ მოსეს კიდევ კარგა ხანს არ დაეძინა. იმას სტანჯავდა სინდისი, ხედავდა რომ იღუპებოდა მისი მიზეზით იმოდენა ხალხი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ბაბაღეს და სოფონას იმის მეათედი დარიგებაც ვერ მისცა, რაც განზრახული ჰქონდა. ლაპარაკის დროს ენა არ ემორჩილებოდა. დიახ, იტანჯებოდა მოსე, ძლიერ იტანჯებოდა, მაგრამ ისეთი ვაჟკაციც არ იყო, რომ მისულიყო და გამომძიებლისთვის ეთქვა: ეს ხალხი უდანაშაულოა, მე მოვახერხე ყოველივე ეს, მე შევადგინე ეს ყალბი მოწმობებიო. ამის მაგიერად მოსე თავისი თავის

შველაზე ფიქრობდა.

- რა ამბავია? - ჰკითხა ოქრუამ ძმას, დაინახა თუ არა მოსული.

- იმ მოწმობების საქმეზე გვიბარებს ვაენი გამომძიებელი.

- ვაი, ჩემო დღეო! ტყულად დავლუპეთ ოჯახი? - შემოიკრა ოქრუამ თავში ხელები. - იმაზე თუ გვიბარებენ, კაი აღარაფერია ჩვენ თავზე!

- მწერალმა გვითხრა, რომ საშიში არაფერიაო. - უთხრა სოფონამ.

- თქვენ იგი მწერალი ანგელოზი გგონიათ, აბა ნახავ, თუ კაი რამე იქნება. - თქვა ოქრუამ, რომელსაც სოფონას მოსვლამდისაც გული თითქოს ეუბნებოდა, რომ იმ მოწმობის საქმეზე იქნება რამეო.

- კაცო, საშიში რომ ყოფილიყო, რეზა დაგვიმალავდა?

- რა ვიცი, ღვთის პირიდან გადავარდნილი რეზა დაგვიმალავდა! გეხვეწე, ნუ დავლუპავთ ოჯახს, მე რაც მომივა, მომივიდეს-მეთქი და არ დამიჯერეთ. მარჩენალი ხარები გავეცით და ახლა კიდე სახლაფორთოთაა საქმე!

- არც სახლაფორთოთ არის და არცა რაი. - გაიმაგრა გული სოფონამ.

- ნუ გეშინიან, იმისთანაი კაი სიზმარი მაქ, რომ... წუხელის ვითამ ჩვენი გაყიდული ხარები მოსულიყვენ შინ და მარილს ვაჭმევდი. პირუტყვი რომ ასე კარგა გესიზმრება, კაცის შვიდობა იცის. - თქვა ბაბაღემ იმედიანად.

აღიონი მოახლოვებული იყო, უნათლოშვილები რომ დაწვენ დასაძინებლად, მაგრამ ოქროუას ძილი არ

მიჰკარებია, “სულ მტკიოდა გული, ისე ეშმაკურათ მოხერხებული იყო აგი საქმე, - ებასებოდა იგი თავის თავს. - მეიგონეს, აგი გერიო, აგი დედინაცვლიო და, რა ვიცი, მათი ეშმაკი! ასე მოტყუებით და სიყალბით საქმე რავა გაკეთდება! ხუთი თუმანი აგვაფცქნა და დღეს კიდევ სახიფათოთ არის საქმე! მარა ჩვენისთანა უსტავლელი და ბნელი ჭკუის ხალხს ყოლიკაცი მოატყებს! მოსე მწერალმა კანოლები იცისო, დამიჩემეს! კაცო, ღრიანკელში გვყრიან, კისერს გვტებენ და კანოლი, კანოლიო, ჩაგვძახიან!.. ჩვენი სიბნელეა, მეტი რაი?..”

## VIII

დადგა შემოდგომა. ჭირნახული დამწიფდა. გლენკაცობა, როგორც იტყვიან, ღამეს დღეზე ართავდა, რომ მოესწრო მოსავლის აღება, მინამ ავდრები დაიწყებოდა, და სარჩოსაკვები შეენახა. ქალი და კაცი, მოხუცი და ყმაწვილი ხალისიანად მიეშურებოდენ ყანებში. ისინი მკიდენ

ნაყოფს თავიანთი წლიური შრომისას. ჭირნახულით დატვირთული ურმების ჭრიალი და ხელხვავე აღვიძებდა შემოდგომის მდუმარე ჰაერს. აი ასეთ დროს უნათლოშვილების კარ-მიდამოდან ყანა-ვენახებში ხმაურობა არ ისმოდა. იქ აღარ იძვროდა მუშაკთა ხელი; აღარ ისმოდა მუშაკთა სიმღერა. გულის დამალონებელ მყუდროებით მოცულ ეზოში მხოლოდ ხანდახან გამოჩნდებოდა ორი პაწია ბავშვი - სოფონა უნათლოშვილის შვილები, რომელთა დაჩაგრული, ნაღვლით მოცული სახე ამტკიცებდა, რომ რაღაც დიდი უბედურება უნდა მომხდარიყო ამათ თავზე. ეს ბავშვები იმიტომ კი არ გამოდიოდნენ ეზოში, რომ ეთამაშათ, არა, ამათ მხოლოდ შეჰქონდათ სახლში ან ფიჩხი და ან წყალი ავადმყოფი დედის და პატარა ძმისთვის, რომლებიც დიდი ხანია იწვენ ლოგინში გაცხელებულნი და წამდაუწუმ იძახდნენ, წყალიო. დანარჩენ დროს ეს ბავშვები, შიშით გულგახეთქილები, ისხდნენ სახლში და



შეჰყურებდენ ავადმყოფთ, რომლებიც, ვინ იცის, რაებს არ ბოდავდენ სიცხისაგან! ხანდახან შემოდოდა ამათთან ერთი მეზობლის მოხუცი დედაკაცი, დაუწყებდა ნუგეშისცემას: “ნუ გეშინიან, შვილებო, ღმერთი მოწყალეა, ნენას და ძამიას მოგირჩენს, ბებიას, ბაბას და ბიძიას მშვიდობით მოგგვრის შინო”. - ამასთან ასწავლიდა, ეს ასე ქენით, ეს ისე ქენითო. ბავშვებიც, სანამ მოხუცი მათთან იყო, მოცოცხლდებოდენ, გამხნევდებოდენ, იმედი მოეცემოდათ. მაგრამ მოხუცს იმდენი თავისუფალი დროც არ ჰქონდა, რომ მათთან დიდხანს დარჩენილიყო; იმას თავისი ოჯახის საქმეებიც ბევრი ჰქონდა, ამიტომაც ერთი-ორი საათის შემდეგ მოხუცი სტოვებდა უნათლოშვილის ბავშვებს და ეს უკანასკნელნი ისევ ისე შიშსა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდენ.

სად იყვენ ბაბალო, სოფონა და ოქრუა? ესენი კარგა ხანია

საპატრიმროში ისხდენ. საპატრიმროში ისხდენ აგრეთვე მათი საქმის გამო მღვდელი ათანასე, კეთილსინდისიერი მოწამე და მამასახლისის თანაშემწე. ამათ შესახებ გამოძიება კიდევაც გათავდა. როცა სამხედრო გამომძიებელმა აჩვენა ათანასეს ორი მოწმობა, რომლებიც ათანასეს ვითომ და მიეცეს უნათლოშვილებისთვის, - პირველი იმაზე, რომ სოფონა გერია ბაბალესი და არა შვილიო, და მეორე, - სოფონა ცალკე სახლობსო, მღვდელმა ათანასემ უპასუხა გამომძიებელს:

- არა, მე და ჩემმა ღმერთმა, მე არ მიმეცეს ეს მოწმობები და არც რამე ვიცოდი ამისი.

- აი თქვენი ბეჭედი, აი თქვენი ხელმოწერილი! რას იტყვით ამაზე? - ჰკითხა გამომძიებელმა.

ათანასემ განიმეორა თავისი პატიოსანი სიტყვა:

- გეფიცები ღმერთს და სარწმუნოებას, არ ვიცოდე, რანაირად მოხერხთა აგი საქმე.

დიად, ათანასემ არ იცოდა, რანაირად იყო მოხერხებული ეს საქმე. მართალია, მას ახსოვდა, რომ მისცა მოწმობა უნათლოშვილის ქვრივს იმაზე, რომ მას დიდი სისაწყლუ და ვარამი გადახედია ობლების გამოზდაშიო. ეს სიმართლეც იყო, მაგრამ სოფონა გერია ბაბალესიო და ცალკე სახლობსო, ამის მოწმობა!.. “ღმერთო, თურმე ყოლისფერი მოხერხთება ქვეყანაზე!” - ჰკვირობდა ათანასე.

ბაბალე სრულიად დაიბნა ჩვენების მიცემის დროს. მას უნდოდა ისე ეთქვა ყოველივე, როგორც მოსე მწერალმა დაარიგა, მაგრამ გულმართალ ბაბალეს არ ეხერხებოდა ტყუილების ლაპარაკი. მართალია, პირველად თქვა გამომძიებელთან, სოფონა გერია ჩემიო, მაგრამ საჩქაროდ გაასწორა თავისი ნათქვამი: “სულს ვერ წავიწყმედ, გერი

არა, სოფონაი უმფროსი ვაჟიშვილია ჩემიო”.

- თუკი შვილია და არა გერი, მაშ როგორღა განაცხადე თხოვნაში, გერიაო? როგორღა წარადგინე მოწმობები ამის დასამტკიცებლად? - ჰკითხა გამომძიებელმა.

ამ კითხვაზე ბაბაღემ პასუხის მაგივრად ტირილი დაიწყო. “ერთი საწყალი ქალი ვარ... საცოდავმა გაჭირვებით შვილები გამოვზარდე... მეტი რა დამიშავებია! რას მერჩიან, ღმერთო!” - ჰკითხინებდა ის.

სოფონამ კი სწორედ ისე აჩვენა გამომძიებელს საქმის გარემოება, როგორც მოსე მწერალმა დაარიგა. როცა მას წაუყენა პირში გამომძიებელმა ათანასე და ჰკითხა: ამ ათანასე მღვდელმა მოგცა ეგ მოწმობებიო, სოფონას, მართალია, ძლიერ გაუჭირდა ჰოს თქმა, მეტადრე ათანასეს თეთრს წვერს და მშვიდ სახეს რომ შეხედა, მაგრამ აჟ სოფონას წარმოუდგა ციმბირი, რომელიც მოსე

მწერალის სიტყვით (მოსემ იმ დილას კიდევ დაარიგა სოფონა, თუ როგორი ჩვენება უნდა მიეცა გამომძიებლისათვის) მოელოდა მას, თუ რომ არ აჩვენებდა გამომძიებელს საქმის გარემოებას, როგორც მოსემ დაარიგა; წარმოუდგა დალუპვა ცოლ-შვილისა, დედისა, ძმისა, ერთი სიტყვით, მთელი ოჯახობისა... “მაშინ ყველაი დაილუპვის!” - გაურბინა თავში ამ ფიქრმა სოფონას. იმან ჩაღუნა თავი და ისე ჩაილულლულა: “ჰო, ამ ათანასემ მოქვცაო”. “შეგინდოს, შვილო, ღმერთმა!” - უთხრა ათანასემ თავისებური სიმშვიდით.

ოქრუამ კი იმთავითვე, როგორც კი გამომძიებლის უწყება მიიღო, გადასწყვიტა, ყოველივე სიმართლით აღეარებია და აღიარა კიდევ.

- სულ, სულ, ბატონო, ყოლიფერი მოსე მწერლის ბრალია, იმან დაგვლუპა, იმან გაგვაყიდვია უღელი ხარი! შეაცთინა ღვდელი, სინდისიერი მოწამე, მამასახლისის პოპოშნიკი

და ყველაყაი, იმან, იმ ღვთის პირიდან გადავარდნილმა, ჩეიქცია ჩვენი სისხლი! - დააბოლოვა ოქრუამ თავისი ჩვენება.

პირველში, ცოტა არ იყოს, ყურადღება მიაპყრო გამომძიებელმა ოქრუას სიტყვებს და უნდოდა მწერალი მოსე გულფუჭაძისათვის მაგრად მოეკიდა ხელი. მაგრამ ოქრუას შემდეგ კეთილსინდისიერმა მოწამემ და მამასახლისის თანაშემწემ, რომლებიც მოსე მწერლისაგან იყვენ დარიგებულნი, სრულიად გააქარწყლეს თავიანთი სიტყვებით ოქრუას ნალაპარაკევი. აი როგორ ახსნეს ამათ საქმის გარემოება: “მოწმობები თვითონ ათანასე ღვდელმა შეადგინა სიტყვიერთ და მერე სოფონას დააწერია. მოსე მწერალი სულაც არ ყოფილა ამ დროს ჩვენთან და არც რამე გაუგია ამ საქმისა. ჩვენ ღვდლის ბეჭედი რომ დავინახეთ მოწმობებზე, ჩვენი ბეჭედიც იმიტომ დავასვითო”. გამომძიებელს ამის შემდეგ ეჭვი

შეუვიდა ოქრუას შესახებ: “ალბათ, მღვდელს იმიტომ დააფარა ხელი ოქრუა უნათლოშვილმა, რომ რამე ხათრი და კავშირი არის მათ შორის და ამიტომაც ცდილობს ყალბი მოწმობის მიმცემი მღვდელი წყლიდან მშრალი ამოიყვანოს, ალაღმართალი კაცი, მოსე გულფუჭაძე კი გააბას მახეში მისი გულისთვისო”. მეტადრე მის შემდეგ, რაც მოსე მწერალმა წარუდგინა გამომძიებელს მაზრის სამმართველოდან მოწმობა, რომ იმ რიცხვს, რომელიც აღნიშნულია ყალბს მოწმობაზე, მოსე იმყოფებოდა მაზრის სამმართველოში და არ შეეძლო მონაწილეობის მიღება მოწმობების შედგენაშიო, რომ იგი პატიოსანი კაცია და თავის დღეშიაც არ რეულა ცუდ საქმეში, ყოველიფრით კეთილსაიმედო პირიაო და სხვა, - გამომძიებელი სრულიად დარწმუნდა მოსე გულფუჭაძის სიმართლეში და გაანთავისუფლა კიდევ გამომძიებისაგან.

ამრიგად გათავდა გამოძიება. ბრალდებულებს, მართალია, მისცეს ნება წარედგინათ თავდები და გასამართლების დღემდე თავისუფალნი ყოფილიყვენ, მაგრამ სამაგიეროდ ისე დიდძალი ფული უნდა წარედგინა თავდებს თვითეულ ბრალდებულისათვის, რომ ველარავინ იკისრა ამათი თავდებობა, რისთვისაც ბრალდებულნი გაისტუმრეს საპატიმროში.

დარჩა უნათლოშვილის ოჯახი უპატრონოდ, სოფონას ცოლის ამარა. აბა ერთი გამოუცდელი ქალი, ისიც ჯავრისაგან წელმოწყვეტილი და გულდაბნეული, რა პატრონობას გაუწევდა ოჯახს! არ გასულა ნახევარი თვე, რომ ხბოიანი ძროხა მოჰპარეს. უნათლოშვილის ყანები გაუმარგლელობისაგან სულ ერთიანად გაფუჭდა. მართალია, თითო-ოროლა დღით მოყვრები მიეშველენ ყანებში, მაგრამ ამით რა შორს წავიდოდა! ბოლოს სოფონას ცოლს და მის ბავშვს ციებ-ცხელება დააწყებია



და დარჩენ უპატრონოდ.

მღვდელი ათანასეს მეუღლე, ეს ღრმად მოხუცი ადამიანი, ერთ ხანს ლოცვით უვლიდა ეკლესიის გარშემო და ევედრებოდა: იჩინე შენი სასწაულმოქმედება, ნუ დაუკარქავ ჩემ ათანასეს სიმართლესო. დაიმედებულნიც იყო - აი აგერ, აი აგერ დავინახავ ჩემი ათანასეს თეთრ წვერსაო, მაგრამ ამაოდ! ველარ მოესწრო საბრალო მოხუცი თავისი საყვარელი მეუღლის ნახვას! ერთ საღამოს ათანასეს მეუღლე გაცივდა და, სამიოდე დღის ავადმყოფობის შემდეგ, სამუდამოდ განისვენა.

დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ სინდისიერი მოწამის და მამასახლისის თანაშემწის ოჯახებიც, ისინი სწყევლიდენ, ლანძღავდენ, ცეცხლით ამობუგვას უქადოდენ უნათლოშვილის სახლობას.

მეზობლები აფურთხებდენ პირში ბაგრატა ქერაძეს,

როდესაც გაიგეს, რომ მისი დაბეზლებით მოხდა ამდენი საცოდაობა. “შენ იუდა გამცემელო, შენ! ამდონი სული კაცმა რავა უნდა მეიძულოს თავისი ჭვარტლიანი გულის მოსაფხანათ! შენც კაცი ხარ და ადამიანის გული გაქვს!” ეუბნებოდენ მეზობლები, მაგრამ ბაგრატა არა თუ ნანობდა თავის საქციელს, პირიქით ემუქრებოდა კიდევ მეზობლებს: “ვაჟო, გაჩუმდით, გიჯობს, თვარა თქვენც მიგაყოლებენ ზედ! რას მიქვია, ჩემს მოსისხლე მტერს უნდა შერჩენოდა, ხელმწიფეს რომ სალდათი მოჰპარა! ყოველთვის უნაკლოებით გეიტანდენ ეგონენ საქმეს?!” მეზობლებისა კი არა და, მოსე მწერლისა კი ძლიერ ეშინოდა ბაგრატას: “დამაქცევს, ვიცი, თუ რაცხა წამალი არ წავაყარე თავს”. - ფიქრობდა იგი.

\*\*\*

დადგა გასამართლების დღე. ბაბაღე, სოფონა, სინდისიერი მოწამე და მამასახლისის თანაშემწე ისხდენ

სამსჯავროში ბრალდებულის სკამებზე ისე უძრავად და უსიცოცხლოდ, თითქო მიცვალებულნი იყვნენ. დამხდარნი, დაუფერულებულნი, ჩათეთქვილი ტუჩებით და ჩამქრალი თვალებით, ისინი გულის შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდენ მაყურებლებზე. ორი ბრალდებული - მღვდელი ათანასე და ოქრუა უნათლოშვილი - აღარა სჩანდა ამათ რიცხვში: ათანასემ ვერ აიტანა საპატიმროში ყოფნა, იქაური სასტიკი წესები და ადრე გარდაიცვალა. ოქრუამ გაქცევა დააპირა საპატიმროდან; როგორც იყო გაძვრა კიდეც, მაგრამ საპატიმროს ეზოდან გადასვლის დროს, გაუგეს დარაჯებმა, დაუშინეს თოფები და მოჰკლეს.

ბრალდებულთ დამცველი არა ჰყავდათ. ფული ვერ გაიღეს დამცველისთვის და უფულოდ არავინ მოჰკიდა ხელი. როცა სამსჯავროს თავმჯდომარე შეეკითხა: ესა და ეს ბრალი გედებათ და რას იტყვით ამაზეო, ბაბალემ

ტირილი დაიწყო: “რა დანაშაული მაქვს... ქვრივმა, ოხერმა, ობლები გამოვზარდე, მეტი ვის რა დაუშავე!.. რეზა მომიკალით ჩემი ოქრუა, ჩემი თვალის სინათლე ოქრუაი!” - ამბობდა ის ტირილით. სოფონამ და მამასახლისის თანაშემწემ ხვეწნა დაუწყეს მსაჯულებს: “შევცით, უსტავლელი, ბნელი კაცები ვართ, გვაპატივეთ, შეიბრალეთ ჩვენი ცოლი და შვილებიო”. კეთილსინდისიერმა მოწამემ კი თავისი მზრივ მხოლოდ ეს უპასუხა თავმჯდომარეს: “თქვენ და თქვენი ღმერთი!.. სხვა რა უნდა ვსთქვაო”. ბრალმდებელის სიტყვის შემდეგ მსაჯულნი გავიდენ ცალკე ოთხში და, ერთი-ორი საათის შემდეგ გამოიტანეს განაჩენი, რომლითაც ოთხივე ბრალდებული გაიგზავნა ციმბირში. თვითეული მათგანი სხვადასხვა ვადით.

როცა დადგა ამათი გაგზავნის დღე, სოფონა დიდსა და პატარას ეხვეწებოდა: “ქენით მადლი, ერთი თვალით

დამანახვეთ ჩემი ცოლი და შვილები! სამუდამოდ ვშორდები და ერთს ამ ბოლოს გულში ჩავიმარხავ იგინის სახესო” მაგრამ სოფონას ცოლი ამ დროს ლოგინში იწვა, ავადმყოფი. იმიტომაც ვერ აუსრულდა სოფონას წადილი, ვერ შეავლო უკანასკნელ ჟამს თავის ცოლსაც და შვილებს თვალი, თუმცაღა სხვა მისი ამხანაგები კი ნახეს გაგზავნის ჟამს ცოლებმა და შვილებმა. ბაბაღე უკანასკნელ დროს მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა: “ჩემი ოქრუა გამიცოცხლონ, თვარა საშინელ საჭმეს ვიზამ!” საბრალოს ეტყობოდა, რომ ჭკუაზე იყო შეშლილი, თუმცაღა ეს არავის შეუნიშნავს და ისიც სხვებივით გაგზავნეს ციმბირში.

ერთხანს მოსდიოდა სოფონას მეუღლეს ციმბირიდან ქმრის წერილი. ერთი-ორი წერილი მამასახლისის თანაშემწემაც მიაწვდინა თავისიანებს. როგორც სოფონას წერილიდან სჩანდა, მოხუცი სინდისიერი მოწამე გზაშივე

გარდაცვლილიყო, ვერ მიეხწია ციმბირამდე. “უბედური ნენაი გადირია, - იწერებოდა ერთ წერილში სოფონა, - ამიტომ გზიდან მოგვაცილეს და მას მოღმა რა უყვეს ვერ შევიტყვეო”. ყველა წერილში თავისიანებს და მეზობლებს ამას ეს ეხვეწებოდა: “ქენით ქრისტიანობა, ნუ დახოცავთ უპატრონოთ დაყრილს ჩემს ცოლსა და შვილებს შიმშილით და სიცივით. მე ველარ გადაგიხითით სამაგიეროს, მარა ღმერთი გადაგიხთისო”. ბოლოს ერთი წერილი მიიღო სოფონას მეუღლემ, რომლითაც ქმარი ანუგეშებდა: “ღვთის მოწყალებით, მგონია, ადრე გნახო, ისეა ჩემი საქმეო”. ამავე წერილში ეწერა: “ჩვენი პოპომნიკი (მამასახლისის თანაშემწე) კაი ხანია მომაშორეს და მას აქეთ აღარასფერი გამიგია მისი, მოკვტა თუ მორჩაო”. ეს იყო და ეს: ამის შემდეგ სოფონას წერილი აღარ მოსულა... ვინ იცის, იქნება სოფონას სხეული დიდი ხანია დადნა ციმბირის ცივს მიწაში!..



# განკარგულება

მშვენიერი საღამო იყო. უსაზღვრო ცის ლურჯი კამარა დილის დამატკბობელი სიმშვიდით დაჰყურებდა იაკამად დადუმებულს მწვანე არემარეს. მაისის გრილი ჰაერი სიცოცხლეს ჰფენდა ცასქვეშეთს. მთელი დღის განმავლობაში მუშაობით მოქანცულმა კაცია მუნჯადემ მიაყუდა თოხი კუთხეში, დაჯდა სახლის წინ ბელტზე და დაუძახა ცოლს:

- კესარიავ, თუ ქალი ხარ, დროზე გააკეთე ვახშამი! ისე ვარ მოღალული, რომ ძვალი ცაკე მაქ და ბილი ცაკე.

კაციას უმცროსმა ბავშვებმა გაიგონეს მამის ხმა თუ არა, ბაბაი მოსულა ყანიდანო, დაიძახეს, გამოცვივდნენ გარეთ პატარა, ქონის მსგავსი სახლიდან და შემოეხვიენ



თავიანთ საყვარელ ბაბას. უმცროსები ერთი იქით დაუჯდა მუხლზე და ერთი აქეთ, მესამე ბავშვი წინ გაუჩერდა და წვერების ფურჩქვნა დაუწყო. ბაბა წითელი პელანგი მომიტანე? - ეკითხებოდა სულ უმცროსი, ორწლინახევრის ვაჟი. ხვალ, ხვალ მოგიტან, შვილო! - დაჰპირდა კაცია პაწია შვილს და ალერსიანად მიიკრა გაოფლიანებულ შიშველ მკერდზე. ამასობაში კარზე მოდგა კაციას მეუღლე კესარია, ჯერ კიდევ ყმაწვილი, ლამაზი სახის ქალი და უთხრა ქმარს:

- პაწია კიდევ და, ჰა, ახლავე გამოცხვება მჭადი.

კესარია ხედადა, რომ ქმრის დაფლეთილი პერანგი, რომელშიაც ბევრგან მოჩანდა მზისგან დამწვარი წითელი კანი, ერთობ ოფლით იყო დასველებული. ამიტომ თვითონაც ჩქარობდა, ადრე მიერთმია ქმრისთვის ვახშამი და მოესვენებია ეს შრომით დამაშვრალი ადამიანი.

- ე, კილამ დამავიწყდა, სამშაფათს გამთენიერე მე და დათიამ გასაყიდი სიმინდი უნდა წევილოთ ურმით. ურემი პეტრიას გამოვართვით ქირაზე. ცალი ხარი დათიესი იქნება და ცალი ჩვენი. - უთხრა კაციამ ცოლს.

- მაღლობა ღმერთს! ამ საცოდავ ბაღნებს ერთს დავმოსავდეთ, თვარა მეტი რა მინდა! - სიხარულით თქვა კესარიამ. - სხვაი სხვათა და მარინაის სიცოდვემ თლა მომკლა ქალი. გუშინ, შვილო მთელი დღეი იტირა: ამხელა ქალი ვარ და ხორცის დასაფარავი აფერი მაქო. დევიწვი, სხვაი რაი!

- მე არ მწვავდა, გგონია, სიცოდვე, აგინი რომ შიშველი მყავდა! ღმერთო შენით, აგერ, სამშაფათს, იგი სიმინდი თუ პაწაი ხეირიან ფასად გევიდა, ყველას დავმოსავ, ერთ საკაბეს შენც მოგიტან. - იმედიანად თქვა კაციამ.

- მე არა, იგი პერანგი რომ არ გაცვია, ბაღნებისაზე თუ რამე

მოგრჩეს, ერთი საპერანგე იყიდე შენდა, ჩემ თავს არ ვჩივი. - უთხრა კესარიამ და შებრუნდა სახლში.

მარინე, უფროსი ქალი კაციასი, ამ ლაპარაკის დროს იქვე კარებთან იდგა და ყურს უგდებდა მშობლების ლაპარაკს. ეს იყო ათი თუ თორმეტი წლისა, შავგვრემანი, მაგრამ, სამაგიეროდ, ლამაზი, ეშხიანი პირისახისა, რომელსაც ძლიერ უხდებოდა შავ-შავი დიდრონი თვალები. ვიწრო ჩითის კაბა, რომელსაც სიძველისაგან აღარც კი ეტყობოდა, რა ფერისა ყოფილიყო, ისე დახეოდა, რომ ბევრგან სხეული უჩანდა. საბრალო ქალი თავის მშობლებთანაც კი სირცხვილით ხელებს იფარავდა ტიტველა სხეულზე. როცა სტუმარს დაინახავდა, მარინე მირბოდა სახლის უკან, რომ დამალულიყო, ახლა კი, მარინემ რომ გაიგო, მამას სიმინდი მიაქვს გასაყიდად და კაბას მიყიდისო, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

მარინეს მომტანო სამ ბავშვთაგან მხოლოდ ერთს ზოლებ-

ზოლებად ეკიდა წინ და უკან პერანგის ნაშთი. ორი ბავშვი კი სულ ტიტველი იყო. ესენი ხომ რა, მოსვენებას არ აძლევდენ მამას: როის გვიყიდი პერანგსო მეტადრე უმცროსი ყოველ საღამოს ჰკითხავდა ყანიდან მოსულს კაციას: "ბაბა, პელანგი მომიტანეო".

რამდენი ხანია ემზადებოდა კაცია, ურმით სიმინდს წავილებ, გავყიდი და ცოლ-შვილს დავმოსავო. მაგრამ ხან ხარი ვერ იშოვა (თვითონ კაციას კი ცალი ხარი ჰყავდა), ხან ურემი, ხან წვიმა მოვიდა და იმან დაუშალა გამოწყობილი მგზავრობა, ხან კიდევ სხვა საქმე გამოეკრა და აქამომდე დარჩა კაციას შვილები დაუმოსავად. მხოლოდ ახლა კი სრული იმედი ჰქონდა კაციას, რომ ველარაფერი გადაეღობებოდა წინ მის მოგზაურობას, რადგანაც კარგი დარი იდგა და კაცია ყოველისფრით მზად იყო. ამ გარემოებამ დიდი სიხარული გამოიწვია კაციას ოჯახში: დიდსა და პატარას სიხარული ეხატებოდა

სახეზე. გლენკაცისას საკმარისია ერთი უბრალო რამ გამარჯვება საქმეში, რომ ოჯახში საზოგადო სიხარული გამოიწვიოს.

ის იყო, კაცია და იმისი ცოლ-შვილი ემზადებოდნენ ვახშმის საქმელად, რომ ვიღაცამ ჩაახველა ჭისკართან და კაციელო, დაიძახა.

- დასწყევლოს ღმერთმა! ნახავ, თუ ახლა გზის სამუშაოზე არ გამიწვიონ! - გაჯავრებით თქვა კაციამ და გასწია ჭისკრისკენ.

- კაციელავ, იცი რეიზა ვარ მოსული? დღეს მამასახლისმა გამოგვიცხადა, - ამელამ ერთი ძალიანი დიდი კაცი გეიარს მაშინით და რკინიგზაზე ყარაულები უნდა დააყენოო. რვაი კაცი უწევს ჩემ სანაცვლოს. ერთად შენ უნდა წახვიდე. მეტი გზაი არ მაქ. - უთხრა ნაცვალმა კაციას.

ეს განკარგულება - ახლომანლო სოფლებიდან რკინიგზის  
ლიანდაგზე დარაჯების გზავნა - კარგა ხანია არსებობდა.  
პირველად ბოქაულმა გამოუცხადა რკინიგზის  
მანლობლად მცხოვრებ გლეხებს: - რკინიგზის  
ლიანდაგზე მატარებელი ხშირად ეტაკება საქონელს,  
ამიტომ ან ღობე გაავლეთ ლიანდაგის გასწვრივ და ან  
დარაჯები დაუყენეთ, რომ საქონელი ველარ გავიდეს  
ლიანდაგზეო. გლეხებმა უარი განაცხადეს: არც ერთი  
შეგვიძლია და არც მეორეო. ამხელად ბოქაულმაც აღარ  
დაატანა გლეხებს ძალა და ამრიგად, თითქოს ეს  
განკარგულება ჩაქრა, მაგრამ რამდენსამე ხნის შემდეგ,  
როცა მატარებელი დაეტაკა კამეჩს, ორთქლით მავალი  
ლიანდაგიდან გადავარდა, რამდენიმე ვაგონი დაიმტვრა  
და კონდუქტორებიც დაშავდენ, მამასახლისს მოუვიდა  
წერილობითი განკარგულება: უეჭველად დარაჯები უნდა  
გზავნო რკინიგზის ლიანდაგზე, თორემ პასუხისგებაში  
მიეცემითო. ერთი-ორი თვის განმავლობაში ეს

განკარგულება სასტიკად სრულდებოდა. შემდეგ კი, რადგანაც მეტად საძნელო იყო, შეუშვეს ხელი. თუ დიდს ვისმე მთავრობის პირთაგანს მოელოდებოდენ რკინიგზით, დააყენებდენ დარაჯებს, თვარა და იყო თავმინებებული. იმ ღამეს კი, როცა ნაცვალმა კაცია გაიწვია სადარაჯოს, უნდა გაევლო ერთ მძლავრს ამა ქვეყნისას.

- კაცო, რა არის, ყოველთვის მე რო მომახტები? კანოლით ახლა მე არ უნდა შემხვედროდა ყარაულობა. - უთხრა ნაცვალს კაციამ.

- რეიზა ყოველთვის? ამას წინათ არ იყო, სამუშაოზე წასლა რომ გაპატივე? - უპასუხა ნაცვალმა.

- მაგიერი მე ყანაში მოგეხმარე.

- ამელამ წადი რკინიგზაზე, ერთი დღეიც შინ მომეხმარე

ყანაში და იმ კვირას რომ სამუშაოზე წასლა გიწევს, იმას გაპატივებ. - უთხრა ნაცვალმა, რომელიც ხანდახან გლენებს ერთ-ორ დღეს თავის ყანაში ამუშავებდა და, სამაგიეროდ, საზოგადო გზაზე მთელი კვირის მუშაობას ააცდენდა.

- კაი, რაღა ვქნა! წავალ ამელამ სადარაჯოდ, - თქვა კაციამ და თან უღვაშებში ჩაიცინა, რადგანაც ერთი კვირის მუშაობა აიცდინა თავიდან და ეს კაი საქმე იყო მარტოხელა გლენისთვის.

- აბა ჰა, არ მიღალატო, თვარა ციმბირს გაგვაგზავნიან მეც და შენც! - დააბარა ნაცვალმა.

- კაცო, როდის მომიტყუებიხარ, რომ ახლა მოგატყუო? - დააიმედა კაციამ.

- რაიო? - ჰკითხა სახლში შესვლისთანავე კესარიამ



მეუღლეს.

- დიდი კაცი მობძანდება და რკინიგზაზე უნდა იდარაჯო.

- მერე რავა შეგიძლია ამ მოღალულ კაცს?

- სამუშაოზე წასვლას გაპატიებო, პაწა საქმე არ არის ჩვენდა.

- პაწაი არა, ძალიან საქმეა, თუკი გვაპატი.

- ძალიანია ხო... მარა ისთე ვარ მოთეთქვილი, რომ... დასაქცეველი! მივალ ამელამ აგი მოღალული კაცი, ერთს გემოით დევიძინებ-მეთქი, ვიფიქრე, მაინცადამაინც ამელამ გამოსკდა დიდი კაცი და ყველაი!

- რა ვქნა, მე უბედურმა! ნეტაი შემეძლოს და მე

წავიდოდე! - თანაგრძნობით უთხრა ცოლმა.

- კაია, რომ წახვიდოდე, იმ ყარაულებს ამელამ თავს შეაქცევიებ, ცოდვას, მოწყინდებათ. - ეხუმრა კაცია.

- ჰო, შენებურა დეიწყე ერთი ხუმრობა! ესე არ ვჩივი მე!

- ჩივილი რათ გინდა? თუ სიკეთეს უზამ, ბარემ უჩივლელად ჯობს.

- მოჰყევი შენებურა, შენ ფინთო, შენ! - ალერსიანად უთხრა ამ ხუმრობაზე ქმარს კესარიამ.

ვანშამზე დაწვრილებით მოილაპარაკეს კაციამ და კესარიმ, თუ რამდენი სიმინდი შეუძლიათ გაიმეტონ გასაყიდად, რა და რა სამზადისი დასჭირდება სამშაბათისთვის კაციას და სხვა.

ნავაზშიმევს კაციამ გამოიღვა თავისი თოფი მხარზე, ჭკუით იყავითო, დააბარა ცოლ-შვილს ჩვეულებრივად და წავიდა, „სად მიხვალ, ბაბა? წითელ პელანგს მომიტანავო“, მიაძახა უკან კაციას უმცროსმა შვილმა.

- უი მათ დიდკაცობას! ამ მოღალულ კაცს რა გააჩერებს ამელამ უძინართ! - თქვა კესარიამ.

კაციას ბევრჯერ ედარაჯებია რკინიგზაზე და ამიტომ იცოდა, სადაც უნდა დამდგარიყო. ის მივიდა მიჩვეულ ადგილს, დაიყუდა თოფი წინ და გაჩერდა. არ გასულა ნახევარი საათი, რომ კაშკაშა ცა გაანათა სავსე მთვარემ, რომელიც ნელ-ნელა ამოცურდა მთის იქიდან. მკრთალი, ნარნარი სინათლე საამოდ ეფინებოდა მდუმარე ქვეყანას. დიდრონი ხეების ჩრდილნი უძრავად გაწოლილიყვენ აქა-იქ, თითქოს რაღაც საიდუმლო არსებას ბუნების სიმშვიდეში ტკბილად ჩასძინებიაო, თითქოს ნანინა უნდა უგალობოს მდუმარე ქვეყანასო, ისე ამოჰკიოდა და

თავგამოდებით სტვენდა ბულბული.

კაცია იდგა ერთ ადგილას და თვალგაშტერებით გაჰყურებდა ერთ კონცხის ძირს, სადაც მთვარეს შუქის მიტანა ვერ მოეხერხებია. არ იფიქრო, მკითხველო, თითქოს კაციას ფანტაზია აუთამაშდა ასეთ პოეტურ ლამეში; ის შორს წაიღო ოცნებამ და მიტომ გაჰყურებდა სადღაც თვალგაშტერებული. კაციას არავითარი ტკბილი მოგონება არ ჰქონდა შეერთებული პოეტურ ლამესთან: არც სატრფოს ხვევნა-კოცნა, არც მწვანეზე ქეიფიანი ვახშამი, არც სატრფოს წინაშე სიყვარულის განცხადება და არც სხვა მისთანა. მას თავის დღეში არ ჰქონია მისთვის დრო, რომ სატრფოსთან ხელიხელ გაყრილი ესეირნა და დამტკბარიყო ბუნების სიმშვენიერით, ან მთვარიან ლამეს სატრფოს მოლოდინში აეტოკებია მისი გული. კაციას რომანებისა არა გაეგებოდა რა. მისი სიყვარულის ისტორია სულ ეს იყო: ერთ საღამოს

დაიწერა ჯვარი თავის კესარიაზე და, იმ დღიდან დაწყებული, ეწეოდენ ორივე ცხოვრების მძიმე უღელს. თუ მთვარიანი ღამე მოაგონებდა რასმე, ისევ თოხს, სახნისს, ურემს, ღამით მუშაობას და სხვას მისთანას. მამ რას მოასწავებდა კაციას გამტერებული თვალები? მძიმე და ნალვლიან ფიქრებს.

„რამდენი რა არ ტრიალებს საწყალი ყაძახის თავზე! - ეუბნებოდა ფიქრებში კაცია თავის თავს, - ცოლ-შვილი დაარჩინე, ფომტის ფული გადიხადე, უჩიტლის, მწერლის... გზის სამუშაოზე წადი, სადარაჯოთ წადი. ყველას მორჩილება გაუწიე, ყველას ემსახურე! არა, ძალიან უბედურათ არის ყაძახის ცხოვრება მოწყობილი!.. ახლა დიდი კაცი მობრძანდებაო... ძალიან ბევრი დიდი კაცი უნდა იყოს ქვეყანაზე, რომ ამდენი სამსახური ჭირდება... დიდკაცები... ნაცვალს უკითხავს, ვინ არისო, და რა შენი საქმეაო, უთხრეს თურმე, რა ჩვენი საქმეა!

ჩვენი საქმე იგია, თუ გვიბძანეს, ვუდარაჯოთ, თუ არა, ციმბირში გაგზავნიანო... ნეტა რანაირი ადგილია იგი ციმბირი? ძალიან ფინთი კი უნდა იყოს!.. დიდკაცებს არ გზავნიან, ნეტაი, ციმბირში? ჰმ!.. რა ბრიყვი ვარ! დიდკაცები სხვებს გზავნიან, თავის თავს ხომ არ გაგზავნიან! რა უბედურობაა! ყაძახო, იხადე, ემსახურე, ემორჩილე და, თუ რამე შეგცთა, ციმბირი და შენი ჯანი! ნეტაი რას იზმენ დიდკაცები, ყაძახები რომ არ იყოს ქვეყანაზე? თუნდა კიდევ ვარ, რომ არ წამოვიდე და არ ვიდარაჯო? ვთქვათ, არ შემეშინა ციმბირის... ჰმ, რას იფიქრებს კაცი! იგი არა, ერთი დამიძახეს, წადიო და მაშინათვე აგერ გამოვძუნძულდი... ღმერთო, რა ახირებული ფიქრები მომივიდა ამელამ!“ აქ კაციამ შეხედა ცას და თქვა: „კაი ხანი გასულა, იქნება ამელამ არც დიდმა კაცმა გეიაროს და არც არავინ“. ამას შემდეგ კაცია გადავიდა ფიქრებით თავისი ურმით მოგზაურობაზე: „ძალიანი კარგათ არ მოეწყვა ჩემი წასლის საქმე! დღეს

დილას რომ დათიეი არ მენახა, ვინ იცის, სამშაფათს კიდო ვერ წევიდოდი. ახლა, ღმერთო შენით, სამშაფათ გამთენიეს ავაჭრიალებ ურემს. ჩემ ცოლ-შვილს რომ ყანიდან მოსული შევხედავდი, კურცხალი მადგებოდა თვალზე. საქმაროა ციცაი მარინაი ახლა, ესე ქვია, და, შვილო, აქეთ-იქით ხელით იფარავს შიშველ ხორცს... ოცჯელ კალამ შევრცხვი აგი ოცდაათი წლის კაცი, კალამ დევიწყე მათმა მაყურადემ ბალანასავით ტირილი!.. ამ სალამოს უმცროსმა ბიჭმა მომაძახა: ბაბა, პელანგს მომიტანავო? ღმერთო, შენ მომიწყვე ხელი! გინდა ყოლიფერი სიკეთე მეშოვოს, იგინის დამოსვის საქმე რომ გავახერხო. რაღაა, შაფათი, კვირე, ორშაფათი და სამშაფათი, სულ ოთხი დღეია შვაზე“. დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა კაცია ამ საგანზე. შემდეგ, ფიზიკურად და სულიერად მოქანცულს, ძილი მოეკიდა. რომ არ დანებებოდა ძილს, კაციამ დაიწყო იქით-აქეთ სიარული. „რომ არავინ გამოჩთა, იგი დასაქცეველი!“ - ეუბნებოდა ის

თავის თავს.

დიდხანს დადიოდა კაცია. მთვარე გადიხარა, მაგრამ მატარებელი არსად ჩანდა. „დასაქცეველი! ცხრაი გზობა კალამ დავეცი, ისე მინდა ძილი. დილიდან სალამომდე თოხს ვეგრიხებოდი, ეხლა თელი ღამე გაათენეო, რა კაცი გუუძლებს ამას!“ - სთქვა ფიქრებში კაციამ და შეეცადა, რომ გამაგრებოდა, მაგრამ სხეულში რაღაც მოდუნება იგრძნო, ძილის ნდომა ისე ტკბილად უვლიდა ტანში, რომ კაციას მეტი აღარ შეეძლო. „მოდო, პაწაი თვალს მოვატყუებ და მერე უმიფრო ფხიზლად ვიქნები“, - იფიქრა კაციამ, დაიდვა თოფი მკლავზე, დადვა თავი რკინიგზის რელსზე და დაწვა. „თუ ვინიცობაა, მაშინა მოვიდა, რეინცაზე რომ თავი მექნება, მაშინათვე შევიტყობ და წამოვხტები“. - გაივლო ფიქრებში და დახუჭა თვალები. ედვა თავი რელსზე და ეძინა კაციას. სავსე მთვარე კი, თითქო ეტრფის მის გაბურძგნილ წვერ-ულვაშსო,



ნარნარად დაჰყურებდა ზევიდან, ბუღბუღი კი სმენის დამატკობლად გაიძახოდა: „ტიაჲ, ტიაჲ, ტიაჲ!“

არ გასულა ნახევარი საათი, რომ გამოჩნდა მატარებელიც. იმისი მოვარაყებული ვაგონები თვალის წარმტაცად ბრჭყვიალებდა მთვარის შუქზე; აუარებელი სანთლების სინათლე საამურად უერთდებოდა ფანჯრებიდან მთვარის სინათლეს; ვაგონების თვალები ისე უხმაუროდ მოსრიალებდა, თითქო არ უნდა კაციას ძილი დაუფრთხოსო. აი, მიუახლოვდა კაციას მატარებელი. კაციამ სუნთქვს მოუმატა, თითქოს ეს-ეს არის, გაიღვიძებს და წამოხტება ზეზეო. მაგრამ არა, კაციას მხოლოდ დაესიზმრა ზეზე წამოვარდნა. კაცია ხედავს სიზმარში, ვითომც იმან შორს შეუტყო მატარებელს, მოდისო, წამოვარდა ზეზე, მოიმარჯვა თოფი და დგას მარდათ. ხედავს, მოდის მატარებელი, სულ ერთიანად ოქროსი; შიგ სხედან ოქროს ტანსაცმელით კაცები,

მოპარსული წვერებით და მწყრომარედ უყურებენ  
კაციას, ვითომც და იმიტომ, რომ გაუგიათ კიდეც, კაციას  
ეძინაო. კაციას უნდა ბოდვიში მოიხადოს, მაგრამ არ იქნა,  
ენა ვერ დაძრა. „ვაი დავლუპე ცოლი და შვილი! - ამბობს  
ვითომც კაცია თავისთვის, - ციმბირში გამგზავნიან!“  
სწორედ ამ სიზმრის გამო იყო, რომ კაციამ სუნთქვას  
მოუმატა. მატარებლის თვლებმა გაისრიალა რელსზე,  
რომელზედაც კაცია იწვა, და განაგრძო გზა.

განთიადისას რკინიგზის დარაჯმა იპოვა ლიანდაგზე  
მკვდარი კაცი, რომელსაც თავი ჰქონდა წაგლეჯილი. - ეს  
იყო კაცია მუნჯაძე.

1893 წ.

# ქრისტიანე

## I

მაისი იყო, საქმის დღე. მზე საშუადადლოდან დაჰყურებდა დედამიწას. პატარა ბილიკის გადაღმა, ბუჩქნარში იჯდა ყმაწვილი კაცი, ასე ოცისა თუ ოცდაორი წლისა და მოუთმენლად იყურებოდა ერთ მხარეს. ხანდახან გაახსენდებოდა, მიიღებდა ცხვირზე ვარდის კონას, რომელიც ხელში ეჭირა და იყნოსავდა. კობტა ტანისამოსი და ნაზი შეხედულება უმტკიცებდა, რომ ეს ყმაწვილი არ იყო მუშათაგანი. ბუჩქნარს, რომელშიაც იჯდა ყმაწვილი კაცი, ერთის მხრით ეკრა წიფლის ტყით დაჩრდილოული სერი, მეორე მხარეს, შორეულ ფერდობზე, ყანებში მოჩანდენ მუშები, რომელთაც სიცხის გამო გაეხადათ ჩოხები და ისე მუშაობდენ მცხუნვარე მზის ქვეშ. ყანებს

იქით ამართულიყო შაქრის თავივით მოყვანილი ქოჩორა გორაკი, საიდანაც დაინახავდით შავ ზღვას და, თუ კარგი დარი იდგა, ფოთის სიახლოვეს მიმავალ-მომავალ გემებსაც.

კარგა ხანს იყურებოდა ყმაწვილი კაცი იქითკენ, საიდანაც, ეტყობოდა, ვილაცას ელოდებოდა, მაგრამ ჯერ არავინ ჩანდა. უკანასკნელ ყმაწვილ კაცს მოუთმენლობა მღელვარებად გადაექცა: ხან ადგებოდა და ისევ დაჯდებოდა, მერე ისევ ადგებოდა და ახლომანლო მიდი-მოდიოდა. ამასობაში, იმაზე ცოტა მოშორებით, დადუმებულ ბუჩქნარში სამჯერ თანდათან გაისმა ჩხირის გატეხის ხმა. ყმაწვილმა მოჰკრა ამ ხმას ყური, ელვასავით სწრაფად წამოვარდა ზეზე და ნელი სტვენით გაეხმაურა. არ გაუვლია მას უკან ერთს წამს, რომ მოისმა ფოთლების ნელი შრიალი და გამოჩნდა ყმაწვილი ქალი, რომელსაც ხელში ეჭირა ცარიელი კალათი. ქალს ტანს

ეცვა იაფფასიანი ჩითის კაბა, ფეხს - წულა, თავზედ  
ორშაურიანი სახოცი ეხურა. მაგრამ ამ უბრალო  
მორთულობაშიაც კი ისეთი ეშხიანი და სიცოცხლით სავსე  
ჩანდა, რომ თვალის მოშორება დაგენანებოდათ.

- რა ამბავია, ქრისტინე, ასე დაგვიანება! გული დამიდნა! -  
ტკბილად უსაყვედურა ყმაწვილმა კაცმა და  
აღტაცებულის თვალებით დაუწყო მზერა.

- ვაიმე, ჩემი სიკვტილი! რა მექნა! ბაბას ყანაში სადილი  
მივუტანე და ახლა იქიდან მოვალ. შენ არ იცი, იასონ, რა  
გასაჭირი საქმეა ჩემი აქანაი მოსლა. ხან იმას ვიგონებ  
ნენასთან, ხან ამას და ისე მოვიპარები. დღეს რომ ყანაში  
სადილის წალება არ შემხთენოდა, ვინ იცის, იქნება ვერც  
ქე მოვსულიყავი, არ გამოვეშვი ნენას. სოფლის კაცის  
ოჯახში ათასი გუუთავებელი საქმეა! მერე კიდევ ნენას  
ეშინია ჩემი მარტო გაშობა. ამიზა გეხვეწები, თუ  
დამიგვიანდეს მოსვლა, ან, ვინ იცის, ზოგჯერ სულ ვერ

მევიდე, სხვაფერ ნუ იფიქრებ, იასონ, - უპასუხა ქალმა და დაუწყო მზერა, თითქო უნდა გამოიცნოს, ხომ არ ვაწყენიე ამ სიტყვებითაო.

- არაფერია, შევრიგდებით, - ღიმილით უთხრა ყმაწვილმა კაცმა, მოჰხვია ხელი და მხურვალედ ჩაუკოცნა ტუჩები.

- წევდეთ წყლის პირზე, ჩვენი წიფლის ქვეშ, - უთხრა ყმაწვილმა, როცა კოცნით მოიჯერა გული.

- ვაიმე, დამაგვიანდება და ნენაი გამიწყრება! - დანანებით უპასუხა ქალმა.

- არ დაგაგვიანებ. პაწა ხანს ვიყოთ და მერე ქე წახვალ, - უპასუხა ვაჟმა, რომელიც ისეთის აღგზნებული თვალებით უყურებდა ქალს, თითქო უნდა თვალებით შეჭამოსო.

- კაი, წევდეთ, - დამორჩილდა ქალი.

ამას შემდეგ ქალი და ვაჟი, თითქო შველები არიანო, სწრაფად გაძვრენ ბუჩქებში და გასწიეს მალალ, დიდ წიფლისკენ, რომელიც თითქო განზრახ გამორებოდა თავის ტოლ-ამხანაგებს და დაბლა, ვაკეში, მედიდურად შტოებგადაშლილი იდგა. ამ წიფლის ქვეშ ადგილი ისე სწორი და სუფთა იყო, თითქოს განზრახ გაუკეთებია და დაუგვია ვისმესო. წიფლის ძირიდან ცოტა მოშორებით მიჩანჩქარებდა პატარა მდინარე, რომელსაც წვრილის შავი ქვით მოფენილი კალაპოტი და ზევიდან ხეების ჩრდილი საამურ ფერსა სდებდა. როცა ქრისტინე და იასონ მივიდნენ, წიფლის ძირში გასრიალა პატარა ჭრელი გველი, რომელსაც აქამომდე არხეინად ეძინა გრილოში.

- ვაიმე, რა უნდოდა ამ წყეულს აქანაი! - შეშინებით წამოიძახა ქრისტინემ და მიეკრა იასონს.

- ვინ იცის, იქნება ისიც საყვარელს უცთიდა, ვერ ჰხედავ, რავა ლამაზია? - გაეხუმრა იასონი, მერე წამოავლო ქვას ხელი და უნდოდა მოეკლა გველი, მაგრამ ქრისტინე ეცა ხელში.

- არ მოკლა, არ მოკლა!

- რატომ?

- ნენაიდან გამიგონია, ზოგი გველის მოკვლა არ ვარგაო. ეგება აგიც იმისთანა გველია, რომ მისი მოკვლა არ ვარგოდეს.

იასონმა გაიცინა და გააგდო ქვა ხელიდან. ამასობაში გველი წავიდა და ქრისტინე და იასონ დასხდენ წიფლის ძირში, იასონმა მოხვია ქალს ხელი, ჩაიკრა გულში და დაუსრულებლად კოცნიდა. ქალიც თითქმის თავდავიწყებას მიეცაო, მაგრამ, როცა იასონი მეტად



გაიტაცა ეშხმა, ქრისტინე წამოხტა ზეზე და უთხრა:

- რას შობი, იასონ? ხომ გახსოვს ჩვენი პირობა, ჯვარის დაწერამდი და-ძმასავით უნდა ვიყოთო. შენ, აგი ერთი ხანია გატყობ, სხვანაირათ მექცევი... ხომ არ გინდა ჩემი ხელით მევიკლა შენს წინ თავი!

- რა არის, გეხუმრე, და თუ გწყენს ჩემი ხუმრობა, სულაც აღარ გაგეკარები აწი, - ნაძალადევის გულცივობით უპასუხა იასონმა და თვითონაც წამოდგა, თითქო წასვლას აპირებსო.

- იასონ!.. - უთხრა ქრისტინემ, რომელმაც თითქო ამ ერთი სიტყვით გამოხატა ყოველივე თავისი სათქმელიო.

იასონი კი ხმას არ იღებდა. ქრისტინეს მოადგა თვალებზე ცრემლი და ცოტალა უკლდა ატირებას. კარგი სანახავი იყვენ ისინი ამ ყოფაში: ტევრი, მყუდრო მიდამო,

თხუთმეტ-თექვსმეტის წლის საშუალოზე ცოტა მომაღლო, ნაკვთად მოყვანილი ტანის ქალი, სწორი, ცოტათი მოგრძო, ლამაზი, ქერა პირისახით, დიდრონი, ცისფერი თვალებით, მათ ზემოთ თეთრ შუბლზე მშვენივრად გადატკეცოდა ისრის მსგავსი, წაბლისფერი წარბები; ხშირი თმა წელზე ეყარა. ამ საღის ქმნილების გვერდით იდგა ვაჟკაცი, შავგვრემანი, ლამაზი პირისახით, რომელსაც უმშვენებდა ახალამოსული, მელანივით შავი წვერ-ულვაში. ყმაწვილ კაცს ჰშვენოდა მეტადრე მეტყველი, შავი თვალები. ამათთვის რომ ამ დროს შეგებნდათ, იტყოდით, ესენი ერთმანეთისთვის დაუბადნია განგებას და კიდევ შეხვედრიან ერთმანეთსაო.

- მშვიდობით! - უთხრა იასონმა ქალს და გაუწოდა ხელი.

- რას შობი, იასონ, მაგდებ? მიხვალ!.. კაი, წადი! თუ ნამუსი ამას გიჩივა, მომიძულე, წადი... წადი! - ქრისტინეს

წასკდა ტირილი.

- რა ვქნა, ქრისტინე, ვხედავ, არ გიყვარვარ, ჩემი ხელის მოკარებაც კი გეზარება.

- არ მიყვარხარ, არ მიყვარხარ!.. ვინც არ მიყვარდა, იმას ჩემ პირს დუუდობდი საკოცნელათ!..

- რა ვქნა, ქირას თუ მთხოვ კოცნაში, მოგართმევ.

- აგია, იასონ! შენ უნდა მიჩიოდე ამას! ჩემი პირი საქირაო ყოფილა, მეტი არაფერი!.. ქირას მოგცემო!.. - ქრისტინე უმატებდა ტირილს.

- სუ, ქრისტინე, ვინმე გეიგონებს და მაშვინ რაღაი? - დაყვავებით უთხრა იასონმა და დაუპირა კოცნა, მაგრამ ქალმა არ მიიკარა.

- დამეთხოვე!.. ქირას მოგცემო!..

- გეხუმრე, ქრისტინე, არ გცხვენია! სუ, ჩემო სიცოცხლევ! - ამ სიტყვებით იასონმა გადაუწია თავი და აკოცა ლოყაზედ.

ქალი დანებდა, მაგრამ ტირილს კი ვერ იკავებდა.

- დავჯდეთ! - უთხრა იასონმა, მოჰკიდა ხელი და ორივე ხელახლა დასხდენ.

- რა გინდა, ქრისტინე? შენ ხომ ჩემი ხარ და ჩემი! ფიცი ხომ მოგეცი, რალაის გეშინია, არ გცხვენია ამ უნდობლობისთვის! უნდობლობა უსიყვარულობამ იცის, თუ ვერ მენდობი, გეტყობა არც გყვარებივარ!

- რას ჩივი, იასონ?! თუ არ მიყვარდე და არ გენდობოდე, ამ ღურღუთ ტყეში მოწიფულ კაცთან რა მომიყვანდა?

მიყვარხარ, ღმერთმა იცის, იასონ, ისე მიყვარხარ, რომ...  
მარა... - აქ ქრისტიანემ სიტყვა აღარ დაასრულა.

- თუ გიყვარვარ და მენდობი, რაღას მტანჯავ! დავდნი  
კაცი! აგერ ერთი თვეა, მგონია, რაც ასე ვართ. რა ვქნა,  
მოწიფული კაცის სისხლი მიდულს, ველარ მომითმენია.  
რა გინდა, მაინც ხომ ჩემი ხარ? იფიქრე, თუ ჩემი  
სიყვარული გაქ, ჩემს სიამოვნებასაც უნდა ცდილობდე.  
თუკი მაწვალე, რაღა სიყვარული იქნება! გეფიცები,  
ქრისტიანე, ჭლექი გამიჩთება.

- ღმერთო, რა ვქნა!.. ჯვარის დაწერას ხომ მოვესწრობით?

- მოვესწრობით და შორაც არ არის, მარა მაქამდე რა  
გვიშავს ვითამ? მე ხომ მაქამდეც შენი იასონი ვარ.  
მითხარი, ხომ შენი ვარ, შენი! შენც ხომ ჩემი ხარ? - აქ  
მოეხვია ქალს და დაუსრულებლად კოცნიდა.

- შენი ვარ, იასონ შენი... მარა...

იასონს “მარა” აღარ ეყურებოდა. ის დაეპყრო გრძნობას, გატაცებით კოცნიდა ქრისტინეს და იკრავდა გულში.

- ნუ, იასონ, ნუ-მეთქი... - დააპირა ქრისტინემ თავის შეკავება, მაგრამ თავის შეკავების მაგივრად მისი ლალისფერი ტუჩები მხურვალედ კოცნიდა იასონის ტუჩებს, თვალებს და შუბლს.

- შენ და შენი ღმერთი, იასონ, ჩემი სიცოცხლე შენ მოგანდევინ და შენ იცი, თუ არ დამლუპავ! - უთხრა ქრისტინემ, როცა თავდავიწყებიდან გამოვიდენ.

- არ გცხვენია, ეჭვიანობ! - უსაყვედურა იასონმა.

უკანასკნელ კიდეც მხურვალედ გადაკოცნეს ერთმანეთი და შემდეგ მოჩვენებასავით გაქრენ, ერთი - ერთ მხარეს

და მეორე - მეორეს.

## II

სოფელ ნიგვზიანში ბეჟან უქმაძე კარგი მამულის პატრონი და მდიდარი აზნაური იყო. რადგანაც ბეჟანს, იასონს გარდა, ვაჟიშვილი არ ჰყავდა, იასონი პატარაობიდანვე ფუფუნებას და ნებივრობას იყო მიჩვეული. რაც უნდა ახირებული რამ დაეჟინებია ბავშვს, დედ-მამაც და დებიც იმის ამსრულებელი იყვნენ. მოაღწია დრომ და ბეჟანმა თავისი ვაჟი ერთ მახლობელ ქალაქის სასწავლებელში მისცა. იასონ სწავლაში ძლიერ კარგ ნიჭს იჩენდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მშობლების სახლში ლალად და ნებივრად აღზრდილს, არაფრად ეპიტნავებოდა სასწავლებლის გადაჭარბებული დისციპლინა. მასწავლებლები მუდამ უჩივოდენ იასონს უმორჩილობასა და სიცელქეს, მაგრამ ბეჟანის ხათრისათვის ვერ გამოეგდოთ სასწავლებლიდან.

ამგვარად გადავიდა ის მესამე კლასში, აქ კი ერთმა მასწავლებელმა თავისი უსაზღვრო წყრომით და ტუქსვით იქამდე მიიყვანა იასონი, რომ მასწავლებელს სილა გააწნა. ამას შემდეგ, რა თქმა უნდა, იასონი დაითხოვეს სასწავლებლიდან. ბეჟანის ადგილას რომ ცოტაოდენად განათლებული კაცი ყოფილიყო, რასაკვირველია, ეცდებოდა და შვილს სადმე სხვა სასწავლებელში წაიყვანდა, მაგრამ გაუნათლებელ ბეჟანს საკმარისად მიაჩნდა, რომ მისმა იასონმა რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვა იცოდა. “ფილოსოფოსათ ხომ არ მინდა და სამსახურისთვის ესეც კი ეყოფაო”, - ამბობდა ბეჟანი. ნაცნობების შემწეობით ბეჟანმა იასონი მიაღებია მწერლად მაზრის სამმართველოში. მაგრამ დიდხანს არც იქ დაუყვია იასონს: ერთ დღეს დედის შეგინებისათვის იმან კარგა ლაზათიანად მიბეგვა კანცელარიის ერთი ტუზი და შემდეგ აიღო ანუ, უკეთ ვთქვათ, ააღებინეს სამსახურზე ხელი. მას შემდეგ იასონ



აღარ მოშორებია მშობლების სახლს. ან რა გასაჭირი ადგა, რომ მაინცდამაინც სამსახურის გულისთვის თავი შეეტკივებია? სასმელი არ აკლდა და საჭმელი, საცმელი და სახურავი. მაგრამ ამ უზრუნველ ცხოვრებაშიც ერთი-ორისთვის შემდეგ მოწყენილობამ მოიცვა იასონის სული და გული. წამოდგებოდა დილას, ისაუზმებდა. შემდეგ - სადილი, ვახშამი და ძილი. მიდიოდა ამ ერთგვარობაში დღეები, კვირები, თვეები. იასონი იმტვრევდა თითებს მოწყენილობისაგან, ამთქნარებდა, იზმორებოდა; მისი სიცოცხლით სავსე ბუნება თხოულობდა სხვაგვარ ცხოვრებას. მაგრამ რა უნდა ექნა? მუშაობა და მეტადრე მიწის მუშაობა დიდი სათაკილო საქმეა სოფლელ ხალხის თვალში. აბა ამ სათაკილო საქმეს ხომ არ მოჰკიდებდა ხელს მდიდარი აზნაურის ერთადერთი ვაჟი. ისეთ გარემოებასა და ხალხში თავის დღეში არ ყოფილა იასონ, რომ წიგნის კითხვის სურვილი შთაენერგა ვინმეს ამ ყმაწვილი კაცის გულში. წყალდებოდა არარაობაში

იასონის ძალა, სული და გული. გულის გადასაყოლებელი და შესაქცევი რომ სხვა აღარა დარჩა რა, იასონმა დაიწყო მეზობლობაში სიარული. დღეს ერთისას აღამებდა, ხვალ მეორისას, ზეგ მესამისას; აზნაური იქნებოდა მისი მასპინძელი, მღვდელი თუ გლეხი, ეგ სულ ერთი იყო მისთვის, ყველას შეიფერებდა და დაიახლოვებდა. ამ ხეტიალში გაიცნო ქალებიც. ამას შემდეგ მის მოწყენილობასაც მოელო ბოლო. დაიწყო მის ცხოვრებაში ახალი ხანა; ისე გაუტკბა სოფელში ცხოვრება, რომ, მგონია, თვით სამოთხეზედაც არ გასცვლიდა. ეხლა იშვიათი ღამე იქნებოდა, რომ იასონს შინ დაეძინა. ვინ იცის, სად დაეხეტებოდა და სად არა მთელი ღამის განმავლობაში! ბეჟანი და მისი მეუღლე შიშით აღარ იყვენ, მოგვიკლავს ვინმეო. მაგრამ იასონს არა თუ დედამამის დარიგება, მგონია, ჯაჭვი რომ მოგებათ, ისიც ვერ დაამაგრებდა ღამღამობით შინ.

სოფელ ნიგვზიანში ბევრ ტკბილ ცოლქმრობას გადაესხა მწარე ნაღველი იასონის წყალობით, ბევრი ოჯახის ტკბილი ცხოვრება შეირყა და გამწარდა, ბევრ გასათხოვარ ქალს მოეხადა ლეჩაქი. ნახავდა იასონი სადმე, მაგალითად, ან ეკლესიაზე, ან ლამის თევაში, ან სხვა რომელსამე შეკრებულებაში ლამაზ ქალს, გაუჩნდებოდა გულში ვარამი ავადმყოფობასავით ამ ქალის ხელში მოგდებისა და, სანამ თავის წადილს არ შეისრულებდა, ვერ მოისვენებდა. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ საძნელოც არ იყო იასონისთვის ამ შემთხვევაში თავის საწადელის შესრულება: იასონი იყო ლამაზი ყმაწვილი კაცი, კარგი მოლაპარაკე, ხუმარა; ისეთი სიმღერა და ჩანგურის დაკვრა იცოდა, რომ ტკბილი ჟრუანტელი დაუვლიდა ადამიანს მის გაგონებაზე; ამასთან მუდამ კონტა, ჩაქურ ტანისამოსში გამოწყობილი (ევროპიული ტანსაცმელი დიდი ხანია უარეყო), მუდამ მოცლილი და თავისუფალი.

ბეჟან უქმაძის მეზობლად იდგა ერთი გლეხი, დათია ხელმოკლიძე. თუმცაღა მდიდარი, მამულის პატრონი აზნაური ბეჟან და ლატაკი გლეხი დათია ვერაფერი ტოლფარდები იყვენ ერთმანეთისა, მაგრამ მეზობლობა კი მაინც ტკბილი ჰქონდათ ერთმანეთში, - დათია ყანაში ეხმარებოდა ბეჟანს, კვირა-უქმე დღეს, თუ ბეჟანს სტუმრები ჰყავდა, ხელს უწყობდა და ემსახურებოდა, ვენახსა და ხეხილის გაშენებაში ჰშველოდა და სხვა; სამაგიეროდ ბეჟან შეშას, წკნელს, საბალახოს, ხან საყანე მიწასაც აძლევდა დათიას.

დათიას უფროსი ქალიშვილი, ქრისტინე, ერთი იმ მშვენიერ ქმნილებათაგანი იყო, რომლის მსგავსი ერთ სოფელში ერთი გამოერევა, ან ორი. “დათიეის ქრისტინე ჩვენი სოფლის თვალია, თვალიო”, - ამბობდენ მეზობლები. რა თქმა უნდა, დათიას და მის მეუღლეს მარიკასაც თავი მოსწონდათ ქრისტინეთი.

- დედაკაცო, დეინახე, დღეს სულ ჩვენი ქრისტიანებსკენ ქონდენ თვალი და კითხულობდენ, ვინ არის იგი ლამაზი ქალიო? - სიხარულით ეუბნებოდა ეკლესიიდან ან სხვა შეკრებულებიდან დაბრუნებული დათია თავის მეუღლეს.

- შენ იმ დღეს უნდა გეყურებია, იმ დღეს! ქალი დევიბადე, ამას ქვიაო, ყველა ამას ჩიოდა, - ეუბნებოდა ქმარს პასუხად თავისი ქალიშვილის ქებით აღტაცებული მარიკაი.

სილამაზეს გარდა, ქრისტიანე ისეთი ღვთისნიერი, ისეთი რბილი ხასიათისა და ტკბილი ენის პატრონი იყო, რომ მშობლებს, დებს, ძმებს, მთელ ოჯახს განსხვავებით უყვარდათ, ოჯახის სულად და გულად მიაჩნდათ.

იასონს კარგა ხანია უცემდა გული ამ ლამაზ მეზობლისათვის; უნდოდა, როგორც თვითონ ეძახოდა ამ

საქმეს, “ერთი ხელოში მოგდება”, მაგრამ ისიც გამოცდილებით იცოდა იასონმა, რომ სოფლელი გლეხის ქალი ზოგი სულ უწინააღმდეგოდ დანებდება კაცს, მაგრამ უმეტესობა კი არაფრის გულისთვის არ უღალატებს თავის უმანკობას და ნამუსს. ქრისტიანე ერთი ამ უკანასკნელთაგანი იყო, - დიდ განძად მიაჩნდა თავისი ნამუსი და ქალწულობა.

იასონმა დაიწყო დათიასას ხშირ-ხშირად სიარული. ზანდაზან მთელს დღეს აღამებდა იქ. დათია და მისი მეუღლე ცუდს არ ხედავდენ ამ სტუმრობაში და ამიტომ სასიამოვნოდაც მიაჩნდათ, თუკი ისეთი ძვირფასი მეზობელი, როგორიც, მათი ფიქრით, იასონი იყო, მათ ოჯახში მისვლას იკადრებდა. ამასთან კიდევ იასონ მარიკაის “ძუძუნაჭამი” იყო. მართალია იასონს ეს “ძუძუნაჭამობა” არც კი ახსოვდა, თითო-ორ-ორჯერ ბევრ მეზობლის ქალს უჭმევია თავისი ძუძუ ამ პატივცემული

აზნაურის შვილისთვის; დედაც ხუმრობით ხანდახან ჩამოუთვლიდა იასონს გლეხის დედაკაცების სახელს, - ესენი არიან შენი დედები, შენთვის ძუძუ უჭმევიათო. იასონსაც ბევრი უცინია ამ ხუმრობაზე: “უფ, უფ, რამდენი დედები მყოლიაო!” - მაგრამ ამით ამპარტავანი აზნაურიშვილი მართლა ნათესავად და თავისიანად ხომ არ ჩათვლიდა ვიღაცა გლეხის დედაკაცებს? ამგვარ ნათესაობას მხოლოდ გულუბრყვილო გლეხის დედაკაცის მარიკასათვის ჰქონდა მნიშვნელობა. “შენი საკადრისი არ არის, მარა დედაშვილობით გაგიბედავო” - ამ სიტყვებით ხშირად მიუერთმევია მარიკას იასონისთვის კაი ყურძენი, მსხალი, ვაშლი, ხან ცხელ-ცხელი ხაჭაპურებიც. დიდხანს დადიოდა ამგვარად იასონი დათიასას. მაგრამ არ იქნა, ჯერ ვერას გახდა ქრისტინესთან. მორცხვი ქრისტინე უფრთხოდა იასონთან მარტო დარჩენას და ლაპარაკს. მართალია, მას შემდეგ, რაც იასონმა დათიასას სიარული დაიწყო,

ქრისტიანეს გულშიაც დაიბადა რაღაც ერთგვარი თბილი გრძნობა, გული სთხოვდა, სადმედან ჩუმად მაინც ემზირა იასონისთვის, მაგრამ ასეთი საიდუმლო საჭვრეტი თილისმა არსად იყო, ისე კი ცხადად ყმაწვილის კაცის ჭვრეტა და დაახლოვება, ქრისტიანეს ჭკუით, არ იყო კაი საქმე და ამიტომაც თავს შორს იჭერდა ამგვარ საქმისაგან. მაგრამ რამდენადაც ქრისტიანე შორს გაურბოდა, იასონს იმდენად უფრო და უფრო უძლიერდებოდა ნდომა ქრისტიანეს “ხელში მოგდებისა”.

ერთ დღეს ქრისტიანე მარტო დარჩა შინ, - სხვები საღაც წასულიყვენ. ყმაწვილი ქალი ნელ-ნელა კერავდა რაღაცას და თან ოცნებაში გართული დაბალის ხმით ღიღინებდა:

დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,  
ძმები ყველას მირჩევნია,  
ერთი ვინმე სხვისი შვილი  
თლათ ქვეყანას მირჩევნია.



- ვინა, ქრისტინე, ვინ არის იგი ბედნიერი? - სიცილით შეილაპარაკა კარებში ამ დროს იასონმა და შევიდა ქრისტინესთან.

ამ მოულოდნელი სტუმრობით ქალი დაიბნა, გაწითლებული წამოხტა ზეზე თავისი საკერავიანად, ერთი თითქო გაქცევაც დააპირა, მაგრამ მოაგონდა, რომ მის მეტი შინ არავინ იყო მასპინძელი და სტუმრის მარტო მიტოვება ურიგობა იქნებოდა. თავჩაღუნული, გაწითლებული გაჩერდა ფეხზე, მაგრამ სტუმრის მიპატიჟებას, ან ხმის გაცემას კი ვერ ბედავდა.

- რა არის, ქრისტინე, ისე გეშინია ჩემი, ვითამ და კაცის მჭამელი ვიყო! არ ვიცი, რა მიწყენიებია შენთვის, რომ ხოხობსავით მემალვი? - უთხრა თავისებური მომსყიდველი ტკბილი კილოთი იასონმა.

- რა ვქნა, რას მიკვით? - მორცხვად ჩაილაპარაკა

ქრისტიანემ და კიდევ უფრო გაწითლდა.

- რას უნდა გიკვებდე? შენს გამეტს, ყველას უხარია ჩემი აქანაი მოსვლა, შენ, გეტყობა, გწყენს. სულ მომდურავსავით ხარ ჩემთან! რა არის ჩვენც გავცეთ ერთმანეთს ხმაი; ვნახოთ, იქნება კაი მეგობრები შევიქნეთ ბოლოს.

- რა მეგობრები? - თითქო უცბად წამოსცდა, თორემ არ უნდოდა კითხვაო, ისე უხერხულად და თავაუღებლად ჰკითხა ქრისტიანემ.

ქრისტიანეს უხერხულმა კითხვამ კარგი შემთხვევა მისცა იასონს იმ საგანზე გადაეტანა ლაპარაკი, რომელიც დიდი ხანია სწყუროდა.

- რა მეგობრები? როგორც შეფერის ჩვენისთანა ახალგაზრდებს. წალან ჭე არ მღეროდნი: ერთი ვინმე

სხვისი შვილი თლად ქვეყანას მირჩევნიაო, ნეტა არ იქნება, გამაბედნიერო და მე ვიყო იგი სხვისი შვილი? თქვი, ქრისტინე, თქვი, გენაცვალე, მაგ ლამაზ პირში! - ალტაცებით დაატანა იასონმა, რომელიც ისე უმზერდა ამ დროს ქრისტინეს, რომ იფიქრებდით, ეს-ეს არის, თვალში უნდა ჩაიძვრინოსო.

ქრისტინე ისევ ისე თავჩალუნული იდგა და ხმას არ იღებდა. მხოლოდ მისი მძლავრი სუნთქვა ამტკიცებდა, რომ გული ძლიერ უღელავდა.

- მითხარი-მეთქი, ქრისტინე, მითხარი!

- რა გითხრა? თუ იკადრებ, შენ ძამიეი ხარ ჩემი, ნენაის ძუძუნაჭამი, - მღელვარების ხმით უთხრა ქრისტინემ.

- ძამიეი, დაიეი რათ მინდა მე? სხვაი მითხარი რამე, იმ ლამაზ გულ-მკერდში გენაცვალოს იასონი! მითხარი,

ვისთვის გინდა ამ სილამაზე პირი? მოკვტეს იასონი, შენი თავი თუ სხვა ვინმეს დაანებოს!.. ეზომი ყვავილი ქონდეს კაცს და სხვამ მოუწყვიტოს! აბა მე სისხლი არ მქონია? მითხარი, სხვისი ხარ თუ ჩემი? - უფრო და უფრო გატაცებით ეკითხებოდა იასონი.

- ჩემი შეცთენა, მე რომ, კაი, შევცთე, შენ არ უნდა იკადრო და სხვაი, მე რა ვიცი, რა მოხერხდება ჩვენში?.. - კიდევ რაღაც უნდა ეთქვა ქრისტინეს, მაგრამ ველარ მოახერხა.

- რა მოხერხდება?.. - იასონი ერთ წამს დაფიქრდა და შემდეგ თქვა: - რა მოხერხდება და ცოლქმრობა. ახლა? ახლა რას იტყვი?..

ცოლქმრობის გაგონებაზე ქრისტინე შეკრთა, თითქო გულში ნატკენი ადგილი ჰქონდა და იქ გაჰკრა რაღაცამაო, სახეზე ალმური აუვიდა, თვალები რაღაც იმედით გაუბრწყინდა და ერთი ისე ტკბილად შეხედა იასონს,

თითქო, ეს-ეს არის, ენაუთქმელად ხელში ჩაუვარდებაო. მაგრამ საჩქაროდ შეეცვალა ეს იმედიანი სახის მეტყველება უიმედობით. წარბები მოხარა გაჯავრებით და თვალებში დაეტყო, რომ თავის დაცვის ძლიერი ინსტინქტი გაელვინა ყმაწვილ ქალს.

- ცრუობაა, ცრუობა! მატყუებ! არ ვიცი, გონია, რომ მატყუებ! - გაბედულად და მქისედ უთხრა მან იასონს.

- რა ცხარი ყოფილხარ! რომ დაგიფიცო, მაინც იფიქრებ, მატყუებსო? - სანდო, დამარწმუნებელის კილოთი ჰკითხა იასონმა.

- არა, ტყულა ნუ ფიცულობ, არ მინდა ფიცი, ვიცი არ მოხერხდება! რა საფიქრებელია! ვინ მე და ვინ შენ!

- მითხარი, აბა რეიზა არ მოხერხდება? რა არის მოუხერხებელი?

- რა არის? რა ვიცი, ათასი! შენ ამისთანაი კაი ხარ, აზნაურისშვილი, ნასტავლი, მე ერთი საცოდავი ყაძახის ქალი, ერთი ანბანიც არ ვიცი!.. არა, რა საფიქრებელია?.. მერე კიდევ ნენაის ძუძუნაჭამი! არა, არ იქნება-მეთქი.

ქრისტინე რომ ამ ლაპარაკში იყო, იასონმა ამოიღო უბიდან წითელ ხავერდში გამოკრული პატარა საჯიბე ხატი, რომელიც მამამ აჩუქა იასონს და რომელსაც იასონი მუდამ ატარებდა ვერცხლის ძეწკვით საათთან ერთად, მოხადა პირი, დაიწერა პირჯვარი და დაიწყო:

- ვფიცავ ამ ნაწილიან ღვთისმშობლის ხატს, რომ მე, შენს გარდა, სხვაი ქალი არ შევირთო. ამის მადლი გაუწყრეს შენ მოღალატეს! აჰა, გჯერა თუ არა?

ქრისტინე პირველად ისე გააკვირვა იასონის ამგვარმა საქციელმა, რომ იტყვის თქმაც ვერ მოახერხა იმ წამს. შემდეგ კი რაღაც გაკვირვებულ-აღტაცებული ხმით

წამოიძახა:

- რა ქენი, იასონ, აგი? მე რა შენი შესაფერი ვარ, ღმერთო!
- ის მე ვიცი, რაც შესაფერი ხარ! - ამ სიტყვებით მივიდა ის ქრისტინესთან. ქალმაც უწინააღმდეგოდ გადაუწია თავი და ორთავეს ჩაუტკბო ტუჩები მხურვალე და ტკბილმა კოცნამ.
- იცი, ქრისტინე, ხვალ ქედისყურაში რომ დიდი წიფელაა, ხომ იცი, დიდ შხუნას იქით, წყლის პირში, იქინეი მოდი.
- დედავ, დედავ, მეშინია! იქინეი საშინელი ყრუი ადგილია! - მართლა და რაღაც შიშის გამომხატველი ღიმილით თქვა ქრისტინემ.
- მაინც გეშინია? აბა ჩემი ფიცი აღარაფერი ყოფილა! - უსაყვედურა იასონმა.

- არა, არ მეშინია, მარა გაფიცებ იმ ღვთიშობლის ხატს, ჯვარის დაწერამდე და-ძმასავით უნდა ვიყოთ, გეყურება, იასონ, და-ძმასავით-მეთქი!

- რავაც კაი დაი და ძმაი, ოღონდ იმ ჟუჟუნა თვალებში გიყურო და სხვას მერეც მოვესწრობი, - უთხრა იასონმა და აკოცა თვალებში.

ის იყო, იმ დღიდან დაწყებული, ქრისტინე და იასონ დადიოდნენ ერთმანეთთან პაემანზე დიდ წიფლის ძირში. მართალია, მათი პირობა ჯვარის დაწერამდე დაძმურად ყოფნის შესახებ საზღვარს გადასცილდა, მაგრამ რა უშავდა? იასონის ლაპარაკი ამტკიცებდა, რომ ჯვარისწერაც შორს აღარ იყო.

### III

ერთი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც იასონმა



ქრისტინეს ფიცი მისცა, ცოლად შეგირთავო. ნაღვლიანი სახით იჯდა ქრისტინე კერასთან. ერთი ხელი თავზე ჰქონდა შემოდგომული და მეორეთი არწევდა აკვანს. სახეზე ძლიერ გამხდარიყო; თვალებში, რომლებიც თითქო უფრო დადიდრონებოდენ, რაღაც ნაღველი და უიმედობა ეხატებოდა. ჩვილი, თოვლივით თეთრი ბავშვი, რომელსაც პირშიშვლად ეძინა ღარიბ, ძველსაგებიან აკვანში, ხანდახან შეაცმაცუნებდა ტუჩებს, თითქო ძილშივე დედის ძუძუს სწოვსო. ნაღვლიან მდუმარებაში ქრისტინეს ნელ-ნელა გაევისო თვალები ცრემლით, და ბოლოს მსხვილ-მსხვილ ცვარებად გადმოუგორდა გამხდარ ლოყებზედ.

- ათასჯერ გაგაფრთხილე, დედაშვილობას, ყოლ წუთში ტირილს ნუ მაყურებიეფ! გვეყოფა შენს დედ-მამას, რაც გვჭირს, მაინც დაბნელებულია და კიდევ უფრო ბნელდება ჩემი საძაღლე გული, შენ რომ ასე მტირალს

გხედავ! ტირი და ტირი! ნუ გეშინია, შენი ოჯახის მეტს, არაკაცს არ აწუხებს შენი ტირილი! - მწარე საყვედურით უთხრა დედამ ქრისტინეს.

დედის საყვედურმა, დამშვიდების მაგიერ, კიდევ უფრო მოუმატა ქრისტინეს ცრემლები, რომლებსაც ჯერ პირის მორიდებით ფარავდა, მაგრამ ბოლოს კი წასკდა ისეთი მძლავრი ტირილი, რომ გული ამოეგლიჯებოდა, გეგონებოდა. ტიროდა გულზე სევდისმომღები, გაგრძელებულ მკვნესარე ხმით. ქრისტინეს ცრემლები ჩაეწვეთა მძინარე ბავშვს აკვანში, გამოაღვიძა და ეხლა იმისი ჩხავილი და ტირილიც უერთდებოდა ქრისტინეს ტირილს.

- მაღლობა ღმერთს, რომ მამაშენი არ შეგხთა ამ ტირილზე! ათასჯერ კი გითხარ: მეყოფა, რაც მჭირს, ტირილი აღარ გამაგონო! - უთხრა მარიკამ ქალიშვილს წყრომით.

- რა გინდებიან? აა, თუ გაკეთდებით, მომკალით! ვინ გიშლის, მომკალით! მე კიდევ მირჩევნია, თუ მომკლავთ!  
- ტირილით ამბობდა ქრისტინე.

- ღმერთო, რა დღეი მომასწარი აგი? - მწუხარებით წამოიძახა მარიკამ, ერთი მწარედ ჩაიკრა გულში ხელი, მერე გადაიარა ქრისტინესკენ, ამოიყვანა ბავშვი და დაუწყო ფერება. ბავშვი დაეთხოვა ტირილს, ცმუკავდა და უცაცუნებდა მარიკას პირზე თავის პაწია ხელებს. “ღმერთო, რა ანგელოზია!” - ჩუმად ჩაილაპარაკა მარიკამ, დაკოცნა ბავშვი და შემდეგ კიდევ ჩაილაპარაკა თავისთის: “ნეტაი, ერთი დღეი არ აცოცხლა მარიკაი და აგი კანოლიერი შვილი იყოს!”

ამასობაში ქრისტინემაც მოიჯერა გული ტირილით, მოიწმინდა ცრემლისაგან დაწითლებული თვალები, შემდეგ გამოართვა ბავშვი მარიკას და ჩაუდო ძუძუ პირში, ბავშვი რამდენისამე წამის განმავლობაში ხარბად

ეწაფებოდა ძუძუს. მაგრამ ადრე მოიჯერა გული და მოჰყვა ქრისტინეს კალთაში ცელქობას. ქრისტინეს აღარ მოუთმინა გულმა, სიყვარულით სავსე თვალები დააშტერა ბავშვს და ჩუმად ჩაკოცნა.

ეს ჩვილი ბავშვი ქრისტინეს შვილი იყო. როგორც ამ მოთხრობის თავში მოვიხსენიე, ფიცის დადების შემდეგ ქრისტინე და იასონი ხშირად ნახულობდნენ ერთმანეთს ერთხელ აჩენილი წიფლის ძირში და ხან სხვაგანაც. ქრისტინე სრულიად მიენდო იასონს, რომელიც აიმედებდა: აი დღეს, აი ხვალ დავიწერთ ჯვარსო. გადიოდა ამ ტკბილ იმედში დრო. უკანასკნელ ქრისტინეს დაეტყო ორსულობა. მართალია, ამას ჯერ, თვითონ ქრისტინეს და იასონს გარდა, ვერავინ ამჩნევდა, მაგრამ შემდეგ, თუ ჯვარის დაწერას დროიანად ვერ მოასწრებდნენ, რა თქმა უნდა, ხალხი გაიგებდა ქრისტინეს ორსულობას. ამიტომაც იყო, რომ ქრისტინეს შიშის

ქრუანტელი უვლიდა ტანში და აჩქარებდა იასონს.

- თუ გიყვარდე, იასონ, სანამ ქვეყნის ყბაასაღები გახტებოდეს ჩვენი საქმე, მოვასწროთ ჯვარის დაწერა. მართალია, შენ ჩივი - რის გეშინია, რაც უნდა იქნას, მაინც ჩემი ხარო. მეც ვიცი, შენი ვარ, მარა ქვეყნის ამბავი ხომ იცი, თუ ჯვარდუუწერელს შემიტყვეს ორსულობა, იმისთანაებს კი იტყვიან, რომ მე ველარ გუვუძლებ იმას. მერე შენთვისაც ხომ საწყენი იქნება, მე რომ ლანძღვას დამიწყებენ. სხვაი სხვაია, დედ-მამასაც ვერ დავჯერებ - იასონ შენ რავა წაგიყვანს ცოლათო, მეტყვიან და შავ დღეს დამაყენებენ. იასონ, რავაც ღმერთი კია მაღლა, ისე ვიცი, შენ არ მიღალატებ, მარა, ნუ გეწყინება ამის თქმაი, გული მაინც რაცხა შიშით მიკანკალებს, ამ ბოლოს სულ იმის ფიქრში ვარ, - იასონსაც ვუყვარვარ, არც მიღალატებს, მარა აი საქმე მაინც არ იქნება-მეთქი. ათასგვარი სიზმრები კი მესიზმრება ღამე: ხან ვითამ

ჯვარდაწერილი ვართ, შენსას მაქ ბინა, მარა შენი დედ-  
მამა მიწყრებიან, საშინელი თვალით მიყურებენ და  
სახლიდან გაგდებას მიპირობენ. ხან ვითამ საყტარში  
ვართ, მარა ღვდელი ვარს ჩივა, ჯვარს არ დავწერო. ხან  
ვითამ ამ წიფლის ძირში გიცთი, გიყურებ, გული მიდნება,  
მარა შენ არ ჩანხარ. გუშლამ მესიზმრა: ვითამ ამ წიფლის  
ძირში გიცთი. ვაიმე, ქედიდან ჩამეირბინა უშველებელმა  
ცოფიანმა მგელმა, მომაშურა და, რომ უნდა დამგლიჯოს,  
ამასობაში მომისწარი შენ, ჰკარი მგელს თოფი და  
გააგორე. რა ვიცი, რა არ მესიზმება, ხან კაი და ხან ავი!  
მარა სიზმრებს ახლა თავი დავანებოთ. შენ ჩივი, თუ ამ  
კვირეს არა, მეორე კვირეს მაინც დევნიწერ ჯვარსო?

- ასე მაქ გადაწყვეტილი, ვერც რამე დამიშლის, მგონია, -  
უპასუხა იასონმა.

- ჯვარის დაწერამდი ხომ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს?

- ჯვარის დაწერამდი?.. კი, რავა არა.

- სად? აქანაი, ხომე?

- აქანაი.

- როის მოვიდე?

- როის?. პარასკევს.

- ასე გვიან?

- კაი, თუ გინდა, სამშაფათს იყოს.

- მაშვინ ნამდვილს ანბავს მეიტან, - ამ კვირეს იქნება თუ იმ კვირეს?

- მევიტან, რა თქმა უნდა.

- ადრე მევიდე, ხომ. ნასადილევის?

- ისე, რაცაც მოახერხო.

ამ ლაპარაკით და მზურვალე კოცნით დაშორდენ ერთმანეთს ქრისტინე და იასონ უკანასკნელ ნახვის დროს.

დანიშნულ დღეს ქრისტიზე მივიდა პაემანზე, მაგრამ იასონ ჯერ არ მოსულიყო. რომ მის მოსვლამდე გული გადაეყოლებია, ქრისტინე დაჯდა მდინარის პირას და დაუწყო ყურება წყალს, რომელიც საიდუმლო დუდუნით მითამაშობდა. წყლის დუდუნს ქრისტინემაც ააყოლა ხმა და ნაღვლიანად, ძლივს გასაგონი ხმით ღიღინებდა:

ვინ იფიქრებს ქვეყნის გადაბრუნებას?

ვინ შეუცვლის ჩემ საყვარელს ბუნებას?



დღე იყო ყუჩი, ღრუბლიანი. არემარეს გულის დამამძიმებელი, რაღაც მყუდრო მოწყენილი სახე ედო. დიდხანს უყურა ქრისტინემ, მაგრამ იასონი არ გამოჩნდა. ქრისტინე მოიცვა შიშმა და მღელვარებამ. “რა დაემართა ნეტაი, რეიზა დაიგვიანა?” - ათასჯერ იმეორებდა გულში. ცას უფრო და უფრო გადაეკრა ბნელი ფერი. უკანასკნელ გაისმა ჰაერში ქუხილი და ლაპალუპით წამოვიდა ზაფხულის სხვილი წვიმა. ქრისტინე ერთხანს შეეფარა წიფლის ძირს და იასონის მოსვლამდე არ აპირებდა შინ წასვლას, მაგრამ წვიმა თანდათან გაძლიერდა, ასე რომ ცოტა ხნის განმავლობაში ტალახის ფერად აქცია მდინარის ანკარა წყალი. თან ღამდებოდა, მეტი რა გზა იყო, ქრისტინე გაიქცა შინისკენ. მაგრამ გული კი საშინლად ჯავრიანი მიყვებოდა. როცა სახლს მიაწია, ერთიანად დასველებული იყო. დედ-მამამ დაუწყო წყრომა, სად იყავი ამ საშინელ დარში ამდონ ხანსო. მაგრამ ქრისტინემ მეზობლისას ყოფნა მოიგონა და საქმე

მშვიდობიანად დაბოლოვდა.

იმ ღამეს ქრისტინეს ძილი არ მიჰკარებია. სულ იმაზე ფიქრობდა, რისთვის ვერ მევიდა იასონ ჰაემანზეო. “წვიმას რომ არ მოესწრო, უეჭველად მევიდოდა, იქნება კიდევ მივიდა, მე რომ წამოვედი, მერეო”, - თვითონვე აიმედებდა თავის თავს. მაგრამ შემდეგ მაინც კიდევ ამავე საგანს უბრუნდებოდა: “ნეტაი რა დაემართა, რეიზა ვერ მევიდაო”. მეორე დღეს განუწყვეტლად მოდიოდა წვიმა. ქრისტინეს თვალი ჭიშკრისაკენ ეჭირა, აი, გაიღება და შემოვა იასონიო. მაგრამ დაღამდა და იასონ არ მოდიოდა დათიასას. ახლა კი შიშმა სულ მთლად აიტანა ქრისტინე: “ან ავათ გახთა, ან ფარცაკი რა დამართიაო”, - გულის კანკალით ეუბნებოდა თავის თავს. გათენდა თუ არა, ქრისტინემ მოიგონა რალაც მიზეზი, აილო დედისაგან ნება და გასწია უქმაძისას. “იასონ ვინცხა თავადიშვილისას წევიდა სტუმრათ და ორ კვირას არ

დაბრუნდება იქიდანო”, - უთხრა უქმაძის გოგომ ქრისტინეს. საბრალო ქალს თითქო გული მოსწყდა ამის გაგონებაზე. მკვდრის ფერი ედო, როცა შინ დაბრუნდა. “ვაიმე, შვილო, რა ფერი ჩაგდობია, ავათ ხარ?” - ჰკითხა შეშინებულმა დედამ. ხო, ავათ ვარ, - უპასუხა ქრისტინემ და ჩაწვა ლოგინში. მთელი ერთი კვირე ისე გაატარა ქრისტინემ, რომ საჭმელი ორჯერ არ უჭამია.

გავიდა ამის შემდეგ ერთი თვე. ქრისტინეს თვალები გამოუღამდა, ილეოდა, იტანჯებოდა, ტიროდა ჩუმად, მაგრამ იასონ კი არსად სჩანდა. ის თითქო თავის მამის სახლშიაც აღარ მოდიოდა იმ ხანად. ერთი რომ თვალი ველარ შეავლო და სალაპარაკოდ ველარ ნახა ქრისტინემ იასონი, ერთ ნაცნობ ქალს გაენდო, დააწერია ბარათი (ქრისტინემ წერა-კითხვა არ იცოდა) და შეეხვეწა უქმაძის გოგოს: ჩუმათ მიეცი იასონსო. ეს დიდი გაბედულობა იყო ქრისტინეს მხრით: უქმაძის გოგოს შეეძლო

გამოეაშკარავებია ეს ამბავი, მაგრამ რა ექნა, სხვა ღონე აღარ დარჩენოდა.

“იასონ! - სწერდა ქრისტინე - რა მიქენი? მილალატე? მერე ჩემი ხომ არ გეშინია, რომ მემალვი? გეხვეწები, იასონ, ერთი მაჩვენე შენი თავი, ერთი გამაძლე შენი მზერით და მერე, თუნდა, მომკალი, აღარ ვინანებ. თუ არ გინდებვარ, მითხარი, რის გეშინია ვაჟკაცს! არა, მე, ბრიყვს, კიდევ არ მგონია, თუ შენ მომიძულე. გეხვეწები, გეხვეწები, იასონ, ერთი კიდევ დამანახვე შენი თავი, რომ იცოდე, რაფერ მენატრება შენი ნახვა! შენი ქრისტინე”.

ვინ იცის, იმ დროს, როცა ფიცი მისცა, მართლა გადაწყვეტილი ჰქონდა თავის გულში იასონს ქრისტინეს შერთვა თუ არა. საუკუნეები გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმა შექსპირმა სთქვა: “როცა სისხლი ღელავს, ენა ფიცით არ იღლებათ”.

ამასთან ესეც უნდა ვთქვათ, რომ ამპარტავანი აზნაური ბეჟან უმაღლესი სასიკვდილოდ გაიმეტებდა თავის იასონს, მინამ ლატაკი გლეხის ქალის შერთვის ნებას მისცემდა. ასე იყო თუ ისე, იასონისაგან ეს წერილი მოუვიდა ქრისტინეს: “რა ვქნა! შენ შერთვას მშობლები არ მანებებენ. ისე ტყულა ჩემი ნახვა რათ გინდა? ისეც ჯობია დამივიწყო”.

როცა ქრისტინემ ეს სიტყვები მოისმინა, არ ატირებულა, მხოლოდ ისე მწარედ წარმოსთქვა: “იმ ფიცის და იმდონი იმედიანი სიტყვის მერე ამის თქმაც შეიძლება? თურმე ყველაი ტყუილი ყოფილა ქვეყანაზედ!..”

ძნელი წარმოსადგენია, რა ვაი-ვაგლაზი დატრიალდა დათიას ოჯახში, როცა ქრისტინეს ორსულობა გაიგეს. დათია თავის მოკვლას აპირებდა; მარიკა მთელი დღის განმავლობაში ტიროდა და იკაწრავდა ლოყებს. რომ მომკვდარიყო ქრისტინე, მგონია, მაშინაც არ გადაეხადათ

იმდენი ტირილ-ჟივილი. ქრისტინეს პატარა დები და ძმებიც კი, რომლებსაც არც კი გაეგებოდათ კარგა, რა იყო ეს ორსულობა, ტირილით ისიებდენ თვალებს. თუმცა აქამდე მშობლებს სიტყვითაც კი იშვიათად უთქვამთ საყვედური თავისი საჩებურ-საყვარელი ქალიშვილისთვის: რაც შეიძლება გლეხის ოჯახში, ფუფუნებით გაზრდილი ჰყავდათ, მაგრამ ეხლა, ეხლა კი გაცეცხლებულმა დათიამ სტაცა თმაში ხელი და, თითქო უნდა მოკლასო, ისე გამეტებით სცემა. მარიკაი ხელით არ ეხებოდა ქრისტინეს, მაგრამ ისე კი გამეტებით სწყევლიდა და ეხვეწებოდა ღმერთს: “მომიკალი ჩემი ქრისტინაი და შავი ჩამაცმევიე მასზეო”.

იმ დღიდან დაწყებული, შეიცვალა ქრისტინეს მდგომარეობა მშობლების სახლში: დედა, მამა, დები, ძმები, დიდი და პატარა, ყველა მოვალედ სთვლიდა თავის თავს, რომ მუდამ ეტუქსათ ქრისტინე, როგორც

არაწმინდა საქმის მოქმედი. გაქრა ქრისტინეს მზიარულება და სიცილ-კისკისი. ის ეხლა სტიროდა ჩუმად თუ ცხადად; თუ არა, შერცხვენილი, დაჩაგრული შავ ფიქრებს ეძლეოდა.

დათიამ ერთხანს უგზავნა ბეჟან უქმაძეს და მის შვილს მოციქულები, მაგრამ ვერაფერი კმაყოფილება გამოიტანა აქედან. ბოლოს უჩივლა კიდევ, მაგრამ აქაც ვერას განდა: ერთმა გაქნილმა ადვოკატმა, რომელიც უქმაძის ვეჭილად იყო ამ საქმის გარჩევის დროს, პირველი სიტყვის წარმოთქმითვე დაამტკიცა დათიას საჩივრის უსაფუძვლობა და დათია პირში ჩალაგამოვლებული გამოისტუმრა სასამართლოდან.

მოაწია დრომ და ქრისტინეს ეყოლა ვაჟიშვილი, რომელსაც ის ახლა თან სირცხვილით და თან დედობრივი სიყვარულით აღსავსე შეჰყურებდა და აწოვებდა ძუძუს. ბავშვი მეტად კარგი და საღი იყო.

## IV

მიდიოდა დრო, მაგრამ ქრისტიანესთვის, სევდა-ნაღველს გარდა, სამხიარულოს არას ტოვებდა. მშობლები თანდათან უფრო და უფრო სასტიკად ეპყრობოდენ საბრალო ქალს. დათია ხშირად სცემდა. ან რა მოარბილებდათ? იმ ხანად ერთი მაღალი სიტყვა რომ ეთქვა დათიას ან მარიკას რომელისამე მეზობლისათვის, გაჯავრებული მეზობელი მაშინვე წამოსძახებდა: “თქვენ თუ სინდისი გქონდეს, ბუშიანი ქალი არ გეყოლებოდათ ოჯახშიო”. “ახლა სიკტილი არა ჯობს ჩემ სიცოცხლეს!” - გულში ხელჩაკვრით იტყოდა მეზობლის სიტყვებით გაბრაზებული დათია. მეზობლის ქალებს ხომ ქრისტიანეს გარდა, სალაპარაკო აღარა ჰქონდათ რა. “ახია მარიკაზე, რაც დაემართა! აი საყტარზე კი მიყავდა, აი იქით და აი აქეთ, უფეთქებდა ქვეყანას. ვითამდა, ჰა, რა ქალიშვილი მყავსო! ახლა იგია, ბუშიანი უგდია სახლში!” - ნიშნის



მოგებით ამბობდენ ზოგიერთები. “უიმე, თურმე დიდი ხანია მას აქეთ, რაც დაუწყია იმ ურცხვს, და ჩვენ ყური სად გვქონდა!” - აზვიადებდენ მეორეები. ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვაი ასეთი მომწამვლელი ხმები გააგონეს ქრისტინეს. მართალია, ქრისტინე პირველი მაგალითი არ იყო, სხვებიც უნახავთ მისი მსგავსი, მაგრამ სხვები დასძველებოდათ და ქრისტინეს ეშხამებოდა სიცოცხლე, ნატრობდა სიკვდილს, მაგრამ თავისი ხელით ვერ გაიმეტა თავი სასიკვდილოდ, და ისე კი სიკვდილი მისი თხოვნით არ მოდიოდა “ნეტაი დაკარქვით მაინც დამკარქა სადმე, რომ ველარ გევიგონო იი ჩვენი სოფლის გველი ენა!” - ამბობდა ხშირად ფიქრებში წასული ქრისტინე. ეკლესიაზე ან სხვა შეკრებილებაში წასვლა-მოსვლა, რაც დიდ გასართობ საგანს შეადგენს სოფლელ ყმაწვილ ქალისათვის, ქრისტინეს, სირცხვილის გამო, აღარ შეეძლო. მეზობლობაში გავლა-გამოვლისაც კი სცხვენოდა, არა თუ სხვაგან წასულ-წამოსულიყო. თუ

წავიდოდა, - სერში შეშის მოსატანად, თუ არა, იჯდა სახლში, არწევდა აკვანს და ეძლეოდა გულის მომკვლელ მწუხარებას. როცა ნაღველი მოაწვებოდა გულზე, ან კიდევ დედ-მამა გააჯავრებდენ, გაიყვანდა თავის გოგის გარეთ, მიუჯდებოდა სახლის უკან ღოჯეს და ტიროდა. მხოლოდ დათიას კი ვერ დაანახვებდა ცრემლებს. “არ გამაგონო ტირილი ამ ჯავრიან გულზე, თვარა, ღმერთს გეფიცები, მოგკლავ!” - დაუყვირებდა დათია, როგორც კი ცრემლებს დაუნახავდა ქრისტინეს. “მარინე, ჩემისთანა უბედური სხვაი კიდევ იქნება ქვეყანაზე? ტირილსაც არ მანებებენ! რა ვქნა, რომ მეტირება?” - ეუბნებოდა ხშირად ქრისტინე ერთ სანდო ყმაწვილ მეზობლის ქალს. მარინეს ძლიერ ებრალებოდა ქრისტინე, მაგრამ რა უნდა ექნა, რა ნუგეშის მიცემა შეეძლო იმაზე მეტი, რომ ეტყოდა: “რა ვუყოთ, ქრისტინე, ღმერთია მოწყალეო”.

ერთ დღეს ქრისტინე ჩვეულებრივად იჯდა აჩემებულ

ლოჯესთან, მისი მოღრუბლოლი სახე ამტკიცებდა, რომ ამ წამსაც არ ასვენებდა შავი ფიქრები.

- რა არის, ქრისტინე, სულ ზიხარ და ზიხარ აქანაი კვტრის ჭირისუფალსავით მგლოვიარეთ! მოკტები, ქალო, ასე! ერთი წარბი გახსენი! - მიილაპარაკა ქრისტინესთან მარინემ და მიუჯდა გვერდში.

- თუ მოვკტებოდე, კაია, მარა სიკვტილსაც აღარ უნდებვარ! - უთხრა ქრისტინემ.

იცი, ქრისტინე, რეზა მოვედი? - დაიწყო მარინემ ხმადადაბლებით, - გუშინ ჩემი ბიძისას ვიყავი, დედიდან ბიძა რომ მყავს. იქინეი სონაი ვნახე, იცი სონაი შენ? ქმარს რომ გიეჭვა?

- არ ვიცი, - უპასუხა ქრისტინემ

- სონაი ბიძაჩემის სახლის კაცის ქალიშვილია. ჰო, იმას ვჩიოდით, სონაი მოსულა შინ პაწა ხანს ძმების სანახავათ. მერე ქე მივა, საცხა თფილის ქალაქიაო შორ, იქინეი. მერე რომ ვნახე, სიტყვაზე შენი ანბავი ვუთხარი, - სონაი ჩემი ნათესავია, - ჰო, ვუთხარი, - ასე და ასეა-მეთქინ. რა აბრიყვებსო, მითხრა სონამ, თავის მოკვლას და დაჭლექებას იგი არ ჯობს, მიატიოს იი დედ-მამა, წევიდეს სამე და იცხოვროსო. შენთან რომ წამევიდეს, წეიტან-მეთქინ? ვკითხე და, რეზა არ წევიტანო; თუ ასეა მისი საქმე, ჯობს, უთხარი, წამოვიდესო. უჰ, რომ იცოდე ქრისტინე, რავა დიდკაცის ქალსავით არის სონაი გამოწყობილი! იმისთანაი კაბა, შლაპა და პოლსაპოშკი აქ, იმისთანაი, რომე!..

ქრისტინე დაფიქრდა და მერე უთხრა მარინეს:

- წამიტანე ერთი მე იმ სონასთან.

- თუ გინდა, ხვალ წავიდეთ. ჩემი ბიძის ზეთ კარზე დგას სონაის ძმები. ჯერე ბიძიესას მივალთ და თუ იქინეი არ იქნა სონაი, მერე მისას წევადეთ. გითხარი, სონაი ჩემი ნათესავია, - უპასუხა მარინემ.

მეორე დღეს ქრისტინემ მოიგონა, მარჩიელთან (მკითხავთან) მივალო, და წაყვა მარინეს. როცა შინ დაბრუნდა, ძლიერ დაფიქრებული იყო, მაგრამ ეს ფიქრი სულ სხვანაირი ფიქრი იყო და არა წინანდებული ნაღვლიანობა.

იმ დღიდან დაწყებული, ქრისტინეს დაეტყო ცვლილება: ძლიერ იშვიათად სტიროდა; უფრო ხშირად რაღაც თვალებგამტერებული იჯდა და სახის მეტყველებაზე ეტყობოდა, რომ მისთვის მძიმე გადასაწყვეტ საქმეს ფიქრობდა. მშობლების წყრომა-დარიგებას ძლიერ გულგრილად უხვდებოდა, თითქმის ყურადღებასაც არ აქცევდა. ეს საქციელი თავგასულ უმორჩილობად მიიღო

დათიამ და ამით კიდევ უფრო გაჯავრებული იყო თავის ქალიშვილზე, უფრო მოუხშირა წყრომასა და ცემას. ქრისტიანემ კი თავისი მხრით მოუხშირა ვითომდა მარჩიელთან სიარულს. აქ დათიამ და მისმა მეუღლემ ეჭვი აიღეს - იასონის ჯავრის ამოსაყრელ რასმე თუ ასწავლის მარჩიელიო. ამის წინააღმდეგი არც დათია და არც მისი მეუღლე იყვენ და ამიტომ არ უშლიდენ ქრისტიანეს მარჩიელთან სიარულს. მართლაც მეტად ქრისტიანი უნდა ყოფილიყო ქრისტიანე, რომ იასონზე შური არ ეძიებია: იმ დროს, როცა იასონის ღალატით ქრისტიანეს სიცოცხლე იწამლებოდა და იშხამებოდა, თვითონ იასონმა დაიწერა ჯვარი ერთ მდიდარ აზნაურის ქალზე და ტკბილად ატარებდა დროს თავის ყმაწვილ ცოლთან. მისგან დაღუპული ქრისტიანე კი ერთხელაც არ გაიხსენა, ერთი სიტყვითაც არ ანუგეშა.

ერთ დღეს უცბად შეხვდა ქრისტიანე იასონს და მის ცოლს,

- მხარდამხარ მიდიოდენ სადღაც ცხენებით. იასონმა, ქრისტინე რომ დაინახა, პირი მოარიდა. ქრისტინეს აღარ მოუთმინა გულმა და მიაძახა: “იასონ, მოღალატევ, ფიცის გამტეხო! სანდურავს რაღას მემართლები? ერთი ხმა გამე!” იასონი გაწითლდა და აირია - ალბათ, ცოლის შერცხვა - და გაჯავრებულმა უპასუხა ქრისტინეს:

- ნეტა რა უნდა ჩემგან ამ უნამუსო დედაკაცს? მომშორდი თორემ...

- წამო, გენაცვალე! რა შენი საქმეა სოფლის დედაკაცთან ჩხუბი! - დაამშვიდა ცოლმა იასონი და ორივემ გააჩქარეს ცხენები.

ამის შემდეგ რა გასაკვირველი იყო, რომ ქრისტინეს იასონის სავნებლად რამე განეზრახა. მაგრამ ქრისტინეს ფიქრადაც არ მოსვლია იასონის შურისძიება. ან რა შურისძიება შეეძლო ისეთ სუსტსა და გულკეთილ

არსებას, როგორიც ქრისტიანე იყო?

ერთ დღიას ძლიერ ადრე წავიდენ ქრისტიანე და მარინე, როგორც მარიკას უთხრეს, მარჩიელთან, და ჩვეულებრივზე უფრო გვიან დაბრუნდენ შინ. ქრისტიანეს სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც დიდი ბრძოლისა და მღელვარების ქარიშხალი ტრიალებდა მის სულსა და გულში. ის თითქო გამზდარიყო ამ ერთის დღის განმავლობაში. დედამ შეამჩნია ესა და უთხრა:

- რეიზა არ იტყვი, რას გიჩივა იგი ეშმაკის წაღებული მარჩიელი, რომ ადამიანის ჭკუა და სახე აღარ გაქ, იქიდან რომ დაბრუნდები?

- იმას მიჩივა, რაც შენ და ბაბას გინდა, მოკტებო, - უპასუხა დედას ქრისტიანემ საშინელი გულმომკვლელი საყვედურის კილოთი.



მარიკას სახე გაუფითრა ამ მწარე პასუხმა და თვალებზე ცრემლმოდენით ჰკითხა ქალიშვილს:

- მე მინდა შენი სიკტილი, მე?!

- რა ვიცი, სულ იმას მიჩივით - აქამდი მომკტარიყავი, უკეთესი იქნებოდა ჩვენთვისო. ცემა არ დაგიკლიან და ტყეპა, წყევლა და გინება. თუ სასიკტილოთ არ მიმეტებდით, რა იყო აგი? ახლა რაღა გატირებს? მეც ვიცი, თუ მოვმკტარიყავი, უკეთესი იქნებოდა! მარა რომ არ იქნა!

- მე მინდოდა შენი სიკტილი, მე?!. თუ გიწყრებით მე და მამაშენი, ისევ შენი გულიზა, თავი რეიზა წეიხთინეო. ახლა ამას გვწამობ, ჩემი სიკტილი გინდათო, - უსაყვედურა მარიკამ, რომელსაც რამდენიმე ცვარი ცრემლი გადმოედინა თვალებზე, სახე აუთრთოლდა სატირლად, მაგრამ თავს იმაგრებდა.

- დამეთხოვე, ჩემო ნენა! ჩემი გულიზა იყო თუ თქვენი გულიზა, შენ და ბაბამ სიცოცხლე კი შემადულეთ, ჩემი გული კი მოხარჩეთ და მეტი რა ვიცი! გითხარი იგია, თუ მოვკტები, ჩემთვისაც უკეთესია და თქვენთვისაც!..

- მოკტები, არა იგი! გინდა ახლა ერთი შეგვაშინო. აბა ერთი მე ვნახო იი მარჩიელი, შევიტყობ, რასაც გიჩივა, - კიდევ საყვედურით უთხრა დედამ, რომელმაც იჭვი აიღო - ქრისტინეს ჩვენი მოტყუება უნდა - მოვკტებო, გვაშინებს, რომ ამითი წყრომა აიშოროსო.

- ჰოდა კაი, ახლა რალა გინდა? თუ არ მოვკტები, ქე გეყოლები და მჭამეთ შენ და ბაბამ, - უთხრა ქრისტინემ, გაიყვანა ბავშვი კარში და დაჯდა აჩემებულ ღოჯესთან.

ბავშვი ჯერ მაღიანად მიაძლა ძუძუს და მერე მოჰყვა ცელქობას, ცმუკავდა დედის მკერდზე; თან უმზერდა დედას თვალებში, უცინოდა და მოუსვენრად

ელაპარაკებოდა რაღაცას თავის ბავშვურ, გაუგებარ ენაზე. ქრისტიანემ უმზირა, უმზირა ბავშვს, მერე დაკოცნა, ჩაიკრა გულში და დაიწყო ტირილი. იკრავდა ბავშვს გულში და ტიროდა. როცა ტირილით გული მოიჯერა, წაიყვანა ბავშვი და გასულელელებულივით დადიოდა აქეთ-იქით ეზოში. იმ დღეს მარტო ქრისტიანე და მისი დედა იყვენ შინ. დანარჩენები ყანაში ღომის საკრეფად წასულიყვნენ. როცა მოსალამურდა, დედამ ჰკითხა ქრისტიანეს:

- შეშიზა შენ წახვალ, თუ მე წევიდე?

- დღეს, ნენა, შენ წადი, მე რაცხა შეუძლოთ ვარ, - უპასუხა ქრისტიანემ.

მარიკაი წავიდა ქედში შეშისთვის. ქრისტიანე იჯდა სახლში და რაღაცაზე ისევ ისე ღრმად დაღონებული ფიქრობდა და ფიქრობდა. ის მხოლოდ მაშინ

გამოფხიზლდა ფიქრისაგან, როცა ბავშვმა ძილისთვის ტირილი დაიწყო. ქრისტიანემ დააწვინა ბავშვი და გააძლო ძუძუთი. დედის რძით გამაძლარმა ბავშვმა დაძინების წინ ჩვეულებრივად დაუწყო დედას თვალებში მზერა და სიცილი.

- რა გინდა, ჩემო უბედურო გოგი? რას იცინი? შენ ჯერ არ იცი, რომ წაწყმენდილი დედაშენი გლალატობს! დღეის იქით შენ ველარ ჭამ დედის ძუძუს, ველარ ნახავ დედას! შენთვის კვტება დღეს დედა, რჩები უდედმამო, ობლათ! დღეს ჩვენ ორი საუკუნოთ ვსცილდებით ერთმანეთს! ჩემო გოგი, ჩემო გოგი! - აქ კი ტირილმა მოუსწრო ქრისტიანეს. გააბა მისებური გულისმომკვლელი, მკვნესარი ტირილი და ველარ ჩერდებოდა. ჩვილ გოგის კი არ გაეგებოდა არც დედის სიტყვები და არც მისი ტირილი; ის ჯერ კიდევ მადიანად იცინოდა და ჭიკჭიკებდა აკვანში. მერე ძილმა მოუსწრო და ტკბილად ჩაიძინა. ძილში

ხანდახან გააცმაცუნებდა ტუჩებს, თითქო ძუძუს ჭამსო.

დიდხანს ტიროდა ქრისტინე. მერე დაწყნარდა, მონახა რაც ტანისამოსი ებადა, გამოკრა სახოცში და დაიდო სასთუმალთან, ბალიშქვეშ.

ერთი საათი თუ ცოტა მეტი ეძინა ბავშვს. შემდეგ გამოახილა თვალები თუ არა, ქრისტინემ საჩქაროდ ამოიყვანა აკვნიდან, თუმცა კი ეტყობოდა, რომ ბავშვს ძილი აკლდა. ცოტა ხნის შემდეგ, რა რომ ძილდაკლებულმა ბავშვმა ტირილი და ჭირვეულობა დაიწყო, დედამ უთხრა ქრისტინეს: “ციცავ, ქრისტინავ, არ ხედავ, იმ ბაღანას რომ ძილი აკლია? დააწვინე!” “რა დააკლებდა ძილს, აგერ ნახევარი დღეია სძინავს!” - უპასუხა ქრისტინემ, რომელსაც ეტყობოდა, რომ განზრახ არ აძინებდა ბავშვს. დაღამდა. დათიამ მოაჭრიალა ღომით დატვირთული ურემი. ცოტა ხანს შემდეგ დათიას დიდი ჯალაბობა მოუჯდა ვახშამს - მჭადს, ყველს და მაჭარს.

ყველა მადიანად შეეჩვიოდა, გარდა ქრისტინესა. ქრისტინეს კი ხელიც არ უხლია საჭმელისთვის. პაწია გოგი ისევ ისე ტიროდა და ჭირვეულობდა. “ადამიანო, ეძინება, დააწვინე ბალანაი!” - გაუმეორა ქრისტინეს დედამ; “სიგლახეშია ჩქარი და მარჯვე, თვარა მოვლა თუ უნდა ბალანას, იი აღარ იცის! ახლა რომ აჭყივლებ იმ ბალანას და ერთი წუთი აღარ მომასვენე აი მოღალუღი კაცი, სვინდისი გაქ შენ?! რეიზა არ აწვენ იმ ბალანას, თუ იცი?” - გაუჯავრდა ქრისტინეს დათია.

- ვახშამს ვჭამ და დავაწვენ, - ცივად უპასუხა ქრისტინემ.

გათავდა ვახშამი და პატარა ხანს უკან დათიას ჯალაბობა დალაგდა დასაძინებლად. ქრისტინეც დაწვა, მაგრამ მაინც კი ცდილობდა ბავშვი არ დაეძინებია; ხან ხელში აიყვანდა, ხან ძუძუს უდებდა პირში და ხან კიდევ კოცნიდა ჩუმად. ბავშვი უფრო და უფრო ჭირვეულობდა და ტიროდა. “ქრისტინავ, რა შენი სიკვტილი დიემართა

ამელამ მაგ ბალანას! რაცხა მუუხერხე და დააძინე, თვარა, ღმერთს გეფიცები, ისე გამაცეხლებთ, რომ შენიან-მაგიანა კარში გაგაგდებ ამელამ! აღარ იქნა, აღარ დამაძინა აი მოღალული კაცი!” - დაუყვირა დათიამ ლოგინიდან. ეხლა კი საჩქაროდ ჩააწვინა ქრისტინემ ბავშვი აკვანში. არ გასულა ორი წამი, რომ ბავშვმა შესწყვიტა ტირილი და ტკბილად ჩაიძინა. ყველას ეძინა, ქრისტინეს გარდა. ფიჩხის ცეცხლი გაქრა და სახლში დამყარდა საშინელი სიბნელე. ცოტა ხანს შემდეგ ქრისტინე ჩუმად წამოდგა ლოგინიდან, ჩუმად ჩაიცვა ტანს და ჩამოჯდა ტახტის კიდეზე. სახლში ისმოდა მძინარეთა სუნთქვა. ქრისტინე რამდენსამე წამს სულგანაბული უგდებდა ყურს მძინარეთ. მერე კატასავით ჩუმად გადმოიარა ლოგინიდან და დახედა აკვანს, რომელშიაც ტკბილად მძინარე ბავშვი ძლივს გასაგონად სუნთქავდა. რამდენსამე წამს ისე უყურებდა ქრისტინე, თითქო უნდა საუკუნოდ ხსოვნაში შთაიბეჭდოს ეს ბავშვის სუნთქვაო.

მერე ჩუმად, ხმის კანკალით ჩასჩურჩულა: “მშვიდობით, ჩემო გოგი! გათავდა ყოლიფერი, გათავდა!” მერე წაიწვდინა ტუჩები, მაგრამ ბავშვს კი არა, აკვანს აკოცა სამჯერ; შემდეგ ნელა ადგა და წყნარად მივიდა კარებთან. გული ისე მძლავრად უცემდა, რომ სახლის მეორე კუთხეში გაიგონებდით. თავბრუ ეხვეოდა, წელი და მუხლები ეკვეთებოდა. რამდენსამე წამს კარებთან იყო გაჩერებული. “აწი ველარ გნახავ, ოჯახო!” - დაიჩურჩულა, კიდევ უნდოდა, მგონია, რაღაცას თქმა, მაგრამ ტირილმა მოუსწრო. სწრაფად, მაგრამ წყნარად გააღო კარები, გავიდა გარეთ და შთაინთქა ღამის წყვდიადში.

შუაღამისას მარიკას შემოესმა ბავშვის გაცხარებული ტირილი.

- ქრისტინავ, ქრისტინავ! არ გეყურება? ბაღანაი ტირის, ძუძუ აჭამე! - დაუძახა მარიკამ ქალიშვილს. მაგრამ



სამაგიერო ხმა არ ისმოდა. ბავშვი კი ისევ ისე ჩნაოდა და სტიროდა. “რა დაემართა ნეტაი, ასე რომ დასძინებია!” - სთქვა მარიკამ, საჩქაროდ წამოხტა და მივიდა ქრისტინეს ლოგინთან, რომ გააღვიძოს, მაგრამ ლოგინი ცარიელი დაუხვდა. “კარში წასულა”, - გაიფიქრა. ჩამოჯდა ლოგინზე და დაუწყო აკვანს რწევა, მაგრამ გავიდა კარგა ხანი და ქრისტინე არ მოდიოდა “გადირია!” - დაილაპარაკა მარიკამ, გააღო კარები და დაუწყო ძახილი ქრისტინეს. ბაიბურიც კი არსად ისმოდა. მარიკას ძახილზე გამოიღვიძა დათიამაც. რამდენსამე წამის განმავლობაში დათიას ჯალაბობა სულ ფეხზე დადგა; უძახოდენ, ეძებდენ, მაგრამ ქრისტინე არსად ჩანდა.

გათენდა. მთელი სოფელი მიისწრაფოდა მწიფე ყანებისაკენ. დათიასას კი გაისმოდა ტირილისა და გოდების ხმა, დათიამ მამასახლისს განუცხადა ეს ამბავი. ყველა თავის მოკეთენი და ნათესავები დაიარა, იქნებ იქ

იყოსო, მაგრამ ქრისტიანე ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ამისი კი ვერაფერი გაიგო.

## V

ბათომიდან თბილისს მიმავალ მატარებლის ვაგონში III კლასში იჯდა ორი ყმაწვილი ქალი. ერთი ამათგანი, რომელსაც ტანისამოსი უმტკიცებდა, რომ სოფლელი გლეხის ქალი უნდა ყოფილიყო, სახოცოთ თავპირშეხვეული, ხალხს თავს არიდებდა. მისი ამხანაგი, მეორე ქალი, სულ სხვა იყო: ის ყველას მოურიდებლად უყურებდა თვალებში და ვისაც წაახელებდა, იმასთან მასლაათობდა. ეტყობოდა, მატარებლის კონდუქტორებიც არ იყვენ მისი უცნობნი. ხან ისეთ რამეს იკითხავდა და დაიწყებდა ლაპარაკს, რაც ცოტათი ენა დაჭერილი ადამიანისთვის სალაპარაკოდაც არ ღირდა. ხნით ეს ქალი ასე ოცდახუთის თუ ოცდაათი წლის იქნებოდა. სწორი, ცოტათი გამხდარი პირისახე,

რომელზედაც თავაშვებულება ეტყობოდა, პუდრით ჰქონდა მოთხუპნული. იმისი დიდრონი, შავ-შავი თვალები მეტად ეშხიანი იქნებოდენ, მაგრამ რაღაც ერთგვარი თავდაუჭერელი მეტყველება აფუჭებდა ამ ეშხს. შლიაპაზე და მოდურ მორთულობაზე პირველსავე შეხედვითვე შეატყობდით, რომ ეს ქალი ქალაქის უცნობი არ უნდა ყოფილიყო. ამ ქალების სიახლოვეს მსხდომნი ყმაწვილნი კაცნი, მეტადრე ვაგონებში მოხეტიალე კონდუქტორები, დიდი ცნობისმოყვარეობით უმზერდენ თავპირშეხვეულ ქალს, მაგრამ ეს ქალი ისე მდუმარედ და მიუკარებლად იჯდა, რომ გამოსაუბრებასაც კი ვერც ერთი მათგანი ვერ უბედავდა. მხოლოდ ერთმა კონდუქტორმა, რომელსაც რუსული ლაპარაკის კილოზე ეტყობოდა, ქართველი უნდა ყოფილიყო, ველარ მოითმინა და რუსულად ჰკითხა შლიაპიან ქალს:

- ვინ არის ეგ შენი ამხანაგი, გაჯავრებულ ანგელოზს რომ

გავს?

- აგერ ჩვენი ქვეყნის ქალია, თფილისში ძმა ყავს სამსახურში და მასთან მიდის, - უპასუხა შლიაპიანმა ქალმა.

ამ პასუხის შემდეგ, მგონია სიტყვა “სამსახურის” პატივისცემით, ყბედმა კონდუქტორმა მორიდებული სახე მიიღო და განშორდა.

სახოცით თავპირშეხვეული ქალი გახლდათ, ჩემო მკითხველო. ჩვენი ნაცნობი ქრისტინე, დათია ხელმოკლიძის ქალიშვილი. ამის ამხანაგ ქალს კი სონას ეძახდენ.

სონაც სოფლელი გლეხის ქალი იყო, სოფელში დაბადებული და გაზრდილი. სონა ათი თუ თორმეტი წლისა იქნებოდა, როცა დიდის წვრილშვილის პატრონმა,

ლატაკმა მისმა მშობლებმა მისცეს მოჯამაგირედ, ანუ, როგორც სოფელში ეძახიან, ნაბარებად, წლიურ ჯამაგირ თუთხმეტ მანეთად თავადის ძველისენიძის ოჯახს. მაშინ ამ ქალს სოფიო ერქვა სახელად. საწყალი, პატარა ქალი კაკლისოდენა ცრემლებს აგორებდა თვალთაგან, როცა მშობლებმა თავადის ოჯახში წასაყვანად მოამზადეს. გული უკვდებოდა მშობელთ სახლ-კარის, ტოლ ბავშვებისა და შეჩვეული მინდორ-ველის მოშორებით. მართალია, იქ ბევრი სიმშლილი, ბევრი სიცივე და ბევრი უსიამოვნება გამოეცადა, აგერ ამოდენა ქალი იყო და ჯერ მის ტანს პერანგს გარდა, ტანსაცმელი არ ენახა, მაგრამ მაინც ისე უყვარდა მშობელთ სახლ-კარი, რომ სხვაგან სიცოცხლეს, აქ სიკვდილი ერჩია. ბავშვის გულს მარტო ის უღირდა ცისა და ქვეყნის ნეტარებად, რომ როცა მოუნდებოდა, თავისუფლად პარპაშებდა და თამაშობდა თავის ტოლ-ამხანაგებში, ხან მწვანე მინდორზე, ხან ჭალა-ბუჩქებში ჩიტების დასაჭერად და სადაც მისი

ბავშვური გული მოითხოვდა. ეხლა ყოველსავე ამას ატოვებებდენ. რა თქმა უნდა, ადვილად ვერ შეურიგდებოდა ბედს და ტირილით აცხადებდა უარს თავადის ოჯახში დადგომაზე. უნდა ვსთქვათ, არც სოფიოს მშობლები იყვენ უგულონი, ძლიერ უყვარდათ თავიანთი სოფიკო, სიკვდილად მიაჩნდათ იმისი სხვის ხელში ჩაგდება, მაგრამ რა ექნათ! სილატაკე სულს უხუთავდათ. იმათთვის თხუთმეტი მანეთი დიდი ფული იყო: ნადელის ფულს, ან სახელმწიფო ბეგარას გაუსტუმრებდათ. ამასთან სოფიო შინ ნახევრად მშვიერი და შიშველ-ტიტველი ჰყავდათ; თავადისას კი მათ ქალიშვილს ტანისამოსიც ექნებოდა და სასმელ-საჭმელიც. ამიტომაც იყო, რომ სოფიოს ტირილი და უარი არ გაუვიდა, - თითქმის ძალად წაიყვანეს მშობლებმა თავად ძველისენიძისას.

თავად ძველისენიძის ოჯახში, სადაც სოფიო მიაბარეს,

იყო სამი ადამიანი: კნიაზი ლევან, ამისი უმცროსი და, ინსტიტუტში გაზრდილი კნიაჟნა მაშო (ლევანს სხვა დებიცა და ძმებიცა ჰყავდა, მაგრამ ისინი ცალკე ცხოვრობდენ) და ამათი დედა, კნეინა რუსუდან, ქვრივი თავად იოთამ ძველისენიძისა. ლევან იყო ოცი-ოცდახუთი წლის კაცი, მხარბეჭ განიერი, კარგი შესახედავი, ღვინისა, ქეიფისა და ჩხუბის მოყვარე. რაც გიმნაზიის მეოთხე კლასიდან გამორიცხეს, მას შემდეგ ოჯახს აღარ მოშორებია. ერთი-ორი კვირის ვადით თუ წავიდოდა სადმე ქალაქში დროს გასატარებლად, თორემ დანარჩენ დროს სულ სოფელში იყო. ხან თითონ ისტუმრებდა მისებრ მოქეიფე კნიაზებს და შინ ქეიფობდა, ხან კი იმათ ესტუმრებოდა და კიდევ ღვინის სმა-ქეიფი. გიმნაზიაში ნასწავლი, გარდა რუსული ლაპარაკისა, ისიც კარგად არა, და ქართულ-რუსულის წერა-კითხვისა (წერა - გრამატიკის მხრით ორივე ენაზე უმართლოდ) აღარა ახსოვდა რა. წიგნების კითხვა არ უყვარდა, გარდა იმისა,

რომ ხანდახან “ვეფხისტყაოსანს” ჩაავლებდა თვალს. ამ მის მიერ წაკითხვის ღირსად აღიარებულ ერთადერთ წიგნზედაც თავისებური შეხედულება ჰქონდა და თავისებურად ესმოდა მისი შინაარსი. ყველაზე უფრო ამ თხზულებაში ის ადგილები უყვარდა, სადაც სწერია: “ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს”, და “სმა, ჭამა დიდად შესარგი...” ეს სიტყვები ზეპირად ახსოვდა და ხშირად ხმარობდა ლაპარაკში ზოგიერთი თავის აზრის დასამტკიცებლად. “ძალიან არ უთქვამს რუსთაველსო”, - დაატანდა ხოლმე თავისი მხრით.

- სწორედ რომ ახალ დროების ლუარსაბ თათქარიძე ხარ! - ხუმრობით ეტყოდა ძმას მამო.

- შენ კიდევ ახალ დროების დარეჯანი ხარ! - ხარხარით უპასუხებდა დას ლევან.

ოჯახში ყოველივე საქმის თადარიგს კნეინა რუსუდან



აძლევდა, რადგანაც, ამ კნეინას ფიქრით, ლევან ჯერ კიდევ “ბოვში” იყო. ლევან ძლიერ მადლიერი რჩებოდა დედისა, რადგანაც მისი წყალობით არ აწუხებდა ოჯახზე ზრუნვა, ყოველივე მზა-მზარეულად მოერთმეოდა და სარგებლობდა უსაზღვრო თავისუფლებით. მართალია, მას შემდეგ, რაც ლევანმა უზომოდ დაუწყო ფლანგვა ფულს და ამით, ცოტა არ იყო, დააღარიბა ოჯახი, ლევანსა და დედამისს შორის ხანდახან ჩამოვარდებოდა უკმაყოფილება, მაგალითად, დედა ფულს არ მისცემდა და ლევან დაემუქრებოდა: “აწი აღარ გაბატონებ მამაჩემის დატოვებულ ოჯახზე, მე ვარ მემკვიდრე, ჩემია ოჯახიც და მამულიცაო”; მაგრამ, რადგანაც კნიაზ ლევანს ოჯახის მართვა არ ეხერხებოდა და კნეინა რუსუდანს ოჯახის უფროსობაზე ხელის აღება არ უნდოდა, ადვილად რიგდებოდნენ ერთმანეთში ეს დედა და შვილი, და საქმე ისევ ისე წინანდებურად მიდიოდა, ესე იგი, რუსუდან უფროსობდა ოჯახში და ლევან უზრუნველად

ატარებდა დროს.

მეზობლებში ძლიერ ცუდი ხმა ჰქონდა ლევანს, ასე რომ იშვიათად გაიმეტებდა რომელიმე გლეხი თავის შვილს, ქალი ყოფილიყო თუნდა ვაჟი, ძველისენიძის ოჯახში სამოჯამაგიროდ. ამიტომაც იყო, რომ კნეინა რუსუდანს მუდამ ესაჭიროებოდა ბიჭი და გოგო და ხშირად ძალას ატანდა თავის მონადელე გლეხებს, - შენი შვილი მოჯამაგირედ დამიყენეო. ის გლეხები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, მიწის ბეგარას თავის დროზე მივსცემთ ნაბატონარსო, უარს ეუბნებოდენ კნეინას: “არ გვყავს გასაცემი შვილიო”. მაგრამ შეხვდებოდა ისეთიც, რომ უარის თქმას ვერ გაუბედავდა: “რა ვქნა, მისი მიწა-წყლის იქით ფეხის დასადგამი გზაი არ მაქ, უარი რომ ვუთხრა, ჩამიდგება ჟინში და გამთლის; სხვაი სხვაია, და მარტო “ნადელის” ფულისთვის მომთხრისო”. ესეც რომ არ იყოს, ღარიბ-ღატაკ გლეხისთვის დიდი შელავათია, რომ შვილის

ჯამაგირით ერთ-ერთ გადასახადს გაისტუმრებს. აი, რამ აიძულა მამა, რომ თავისი სოფიო მიაბარა ისეთ საეჭვო ოჯახში, როგორც ძველისენიძის ოჯახი იყო.

სოფიოს გარდა, იყვენ მოჯამაგირებად თავად ძველისენიძისას ერთი ცალთვალა მოწიფული გოგო და ორი თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი. აგრეთვე ბატონყმობის დროიდან დარჩენილიყო ძველისენიძის სასახლეში ერთი ნახევრად იდიოტი, მახინჯი მოახლე და ერთიც კოჭლი შინაყმა, - ორივე უჭირისუფლო და უსახლკარო. ესენი უჯამაგიროდ ემსახურებოდენ ძველისენიძის ოჯახს, რადგანაც მეტი თავშესაფარი არსად მოეპოვებოდათ; მხოლოდ ეს კია, რომ ეს ორი ნაშთი ჟამთა სვლას ეხლა მოეხუცებია და ამიტომ დიდ სამსახურს ველარ უწევდენ ბატონის ოჯახს. კნეინა რუსუდანი არ სტოვებდა ამას შეუნიშნავად: “აბა, ესე მოწყალეა დიდი კაცის ოჯახი, სხვაგან ვინ შეინახავდა ამ

ორ მუქთა მჭამელს?!” - ამბობდა ხშირად.

- ფიქრი ნუ გაქ, შენ ქალიშვილს თუ ჩვენ სასახლეში რამე გაუჭირდეს, პასუხისგებას ჩვენ ვკისრულობთ, - დაამშვიდეს კნეინა რუსუდანმა და კნიაჟნა მაშომ სოფიოს დედა, რომელმაც, როცა ჩააბარა თავისი ქალი, უთხრა: “თქვენი დიდკაცობისთვის მომინდვიაო”.

იმ დროს, როცა რუსუდანმა სოფიო გოგოდ დაიჭირა, ლევანი არ იყო შინ. როცა მოვიდა და სოფიოს თვალი შეავლო, რაღაც მხეცურმა სინარულმა გადაურბინა სახეზე.

- ვინ არის ეს პატარა ქალი? - ჰკითხა მან დედას.

- ჩემი ნაყმევი ესიკაის ქალიშვილია. გოგოთ ევიყვანე, - უპასუხა დედამ.

- ნაყმევის? ჰო!.. - სთქვა ლევანმა და კიდევ გადახედა გოგოს.

- ლეო, გაფრთხილებ, ეს ქალი მე მახარია, მე მივეცი სიტყვა ამ ქალის დედას, - რუსულად უთხრა ძმას მაშომ.

- მერე, გებაროს, ხომ არ ვჭამ! - სიცილით უპასუხა ლევანმა.

კნიაჟნა მაშომ დააწყებინა სოფიოს წერა-კითხვის სწავლება. მორჩებოდა თუ არა სოფიო საქმეს, შევიდოდა მაშოსთან და ჩაუჯდებოდა წიგნს, რომლის სწავლაში მან საკმაო ნიჭი და სურვილი გამოიჩინა. მაშოც პირველად დიდის ხალისით ეკიდებოდა საქმეს, მაგრამ ერთი-ორი კვირის შემდეგ, კნიაჟნას მობეზრდა შრომა და თავი მიაწება სოფიოს სწავლებას. მაშოს სიბრალოეული სოფიოსადმი ეხლა მხოლოდ იმით იხატებოდა, რომ აძლევდა სოფიოს გამონაცვალ ტანსაცმელს და თავისი

კერძოდან სთავაზობდა საჭმელს. სოფიოსაც თავის მხრით ისე შეუყვარდა მაშო, რომ ცეცხლში ჩავარდებოდა იმის გულისათვის, რომ საჭირო ყოფილიყო. თუმცა კნეინა რუსუდან გოგოს წამსაც არ ასვენებდა, მუდამ საჭმეს უჩენდა, მაგრამ კარგმა საჭმელმა და ჩაცმა-დახურვამ მაინც გააკეთა სოფიო: მისმა სილამაზემ ერთი ორად იმატა.

- აბა, ასე იცის დიდკაცის ოჯახმა, ხომ გაკეთებულა თქვენი ქალი! - ამადლიდა კნეინა სოფიოს მშობლებს, როცა ნახავდა. ლევანი კი ისე უყურებდა სოფიოს, როგორც მგელი ბატკანს. მაგრამ სოფიოსაც ისე ეშინოდა ლევანის, როგორც ბატკანს მგლისა. შიშის ჟრუანტელი დაურბენდა ქალს ტანში, როცა ლევან თავის ცეცხლივით ბრიალა თვალებს შეაჭყეტდა. მეტადრე ძლიერ ეშინოდა სოფიოს მას შემდეგ, რაც ერთხელ დამთვრალმა ლევანმა ამ ქალს თავის ოთახში დამწყვდევა დაუპირა. ამასთან

მაშოსაც გაფრთხილებული ჰყავდა სოფიო: “ჩემ ძმას ნუ წაელეწები თავზე, მოერიდეთ”.

ერთ საღამოს ლევანმა დიდხანს უმზირა სოფიოს. მერე მოიხმო პირიმზისაი (ის გოგო, რომელიც ბატონყმობის დროიდან დარჩა ძველისენიძისას) და დიდხანს ელაპარაკა რაღაც ჩუმად. დაღამდა. გამოიტანეს ვახშამი. ლევან თავისებურად გაიჟღენტა ღვინით, მერე წამოდგა და დიდხანს დადიოდა თავის ოთახში გაცხარებული. მოაწია ძილის დროც, ჯერ ბატონები დააწვინეს და მერე გოგოები და ბიჭებიც დალაგდენ - ბიჭები სამზარეულო სახლში, ცალთვალა გოგო რუსუდანის ოთახში (რუსუდანს რაღაც შიში დასჩემდა და მარტო ვერ წვებოდა), პირიმზისაი და სოფიო კი სამოახლოში. ჯერ კარგა დაძინება ვერც კი მოესწრო სოფიოს, რომ ვიღაცამ მოხვია ხელები. “ვაი!.. პირიმზისავ!” - შეჰკვივლა შიშით გულგახეთქილმა სოფიომ. პირიმზისას ხმა არ ისმოდა.

მის მაგიერად “ნუ გეშინია, მე ვარო”, - შემოესმა ბოხი ხმა სოფიოს და მძლავრმა ხელებმა ისე ჩაიმწყვდია ყმაწვილი ქალი, რომ კინალამ ძვლები არ დაემტვრა საბრალოს. “ვაი, ვაიო!” - კიდევ შეკივლა სოფიომ რამდენჯერმე, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანდა. პირიმზისა თითქო სახლში აღარ იყო.

მეორე დღეს დილაადრიან პირიმზისამ შეირბინა რუსუდანთან და უთხრა:

- ქალბატონო, გოგო სოფიო აღარ დგება, ბიჭები ძლივია აკავებენ!
- გაგიჟდა თუ რა დაემართა, გოგოვ? - ჰკითხა კნეინამ.
- რა ვიცი, ქალბატონო, ტირის, ტირის, მეტი არაფერი თქვა.



კნეინამ ჩაიცო ტანზე და შევიდა სამოახლოში, სადაც ერთ ბიჭს დაეჭირა სოფიო და ეუბნებოდა: “ბატონების გაღვიძებამდი არ გაგიშობ. ბატონები რომ შეიტყობენ, მერე წადიო”.

- გოგო, გაგიჟდი თუ რა შენი ეშმაკები დაგემართა? - წყრომით ჰკითხა კნეინამ, მაგრამ სოფიო ტიროდა და გამიშვით, გამიშვითო, იძახდა. კნეინამ მეტი ვერა გაიგო რა მისგან, მხოლოდ, როცა კარგა დაუკვირდა, დაინახა, რომ სოფიოს სახე მიწასავით ჰქონდა გადაქცეული. აქ კნეინა მიხვდა, რომ სოფიოს თავზე წუხელი რაღაც მომხდარაო. დაუწყო გამოკითხვა ხან ტკბილად, ხან წყრომით, მაგრამ სოფიო ტირილისა და გამიშვით, გამიშვითოს მეტს არას ამბობდა. ამასობაში გამოიღვიძა მაშომაც და გაიგო ეს ამბავი. თუმცა მაშოს გამოღვიძების შემდეგ ლოგინში ოცნებობა უყვარდა, მაგრამ ეხლა კი, გაიგო თუ არა დედისგან სოფიოს ამბავი, თან სოფიოს

სიბრალოლმა და თან ცნობისმოყვარეობამ დაავიწყა ეს ჩვეულება. ის საჩქაროდ ადგა, ჩაიცვა ტანსა და გასწია სამოახლოსკენ. სოფიომ, დაინახა მაშო თუ არა, ჩაუვარდა კალთაში, სტიროდა და ეხვეწებოდა გამიშვითო.

- რა დაგემართა, ჩემო სოფიო, რაი? - თავისებური ტკბილის ხმით ჰკითხა მაშომ, მაგრამ, რა შეატყო, რომ სოფიო სხვებთან მალავს, რაც შემთხვევიაო, გაიხმო ცალკე.

- Это скотство со стороны моего брата\*, - გაჯავრებით წამოილაპარაკა მაშომ, როცა სოფიოს გამოკითხვა გაათავა. მერე გაიყვანა დედა გარეთ და უთხრა:

- თუმცა ლევანზე ახია, რაც მოუვა, მაგრამ ნათქვამია, ძალლი ძალლის ძვალს არ გატკვერსო, და მეც ვერ მომიძულებია ძმა. იცი, სოფიო რომ ეხლა შინ წავიდეს და მამამისმა ამ საქმეს კუდი გამოაბას, მაშინ ლევანს

ციმბირი არ აცთება. - აქ რაღაც საიდუმლო უამბო დედას მაშომ. ამას შემდეგ დედა და შვილი ისევ შებრუნდენ სამოახლოში, საიდანაც ერთი ბიჭი კნეინის ბრძანებით არ უშვებდა სოფიოს. დაუწყეს მტირალ ქალს ალერსი და ფერება; ხან დედა იკრავდა გულში და ხან შვილი. სოფიო დიდხანს არ წყნარდებოდა, მაგრამ შემდეგ, როგორც იქნა, დააწყნარეს, მეტადრე მაშომ, რომლისაც სოფიოს ისე ეხატებოდა. კნეინამ საჩქაროდ ამოიღო თავისი ზანდუკიდან ჩითი და მისცა პირიმზისას: “ჩვენ სოფიოს ახალი კაბა შეუკერეო”.

ლევანს, თითქო აქ არაფერიაო, შუადღის პირველ საათამდე არხეინად ეძინა. მერე ადგა, საუზმეზე კარგა გაიჟღენტა ღვინით, შეაკაზმია ბიჭს ცხენი და გასწია სადღაც, საიდგანაც ერთ კვირას არ დაბრუნებულა.

ის დღე იყო და ის. მას შემდეგ სოფიოს ტირილი და საჩივარი არავის გაუგონია. სოფიო აღარ შორდებოდა ამ

თავადის ოჯახს მას შემდეგაც კი, რაც მისი კეთილის მყოფელი და მწყალობელი მაშო გაათხოვეს. ის ეხლა გაიზარდა, ახოვანი, ლამაზი ქალი შეიქნა. მშობლებმა დააპირეს მისი შინ წაყვანა, მაგრამ მან უარი განაცხადა. კიდევ დიდხანს დარჩებოდა სოფიო ძველისენიძის ოჯახში, რომ ლევანს ცოლი არ შეერთო. მაგრამ ლევანის ცოლმა აღარ დააყენა თავის ქმრის ოჯახში ეს მისი მეტოქე ლამაზი გოგო.

სოფიო დაბრუნდა თავის მშობლებთან, მაგრამ მეტად ეძნელებოდა მშობლების ლატაკ ოჯახში ცხოვრება. დედ-მამა ეხლა ცდილობდა მის გათხოვებას, მაგრამ ჯერ რომ მზითვის მიცემა არ შეეძლოთ და უმზითვო ქალს კი ძნელად თუ ვინმე შეირთავდა; მერე კიდევ მეზობლებში სოფიოზე ძლიერ ცუდი ხმები დადიოდა, მას შემდეგაც კი, როცა ძველისენიძის ოჯახს მოშორდა. უკანასკნელ, როგორც იქნა, ერთმა ლატაკმა გლეხმა შეერთო სოფიო

ცოლად, მაგრამ ძლიერ ხანმოკლე იყო ამათი ცოლქმრობა. ქმარი იჭვიანობდა, სოფიო მღალატობს, სხვაზე მცვლისო; სოფიო თავისი მხრით არ იყო კმაყოფილი ქმრის ღატაკი ოჯახით. ეს იწვევდა ამ ცოლ-ქმარს შორის დაუსრულებელ ჩხუბს და უსიამოვნებას. საქმე იმითი დაბოლოვდა, რომ ერთ დღეს, როცა მისი ქმარი შინ არ იყო, სოფიომ მიატოვა ქმრის სახლი და ამოჰყო თავი ერთ მახლობელ ქალაქში. ამის შემდეგ ის რამდენჯერმე მოაყვანია მამასახლისმა თავის მიწერილობით და ჩააბარა ქმარს. ქმარიც უქადოდა: “თუ არ დაგიშლია და კიდომ გაიქცევი, უეჭველად მოგკლავო”. ისიც გაგონილი ჰქონდა, რომ ერთმა გლეხმა შუა ბაზარში მოკლა თავისი გაქცეული ცოლი. მაგრამ სოფიო მაინც არ დგებოდა ქმართან. დღეს მოიყვანდა მამასახლისი, ჩააბარებდა ქმარს, ხვალ გაიხედავდით, კიდევ გაქცეულა. სატუსაღოშიაც დაამწყვდიეს, გაწკეპლასაც უქადოდენ, მაგრამ სოფიო მაინც არ დგებოდა ქმართან და არა.

უკანასკნელ მობეზრდათ თავი ქმარსაც და სხვასაც და ჩამოეთხოვენ. ამას შემდეგ სოფიო ერთხანს ვიღაც ერთ ყმაწვილ ვაჭართან ცხოვრობდა ხასად. მერე, როცა ვაჭარმა ცოლი შეირთო, წავიდა თბილისს და მის შემდეგ აღარ მოშორებია ამ ქალაქს. მის სოფელში არავინ იცოდა, სოფიო სად ან რით ცხოვრობდა. მართალია, დადიოდა მის მეზობლობაში სხვადასხვანაირი ხმა: “თურმე სოფიო ვიღაც დიდკაცს შეურთავს ცოლათო”; “სოფიო თურმე საროსკიპოშიაო”. ხანდახან სონა (ქმარს რომ მოშორდა, მერე სონა დაირქვა სახელად) მოჩვენებასავით მოვიდოდა თავის ძმებისას, დარჩებოდა ერთ-ორ კვირას და ისევ გაქრებოდა. მაგრამ ისე რომ, საიდან მოვიდა, საით წავიდა, არავინ იცოდა. ამბობდენ, ძმებს ყოველ მოსვლის დროს ფულს უტოვებსო; ამბობდენ იმასაც, სონამ სოფელში ორ-სამ ყმაწვილ კაცს ავადმყოფობა გადაახვიაო.

აი, ეს სონა იყო, მარინემ რომ გააცნო ქრისტინეს. ქრისტინე იმ ღამეს, როცა მშობლების სახლიდან გაიპარა, მივიდა სონასთან. იმ ღამეს მასთან დარჩა. მეორე დღეს სონამ იჭირავა ორი ცხენი, შესხდენ ზედ ისა და ქრისტინე და გასწიეს რკინიგზის სადგურისკენ. ქრისტინეს იმ სოფელში, სადაც სონას ძმები ცხოვრობდენ, ვერავინ იცნობდა და ამიტომ გამომჟღავნების შიში არ ჰქონდა. მაინც კი ისე დაიბურა სახოცით თავ-პირი, რომ თვალებს გარდა, არა უჩანდა რა. რკინიგზის სადგურზე ეფიქრებოდა, - მამა არ დამიხვდესო, მაგრამ აქაც მშვიდობიანად გათავდა საქმე, - არც მამა და არც სხვა ნაცნობი არ შეხვედრია, ისე ჩასხდენ მატარებელში სონა და ქრისტინე და ის იყო მიდიოდენ თბილსს.

## VI

როცა ქრისტინემ მშობლების სახლიდან თბილისს გაპარვა გადასწყვიტა, აზრადაც არ მოსვლია, დაფიქრებულიყო

იმის შესახებ, თუ რით ან როგორ იცხოვრებდა ამ ქალაქში. მაშინ მხოლოდ იმ აზრით იყო შთანთქმული, რომ გადაკარგულიყო შორს, სადაც ველარ დაინახავდენ ვერც ნათესავები, ვერც მეზობლები და ვერც ნაცნობები. ამას შემდეგ რა მოუვიდოდა გამოუცდელ ქრისტინეს, ერთხელაც არ უკითხავს თავისი თავისთვის. სონას ხომ აზრადაც არ მოსვლია ეკითხა, რა საშუალებით და რა გზით აპირებდა ქრისტინე თბილისში ცხოვრებას. “რომ მოდის, ალბათ, კიდევ იცისო”, - ფიქრობდა სონა. როცა მატარებელი თბილისის სადგურს მიუახლოვდა, სონამ ჰკითხა ქრისტინეს:

- შენ ხომ აქ ნაცნობი არავინ გყავს, ჩემთან წამოხვალ არა?

- ვაიმე, შენს იქით რა გზაი მაქ! - უპასუხა ქრისტინემ, რომელიც ისე გაბრუებული იყო რაღაც ფიქრებით, რომ მთელი გზის განმავლობაში ორჯერაც არ დაუძრავს ენა.



- აბა წევიდეთ, - უთხრა სონამ, როცა მატარებელი გაჩერდა სადგურთან.

- მივაწიეთ თუ? - იკითხა ქრისტინემ ისე, თითქო არა სურს მიწევა იქ, სადაც მიდისო.

- ჰო, ეს არის, მივედით. რა დაგმართია, რაღაც შეშინებული სახე გაქვს?

ქრისტინეს არც კი გაუგია, რა ჰკითხეს. ის გაჰყვა სონას ხმაამოუღებლად. სახეზე გამოუთქმელი შიში და მწუხარება ეტყობოდა. ერთი პირი გზა კონკით გაიარეს. შემდეგ სონამ ფაეტონი დაიქირავა და, რამდენისამე წამის შემდეგ, ერთ შორეულ, ვიწრო და უსუფთაო ქუჩაში ჩამოხტენ, პატარა, ძველ ერთსართულიან შენობის წინ.

- აჰ, სონა! სონა! - მოეგება ამათ წინ ორი ქალი, ერთი მოხუცი და მეორე ყმაწვილი.

- ეს ვინღა არის? - ჰკითხა მოხუცმა სონას და აღტაცებულის თვალით გადახედა ქრისტინეს.

- ეს ჩვენი მეზობლის ქალია, ცოტა ხნის ვადით სტუმრათ წამომყვა, - უპასუხა სონამ.

- კარგი სტუმარი მოგიყვანია! რა ლამაზები არიან ეს იმერელი ქალები, რა ლამაზები! - სთქვა დედაბერმა და მუშტრის თვალით დაუწყო ქრისტინეს ყურება.

ჯერ ათი წამიც არ გასულიყო სონას და ქრისტინეს მისვლის შემდეგ, რომ ვიღაც ერთი კაცი დაუკითხავად ესტუმრა მათ მასპინძელ ქალებს, სტუმარი ისეთნაირად ექცეოდა სონას და მეორე ყმაწვილ ქალს, რომ ქრისტინეს სირცხვილით სახე გაუწითლდა. სტუმარმა დააპირა ქრისტინესთანაც მისვლა, მაგრამ ამ ქალმა ისეთი თვალით შეხედა, რომ კაცს გაბედულობამ უღალატა. აქ სონამ კიდევ რაღაც უთხრა რუსულად. “თუ ისეთი არ

არის, მაშ რა უნდოდა აქაო”, - ჩაილაპარაკა კაცმა და შეაქცია ქრისტინეს ზურგი. უკანასკნელ სტუმარი კაცი და მასპინძელი ყმაწვილი ქალი გავიდენ ცალკე ოთახში. ქრისტინე საშინლად გაკვირვებული, თვალგამტერებული უყურებდა ყოველსავე ამას. ამ ქალის გრძნობა-ფიქრებში ისე არეული იყო ახალი შთაბეჭდილებანი, განცვიფრება, შიში, თავისი მდგომარეობის გამოურკვეველობა, რომ ცოტადა უკლდა გაგიჟებას.

- სასტუმრო რომ არ იყოს, იმისთანა კონახი არ გაქვან? - ჰკითხა მან სონას.

- რა კონახი, გულო? ფაცხა? ფაცხა აქ არ არის, - ჯერ გაეხუმრა სონა და მერე ჰკითხა:

- რა არის, ძილი გინდა თუ?

- ჰო, რაცხა თავბრუი მეხვევა.

- აი, ჩემი ლოგინი, დაწევი, შვილო! - უთხრა ქრისტინეს დედაბერმა.

- დაწევი, რა გიშავს, - ურჩია სონამ.

- არა, სონა, თუნდა საღორე იყოს, ოღონდ სტუმარი არ შამოვიდეს, რაცხა იმისთანა კონახში შემეყვანე, - შეეხვეწა ქრისტინე.

დედაბერმა და სონამ რაღაც მოილაპარაკეს თავისთვის და მერე სონამ უთხრა ქრისტინეს:

- არის ერთი პატარა ოთახი, მაგრამ მარტოს რა გაგაძლებიებს?

- კი გავძლებ, კი, მარტო მირჩევნია, ხან ხომ შენც

შამოხვალ, ოღონდ სტუმარი ნუ შამოვა და მეტი არაფერი მინდა, - უპასუხა ქრისტიანემ.

დედაბერმა წაიყვანა ქრისტიანე ერთ პაწაწინა, ნოტიო ოთახში, რომელშიაც, მტვერზე და სინესტის სუნზე ეტყობოდა, რომ დიდი ხანია შიგ არავინ მდგარიყო.

- აი, შვილო, თვეში ხუთი მანეთი ღირს მარტო ოთახი. ხარჯი თუ ჩვენთან გექნება, ის კიდევ სხვაა. მაგრამ არა უშავს რა, იოლად წავალთ. აი, სონაც ჩემთან არის, ის მეორე ქალიცა, მაგრამ კი არა აკლიათ რა. სხვებიც ბევრი ყოფილან ჩემ ხელში, მაგრამ სულ ჩემ მზეს ფიცულობენ. შენთვისაც არ ვიქნები ურიგო. - ამ სიტყვებით დედაბერმა ჩააბარა ოთახის გასაღები. მერე “პური ხომ არა გშიან? თუ გინდა მოვატანიებ”, - დაეკითხა ქრისტიანეს და, რა ქრისტიანემ უარი სთქვა, არ მინდა საჭმელიო, ძილი ნებისა დააბარა დედაბერმა და წავიდა თავისთვის.

ეს სახლის პატრონი დედაბერი, სახელად ნატალია, ერთი უთვისტომო ადამიანი იყო, არც შვილი ჰყავდა და არც ნათესავი. ახსოვდა მხოლოდ, რომ ჰყავდა დედა, რომელიც თავის სიცოცხლეს სხვის კარზე წანწალსა და მოჯამაგირეობაში ატარებდა და ამ საშუალებით პოულობდა თავისა და თავის ქალისათვის ერთ ლუკმა პურს. მამის შესახებ დედას ნატალიასთვის თავის დღეში არა უთქვამს რა, თითქო ეს ქალი უმამოდ გაჩენილაო. როცა ნატალია შვიდი თუ რვა წლისა იყო, დედა მოუკვდა. ამ დღიდან დაწყებული ღვთის ანაბარა დარჩენილი ნატალია უპატრონო ძალღივით წანწალებდა. სადაც ლუკმა პურს აჭმევდენ, იქ ეგდო და ემსახურებოდა. ამ წანწალში და სხვის სამსახურში დაქალდა ნატალია. თუმცა ეხლაც მოჯამაგირეობით უნდა ეცხოვრა ნატალიას, მაგრამ ბავშვობიდანვე თავის დარჩენისათვის ფიქრმა და ზრუნვამ იმდენი გამოცდილება, ხერხი და ემშაკობა შესძინა, რომ ეხლა სრულიადაც შიში აღარა

ჰქონდა, - შიმშილით მოვკვდებო, თუმცა ბავშვობისას კი  
ხშირად მოსვლია ასეთი განწირული ფიქრი. ეხლა  
ჯამაგირის გარდაც შოულობდა ფულს, წმინდისა თუ  
არაწმინდის გზით, ამისი კი რა მოგახსენოთ. ოცდაათი  
წლის ქალი იყო, რომ ერთ ვიღაც თერძს შეუჩნდა და  
შეართვევია თავი ცოლად. მართალია, ნატალიას ბებერი,  
ქვრივი თერძი სრულიადაც არ მოსწონდა, მაგრამ რა ექნა?  
მოსწყინდა მუდამ სხვის კარზე მოჯამაგირედ გდება,  
უნდოდა სადმე საკუთარი ბინა ჰქონოდა და ის იყო,  
იპოვა კიდევ საქმრო, რომელსაც თბილისის ერთ  
მივარდნილ ქუჩაზე თავისი საკუთარი სამოთახიანი,  
პატარა, ქონის მსგავსი სახლი ჰქონდა. ნატალიას  
სილამაზით არ აუბამს თერძისთვის თვალი. ამ მზრით ეს  
ქალი ბუნებას არ დაეჯილდოვებია, თუმცა არც ისე  
მახინჯი იყო, როგორც იტყვიან, “ძალდი არ ჭამსო” არა,  
თავისი ხერხიანობით ჩაიგდო ხელში უშვილო ქვრივი,  
რომელსაც უნდოდა ერთი მემკვიდრე მაინც დარჩენოდა

სიკვდილის შემდეგ, რომ მის ნემს-მაკრატელს დაპატრონებოდა. გავიდა რამდენიმე წელი ამათის შეუღლების შემდეგ, მაგრამ მემკვიდრე არ უჩნდებოდა, - ნატალია არ ორსულდებოდა. ერთ დღეს, თითქო ამოდენა ლოდინით თავი მობეზრდაო, თერძმა თქვენი ჭირი წაიღო. დაქვრივდა ნატალია, დარჩა მარტოდმარტო ისე, როგორც დედის სიკვდილის შემდეგ, მხოლოდ ეხლა კი სხვაგვარ ვითარებაში იყო. მართალია, ქმარს ფული არ დაუტოვებია მისთვის, რადგანაც ისე მცირე შემოსავალი ჰქონდა თავის ხელობიდან, რომ დღიურ ხარჯად და საცმელ-სახურავად ძლივს ყოფნიდათ ცოლ-ქმარს; ნატალიასაც თუ ორიოდე გროში ებადა, ისიც დაიხარჯა უკანასკნელ დროს, როცა მისი ქმარი ხშირად შეუძლოდ იყო და მუშაობა აღარ შეეძლო, მაგრამ სამაგიეროდ ნატალიას ეხლა საკუთარი ბინა და თავისი გამოცდილება ჰქონდა. მოკვდა თუ არა მისი ქმარი, მან იპოვა ვიღაც ორი მოსარეცხე დედაკაცი და მიაჩირავა ქმრის დანაშთი



სახლიდან ორი ოთახი, თვითონ კი ერთს ოთახში ცხოვრობდა. ნატალიას მდგმურმა ქალებმა რომ თავიანთი ხელობით (მოსარეცხეობით) თავი ვეღარ ირჩინეს, ნატალია ჩაერია საჭმეში, რადგანაც ეშინოდა, ეს ქალები არ წავიდნენ, სახლი გაუქირავებელი არ დარჩეს და შიმშილით არ მოკვდეთ. ის უკვლევდა თავის მდგმურებს თავის სარჩენ გზას, თუმცაღა კი ეს გზა ზნეობის მხრით ძლიერ ცუდი გზა იყო. “რა ვუყოთ, ასე რომ არ მოიქცეთ, უარესია, შიმშილით მოკვდებით და თქვენს გვამს მიწაში უმადურად დაჭამს ჭიარ”. - ეუბნებოდა ნატალია ქალებს. იმ დღიდან დაწყებული, ნატალიას სახლში საეჭვო ქალები აღარ გამოლოულან. ერთნი წავიდოდნენ, სხვები მოდიოდნენ. უკანასკნელ ნატალიამ სასარგებლოდ დაინახა სულ თავად ეკისრნა თავისი მდგმური ქალების პატრონობა; ეხლა ის ზრუნავდა იმათ სასმელ-საჭმელსა, ჩაცმა-დახურვასა და სხვა საჭიროებისთვის. გაჭირვებულთა დახმარებაც

იცოდა ნატალიამ: უპასპორტოდ გაქცეული ქალები, უსახლკარონი, ავი სენით დაუძღურებულნი ხშირად პოულობდენ მასთან თავშესაფარს. ეხლა სამი ოთახი აღარ ჰყოფნიდა ნატალიას და ამიტომ ორი პატარა ოთახი კიდევ მიადგა თავის სახლს.

ქრისტინე სრულიადაც ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა დედაბრის სიტყვები: “თვეში ხუთი მანეთი”, “იოლად წასვლა” და სხვა “მე სონასთან ვარ, სონასთან, და ეს დედაბერი რის ჩარაა?” - ჰკვირობდა ქრისტინე თავის გულში.

- აქანაი ხომ სტუმარი არ შამუა? - ჰკითხა ქრისტინემ სონას, როცა მან შეუტანა ლოგინი.

სონას გაეცინა და ასე უპასუხა:

- შენ თუ ასე ერიდე იმ სტუმრებს!.. ყოველ შემთხვევაში

კარები დაუკეტელი არ დატოვო, რალამც ასე გეშინიან.

სონა გავიდა. ქრისტინემ საჩქაროდ დაკეტა კარი ისე, როგორც სონამ ასწავლა. სალამო მოახლოვებული იყო და ვიწრო ფანჯრიანს, უმისოდაც ბნელ ოთახში სიბნელე ჩამოვარდა. ქრისტინეს ლოყებზე ისე ეხებოდა ოთახის მძიმე, ნოტიო ჰაერი, თითო ვიღაც ცივ ხელებს უსვამსო. ეს ქალი თავის დღეში ერთხელაც არ ყოფილა ასეთ დახუთულს და ნესტიან სახლში. ქრისტინე გაიზარდა მშობლების ფიცრულ სახლში, რომელშიაც მუდამ ცეცხლი ენთო კერასთან და ჭუჭუტანებიდან სინათლე და ქარი შედიოდა, რის გამოც ჰაერი მუდამ წმინდა იდგა შიგ. მართალია, უნახავს თავის მეზობლობაში ოდაც, მაგრამ სოფელში ისე პაწაწინა ოთახებს არ უკეთებენ ოდებს, როგორც ზოგიერთ სახლებს აქვს ქალაქში; ამასთან მუდამ ხალხი ცხოვრობს სოფლელ ოდებში, ცეცხლს ანთებენ შიგ, ჰგვიან და ამიტომ ჰაერიც წმინდაა იქ.

კარების დაკეტვის შემდეგ, ქრისტიანებმა საჩქაროდ გაიხადა ტანისამოსი და ჩაწვა ლოგინში. ტანში საშინელ მოთეთქვილობას გრძნობდა, თავი უხურდა, ყურები, თითქო ზარებს რეკავენ შიგაო, ისე უჭივოდა და უბუბუნებდა, ძილი კი არ ეკარებოდა.

გაახსენდა თავისი გოგი, რომელიც იმ წინა დღით ისე უმზერდა თვალებში და ჩიტივით ეჭიკჭიკებოდა. “ახლა? ახლა? შია, ტირის, მეძებს, მეძებს და ველარ მხედავს! არა, მე გული მაქ? ადამიანი ვარ? ქრისტიანი ვარ? რა გულმა შემიდლო იმის დატიება?” - უტრიალებდა ქრისტიანს ფიქრები. წარმოიდგინა თავისი მშობლები, რომლებსაც ერთ დროს ისე უყვარდათ თავისი ქრისტიანე და რომლებიც ეხლა იმან სამუდამოდ მოიძულა და მიატოვა. წარმოიდგინა ტოლ-ნაცნობნი, წარმოიდგინა თავისი სახლ-კარი, მიდამო, სოფელი, შეჩვეული ტყე-ველი, მინდორი, ქედი, წყარო, მდინარე, რომლებსაც აწი აღარ

მოელოდა, რომ როდესმე ენახა; გრძნობდა, რომ ამათი დაკარგვით მის სიცოცხლეს რაღაც ნაწილები მოაკლდა და დაიკარგა. ბოლოს წარმოიდგინა ეხლანდელი თავისი მდგომარეობა: სად იყო? ვინ ჰყავდა აქ ნათესავი, ან პატრონი, ან ნაცნობი? სონა, რომელსაც ის ჯერ ვერც კი იცნობდა კარგად, რა სული იყო? ქრისტინეს გაახსენდა, თუ როგორ გულგრილად ჰკითხა მას სონამ, როცა თბილისს მიუახლოვდნენ: “ჩემთან წამოხვალო?” “არა, რეიზა მკითხა ესე უგულოთ? მის გარდა, სხვაგან სად უნდა წავსულიყავი? რა მეშველება, სონამ რომ აღარ დამაყენოს მასთან?” - ეკითხებოდა თავის თავს.

თბილისმა თავისი მრავალფეროვანობით ისე მრავალგვარად იმოქმედა ქალაქის უნახავ ქრისტინეზე, ისე დომხალივით არეულიყო ერთმანეთში ეს ურიცხვი ახალი შთაბეჭდილებანი, რომ ანგარიში ვერ მიეცა თავისი თავისთვის, ის, რაც ნახა, ზღვა იყო თუ ხმელეთი. რომ

გეკითხა - მითხარი აბა რა ნახე თბილისშიო, ის ამ დროს ვერც ერთს საგანს ვერ დაგისახელებდა. მხოლოდ ორი შემთხვევა კი შთაბეჭდილიყო მის ხსოვნაში ისე მძლავრად, რომ აღარასოდეს აღარ ამოფხეკილა მისი ხსოვნიდან. ეს ორი უბრალო შემთხვევა იყო, თუმცა კი შემდეგ ათასი იმათზე უარესი ნახა, გამოსცადა და დაივიწყა კიდეც. აი, რა შემთხვევა იყო ეს ორი შემთხვევა, რომელიც ისე ჩარჩა ქრისტინეს ხსოვნაში: როცა ისა და სონა ჩამოხტენ თბილისის სადგურზე, ერთმა კინტომ ურცხვად შეხედა ქრისტინეს და დაიძახა: “მოსულა! მოსულა!” “ვა, მუდრეგ, რა გაღრიალებს? მოსულა ხომ არ წასულა! ჩვენ ხელთ არ არის!” - უპასუხა მეორე კინტომ. ეს ხომ უბრალო, კინტოური ოხუნჯობა იყო, მაგრამ ქრისტინე კი ისე შეაშინა ამ სიტყვებმა და კინტოს უსირცხვილო თვალებმა, რომ თითქო, რაღაც ჯადოქარის ძალით, მართლაც იმათ ხელში უნდა ჩავარდესო. მეორე - ნატალიას სახლში ის უცნობი კაცი, მოხვევნას

რომ უპირებდა. “ღმერთო, ეს რა ადამიანები ყოფილა! კაცის მჭამელები! სონა, სონა! შენ უღმერთოვ, რეიზა არ მითხარი, თუ ასე იყო? ან შენ რა სვინდისმა მოგცა აქნაი ყოფნა!” - ლაპარაკობდა ქრისტინე გულში. ოთახში დაბნელდა. ქრისტინეს მოაგონდა სონას სიტყვები: “კარები დაკეტეო”. “ეტყობა, ძალიან საშიში ყოფილა!” - გაიფიქრა ქრისტინემ და შიშით თავზე წაიხურა საბანი. ამ დროს ვილაცამ კარები დაუკაკუნა. ქრისტინეს თმები აებუძგა და ცოტა აკლდა გონების დაკარგვას, რომ ნაცნობი ხმა არ გაეგონა:

- ქრისტინე, გძინავს? - დაუძახა სონამ.

- სონაი ხარ? სხვაი მეგონე და შიშით მოვკტი!

- არ გრცხვენია! შიშით მოვკტი! ბავშვი ხომ არ ხარ?! ადე, ჩაი დალიე! - ქრისტინემ უარი სთქვა: - არ შემიძლია არც ჭამა, არც სმაო.

სონას შეებრაღა ყმაწვილი ქალი და ანუგეშა: “კი არ შეგეშინდეს, ქალო! ჩვენ აგერ ვართ, შენ გვერდით. ან რა არის საშიში? დაიძინე და ხვალ კაი გუნებაზე ადგები”. ამ სიტყვებმა ცოტათი დაამშვიდა ქრისტინე და, ბოლოს, ყოველგვარად მოქანცულს, ღრმად ჩაეძინა.

ჯერ დილის სინათლეს კარგა არ გაენათებია ოთახი, რომ ნახევრად გამოღვიძებულმა ქრისტინემ წამოიძახა: “ა, ძუძუ, ა, ძუძუო” და გადაჰყო ხელი ლოგინიდან. ქრისტინეს ასე ეგონა, შინ ვწევარო; ძილში ბავშვის ტირილი მოელანდა და ის იყო ძუძუს ჭმევას უპირებდა, რომ ხელით აკვანი ველარ ნახა, “ვაიმე!” - შეჰკვივლა მან, წამოვარდა ლოგინიდან ცოფიანსავით. მაგრამ საჩქაროდ გონს მოვიდა და გაახსენდა, სადაც იყო. მუხლებმოკვეთილი დაეცა ლოგინზე და წასკდა ტირილი: “ჩემო გოგი, ჩემო გოგი!” - იძახოდა ქრისტინე და ღვრიდა ცრემლებს.



## VII

მთელის ერთის კვირის განმავლობაში ეგდო ქრისტინე იმ ოთახში, რომელიც ნატალიამ მისცა: ხან სტიროდა და ფიქრობდა რაღასაც თვალგაშტერებული. სონას შეჰქონდა ჩაი და სადილ-ვახშამი, მაგრამ ქრისტინეს ჭამის მადა არ ჰქონდა. ჩაის კი შეეჩვია და, მისი ფიქრით, ძალიან შესაფერიც იყო ეს სასმელი ამის ჯავრიანი გულისათვის. ნატალიასთან და სონასთან ქრისტინე არ შედიოდა, რადგანაც ხედავდა, რომ “სტუმრები” ხშირად დადიოდნენ იქ. ზოგიერთი ამ სტუმართაგან განზრახ გაივლიდა ფანჯარასთან და დაუწყებდა ქრისტინეს ჭკრეტას. ამ ჭკრეტისა ძლიერ ეშინოდა ქრისტინეს. ხანდახან შედიოდა მასთან ნატალია და დაუწყებდა მასლაათს.

- რა ქენი, ქალო, კიდევ სკუჩნათა ხარ? ეე, რა ამბავია, შენს გაზდას! როგორ იქნება! რა ჭკუაა, შვილო, რომ ამ ანგელოზის თვალებს ცრემლითა სწვავ! სულ რომ ეგრე

იცით ამ ყმაწვილ ქალებმა! პირველად ჯავრიანობთ და ჯავრიანობთ! მერე კი, როცა შაეჩვევიან, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა - ქალამნად... რამდენი მინახავს ეგრე, შენსავით პირველად სულ სკუჩნობდა, სტიროდა, მაგრამ, როცა გაიცნო ქალაქი, მერე კი!.. ქალაქი სხვა რამეა, აქ თუ ყმაწვილმა ფეხი შემოდგა, მერე ქალაქისაა, ველარსად წაუვა!

ქრისტინეს ძლიერ ეჯავრებოდა ნატალიას გაზვიადებული ლაპარაკი და ეშმაკური თვალების მეტყველება. ძალაუნებურად უგდებდა ყურს მის ლაპარაკს და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავდა თავისუფლად, როცა დედაბერი გავიდოდა იმის ოთახიდან. სონას დანახვა კი დიდი ნუგეში იყო მისთვის. მხოლოდ ერთ სონასთან შეეძლო ყოველივე თავისი დარდების გამჟღავნება. უყვარდა მისი ტკბილი ლაპარაკი. სონაც თავის მხრით ცდილობდა, სხვა თუ არა,

სანუგეშო სიტყვა მაინც ეთქვა ქრისტიანეთის.

- იცი, სონა, შინ დაბრუნებას ვფიქრავ, მარა რა ვქნა, რომ ბაბას ვერ დავენახვები, მომკლავს. ნენას, კიდევ რავაც იქნება, შევირიგებ, მარა ბაბაი, ბაბაი... მომკლავს! შენ რას მირჩევ? ჰკითხა ერთ დღეს ქრისტიანე სონას.

- შინ დაბრუნება? არ გირჩევ! უამისოდაც შავ დღეს გაყენებდენ და ახლა, ამდღონ ხანს ქალაქს ნამყოფი რომ შინ დაბრუნდე, იფიქრე, რას გიზმენ! შინაური და გარეული, ყველაი შენ აგიღებს ყბათ, - ურჩია სონამ.

- აგია, ხო, აგი მაშინებს მეც. ღმერთო, ღმერთო! რეიზა გამაჩინე ასე უბედური? რომ იცოდე, სონა, რაფერ მენატრება ჩემი გოგის ნახვა! ისე ღამე არ გავა, რომ სიზმარში არ ვნახო: ხან ვითამ ტირის, ტირის, ტირის; ხან მისებურა მიმზერს თვალებში. წუხელი ცხადი მეგონა, ისე ჩავაწვინე აკვანში და ძუძუს ვაძლევდი. ნეტაი

მომკლა და ერთი დამანახვა!..

ამ ლაპარაკის დროს ქრისტინე ჩვეულებრივად არ ტიროდა, მაგრამ მის ხმაში და სახეზე გამოუთქმელი სევდა-ნაღველი იხატებოდა.

- ეგ რომ მცოდნოდა, ამისთანა ნაღვლიანი გულის იყავი, არაფლის გულისთვის არ წამოგიტანდი. ეხლა რაღა დროსია! - უთხრა სონამ.

- არ წამომიტანდი? მაშინ თუ გინდა გეთქვა ჩემთვის - რავაც მიხვალ, ცოცხლათ შეგჭამენო, მაინც წამევიდოდი, ისე მოძულეებული მქონდა თავი. ღმერთს გეფიცები, სამჯელ მივედი ჩვენი წისქვილის სათავანთან რომ ტბაია, იქინე ჩავარდები და დევირჩობი-მეთქი, მარა ოხერი სული მწარე ყოფილა! ვერ გავბედე და დავბრუნდი.

- მერე, შე სულელო, ცოდვა არ იყო, ამისთანა ჟუჟუნა

თვალეbs რომ დასარჩობათ იმეტებდი! თავს როგორ დავირჩობ! თავს მარტო გიჟები ირჩობენ, - ხუმრობის კილოთი უთხრა სონამ. სონასაც ბევრი ჯავრი და ნაღველი გამოეცადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გარეგნობით მაინც მუდამ კმაყოფილი და მხიარული იყო: მხოლოდ როცა მარტო დარჩებოდა, მწარედ დაფიქრდებოდა: “რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე! ჯერ, სანამ ეგ სახე შემრჩენია, ვიღაც ათას ოხერის სათამაშოთ და გახურებული გულის გასაგრილებლათ უნდა ვეგდო, ისიც ლუკმა პურის და ტანისამოსი-ჭინჭისათვის! მერე, როცა მოვხუცთები, ვინ იცის, რა მომელის! მოხუცებამდინაც რომელი სენი სად დამალპობს!” ასეთი უნუგემო, სასოწარკვეთილი თვალით უყურებდა სონა თავის ცხოვრებას, მაგრამ რა ექნა? გარემოების წყალობით ერთხელ ჩავარდნილი ამგვარ ცხოვრების მორევში, ველარ ხედავდა ამოსავალ გზას და მიცურავდა მის ტალღებში.

სონას ამხანაგი ყმაწვილი ქალიც შედიოდა ქრისტიანესთან, მაგრამ ქრისტინე ამ ქალთან უცხოდ გრძნობდა თავს; მერე კიდევ ისიც ახსოვდა, თუ როგორ ურცხვად გაჰყვა ის ქალი ოთახში იმ ვიღაც კაცს. ამიტომ მდუმარებით მიიღებდა და ისტუმრებდა ხოლმე ქრისტინე ამ ქალს, თუმცა ეს უკანასკნელი ცდილობდა ქრისტიანეს დაახლოვებას და იმის გულის მოგებას.

ეს მესამე ყმაწვილი ქალი თბილისელი იყო, ამის მამა ერთ კანცელარიაში მსახურებდა მწერლად და, თუმცა ღარიბად, მაინც ჯამაგირით არჩენდა ცოლსა და წვრილ შვილს. შემდეგ, არ ვიცი რა მიზეზით, სამსახურიდან დაითხოვეს. დარჩა უსაქმოდ, მიჰყო ხელი ღოთობას. უამისოდაც ღარიბი მისი ოჯახი ეხლა უფრო გაღატაკდა. მისმა მეუღლემ ველარ აიტანა სიღატაკე და ქმრის ცუდი ყოფაქცევა: ჩავარდა ჭლექად და მცირე ხანს შემდეგ დალია სული. დარჩენ მცირეწლოვანი შვილები ღოთის

მამის ამარა; ხშირად ხმელი პურიც კი არ მოეპოვებოდათ საზრდოდ. უპატრონოდ დაყრილი ბავშვები დაეჩვიენ ქუჩა-ქუჩა წანწალს და, ვინ იცის, რა გარყვნილებას არ ჩადიოდენ მთელი დღის და ღამის განმავლობაში! დაიზარდნენ ამ თრევა-წანწალში. მამა მოუკვდათ, მაგრამ თუნდა ცოცხალიც ყოფილიყო, შვილებისთვის მაინც ვერაფერი იმედი იქნებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ, შვილებმა მიყიდ-მოყიდეს, თუკი რამ კიდევ გადარჩენოდა იმათ ლოთ მამას გაუყიდელი, გაინაწილეს ფული და გაშორდენ ერთმანეთს. ამის შემდეგ, უფროსი ქალი გაიქცა სხვა ქალაქში ვიღაც ერთ მოქეიფე ყმაწვილთან, და მას უკან აღარავის გაუგია, რა მოუვიდა - მკვდარი იყო თუ ცოცხალი; ერთი ვაჟი ციმბირში დაკარგეს ვიღაც მდიდარი კაცის მოკვლისა და გაძარცვისათვის; მეორე ძმა (სულ ხუთნი იყვენ - ორი ვაჟი და სამი ქალი) ლოთობა-კინტოობაში ატარებდა თავის სიცოცხლეს; ერთი ქალი მოკვდა. ყველაზე

უმცროსმა, ლიზამ, ის იყო, ნატალიასთან იპოვა თავშესაფარი. ლიზა არ იყო მაინცდამაინც ლამაზი ქალი, მაგრამ მისი სიყმაწვილე და ჯანსაღობა ავსებდა ამ ნაკლს.

ერთ დღეს ნატალიამ და სონამ ქრისტინე ცირკში წაიყვანეს. ამათ ცოტათი გაართო ქრისტინე. იმ დღეს კარგ გუნებაზე დაიძინა. მეორე დღეს ჩვეულებრივ შეაწვა გულზე სევდა, მაგრამ ნატალიამ ფაეტონში ჩაისო და სასეირნოდ წაიყვანა. ეტყობოდა ამ სეირნობამაც დიდად ასიამოვნა ქრისტინე. გავიდა კიდევ ხანი და ქრისტინე ცოტა-ცოტათი შეეჩვია თავის მდგომარეობას. ნატალია ამჩნევდა ამას და ძლიერ სასიამოვნოდაც ჰქონდა.

- აკი გითხარი, ქალო, შეეჩვევი-მეთქი, ეხლა ხომ აღარ ხარ სკუჩხათ? - შეილაპარაკა ერთ დილას ნატალიამ და შევიდა ქრისტინესთან. - ეხლაც აღარ გადმოხვალ ჩვენთან? არ გირჩევნია ჩვენთან იძინო? - ჰკითხა მან ბოლოს.



- აქანაი რა მიჭირს? - უპასუხა ქრისტიანემ.

- აქ მარტო ხარ, მოგწყინდება. იქ კი ყმაწვილები დადიან, გაერთობი, ის სჯობია.

- მე აქანაი მირჩევნია.

- მართალია, შვილო, გირჩევნია, მაგრამ აქ ქალაქია, ყველაფერი ფული ღირს. ჯერ ოთახის ქირა, მერე ხარჯი, ცოტა არ არის. ყველას თავისი ანგარიში აქვს. თუ შენვე არ ეცადე, შვილო, ვინ უნდა დაგარჩინოს? ჩვენ თითონაც ძლივს გამოგვაქვს თავი. თუ ჭკუით მოიქცევი, შენისთანა ანგელოზს თავის რჩენა რათ გაუჭირდება! აი, სონა და ლიზაც თავის თავით ცხოვრობენ. მოდიან ყმაწვილი კაცები, ატარებენ დროს და ფულს აძლევენ. შენ ხომ ბევრად ლამაზი ხარ სონასა და ლიზაზე, შენ უფრო გაჩუქებენ ფულს.

ქრისტიანე თვალეზგაშტერებული უყურებდა დედაბერს, რომლის ლაპარაკიდან ბევრი ვერც კი გაიგო რა. ისე კი მიხვდა საზოგადო აზრს, რომ დედაბერი სახლის და ხარჯის ფულს სთხოვდა და თან აჩვენებდა გზას, საიდანაც უნდა შეეძინა ქრისტიანეს ეს ფული. ქრისტიანემ ვერ მოახერხა პასუხი დედაბრის სიტყვებზე; “სონა თუ დამიხსნის, თვარა სხვა რა გზაი მაქ”, - ფიქრობდა უბედური.

- მოიფიქრე, შვილო, მოიფიქრე! - ურჩია ბოლოს დედაბერმა და გავიდა გარეთ. ამის შემდეგ, სონა რომ შევიდა, ქრისტიანე მეტად დაღონებული დაუხვდა.

- რა დაგმართია? - ჰკითხა სონამ.

- ნატალია არ მაყენებს, ქირა მომეციო, - უპასუხა ქრისტიანემ, - სად ვიმოვნო ფული? ჩამჩემებია, ყმაწვილი კაცები გაჩუქებენო. მე, სონა, სიავე რაც ვქენი, იგიც

მეყოფა! მშვიერი მოვკტები და ამას ვერ შევიძლებ; სონა, მომეხმარე, ვინმესთან გოგოთ დავდგები, ერთ ნატეხ ჭადს და ძველ ნაცმევ ტანისამოსს ნუ დამამადლის და სხვაი არ მინდა. შენი ჭირიმე, სონა, მომეხმარე რამე.

- რა უნდა ვქნათ, ჩემო ქრისტინე! აქ ძალიან ძნელი საპოვნია სამოჯამაგირო ადგილი. ათასი მშვიერი ქალი და კაცი ტრიალებს ამ ქალაქში და ეძებს მოჯამაგირეთ დასადგომ ადგილს, მაგრამ მეთედვიც ვერ შოულობს. მერე კიდევ შენ, სადაც უნდა დადგე მოჯამაგირეთ, ძალით იქნება თუ ნებით, ერთ დღეს მაინც ვერ აცთები იმას, რისიც ახლა ასე გეშინია. გოგოები სოფელშიც ვერ ინახავენ თავს წმინდათ, თორემ თბილისში, რა სათქმელია! ამიტომ გირჩევ, ამ თავითვე შეურიგდე ბედს. რა ვუყოთ! მეც ვიცი, რომ კაი საქმე არ არის, მაგრამ რას იზამ, ჩვენს იღბალს რომ აქ მოვუყვანივართ! არაფელია, პირველათ გაგიძნელდება, მარა ადრე შეეჩვევი. განა ჩვენ

ადამიანები არა ვართ, რომ შევეჩვიეთ?

- რა ვქნა, სონა, ისე მეშინია, შემჭამენ, მგონია!

- ვიცი. პირველათ ისე გეჩვენება, თორემ აბა მერე ნახე, თუ შეგეშინოს!

- არა, სონა, ამას ნუ მეტყვი! შენ იმდონი სიკეთე მიყავი, რომ თუ გაქ, ნატალიას მიეცი ჩემ მაგიერ ქირა. ამასობაში ღმერთი მოწყალეა, რამეს გევიკლოვ, ვინმე დიდკაცს გოგო რავა არ დასჭირდება?

სონას გაეცინა და მერე უთხრა:

- აბა რა უნდა გეიკვლიო, ქრისტინე? ვინ გყავს შენ აქ, რომ გიპატრონოს? ჩვენისთანებს ნატალია, ან მისთანა ვინმე თუ უპატრონებს, ისიც მაშვინ, თუ სარგებელს ხედავს შენგან, თორემ სხვა გზა სად გაქვს! მერე კიდევ შენ

პასპორტიც არ გაქვს. აქ თუ ნატალიამ არ მოგიხერხა რამე, პოლიცია დაგიჭერს და დედ-მამასთან გაგაგზავნის. ნატალია, იცოდე, თუ მის პირობაზე არ დაეთანხმე, შენტვის თავს არ შეიწუხებს.

შესაძლებელია, სხვა ქალისთვის სონას ასეთი გულითადი რჩევა არც დაეწყო. პირიქით, ქრისტინეს ადგილზე რომ სხვა ქალი ყოფილიყო, სონა ეტყოდა: “დედაკაცო, რას მეტიჩარობ! განა შენ ჩვენზე უკეთესი ხარ, რომ ვერ გაგიმეტებია თავი? ბევრს ნუ ლაპარაკობ, ან შემოდი ჩვენთან ფსონში, ან არა, აქედან დაგვეკარგეო!” - მაგრამ ქრისტინე ისეთი რბილი არსება იყო, რომ, რაც უნდა გულქვა ყოფილიყო ადამიანი, მაინც სიბრალოულსა და სიყვარულს გრძნობდა მის მიმართ.

სონას რჩევამ ძლიერ დააფიქრა ქრისტინე. იმ დღეს არც სადილი უჭამია და არც ვახშამი. ნატალიას, თითქო ემდურისო, ხმას არ სცემდა. “რა უნდა ვქნა? - ფიქრობდა

ქრისტიანე - შინ დაბრუნება აღარ შემიძლია. ან, რომ თქვას კაცმა, შინ არ იყო, რომ სამჯელ მივედი წყალზე თავის დასარჩობათ. მართალია, მე შინა მიყვარს, ცას და ქვეყანას მირჩევნია, მარა მე აღარ ვუყვარვარ შინას, ყოველ დღე იმას მიჩიოდენ - მომკტარიყავი, უკეთესი იყოვო. ახლა მაინც, რომ მივიდე, ბაბას ვერ გადვურჩები მოუკლავი. არა, შინა აღარ არის ჩემდა, გავათავე, მოვშორდი შინას! აწი აქანაი უნდა გევიკვლიო რამე. მარა რაი? სონამ მართალი თქვა: ვინ მყავს მე აქანაი პატრონი? ნატალიეი, თუ სარგებელს არ ხედავს, არ დაგაყენებსო. სონას თუ რამე დუურჩა, არ დამამადლის, მარა რა აქ? ისიც ნატალიეის ხელშია. ან რეზა უნდა მომცეს სონამ? თუ გინდა, შენც ჩემსავით იშონეო, მეტყვის. იმან რომ არ მითხრას, ჩემითაც უნდა ვიფიქრო. გოგოთაც რომ დადგე ვინმესთან, მაინც ვერ გადურჩებიო. აბა რა ვქნა? შეეჩოვიო, სონამ. არა, ვერ შევეჩოვი! მოვკეტე, ვერ შევეჩოვი! ვერა, ვერა!” - იწყებდა, ათავებდა და ხელახლავ

უბრუნდებოდა ქრისტინე ამავე ფიქრს.

ასე გაატარა მთელი დღე. თავი საშინლად უხურდა და სტკიოდა. დაღამდა, ქრისტინე დაწვა ლოგინში, მაგრამ ძილი კი არ ეკარებოდა. რამდენსაც უფრო უკვირდებოდა თავის მდგომარეობას, იმდენად უფრო უნუგეშოდ და ყოველ მხრით გზამოჭრილად გრძნობდა თავს. შუალამე გადასული იყო, როცა ფიქრებისაგან მოქანცულ ქრისტინეს დაეძინა. მეორე დღეს რომ გაიღვიძა, თავიც და გულიც ისე დამძიმებული ჰქონდა, თითქო ლოდები ჩაუწყვიათ შიგაო. გამოღვიძების შემდეგ დიდხანს თვალგამტერებული იწვა. შემდეგ თითქო რაღაც ახალი ფიქრი დაეძრა, მაგრამ ვერ გამოერკვია ჯერ კიდევ. “სონამ მართალი თქვა, ჩემ იღბალს ასე უჭრია, რა ვქნა, თავს ხომ ვერ მევიკლავ?! ვითომ მე სონაზე უკეთესი ვარ, მის ტოლობას რომ არ ვკადრულობ? სონა თუკი შეეჩვია, მე რაღა ვარ, მეც შევეჩოვი! რა ვუყო, შევეჩოვი!” -

გარკვევით გაურბინა უკანასკნელ თავში ფიქრმა; ერთი კიდევ გაიმეორა ეს გადაწყვეტილება და ბოლოს დაეთანხმა კიდეც, თითქო ამის წინააღმდეგ აღარ მოიძებნება რამ მოსაზრებო. დიად, გადასწყვიტა დასდგომოდა იმ აზრს, რომლის გარდა, მისი ფიქრით, სხვა გზა არ არსებობდა, მაგრამ ამასთან ისეთი სევდა შემოაწვა გულზე, თითქო ამ ქვეყნიერებას სტოვებს და სხვა პლანეტაზე მიდის ძალაუნებურადო, თითქო ყოველივე რაც ცოტაოდნად მაინც მის გულს ათბობდა, რასაც პატივსა სცემდა, უფსკრულში შთაინთქაო. თითქო უნდა გამოიტიროს ყოველივე ესეო, წასკდა ცხარე ტირილი. დიდხანს, დიდხანს ტიროდა პირქვე დამხობილი.

ბოლოს ადგა, მოიწმინდა ცრემლები და შევიდა ნატალიასთან.

- რა ამბავია, ქალო, თვალები რომ ტირილით



დაგისივებია? - უთხრა გულმტკივნეულად ნატალიამ.

ქრისტინეს ყურადღებაც არ მიუქცევია ნატალიას სიტყვებისათვის.

- მე იმიჯა მოვედი, მეც სონასავით შენთან მინდა დავდგე,  
- ცივად უთხრა დედაბერს.

- აკი გითხარი, შვილო, ჩემი ხარ-მეთქი! მე რომ თვალს შევაკლებ, მერე ჩემია! მე ვიცი შენი პატივისცემა! - სიხარულით და ალერსით შესძახა ნატალიამ.

სონამ შეხედა ქრისტინეს თვალებზე და რაღაც სიბრალოლით უთხრა:

- გეტყობა, კარგი გლოვა-ტირილი გადაგიხტია ამ საქმის გადაწყვეტაზე! - ქრისტინემ მხოლოდ ნაღვლიანად შეხედა თავის დიდრონ ცისფერი თვალებით, მაგრამ კი

არა უპასუხა რა.

იმ საღამოს ნატალიამ თავისი ზანდუკიდან ამოიღო ერთი ხელი ტანისამოსი, მორთო ქრისტინე და ფაეტონით წაიყვანა სადღაც, საიდგანაც თითონ ნატალია იმ საღამოსვე დაბრუნდა, ქრისტინე კი მეორე დილას მოიყვანეს ფაეტონითვე.

ამას შემდეგ ჩქარა გაითქვა ქრისტინეს სილამაზე თბილისის მოქეიფე ყმაწვილ კაცებში. არ ვიცი, როგორ მოახერხა ეს ნატალიამ, მხოლოდ ეს კია, რომ ქრისტინეს თბილისში ყველა ურიის ქალად იცნობდა და სახელად რახილას ეძახდენ.

## VIII

გავიდა ხანი მას შემდეგ, რაც ქრისტინე გაიპარა მშობლების სახლიდან. დათია გაჭალარავდა. მისი

მეუღლე მარიკაიც საკმაოდ მოხუცდა და მოტყდა. ქრისტინეს ვაჟი, გოგი, ეხლა თავის ბაბუას ახლომანლო ყანებში მარტო უზიდავდა სადილს, იმოდენა გაიზარდა. გოგია მეტად საღი, თვალტანადი, ცქრიალა და საყვარელი ბავშვი იყო. მარიკას და დათიას ისე უყვარდათ გოგი, რომ იმაზე მეტად არც ერთ მშობელს არ შეუძლია უყვარდეს თავისი შვილი. რაც უნდა ჯავრიანი და ნაღვლიანი ყოფილიყო დათია, ცელქი, მოტიტინე გოგი რამეთი მაინც გააცინებდა; გოგის ბავშვური, ზარვით წკრიალა სიმღერა ერთ წამს მაინც გადასწმენდდა მის გულიდან დარდს. თუ რამ სიხარული იყო დათიას ოჯახში, ისევ გოგისაგან. მხოლოდ ერთი რამ სჭირდა გოგის ცუდი: მეტისმეტი ანჩხლი იყო. როცა გააჯავრებდა ვინმე, ეს თოვლივით თეთრი ბავშვი, როგორც კუპრი, ისე გაშავდებოდა და დანა შეხვდებოდა ხელში თუ წალდი, სულ ერთი იყო, მიიწევდა გამჯავრებლისაკენ დასაკრავად, გინდა შინაური ყოფილიყო, გინდა გარეშე, არ დაერიდებოდა.

ამბობდენ, ეს საშინელი სიანჩხლე მას შემდეგ დასჩემდა, რაც მეზობლის ბავშვებმა დაუწყეს გაჯავრება და ძახილი - ბუშალიაო.

გოგის მამა, იასონ უქმაძე, ეხლა დასარისტიანებული იყო: მელანივით შავი წვერი გრძლად ჰქონდა მოშვებული. სოფელ ნიგვზიანში ყველა ერიდებოდა და პატივსაცემდა ამ თავმომწონე აზნაურს. ბეჟანს ჩაებარებინა ამისთვის ოჯახში უფროსობა და თითონ ეხლა მოსვენებით ცხოვრობდა. შვილებიც ჰყავდა იასონს. ერთი მისი შვილი სკოლაში დადიოდა კიდევ. მხოლოდ ცოლქმრობა კი ვერა ჰქონდა ტკბილი იასონსა და მის მეუღლეს: იჭვიანობდენ ერთმანეთის შესახებ, და უსაბუთო იჭვიც არ იყო ეს იჭვი. ერთხელვე დაჩვეულ იასონს ხშირად ეჭირა სხვებზე თვალი და, თუ შემთხვევას ნახავდა, ზურგს არ შეაქცევდა. თავისი მხრით იასონის მეუღლევ არ რჩებოდა ქმარს უკან, და,

როგორც ამბობდენ, ორ-სამჯერ ნახა მამამთილმა, რომ მისი რძალი და ერთი ნიგვზიანელი ყმაწვილი აზნაური სხვაგვარს ლაპარაკში იყვენ გართული და ერთად დროს ატარებდენო. ხანდახან იქამდე მიაწევდა იასონისა და მისი მეუღლის შორის უკმაყოფილება, რომ განქორწინებას ცოტალა უკლდათ, მაგრამ როგორც იყო, ბოლოს რიგდებოდენ ერთმანეთში. გოგი, რა თქმა უნდა, თავის შვილად არ მიაჩნდა იასონს. მხოლოდ როცა ვინმე გაეხუმრებოდა: “ესა და ეს ბავშვი (გოგი) შენი მზგავსიაო” - იასონი გადიხარხარებდა და უპასუხებდა: “ჩემია და აბა რა გასაკვირველია, რომ მე მემზგავსებოდეს!” მერე დაატანდა: “იცით, რა ლამაზი იყო მისი დედა? მთელი წელიწადი მოვუნდი იმის ხელში მოგდებას. ნეტა სად არის ახლა!?”

დიდი ხანია ქრისტინე აღარავის ენახა სოფელ ნიგვზიანში. ხალხს კიდევ დაავიწყდა ისიც და იმის

ამბავიც. მხოლოდ სოფლის ბიჭების სიმღერებშიღა თუ დარჩენილიყო, მაგალითად, შემდეგი ლექსები:

დავწევი და გულში ჩამყვა,  
ჩამყვა, ვერ დავიძინეო,  
დავდნი მერე, რაც ის ვნახე,  
დათიეის ქრისტინეო.  
ჩემო მკვლელიო, ჩემო მწველო,  
თვალჟუჟუნა ქრისტინეო,  
ერთი მაინც მაკოცნინე,  
ეს ვედრება მისმინეო! და სხვ.

ქრისტინე ვერ დაევიწყათ მხოლოდ მის მშობლებსა და და-ძმებს. “ვაი ჩემ დღეს, რა შვილი დამელუპა!” - ამოიხვნეშებდა ხშირად დათია, მაგრამ ისე მწარედ და ნალვლიანად, რომ ცრემლი მოერეოდა მაცურებელს. მარიკაი კი მიუჯდებოდა სახლის ღოჯეს, - სწორედ იმ

ლოჯეს, სადაც ქრისტიანეს უყვარდა ჯდომა, იგონებდა თავის ქრისტიანეს და ღვრიდა ცრემლებს. მართალია, მარიკას მარჩიელები ანუგეშებდენ: “შენი ქრისტიანე ვინცხა ერთ დიდკაცს ყავს ცოლად და ერთ დღეს, თქვენ სიზმარ-ცხადი არ გეცოდინებათ, ისე გესტუმრება ქმარ-შვილიანადო”.

ეს მარჩიელის სიტყვები დიდი იმედი იყო გლეხი დათიას და მისი მეუღლისათვის; ისინი მუდამ დღე მოელოდენ - აი დღეს, აი ხვალ გამოჩნდება ჩვენი ქრისტიანეო. რამდენსაც ძალლი დაიყეფდა, იმდენს კარებს მივარდებოდა მარიკაი. ცხენოსან ქალს რომ დაინახავდა მომავალს, გული სიხარულით დაუწყებდა ცემას, - ჩემი ქრისტიანე იქნებაო. მაგრამ გავიდა წლები მას შემდეგ, რაც მარჩიელმა ქრისტიანეს მოსვლა იწინასწარმეტყველა, და ქრისტიანე კი არ გაჩნდა. ისიც ვერ გაიგეს დათიამა და მარიკამ, სად იყო მათი ქალიშვილი. ერთხელ კი ვილაცამ

მიუტანა ამბავი, ქრისტინე თბილისში არისო (თუ როგორ გაიპარა ქრისტინე, ეს მისი მშობლებისთვის სამუდამოდ შეუტყობელი დარჩა). ამ ამბით აღტაცებაში მოსულმა დათიამ, როგორც იქნა, იშოვა საგზაო ფული და წავიდა თბილისს. მაგრამ, მოგეხსენებათ, გამოცდილთათვისაც ძნელია თბილისში ასეთი საქმის გაგება, თორემ სოფლელი გამოუცდელი გლეხი რას გახდებოდა! დათიას, ჯერ მატარებლიდან თბილისის ვაგზალზე რომ ჩამოხტა, მაშინ კინალამ აერია გზა-კვალი და არ დაიკარგა თბილისის ქუჩებში. მერე როცა ერთმა ვიღაც მაღლიანმა კაცმა აჩვენა დუქანი, სადაც შეეძლო ღამის გათევა, მოჰყვა ჩვენი დათია კითხვას: “აქანაი ქრისტინას თუ იცნობთ, სა დგას, მასტავლეთო” ამაზე ბევრმა სასაცილოდ აიგდო გამოუცდელი გლეხკაცი, რაც ძლიერ აჯავრებდა დათიას. ბოლოს ვიღაცამ პოლიცია დაუსახელა, იქ იკითხო. დათია დიდის ძებნითა და კითხვით მიადგა პოლიციას.



“შენ რომ ამბობ, იმდენ ხანს აქ უპასპორტო ქალს არავინ მოაცდევინებდა. ტყუილია, აქ არ არის შენი ქალიო”, - უპასუხეს პოლიციაში, როცა როგორც იყო, გააგებინა თავისი თხოვნა. დათია დაბრუნდა შინ ხელცარიელი.

მარკა ლოგინიდან ისე არ წამოდგებოდა დილას, რომ ქრისტინეს შესახებ სიზმარი არ ეთქვა:

“ვითამ ძუძუისმწოვარა იყო და ხელში ვათამაშებდი ჩემ ქრისტინას...” “ვითამ ვათხოვდით, მაყრები ცხენებზე იჯდენ და გაიძახოდენ: გვიგვიანდება, გადარჩით, მოგვეცით ქალიო, მარა ქრისტინაი ტიროდა და ვერ გვშორდებოდა...” “ვითამ მოკაზმულიყო და მისებური ჯილასავით საყტარზე მიმყობოდაო...” და ვინ მოსთვლის, რაგვარი სიზმარი არ უთქვამს მარკას! ერთ ღამეს კი მეტად გულგამხეთქი სიზმარი ნახა: ვითომც მისი ქრისტინე ხუთი წლისა იყო და თავისებურად ეზოში დაპარპარებდა და თამაშობდა. ამ დროს ჩამოირბინა

სერიდან მგელმა, დაავლო პირი და წაიღო, მარიკაი დაედევნა უკან, მაგრამ სად არის, თვალიც ველარ მოჰკრა! ამ სიზმარმა ისე შეაშინა მარიკაი, რომ იმ სიზმრის შემდეგ გულის ფრიალი და მშვიშარობა დასჩემდა. დათიამაც იცოდა ხანდახან სიზმრის თქმა, მაგრამ დათიას სიზმარი უფრო მოკლე და მარტივი იყო, მაგალითად, ერთ დილას წამოდგა და უთხრა ცოლს:

- წუხელ ქრისტიანი მოსულიყო და ქე იჯდა შენთან.

პატარა გოგამ კი არაფერი იცოდა დედისა და არც ნაღვლობდა. მართალია, შინაური და გარეშე ხშირად ეუბნებოდენ: “კაი დედა გყავდა, ლამაზი დედა გყავდაო”, მაგრამ იმას მაინც ვერ წარმოედგინა სხვა დედა - გარდა მარიკაისა, ის მარიკას უწოდებდა ნენას.

დებსა და ძმებსაც მუდამ ახსოვდათ საყვარელი და - ქრისტინე. “ვაიმე, დაო! შენისთანაი ჩვენში არც ერთი არ

რევია!” - იტყოდა ამოოხვრით ხან ერთი და ხან მეორე. ხანდახან კიდევ აყვედრიდენ დედ-მამას: “თქვენ მოაძულეთ თავი და დაკარქეთო”. ამ საყვედურზე მარიკაი ტირილს მოყვებოდა. დამწვარს დედას აგონდებოდა ის სიტყვები, რომლებიც ქრისტიანებმა გაპარვის წინა დღით უთხრა: “მარჩიელი იმას მიჩივა, რაც შენ და ბაბას გინდა ჩემთვის, - მოკტებო”. ქრისტიანებს დაკარგვის შემდეგ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს მწარე საყვედური. დათია კი შვილების საყვედურზე ხმას არ იღებდა, მაგრამ სახეზე კი ეტყობოდა, რომ ეს საყვედური ძლიერ სტანჯავდა.

მარიკას ბოლოს დროს თვალთ დააკლდა. ამ დროს ის მეტად შესაბრალოისი იყო: როცა რომელიმე შორეული მეზობლის ქალი მივიდოდა მასთან სტუმრად, ძალდატანებით უმზერდა, - იქნება ჩემი ქრისტიანია, მარა ჯერ არ ამჟღავნებს მოსვლასაო.

მიდიოდა ასეთ უიმედო, დაუსრულებელ ლოდინში მოხუცი დათიას და მისი მეუღლის სიცოცხლე.

## IX

კარგა ხანი გასულიყო მას შემდეგ, რაც ქრისტიანებმ პირველად დასდგა ფეხი თბილისში. მას შემდეგ კიდევ ბევრი ქრისტიანეს მსგავსი სტუმარი მიიღო ამ ქალაქმა. ნატალია აღარ იყო ცოცხალი. იმ ადგილას, სადაც ერთ დროს ნატალიას სახლი იდგა, ეხლა ორსართულიანი ლამაზი შენობა გამოეჭიმათ და ვიღაც ცოლშვილიანი მდიდარი კაცი იდგა შიგ. ქუჩიდან ქუჩაში დადიოდა ერთი სახედასახიჩრებული, სნეული დედაკაცი და გამვლელ-გამომვლელთ სთხოვდა: ღვთის გულისთვის, მიწყალობეთ ერთი გროშიო. უმრავლესობა ჩვეულებრივი გულცივობით უქცევდა გვერდს, მაგრამ გამოერეოდა ხანდახან ისეთიც, რომ ერთ ან ორ კაპეიკს აძლევდა ამ მათხოვარს. ქალაქის გუშაგნი ხშირად სდევნიდენ ამ

დედაკაცს, რადგანაც, ამათის ფიქრით, ეს დედაკაცი სხვა მათხოვრებზე უფრო აძულებდა ხალხს თავს. “Жидовка проклятая. Проходу не дает людям”, უწყობოდა ხან ერთი გუშაგი და ხან მეორე. ამ წყრომაზე დედაკაცი მოშორდებოდა შუა ქუჩას, დაჯდებოდა სადმე ქუჩის კუთხეში და იძახოდა: გამიკითხეთ, ღვთის გულისთვისო, მაგრამ, რა რომ აქ ყურადღებას არ მიაქცევდენ, ისევ გადიოდა შუა ქუჩაზე და ეჭირა გაწვდილი ხელი. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს დედაკაცი ქრისტინე იყო, ის ლამაზი, მორცხვი ქრისტინე, რომელიც ერთ დროს ისე უტოკებდა გულს და ანატრებდა თავს ნიგვზიანის ყმაწვილკაცობას. გარდა ცისფერი თვალებისა, რომლებიც ეხლა ისე შესაბრალისად გამოიყურებოდა მის დაგლახაკებულ სახიდან, აღარაფერი მოგაგონებდათ ადრინდელ ქრისტინეს.

ქრისტინე და სონა, სანამ არ მოკვდა დედაბერი ნატალია,

არ მოშორებიან მას. ნატალიას სიკვდილის შემდეგ რამდენსამე ხანს კიდევ ერთად ცხოვრობდენ ისინი. შემდეგ ქრისტინე ვილაც ერთმა ოფიცერმა აიყვანა ხასად. კარგა ხანს ცხოვრობდა ამ ოფიცერთან. როცა ოფიცერს მოსწყინდა, ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, როცა “რახილა გახუნდა”, ოფიცერმა ვილაც სხვა ქალი შეიყვარა და ქრისტენს თავი დაანება. დაიწყო ქრისტინემ ცალკე ცხოვრება (სონასი და ლიზასი, რაც ერთხელ მოშორდა, მას შემდეგ აღარაფერი გაუგია). თუმცა თავისი სილამაზისა ბევრი აღარა შერჩენოდა რა, მაგრამ სახელი ურიის ლამაზი ქალის ჯერ კიდევ ბევრ მოქეიფე ყმაწვილს იზიდავდა მისკენ.

ერთ დღეს ვილაც ყმაწვილებმა ჩაისვეს ქრისტინე ფაიტონში და გასწიეს ორთაჭალისკენ, სადაც მთელი ღამე დუდუკით და ღვინის სმით უნდა გაეტარებიათ. არ გასულა ორი-სამი საათი სმის დაწყების შემდეგ, რომ

მოქეიფეთ მოუვიდათ ჩხუბი ქრისტინეს გამო და შეიქნა ხანჯლების ტრიალი.

- რას გაგიშტერებია თვალები, წამო რაღა! - უთხრა ერთმა ყმაწვილმა ქრისტინეს და მოჰკიდა ხელი წასაყვანად.

- თავი მამიკვდეს, თუ ეგ აქედან გაგატანო! მაშ, მე დედაკაცი ვყოფილვარ! - გადაუდგა წინ მეორე ყმაწვილი ხანჯლით.

- გასწი - მეთქი! აბა, ბიჭია და გაგიბედოს ვინმემ ხელის ხლება! - შესძახა პირველმა ყმაწვილმა ქრისტინეს და გაიგდო წინ.

- ეე! ხედავ ამ ხანჯალს? ლუკმა-ლუკმა აგკუწავ, თუ არ გაჩერებულხარ! - მიუტანა ხანჯალი ქრისტინეს სახესთან მეორე ყმაწვილმა.

- გასწი-მეთქი!

- არ იშლი? მიგყავს რაღა!

- მიმყავს!

- ვერ წაიყვან!

- წავიყვან!

- მაშ, აჰა, თუ წაიყვან! - ამ დროს რამდენჯერმე გაიელვა ქრისტინეს სახეზე იმ ყმაწვილის ხანჯალმა, რომელიც ქალს წინ უხვდებოდა, და რამდენსამე ადგილას დაჭრილი ქალი გულშემოყრილი დაეცა ძირს.

- აი, წაიყვანე! - დაიძახა ქალის დამჭრელმა ყმაწვილმა და გაიქცა. იმას გამოუდგენ სხვებიცა და გულშემოყრილი ქრისტინე კი დარჩა იქ.



როცა ქალი გონს მოვიდა, წამოდგა ზეზე; მისდა ბედად იქ ერთი კინტო შეხვდა და იმის შემწეობით მიაღწია თავის ოთახს. მეორე დღეს ქრისტინემ განუცხადა პოლიციას, რაც შეემთხვა, მაგრამ რადგანაც ქრისტინემ იმ ყმაწვილი კაცების შესახებ, რომლებმაც წინა დღით ის წაიყვანეს ორთაჭალაში და დასჭრეს, იმაზე მეტი არაფერი იცოდა, რომ ერთს კოტე ერქვა სახელად, მეორეს - ვანო, მესამეს - სოსო და სხვა, მეტი ვერც გვარი ამ ყმაწვილებისა, ვერც ის ადგილი, სადაც ეს ყმაწვილები ცხოვრობდენ, ვერ დაასახელა. დიახ, ამ საჭირო ცნობათა უქონლობის გამო პოლიციამ ვერაფერი შეწეობა ვერ აღმოუჩინა ამ ქალს, გარდა იმისა, რომ სამკურნალოში გაგზავნა და იქ მოარჩინეს. მოარჩინეს, მაგრამ სახე მეტად დასახიჩრებული გამოჰყვა. შეხედვა შეგეზარებოდათ, ისე აჩნდა ორ-სამგან ჭრილობის კვალი. ამას შემდეგ, რა თქმა უნდა, თავის რჩენა ადვილი საქმე აღარ იყო მისთვის. ხანდახან პურის ფულიც აღარ ჰქონდა და ერთი დღიდან

მეორემდე მშიერი იჯდა. ამ დროს ავადმყოფობაც გაუძლიერდა და ხშირად იწვა სამკურნალოში. უკანასკნელ სახლის ქირის მიცემაც ველარ შეიძლო და სახლის პატრონმა გარეთ გამოაგდო. ეხლა სადღა უნდა შეეფარებია თავი? დაუწყო ძებნა - იქნება ან სონა, ან ლიზა ვნახო სადმე, შესაძლებელია, გაიხსენონ ჩემი ამხანაგობა, არ დამაგდონ შიმშილით სასიკვდილოთო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ნახა. სხვა ღონე აღარ იყო, დაიწყო მათხოვრობა და ქუჩა-ქუჩა წანწალი. მაგრამ რას განდებოდა მათხოვრობით? ის თავის დღეში გამოუცდელი და ცხოვრების უცოდინარი იყო და მათხოვრობაშიაც ეგეთი უცოდინარობა და უხერხულობა თან დასდევდა. ისიც არ იცოდა, სად და რომელ ქუჩაზე დადის უფრო ბევრი ხალხი, სად ეპყრობოდენ უფრო ყურადღებით მათხოვრებს, რომელ დღეს უნდა ჩამოიაროს ოჯახები და სთხოვოს მოწყალეობა. ფულის გამოზოგვა და ფრთხილად ხარჯვაც არ იცოდა; ჩაიგდებდა

თუ არა ხელში ორიოდ გროშს, აიღევენება თან რომელსამე ნაცნობ მათხოვარს, წაიყვანდა დუქანში და ერთ კაპეიკსაც არ მოირჩენდა ისე დახარჯავდა, რაც კი ებადა. ამიტომ ხშირად ეგდო მშვიერი.

ერთ დილას, ერთმა ქალაქის გუშაგმა იპოვნა ქრისტინე ქალაქის ქუჩაზე ძლიერ ავადმყოფი. გუშაგმა შეატყობია ეს ამბავი, სადაც რიგი იყო. პოლიციის მოხელემ გამოჰკითხა ავადმყოფ ქალს, გყავს ნათესავები, თუ არაო.

- მყავს მამა, დედა, შვილი, დები, ძმები. ჩემ მამას დათიეი ქვია, ჩემ შვილს - გოგი. თვითონ მე კი რახილა კი არა, ქრისტინე მქვია, გვართ ხელმოკლიძეები ვართ, ქრისტიანები. გთხოვთ გამაგზავნოთ მამასთან. მინდა სიკვტილის წინ ერთი ჩემი გოგი ვნახო, - უთხრა ქრისტინემ პოლიციელს.

- რას ამბობ, დედაკაცო?! შენ ურიის ქალი ხარ, რახილა,

ყველა გიცნობს! - უთხრა გაკვირვებულმა მოხელემ, რომელიც თვითონაც კარგათ იცნობდა ერთ დროს “ლამაზ ურიის ქალს, რახილას”.

- არა, მე ურიის ქალი არ ვარ, არც რახილა მქვია. ეს მოგონილი იყო, ნატალიამ მოახერხა. მე დათიეის ქალიშვილი ვარ. მიქენით მოწყალება, გამგზავნეთ მამაჩემთან, ამისრულეთ ეს თხოვნა.

- მერე, სადაური ხარ, რომელი მაზრის? შეეკითხა მოხელე.

- ჩვენ სოფელს ნიგვზიანი ქვია.

- მერე, სად არის ეგ ნიგვზიანი, რომელ გუბერნიაში, რომელ მაზრაში?

ესენი აღარ იცოდა ქრისტინემ. ის ერთხანს გაჩერდა და უთხრა:

- ეგენი მე არ ვიცი. თქვენ ნიგვზიანში გამაგზავნეთ და მერე თვითონ მივაგნებ. - მოხელეს გაეცინა. ქრისტინეს სიტყვიდან ვერაფერი გაიგო, სადაური იყო ეს ქალი. ქრისტინე გაგზავნეს საავადმყოფოში.

სავადმყოფოში ქრისტინე ბრუნდს და მართალს ყველას ეხვეწებოდა, შინ გამაგზავნეთო, მაგრამ სავადმყოფოს მოსამსახურეებს და ექიმებს არც კი გაეგებოდათ ქრისტინეს თხოვნა-მუდარა. იმათ ავადმყოფის ბოდვად მიაჩნდათ ქრისტინეს სიტყვები და მის მიერ გოგის ნახვის ნატვრა.

ორი-სამი დღის შემდეგ ქრისტინე თითქო უკეთ შეიქნა, ძილი მოუვიდა, რამდენიმე კოვზი წვნიანი საჭმელი შეჭამა “აწი აღარ მჭირია ამათთან ხვეწნა, მოვრჩები და ჩემით წავალ შინ”, - აიმედებდა თავის თავს ქრისტინე. მართალია, ქრისტინემ იცოდა, რომ წასვლისათვის ფული იყო საჭირო, ფული, რომელიც არ მოეპოვებოდა, მაგრამ

ეხლა ისე ენატრებოდა თავისიანების ნახვა, რომ ამ დაბრკოლებას არაფრად სთვლიდა “ვაგონში სადმე მივიმალე (ქრისტინეს ახსოვდა, რომ თბილისში რკინიგზით მოვიდა) და ისე წავალო” - ფიქრობდა. ისიც ახსოვდა, როცა ისა და სონა მოდიოდნენ, თუ როგორ დაიმალა ვაგონის სკამქვეშ ერთი ბიჭი. “რისთვის იმალება” - კითხა მაშინ სონას. “ფული არ ქონებია, ბილეთი ვერ უყიდია და ამიტომ კანდუქტორს ემალვისო”, - უპასუხა სონამ. “მეც ისე დავიმალები, როგორც მაშინ იმ ბიჭმა ქნა”, - ამბობდა ეხლა თავის გულში ქრისტინე. აქამდეც ბევრჯერ უნატრია ქრისტინეს: “ნეტა ერთი ჩემი გოგი, ჩემი მშობლები და და-ძმები მაჩვენაო”. ახსოვდა, რომ ხანდახან სონა და ის დაჯდებოდნენ, მოიგონებდნენ თავისიანებს, თავიანთ უმანკო ბავშვობას, თავიანთ სოფლებს, მოუყვებოდნენ რამე ამბავს ამ მოგონებისას ერთმანეთს და ბოლოს ისე აღედრებოდათ ამ მოგონებით და ამბებით სევდა-

ნაღველი, რომ ორივეს ცრემლი სდიოდა თვალთაგან. ბევრჯერ გაუტარებია ქრისტინეს მთელი ღამეები ტირილით, თავისიანების და მეტადრე გოგის მოგონებაში, მაგრამ მაშინ ეს მოგონება და ნახვის ნატვრა მხოლოდ დროებით აღუძრავდა სევდა-ნაღველს და შემდეგ ისევ გაუვლიდა. მშობლებთან წასვლა და იმათი ნახვა მაშინ ერთხელაც არ განუზრახავს, რადგანაც ფიქრობდა: “მე, გარყვნილს, აღარ მიმიკარებენო”. ეხლა კი ისე გაჰღვიძებოდა იმათი ნახვის წადილი, რომ არაფერს ერიდებოდა: “გამიწყრენ, გამლაზონ, მომკლან, ოღონდ ერთი თვალი შევაკლო”, - ამბობდა ის თავის გულში. პირველად, როცა ახლად მოშორებული იყო ქრისტინე თავისიანებს, ერთ-ორჯერ თავისი გოგი კი ნახა სიზმარში, თორემ მშობლები, ნათესავები და თავისი სოფელი ძილში ერთხელაც არ დასიზმრებია, მაშინ სულ სხვანაირ, არაჩვეულებრივ სიზმრებს ხედავდა ძილში. მაგალითად, ქრისტინეს ახსოვდა იმდროინდელი შემდეგი სიზმარი:

ვითომც ეგდო ერთ საშინელ უფსკრულში; მის გარშემო ისეთი წყვდიადია, რომ ისეთი სიბნელის წარმოდგენა არც თვალების დახუჭვით და არც ბნელ ღამესთან შედარებით არ შეუძლია ადამიანს, არსად ხმა-ბაიბური არ ისმის. ქრისტინეს უნდა გაინძრეს, ფორთხვით მაინც გაიაროს ახლომანლო, ცდილობს, ცოდვილობს, მაგრამ თითის განძრევაც ვერ შეიძლო, თითქო რაღაცას მისი ხელი გაუქვავებიაო; უნდა ხმა ამოიღოს, დაიძახოს დაიძახოს, ცდილობს, იტანჯება, მაგრამ არ იქნა, კრინტიც ვერ დასძრა; გრძნობს ისეთ შიშს, რომ ცხადად შეუძლებელია ასეთი შიშის გამოცდა.

აი ასეთის, თავის მდგომარეობასთან უკავშირო სიზმრებს ხედავდა ძილში ქრისტინე უწინ, როცა ახალი მისული იყო თბილისს. ეხლა კი, როცა იმდენი ხანი გასულიყო მას შემდეგ, ათასგვარ სხვა შთაბეჭდილებათა და მოგონებათა ობი გადაკვროდა ზემოდან მის ხსოვნას, ის



ნათლად ხედავდა სიზმრებში თავის მშობლების ოჯახს და თავის სოფელს, თითქო ცხადიაო. დახუჭავდა თუ არა თვალებს დასაძინებლად, დაუდგებოდა თვალწინ ნათლად: აი, ვითომ ის ბავშვია, ისეთი ბავშვი, როგორც ახსოვდა მას თავისი თავი. მშობლები ეალერსებიან, იხუტებენ გულში. დიდი ხანია დავიწყებული ჰქონდა, რომ მშობლებმა აღდგომადღეს პირველად წაიტანეს ეკლესიაზე, მაგრამ ეხლა ქრისტინეს უნაკლოოდ განუმეორდა სიზმარში მაშინდელი შთაბეჭდილება. აი ვითომ ჭრელი ტანისამოსით მოკაზმული მიჰყვა მშობლებს ეკლესიაში. ხედავს - ეკლესია გავსილია სხვადასხვაფერი ტანსაცმელით დაკაზმული ქალებით, კაცებითა და ბავშვებით. სანთლების სინათლეზე ბრწყვიალებენ ხატები, ისმის ღვდლის ღაღადი და, თითქო თვითონ ეკლესია იძლევა ხმასაო, - გაგრძელებული გალობა. ამ სიზმრის შემდეგ რომ გამოიღვიძა ქრისტინემ, მისი ფიქრით, ვითომ რამდენსამე

წამს კიდევ ესმოდა მის ყურს ის გალობა. რა ტკბილისა და ნეტარების ღიმილით გამოახელდა ხოლმე ქრისტინე თვალებს მას შემდეგ, როცა ძილში ისე ცხადად ნახავდა ან თავის გოგის, ან მშობლებს და ნათესავებს! მაგრამ როგორ დანალვლიანდებოდა ხოლმე, როცა დარწმუნდებოდა, რომ ეს სიზმარი, მოჩვენება იყო. “ღმერთო, ერთი ადრე მომარჩინე და წამიყვანე შინ! ერთი, ერთი უნდა ვნახო და მერე მოვკტე. ჩემი გოგი ახლა დიდი იქნება!” - ფიქრობდა ქრისტინე.

გასაკვირვალი ის იყო, რომ ამ უკანასკნელ დროს იჭვი აღარ ეკარებოდა ქრისტინეს გულს. ერთხელაც არ წარმოუდგენია, რომ ჩემი დედ-მამა ეგებ აღარც კი იყვენ ცოცხალიო; გოგიც, შესაძლებელია, მოკვდაო. მას შემდეგ, რაც ის ამათ მოშორდა, ამათი ხომ აღარა გაუგია რა, მაგრამ, ქრისტინეს ფიქრით და წარმოდგენით, ყველანი კარგად იყვენ. უმოხუცებულესი ადამიანი რომ დატოვა

თავის სოფელში, ისიც კი ცოცხალი ეგულებოდა ქრისტინეს. “ახლა, შინ რომ მივალ, პირველად თუ ჩემი გოგი შემხვდა, კი ვერ მიცნობს, რომ მისი დედა ვარ. მე კი იმას ერთი შეხედვით ვიცნობ”, - ებაასებოდა ქრისტინე ფიქრებში თავის თავს.

ვინ იცის, კიდევ რამდენმა ასეთმა ფიქრმა და მოგონებამ არ გაურბინა ქრისტინეს გონებაში! ძნელი წარმოსადგენია სულის მდგომარეობა იმ ადამიანისა, რომელსაც დიდი ხანია დაუკარგავს ნათესავები და ის კუთხე, სადაც აღიზარდა, სადაც პირველად იგრძნო სიყვარული ქვეყნიერებისა, და უკანასკნელ ჟამს ხელახლა აღძვრია სურვილი და ნატვრა იმ დაკარგული ნაცნობ-ნათესავების და არემარის ნახვისა. ქრისტინე ეხლა ჩქარობდა, რაც შეიძლება, ადრე მორჩენილიყო და ადრე გამგზავრებულიყო თავის სამშობლო სოფელში, მაგრამ მისმა ავადმყოფობამ ხელახლა იბრუნა პირი და

საიმედოს არას უმზადებდა ქრისტინეს...

\*\*\*

შემოდგომის მოწყენილი დღე იყო. პირმოქუშული ცა წვიმა-ავდარს უქადოდა თბილისს. ყრუ და მდუმარე სასაფლაოზე ვიღაც ორ მესაფლავეს ჩაეშვათ სამარეში ერთი მიცვალებული და ჩქარობდენ, რაც შეიძლება, მალე მიეყარათ მიწა და დროიანად მორჩენლიყვენ საქმეს.

ეს მიცვალებული გახლდათ ქრისტინე, რომელმაც ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ განუტევა სული თბილისის საავადმყოფოში. აღარ ეღირსა იმისი ნახვა, რაც ისე ენატრებოდა უკანასკნელ ჟამს! მესაფლავეებმა გაათავეს დამარხვა, ერთი კიდეც მiasწორ-მოასწრეს საფლავზე მიწა და გამოეშურენ, რომ წვიმას არ მოესწრო მათთვის.

- რა არის კაცის სიცოცხლე! ვინ იცის, ეს დედაკაცი საიდან იყო მოსული და ეხლა სად დაიმარხა! იქნება ამის ნახვას როგორ ნატროლობდენ ამის ჭირისუფლები! - უთხრა ერთმა მესაფლავემ მეორეს.

- ეჰ, ესეა ეს წუთისოფელი! არ გაგიგონია:

ეჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა! -

უპასუხა მეორე მესაფლავემ, რომელსაც სადღაც დაესწავლა რუსთაველის ეს სამართლიანი ჩივილი ადამიანის ხანმოკლეობაზე.

1892 წ.

\* ეს პირუტყვობაა ჩემი ძმის მხრით.

წყეული ურიის ქალი. სიარულს უშლის ხალხს.

# ჯანყი გურიაში

ისტორიული რომანი 1841 წლის გურიის ცხოვრებიდან

## I

- უფ, რა გრილი ღამეა! პერანგისამარა გამოვედი და საშინლად მცვივა!
- თუ გცივა, გულზე მომეკონე და გათბები.
- გულზე? არ ჯობს. მოწიფული კაცის გული და ზღვაი ერთია. სხვაი რამე რომ გაგიპირდეს, მაშვინ რალაი? ხომ იცი, სიმონ, ჩვენი ჯვარისწერის საქმე ჯერ ცხრა ქედს გადაღმაა!
- მანა, გული მტკენია, რომ ამაზე მეტი დანდობა არ გაქ

ჩემზე! რა გეივლე გულში აგი! აბა უნამუსო ვყოფილვარ, თუ ჯვარისდაწერამდე შენ საიმგვაროთ შეგეხე! ისე იმასაც ვიტყვი, ჩვენი ჯვარისწერის საქმე, შენ რომ ფიქრობ, არც ისე დაკარგულია. გუშინ ჩემს დედ-მამასთან განგებ შენი ქება ვთქვი და ბოლოს დავატანე: ვინც გინდა თავმომწონე აზნაურმა შეირთოს, ზრახი არ ეთქმება-მეთქი. არა, მე და ჩემმა ღმერთმა, ჩვენს სოფელში მანაის ფარდი ქალი არ მოიძებნებო, დამემოწმა მამა. კაი დედ-მამის შვილია და კაი გამოვიდაო, თქვა დედაჩემმა. თუ კაია, ჩემია-მეთქი, გევივლე გულში. ერთი ორ-სამჯელ კიდევ მოვუყოლებ ამბავს და ბოლოს გავუტებ ჩხირს: მანაი ჩემია, მე უნდა შევიერთო-მეთქი. მგონია, უარი ვერ მითხრან. მეტყვიან და შენ მაინც ჩემი ხარ!

- შენი ვარ, სიმონ, შენი! აჰა, გული დანითაც რომ დასჭრა, იმ დღიდან მაინც შენია. ნუ გეწყინება, რომ ხანდახან ეჭვი შემომეპარება.



- ნუ, ნუ მოაკარეფ შენს გულს, მანა, იმ, უღვთო ეჭვს. აა, ასე დაგიკოცნი თვალებს, ყელს, გულს... კოცნა აბა სხვაი რა? სხვაფერ ჯვარის დაწერამდი და-ძმაი ვართ.

ასე საუბრობდენ გურიის ერთ სოფელში 1841 წელს, მაისის მოწმენდილ ღამეს, ისლით დახურულ ფიცრულა სახლზე ცოტა მოშორებით, დიდი კაკლის ხის ძირში მსხდომნი მანა, გლეხი X-შვილის ქალი და აზნაური სიმონ №-ძე. პირველი, მანა X-შვილის ქალი, იყო თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლის, მომაღლო მშვენივრად მოყვანილი ტანისა. მის თეთრყირმიზს, ცისფერი დიდრონი თვალებით გაბრწყინებულ პირისახეს რაღაც ისეთი გვარი მომჯადოებელი სხივი ეკერა, რომ ბერათ განყენებულსაც კი გულს უბრუნებდა და აუტოკებდა. მანას მოტრფიალე აზნაური სიმონ №-ძე ოცი-ოცდაორი წლის, საშუალო ტანის ყმაწვილი კაცი იყო. მის ლამაზ, სუფთა პირისახეს ძლიერ უხდებოდა ახალამოშლილი,

წაბლისფერი წვერ-ულვაში და დიდრონი თაფლისფერი თვალები. სიმონ, როგორც ახლო მეზობელი, თვით ბავშვობიდანვე მეგობრულად განწყობილი იყო მანას მშობლებთან და მეტადრე მანას ძმა ბესიასთან. ხშირათ დადიოდა იმათ ოჯახში და, რა თქმა უნდა, მანასაც დაახლოვებით იცნობდა. “რა ლამაზია იი ყაძახის გოგო! რა მოხდენილი სიტყვა-პასუხი აქ. ერთ ქალად მარტო იმის ჩანგურის დაკვრა და მღერა ღირს”, - ფიქრობდა ის უწინდაუწინ მანას შესახებ. შემდეგ ეს ფიქრი ნელ-ნელა სიყვარულად შეეცვალა და ეს ყმაწვილი აზნაური შეიქნა “ყაძახის გოგოს” თაყვანისმცემელი. რა რომ მანამ ყმაწვილი, ლამაზი თვალტანადი აზნაური მის მოტრფიალეთ დაინახა, თითონაც გაება სიყვარულის ბაღეში და, როცა სიმონმა მას განუცხადა, მიყვარხარ, ცოლათ უნდა შეგირთოო, რასაკვირველია, უარი აღარ უთქვამს სიმონისთვის.

რადგანაც ორივე - მანაც და სიმონიც - ერთმანეთთან შეუღლების თანახმანი და მოხარულნი იყვენ, იმათი ჯვარისწერაც ადრე უნდა მომხდარიყო. მაგრამ ამ საქმეს გადაეღობა წინ ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი: ეს მიზეზი იყო სიმონის მშობლები, რომლებთანაც სიმონი ჯერჯერობით ვერა ბედავდა ეთქვა, გლახის ქალი მანა უნდა შევირთოვო. ამ უშველებელი მიზეზის გამო მანამ და სიმონმა თავიანთი ჯვარისწერა გადადვეს იმ დრომდე, როცა რაიმე ბედნიერი შემთხვევა ამ საქმის შესახებ სიმონის მშობლების ნებართვას მისცემდათ. მისცეს ერთმანეთს პატიოსანი სიტყვა, რომ მანა სიმონის გარდა სხვა ქმარს არ გაჰყოლოდა და სიმონს მანას გარდა სხვა ცოლი არ შეერთო. აგრეთვე დადეს პაემანი, რომ ჯვარის დაწერამდე ყოველ კვირაში სამ-სამხელ ნახონ ერთმანეთი და ამ საშუალებით მოიწყვიტონ სიყვარულისაგან აღძრული ნახვის წყურვილი. რადგანაც მანას და სიმონს ეშინოდათ, დღით ვისმე ბოროტი თვალი

შემოგვესწრება, ხალხში ცუდ ხმას დაგვიყრისო, ამიტომ გადაეწყვიტათ, ღამით, როცა სოფელი ძილს მიეცემოდა, ენახათ ერთმანეთი. მართალია, სრულიად შიშს მოკლებულნი არც აქ იყვენ, აქაც ეშინოდათ, გულფიცხელმა ბესიამ (მანას ძმამ) არ გაგვიგოს ეს მარტოდმარტო ერთმანეთის შეხვედრაო, მაგრამ იმათი სიყვარულის ძალა იმდენად მძლავრი იყო, რომ ეს უკანასკნელი საშიშროება ვერ არღვევდა დათქმულ პაემანზე ერთმანეთის ნახვას.

აი, ერთი ამგვარი ნახვის პაემანი ანუ დათქმულობა ჰქონდათ მანას და სიმონს იმ ღამეს, როცა ჩვენ მკითხველო, პირველად გავიცანით ეს შეყვარებულები. მიჯნურთაგან დიდი პატივცემული და საამურად მიჩნეული მთვარე სრულის თავისი სიმრგვლე-დიდებით გამოკიდულიყო მოწმენდილი ცისქვეშე და, თითქო დედამიწის მოვერცხლ-მოოქროება უნდაო, ჩამოემო

მზისგან ნასესხები სხივები. მიჯნურთა მომღერალი ბუღბუღლის ხმა დაუწყნარებლად მოისმოდა ყოველის მხრით. ამ ორი მოწამის გარდა მანას და სიმონის ტრფიალობა-საუბარს ჰყავდა კიდევ მესამე მოწამეც. ეს მესამე მოწამე იყო ერთი დიდი ძაღლი, რომელიც ისე ახლო მიმჯდარიყო მოტრფილე ქალ-ვაჟთან, რომ გეგონებოდათ, ეს მესამე მოტრფიალე უნდა იყვესო.

იმ დროიდან მოწყებული, რაც მანამ და სიმონმა ღამღამობით ერთმანეთის ნახვა დაიწყეს, ეს ძაღლი ერთგულ დარაჯად ემსახურებოდა ამ შეყვარებულებს: ის მუდამ ფნიზლობდა, გაბრაზიანებულის ყეფით მივარდებოდა ყოველივეს, რაც კი რამ ამათ სიახლოვეს გაიჭაჭანებდა. ამ ძაღლის ერთგულობის მიზეზი ის იყო, რომ მანამ ის თავის მზრუნველობით გამოზარდა.

- მე არ მიაძება, გგონია, გულში ჩაკონება? - უთხრა მანამ სიმონს, როცა ამ უკანასკნელმა მიიკრა ის გულზე, - მეც

შენსავით გული და სისხლი მაქ, მარა მეშინია, სიმონ, ბოლოს ქვეყნის საყბო არ გავხთე-მეთქი. წელანაი მისაყვედურე: ეჭვიანოფ, დანდობა არ გაქო. ეჭვიანობით არ ვეჭვიანოფ, მარა მაინც რომ დავფიქრდები, ჩვენი ცოლქმრობა არ მოხთება, მგონია. აბა იფიქრე, შენ გვარს აზნაური ქვია, ჩემსას - ყაძახი! არა, სიზმარია ჩვენი ცოლქმ-რობა!..

- მანა, ან შენ რეიზა იტებ გულს და ან მე რეიზა მაწვალებ?  
- უთხრა წყენით სიმონმა. - თავადაზნაურობა და ყაძახობა კაცის გამონაფიქრია, ჩვენი სიყვარული ჩვენი გულღვიძლის ნამდვილი შვილია, იმისთანა შვილი, რომ სანამდი ჩვენ ცოცხალი ვიქნებით, არ შეიძლება იგი რამემ მოკლას. ჩვენი სიყვარული მაშინვე მოკტება, თვითან ჩვენ რომ აღარ ვიქნებით ქვეყანაზე. აზნაურიო! უნდა გითხრა, ახლა რომ გვარის საქმეს შევხედე, კინტრათაც არ მიმაჩნია ჩემი აზნაურობა და თუ დამიჯერებენ, არც იი

თავადობაა საბოლოო საქმე. დღეს მე ვარ აზნაური, ასე ქვია, ხვალ ეგება მე ყაძახი შევიქნა და ჩემი ყაძახი - აზნაური. ამას წამართვი-წაგართვი ქვია, მეტი არაფერი და ბევრით ჯობს, ყველას ერთი სახელი გვქონდეს. რაა რომ გეიკვირე დიდი საქმეა გაყაძახება თუ? მე გამიგონია, ჩვენი ძველი ყაძახი იყო თურმე.

- აბა რაფერ გააზნაურებულა ნეტაი? ადვილი აღარ იქნებოდა, - ცნობისმოყვარეობით ჰკითხა მანამ.

მიყურე და ქე გეტყვი, რა ადვილად უშონია. დედოფალს თურმე მუცელმა დაუცა ისე ურიგოთ, რომ გამობახთებოდა დედოფალი, თუ ერთი ჩვენი ძველი იქინეი არ შეხვედროდა. მარა იი ცხონებული ჩვენი ძველი ძაან მოხერხებული ყაძახი იყო თურმე, დედოფალის სამოქმედო მიიმისა, ასე რომ, გამოვიდა შვა დარბაზში და თქვა: მე დღეს იმისთანა საქმე მიყო ჩემმა ოხერმა მუცელმა, ისე გამაბახა ამდენ დარბაისელში, რომ ჩემი

სიცოცხლე აღარ ღირს და აწი რაც გენებოსთ, იგი მიყავითო. რალამც შენ იმდონი ზდილობა გაქ, რომ ამგვარი ბოდიშის მოხდა გააკვლიე, აზნაურობა მიჩუქებიაო, უთხრა თურმე საჩქაროთ სხვისი პირის და ხერხის გამო ბოდიშმოხდილმა დედოფალმა. აა, ამგვართ ნაშოვარი აქ ჩვენ გვარს აზნაურობა!

- უჰ, სიმონ, რა ხუმარა ხარ, რაფერ მომკალი სიცილით! - უთხრა მანამ, რომელიც ამ დროს ველარ იჭერდა თავს სიცილისაგან, - დედოფალს მუცელმა დაუცა და თქვენ აზნაურობა მოგცეს? თითო მუცლის დაცემაზე რიგდებოდა აზნაურობა?

- ღმერთმანი, მანა, ასე იყო! ჩვენს გარდა კიდევ ძან ბევრს აქ ამისთანა ახირებული რამეით ნაშოვარი ბატონობა.

- არა, სიმონ, შენ ცრუობა გაგიგონია, ბატონობა და



ყაძახობა ზეცას არის დაწესებული და დარიგებული.

- უი, უწინ მეც ისე მომატყუეს, მარა მერე რომ გავაყურე, აღარ დარჩა ასე.

- ამით მაიმედებ?

- მე იმით გაიმედებ, რომ ჩვენ შეყვარებული ვართ და ყაძახ-აზნაურობას აღარ აქ ჩვენთან ძალა. შენ ჩემი ცოლი ხარ და მე შენი ქმარი. შენი ყაძახობა და ჩემი აზნაურობა ვისაც უნდა, იმან წეილოს. თუ დედ-მამა მომიშლის ამ ჭკუაზე ყოფნას, თვითან ახლთენ იი აზნაურობა, ჩვენ გევიპაროთ სხოგან და იქინეი ვიცოცხლოთ.

- სიმონ, გაპარვა კაია, თვარა ისე ამ სოფელში არ გვაცოცხლებენ, ვიცი.

- ფიქრი ნუ გაქ, მანა, ჩვენ ერთმანეთის ვართ. სიკვტილს

გარდა რაღაა ქვეყანაზე იმისთანაი, მე და შენ რომ  
გაგვაშოროს?!

- ვინ იცის, სიმონ, აგიც არ ითქმება, რაღაა ქვეყანაზე, მე  
და შენ რომ მოგვაშოროსო...

- რაა, მიგეგონება?

- მე არ მიმეგონება, მარა... რა ვიცი, ათასი უცნაურია...

- მანა, ხანდახან შენი გაბედულობა და გულის სიმაგრე  
მაკვირვებს და ხანდახან შენი გულგატეხილობა და  
მშვიშრობა! რა არის...

სიმონს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ზარის ხმამ,  
რომელიც გარკვეულად გამოისმა დაწყნარებულ ღამეში,  
უცებ გააწყვეტინა ლაპარაკი...

- რა იყო, რა დაგემართა? - ჰკითხა მანამ.

- ყურობ, რეკენ!

- მერე საყდრის ყალაური იქნება.

- არა, თავის შეყრის რეკაა. ახლა ბესიე გამოვა გარეთ საყდარზე წასავალათ და თუ შეგვატყო, მაშვინ... მანა, რამეგვართა შეიპარე სახლში.

მანა წამოდგა და დააპირა სახლში წასვლა, მაგრამ ამ დროს შეიჭრიალა სახლის წინა კარებმა და გარეთ გამოვიდა მაღალი, ნაკვთად მოყვანილი, ამაყი შეხედულობის ყმაწვილი კაცი. ეს იყო ბესია, მანას ერთადერთი ძმა. მანა და სიმონ ბესიას დანახვაზე უსაზომო შიშმა შეიპყრა: იმათ გაკმინდეს სულისთქმა და ისე მიეკრე ნიგვზის ხეს, თითქო მის გულში შეძრომას აპირებდენ. იმათ საბედნიეროთ, ბესიას სრულიად არ

შეუნიშნავს იმათი იქ ყოფნა, ისე გაიარა მათ სიახლოვეს და გაუდგა თავის გზას.

- ღმერთო, შენ გმადლობ, რომ გადაგვარჩინე! - თქვა მანამ, როცა ბესია გაშორდა თვალისაგან.

- ასე დასდევს, მანა, სიყვარულს შიში და განსაცთელი. მარა ახლა მეც უნდა წევდე საყდარზე, ვერ დავაკლტები.

- სიმონ, თუ გიყვარდე, მითხარი რა ამბავია, რაზე გაქვან ამდენი თავისყრა წრეულს? მერე კიდევ ღამლამობით! ბესიას ვკითხე და, ქალის საქმე არ არისო, გამიწყრა.

- მანა, მე შენ ყველა გულის პასუხს გაგიმხელ, არ მეშინია, მარა, ამ საქმეში ხატზე ნაფიცვი ვარ, არსად ვთქვა-მეთქი და ამიზა, მომიტევე, ვერ გეტყვი.

მანამ თითქო იწყინა ეგ პასუხიო, ცოტაოდენ ხანს

გაჩერდა და შემდეგ წარმოსთქვა:

- შენ თუ გაწყენს, ნუ მეტყვი.

სიმონმა დამშვიდობების ნიშნად ერთი კიდეც მხურვალედ გადაკოცნა მანა, შემდეგ წამოავლო თავის თოფს ხელი და გასწია იმ გზით, რომლითაც იმ რამდენიმე წამის წინედ ბესია წავიდა. მანა კი წამოდგა ზეზე, მიეყრდნო ნიგვზის ხეს, უმზერდა მიმავალ სიმონს, რომლის თოფი ბრჭყვიალებდა მთვარის სინათლეზე, მაგრამ რა რომ სიმონი მიიკარგა სივრცეში და მანას თვალისაგან გადაეფარა, მანა მოწყენილათ მობრუნდა, შეხედა თავის ძაღლს და უთხრა:

- ყურშა, ჩვენო ერთგულო ყურშა, სიმონი წევიდა და ჩვენ რაღა გვინდა აქანაი, ახლა ჩვენც წევიდეთ და, სიმონ რომ მოვა, კიდეც შევხთეთ.

ძალღმა ამ ალერსზე გააქიცინა კუდი და მოუსვა თავისი სველი ენა მანას თეთრ ხელებზე, მაგრამ საჩქაროდ მოიბრუნა თავი, გაუყურა რაღაცას და გაბრაზებულის ყეფით გაექანა ბუჩქებისაკენ; მას გაჰყვნენ სხვა ძაღლებიც და ვიღაცას აუტეხეს გაცხარებული ყეფა. “დედაო!” - წამოიძახა მანამ და შიშისაგან აჟრჟოლებული გაიქცა თავის სახლისკენ, ჩუმად გააღო ამ სახლის უკანა კარები, შეიპარა შიგ და დაწვა თავის ლოგინში, ისე რომ, არც ერთს მის მშობელთაგანს არ შეუტყვია ეგ გარემოება.

მანას ჯერ კიდევ არ ეძინა და ფიქრობდა, ნეტა რა იყო, ძაღლებმა რომ დაუყეფესო, რომ მისმა სატრფომ სიმონმა კიდევაც მიაღწია მთის წმ. გიორგის ეკლესიას.

ეს ეკლესია იდგა ერთ იმ გორთაგანზე, რომლებითაც ისე მოუსწორმასწორებულია გურიის არემარე. ეს იყო ერთი პატარა, მუხის ყავრით დახურული, ქვითკირის ოთხკუთხედი შენობა. ამ ეკლესიის რომელიმე

მრევლთაგანისთვის რომ გეკითხათ, როდის ააშენეს ეს ეკლესიაო, ის შეუყოყმანებლად გიპასუხებდა: როდის და თამარ მეფის დროს, თვითონ თამარმა ააგებინა თავის კალატოზსო. ამასთან ის დაგიწყებდა რწმუნებას, რამ ის აგორავებული ადგილი, რომელზედაც ეს ეკლესია სდგას, თამარ მეფის ამაღა ქალების ქოშზე მონაფხეკი მიწისაგან არის გაკეთებული; ბატონი თამარი თურმე ჩამობრძანებულა გურიაში, დაბრძანებულა ღამის გასათევად ჩვენს სოფელში. დილაზე, წასვლის დროს, მის ამაღა ქალების ქოშები დაუფხეკიათ, ის მონაფხეკი მიწა ისე ბევრი ყოფილა, რომ იმისგან გორა გაკეთებულა. ბატონ თამარს შეუხედავს ამ გორაკისთვის და უბრძანებია თავის კალატოზებისთვის: ამ გორაკზე საჩქაროდ ეკლესია ააგეთო. ეს კია, რომ ეს ხალხი ვერავითარ დასამტკიცებელ საბუთს თავის ნათქვამის შესახებ ვერ გაჩვენებდა. იმათ ვისგანღაც გაეგონათ თურმე, ეგრე ყოფილაო. და, როგორც ყველა უსწავლელ

ხალხს, რომელსაც რაც კი ძველადგან გაუგონია, ყველა სიმართლე ჰგონია, ამათაც დაეჟინა: ეგრეა და ეგრეო.

ამას გარდა ამ ეკლესიის მრევლს ბევრი გადმოცემა შეენახა იმ სასწაულთმოქმედებაზე, რომელსაც, მათი სიტყვით, ამ ეკლესიაზე მყოფი წმ. გიორგის ხატი შვრებოდა ძველ დროში. თუკი შემთხვევას იპოვნიდენ ლაპარაკისას, დიდიდან პატარამდე თვითეული მათგანი სრულის დარწმუნებით გაიმბობდა, რომ ამ წმინდა გიორგის ხატმა ქვათ აქცია ამ ხატის სახელობაზე გაშვებული ხარის შემჭმელი მგელი; მესენაკე დედაბერის თხოვნაზე ფრთებდამტვრეული ჩამოაგდო ძირს ქორი, რომელსაც მესენაკისთვის წიწილა მოეტაცნა; ერთმა მუშა კაცმა ეკლესიის ეზოში წკნელი მოსჭრა: საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, ავად შეიქნა და სანამდის ხატის სახელზე ხარი არ შესწირა, წმინდა გიორგი მკლავს, ყვიროდაო, და სხვა ათასგვარ სასწაულებს მოგიყვებოდენ იმის შესახებ,



თუ რისთვის მიუტოვებია ხსენებულ ხატს სასწაულთმოქმედება, რისთვის აღარ სურდა ამ დროშიაც ექნა ისეთი სასწაულები, რომლებსაც. ხალხის სიტყვით, ის ძველ დროში შვრებოდა. არც კითხვა იყო და არც პასუხი. სასწაულთმოქმედებას გარდა ეს ხატი მით იყო შესანიშნავი, რომ ნამდვილი ოქროსაგან იყო გაკეთებული და ძვირფასი თვლებით მორთული. ეკლესიის წინ, ურთხლის ბოძზედ ეკიდა ერთი პატარა ზარი, რომელიც ამ ოცი თუ ოცდაათი წლის წინეთ ეყიდა ამ ეკლესიის მრევლსა. ამ ზარის ყიდვამდე ზარის ადგილს იჭერდა ცაცხვის ფიცარი და წითელი ხის ურო. წირვის დაწყების წინეთ დეკანოზი უროს ურტყამდა ფიცარზე, რომლისაგან გაისმოდა ერთ უსიამოვნო რახუნის ხმა, რომლის გაგონებაზე ღვთისმოყვარე ხალხი იკრიბებოდა ეკლესიაში. გარშემო მიდამო ანუ გზა ეკლესიისა ვიწრო იყო და, გარდა ერთის მზრისა, ტყით დაბურვილი. ერთი დიდი ცაცხვის ხე და ერთი დიდი ურთხლის ხე ისე ახლოს

ედგენ ეკლესიას, რომ იმისაგან მონაცვენის ფოთლებით ეკლესიის სახურავი ერთობ მოფენილიყო. თუმცაღა ერთი უცაბედით რომ ამ ხეებისთვის ქარს ტოტი მოეგლიჯა, ეკლესიას დამტვრევა არ ასცდებოდა, მაგრამ ხალხი მაინც ვერა ჰბედავდა იმათ მოჭრას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ეს ხეები ჯვარის ძალის მოსასვენო და სასხდომი არიანო.

სიმონს დახვდა ეკლესიის ეზოში კარგა ძალი ხალხი, რომლის შუაში საქმიანი, გაბედული სახით გაჩერებულიყო ერთი შავწვერულვაშა კაცი და ყვიროდა: “აბა, თუ ვინმე დარჩა კიდევ დაუფიცებელი, მეიყვანეთ და ბარემ მოვრჩეთ ამას!” მის გვერდით მყოფ მღვდელს ეჭირა რაღაც ნაგლეჯი ქალაღდი, რომლისაგან ის კითხულობდა იმ სიტყვებს, რომლებიც უნდა წარმოეთქვათ ფიცის მიმღებთ. მათ შუა, მიწაზე იდო წმ. გიორგის ხატი. ერთ ჭალარა კაცს ეჭირა ხელში ზარის

ენაზე მიბმული ბაწარი და ხანდახან შემოჰკრავდა ზარს.

ხალხს ჯერ კიდევ ემატებოდა თითო-ოროლა კაცი; იმათგანში, რომელთაც ჯერ ფიცი არ მიეღოთ, მღვდელი აფიცებდა, რომ ისინი არ გამოტეხილიყვენ იმ საქმეში, რომელსაც ხალხის უმეტესობა დაიწყებდა. არ ეღალატნათ თავის ქვეყნისთვის და რაც ძალ-ღონე ჰქონდათ, ემოქმედათ თავის ქვეყნის გასათავისუფლებლად, არ დაეზოგათ მისთვის თავისი სიცოცხლე. ვინც ამგვარი ფიცის მიღებაზე უარს განაცხადებდა, იმას ყვირილით მისცვინდებოდენ ყველა დაფიცულები და ძალად აღებინებდენ ფიცსა. ახალ დაფიცებულები ჯერ ემთხვეოდენ იქვე მიწაზე მყოფ წმ. გიორგის ხატს და შემდეგ სხვა ხატების სამთხვევად შედიოდენ ეკლესიაში, რომლის კარი ამ დროს ღია იყო და რომლიდანაც გამობჟუტავდა თავლის სანთლის სუსტი სინათლე.

- აჰა, სიმონმაც მოაწია, ახლა მზათ ვართ, - დაიძახა ვილაცამ, რა რომ სიმონ №-ძე ავიდა ეკლესიაზე.

- რა დეიჩემე, სიმონ, აი დაგვიანება! - უსაყვედურა ბესიამ.

- შეუძლოთ ვარ და იმიზა დამგვიანდა, - იმართლა სიმონმა თავი და ბოლოს დაატანა კითხვა: - რა იყო, ვითამ უჩემობით წახდა რამე თუ?

- რაი და ბესიამ არჩია, ერთი ნასტავლი ბიჭი იცი, იმას ვკითხვოთ ჩვენი საქმეო. ამიზა ამოგარჩიეთ აზნაურებში ევანე და შენ, ყაძახებში ბესიეი, პეტრიეი, ათარმიზაი და სამი კიდევ. თქვენ უნდა წახვიდეთ, დააფიცოთ იი ვინცხაა და მერე ჰკითხვოთ ჩვენ საქმეზე! - უთხრა ერთმა ჭალარა კაცმა სიმონს.

- გიორგის ვკითხვოთ-მეთქი, სიმონ, რავა, მოგწონს? - დაეკითხა ბესია.

- გიორგი? ღირს, მე და ჩემმა ღმერთმა, ძაან ნასტავლი ყმაწვილია! - უპასუხა სიმონმა.

- მერე რეზა მე ან სხვაი ვინმე, თქვენს გარდა, არ ვიცნობთ იმ თქვენ გიორგის, თუკი იმისთანაი ნასტავლი არის? გურიაში არც ერთი წარჩინებული კაცი არ არის, რომ მე ვერ ვიცნობდე! სთქვა ამპარტავნულად ერთმა მაღალ-მაღალმა, ქოსა წვერულვაშა, ცბიერი სახის ქერა კაცმა, რომელსაც ივანეს ეძახდენ და რომელიც აზნაურების მხრით იყო ამორჩეული, რომ გაჰყოლოდა სიმონს და ბესიას.

- ნუ ყოყმანობთ, ბარემ წადით იმ კაცთან, ეგება ერთი კაი რამე გვირჩიოს, - დაიძახა ვილაცამ.

- წადით! ჰო, წადით! - დაიძახეს რამოდენიმე სხვებმაც.

- წევდეთ აბა, - სთქვა ბესიამ და დააპირა წასვლა, მაგრამ

ამ დროს ივანემ წამოიძახა:

- მე ჩემი ბიჭი კოზიეი თუ არ მახლავს, ისე ვერ წავალ.
- ვითომ სად არის, რეზა არ მოვიდა ამდონ ხანს კოზიეი? - შექნეს ხალხში კითხვა.
- სადმე საქურდალათ იქნება წასული, - ჩაილაპარაკა ვილაცამ.

ამ დროს ჩავიდა ეკლესიის ჭისკრებში ერთი ბეჭებგანიერი, უსიამოვნო შეხედულების შავგვრემანი ყმაწვილი კაცი, რომლის ჩაღრმავებული წვრილ-წვრილი თვალები გამომეტყველებდენ ამ კაცის ვაჟკაცობასაც და თან ავსულობასაც. ეს იყო კოზია, აზნაური ივანე X-ის შინაყმა.

- გვეღირსა, მოვიდა კოზიეიც, აბა, ეხლა წავიდეთ, - სთქვა

ბესიამ, გაიღო თოფი მხარზედ და წაუძღვა თავის ამანანაგებს.

- წამოი, კოზიავ, ჩემთან. ხედავ, ამ ყურუმსად ბესიას თავის ჭკუაზე მიჰყავს თემი და რომ არ დაიჯერებ, რაღას იქ აბა, სიმონ თაობიდან ატორღიალებული ჰყავს და იგია,  
- უთხრა ივანემ თავის ბიჭს და რაღაც უკმაყოფილო სახით გაუყვა ბესიასა და სიმონს.

- სიმონ სიძეა მისი და იმისა ეტორღიალება, - გესლიანი ღიმილით უპასუხა კოზიამ.

- რავა სიძე, ბიჭო?

- ბესიეის და უყვარს.

- დასტურ, ბიჭო?

- დასტურ ჰო, ყოველ ღამე მასთან გდია.

- კაი ქალია?

- მე ჯერ იმისთანაი არ მინახავს. მზეთუნახავია, მეტი რაი! ივანეს სახე ბოროტათ გაუღიმდა, მისი წვიტ-წვიტი ნაცრის ფერი თვალები შეთამაშდენ, ეტყობოდა, რომ ამ ნახევრად მოხუცებულ აზნაურს რაღაც ეშმაკურმა ფიქრებმა გაუთამაშეს გულში.

ბიჭო კოზიავ! - მიუბრუნდა ის თავის შინაყმას და უნდოდა რაღაც გაენდო, მაგრამ ამ დროს დაინახა ბესია და სიმონ, რომლებიც გაჩერებულიყვენ გზაზე და უცდიდენ ამათ, და გადაასხვავანა სიტყვა ამგვარად:

- ხედავ, კოზიავ, შებრუნდა დროი, აზნაურები ყაძახები ჭკუაზე ვიარებით.



- რა ვუყოთ, ევანე, დღეს ჩვენ კრებაში ყაძახები უფრო ბევრნი არიან, ჩვენ - სულ მცირე. ჯობია, რომ დავუჯეროთ, - ეხუმრა სიმონმა.

- აგია დავუჯერე და მეტი რაღა უნდა.

- ევანე, რომ გწყენია, აქანაი საშენჩემო საქმე არ არის, ქვეყნის საქმეა და ქვეყნის საქმე ქვეყანას რომ ჭკუაში მოუვა, ისე უნდა წავიდეს. მე თქვენს ჭკუაზე ვიარებო, რა დიდი საქმეა შენ და გინდა სხვაი ერთი-ორი კაცი, ვინც გინდა იყოს, რომ ქვეყანამ მის ჭკუაზე წაეყვანოს! - გულმოსულად უთხრა ბესიამ.

- მერე ქვეყანა შენ ხარ? - ჰკითხა ივანემ და მწარედ ჩაიციხა.

- ქვეყანა მე, ერთი კაცი, რეზა ვიქნები? მე ჩემი აზრი ვუთხარი, თემს მოეწონა და დამიჯერა. სხვას რომ

უკეთესი ეთქვა, მაშინ ჩემსას უარს ყოფდა, იმ უკეთესს დაადგებოდა. თემის საქმე ასე უნდა. აბა საშენჩემოთ თემის საქმე რავა იქნება!

- მეიცა, ადრე ნახავ, რაც დიდი ჭკუა აქ იმ შენ თემს და რაც ხერს დაგაყრიან! - ჩაილაპარაკა ივანემ თავისთვის და გაჩუმდა. ბესიას და მისი ამხანაგების წასვლის შემდეგ ერთ-ორ საათს კიდევ სდულდა ხალხის ხმა ეკლესიის ეზოში, კიდევ დაფიცდა რამდენიმე კაცი, შემდეგ კი დეკანოზმა შეიტანა ხატი ეკლესიაში, დაკეტა კარები და გამოუცხადა ხალხს, რომ წასულიყვენ თავიანთ სახლებში. ხალხი დაემორჩილა დეკანოზის ბრძანებას და ერთი წამის განმავლობაში დაცარიელდა ეკლესიის მიდამო.

## II

მანამ ჩვენი რომანის გმირები, ბესია და მისი ამხანაგები,

მივიდოდენ იმ კაცთან, რომელთანაც წავიდენ რჩევის საკითხავად, ჩვენ მოკლეთ ვუამბობთ მკითხველებს, თუ რა საქმის შესახებ იყო ეკლესიაზე ის ყრილობა და ერთმანეთის დაფიცება, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ ამ რომანის დასაწყისში.

მას შემდეგ, რაც პატარა გურიის სამთავრო პოლიტიკურად შეერთდა (1812 წელს) რუსეთის სახელმწიფოსთან, ბარბაროსი ოსმალეთის ხვედრათ გამხდარნი, დიდი ხნიდან პოლიტიკურად და ზნეობრივად ჩვენთან, დაშორებულნი ჩვენი მოძმე ქობულეთელები და აჭარლები ძლიერ შიშობდენ, რუსები რა რომ გურიაში ფეხს მოიმაგრებენ, შემდეგ ჩვენი მამულის დაპყრობასაც მოინდომებენო. მეტადრე ამის გამო ძლიერ დაფიქრებული იყვენ იქაური თავადები (ბეგები), რომლებსაც დროიანათ მიეყიდნათ თავიანთი სამშობლო და ხალხი ოსმალეთისთვის და ახლა

ცხოვრობენ ხონთქრის მიერ ბოძებული ჯამაგირებით და ულუფებით. ამ ბეგებს კარგად ესმოდათ, რომ რუსეთის ხელმწიფე ისე ტყვილა ხელობა-ჯამაგირებს არ მიაჩეჩებდა, როგორც ხონთქარი, რომელიც თითო გოგოს ფასად, აჯილდოვებდა მათ ფაშობის ღირსებით, დიდი ჯამაგირებით და მოსამსახურეებით. ამას გარდა, გურიაში რუსეთის ფენის ჩამოდგმა ერთი მითაც აჯავრებდა ქობულეთ-აჭარას, რომ რუსებმა გურიის და ოსმალეთის შუა, საზღვარზე, გააჩინეს ფრთხილი და მძლავრი დარაჯები, რომლის გამოც ქობულეთ-აჭარის აბრაგებს აღარ ძალუძდათ ჩვეულებრივად ეძარცვათ და ელლიტათ გურიის ხალხი. ამიტომაც იყო, რომ ქობულეთ-აჭარა ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა უსიამოვნო ახალი მეზობელი - რუსები - გურიიდან უკანვე გაერეკა. წადილის სისრულეში მოსაყვანად საჭიროთ ხედავდენ ერთ საშუალებას: უნდა ჩამოეგდოთ მტრობა და უკმაყოფილება რუსეთისა და გურიის ერთა შორის და

აეჯანყებიათ ეს უკანასკნელი რუსეთის წინააღმდეგ. მერე, რა რომ გურია რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდება, ჩვენც ჩვენის მხრით ჯარს მიუსევთ და გავრეკავთ რუსებს გურიიდანო, ფიქრობდენ ქობულეთ-აჭარის ბეგები. ისინი ამ მიზნის მისახწევად უმეგობრდებოდენ გურიის იმდროინდელ თავადაზნაურობას, რომლებშიაც უმეტესი ნაწილი იმათი ახლო ნათესავი იყო, აძაგებდენ იმათთან რუსეთის ზნე-ჩვეულებას, წეს-წყობილებას და სამოთხისებურ ცხოვრებად ხატავდენ ხონთქრის ქვეშევრდომობას.

გავიდა ამ პოლიტიკური ბადის ქსოვაში კარგა ხანი. ქობულეთ-აჭარის ბეგებს ჯერ ვერ მოეხერხებინათ გურიის ხალხსა და რუსის მთავრობას შორის სრული აშლილობის ჩამოგდება. თუმცაღა თითო-ოროლა კაცი გურიის თავადაზნაურობისაგან ყოველ წლივ მიჰყავდათ თავის მხარეზე ბეგებს და უორგულებდენ რუსებს, მაგრამ

მთელ ხალხში ერთი-ორი და თუნდა, ასიც, გინდ ერთგული იყოს მთავრობისა, გინდ ორგული, ვერცა რას დააკლებს და ვერცა რას შემატებს. მაგრამ დაახლოვდა აგერ 1841 წელი; ქობულეთ-აჭარაში ვაჟკაცობით განთქმულმა, თავისებურმა პოლიტიკოსმა, გონებაგამჭრიახმა ქობულეთის ბეგმა ჰასან თავდგირიძემ მოუხშირა გურიაში თავის ნათესავ თავადებთან სტუმრობას. ის ბარათები, რომლებიც ამ ბეგის სტუმრობის დროს საიდუმლოთ დადიოდენ გურიის თავადაზნაურობაში, ამტკიცებდენ, რომ ეს სტუმრობა არ იყო უმნიშვნელო, ერთმანეთის მამიდა-მზახლური მოკითხვა, არამედ მას სარჩულად ჰქონდა სულ სხვა მიზანი. როგორც ეს ხშირად სჭირს ხალხს, რომ ერთ ვინმე ადამიანს ტყუილუმართლოთ აიჩემებენ, ცამდე აიყვანენ და გააღმერთებენ, გურულ ხალხსაც ეგრე მოუვიდა. გაიცნეს თუ არა ჰასან თავდგირიძე, უცებ მოედო იმისი ქება მთელ გურიას; დიდსა და პატარას ამ დროს გურიაში

ჰასანბეგი უტრიალებდა ენაზე და ქებას ასხამდენ. ასე გასინჯეთ, ამ ბეგის შეთხზული სიმღერა ჰასან-ბეგურიც კი მაშინათვე გადმოიღეს და გახდა გურიაში პირველ საამურ სახალხო სიმღერად; ის მოსიმღერე მოსიმღერედ არ ჩაითვლებოდა, თუ ჰასან-ბეგური კარგად არ იცოდა. თითქმის გურიის ყველა თავმომწონე ყმაწვილი კაცი იცნობდა ამ ბეგს. წარმოიდგინეთ, ქალებსა და ბავშვებსაც კი ისე ენატრებოდათ ამ საარაკო ბეგის ნახვა, რომ როცა გაიგონებდენ, ამა და ამ გზაზე ჰასან-ბეგი გაივლისო, გზის აქეთ-იქით ნაპირი გაივსებოდა ხალხით.

იმ დროს, როცა გურიის ხალხი სულელივით ღაღადებდა ჰასან თავდგირიძის ქებას, ამ ხერხინმა ბეგმა კიდევაც შეასრულა ამ ხალხში თავის წადილი, ესე იგი ააღელვა გურიის ერი რუსეთის წინააღმდეგ. აქ წამოუსწრო კიდევ ერთმა შემთხვევამ, რომელმაც ძლიერ შეუწყო ხელი ხალხის აღელვებას. აი რა შემთხვევა იყო ის: რუსეთის

მთავრობამ გამოუცხადა გურიის გლეხკაცობას, რომ ჩვენს ხაზინას ყოველწლიურად კომლზე ფული უნდა აძლიოთო. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, იმისი არ იყოს, ჰასან თავდგირიძესაც ეს უნდოდა იმ გამოცხადებამ აღმურიანი ცეცხლი დაანთო გურიის ხალხის, ამ დროს უიმისოთაც აღრინებულს გულში. ამ შემთხვევით ისარგებლა ცბიერმა თავდგირიძემ, აღუთქვა გურიის ხალხს შემწეობა ტყვია-წამლით, თოფ-იარაღით, ჯარით, ფულით და სხვებით და 1841 წელს ააჯანყა ისინი რუსეთის წინააღმდეგ. აჯანყის გამოცხადების წინა თვეში გურიის ხალხს ჰქონდა ის საიდუმლო მოძრაობა და მადება - საიდუმლო კრებები. ერთმანეთის დაფიცება და სხვა, რომლებიც აუცილებლად საჭიროა აჯანყებისათვის.

ამ განმარტების შემდეგ მკითხველი, ეჭვი არ არის, მიხვდება, რასაც ნიშნავდენ ის ფიცი და კრება, რომლებიც პირველ თავში მოვიხსენიეთ.



### III

შუალამე იყო. პირსავსე მთვარე შუა ციდან ჩამოიყურებოდა. ბესია მიუძღვა თავის ამხანაგებს წკნელით შეღობილ ეზოს ჭისკრებთან და უთხრა:

- ახლა გიორგი დაძინებული იქნება და ძალიან გასაჭირი საქმეა იმისი ისე გაღვიძება, რომ სხვებმა არ შეიტყონ. ძალიან საფრთხილო საქმეა. თუ შეგვიტყუეს, ერთი შავი დღეი აშენდება. მარა ახლა რაღაი საქმეზე მოვსულვართ, ხელცარიელი უკან წასვლა სირცხვილია. მე შევალ ჩუმათაი ეზოში, თამარას გავაღვიძებ და შევეხვეწები, რამეგვართ გიორგი გვაჩვენოს. თქვენ მანამდი აქანაი მოიცადეთ, მარა ძან ჩუმათაი იყავით, თვარა მურა შეგვიტყობს.

ამის თქმის შემდეგ ბესია კვერნასაებრ ავიდა ღობეზე, გადავიდა ეზოში და თვალის დახამხამებამდის გაქრა

სადღაც.

- მერე იი მურა, ბესიას არ ერჩის - იკითხა ივანემ.

- არა, ბესიეი აქანაი შინა კაცია, - უპასუხა სიმონ №-ძემ.

რამდენიმე წამის შემდეგ ბესია დაბრუნდა ამხანაგებთან და უთხრა:

- რავაც იყო, ვიშონე! წამობძანდით.

- მერე იი მურააო, ხომ დაგვჭამს! - სთქვა ერთმა ბესიას ამხანაგთაგანმა.

- შე დალოცვილო, რუსის ჯარის მოშლას აპირებ და ერთი ლეკვის გეშინია!

გაეხუმრა ამ ფრთხილ ამხანაგს ბესია, რომელიც ამ დროს

ხელახლა ავიდა ღობეზედ, გადავიდა ეზოში, გაულო ჭისკრის კარები თავის ამხანაგებს და შეუძღვა კარგა დიდ ეზოში, რომელშიაც მთავარი სინათლეზე გაარჩევდით რამდენიმე შენობებს, რომლებშიც ერთი ფიცრის სახლი ყველაზე დიდი და სუფთა იყო.

- რომელ სახლში უნდა მივიდეთ? იკითხა ივანემ.

- აა, ყრუ სახლში, უწინ რომ სამოახლოთ იყო, - უპასუხა ბესიამ და წაუძღვა თავის ამხანაგებს ერთი პატარა ფიცრულა სახლისკენ, რომლის კარებიდან გამობჟუტავდა სუსტი სინათლე.

- მობძანდით, ბატონებო, მობძანდით! გიორგი ახლავე შემოვა. თქვენ ბედზე არ ეძინა, წიგნს კითხულობდა, თვარა გაღვიძებას ვერ გავბედავდი. მართალია, თვითან ამიზა არ გაჯავრდებოდა, ღმერთმა ჩემი დღეი მისცეს, ძან ძმა და დასავით გვეპყრობა გოგო ბიჭებს, მარა

სხვები, ქალბატონი და ვაჟბატონი, იწყენდენ, რავა გუუბედე გაღვიძებაო, - უთხრა იმათ სახლში შესვლის დროს ერთმა შუახნის, სიმპატიური სახის ქალმა, რომელიც კარებთან შეხვდა სტუმრებს.

- თამარა, ძაღლებს რა უქენი? - ჰკითხა ამ ქალს სიმონმა.

- საფარემოში მჭადი დაუტეხე და დავამწყვდიე, - უპასუხა ქალმა და ბოლოს დაატანა: - დაბძანდით, ბატონებო, იმისთანა დროზე გვესტუმრეთ, რომ თქვენდა საკადრისად პატივს ვერ გცემთ. ქალბატონს ან ვაჟბატონს რომ ეღვიძოს, მაშვინ ძალიან ეამება თქვენი მობძანება და უპურღვინოთაც არ გაგიშობენ. ძალიან საჭმე გქონებიან, რომ ასე ღამე გარჯილხართ! დასაწერი იქნება რამე, გიორგის არძის წერა თავის დაკვლასავით ეზარება. ისე მისთვის სულ წერს რაცხას, ხან კიდევ კითხულობს, მოსვენებულს ვერ ნახავ. ხან სულ შუალამეზე გადაცილებული იქნება და მაინც ქე

კითხულობს ან წერს. დედაო, უცნაურია, სტავლული კაცის საქმეს რას მიხთები.

ბესია და მისი ამხანაგები ჩამოსხდენ ტიტველა მტვრიან ტახტზე, რომელიც სახლის ერთ მხარეს იდგა. თამარა კი გაჩერდა ფეხზე და ყოველ წამში ჩხირით შეაკეთებდა ჭრაქს, რომლის სინათლე ხანდახან ისე მიიბჟუტებოდა, რომ იფიქრებდით, ეს არის ქრებაო. სახლში სრული მყუდროება არსებობდა, რადგანაც ყველა ხმაგაკმენდილი მოელოდა გიორგის. გაიარა ამ მდგომარეობაში რაოდენიმე წამმა და გარედან შემოისმა ფეხის ხმა, რომელზე, გარდა ივანესა და სიმონისა, ყველანი ფეხზე წამოხტენ. კარები ნელა გაიღო და სახლში შემოვიდა საშუალო ტანის, ახლად წვერულვაშაშლილი ყმაწვილი კაცი, - ეს იყო გიორგი, რომელთანაც მოსულიყვნენ ბესია და მისი ამხანაგები. რადგანაც ცოტათი გრილოდა, გიორგი შალში გახვეულიყო. მისი სახის სინაზეს ეტყობოდა, რომ

გიორგი სათუთად და ფუფუნებაში აღზრდილი იყო. მის დანახვაზე ივანეც და სიმონიც წამოდგენ ზეზე. ივანემ მოინდომა ძველებურად სალამზე შეპატიჟება. მაგრამ გიორგიმ დაასწრო მას, ღამემშვიდობის უთხრა სტუმრებს და ჩამოჯდა ტახტზე. გარდა ბესიასა და სიმონისა ცოტა არ იყოს, სტუმრებმა მოჰმუხნეს წარბები ამ “უზდელობაზე”, მაგრამ გიორგის არც შეუნიშნავს ეს, ისე უთხრა თავის სტუმრებს, დაბძანდითო. ივანე, სიმონ და ბესია დასხდენ გიორგის ქვემოთ, სხვები კი ზრდილობის ნიშნად გაჩერდენ ფეხზე.

- აბა, ევანე უფროსი ჩვენ ამხანაგობაში შენ ბძანდები, შენგან არის რიგი. მოახსენე გიორგის, რაზეც ვიახელით.

ივანე მართლაც რომ თავის ამხანაგებში თავის თავს უფროს კაცად რაცხდა. ამიტომ მან შეუპატიჟებლად მიიღო სიმონის მიერ მიცემული წინადადება. ერთი, როგორც ბევრს ჩვეულებად აქვს ლაპარაკის დაწყების

წინ, ჩაახველა და უნდოდა რაღაც დაეწყო, მაგრამ ამ დროს დაინახა კარებთან ატუზული თამარა და შეაბრუნა სიტყვა:

- შენ ცოტა ხანს გარეთ შეიცადე!

თამარა საჩქაროდ დაემორჩილა ამ ბრძანებას.

- გიორგი, მე ვერც გიცნობდი, - დაიწყო ივანემ ხელახლავ, რა რომ თამარა გაისტუმრა გარეთ, - მარა ჩემმა ამხანაგებმა გამაცნეს შენი თავი, კაი ნასტავლი ყმაწვილიაო და ამიზა მოვედით შენთან რჩევის საკითხავად... მარა, თუ უკაცრავათ არ ვიქნებით, ჯერ ფიცი უნდა მოგვცე, რომ არ გაგვამხელ.

გიორგიმ გაკვირვებული სახით შეხედა ივანეს და უპასუხა:

- თუ ჩემზე დანდობა გეძნელებათ, შეგიძლიათ არ გაამხილოთ ჩემთან თქვენი საიდუმლო.

- არა, ნდობა რავა გვეზარება, მარა ქვეყნის საქმეა და უფიცრათ გამჟღავნებას ვერ ვბედავთ.

- თუ მაინცდამაინც გადაწყვეტილი არ გაქვთ, რომ თქვენი საქმის შესახებ მე რჩევა მკითხოთ, იმ შემთხვევაში მე გთხოვთ, ისევ მიბძანდეთ და თქვენი საიდუმლო თავისთვის შეინახოთ, - გაიმეორა ნახევრად გაკვირვეულმა გიორგიმ.

- რჩევა უეჭველათ უნდა გკითხოთ: ფიცი მიიღეთ-მეთქი, ამას ვერც გაგიბედავთ და არც საჭიროთ მიმაჩნია, - უთხრა ცქვიტი კილოთი ბესიამ.

- ნუ შევაწუხებთ ამდენზე გიორგის, რაზეც მოვსულვართ, ვკითხოთ და ჩვენ გზაზე წევიდეთ, -



უთხრა ამხანაგებს სიმონმა.

- მარტოთ ჩვენი შესახები საქმე რომ იყოს, ამას ვინ გუუბედავდა! - წამოიძახა ერთმა ჭალარა კაცმა, - მარა ქვეყნის საქმეა. დიდი და პაწაი ყველა მონაწილეთა ამ საქმეში, ამიზა ვბედავთ.

არ ვიცი, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო გიორგი და უნდოდა შეეტყო, რაში მდგომარეობდა თავისი სტუმრების საიდუმლო, თუ ღმობიერებაში მოიყვანა ჭალარა კაცის სიტყვამ, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მან უპასუხა თავის სტუმრებს:

- კარგი, ვასრულებ თქვენ სურვილს, მივიღებ ფიცს.

ამ სიტყვებზე ერთმა შავგვრემანმა კაცმა, რომელსაც პეტრიას ეძახდენ, ამოიღო უბიდან წითელ მაუდში გაკერილი პატარა ხატი და დაიკავა ხელში. ხატის

დანახვაზე ყველამ, გარდა გიორგისა, თავზე მოიხადეს და პირჯვარი გადაიწერეს. ამას შემდეგ ივანემ გადასცა გიორგის ერთი ნაგლეჯი ქალაღი, რომლისაგან ამ უკანასკნელმა ამოიკითხა შემდეგი: „ფიცის თავი, თავად ღმერთმა, ამის მაღლმა, ამის გამაცხოვლებელმა, ამ პირშეთქმულობაში არ ვუღალატო არც ქვეყანას, არც ჩემს აფხანაგებს, რაც შემიძლია, ვეცადო ჩვენი ქვეყნიდან მტრის გადევნა. არ დავზოგო ამ საქმისთვის არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესავი და არც ჩემი სიცოცხლე. თუ აგი ფიცი შევშალო, შემშალოს მამამა, ძემა, სულმა წმინდამა და ყოველმა მისმა ანგელოზმა. ვემთხოვი ხატსა. ამინ”.

- ვერ გამიგია, საქმე რაშია, რა ამხანაგობა შეგიდგენიათ? - თქვა გიორგიმ გაკვირვებული კილოთი, რა რომ დაასრულა კითხვა.

- ვერ მიხდის? - ჰკითხა ივანემ.

- ვერა, ვერ გავიგე, სწორეთ გითხრა.

- აგერ მოგახსენებ. დღეს ჩვენს ქვეყანას ძაან დიდი გასაჭირი ადგია, ჩვენ შინაყმებს გადასახადი დაადვეს და ნაჩაღნიკის ბრძანებით ოჯახს უხიბაკვენ. ჩვენ, თავადაზნაურობასაც დღითი დღე გვიმცირებენ უფლებას. აბა, უნამუსობა, ლოთობა, ბოზობა, ქურდობა და რა ვიცი, ვინ მოთვლის, ათასი სხვა შემოიტანეს ჩვენში. ერთი ოცი-ოცდაათი წელი რომ კიდევ დააგვიანდეს, ჩვენ ქვეყანას ველარ იცნობ. აქამდი, მართალია, ყველამ მევითმინეთ, ენა კბილით გვეჭირა, მარა დღეს ნამეტარი დაგვემართა და მოთმინება გაგვიტენა, ან ჩვენ უნდა ვიყოთ ამ ქვეყანას და ან იგინიო, ასე იძახის დღეს მთელი გურია.

- სტორეთ, სტორეთ, ან ჩვენ უნდა ვიყოთ და ან იგინი! დაემოწმენ ივანეს ამხანაგები.

- ამ საქმეზე ყველა ჩვენ სოფლებში დიდი ამბავია დღეს, - განაგრძო ივანემ, - ყველამ ფიცი მიიღო, რომ შესწიროს თავი ქვეყნის განთავისუფლებას. ახლა, ცოტა გვაკლია, საქმეც უნდა დავიწყოთ. სტავლული კაცი ხარ, გვირჩიე რამე, რაფერ სჯობს საქმის დაწყება.

- ბატონო, ხატს ემთხვე, - გაახსენა პეტრიამ გიორგის და მიუტანა ხატი პირთან სწორეთ იმ დროს როცა ივანემ შეწყვიტა ლაპარაკი. გიორგიმ მაშინალოურად აკოცა ხატს, შემდეგ მიუბრუნდა ისევ ივანეს და უთხრა:

- როგორ, აჯანყებას აპირებთ?

- დიახ, თოფის სროლას ვაპირებთ, - უპასუხა ივანემ და რამდენიმე მისმა ამხანაგმა ერთხმათ.

- სწორეთ გითხრა, ყურებს ვერ ვუჯერებ! - დაიწყო გიორგიმ კარგა ხნის ჩაფიქრების და მდუმარების შემდეგ:

- ჯანყი ანუ ხალხის არეულობა ესეთი ხელწამოსაკრავი საქმე არ არის; მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ჯანყი ხალხის ბედნიერების მომასწავებელია, მაგრამ სამაგიეროდ უგუნური აჯანყება კი სრულიად დაღუპავს ხალხს. ნუ კი გეწყინებათ, რაც კი ამის შესახებ მოგახსენოთ, რადგანაც აჯანყება ისეთი საქმეა, რომ არ შეიძლება განუსჯელად ემორჩილებოდეს ერთის, გინა ასიოდე კაცის წადილს. ის საერთო საქმეა, იმის შესახებ დიდიან-პატარამდე ყველას აქვს ხმა, ყველას უდევს წილი. ამ შემთხვევაში მე ვალად მაღევს, რაც შემიძლია, რასაც მივხდები, პირუთვნელად აღვიარო. მე ამას ვიტყვი, რომ ვინც ჩვენ ხალხს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ურჩევს, იმას ჩვენი ქვეყნის დაღუპვა მოუწადინია. ან, რომ თქვას კაცმა, რა გვაქვს ჩვენ რუსეთთან სასაყვედურო? მე მგონია, ჩვენში ბევრმა კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყანა რუსეთს ომით და ძალადობით არ დაუპყრია. არამედ ჩვენი რუსეთთან შეერთება მოხდა

ჩვენივე სურვილით. ჩვენი ქვეყანა შეერთდა რუსეთთან იმიტომ, რომ ჩვენი უგუნური, არამზადა მთავრებ-მეფეების ურთიერთ შორის ჩხუბებით და ცარცვა-ღლეტის გამო სრულიად დაუძღურებული ვიყავით და მოველოდით, აი დღეს, აი ხვალ აგვიკლებს სპარსი, ოსმალი, ლეკი და სხვა ბარბაროსი ხალხიო. რა რომ რუსეთს შევუერთდით, მას შემდეგ ამ მხრით სრულიად უშიშარნი შევიქენით. შესაძლებელია, დღეს ჩვენთვის უმჯობესი იყოს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი შეიქმნებოდეს, მაგრამ სამაგიეროთ იმას კი აღარ ბძანებთ, თუ რა ვიქნებოდით აქამომდე, რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის ანუ ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა, მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან. ეს ყოველივე უნდა ვიქონიოთ სახეში და ცალმხრივ მსჯელობა აღარ მოგვივა. რაც შეეხება მას,

რომ გლენკაცობა ცუდ მდგომარეობაშია, ცალკე თავადაზნაურობა იმსახურებს და ცალკე მთავრობაო, ამას თუ ბძანებთ, ამისი მეც თანახმა ვარ. არც ერთ რიგიან სახელმწიფოში, გარდა რუსეთისა, ბატონყმობა აღარ არსებობს. ასე გასინჯეთ, თვით გაუნათლებელ ოსმალეთშიაც კი მოსპეს ეს საზარელი და სამარცხვინო სენი - ადამიანის მონობა. მაგრამ ამასთან ვიტყვი, რომ დღეს რუსეთშიაც ძლიერ გაცხარებული ლაპარაკი და მოქმედებაა მონობის დარღვევის და გლენთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის; საუკეთესო კაცები ამისი მუშაკნი და მომხრენი არიან. იმედია, ადრე თუ გვიან აღსრულებულ იქნება ეგ სამართლიანი წადილი, ესე იგი, რუსეთშიაც მიენიჭება გლენკაცობას თავისუფლება. რა თქმა უნდა, რომ მაშინ ჩვენ გლენკაცებსაც ეშველება და გადაეღება კისრიდან მონობის უღელი. ამისი შემყურადე უნდა ვიყუვით, თორემ მეტი რა გზა გვაქვს? თუნდაც რომ ძალიან აჯანყდეს

ჩვენი ერთი მუჭა ხალხი, რას განთება რუსეთის მრავალრიცხვიან, ომში გავარჯიშებულ ჯართან? მგონია, დიდი გონიერება არ უნდა, რომ კაცმა დაინახოს ჩვენი უძლოურება: ჩვენ არც ჯარი გყავს, არც ფული გვაქვს, არც თოფ-ზარბაზნები და ტყვია-წამალი. ამასთან, გარდა დაუძლოურებული სპარსეთისა და ოსმალეთისა, რომლებიც ისე გვიყურებენ, როგორც წიწილას ქორი, ჩვენს ქვეყანას არ იცნობს ხეირიანი სახელმწიფო. რაღა ბევრი განვაგრძო, თუნდაც რომ ძალიან მოვიწადინოთ და სასურველიც იყოს, თუ რამე უცაბედმა შემთხვევამ არ მოუმართა ხელი, ჩვენს ქვეყანას დღეს არ შეუძლიან რუსეთისგან გამოცალკეება. ასეა, ძმებო. კიდევ განვიმეორებ, თუ მთავრობას მართლადაც იმ ზომამდე არ მიუყვანია ჩვენი ქვეყანა, როგორც იტყვიან, ამ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობსო, აჯანყება გულშიაც არ უნდა გავივლოთ. ჩვენი გლებკაცობა უნდა იყოს შემყურადე რუსეთისა და უნდა მოელოდეს იმავე ბედს, რასაც



რუსეთის გლენკაცობა. ვინიცობაა, რუსეთში გლენკაცობამ ნებაყოფლობით ვერა რა გამოიტანოს და აჯანყდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლენკაცობაც ვერ გაჩერდება გულხელდაკრეფილი, მიხედავს რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპოვებლად.

გიორგიმ დაასრულა ლაპარაკი, რომლის დროს მისი სტუმრებთაგანი ზოგნი წარბებს ჰმუხდავენ და ზოგნი გაკვირვებულის სახით გამოიყურებოდენ. მეტადრე შესანიშნავი იყო ამ დროს ბესიას და ივანეს სახის მოძრაობა. ბესიას რაღაც შეწუხებული სახე დასდებოდა; ის ხშირად ტუჩებს კუმავდა, ცხვირის ნესტოებს ბერადა, ხანდახან მარჯვენა ხელს ისვამდა შუბლზე. ივანეს თავისი გრძელი, ცოტა მრუდე ცხვირი თითქო კიდევ უფრო ჩამოეგრძელებინა; მის წვრილ-წვრილ, მღვრიე თვალებს საუცხოო მოძრაობა ეტყობოდა; ტუჩები ხანდახან შეუცმაცუნდებოდენ; თავის გრძელ ხელებს

ხშირათ ისვამდა პირისახეზე, რომელზედაც აქა-იქ, თითო ღერობით, მოპნეულიყვენ იმისი მქრქალი, მოყვითალო წვერ-ულვაშნი; ხანდახან წარბებმოჭმუხვნილი, ბოროტი გამომეტყველებით შეხედავდა ბესიას და სიმონს.

- თავი ვინ მომჭრა და ჩემმა ძმამაო, იმისი არ იყოს, სიმონმა გამაბრიყვა, თუ არა, არც შენთან მოვიდოდდი! - წამოიძახა ივანემ უკმაყოფილოდ, რა რომ გიორგის ლაპარაკი მიწყნარდა და გამოვიდა გარეთ. მას გაჰყვენ სხვა ამხანაგებიც. რალაც-რალაცეების ჩუმათ ჩალაპარაკებაზე ეტყობოდათ, რომ ზოგიერთი მათგანი ივანეზე ნაკლებად უკმაყოფილო არ იყვენ გიორგის ლაპარაკით. გარდა სიმონისა და ბესიასი, არც ერთი მათგანი არ დამშვიდობებია წამოვსლის ხანს გიორგის. როცა ისინი კარგა მანძილზე მოშორდენ იმ სახლს, რომელშიაც გიორგიმ მათთვის უსიამოვნო სიტყვა წარმოთქვა, ივანემ დაუწყო გიორგის ლანძღვა-კიცხვა.

უსინდისო, სულელი ყოფილაო. ივანეს მიემხრენ რამდენიმე ამხანაგი და იმათაც უშვერი სიტყვებით დაუწყეს გიორგის კიცხვა. ერთმა გლებმა ისიც არ დატოვა უთქმელად, რომ გიორგიმ ხატის დანახვაზე პირჯვარი არ გადაიწერა, ეტყობა, ქრისტიანობაც არ უნდა წამდესო. ყველამ, გარდა სიმონისა, ბესიას დასდევს ბრალი, შენ გამონახე იი სულელი, ნათრევი ბიჭი და თუ იმან მთავრობასთან გაგვამხილა, შენი ბრალი იქნებაო. მეტადრე ძლიერ წვავდა პირს ივანე: დევილუპეთ, გაგვამხელსო. უკანასკნელ, იმ ზომამდე მიაღწია ამ ლაპარაკმა, რომ გულფიცხელ ბესიას მოთმინება გაუტყდა:

- შენ იმიზა ჰკიცხავ სხვას, რომ საქმე შენს ჭკუაზე წეიყვანო გინდა, მარა ღმერთმა დეიფაროს, ამდენი კაცის საქმე ერთი კაცის, მერე კიდევ შენისთანაის, ჭკუაზე რავა წავა! პირს რომ იწვავ, შენ ვილას უნდა უთხრა, უნდო და

მოლალატე ხარო, რომ თვითონ ათასჯერ ჩამდგარხარ ძმის  
ლალატში! - ამაყად უთხრა ივანეს გულგაცეცხლებულმა  
ბესიამ.

ვის უბედავ, ყაძახო, ამას? ვინ გგონივარ? - წამოიძახა  
გაბოროტებულმა ივანემ და მოისო ხმაღზე ხელი.

აქ კიდევ მას წაესარჩლა მისი შინაყმა კოზია და ამოაძრო  
წელიდან დამბაჩა. ამ მუქარაზე თავშეუმაგრებელმა  
ბესიამ თვალის დახამხამებამდის მოიგდო თოფი მხარზე  
და, თუ რომ ერთ მის ამხანაგს სიმარჯვე არ ეხმარა და  
ხელი არ ეტაცნა თოფზე, ის იყო გაისტუმრებდა ივანეს  
საიქიოს.

- ბესიეი მარტო არ გეგონონ! - დაიძახა სიმონმა და  
იშიშვლა ხანჯალი. გაიმართა ერთი აყალმაყალი. ცალკე  
ბრაზმორეულნი ივანე და ბესია თავგამეტებით  
მიიწეოდენ ერთმანეთისკენ და ცალკე კოზია და სიმონ.

იმათი ამხანაგები კარგა ნახევარი საათი მოუნდენ იმათ დამშვიდებას, მაგრამ ისე კი დაამშვიდეს, რომ ცუდი არა რა მომხდარა.

აღიონი მოახლოვებული იყო, რომ ერთ ორტოტა გზაზე გაშორდენ ერთმანეთს: ბესია და სიმონ ერთი მხრით წავიდენ, ივანე და კოზია მეორე მხრით. დანარჩენი ამხანაგები კი გაჰყვენ ბილიკს, რომელიც მიჰყვებოდა ტყით დაბურულ დაბალ სერს.

- კოზიავ, შენ ჭკუიანი ბიჭი ხარ და ამიზა არ გიმაღავ, - უთხრა ივანემ თავის ბიჭს, რა რომ ამხანაგები მოიშორა, - იი გიორგია თუ ვინცხა უსჯულო ყაზილარი, ძან გამაკუჭა იმის სიტყვამ; ვერ უყურე, იმისთანაებს უდობს ქვეყანას ყურში, რომ... რაღა ვთქვა, სულელები ადვილათ დაუჯერებენ და ქვეყანა გეირყვნება! გეიგონე ხომე, ბატონყმობას რავა წამოჰკრა ხელი? ჰაი, ჰაი, სად არის კაცი, თუ არა იმის ენა მწვადათ უნდა შეწვა! ადამს აქეთ

ქვეყანაზე ბატონყმობაა და ახლა იმისთანა ნათრევი უღვთო ყაზილარი უპირობს დაქცევას! ჩემო კოზიავ, შენ სადაც შენთე ამისთანა ამბავს, შენებურა აჩვენე თვალი ყაძახებს და მიახთინე სულელები, რომ ბატონყმობა ღვთის დაწესებული საქმეა და ეშმაკური, უღვთო კაცები იმიზა უპირებენ დამხობას.

- რა ბძანებაა, ბატონო! - უპასუხა ცბიერმა ბიჭმა, - ამისთანა ამბები ყველა ზღაპარია. ბატონყმობა დეირღვესო, ამის თქმას ვინ გეივლებს გულში. ამას მარტო იგინი ჩივიან, ვისაც ღმერთი და სჯული არ სწამს. იი გიორგია თუ ვინცხა, იგი იმისა ჩივა, რომ თვითონ უკანოლოთ შობილი ყოფილა.

- რავა, ბიჭო? კარქათ მითხარი!

- რავა? რავა და გზაზე რომ წამოვედით, არ გიყურებია, გიგომ რომ თქვა: გიორგი თავადი არ არის, უკანოლო

შვილიაო?

- თუ ღმერთი გწამს? ჰო, ახლა აღარ მიკვირს, რომ იმისთანებს ჩივა. დედა, დედა! ტრიკი, ტყეში დაბადებული ბატონყმობას უპირობს დამნობას! მასთან რომ ვიყავი, მაშინ მცოდნოდა უკანოლო შვილი იყო, მოგეცა ლხენა, ჩუვუშაქრებდი ყურებს. მარა იმ ღდინძალღმა ყაძახმა ბესიამ იმერელი თავადიშვილია, რუსეთში ნასტავლიაო და ამით გამაბრიყვა.

- იმერელი არა, იგი, გურიაში დაბადებული ტრიკი ყოფილა! ისე თურმე ნასტავლი ძაანი ყოფილა, ლაპარაკშიც ეტყობოდა.

- კაი მის თავს მოუვა, კაი ჭკვიანური იმან თქვა! ჭკუაზე შეშლილივით ამოიჩემა, ბატონყმობა სენიაო. აგი მოგეწონა? მარა ყაძახები ჭკუამოკლე ხართ. ამისთანაები მოგეწონებიენ. სად გაგიგონია, საურჯულოს გარდა,

უბატონო ქვეყანა ივარგებსო? ერთი მეორეს არ დაკლავს უბატონო ყაძახები? აბა ამისთანა ამბავი ყურიდან ყურში არ უნდა გადიტანო.

- არა, ამას არ მოგახსენებთ, აგი, ვინ არის იმისთანა სულელი, რომ არ იცოდეს, ყაძახი უბატონოთ არ მოხერხდება. მე იმას მოგახსენებ, რუსებს ვერ მოვერევიტო, რომ თქვა, ძაან მართალია, ჩვენ რუსებს ვერ მოვერევიტო.

- ჰმ, აგი უმისოთაც ვიცოდდი მე. მარა ხომ გაგიგონია, შენ, აბდალავ, ამღვრეულ წყალში თევზი უფრო დეიჭირებაო! ქვეყანა პაწას ეირ-დეირევა და ჩვენც რამეს გამოვლლეთო. აგი მე თვითონაც ასჯელ მიფიქრია, მერე კიდევ მე კაი ჩინონიკი კაციდგანაც გამიგონია: ქვეყანა თუ დაწყნარდა და დაჭკუიანდა, ბატონები შიმშილით მოკტებაო. მარა, კოზიავ, ამას ყველას თავი დავანებოთ, ერთი ნატვრა უნდა ამისრულო. არ გაგიგონია, ბიჭო, სჯობს ყოველსა



მოყვარულსა ბატონ-ყმაი მოყვარულიო? ჭკუიანი კაცის ნათქვამია. ღმერთმა იცის, შვილივით გამოგზარდე და ამიწა მაქ შენი იმედი. დღეს იმ მოჯალაბე ყაძახებმა, რომ არ მეკადრებოდა, იმისთანაი მაკადრეს. ქენი ბიჭობა, მოარტყი ერთი ყურშუმი იმის გულში, ნახე, დაგისტავლო თუ არა აგი ერთგულება.

კოზიას სახე ბოროტად შეუთამაშდა, გაუღიმდა ამ სიტყვების გაგონებაზე და ასე უპასუხა ივანეს:

- ჩემ თავს იყოს. ვითომ სიმონმა რა კაი გვიყო! იგი არ იყო, რომ ორი ვერ ამაგრებდა, ისე მეიწეოდა ჩვენსკენ? იმასაც ზედ დავამატებ.

- აბა შენ იცი და შენმა ბიჭობამ, ვიყაროთ მტერის ჯინი! - უკანასკნელად კიდევ შეაგულიანა თავისი შინაყმა ივანემ, რომელმაც ამ დროს კინალამ არ წაიბოროძიკა, რადგან ძილი ძლიერ მობმოდა.

- გეძინება, ბატონო, მგონია, მარა აღარაფერი გვიკლია. მივაწიეთ შინ.

- რალა მივაწიეთ, ხედავ მზეი ამოვიდა და ჯერ თვალი არ მომიხუჭავს. ოხერია კაცის საქმე: დატრიალებ, ქვეყანაში თავი გამეიჩინო გინდა, ვითამ და სიცოცხლეს უმატებ, მარა მეორე ფხრით კი აღარ იცი, რომ ჯანიც გელევა და სიცოცხლე გაკლტება ამით. აბა, იფიქრე, წუხელი მთელი ღამე უძილოთ გავატარე იმის გულიზა, რომ საქმე ჩემს ჭკუაზე წევიყვანო, სხვას არაფერი დავანებო-მეთქი; დღეს აგერ იმის მიზეზით ტვინი მიბრუა და თვალები მიბნელდება! აგერ შუა ხნის კაცი ვარ, სად შემიძლია ამდენი! მარა გული, არ ასვენებს ადამიანს. ყველაის მიზეზი იგია, იგივე გვაცოცხლებს და იგივე გვანელებს, - წაილაპარაკა უძილობისაგან გარეცრეცებულმა ივანემ და გაშლილის ნაბიჯით განაგრძო სიარული.

ვინ იყო გიორგი, რომელიც პირველ და მესამე თავებში ამ რომანისა რაოდენსამე ადგილას შეგვხვდა? ეხლავე, ბატონო მკითხველო, მოგახსენებთ ამ პირის, გიორგის ვინაობას.

თავადი №№ თავის სოფელში X-ში ისეთივე პატივცემული დიდი ვინმე იყო, როგორც სხვა იმდროინდელი თავადები თავიანთ საყმო სოფლებში. როგორც სხვა თავადებს, ისე №№-საც ჰყავდა: მოურავები, ბიჭები, გოგო-მოახლეები, მზარეული, მეჯინიბე, კურძალი და სხვა მოსამსახურენი. როგორც სხვა თავადების, ისე მის სასახლეშიც იდგენ საფარეშო, სამზარეულო, სამეღვინო, საჯინიბო და სხვა წვრილმალ ფიცრული შენობები. თვითონ თავადს ედგა ოჯახეულობისათვის ერთი გვარიანი მოზრდილი ხუთოთახიანი ფიცრის სახლი. თვითონ თავადი №№ და მისი მეუღლე ძლიერ პატიოსან და ღვთიურ ბატონათ

მიაჩნდათ იმათ გოგო-ბიჭებს და ამბობდენ იმათზე: “იმათი ჭირი მის გოგო-ბიჭებს, რა ღვთიულები არიან! სხვა მებატონეებს რომ ვხედავთ, აგინი იმათთან ნამდვილი ანგელოზებიაო”. მაგრამ რაც უნდა ეთქვათ გოგო-ბიჭებს მათზე, თავადი №№ და მისი მეუღლე მაინც ბატონები იყვენ და გოგო-ბიჭები იმათი მონები. იმ დროს, როცა სხვა “უღვთო მებატონეს” “მამაძაღლოს” შეგინება ესაჭიროებოდა, რომ თავის გოგო-ბიჭები ემსახურებია, თავადი №№ და მისი მეუღლე ნელტკბილობით ახერხებდა ამას. ეს იმას ნიშნავს, რომ ალი-ხოჯა და ხოჯა-ალი ერთი და იგივეა, ესე იგი “ღვთიული ბატონებიც” და “უღვთო ბატონებიც” ორივე რკინის უღლად აწვა გლენკაცობას კისერზე და ყვლეფდა მას შეუბრალებლათ. როგორც სხვა თავადების სასახლეში, ისე თავადი №№-ის სასახლეში, გოგოები იძულებულნი იყვენ მთელი თავისი სიცოცხლე უქმროთ გაეტარებიათ. ეს უქმრო ქალები ძლიერ შიშის ქვეშ ჰყავდა ქალბატონს - “ბოზობა” არ

ქნათ, კაცი არ შეგეხონო, - მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, როგორც სისხლხორციანი არსებანი, მაინც ვერ იმაგრებდენ თავს და ამრავლებდენ იმ ადამიანთა დასს, რომლებსაც კანონთ მწერალმა ისე უსამართლოდ მიაკერა სახელი “უკანონო შვილი”. ზოგნი ამ “უკანონო,” უპატრონო შვილებში თუმცაღა თვითონ “ღვთიული მებატონის” წყალობით შექმნილნი იყვენ, მაგრამ გაყიდვა-გამზითვება-გაჩუქებას მაინც ვერ გადარჩებოდენ, რადგანაც იმ დროს ასეთი მოქმედება არ ითვლებოდა უღვთო მოქმედებათ. ზოგს ამ “უკანონო შვილთაგანს” ჯერ ძუძუს წოვაც არ ჰქონდა მოთავებული, რომ “ღვთიული მებატონე” მიათრევდა გასაყიდათ. მხოლოდ ერთი “უკანონო შვილთაგანი”, რომელსაც გოგის ეძახდენ, მეტად შესანიშნავი საღი შეხედულობის გამოდგა და ამიტომ თავადი №№ და მისი მეუღლე ვერ იმეტებდენ მას გასაყიდათ. გოგის დანახვაზედ თავადს №№ და მის მეუღლეს ხშირად

მოსდიოდათ ამგვარი ლაპარაკი:

- ჩემს გოგის წერა კითხვა ვასტავლოთ და კაი მოურავი გამოდგება. ეტყობა რომ იგი ყაძახის შვილი არ არის, ყოველიფერი თავადიშვილის აქ.

- შენი შვილი იქნება, მეტი ვილაის?

- ჩემი? არ ვიცი, არ მახსოვს.

- ეჰე, არ ახსოვს! მე რას მიმაღავ? თურმე არც ერთი გოგო არ დაგიტიებია, რომ...

მართლაც, რა რომ გოგი წამოიზარდა, თავადი №№-ის მეუღლემ, თავის ქმრის თხოვნით ასწავლა მას ქართული წერა-კითხვა. შემდეგ თავადმა №№-მა გოგი მიაბარა ვილაც ვაჭარს ბერძენს, რომელთანაც სამი-ოთხი წლის განმავლობაში გოგიმ გვარიანათ შეიწავლა თათრული,

ბერძნული ენები და ანგარიში. თავადმა №№-მა რა დაინახა, ჩემმა ბიჭმა უცხო ენები იცისო, მოაშორა ბერძენს, წაიყვანა თავის სასახლეში და დაიჭირა ის მასწავლებლის ალაგას თავისი ორი ვაჟის და ერთი ქალისთვის, რომლებსაც გოგი ამ დროიდან ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, ანგარიშს, თათრულს და ბერძნულს სიტყვებს. თვითონ გოგი კი თავისი სურვილით შეუდგა ხუცური ასოების შესწავლას და ცოტა ხნის განმავლობაში ისე შეისწავლა, რომ გვარიან კარგად კითხულობდა საღვთო წერილებს. არ გასულა ამის შემდეგ ერთი წელი, რომ თავადი №№-ის სასახლეში მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც სულ სხვაგვარად შესცვალა გოგის მდგომარეობა. აი რა შემთხვევა იყო ეს: თავად №№-ს თანისთან მოუკვდა ყელის ტკივილით თავის ორი ვაჟი და ეს ხანში შესული თავადი და იმისი ასეთივე დროული მეუღლე დარჩენ შემყურადენი ერთადერთი ექვსი წლის ქალისა, რომელსაც პატარაობის

სახელად გულოს ეძახდენ და რომელიც ძლივს მოარჩინეს სიკვდილს სხვაგან გადახიზვნით. მაგრამ ერთი ქალი როგორ შეიძლებდა მოვლას და პატრონობას იმდენი ყმა და მამულისა, რამდენის პატრონიც იყო თავადი №№? მერე კიდევ სანამ ეს ქალი სრულწლოვანი შეიქმნებოდა, თავადი №№ და მისი მეუღლე ძლიერ მოხუცდებოდნენ. მეტი გზა აღარ იყო. თავად №№-ს და მის მეუღლეს უნდა ეშვილებიათ “უკანონო შვილი” გოგი. ეს უკვე განიზრახეს თავადმა №№-მა და მისმა მეუღლემ, მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანასაც ედო წინ ერთი დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი: თავადს №№-ს ყავდა ახლო ნათესავები, რომლებიც, კანონიერის გზით იქნებოდა თუ არა კანონიერის, არ დაანებებდნენ, რომ თავადს №№-ს “უკანონო შვილი” გოგი მათ მოძმეთ გაეხადა. ამ შიშის მიხედვით თავადი №№-ი და მისი მეუღლე ჯერ ვერ ბედავდნენ, რომ გოგი ცხადათ თავის მემკვიდრეთ აღეარებიათ, თუმცაღა საიდუმლოთ კი თვლიდნენ მას



თავის მემკვიდრეთ.

ერთ დღეს თავად №№-ს ესტუმრა ერთი გვარიანი ნასწავლი რუსის ოფიცერი (თავადი №№-ი ხშირად პატიჟობდა თავის სახლში მოხელე და ნასწავლ კაცებს და ცდილობდა იმათთან დაახლოვებას). როგორც საზოგადოთ რუსის ოფიცრები, ეს ოფიცერიც, თითქო დიდი ხნის ნაცნობიაო, ისე თამამად და შინაკაცად მოიქცა თავადი №№-ის ოჯახში: ის გაუმასლაათდა თავად №№-ს და მის მეუღლეს, ათას რასმე უამბობდა და ათას რაზედმე ეკითხებოდა იმათ იმ დამტკრეული ქართულით, რომელიც ამ ოფიცერს სადღაც შეესწავლა. უკანასკნელ ოფიცერმა ნახა გოგი და, სხვათა შორის, უთხრა თავადს №№-ს და მის მეუღლეს:

- ბედნიერი ხართ, რომ ასეთი საღი ვაჟი გყოლიათ! ძალიან კარგი გჭირთ ეგ ქართველ თავადებს, რომ ხშირათ გამოდის თქვენში შესანიშნავი შნოიანი კაცი. მაგრამ ამ

თქვენი ვაჟასთანა მე იშვიათით მინახავს.

ამ სიტყვებმა თავადს №№-ს მისცეს შემთხვევა და მოაფიქრებინეს, რომ თავის სტუმრისთვის ეთქვა გოგის დაბადების გარემოება და გამოეკითხა, თუ რა გზით შეიძლებოდა, რომ გოგი თავადი №№-ის მემკვიდრეთ გამხდარიყო.

- თუ ამ ბავშვის სიკეთე გინდა, სკოლაში აღზარდე, შემდეგ სამსახურში შევა და ველარავინ გაუბედავს შენს მემკვიდრეობაზე უარი უყოს, - ურჩია თავად №№-ს ოფიცერმა, რა რომ გოგის დაბადების ისტორია მოისმინა.

- სად, როგორ? - დაეკითხა თავადი №№-ი, რადგანაც მოეწონა ეგ რჩევა.

- აი, თბილისში. მე ამ ცოტა ხანში უნდა წავიდე იქ და თუ გნებავს, წავიყვან თქვენს ბავშვსაც და მივცემ იქ

სკოლაში.

- ძალიან მადლობელი ვიქნებით. რა დღეს წაბრძანდებით?

ოფიცერმა დაუნიშნა დრო. თავადმა №№-მა იმ დროისთვის მოამზადა ისე, როგორც ეგ ურჩია მისმა ნაცნობმა ოფიცერმა, ესე იგი გამოართო მღვდელს მეტრიკული მოწმობა, რომ გოგი ანუ გიორგი ნამდვილ თავადი №№-ის შვილიაო (მღვდელი ფულის გულისთვის დასთანხმდა ამგვარი ყალბი მოწმობის გაცემაზედ), შეუკერა გოგის ტანსაცმელი, მოუმზადა ფული და დანიშნულ დროზე წაიყვანა თავის მეგობარ ოფიცერთან, რომელმაც გოგი მართლაც წაიყვანა თბილისში და მისცა სკოლაში. თუმცაღა ვარსკვლავისა (ასე ერქვა გიორგის მშობელ გოგოს) ძლიერ ტიროდა და ჩიოდა, თვალით თუ ვეღარ ვნახავ, რათ მინდა მისი სტავლა! ჩემი გოგი აქანაი ყოფილიყო სხვა ბიჭებსავით და მისი მზერით

გავმძლარიყავი, იგი მერჩიანო, მაგრამ გოგოს წუწუნ-  
ტირილს და წინააღმდეგობას ბატონის წინაშე აბა რა ძალა  
ექნებოდა, მეტადრე მაშინ, როცა ბატონი ამ გოგოს  
შვილის ბედნიერებისთვის ზრუნავდა. გაარუსებენ შენ  
შვილს, შტო ტი, გეტყვის, რომ გნახავსო, იგდებდენ  
მასხარათ ვარსკვლავისას ბატონებიც და გოგო-ბიჭებიც.

გავიდა ათი-თორმეტი წელი გოგის ანუ გიორგის სკოლაში  
გაგზავნის შემდეგ. თავადი №№-ი და მისი მეუღლე ამ  
დროს განმავლობაში ძლიერ მოხუცდენ. იმათი ქალი  
გულო (პატარაობის სახელი გულო შემდეგაც აღარ  
მოაშორეს ამ ქალს, თუმცაღა კი მას ნათვლის სახელი სხვა  
ერქვა) ამ დროს განმავლობაში გასათხოვარი თექვსმეტ-  
ჩვიდმეტი წლის შეიქნა. მაგრამ გიორგი ჯერ კიდევ არ  
ჩანდა. თავადი №№-ი მხოლოდ ხანდახან ლებულობდა  
მისგან წერილს, რომლიდანაც ჩანდა, რომ გიორგი  
რუსეთში იყო და უნივერსიტეტში სახელმწიფო ხარჯით

სწავლობდა. “თუმცაღა ძლიერ მესურვება თქვენი ნახვა, მაგრამ, რა ვქნა, სანამ სწავლას არ დავასრულებ უნივერსიტეტში, მანამ არ შემიძლია წამოვიდე გურიაში. ნუ გეწყინებათ, ჩემო ძვირფასო მშობლებო! თქვენი შვილი გიორგი”. - ეწერა ყოველთვის წერილის ბოლოში. ბოლოს და ბოლოს თავად №№-ს და მის მეუღლეს იმდენად გაუტეხეს ამ სიტყვებმა გული, რომ გადაწყვიტეს: გიორგიმ მიგვატოვა და აღარ უნდა ჩვენთან ცხოვრებაო.

- ჩვენ გულოს ერთი ვინმე კაი თავადიშვილი შევრთოთ ქმართა და ჩავაბაროთ ოჯახი, თვარა ჩვენ ძაან მოვხუცდით და გიორგიმ ქე გვიღალატა, აღარ მოვიდა ჩვენთან, აღარ იკადრა ჩვენი შვილობა! - გულმტკივნეულად უთხრა ორ-სამჯერ თავადმა №№-მა თავის მეუღლეს.

- ნუ დაუყრი ღორს მარგალიტსო, რომ იტყვიან, მართალი

ყოფილა. გოგოს შვილი გავათავადეთ და ამის სამაგიეროდ აგი გვიქნა, სიბერის დღეს თვალითაც აღარ გვნახა, - უპასუხა ქმარს გიორგის მოუსვლელიობით საშინლით გულდამწვარმა ქალბატონმა №№-მა და ბოლის დაატანა: - ერთ-ორ წელს კიდევ ვუყუროთ. იქნება ქე გაგვიხსენოს გიორგიმ და, თუ აღარ გავახსენდებით, ოცმა კი მითხრა, შენი ქალიშვილის გულისთვის კვტებიან ყმაწვილი თავადისშვილებიო, გამოვარჩევ იმათში რომელსამე და შევრთამ ჩემს გულოს. აგია, რომ სტავლილი კაცი მინდოდა სიძეთ და ვფიქრავდი გიორგი გამომირჩევს-მეთქი, ჯერ რა ეჩქარება გულოს, წელი არ დასრულებია და გული!

თავადი №№-ი თაობიდანვე დაჩვეულ იყო თავი ცოლის რჩევაზე დათანხმებას და ამ შემთხვევაშიაც დაეთანხმა მას, თუმცაღა კი გიორგის მოსვლას აღარ მოელოდა.

თავადი №№-ის მეზობლებს ხომ კარგი ხნიდან გიორგი

დავიწყებული ჰყავდათ. იმათ მხოლოდ გიორგის თბილისში წასვლის შემდეგ ბევრი იჭორიკანავეს: გიორგი თურმე ვინცხა რუსს მიჰყიდა თავის ბატონმა, ძაან ფულები ეიღო თურმე და სხვა, მაგრამ ერთ-ორ თვეში დაუძველდათ ეს ამბავი და შეცვალეს სხვა ამისგვარ საჭორიკანო საგანზე. ეს კია, რომ თავის ჭორიკანობას ამსხვერპლეს საწყალი ვარსკვლავისა, რომელმაც, რა გაიგონა, გიორგი სრულიადაც სკოლაში არ გაუგზავნია თავის ბატონს, ფულზე მიყიდა რუსსო, სევდით ჯერ ჭკუაზე შეიშალა და შემდეგ სულ გამოეთხოვა ამ სიცოცხლისმჭამელ სოფელს.

ერთ დღეს გულო დილიდან მოწყებული სამხრობის დრომდე დატრიალებდა თავზედ თავის დედას, რომელიც გულის წუხილით ავად შექმნილიყო. სამხრობის შემდეგ ავათმყოფი ძილს მიეცა. გულომ იხელთა დრო, გამოიტანა აივანზე, თავისი საყვარელი წიგნი “ვეფხისტყაოსანი”

დაჯდა და ტკბილი ხმით, თითქო მღერისო, დაიწყო კითხვა იმ ადგილიდან, სადაც იწყება ამ სიტყვებით: “აწ საყვარელსა მივუწერ გულამოსკვნილი, მტირალი...” კარგა ხანს, შეუსვენებლად კითხულობდა. დღე მიილია და ბინდის მოახლოვებამ შემოდგომის მოწყენილ ბუნებას კიდევ უფრო მოწყენილი ფერი დასდო. გულო დაეთხოვა კითხვას და გაუშტერა თვალი გადაყვითლებულ არემარეს, რომლის მოწყენილმა შეხედულობამ გულოს გული და სული ამ დროს მორთო სრულიათ საოცნებოთ: გულო ფიქრებით ერთ ხანს “ვეფხისტყაოსანში” გამოხატულ სცენებში დაფრინავდა; მას ახლა თითქო თვალწინ უდგენ მიჯნურის დაკარგვის გამო მტირალი ნესტან-დარეჯანი, თავგანწირული ტარიელი და “ვეფხისტყაოსანში” გამოხატული სხვა გმირები.

ამ ოცნებობიდან გულო გადავიდა თავის მკვდარ ძმებზე,



რომლებიც მას ძლიერ უყვარდა. “გუშინლამ მომესიზმრა, ვითომც ორივე მოვიდა და გვეხვეოდა ყველას ყელზე, - ლაპარაკობდა გულო თავის ფიქრებში, - დედას ვუთხარი ეს სიზმარი და იმან მიპასუხა: შვილო, შენი ძმების სულელები გინახავსო. სულელები! ნეტა ვიცოდე სად წევიდენ მერე? ნეტავ ერთი კიდევ მაჩვენა ჩემი ძმების სულელები!” გულოს აქ რაღაც ისეთი უნებური მძლავრი სევდა მოაწვა გულზე, რომ კინალამ ტირილი არ მორთო, მაგრამ ამ დროს გაახსენდა ერთ დროს მის მასწავლებლათ მყოფი გიორგი; ის აქამდეც ხშირად მისცემია მის გამო ოცნებას და ულაპარაკნია თავის ფიქრებში: “ჩვენი გოგი აღარ მოვიდა! უფ, რა ლამაზი იყო! ნეტავ, ახლა მაჩვენა რანაირია! ეჭვი არ არის, რუსეთში ყოფნა სულ გამოსცვლიდა და გაარუსებდა”. გულოს ენახა მოხუცი, სამსასურში ჩაჭვარტლიანებულ-ჩამტვერიანებული რუსები, მოპარსული, უსიამოვნო პირისახით, ამიტომ ფიქრობდა, რუსთში ნასწავლი კაცებიც უეჭველათ აგეთი იქნებიანო

და ამიტომ ეზარებოდა გიორგის გარუსება. “მამამ ძალიანი ცუდი ჰქნა, რომ გიორგი რუსეთში გაგზავნა! ის რომ ჩვენ ჰვეყანას გაზრდილიყო, ნახავდით, რაც იქნებოდა!” დიან, გულო ხშირათ მისცემია ეგეთ ფიქრებს გიორგიზე, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარი ფიქრი მოუვიდა მას: “მართლა, რა ამბავია, რომ გოგი არ დაბრუნდა? მარა უეჭველათ ვინმე ყმაწვილი ქალი შეიყვარებდა და იმან დაავიწყა ჩვენი თავი. ვითამ რუსეთში არ იქნებიან ლამაზი ქალები თუ? იქაც ადამიანებია, დიან, შეიძლება, გიორგიმ კიდევაც დაიწერა ჯვარი თავის საყვარელზე. ის ხომ თავის დღეში აღარ გამოუშვებს ჩვენს ჰვეყანაში! უფ, რავა ეყვარებათ ერთმანეთი!” სიყვარულის ხსენებაზე გულოს კიდევ “ვეფხისტყაოსნის” გმირები გაახსენდა და დაიწყო ოცნება, თუ როგორ მოეხვეოდენ ერთმანეთს ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, როცა ეს შეყვარებულები დიდი ხნის განშორების შემდეგ ჰაჯეთს ერთმანეთს შეხვდენ. ამ ოცნებამ ისე წაიღო გულო, რომ ის იყო ძილს

მიეცემოდა, თუ რომ ამ დროს ჭიშკრის ჭრიალს არ გამოეფხიზლებია. ამ ჭრიალზე გულომ უცებ გაიხედა ჭიშკრისკენ და დაინახა, რომ ვიღაც ცხენოსანი, რუსულ ტანისამოსიანი კაცი ჩავიდა ეზოში. “ვაიმე, რუსი!” - წამოიძახა გულომ და დააპირა სახლში შერბენა, მაგრამ ამ დროს მან დაინახა, რომ უცნობის პირისახე სრულიად არა გავდა რუსისას. “ჩვენებური უნდა იყოს და რომ დავემალო, დამზრახავს”, - გაივლო გულში და გაჩერდა ბალკონზე. ამასობაში უცნობმა მიაღწია კიდეც სახლთან, ჩამოხტა ცხენიდან, გადასცა ის ბიჭს, რომელიც მას მიჰყვა ცხენითვე, დაუკითხავთ ავიდა ბალკონზე და ჰკითხა გულოს:

- შენ გულო უნდა იყო?

ამგვარმა კითხვამ უცნობის კაცისა ისე შეაკრთო გულო, რომ მან სრულიად პასუხი ვერ მოახერხა.

- ვერ მიცანი? მე შენი ძმა ვარ, გიორგი.

ამ სიტყვებისაგან გულო მიხვდა, რომ მის წინ იდგა გოგი. ის გოგი, რომლის ნახვას ისე გულმხურვალეთ ნატრობდენ ისა და მისი მშობლები. ქალმა სიხარულისაგან კაი მოზრდილი შეჰკივლა და გაექანა გიორგისაკენ, მაგრამ, რადგანაც დედისაგან გაეგონა, გოგი უკანონო შვილიაო, ველარ გაბედა მოხვევნა. გიორგიმ შენიშნა გულოს სიმორცხვე, გადაეხვია თვითონ, გადაკოცნა და უთხრა:

- ა, გულო, რამოდენა გაზრდილხარ, დედ-მამა ცოცხალია?

- ცოცხალია. სულ შენ გნატრობდენ. რა გაუხარდებიან ახლა შენი მოსვლა! - უპასუხა გულომ და სიხარულით აღტაცებაში მოსული შეუძღვა გიორგის სახლში. თავადი №№ ამ დროს წამოწოლილიყო. გიორგი რომ დაინახა, უცხო კაცი ეგონა და მოკრძალებით წამოუდგა და ბოდიში

მოიხადა:

- უკაცრავად, ცოტა შეუძლოთ ვარ და ვიწვევი. აგერ ჩემი მეუღლეც ავით არის.
- ვისთან იხდი, მამა, ბოდიშს, ვერ მიცანი შენი გიორგი?
- გიორგი!

წამოიძახა თავადმა №№ - მა და სიხარულისაგან კინალამ თავბრუ არ დაესხა.

- შვილო, წვერიც ამოგსვლია, დავაჟკაცებულხარ, რაღას გიცნობდი! - ამ სიტყვებით მოეხვია თავადი №№-ი გიორგის ყელზე. ამ ლაპარაკზე გამოიღვიძა ქალბატონმა №№-მა და, რა დაინახა გიორგი მოსულაო, სიხარულით კინალამ გული არ წაუვიდა. თუმცაღა ავადმყოფობისაგან ძლიერ დასუსტებული იყო, მაგრამ მაინც წამოდგა

ლოგინიდან და მოეხვია გიორგის:

- შვილო გიორგი გული კი მითქმიდა, მოხვიდოდი, არ დაგვივიწყებდი.

ყოველივე ამის შემდეგ მგონია, აღარავის გაუკვირდება, რომ გიორგი თავისი რუსეთიდან ჩამოსვლის მეორე ღღესვე დაეკითხა თავად №№-ს და მის მეუღლეს, თითქონამდვილი შვილი იყო მათი: რას მეტყვით, მშობლებო, სამსახურში შევიდე, თუ სახლში დავრჩეო? და რა მოისმინა მათი რჩევა: სამსახურში მყოფი ყმა და მამულს ველარ მოუვლი, ჩვენთან იცხოვრეო, დარჩა თავადი №№-ის სახლში და თავის თავი თავად №№ და მისი მეუღლის ნამდვილი შვილი ეგონა. მეტადრე ამის შესახებ გიორგის უეჭველათ ხდიდა ის ყალბი მეტრიკული მოწმობა, რომელიც თავადმა №№-მა მოუპოვა მას სკოლაში გაგზავნის დროს და არეთვე ისიც, რომ თავისი შექმნა-შობის ისტორია არავისგან გაეგონა. მართალია, გიორგის

ახსოვდა, რომ ვარსკვლავისა ნაზის, დედობრივი სიყვარულით ეპყრობოდა მას და შვილს ეძახდა, აგრეთვე ახსოვდა, რომ ვარსკვლავისამ მის თბილისში წასვლის დროს იტირა, შვილო, მიყევხართო, მაგრამ ფიქრობდა: ვარსკვლავისა ძიძა იყო ჩემი და რა გასაკვირველია, რომ ძიძას უყვარდი, ჩემი მოშორება ეზარებოდაო. რაც შეეხე თავად №№-ს და მის მეუღლეს, ისინი ძლიერ ფრთხილად იყვენ და მეცადინეობდენ, გიორგის არ გაეგო, რომ ისინი ნამდვილი მშობლები არ არიან. ყველა თავის გოგობიჭებზე დარიგება ჰქონდათ მიცემული: თუ ვინმემ გკითხოს გიორგის ვინაობა, კახელი თავადიშვილია, ჩვენი ბატონის ნათესავი-თქვა, უთხარით და გიორგის არ გააგებიოთ, რომ ის ჩვენი შვილი არ არისო.

აი, ბ. მკითხველო, რამდენიმე ცნობები ჩვენი რომანის გმირის გიორგის ვინაობაზე. გიორგის არსებობა მის სამშობლო გურიაში დღეს თითქმის სრულიათ

დავიწყებულია, მაგრამ სამაგიეროთ რუსეთში კიდევ მოიპოვებინა ისეთი პირები, რომელნიც ტკბილი მეგობრული გრძნობით გაიხსენებენ გიორგის. ეს ის პირებია, რომლებიც ვიდრე 1840 წლის ზაფხულამდე, მთელი ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდნენ გიორგისთან ერთად პეტერბურგის უნივერსიტეტში, ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე.

თუმცაღა კარგა ხანი გასულა მას შემდეგ, რაც გიორგი იმათ გამოეთხოვა და გამოემგზავრა კავკასიაში, თუმცაღა მას შემდეგ ამათ ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა, ბევრმა ცივმა და ცხელმა ქარმა დაბერა იმათ გულს, იმ დროს ჯერ კიდევ გამოუცდელი, ყმაწვილური, ათასგვარი იმედებით სავსე გული დღეს მოხუცებამ და მწარე გამოცდილებამ გააგრილა და უიმედობით აავსო, მაგრამ მაინც ეს მოხუცი რუსები, რა ერთმანეთს შეხვდებიან და თავის სტუდენტობას მოიგონებენ, მაშინვე გაიხსენებენ



ერთ ღროს იმათ საიმედო ამხანაგად და მეგობრად მყოფს ნიჭით სავსე გიორგის, რომლის შესახებ აგერ ორმოცდაათი წელია აღარა გაუგონიათ რა, ცოცხალია თუ მკვდარი.

## V

იმ ღამეს, როცა ბესია და მისი ამხანაგები რჩევის საკითხავად იყვენ მასთან, გიორგი დიდხანს იწვა ლოგინში ისე, რომ ძილი არ მოჰკიდებია. “ჰმ, რა უგუნური განზრახვა მოსვლიათ! აჯანყება ხუმრობა ჰგონიათ იმათ, - ფიქრობდა ის, - დაღუპავს ჩვენს გამოუცდელ ხალხს ეგ უგუნური განზრახვა! აბა ახლა ესაჭიროება მას კაცი, ახლა ესაჭიროება მას რჩევა-გაპირება. არა, არ შემიძლია ამას შორიდან გულგრილად ვუყურო. მე ვურჩევ ხალხს, რომ ეგეთი უგუნური და დამღუპველი განზრახვა უარყონ. და თუ ეგ ვერ მოვახერხე, იმ შემთხვევაში ყოველ ღონისძიებას ვიხმარ,

რომ ჯანყის მიზანი შესცვალონ, ესე იგი ჩვენმა ხალხმა რუსებს კი არ გაუწიონ წინააღმდეგობა, არამედ მონობას, ანუ ბატონყმობას. დიან, გლენკაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესობა უნდა ჰქონდეს მიზნათ აჯანყებას და არა რუსების განდევნა. მართალია, გაუნათლებელი, გლენკაცის შრომით ცხოვრებას დაჩვეული თავადაზნაურობა დიდ წინააღმდეგობას გაუწევს ამ აზრს, იმათი ლტოლვილება ის არის, რომ ჩვენი ქვეყნიდან განდევნონ რუსები და შემდეგ წინანდებურად გაამთავრონ რომელიმე არამზადა, ხალხის შრომით გასუქებული თავადი, რომელიც თავის დღეში მონობას ქვეშე დაიჭერს გლენკაცობას, რომ ამით მოიგოს თავის ბოძის თავადაზნაურობის გული. დიან, ეს არი ჩვენი გაუნათლებელი თავადაზნაურობის ლტოლვილება. მაგრამ ამას, თუკი კაცი მეცადინეობას არ დაიზარებს, ადვილათ მოეჭრება კბილი: საჭიროა მხოლოდ შინაყმებს ჩააგონოს კაცმა ჩვენი

თავადაზნაურობის ლტოლვილების მიზანი, ანუ სარჩული. მაშინ შინაყმები, რომლებიც ასჯერ მეტი არიან თავიანთ ბატონებზე, მტვრათ აქცევენ ჩვენი გაუნათლებელი თავადაზნაურობის ამგვარ მოქმედებას და ამგვარის მოქმედებით წაჰგლეჯენ დიდის ხნიდან გაჭედდის, გლახკაცობის ყელზე მოხვეულს ჯაჭვს. ეგ არის ჩემი მრწამსი. მაგრამ რა საშუალებით შეიძლება ამ აზრის გავრცელება ჩვენ ხალხში? ჟურნალ-გაზეთები არ არის ჩვენში, რომ იმის საშუალებით ვიმეცადინოთ. აბა სხვა რაღაი? აბა ეს არის სამწუხარო. აი, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ვიწრო გზაღა დარჩენილა. ჩემი აზრი უნდა გავანდო ჩემს ნაცნობებში ყველა სანდო პირებს; ისინი კიდევ თავის მხრით გადასცემენ თავიანთ ნაცნობებს და ამგვარათ შესაძლოა რასმე გახდეს კაცი. ვინიცობაა საჭირო შეიქმნეს, მე უნდა მოვშორდე ჩემს მშობლებს და გავიდე ხალხში, მაგრამ ეგეც არ არის ადვილი საქმე! ვინ უნდა დაუტოვო იმედათ ჩემს მოხუც

მშობლებს და ჩემს დას? ჩემს დას ისე უყვარვარ, რომ უეჭველათ ჭკუაზე შეიშლება, მე რომ რამე ცუდი შემემთხვას. არა, მართლა რას ნიშნავს ეს უსაზომო სიყვარული ჩემი დის მხრით? როცა მიმზერს, იფიქრებ თვალებში ცეცხლი აენტოვო! ცუდს რასმე ხომ არ მოასწავებს სიყვარული? ვინ იცის, ყმაწვილი ადვილათ ჩავარდება შეცდომილებაში! მაგრამ ეჰ, რაგვარი ახირებული აზრები მომდის! სულ იმ, ივანე იყო თუ ვილაც ბოროტი, იმისმა ცბიერმა ღიმილიანმა ლაპარაკმა ამიძრა ეგ ახირებული აზრები. სახეზე ეტყობოდა, ივანე არ უნდა იყოს პატიოსანი კაცი. თამარამ სთქვა, ბევრი ადამიანის სისხლი ადევს კისერზეო. ახლა კი ხალხის მეთაურობას აპირებს, ეტყობა. ღმერთმა დეიფაროს! მე ივანეს სახეზე შევატყე, რომ ის ადვილათ ჩადგება ხალხის ღალატში...” ალიონმა მოატანა. მამლებმა მოუხშირეს ყივილს. ბურუსად აბლანდული ფიქრებისაგან მოქანცულს და თავატკენილს გიორგის უკანასკნელ

ჩაეძინა, მაგრამ აქაც ვერ იყო მაინცადამაინც მოსვენებით: ის ფიქრები, რომლებიც სიფხიზლის დროს მთელ ღამეს არ ასვენებდენ გიორგის ძილის დროს, მის გახურებულ ტვინში ათასგვარ კარიკატურულ სურათად გადამახინჯდენ და მოეხვიენ სიზმრათ.

გათენებისას გულომ ჩვეულებრივად ადრე გაიღვიძა, ადრე დაიბანა ხელ-პირი და დაიწყო სეირნობა თავის სახლის წინ, აივანზე. ხანდახან ის შეჩერდებოდა იმ ოთახის წინ, რომელშიც გიორგი იწვა და დაუწყებდა კარებზე მზერას. კარგა ხანს დადიოდა გულო აივანზე, მაგრამ შემდეგ, რა მაისის მზემ მიუცხუნა ბალკონს, ის შებრუნდა სახლში, სადაც ის იყო დგებოდენ ლოგინიდან იმისი მშობლები, რომლებსაც ძილის შემდეგ უფრო ემჩნეოდათ მოხუცებულობა; თვალები შესაზარად ჰქონდათ ამოსველებული, პირისახე სისხლისაგან დაწრეტილი და სხვა... ხველა ხომ დილდილობით აღარ

ასვენებდა ამ პატივცემულ მოხუცებულ ცოლ-ქმარ თავადებს. “პირის ფარეშმა” (გოგომ) მოკრძალებით თავის მოხუც ბატონებს წყალი მოართვა, დააბანია ხელ-პირი და შემდეგ ჰკითხა:

- ბატონო, ჯერ გვიბძანებთ ჩაის მორთმევას?

- გიორგი ხომ ადგა? - ჰკითხა თავის ასულს თავადმა №№-მა.

- არა, მისი ოთახის კარები ჯერ კიდევ დახურულია, უპასუხა გულომ, რომელიც ამ დროს სტოლთან იჯდა და ფურცლავდა “ვეფხისტყაოსანს”.

- ვაჟო, სხომის არ დამართია აგი, ავათ არ იყოს? თქვა გულოს დედამ, რომელმაც ის იყო, დაასრულა ლოცვა ღვთისმშობლის ხატის წინაშე, რომელიც თავადი №№-ის სახლში ეკიდა კედელზე, აგერ ექვსი წელი იყო.

- გულო, შედი, შეიტყვე, - უთხრა თავადმა №№-მა თავის ასულს და შემდეგ უბრძანა გოგოს:

- გიორგის ადგომამდე ჩაი არ შემოიტანო.

გიორგის ოთახი იყო ზალიდან მარჯვნივ, ასე რომ წინა კარები და ერთი ფანჯარა ამ ოთახისა გამოდიოდა ბალკონში, მესამე ფანჯარა გაჰყურებდა ვენახიანი ხეებით და ხეხილებით მორგულ ვაკე მიდამოს, რომლის გვერდზე მომდინარეობდა გვარიანი მოზრდილი რუ. ეს მესამე ფანჯარა თითონ გიორგიმ გამოაჭრევია რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, რადგანაც ოთახში ბნელოდა და წერა-კითხვა შეუძლებელი იყო. გულო მივიდა ოთახის კარებთან, რომლებსაც გიორგი არასდროს არა ჰკეტავდა, ცოტა ხანს გაჩერდა, შემდეგ ნელა გააღო, შევიდა ოთახში და კარები ხელახლად დახურა. გიორგის ნელი სულის თქმა არღვევდა ოთახის სიჩუმეს. “გენაცვალე, სძინავს და პირზე სიწითლე აჩნევია! -

ჩაილაპარაკა გულომ თავის გულში, რა დაინახა მძინარე გიორგი, - ეტყობა ტკბილ სიზმრებშია, საყვარელს კოცნის. ნეტა ვინ არის ის ბედნიერი?" ცოტა ხანს გულო ფეხზე იყო გაჩერებული და ისე დაჰყურებდა მძინარე გიორგის, რომელსაც საზაფხულო თხელი საბანი ცოტათი გადაძრომოდა და თოვლივით თეთრი მკერდი შიშვლათ ჰქონდა. შემდეგ ქალი წყნარად ჩამოჯდა გიორგის საწოლის კიდეზე, დაინახა და სამჯერ თანისთან აკოცა გიორგის მკერდზედ. გიორგი ამ კოცნაზე ცოტათი შეინძრა, მაგრამ კი ვერ გაიღვიძა. გულო იჯდა და ისევ ისე დაჰყურებდა მას. კაშკაში სინათლე, რომელიც შემოდდიოდა თეთრი ფარდებით დახურული ფანჯრებისაგან, საკმაოდ ანათებდა გიორგის პატარა ოთახს, რომელიც ისე იყო წიგნებით გავსებული, რომ ბიბლიოთეკა გეგონებოდათ. "ღმერთო, კიდეც ვერ გაიღვიძა!" - წამოილაპარაკა წყნარად გულომ, ხელახლავ დაინახა და აკოცა გიორგის შიშველა ყელზე. მძინარე



გიორგიმ მაშინ აიღო მარჯვენა ხელი და მოისო ყელზე. სწორედ იმ ადგილას, სადაც გულომ აკოცა, და შემდეგ მოინდომა ხელის იმავე ადგილს დადება, სადაც უწინ ედო, მაგრამ მძინარეს შეცდომა მოუვიდა და მის მაგიერათ ხელი გადმოჰკიდა ლოგინიდან ძირს... “ვაიმე!” - წამოიძახა გულომ ნახევარი ხმით, აიღო წყნარად გიორგის ხელი და დაიკავა ხელში. ამ დროს გულოს ისე უცემდა გული, ისე უთრთოდა სხეული, სახე ისე გაფითრებული ჰქონდა, ისე ეშინოდა, რომ შეგეხედა, იტოდი: ეს ქალი ადამიანის მკვლელობას უნდა ჩადიოდესო. მართალია, გულო იმ დღემდეც ხშირად შესულა დილით გიორგის ოთახში, მაგრამ იმ დღემდე გიორგი ყოველთვის გაღვიძებული დახვდებოდა მას, ან გულოს შესვლისთანავე გაიღვიძებდა; იმ დღეს კი, თითქოს განგებ, მის გამოსაცდელათ მისცემოდა ღრმა ძილს. იმისი ხშირი, ხუჭუჭი, შავი თმა ეყარა თეთრ პირიან ბალიშებზედ; იმისი ლამაზი, სწორი სახე ძილის დროს

კიდევ უფრო გალამაზებულ-გასხივიანებულიყო. ხანდახან, თითქო რისლაც თქმა უნდოდაო, ისე აცმაცუნებდა თავის თხელს ტუჩებს. “მაშინ კი ჩვენშიაც ეშველება გლებებს. ჩემი აზრი ეს არი”. - გარკვევით წამოიძახა მძინარე გიორგიმ უკანასკნელ. „შენ გენაცვალე, წააბოდა!” - სთქვა გულომ და მესამეხელ აკოცა მძინარე გიორგის, მაგრამ ამ უკანასკნელხელ კი იმის ტუჩები ამოიჩია. ამ უკანასკნელმა კოცნამ გააღვიძა გიორგი.

- რას შვრები, გულო! ბავშვი ხომ არა ვარ, რომ მკოცნი! - წყენის კილოთი უთხრა მან გულოს.

- შეგეზიზლა ჩემი კოცნა! მომიტევეთ, შემდეგ აღარ გავბედავ, - ათრთოლებულის ხმით უპასუხა გულომ, რომელიც ისე შეაკრთო გიორგის სიტყვებმა, რომ თვალებზე ცრემლო მოედინა.

- არა, ვინ გითხრა მეზიზღებო? ახალგაღვიძებული ვიყავი და ანგარიში ვერ მივეცი, რა უნდა მეთქვა. თუნდა ახლაც მაკოცე, აი კიდევ მესიამოვნება.

შესცვალა საჩქაროდ გიორგიმ თავისი სასტიკი სიტყვები, რა რომ დაინახა გულოს თვალებზე ცრემლები.

- დედ-მამამ გამომგზავნეს, ადგომა რომ დაგაგვიანდა, შეშინდენ. ჩაიზე ხომ შემოხვალ?

- ცოტა ავათ შევიქენ, ჩაი უჩემოთ მიირთვით, - უპასუხა გიორგიმ, რომელსაც მართლა სტკიოდა თავი.

- ავათო, ვაიმე! ღმერთმა დეიცვას შენი ავათ გახთომა! - წამოიძახა შეშინებულმა გულომ და ხელახლა დაჯდა გიორგისთან.

- რისთვის შეშინდი? ცოტა თავი მტკივა, სურდო უნდა

იყვეს, სხვა კი არაფელი. კარგი, თუ გინდა, წამოვალ ჩაიზე.

გიორგი ადგა, ჩაიცვა ტანზე და გულოსთან ერთად შევიდა ზალაში.

- რა ქენი, გიორგი, ავათ ხომ არ ხარ? - ერთხმად ჰკითხეს თავადმა №№-მა და მისმა მეუღლემ გიორგის.

- სურდო დამემართა, მარა არა მიშავს რა, - უპასუხა უკანასკნელმა და ჩამოჯდა სკამზედ. გულო კი მიაწვა სტოლს, დაუწყო ფურცვლა „ვეფხისტყაოსანს“. ამ დროს ის იყო მოსამსახურემ მოართვა ამათ ჩაი, რძე და ხაჭაპური. ეს ჩვეულება - დილა-საღამოთი ჩაის მირთმევა - მას შემდეგ შემოიღო თავადმა №№-მა, რაც ის რუსის აფიცრებს და მოხელე კაცებს გაეცნო. ყველანი შემოუსხდენ მაგიდას და, გარდა გულოსი, მადიანად მიირთმევენ რძენარევ ჩაისა და პურსა. გულომ კი

ნახევარი ჭიქა ჩაი დალია უპუროდ, შემდეგ მივიდა ფანჯარასთან და გაჰყურებდა გარეთ. იმის ცოტა მოგრძო, ლამაზ შაქრისფერ სწორ პირისახეს, რომელსაც ისე ჰშვენიოდა მაყვალავით შავ-შავი თვალები, გიშერივით შავი წარბები, წამწამები და აგრეთვე, შავი ხშირი თმა, ამ დროს რაღაც ნაღვლიანობა ეტყობოდა.

- გულო, ავათ ხომ არა ხარ? - ჰკითხა მას დედამ.

- არა, - უპასუხა ქალმა.

- აბა ჩაი რეზა არ დალიე?

- არ მინდოდა მეტი.

ჩაის შემდეგ თავადმა №№-მა ჩვეულებრივად გაიკეთა ჩიბუხი, წამოწვა ლოგინზე და ყოველ წამში გამოუშვებდა პირიდან თუთუნის კომლს. მისმა მეუღლემ გადაიარა

გოგო-ბიჭებში და აძლევდა დარიგებას, თუ რა და რა საქმეს უნდა დასდგომოდენ. გიორგიმ შეხედა გულოს და უთხრა:

- გულო, ამ დილას ისტორიას მოვაკლოთ ერთი გაკვეთილი.

- თქვენი ნებაა. მე სხვაზე უფრო საადვილოდ კიდევ ისტორია მიმაჩნია, - უპასუხა თავისებური წმინდა ხმით გულომ, რომელიც მას შემდეგ, რაც რომ გიორგი რუსეთიდან დაბრუნდა, მუყაითად მეცადინეობდა და ყოველდღე გადიოდა გიორგის ხელმძღვანელობით თვითონ გაკვეთილს გეოგრაფიიდან, მსოფლიო ისტორიიდან, არითმეტიკიდან, ქართული ლიტერატურიდან და, ასე გასინჯეთ, ფიზიკა-ქიმიიდანაც კვირაში თვითონ გაკვეთილს.

- ისტორია იმიტომ გადავიღება, რომ ტვინს ბევრი

არაფერი აქვს სამუშაო, ზღაპარით შეისწავლი და ის არის, საქმე გათავებულია.

- განა ისტორია ზღაპარია? მა აბა რაღათ მასწავლი?

- უმეტესი ნაწილი სწორეთ რომ ზღაპარია. ხანდახან, ხომ იცი, ზღაპარიც საჭიროა, - ღიმილით უპასუხა გიორგიმ. შემდეგ წავიდა თავის ოთახში, გამოიტანა ფრანგული წიგნი (გიორგიმ რუსეთში ყოფნის დროს კარგად შეისწავლა ფრანგული ლაპარაკი და წერა-კითხვა) და უთხრა გულოს:

- ბალკონზედ გავიდეთ, თორემ აქ მამას შევაწუხებთ.

გულო დაეთანხმა. გაიტანეს აივანზე პატარა მრგვალი მაგიდა, სკამი და დასხდენ. არ ვიცი, იმათი გაკვეთილების რიგით შეხვდა, თუ განზრახ ამოირჩია გიორგიმ, გადაათვალიერა ფრანგულად დაწერილ ისტორიაში ის

ადგილი, სადაც აღწერილი იყო 1793 წელს საფრანგეთში მომხდარი რევოლუცია და შემდეგ მოკლედ აუხსნა ის გულოს.

- დედა, დედა! ტანში გამაჟრჟოლა ამ საშინელმა ამბავმა! რამდენი სისხლი დაუღვრიათ! რა ძნელი ყოფილა, როცა ხალხის ბედს დაჰპატრონდება ისეთი უსინდისო ადამიანები! - სთქვა გულომ, როცა მოისმინა ამბავი იმ საშინელი სისხლის ღვრისა, რომელიც თავის გავლენით მოახდინეს 1793 წელში საფრანგეთში რობესპიერმა, დანტონმა, მარატმა და სხვა ამხანაგებმა, რომლებსაც ხელში ჩაეგდოთ იმ დროს საფრანგეთის ხალხი.

ასეა, ჩემო გულო! გასული ცხოვრება ადამიანისა ადამიანისავე უსამართლობით დაღვრილი სისხლით მოსვრილია, იმ გასული ცხოვრების შვილი აწმყოში იმავე უსამართლობისაგან დაღვრილს სისხლში და ოფლში სცურავს და, ვინ იცის, რაილა იქნება ამათგან



წარმოშობილი, უსამართლობის სისხლ-ოფლით  
გაჟღენთილ ნიადაგზედ აღზრდილი მომავალი  
ადამიანისა!

- მერე შენ ყოველთვის იმას მეუბნებოდი, ფრანგები  
კარგი ხალხია, ბევრი განათლებული და ჭკვიანი კაცი  
ყოფილა და არის იქაო. თუკი ეს ასეა, რისთვისღა ჩაუგდო  
ხელში თავის ბედ-იღბალი ისეთ უსინდისო კაცებს,  
როგორც ი ვილაც პიერი და მისი ამხანაგები ყოფილან? -  
კითხა გიორგის გულომ, რომელიც მას შემდეგ, რაც  
გიორგის შაგირდათ გახდა, ისეთ ჰუმანურ აზრებს  
ჩემობდა, რომ თავის ფარეშს გოგოს აღარ იმსახურებდა.

- ეე, გულო, ისიც არ იცი, რომ ხალხს განზრახ არ ჩაუგდია  
იმათ ხელში თავის თავი! ეს ყოველივე შემთხვევით  
მოხდა, შემთხვევამ მისცა იმათ ხალხის ბედ-იღბალი  
სატრიალებლად და საქელავად.

- მერე რომ დაინახა იმათი უსამართლობა, იმოდენა ხალხმა ველარ მოერია და ველარ წაართვა თავის თავი ერთ-ორ კაცს? გასაკვირველია!

- სრულიადაც არ არის გასაკვირველი. ხალხის ცხოვრების კანონი მაშინისებურია: მაშინა თუკი ერთხელ ააწყვე, მერე ადვილად შეუძლია ერთმა კაცმა იმდენი ამუშაოს, რომ რამოდენიმე ათასი კაცის ნამუშევარს წაამეტოს. აი ასე აწყობილ მაშინის ჩარხს ატრიალებდენ რობესპიერი და მისი ამხანაგები.

- აბა რაღაში მდგომარეობს ფრანგების განათლება, თუკი ასეთი მავნე მაშინა დაატრიალეს?

- მიკვირს, გულო, როგორ დაუფიქრავად ლაპარაკობ! აკი ვამბობ, რომ ეს 1793 წელში მოხდა-მეთქი. მაშინ კი არა, აპა მას შემდეგ აგერ ნახევარ საუკუნე გავიდა და დღესაც, რომელიც გინდა სახელმწიფო აიღე, ხალხის უმეტესობა

ისევ გაუნათლებელი და გონებაბნელია. მე, თუ გახსოვს, თავის დღეში არ მითქვამს შენთვის, რომ ესა და ეს სახელმწიფოს ხალხი განათლებულია-მეთქი; მე მხოლოდ იმას გეუბნებოდი და ახლაც იმასვე გეტყვი, რომ საფრანგეთის, ინგლისის და ნემცების სახელმწიფოების ხალხში, შედარებით ჩვენს ქვეყანასთან, ბევრი განათლებული კაცები რევია და ურევია მეთქი, მაგრამ ამასთან ესეც უნდა იცოდე, რომ ეს განათლებულები შედარებით გაუნათლებელ, გონებაბნელ ხალხთან, ჯერჯერობით ისე ცოტანი არიან, რომ იმათ არ ძალუძთ ხალხი ცხოვრების ჭეშმარიტ გზას დააყენონ.

- ჰო, თუკი იმ ქვეყნებში, რომლებსაც განათლებულს უძახიან, ხალხი გაუნათლებელია და ბრიყულა ცხოვრობს, აბა ჩვენს ქვეყანას, როდის იქნება, რომ სიკეთე ეღირსოს და განათლებული შეიქნეს! - სთქვა გულომ და თან გაიზმორა.

- შენ, მგონია, შეუძლოთა ხარ? - ჰკითხა გიორგიმ.

- არა, ისე ტყუილა უქეიფოთ ვარ.

- სახე ხან მკრთალი გაქ და ხან ამღვრეული. გონებაგაფანტულობაც გეტყობა.

- რა ვიცი, დილას ადრე ავდექი და ძილი ამყვა, მგონია.

ამ ლაპარაკით ისინი შევიდენ ხელახლა ზალაში, სადაც იმათ წინ შევიდა გულოს დედა და გულმოსული ელაპარაკებოდა თავის ქმარს, რომ შინაყმები მანამდულ ჭკუაზე აღარ არიან, საშინლათ ურჩობენ და ზარმაცობენო.

- რა ქენი, გიორგი, ახლა ხომ კარგათ ხარ? - ჰკითხა თავადმა №№-მა და შემდეგ დაუმატა: - მე ერთი ფიქრი მომივიდა, ცოლი უნდა შეგროოთ, მაშვინ აღარ დაგიწყებს თავი ტკივილს.

- ღმერთს გეფიცები, კაი გიფიქრია, - დაეხმარა ქმარს ქალბატონი №№-ი, - მამაჩემის მონათლული მშვენიერი ქალია, გვარს თუ არ დაიწუნებს გიორგი ვითომ რა უყოთ, აზნაურის ქალს არ შეირთავს თავადისშვილი თუ?

- სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, გენაცვალე! საშინლად მეჯავრება, როცა ცოლის შერთვაზე დამიწყებენ ლაპარაკს.

- ვითომ აზნაურის ქალი რა გიორგის საქმეა! ცოტაა თავადის ქალები? - გაუმტყუნა ცოლს თავადმა №№-მა.

- არა, მამა, გვარი სულ ერთია, გინდა გლეხი ყოფილა, გინდა თავად-აზნაური, ორივე ადამიანებია. მაგრამ მე, ჯერე რომ, ცოლის შერთვა არ მინდა და მერე კიდევ, დედაჩემის მამის მონათლულს ხომ ქრისტიანული სჯულდების ძალით მე ცოლად ვერ შევირთავ.

- უი, მართლა, აგი აღარ გამხსენებია, - გადააფარა სიტყვას

ქალბატონმა №№-მა. შემდეგ, დაუსახელა გიორგის ვილაც  
ყმაწვილი ქალები და ჰკითხა: - აბა რომელი მოგწონს  
აგინში?

თავადმა №№-მაც თავის მხრით ვილაც დაასახელა  
გიორგის საცოლოდ და უნდოდა ამის შესახებ რაღაც  
ლაპარაკი მოეყოლებინა, მაგრამ ამ დროს იმათ თვალწინ  
მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც არათუ მარტო  
ლაპარაკი მიატოვებია თავად №№-ს, არამედ მთელი მისი  
ოჯახი შიშისაგან ფეხზე დააყენა. ეს ის შემთხვევა იყო,  
რომ გულოს, რომელიც იმ დროს საწოლზე იჯდა,  
წაუვიდა გული და კარგა ხანს მიმკვდარებული იყო.  
“შვილო, დილას რომ ფერი აღარ ჰქონდა, მაშინ უნდა  
შემეტყო აგი”, - ამბობდა ტირილით გულოს დედა და  
იკაწრიდა ლოყებს, “არა, ბატონო, მოკლა ნამეტარმა  
წიგნის კითხვამ!” - იძახოდა შეშინებული დედა და  
ღვრიდა ცრემლებს, თავის ასულის გვერდით

გაჩერებული. გიორგი და თამარა კი ფერდაკარგულნი დასტრიალებდენ თავზე მიმკვდარებულს გულოს და ასუნებიანებდენ მას სხვადასხვა სასუნებელ წამლებს. დანარჩენები გოგო-ბიჭებიც კი ძლიერ სწუნდენ და ეხვეოდენ გარს თავის ყმაწვილ ქალბატონს, რომელიც მის შემდეგ, რაც გიორგი რუსეთიდან დაბრუბდა, ისე ეპყრობოდა იმათ, თითქო და არის იმათიო.

- მიშველეთ, გამაძვრეთ ტანსაცმელი და დამაწვინეთ ლოგინში, - წამოიძახა ძლივს გასაგონი ხმით უკანასკნელად გულომ.

დედამ და თამარამ საჩქაროდ გახადეს გულოს ტანსაცმელი და ჩააწვინეს ლოგინში.

## VI

დადგა ივნისი, ეს საუკეთესო დრო ყანებში მუშაობისა

გურიაში. მაგრამ ჯანყის მომხრეებმა იმ წელს იმდენზე აუცრუეს გურიის მუშა ხალხს გული, რომ მუშაობაზე აღარავინ ფიქრობდა. ის რაოდენიმე სიმინდის ყანებიც, რომლებიც ზოგიერთ გულშემჭირე მუშებს დაეთესათ მარტში და აპრილში, გაუმარგლოებისაგან ისე გაყვითლებულიყვენ ბალახს ქვეშ, თითქო შემოდგომის ფოთოლიაო. ვინლა დაეძებდა ყანებს! გურიის მუშა ხალხს ანუ გლეხკაცობას თოხის მაგივრად თოფისათვის მოეკიდა ხელი და ისე ღელავდა ეს მცირეოდენი ერი, როგორც შავი ზღვა ქართველის დროს. ერთილა დაწყება და წინ გაძლოლა აკლდა, რომ ამ ზღვასავით აღელვებულ ხალხს თავისი ექნა, ესე იგი ან გული დაუჯერებია მაზე, რომ ქადილისათვის ძალა არ შესწევდა და ან “ლელო” გაეტანა. ივნისის თვემ თან მოიტანა ეს დროც: ერთს დილას სოფელ №-ში გაისმა კიჟინადატანებული ძახილი: “დღეს მუხიან მერეში თავისურაი გვაქ, ოლქა მოვა, არ დააკლტეთ, არ დააკლტეთ! ვინც დააკლტება, მის ოჯახს



ცეცხლით ამობუგვენ!”

ამ ძახილთან ერთად გაისმა საყვირის უსიამოვნო, გაგრძელებული ზმუილი.

მუხიან მერეს ეძახდენ სოფელს №-ში ერთ მინდორს, რომელშიაც ერთი დიდი ფულუროიანი მუხა იდგა. ეს მუხა ხსენებულ სოფელში იმდენზე ცნობილი და სახელგანთქმული ხე იყო, რომ იქაური მცხოვრებნი ამ მუხის ძირში მართავდენ სასოფლო თამაშობას, მოლაპარაკებას, პაემანს, მსჯელობას და სხვა საურთიერთო საქმეს. რაც უნდა გაჭირვებული სამუშაოვარი ჰქონოდა, ყოველი მუშა, როცა გაივლიდა ხსენებული მუხის სიახლოვეს, მაინც დაისვენებდა მის ძირში და ერთ-ორ ჩიბუხს თუთუნს მოსწევდა. როცა წვიმა მოდიოდა, ხშირად შეხვდებოდით თავშეყრილ მუშებს, გოგო-ბიჭებს რომლებიც თითქო საავდრო სადგური იყო ხსენებული მუხა, ეფარებოდენ მის

ხშირფოთლებიან ტოტებს. ხშირად მომხდარა თურმე, რომ ბატონისაგან გალახული და ერთი-ორი დღით გარეთ გაგდებული გოგო ან ბიჭი ამ მუხის ძირში გაატარებდა ღამეებს. ბევრი შეყვარებულის მხურვალე კოცნაც დათესილა ამ პატივცემული მუხის ძირში. მართალია, მუხა ძლიერ დიდი ხნის იყო, წვერი წაგლეჯილი და წამხმარი ჰქონდა, ძირი-გამოფულუროებული, ტანი ისე დაეხვრიტათ ჭიებს, რომ სხვადასხვა ბუზები თავისუფლით ბუდობდენ შიგ, მაგრამ სოფელს №-ში პატივი და სახელი მაინც არ დაჰკარგოდა მას.

აი, ამ მუხის ძირში იკრიბებოდა ხსენებულ დღეს აჯანყებული გურიის ხალხი.

მზე საშუადღეოს გადასცილდა, მაგრამ ხალხის თავშეყრა ჯერ მაინც ვერ მოთავდა; ყოველი მხრიდან თითო-ორორობით მოდიოდა კაცი. სამხრობის დროს მოისმა სიმღერა და საყვირის ხმა: ეს სხვადასხვა სოფლის ხალხი,

ერთად თავწაყრილნი მოდიოდენ მუხასთან პაემანზე. სიმღერა და საყვირის ხმა თანდათან მოუახლოვდა მუხას და ბოლოს გამოჩნდენ მიკლაკნილ-მოკლაკნილი გამწკრივებული ადამიანის თავები და თოფები, რომლებიც ნელ-ნელა შემოუერთდენ მინდორზე დაბარგულ ხალხს.

- გამარჯობა! - უთხრეს მოხუცებმა არეულის ხმით დახვედრილებს.

- გაგიმარჯოს და გაგვიმარჯოს! - უპასუხეს ამ უკანასკნელებმა ეგეთივე ხმით და თან დაატანეს კითხვა:

- რეთი კაცი ხართ?

- სამი ათასი. თავადი მაჭუტაძენის და ნაკაშიძენის საყმო სოფლები არ არიან ჩვენთან, გვიღალატეს!

- ცეცხლით ამოვბუგოთ მოლალატე, ცეცხლით! - გაისმა ქუხილივით ხალხის ხმა.

სიცხის და მგზავრობისაგან მოქანცული ხალხი გაიყო გუნდ-გუნდათ და დაეშო მიწაზე; მაგრამ, რადგანაც მუხის ჩრდილი ველარ იტევდა იმოდენა დიდრიცხვიან ხალხს, უმეტესი ნაწილი იმათგანი ეყარა ტრიალ მინდორზე და ივნისის ცხელი მზე აცხუნებდა თავპირში. სიმღერის მაგივრად ეხლა გაისმოდა ერთმანეთში გაურჩეველი დუდუნი სიცხისაგან შეჭირვებულის ხალხისა, რომელშიაც ერიენ მცირეწლოვანი ბავშვებიც და გაჭაღარებული მოხუცებიც.

- ეგ ბებრები საიქიოს მიდიან თუ ჩვენთან? - იხუმრა ვიღაცამ, რა დაინახა, რომ რაოდენსამე ბებერს უკვე ჩასძინებოდა.

- ესენი სიკვდილის ხარჯით წამოვიყვანეთ, თუ

სიკვდილი გვესტუმრება, ამ ბებრებით გაუმასპინძლდეთ, უპასუხა მეორემ ხუმრობითვე.

ამ ხუმრობაზედ გამოაჭყიტა თვალები ერთმა მოხუცთაგანმა, შეხედა ხუმარებს და დაცინვით უთხრა:

- რა გითხრა, ბიძია, იცი? მწიფეს ესროდენ და მკუხე წყდებოდაო.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი სიცხე საშინლად ასუსტებდა ერთად შეგროვილი ხალხის სულსა და გულს, ბესია, სიმონ №-ძე და რაოდენიმე სხვები, რომელთა შორის შესანიშნავი იყვენ გლეხები: როსტომა მეჯიხურე, პეტრია მჭედელი და თოიძე, შეუსვენებლად დადიოდენ ხალხში და აძლევდენ რალაც დარიგებას. ივანეც ხომ თავისებურის ხელების აქეთ-იქით ქნევით ათასგვარ დარიგებას და გეგმას აძლევდა იმავე ხალხს, მაგრამ ეტყობოდა, რომ მის რჩევას ამ დროს ხალხი იმდენ

ყურადღებას არ აქცევდა, რამდენსაც ბესიასა და მისი ამხანაგების რჩევა-დარიგებას. ამას ამჩნევდა თვითონ ივანეც და ბრაზი მოსდიოდა და ემუქრებოდა თავის გულში ბესიას, რომელმაც ისე ხელად აართვა ამ თავგასულ მხეც აზნაურს ხალხში გავლენიანობა.

სალამომ მოატანა, ჰაერი გაგრილდა და ხალხიც ხელახლა გაცოცხლდა; ხელახლა ამოჰკიდეს სიმღერა, დაჰკრეს საყვირი და თუმცაღა ბევრი იძლეოდა დარიგებას: “თოფის წამალს არ ეხუმროთ, ახირებულათ არ დახარჯოთ, შავი დღე კარზე გვადგიაო”, მაინც კი იმდენი გაისროლეს, რომ ჰაერს კინაღამ ცეცხლი გაუჩნდა.

“თავი მოიყარეთ, თავი, სიტყვა გვაქვს!” - გაისმა ძახილი, რა რომ ცოტაოდნათ სიმღერა და თოფის გრიალი შეჩერდა. ხალხი საჩქაროდ შემოეხვია მუხას, საიდანაც ძახილი ისმოდა და დაინახა, რომ მუხაზედ ასულა რამდენიმე კაცი, რომელთა შორის ერთი თვალსაჩინო

ტოტი მუხისა ამოურჩევია ივანე X-ძეს და ასკუპებულა ზედ.

- მიყურეთ, ძმებო, - დაიწყო ივანემ ყველაზე წინ, რა რომ ხალხი საკმაოდ მოგროვდა, - ჩვენ თავკაცათ და ჯარის წინმავალთ ამბაკო შალიკაიშვილი ამევირჩიეთ; მარა დღეს თქვენც ხედავთ, ამბაკომ გვიღალატა. თუ ღალატი არ იყოს, სად არის, დღეს ჩვენთან არ უნდა იყოს? თუკი ჩვენ საქმეს დევიწყებთ და გუუძღვებით, მერე რაღათ გვჭირია იგი! ჩვენ კაცი არა ვართ თუ? ვითომ და აფიცერია, ჯარის საქმე იცისო, და იმიზა ვუდობდით თავს კალთაში. არ გაგვიხთა, მან არ გვეუმფროსა! ჯანი გავარდეს, არც ჩვენ გვინდა! კაცები ვართ სხვებიც, უმისოთაც შეგვიძლია საქმე ვქნათ, იგი თუ წახთა, გუუძღობი ჯარის საქმეს და თვითონ ჯარსაც...

- შალიკაიშვილმა რაღამც გვიღალატა, შენზე მოგვინდვია, შენზე! გვითავე, წაგვიყვანე მტერთან, ან ჩვენ და ან

იგინი! შენზევა დღეს ჩვენი წინამძღვრობა! - გაჩნდა  
ხალხში არეულ-დარეული ძახილი.

- მარა ამას კი გთხოვთ, რომ რალამც გავბედე და საქმე  
თავზედ ვიდევინ, ჩემი ნარჩევიც უნდა დეიჯეროთ. მე,  
ჩემი ჭკუით ასე მაქნაფიქრები, რომ ხვალ ავდგეთ და  
სოფლები დავათარეშოთ, ვიზეც ეჭვი გვაქ, სასიკვდილოთ  
ნუ დავზოგავთ, მათი ოჯახები გავხიბაკოთ და ჩვენ  
საქმეზე მევიხმაროთ. მე უნდა გითხრა, ძალიანი  
გულდამწვარი ვარ ზოგიერთებიდან. ამდენი კაცის  
ლალატი კაცმა რავა უნდა გაბედოს! ყველაზე ნამეტარი  
სანანელათ მაქნა ერთი საქმე: ამას წინათ, საქმეს რომ  
ვიწყებდით, ერთმა აფხანაგმა, რალას გიმალავთ, ბესიამ  
არ გაგვართვა სამართალი, ვინცხა სტავლილი კაცი ვიცი,  
გიორგი, და იმას რჩევა ვკითხოთო. გაგტენივართ, ჩვენც  
დაუჯერეთ, წევედით და იი გიორგია, თუ ვინცხა ტრიკი,  
რჩევა ვკითხეთ. თურმე იი ჩვენი გიორგი დიდი ღვთის



მოლალატე, ურჯულო ბრძანებულა. მაშვინ იმისთანები გვითხრა, კალამ გადაგვრია. მარა ამას რალას ვჩივი? აქანაი ბევრია იმისთანა კაცები, მაშვინ რომ ჩვენთან იყო და იმ ლაპარაკზე უყურა. იგინიც კი გეტყვის, რაც ურჯულობა ილაპარაკა. ერთი უბედურობა აგია, რომ ი ტრიკი გიორგი იმ დღესვე ამდგარა და ოზურგეთს, ქუთაისს, ქალაქს, სულ ყოლგან განცხადება მოუცემია რუსებისათვის, ასე აპრობენ გურიაში და მარჯვეთ დახითით. იმ დღიდან მოწყებული თურმე, რუსები ჩვენს დალუპვაზე ცდილობენ, ა, აგი გვიყო, ასე შეგვაცდინა ბესიამ.

- აგია დალუპვა, აგია ოჯახის დაქცევა! ბესიამ თუ ასე მოტყუვდა, სხვაი აბა რალაი, უფრო მოტყუვდება და დაგვლუპავს! ახლა რალა გვეშველება! მარა აი ვინცხა გიორგია, იმის ერთი სისხლით გაგვაძლო და მერე რაც იქნება, იქნას! - გრიალებდა უთავბოლოდ ხალხი.

- ახლა, ძმებო, ერთი მეც მიყურეთ - დაიძახა თავისებური

მკაფიო მამაცური ხმით ბესიამ, რომელიც სულ მალლა, მუხის წვერზე ასულიყო, და განაგრძო: - ამბაკო შალიკაშვილს მთელი გურია იცნობთ და იგიც უნდა იცოდეთ, რომ იგი ღალატს არ იკადრებს. მარა დღეს წყეულმა ავადმყოფობამ მოგვაცილა იგი. თუ ავადმყოფობას მოურჩა, მაშინ რავაც უსახელებია, ისე ისახელებს თავს ვაჟკაცობით. გიორგიმ გვიღალატაო, კიდეც რომ ბრძანებს ივანე, იმიზე, რომ გიორგი ჩვენი ფხარეა, ყაძახების მწუხარებას ჩივა. უნდა რამე საშველი მოგვცეს, მებატონე არ გვჭამდეს. ამის გულიზეა ლანძღავს მას ივანე.

- ღმერთმა უშველოს ჩვენი შებრალებიზე! ქრისტიანი იგი ყოფილა! - დაიძახა რაოდენმამე კაცმა ხალხში.

- გვატყუებს, მოღალატეა თუ კაი იყოს, სად არის, დღეს რეიზე ჩვენთან არ არის, რეიზე არ გვასწავლის რამეს. - დაიგრიალეს დანარჩენებმა ამავე ხალხში.

- ჩვენთან, ბრიყვო, რა უნდა სტავლილ კაცს! ჩვენთან რომ მოვა, იგი აღარც სტავლილია, იმით მიხთი, - დაიწყეს როხვა, კიდეც ზოგიერთებმა.

- სტავლილი კაცი რომაა გიორგი, იმიზა ჩვენთან მოსვლა როის ეზარება, - განაგრძო ბესიამ. - კიდევაც მოვიდოდა, მარა დაი უკვდება და იმიზა ვერ მიატია მომაკვდავი დაი.

- სადაური დაია? - გესლიანად შენიშნა ივანემ. - შევიტყვე, ჩემო ბესო, ვინც ბრძანებულა შენი გიორგი: გოგოის ბუში ბრძანებულა, გოგოის! ვინ იცის, ქრისტიანის შვილია, თუ არა. თავადის ქალს რეზა ლანძღავ, გიორგის დაიანო, რომ ჩივი.

- გოგოის შვილი იყოს, თუ გინდა, კაია, სტავლილია, ნამუსიანია და კაცის მოყვარე, კიდეც და მეტი რაღაი! მიდი ახლა შენ მიეტოლე და შენისთანაი ვარ-თქვა, უთხარი, ჩვეულებრივის სწრაფი მჭრელი სიტყვა-

ლაპარაკით მიაყარა ივანეს ბესიამ და შემდეგ კიდევ განაგრძო ხალხთან სიტყვა: - მარა რათ გვინდა მერე კაი, რომ მოსულიყო გიორგი? ჩვენ იმისთანაი ბრიყვები ვართ, რომ სტავლილი და ჭკუიანი კაცის ნათქვამს ყურშიაც არ შეუშობთ. ჩვენ მარტოთ ჩვენი სისხლისმსმელი მებატონეების ნათქვამი და ნაქნარი მოგვწონს და გვჯერა, სხვაი არა. ახლა მაინც აღარ ხედავთ? დღემდინ ჩვენი ბატონები გვატყუებდენ: ჩვენ ყაძახებს მტერისგან გიფარავთ და იმის სამაგიეროთ, ყაზახებმა ახლა მტერი რომ დეინახეს, მიგვატიეს. ამას ქვია პატრონობა? მერე თვითონ ჩვენმა ბატონებმა არ აგვატეხიეს ჩვენ აგი საქმე? ასეო და ისეო, იწვავდენ პირს და ახლა ქე გაგვეპარენ! ნეტაი აწი კიდევ გვეტყვიან, ჩვენ გპატრონობთ და მტერისაგან გიფარავთო! ველარა, შევიტყვეთ, რაც პატრონები ყოფილან, და მშვიდობით, მათო ბატონობავ! ეყოფიან, რაც აქამდი გვატყუეს და გვჭამეს! დღეს გათავდა, დეიმფნო ბატონობა!

- დეიმფხო, დეიმფხო! აღარ გვყავს ბატონი და აღარც გვინდა! - დაიგრიალა ხლხმა.

- მეტი კიდევ აგი მაქვს სათქმელი, - განაგრძო კიდევ ბესიამ, - რომ, ხვალ დილითგან მოწყებული, ჩვენ უნდა ვათარაშოთ გურია, შევჰყაროთ ყველაი ყაძახები და ბოლოს ნაჩალიკს ბრუსულოვს შეუთვალოთ, რომ გადასახადი აღარ შეგვიძლია გაძლიოთ და ისე სხვაფერ წინამდექი არ ვართ-თქვა. თუ ბრუსულოვმა სიმტკიცის ქახალდი მოგვცეს, გადასახადი აღარ მოვითხოვოთო, იგია ჩვენი ჯარი დეიშლება, მარა ბატონთან მისვლა ვინმემ არ გაბედოს, შინ უნდა წავიდეთ. თუ ბრუსულოვმა არ დაგვეთანხმოს, მაშინ დევეცეთ ოზურგეთს და იგი იქნება, ან მოვერევით ან მოგვერევა.

- ძმებო, ბესია მოტყუებულია იმ ურჯულო ტრიკი გიორგისაგან, - დაიწყო ივანემ, რა რომ ბესიას სიტყვა მიწყნარდა, - ბატონის წინააღმდეგობა არავინ იფიქროთ,

თვარა დევილუპებით... დიდი სისხლი მოყოლა ბატონის ვარისყოფას. აგი აზრი იმიზა დათესა იმ ურჯულო გიორგიმ, რომ უნდა რამენაირათ ჩვენში განხეთქილება მოახთინოს, ჩვენ ერთმანეთს შეგვატაკოს და ამით ჩვენს მტერს ჩვენზე გაამარჯვებინოს. არ შეცთეთ, ბატონის უარისყოფა არ იფიქროთ. ჩვენ მტერს უნდა ვადინოთ სისხლი და არა ძმას!..

- არ იქნება, ივანე, ტყვილაი ნუ ჩივი, გათავდა დღეს ბატონობა! - შესძახა ხალხმა.

- დიდი სისხლი მოყოლა, არ ივარგებს!

- მოჰყვეს, მოჰყვეს, ეს გვწყურია ჩვენც!

- მოიცადე, ვნახავ, რა ბიჭები ხართ! ერთი სიცხე გაჩვენონ, გულჩახეთქილი გამოიქცევით შინ, ჩაიდუდუნა ივანემ თავისთვის, შემდეგ რაღაც უჩურჩულა ყურში იქვე მის

გვერდით მჯდომს თავის ბიჭს კოზიას და უკანასკნელს,  
რა თავის ბიჭთან ჩურჩული მოასრულა, ჩამოსძახა ხალხს:

- ძმებო, ერთი გამიგონეთ: ამდენი კაცი ჩემს და სესიას  
რჩევაზე ნუ წახვალთ. ყველას თავის ჭკუა აქ და თქვენით  
იფიქრეთ, რაც სჯობს. ბატონყმობა არც თქვენი, ყაძანების,  
დაწესებულია და არც ჩვენი, თავადაზნაურობის. იგი  
დღეს არ გაჩენილა, უხსოვარის დროიდან მომდინარეობს.  
აღბათ, ღვთის ბრძანებაა და ამიზა იმის უარისყოფა  
ღვთის უარისყოფა იქნება. თუ რომ ღვთის ბრძანება არ  
იყოს და ზეცას დაწესებული არ იყოს, აქამდისაც  
მოეღებოდა მას ბოლო. ღმერთმა ჩვენზე უფრო კარგათ  
იცის, რაც საჭიროა. აბა ერთი მითხარით, ამდენი კაცი  
ხართ აქანაი და თუ ვინმეს გინახავს ყაძანი უბატონო?

- არც გვინახავს და არც იქნება! - დაიძახა ივანეს ბიჭმა  
კოზიამ. - ბატონი თავია ჩვენი და უთავოდ ქვეყანაც არ  
ვარგა. ჩვენი მტერის სამტეროთ მოვსულვართ დღეს და

ვინც საქმეზე ხელს შეგვიშლის, იგი ჩვენი მტერისაგან გამოგზავნილი ჩვენი მოღალატეა. რას ქვია ბატონის უარიყოფა! შვილსავით გამოუზრდივართ და მივაჩნივართ. ამას მტერი გვიშობა. მტერი და იმის სისხლი შევსვათ, ასე არ არის? თქვით თქვენა!

\_ ნამდვილია, ნამდვილი! ბატონს არ ვერჩით. ჩვენ მტრის სისხლი გვინდა! - აჩოჩქოლდა ხალხში რამდენიმე ხმა.

- არა, ძმებო! - დაიძახა სიმონ №-დემ თავისებური ტკბილი ხმით. არ შეცდეთ, პირველი თქვენი აზრი არ მოშალოთ. ბატონყმობა ამ ქვეყნის ჯოჯოხეთია, ბატონყმობის მოსპობა ღვთის საამურიც იქნება და ქვეყნის სასარგებლოც. მაღლობა ღმერთს, ყველამ იცით, რომ მე სხვა აზნაურებზე ნაკლები ყმის პატრონი არა ვარ, მარა ჩემის მხრით ხელი ამიღია ბატონობაზე, ღმერთმა ხეირი მისცეს ჩემს შინაყმებს, მეც დედამ მშვა და იგიც. მათ თუ ვემეზობლო, მემეზობლოს, ისე მან მისთვის იცხოვროს,



მე ჩემთვის. მამაჩემი თუ ვარს იტყვის, ამაზე მე თანახმა ვარ, ძალა უყავით.

- აკურთხოს შენი ენა, სიმონ! დეილოცოს შენი კაცობა! იგრიალა ხალხმა.

- ტყუილა უხითთ მაღლს, სიმონს თქვენთვის არაფერი შემოუწირავს. იმან დიდი ხანია, რაც თავის სისხლი, აზნაურობა, კაცობა, ნამუსი და ნათესაობა შესწირა ერთს ყაძახის კახპა გოგოს.. იმას დღეს არც აზნაურის სისხლი აქ და...

ივანეს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ სიმონმა, რომელსაც გულმა ძალზე თავისი ლამაზი პირისახე ცეცხლივით აუნთო, მოიგდო თავისი ვერცხლიანი თოფი მხარზეთ და შესძახა ივანეს:

- შენ, ბერო ძაღლო ივანე, გაჩუმდი თუ არა, კვერნასავით

გადმოგაგდებ ამ ხიდგან და ჩაგიკავებ იმ გველის ენას!

- აბა, თუ ბიჭი ხარ, რამეს ჰკადრებ! - გამოესარჩლა კოზია თავის ბატონს და მიუმიზნა თოფი სიმონს, რომელსაც ის იყო ხუთიოდე კაცმა ამ დროს აართვეს თოფი, დაუჭირეს ხელები და უნდოდათ დაემშვიდებიათ.

- ჩხუბზე თუა საქმე, მე თქვენ გაჩვენებთ, რაც ბიჭები ხართ! - დაიძახა ბესიამ, თვალის დახამხამებამდე გაჩნდა ხიდან ძირს. დაუმიზნა კოზიას და გულისგამხეთქი ხმით შესძახა:

- შენ, წუწკო ძაღლო, ჩამოეთრიე ძირს შენ ძაღლ ბატონთან თუ არა, ამ წამში გაგათავე ორივე!

ხალხი ბესიასაც მისცვინდა, თოფს ავართმევთო, მაგრამ ბეჭებგანიერი ვაჟკაცი ბესია ნაზი სიმონასაებრ კი არ ემორჩილებოდა მათ: ამ ვაჟკაცს ლომის ფაფარივით

გადაეყარა თავისი კუპრივით შავი თმა, ისე ცეცხლივით ატრიალებდა თვალებს და ირეკდა ხალხს, თითქოს ვეფხიაო. კოზია, რომელიც ბესიაზე ნაკლებ ვაჟკაცად არ სთვლიდა თავის თავს, ჯერ ხიდან ემუქრებოდა ბესიას და უმიზნებდა თოფს, მაგრამ, ხალხმა რომ გამოუცხადა მუხაზედ მყოფთ, ყველანი ძირს ჩამოდიოთ, რა თქმა უნდა, სხვებთან ისიც ჩამოვიდა ძირს და დააპირა ბესიასკენ გაწევა: ხალხმა ისიც დაიჭირა ხელში. გავიდა ამ მდგომარეობაში კარგა ხანი და აშლილები არ მშვიდდებოდენ.

- რას აპირობთ თქვენ! - შესძახა ამათ უკანასკნელ გულმოსულმა ხალხმა, - ბუზები ხომ არა ვართ, რომ ამდონი კაცი აღარაფრათ ჩაგვაგდეთ! ჯერ გეხვეწებით და მერე, ხვეწნა რომ არ გავა, წაგესევით ამოდენა კაცი და სულ ნიორ-წყალათ გაქცევთ! ივანე, შენ ასტეხე, გინდა შენვე უშველე რამე, თუ არა, შენც არ დარჩები კარქა!

ამ მუქარამ შეაშინა ივანე, რომელიც უამისოთაც შეშინებული და გაფითრებული იდგა; ის მივიდა კოზიასთან და უთხრა:

- ბიჭო, კოზიავ, ხომ არ გადაირიე დღეს! გაჩუმდი ახლავე, თვარა, მამა ნუ წამიწყდება, ახლავე ამოვიღებ ხმალს და შუაზედ გაგჭრი! ამ კაცებს თუ ჩვენი რჩევა არ მოსწონს, ღმერთმა მშვიდობა მისცეს, თუ მოსწონს, შენ რა გაჩხუბებს ამიზა! ახლავე წამოდი ჩემთან!

- არა, მე რომ მაფრინდებით, რეზა ბესიას არ ეტყვიტ რამეს? თუ იგი გინდებიან, რომ მერე თქვათ, კოზიამ შეშინდა და იმიზა აპატივა მტერს გალანძღვაო? - უთხრა მის ახლო მყოფს ხალხს.

- რას ქვია, ძმაო, მტერი! აქანაი შენჩემობა და მტრობა რავა იქნება, ძმები ვართ ყველაი! მტერი ჩვენ სხვაი გვყავს და იმასთან გვინდა ბიჭობა, თუკი ვარგვართ. მიდი შენს

ბატონთან ახლავე, თუ არა... - შესძახა ხალხმა არეული ხმით.

- კოზიავ, მოდი-მეთქინ, გიჩივი! უთხრა ივანემ.

- კაი, ახლა მიპატიებია თქვენთვის...

აქ კიდევ რაღაც თავისთვის ჩაილაპარაკა კოზიამ, წავიდა და დაჯდა თავისთვის.

- ბესიავ, ბესიავ, გვითხოვია, გვაპატივე ამდონ კაცს, ივანეც ბოდიშს იხდის, შევცდი მოწიფული კაცი, გავაკუჭეო, - სთხოვა ხალხმა ბესიას, რომელთანაც მუქარა არა სჭრიდა.

- ბესიავ, მე თუ სასიკვდილოთ არ მიმეტებ, გაჩუმდი, აწი კმარა, რაც შევაწუხეთ აი კაცები. შენი თოფიც ამელამ მათხოვე, მე დავიკავებ, - უთხრა სიმონმა, რომელმაც ის

იყო იმ ერთი წამის წინეთ მოიბრუნა გული და დამშვიდდა. ბესიამ აღარ გააწბილა სიმონ, მისცა მას თავისი თოფი და თვითონ საშინლად პირსახეზედ გაალმულეებული დაჯდა მუხის ძირში.

- ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, იტყვიან. ღვთისაზე რა მოგახსენოთ და ერის ხმა თურმე არაფერი ყოფილა! ხელავთ, რამდენი გვანწვალა ორმა ბიჭმა! სთქვა ერთმა ყმაწვილმა კაცმა.

- აგი იმიზა, რომ ჩვენი ერი და დედაბერი ორივე ერთია, ორ კაცს მთელი დღე მივადექით და ვეხვეწეთ, მოგვასვენე, ნუ გვანწვალეფო! თუ დედაბერი არ ვიყოთ, რაღა ხვეწნა უნდოდა? ამოდენა კაცის რომ არ გეიგონა, შეგვეკრა უნდა ორივე ბაწრით და დაგვეგდო მიწაზე. იგი იქნებოდა სამართალი, - უპასუხა ყმაწვილკაცს ერთმა ყოჩაღი შეხედულების ჭალარა კაცმა.

ამასობაში დაღამდა, დღის სიცხისაგან დაზანტებული ხალხი ღამის გრილმა ჰაერმა ისევ მოაცოცხლა. მინდორი სულ ერთიანათ გაანათეს ფიჩხის ცეცხლით; შემდეგ გამოიღეს კაბალახებიდან მჭადი და ყველი, მოიტანეს ხაპით ღვინო და გააწყვეს მწვანე ბალახზე ვახშამი. გაჩნდა სადღეგრძელო, სმა და სიმღერა. ერთ ადგილას ბესიამ და სიმონმა, რომლებსაც ბავშვობიდანვე შეწყობილი ჰქონდათ ერთმანეთთან ხმა, საამოდ შემოსძახეს იმ დროს გურიაში ახლად შემოღებული სიმღერა ჰასანბეგურა.

- იკურთხოს შენი დედის მუცელი! ბიჭი ხარ, ბესიავ, ბიჭი! ჭირში პირველი მამაცი ხარ და ღვინოში პირველი მომღბენი, - გაჩნდა აქა-იქ ლაპარაკი, როცა ბესიას სიმღერის მკაფიო ხმა ზარივით გაისმა ხალხში.

- რაა, ჩემი ბიჭი იმის უარესათ მღერის თუ? უყურეთ, აბა, - სთქვა ცხვირდაშვებით ივანე X-ქემ, რომელსაც, ცოტა არ

იყოს, ეწყინა ბესიას ქება.

- დიახ, იგიც კარქათ მღერის, ორივე კაი მომღერლები არიან, - უპასუხეს ზოგიერთმა პირმოთნე კაცებმა ივანეს, თუმცა კი ამათ კარგად ესმოდათ, რომ კოზიას ჩახრინწიანებული ხმა ბესიას უყალბო ზარივით ხმასთან შორს იყო.

ვანშამი დასრულდა; სიმღერაც ბევრ ალაგას მიწყნარდა და ეხლა ხალხი შეექცეოდა ზღაპრებს, ზმა-შაირებს და სხვა ამგვარებს. ზოგს კიდევ ძილი მოერია და გაიშოთა მონამიანებულ მდელოზე უთავსასთუმლოდ.

- ეე, პეტრია სალოსი, პეტრია! - დაიძახა ვილაცამ.

ამ სახელის გაგონებაზე ყმაწვილი კაცები წამოხტენ და სიცილით გაიქცენ იქითკენ, საიდანაც ძახილი შემოესმათ. ერთ ადგილას ხალხი ძლიერ შეზღუდულიყო და



ხარხარებდა. იმათ შუაში იდგა ერთი მომალლო ტანის, გრძელთავპირიანი, ხშირი, საშინლად გაწეწილი თმით, მრუდე თვალებით, ცალი ფეხით კოჭლი, ნახევრად შიშველი, ოცდაათი თუ ოცდათხუთმეტი წლის კაცი. ეს იყო პეტრე სალოსი. გურიაში თავის დროს ბავშვებიანათ ყველა იცნობდა პეტრია სალოსს. პეტრიას არსად მიჩნეული ბინა არ ჰქონდა, ისე დადიოდა სოფელ-სოფელ, ხან ერთისას გაატარებდა ღამეს, ხან მეორისას, ხან მესამისას, - ერთი სიტყვით, სადაც წაახელებდა, მისთვის სულ ერთი იყო, ვინც შეხვდებოდა - გლეხი თუ თავადი, ყველასას ისე მივიდოდა, თითქო მასპინძელიაო. პეტრია ზაფხულიან-ზამთრიანად ნახევრად შიშველი დადიოდა; ხშირად ის არ მალავდა სხეულის იმ ნაწილს, რომელიც მორალისტების კანონთა ძალით ადამიანს უეჭველად დაფარული უნდა ჰქონდეს. ვისმე შენიშვნაზე: “პეტრია, არ გრცხვენია? სირცხვილიაო”, - პეტრია გადაიხარხარებდა და უპასუხებდა: “შენ რეზა არ გრცხვენია, რომ ცხვირი

გიჩანს?” ან კიდევ, თუ ვინმე ეტყოდა: “პეტრია, მოკვდები, ამ ყინვაში რომ ასე შიშველი დადიხარო”, - პეტრია საჩქაროდ მიაგებებდა:

- რა მომკლავს? მე ღმერთმა რომ გამაჩინა, ისე ვიარები, და შენ თავი დაგიგლახებია, შენ ქერქზე სხვისიც უნდა დეიმატო, ჩემი რა ბრალია.

პეტრიას ისე ჰქონდა შეჩვეული პირი შებრუნებულ ლაპარაკზე, რომ უამისოდ ძნელად თუ როდისმე რასმე იტყოდა. მაგალითად, როცა უქმად მჯდომ ადამიანს ნახავდა პეტრია, ეტყოდა: “ამდენს ნუ იმუშავებ, თვარა გულის გატკენს”. როცა ვისმე უვარგის სიმღერას გაიგონებდა, პეტრია მიაძახებდა: “რა მოგიკვდა, რომ ტირი?” როცა ცხენოსანს შეხვდებოდა, ხმამაღლა დაიძახებდა: “აჰა, მიწის საჭმელი მგლის საჭმელს მიაქვსო” და სხ. ამგ. ამასთან, პეტრიამ საშინელი მოურიდებელი ლაპარაკიც იცოდა, ერთხელ ერთს

თავმომწონე თავადის ქალს, თავისი ქმარი რომ გვერდში ეჯდა, იმ დროს უთხრა: “დიდი ჯანი გქონებია, რომ ამისთანა მოწიფულ ქმარს და კიდევ იმდენ საყვარლებს უძლებო”. დიდკაცები ხანდახან ხუმრობით მოინდომებდენ პეტრიას გაჯავრებას და ეტყოდენ: “არ გრცხვენია, პეტრია სულ უქმად ატარებ დროს? მოდი შენც იმუშავე რამე, თორემ აწი მუქთად აღარ გაჭმევთ”. პეტრია ამ სიტყვებზე გადაიხარხარებდა და უპასუხებდა: “უქმათ ყოფნა თუ სირცხვილია, თქვენ ხომ უნდა დაედნე იმ სირცხვილს და უქმათ დროსმატარებელს თუ აღარ აჭმევენ, პეტრიას უწინ თქვენ მოკვდებით სიმშლითო” ან კიდევ: “არ გაგიგონია, ქურდის ქურდი ცხონებულიაო?” ხალხში ბევრ რამეებს ამბობდენ პეტრიაზე: გეტყოდენ, რომ პეტრია ძალიან ფილოსოფოსი კაცია, მაგრამ განზრახ იქცევა გიჟივითაო, ამბობდენ, რომ პეტრიას ფრინველივით ფრენა შეუძლიაო; ამბობდენ, რომ პეტრიას ანგელოზი ეცხადება და ელაპარაკება

ყველაფერსო და ვინ მოსთვლის, კიდევ რაებს არ ამბობდენ: მაგრამ ყოვლივე ეს ნაამბობი ხალხისავე ფანტაზიის ნაშობი იყო და არა ნამდვილი.

აი ასეთი კაცი იყო პეტრია სალოსი, რომელსაც ისე შემოეხვიენ აჯანყებულები და ხარხარებდენ მის ლაპარაკზე. პეტრია კი თითქო განზრახ ამ ხალხის შესაქცევად მოსულიყო, ათასგვარი სასაცილო რამეებს ამბობდა. ის უსინჯავდა ყველას თოფ-იარაღს. თუ ვისმე უვარგის თოფს უნახავდა, ეტყოდა: “აგი ყველას სჯობს; ამისთანა იარაღის ორ კაცს ეშინია”. თუ ვისმე კეტს დაუნახავდა ხელში, ჩააჩემდებოდა: “სადაური იარაღია აგი, ინგლისის? ამით მთელ რუსეთს დეიპყრობ”. “აა, ივანე, ივანე; შენ მორეკე აგი ჯოგი? მე და ჩემმა ღმერთმა, შენ მატყლსაც მეიხმარ და ტყავსაც!” - უთხრა, რა დაინახა ივანე X-ძე. შემდეგ მოკრა თვალი ბესიას და მიაძახა: - ბესო, ბესო! ბიძავ, მამაშენთან მოგეცადა, იგი ჯობდა,

თვარა რუსებმა ბევრ შენისთანას მოხსნეს თავი კისერზე და შენც რომ იი ფაფარიანი თავი მოგაძრონ და ისე მარტო შიშველი ყელით მოხვიდე შინ, დედაშენის სიმღერას და ჭიანურს ველარ გადავურჩებით მაშვინ”.

- პეტრიავ, პეტრიავ! უთხარ ყველას, ვინც შეგხთეს, რომ ბატონყმოზა აღარ არის, მოისპო-თქვა, - უთხრა პეტრიას ვილაცამ.

- ჰა, ჰა, ჰა, ჰა! - გადაიხარხარა პეტრიამ, - ტყუილა როდის არის ნათქვამი: “გლენიკაცი სიხარულში მოკვდებაო”. არა, მე თუ დამიჯერებთ, ასე ვეტყვი “ბატონებს წელი სტკენია და ყაძახები ტიროდენ, რომ დაიხოცონ, რალა გვეშველება, უბატონოთ დავრჩებით”-მეთქი. სიმართლე იქნება აგი.

კარგა ხანს პეტრიას ოხუნჯობით შეექცეოდა ხალხი; შემდეგ, რა რომ ძიღმა თავისი მოითხოვა, ისინი

გაგორდენ აქა-იქ მიწაზე და ისეთ ტკბილ ძილს მიეცენ, თითქოს სადედოფლო ლოგინში იწვენო, მაგრამ არ გასულა მათი დაძინების შემდეგ ნახევარი საათი, რომ აღმოსავლეთიდან დღემ შემოუჭყიტა თავისი ნათელი თვალები და ღამე მის დანახვაზე შეშინებული ქურდივით გაიპარა დასავლეთისაკენ. სიმონი, რომელიც დაჩვეული იყო უძილობას, ადგა ყველაზე წინ, გააღვიძა მესაყვირე და ათი წამის განმავლობაში საყვირის ხმამ დააყენა ფეხზე სრულიად იქ მყოფი ხალხი. ბესიამ დაჰკიდა გრძელ ჭოკზე დროშათ წითელი ხელსახოცი, მისცა ერთს მამაც ამხანაგს და დაიძახა:

- მეზაირაღეთ თოლიკაია. იგი წავა წინ და ჩვენ გავყოფით მას, გადავიაროთ ოზურგეთის ახლო სოფლები და გავიდეთ გურიანთას. იქიდგან მერე ლანჩხუთში და ნიგოთში მივალთ და რავაც კი მთელი გურიის თემი ერთათ თავს მევიყრით, იგია ბრუსულოვს მოციქული

გუუგზავნოთ, გუშინ რომ ვთქვი, ისე. თუ ჩვენი თანახმა შეიქმნას ბრუსულოვი, კაი, თუ არა, დევეცეთ ოზურგეთს თავზე და ან ჩვენი იქნება ან მისი. თანახმა ხართ?

- თანახმა ვართ, თანახმა! აგრიალდა ხალხი.

- მარა ამას აქიდგან ვჩივი: სოფლების ან მოსახლეობის აოხრება კაცმა არ იფიქროს, ამიზა რომ აოხრება ფირალური წესია და ჩვენ ფირალი როის ვართ, ქვეყანას ვუშველოთ გვინდა რამე; ჩვენ სამართლიანათ უნდა ვირჯებოდეთ. თუ სადმე სოფლებში წინააღმდეგობა შეგვიხთეს, იქინეი თავი მოწინააღმდეგე გავბაწროთ და მერე, თავი რომ აღარ ეყოლება, თემი ჩვენ შემოგვიერთდება, მიხთება, ქვეყნის საშველათ ცდილობენო და თვითონაც ეცთება. ამისაც თანახმა ხართ, ნომე?

- თანახმა ვართ. აოხრება რა სამართალია? ჩვენ ქვეყნის

საპატრონოთ ავდექით, თვარა ასაოხრებლათ როის!

შეიქნა კიდევ ხალხში არეულ-დარეული ხმაურობა. შემდეგ ბესიას მიერ ამორჩეული მედროშე წავიდა წინ და ხალხიც სიმღერით და საყვირის კვრით გაჰყვა მას ზურგში.

## VII

აგერ ერთი თვე სრულდება, რომ თავადი №№-ის სასახლეში გემოთი არც ბატონებს დასძინებიათ და არც მოსამსახურეებს, რადგანაც გულო იმ დღიდან მოწყებული, რაც მას გული წაუვიდა, ისე საშინლად ავად იყო, რომ მოკვდებოდა თუ დარჩებოდა, არავინ იცოდა. ექიმი, რომელიც გიორგის რჩევით რამოდენიმეჯერ მოყვანეს ოზურგეთიდან, ვერა რას საიმედოს ვერ ამბობდა გულოს ავადმყოფობაზე. თვითონ გიორგი, რომელიც ერთ წამსაც არა შორდებოდა ავადმყოფ დას, არა



ნაკლებ ეჭიმისა შველოდა, საშინელს  
სასოწარკვეთილებას მისცემოდა გულოს მორჩენის  
შესახებ. მეტადრე ყველას ის აფიქრებდა, რომ ავადმყოფ  
გულოს უსაზომო სიცხე ჰქონდა. “საამქვეყნო აღარ არის,  
ვინ იცის, რასა და რას არ ბოდავს”, - იტყოდენ  
მოუშორებლად თავისი ავადმყოფი ასულის გვერდით  
მსხდომნი ტირილით თავადი №№-ი და მისი მეუღლე,  
როცა სიციხისაგან გონებადაკარგული გულო  
წამოროშავდა: “ვაიმე, დედავ! გილიოტინა მოაქვან! აჰა,  
რობესპიერი, დანტონი, მარატი. დახოცეს ქვეყანა!  
სისხლის ზღვაი დუღს!” და ან კიდევ: “გიორგის ცოლს  
რთავენ! გიორგი ჩემია, ჩემი! მე გიორგის გარდა სხვაი  
ქმარი არ მინდა! გიორგი რომ წამართვან, თავს  
მოვიკლავ!” გიორგი კი, თითქო ყურებში სადგისს  
უყრიანო, ისეთ მდგომარეობაში მოდიოდა, როცა ეს  
გულოს მიერ ბოდვაში წამოროშვილი სიტყვები  
შემოესმოდა: “ჩემი და კვდება და მისი სიკვდილის

მიზეზში, მგონია, თვითონ მეც მიღევს წილი!” - ფიქრობდა ის დანაღვლიანებული.

- როცა ჩემი და კარგათ იყო, მაშინაც ვატყობდი, რომ ვუყვარდი! ვუყვარდი, მაგრამ დაძმურათ კი არა!.. როგორც საქმრო, მიჯნური! ის ცეცხლით აღგზნებული თვალები, რომლებიც ხშირათ მოუპყრია ჩემთვის ჩემს დას მას შემდეგ, რაც რომ რუსეთიდან დავბრუნდი, ის ცხელ-ცხელი კოცნები, რომლებსაც ის ხშირად მიძღვნიდა მე, იმისი გადაკრული სიტყვები ტრფიალური იყო და არა დისებური! აი თვითონ იმ დღეს, როცა ავათ შეიქნა, მძინარეს მკოცნიდა! მე მგონია, იმ დღეს გული სულაც იმ მიზეზით წაუვიდა ჩემს დას, რომ ჩემმა მშობლებმა მე ცოლის შერთვა მირჩიეს! დიახ, ყველა ეგ შხამიანი საბუთები მიმტკიცებს, რომ ჩემი და შეუპყრია უბედურს და ეშმაკურს სიყვარულს ჩემდამი! მაგრამ როგორ მოხთა ეს? ჩემი და საღვთო წერილის კითხვით და ქრისტიანული

სჯულის მოძღვრებით აღზარდეს მშობლებმა; არც ერთი ათეისტი არ უნახავს თავის დღეში. მაშ რა იყო მიზეზი, რომ ქრისტიანული სჯულის მიერ სასტიკათ აღკრძალული საქმის ჩადენა განიზრახა? ევროპაში, მართალია, ზოგიერთი ათეისტები სჩადიან ასეთ საქმეს, მაგრამ ჩვენში!.. მგონია არავინ მოსწროდეს! ნუთუ იმ მცირეოდენმა განვითარებამ, რომელიც ამ ბოლო დროს ჩემი ხელმძღვანელობით მიიღო ჩემმა დამ, უქცია მას გული და ეჭვის თვალით შეახედვა საღვთო სჯულზედ! ან შესაძლებელია, იმ სტუმრებში, რომლებსაც ისე ხშირათ ეპატიჟება მამაჩემი, ერია ისეთი პირი, რომ... მაგრამ ეჰ, ცრუობაა: ჯერ მშობლები არ მისცემდენ შემთხვევას, რომ სტუმარს თავისუფლად ელაპარაკნა ჩემს დასთან და მერე მამაჩემი ისეთ სტუმრებს, უსწავლელ აფიცრებს და ხელობის კაცებს პატიჟობს სტუმრათ, რომ იმათაც არც ცუდი აზრის ჩაგონება შეუძლიათ ვისთვისმე და არც კარგის. ისინი, თითქო მაშინააო, თავიანთ თანამდებობას

ასრულებენ, სხვა ასი ჰკითხო, პასუხს არ გაგცემენ. მაგრამ ამისი ფიქრი რა დროსია! ეს ჩემი ფიქრი იმას ჰგავს, მახსოვს, ჩემი ძიძა ვარსკვლავისა დასცინოდა ვიღაც ქალს, შვილი რომ მოუკვდა, მას შემდეგ დადიოდა მკითხავენთან და ეხვეწებოდა, მითხარით, ჩემი შვილი, ტარიელი რით მომიკვდაო. არა, საფიქრებელი ის არის, რაგვარი შედეგი ექნება ამ ახირებულ სიყვარულს, ვინცობაა, რომ ეხლა ჩემი და სიკვდილს მოურჩეს? უფრო სარწმუნოა, რომ ჩემი და, რადგანაც თავის სიყვარულის მიზანს ვერ აღისრულებს, ან ჭკუაზე შეიშლება და ან ჭლექში ჩავარდება. რით ვუშველო ამას, რით ავაცდინო ჩემს დას ეს უბედურება, იმ შემთხვევაში, თუ ის ეხლა სიკვდილს მოურჩა! აი ეს არის ჩემი საფიქრებელი.

ხანდახან დილ-დილით გულოს სიციხე უკლებდა, სრულს ჭკუა-გონებაზე დგებოდა და ეტყოდა გიორგის:

- გიორგი, თუ სული შემრჩა, შენგან იქნება, შენს მეტი ვერ

მომივლის ასე კარგა. არ მიღალატო, არ დამტოო, არსათ წახვიდე.

- არა, გულო, როგორ შეიძლება, როგორ დაგტოვებ! - უპასუხებდა გიორგი, მაგრამ აქ გაახსენდებოდა ბესია, რომელიც ამ მოკლე დროში ორჯერ-სამჯერ იყო მასთან და სთხოვა: “ამ თვეში გურიის თემი შეიყრის თავს ჩვენს სოფელში, გვიქენი სიკეთე, დაგვესწარი შენც და შენებური კაი რჩევა-გაპირება მიეცი ქვეყნას შენებური ლამაზი სიტყვებით” .

- ორ ცეცხლს შუა, რომ იტყვიან, სწორეთ ეს არის! - ჩიოდა გიორგი თავის გულში, - აქეთ ჩემი ავათმყოფი და თვალზე არ მიშორებს და იქით კი ჩვენი ქვეყნის განკითხვის დღე დგება! რა უნდა ვქნა ამ შემთხვევაში? მივატოვო მომაკვდავი ჩემი და და წავიდე ხალხში? ან რა დიდი საჭმეა ერთი ადამიანის განწირვა იმოდენა ხალხის გულისთვის? მაგრამ შემიძლია კი გავუკეთო რამე იმის

ფასი ჩვენს ქვეყანას ჩემის სიტყვით ან საქმით, რომ ჩემი დის სიკვდილი არარა თ ჩაითვალოს იმასთან? შესაძლებელია, იმ ღამისა არ იყვეს, იმ რჩევას, რომელიც მე უნდა მივცე, ხალხი მტრულადაც შეხვდეს. მაგრამ, რაც უნდა იყვეს, მე მაინც ვალდებული ვარ ჩემი წილი სიტყვითაც აღვუსრულო ქვეყანას და საქმითაც. მაგრამ... მაგრამ აქ კიდევ და კიდევ ჩემი და მელობება გზაზე! არ შემოიძლია, რაც გინდა გულქვა ვიყვე, რომ მომაკვდავი ჩემი და მივატოვო და გავექცე. ერთი-ორი თვის განმავლობაში ან მოკვდება გულო და ან გამომრთელდება. მანამ მეც უნდა დავრჩე მასთან, თუმცაღა ერთი-ორი თვე ამისთანა შემთხვევაში ხუმრობა არ არის; ერთი-ორი თვის განმავლობაში შესაძლებელია ჩვენს ქვეყანას თავისი დაემართოს! რა უნდა ვქნა, ვერ მომიფიქრნია! აღგზნებულ ცეცხლში ჩავარდე თუ მდულარე წყალში?

გულოს ავად გახდომის შემდეგ ბევრჯერ მოსვლია გიორგის ასეთი მწარე ფიქრი და სწორედ ერთი ასეთი ფიქრი დილიდან ჰქონდა გიორგის, რომ თავადი №№-ის სახლში შევიდა სახუცესი აზნაური და მოახსენა ბატონებს: ჩვენი სასახლის შინაყმები სადღაც გაპარულან წუხელ ღამითო.

- რავა გაპარულან! ხომ არ გადირიე, შინაყმები სად უნდა გაპარულიყვენ! - უკიდურესად გაკვირვებულის სახით ერთად წამოიძახეს თავადმა №№-მა და მისმა მეუღლემ, რომლებმაც ეჭვითაც არ იცოდენ, რომ გურიის გლენკაცობა იმ ნახევარი წლის განმავლობაში მოუსვენებლად ემზადებოდა აჯანყებისათვის და რომ იმ დილაზე იკრიბებოდენ იმათსავე სოფელში, მუხიან მერეში. გიორგი კი იმწამსვე მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და, გულაძგერებულმა, თითქო არარა იცისო, ისე დაილაპარაკა:

- ნეტა სად წასულან?

- რა მოგახსენოთ, ბატონო! გოგოებმა თქვენ, იალონზე ავდექით და აღარც ერთი არ დაგვხვთენიაო, - უპასუხა სახლთუხუცესმა.

- რას ჩივი, სად უნდა წასულიყვენ! საქმეზე იქნებიან წასული და იგია, - სთქვა თავადმა №№-მა, რომელსაც ვერ წარმოედგინა, სად შეეძლო ყმებს წასვლა, თუ არ ბატონების საქმეზე.

- ვერ გაიგონე, იალონზე აღარ იყვენო? სხომის როის იყო ნეტაი, რომ ჩვენი შინაყმები იალონზე გეიქცენ საქმეზე! იგი არა და სადილობის დროზე ეგება გარეკო დიდი ვაი-ვაგლახით, - შესწყრა ბიჭების გაპარვით გაკვირვებულ-გაბრაზებული ქალბატონი №№-ი თავის მეუღლეს. შემდეგ ადგა და დაუძახა თამარას, რომელიც ერთ საიმედო და სარწმუნო პირთაგანათ ითვლებოდა თავადი



№№-ის სასახლის გოგოებში, ეს მით უმეტეს, რომ თამარა ძალადობით მიყვანილი არ იყო ამ სასახლეში, არამედ ეს ქალი მივიდა იქ თავის სურვილით მას შემდეგ, რაც მას ქმარ-შვილი დაეხოცა.

- რას მიბძანებდით, ქალბატონო? - ჩვეულებრივის თავაზიანი კილოთი დაეკითხა თამარა ქალბატონ №№-ს.

- რას ქვია, რას გიბძანებდი! რეზა არ იტყვი, გოგოვ, რა იქნენ ჩვენი შინაყმები? თავზე ხომ არავინ დაგვცემია, რომ წეყვანოს? ჩქარა მითხარი ამის მაგიერი.

- რა მოგახსენო, ქალბატონო? წუნელის რავაც მე დავწევი, ისე დაწვენ იგინიც და დღეს აღარ დაგვხთენ. ბატონები ჯერ გაღვიძებული არ იქნებიან-მეთქი, ვიფიქრე და ამიზა სახლთუხუცესს მივაშურე და შევატყობინე აგი საქმე. მე მეტი რა შემეძლო, ან რა წყრომას მემართლებით! - სთქვა თამარამ, რომელმაც, მართალია, კარგად იცოდა, რომ

გლებები დიდი ხანია ემზადებოდნენ ჯანყისთვის, გიორგისაც ერთხელ დაეკითხნენ ამის შესახებ, იმ ორისამი დღის წინეთ ბესია რამოდენიმეჯერ იყო სასახლეში და ელაპარაკა რაღაცეები საიდუმლოთ, როგორც გიორგის, ისე თავადი №№-ის შინაყმებს და ეს უკანასკნელები ბატონების დაძინების შემდეგ ღამით წავიდნენ სადღაც, მაგრამ მას (თამარას), როგორც გიორგისაგან, ისე ბესიასაგან იმთავითვე ჰქონდა საიდუმლო დარიგება, რომ არ გაემხილა არსათ არა რა ამის შესახებ.

- რას მატყუებ, გოგოვ! იმდონი კაცის წასვლას რავა ვერ შეიტყობდით!

- რას ჯავრობ, დედავ? შინაყმები თავ-თავის ოჯახში წევდოდნენ, იგინსაც აქვან ოჯახი, - უთხრა თავის დედას გულომ, რომელსაც უწინდულად სრულიად აღარ ჰქონდა სიცხე.

- უი შენს დედას, შვილო! შენ საამქვეყნიო რომ არ ხარ, აღარც საამქვეყნიოს ამბობ, - სთქვა ქალბატონმა №№-მა უიმედოთ.

- არა, დედავ, მე ამ დილას გვარიანად ვარ და იგიც კარგათ ვიცი, რასაც ვლაპარაკობ: გლებებიც იმისთანა ადამიანები არიან, როგორც ჩვენ და სულაც არ არიან ვალდებულნი გვემსახურონ. ისიც სულელობა იყო მათგან, რომ აქამდი ვერ მიხთენ ამას და გვემსახურებოდენ.

- რა ჭკუა ეკითხება ბურანში მყოფს! - ჩაილაპარაკა ქალბატონმა №№-მა თავისთვის და შემდეგ წყრომით უთხრა თავის ქმარს და სახლთუხუცესს.

- კაცო, რომ გამტერებულხართ, გეიქეცით სადმე, ჰკითხეთ ცას და ქვეყანას, რა ამბავია ჩვენს თავზე.

- დიახ, დიახ, წევიდეთ, ვიკითხოთ, ქვეყანა იქცევა, თუ რა

ამბავია, რომ შინაყმები ასე გადირიენ! - უთხრა თავის მოურავს თავადმა №№-მა და შემდეგ უბრძანა თამარას:

- წადი, ჩემი ხმალი მომიტანე.

თამარამ საჩქაროდ აღასრულა ბრძანება და მოართო თავის ბატონს ვერცხლით მოჭედილი ხმალი, ურომლისოდაც თავადი №№-ი ფეხსაც არ გადასდგამდა გზიდან, რადგანაც ფიქრობდა, რომ თავმომწონე თავადს გინა აზნაურს უეჭველად უნდა ეკიდოს ხმალიო.

- აბა ჰა, გავსწიოთ! - უთხრა თავის სახლთუხუცესს თავადმა №№-მა, რა რომ გადაიკიდა ხმალი. სახლთუხუცესი გაუძღვა თავის ბატონს და ორივე ერთად საშინელი გაკვირვებულ-შეშინებული სახით თვალის დახამხამებამდე მოშორდენ ეზოს.

- არ გიკვირს, გიორგი, რა ამბავია აგი ჩვენს თავზე! ქვეყანა

მოგიარია და აბა ამისთანას თუ შეხვედრიხართ სადმე? - ჰკითხა ქალბატონმა №№-მა გიორგის, როცა თავადი №№-ი და სახლთუხუცესი მოშორდათ.

- გიორგისთანა სწავლულ და განათლებულ კაცს სულაც არ გაუკვირდება, დედავ, რომ ადამიანი ადამიანს პირუტყვივით არ ემსახუროს. ეს მარტო ჩვენისთანა უსწავლელებისათვის არის გასაკვირველი, დაასწრო გიორგის და უპასუხა დედას გულომ.

- აჰ მართლაც რომ არაფელია, დედა, გასაკვირველი, დაიწყო გულოს შემდეგ გიორგიმ წყნარათ. - გლახკაცებიც ადამიანებია, იმათაც თვალი, ყური, გონება აქვთ და მახვდენ, რომ უკიდურესი სისულელეა მათის მხრით, რომ მოდიან და ჩვენ, იმათებრ ადამიანებს გვემსახურებიან; უფრო გასაკვირველი, დედა, ის არის, რომ გლახები აქამომდე ვერ მიხვდენ ამას და ჯოჯოხეთურ მონობას სწევდენ ბატონების ოჯახებში. აბა

კარგა იფიქრე, დედა, გლეხები რიცხვით ხომ ათასჯერ მეტია ჩვენ ბატონებზე და მაინც კი ჩვენი ეშინიათ! განა ეგ უფრო გასკვირველი არ არის, მინამ ის, რომ ისინი დღეს მიმხვდარან იმას, რასაც აქამომდე დიდის ხნიდან უნდა მიმხვდარიყვენ?

- ოჰო, მგონია, შენც გადირიე! უბატონოთ შინაყმა როდის იქნება! ღმერთმა რომ ბატონი გააჩინა, მაშინ შინაყმაც გუუჩინა მას. ახლა იმ მამაძაღლმა ყაძახებმა რომ ჩვენი მიტოვება მოინდომონ, ხელმწიფე და კალონი აფერს ეტყვის, მათრახის ცემით არ ორეკს და არ გვამსახურებს?

გიორგიმ, თითქო განზრახ მოინდომა დედის გაჯავრებაო, უპასუხა:

- თუკი ყველა გლეხებმა ერთად პირი შეთქვეს, აღარც ხელმწიფე მოინდომებს იმათ წინააღმდეგობას და არც შესაძლებელია ამისი მონდომება, რადგანაც გლეხები,

როგორც წელან ვთქვი, ჩვენზე ბევრია.

- ბევრია, მარა მაგიერში ხელმწიფესაც ბევრი სალდათი ჰყავს.

- სალდათებიც ხომ იმავე გლეხებისაგან არიან და ჩვენვე გაგვიწივენ წინააღმდეგობას! იმთაც ხომ ძლიერ სძულს ბატონი.

- მერე კალონში სწერია აგი?

- რა ვუყოთ მერე, რომ არ სწერია? თუკი კანონ-დაწესებულება მოსაწონი და საკეთილო არ არის, გლეხკაცებს შეუძლიათ იმისი უარყოფა და შეცვლა. ჰო, დედა მძლავრი და საშიშია, როცა იმოდენა ხალხი ხმას ამოიღებს, ხელს გაანძრევს! ვაი მათ, ვისაც იმათთვის უსამართლობა რამ უყვიათ! მოჰკითხავენ ძველს და ახალს ცოდვას, მწარეთ მოანანებენ ყველა დანაშაულს.

ქალბატონი №№-ი ამ ლაპარაკმა ისე გააჯავრა, რომ ტირილს მოჰყვა.

- სიკვტილი რეზა არ სჯობდა ამის მოსწრებას! - ამბობდა ის ქვითინით. - რაღა გვეშველება უყმით, რამ დაგვარჩინოს საწყალი მებატონები? ყაძახი მისთვის გაიქცევა და კალონი ველარაფერს აწყენსო! მეორეთ მოსვლა აგია, აბა რაღაა!

- რა გატირებს, დედავ? იფიქრე აბა, შინაყმათ რომ ცყოფილიყავით, ჩვენც ხომ ისე გევიქცეოდით?

- რას ჩივი, შვილო, რას! ჩვენ და ჩვენი შინაყმა ერთი ვართ?

- დიახ, დედა, სულ ყველა ადამიანები ვართ. შენ ერთი ეს მითხარ: მარტო ჩვენი შინაყმები წავიდენ, თუ სუყველას შინაყმები?



- რა ვიცი, შვილო, რაი! თუკი შემეტყო, წასვლას აპირებდენ, სულ ყველას ფრჩხილით დავგლეჯდი.

- რომ ემუქრები, დედა, ისინი ხომ ჩვენზე ბევრად უმრავლესია. მოგვერევიან და სულ დაგვხოცავენ.

- დაგვხოცენ და დაგვხოცონ! უშინაყმოს მაინც დაგვხოცს შიმშილი!

- რატომ უნდა მოგვშვივდეს, დედა? - ჩაერია ლაპარაკში ხელახლა გიორგი, - ახლა ყმები რომ გვყვანან, იმიტომ არას ვაკეთებთ, თორემ როცა ყმები არ გვეყოლება, მაშინ თვითონ ჩვენც ძალიან ადვილად შევიძლებთ იმ საქმის გაკეთებას, რასაც დღევანდელამდე ყმები გვიკეთებდენ.

- სიკვტილი ათასჯერ მერჩია ამის მოსწრებას! დეიფსე, თვალებო, ამის ნახვამდი, უკეთესია! - წარმოსთქვა გაკაპასებულმა ქალბატონმა და უნდოდა უსიამოვნო

მოლაპარაკე გიორგი კარგა შეელანძლა, მაგრამ შეეშინდა, გულომ არ იწყინოსო და ხელახლავ არ გადაიქცესო, დაადგა კბილები ენას და ისე ჩუმათ მოჰყვა ცრემლების ღვრას და ჭკითინს.

- დედავ, დედავ! ლოცვაზე და პირჯვრის წერაზე რომ გიყუროს კაცმა, ეგონება დიდი ღვთიური ვინმე არისო და საშინელი შეუბრალებელი კი ხარ. რა იქნა, რომ აგერ გადაჰყვები იმ უბედური შინაყმების ჯავრობას! იქნება არსად არ წასულან, ჩვენსავე საქმეზე არიან და, თუ გინდა წავიდენ, მერე რაი...

- გაწყენს, გულო, ამდენი ლაპარაკი, ხელახლავ სიცხეს მოგცემს, - უთხრა გიორგიმ გულოს, რომელსაც პირის სიწითლეზე მართლაც ეტყობოდა, სიცხე ისევ მოჰკიდებოდა.

გულომ გიორგის რჩევაზე, ის იყო შეწყვიტა ლაპარაკი,

შებრუნდა გულადმა და მოუხშირა სუნთქვას. გიორგი დაჯდა მის ლოგინის ახლოს, გაუსინჯა თავი და დაადო ზედ ცივ წყალში დასველებულ ტილო.

- მომეხმარეთ, ჩემი ცხენი ახლავე! - შემოიძახა თავადმა № №-მა ამ დროს და აქშენილი შევარდა სახლში.

- რა ქნილა, რა ამბავია, არ გვეტყვი, კაცო? - მოუთმენლად დაეკითხა ქმარს ქალბატონი №№-ი.

- რაღა რა ამბავია, მუხიან მერეში მთელი ყაძახების ოლქა შეყრილა და იძახიან თურმე, არც მთავრობას ვიცნობთ და არც ბატონს, ჩვენი ბატონ-მთავრობა და პატრონი ჩვენვე ვართო. ზოგიერთი თავად-აზნაურები გარევიან თურმე ყაძახებს და ყაძახების ბანი გამხთარან. ჩვენ, თვადაზნაურობა, სულ ოზურგეთში უნდა წევიდეთ, ნაჩაღნიკთან. ზოგი კიდევ წასულა. ჯარი უნდა მოვაყვანიოთ და მაშვინ ნახვენ სეირს იი მამაძაღლი

ყაძახები! სულ მათრახით მოდენიან თხეხსავით. ხელში რომ მევიგდებ, სულ ტყავს დავადრობ ურჩობიზა!

- ჰმ, ჰმ, ჰმ! - დაიგმინა ქალბატონმა №№-მა და მრისხანებით დაიკრა მკერდზე ხელი. - ნეტა ერთი მიმიყვანა იმ მამაძაღლ ყაზახებთან, სულ ფრჩხილებით დავღლეტ ყველას!

- ეჰე, გეიყურეთ, რავა მოიჭრა საყვირის ხმამა! ჰაი, ჰაი, რავა ეიგდეს თავი ამ უსვინდისოებმა! - წამოიძახა თავადმა №№-მა, რომელიც თავაწეული უსმენდა საყვირის ხმას, რომელიც ხანდახან გაგრძელებული ყვირით გამოისმოდა დილის წყნარს ჰაერში.

- საყვირია იგი? ხარის კიმანი მეგონა. თამარამაც ისე მითხრა, ხარი კიმანებს საცხა და იგი მოისმისო, - თქვა ქალბატონმა №№-მა და მიდგა კარზე, რომ უფრო გაეგონა ის საზარელი ხმა, რომელიც იყო ნიშანი გლეხების

კრებისა.

- მართლა ალიონიდანვე ისმოდა ეგ ხმა; მაგრამ მე ფიქრადაც არ მომსვლია დავკითხებოდი თავის თავს თუ რა ხმა იყო ეს, - სთქვა გიორგიმ, რომელსაც ბავშვობის შემდეგ აღარ გაეგონა საყვირის ხმა.

- მე არაფერი მესმის, - კვნესით წამოიძახა გულომ, რომელიც ამ დროს ისე იყო სიცხისგან შეწუხებული, რომ თითო წამზე ხან ერთ გვერდზე შებრუნდებოდა და ხან მეორეზე.

- ეს იმიტომ, რომ ნამეტარის სიცხის და ოფლის დენისაგან ახლა შენი ყურები ძლიერ დასუსტებულია, - უპასუხა ავათმყოფს გიორგიმ.

- ვაიმე, დამავიწყდა! ერთი ცხენიც კიდევ შენთვის უნდა მიეყვანონ, გიორგი, შენც უნდა წამოხვიდე ჩვენთან,

სტავლილი კაცი ხარ, რუსული იცი და ნაჩალიკ ბრუსულოვს კარგათ ეტყვი ჩვენს გასაჭირს, - უთხრა თავადმა №№-მა გიორგის.

- გიორგი რომ მომშორდეს, იმ წამსვე დავლევ სულს! - უპასუხა გულომ, რომელიც თანდათან უხშირებდა კვნესას.

- აი, მამა, ხომ ხედავ, რომ გულო ერთ წამზედაც არ მიშორებს, - სთქვა გიორგიმ.

თუნდა რომ გულოს ნებაც ყოფილიყო, გიორგი არ წავიდოდა ოზურგეთში იმ მიზნით, რომ გლეხები დაებეზღებია.

- ვაჟბატონო, ახლა ვინ შეკაზმავს ამ ცხენს, მეჯინიბე რომ აღარ გვყავს? - დაიძახა სახლის წინ ამ დროს თამარამ, რომელსაც ხელში ეპყრა ერთი მსუქანი ლურჯი ფერის

ცხენი.

- ოი, ღმერთი არ ახეირებს ჩემს შინაყმებს! - წამოიძახა თავადმა №№-მა და უიმედოთ დაატანა: - ახლა ვინ შემიკაზმავს ცხენს, მე ხომ თავის დღეში არ მიქნია!

- ნუ გეშინია, მამა, აი თვითონ მე დავადგამ უნაგირს ცხენზედ. რა დიდი საქმეა, - სთქვა გიორგიმ, გაიტანა მოვერცხლილი უნაგირი, დაადგა ცხენს ზურგზე, გამოუჭირა ღვედები და უთხრა თავადს №№-ს: - აი, მამა, ხომ ხედავ, როგორი ადვილი საქმე ყოფილა და შენ კი ისე შეგეშინდა. ღმერთმანი, სულ დაგლახავებული ვართ ბატონები გლეხების შეყურადებით. ასე გვგონია, თუ ჩვენს ხელს საქმე დასწვიდეს. სრულიადაც არა; ჩვენი ხელიც ისეთივე ხელია, როგორიც გლეხებისა.

- რა ვქნა, შვილო? ჩვეულება სჯულის უმტკიცესიაო, არ გაგიგონია? არ მივჩვეულვარ მუშაობას და ახლა ამ დროის

კაცს აბა რაღა მიმაჩვევს? - უპასუხა თავადმა №№-მა გიორგის.

შემდეგ ერთხელ კიდევ მიაწყევლ-მიაკრულა ჯერ თავისი შინაყმები, მერე საზოგადოთ ყველა გლეხები, დააბარა თავის ჯალაბს რაღაც-რაღაც დარიგებები, მაგალითად, აი, ამგვარი: “ჭიშკრები დღიან-ღამიანა დაკეტილი იქონიეთ, მურა ძაღლი არ დააბათ, არეული ყაძახები თუ თავზე დაგეცენ, აი ჩვენი მონათლული ბიჭი, ბესიეი რომ არის, იგი ერევა შით და შეეხვეწეთ, ნუ დაგვიმხობს ოჯახს, იი ჩვენი შინაყმა რომ არის, პავლიეი, იგიც კაი ერთგული იყო ჩვენი ოჯახის, იმასაც შეეხვეწეთ და ამრიგათ იპატივეთ თავიც და ოჯახიც. გულოს გაუფრთხილდით, არ შეაბრუნოს!..” და სხვა. უკანასკნელ თავადი №№-ი შეჯდა ცხენზე, წაიყოლა თავისი სახლთუხუცესი და აზნაურები და გასწია ოზურგეთს.

- ღმერთო, რა ამბავია აგი! რას მოვესწარი! მეორეთ



მოსვლაა, მგონია, ქვეყანაზე! აბა სხვაი რაღაა, რომ ყაძახები ჩივიან თურმე, ბატონი და ყმაი სულ ერთიაო! მამაჩემის და დედაჩემის ნათესაობა მეფის სასახლეში ჩავა, ისე ჩემი ქმარის და ახლა ჩემმა ყაძახმა, მოჯალაბის ქალის შვილმა უნდა მითხრას, შენ და მე ერთი სისხლი გვაქო! ქვეყნის დაქცევაა, მიწა გასკტება, ცაი ჩამოვარდება ამის თქმაზე - გაჯავრებით წუწუნებდა თავისი ქმრის წასვლის შემდეგ ქალბატონი №№-ი და თან შიშით გული ერღვეოდა, რომ მის სასახლეში, გარდა გიორგისა, აღარც ერთს მამრობითი სქესის ადამიანს ველარ ხედავდა.

გულო, რომელსაც იმ დღეს სიცხე იმდენზე ვერ მოერია, რომ გონება ვერ დაუკარგა, დედაზე კიდევ უფრო იყო შეშინებული: მას მოაგონდა გიორგის მიერ ნაამბობი 1793 წელს საფრანგეთში მომხდარი რევოლუცია და გულის კანკალით ლაპარაკობდა ფიქრებში: „ვაითუ ჩვენშიაც ისე დააყენონ სისხლს მორევი, როგორც საფრანგეთში 1793

წელს”. გიორგის, მართალია, არ ეშინოდა, მაგრამ ძლიერ  
კი სწუხდა და აყვედრიდა თავს: რატომ აჯანყებულ  
გლებებთან არა ვარო. “დედაბრობაა სწორეთ, ჩემის  
მხრით, ასეთი ვაი-ვაგლახის დროს სახლში ჯდომა!” -  
თითქმის გასაგონათ წამოილაპარაკებდა ის და რა  
დამჯდარი ვერა სძლებდა, სწრაფი სიარულით დადიოდა  
ბალკონზედ. გოგოები, გარდა თამარისა, ხშირად  
შემოდოდნენ ქალბატონ №№-თან და ეფერებოდნენ მას:  
“ქვეყნის დაქცევას რომ იტყვიან, ქალბატონო, აგია.  
შინაყმები ბატონთან არ დგებოდეს, ვის გუუგონია ამის  
მეტი!” თამარა კი გაჯავრებული იყო ქალბატონ №№-ზე,  
რადგანაც ეს უკანასკნელი იმ დილაზე გაუწყრა ამ გოგოს:  
“შენ იცი, სადაც წავიდენ ჩვენი ბიჭები, მარა არ ამხელო”  
და ამიტომ ამბობდა თავისთვის: “ახია ამისთანაებზე რაც  
დაემართება! ამ ბოლოს და ბოლოს სულ მთლათ  
შესაწვავათ მოინდომეს საცოდავი ყაძახები! მარა  
ღმერთმა გააგო სამართალი, აღარ შეაწვევინა საცოდავი

ყაძახები! აწი მიდგენ ბატონებმა და უყარონ კაკალი. ძალით იმდონ ყაძახებს, აბა რა მიერევა? და სამართალი თუ ეტყვის ყაძახებს, ბატონს ემსახურეთო, მაშვინ... მარა ვითომ რა უჭირს, რომ ყაძახებმა არც იმ სამართლის გეიგონოს? ან ვითომ რა კაი სამართალია აგი, ადამის შვილი ანწვალოს! ამისთანა სამართალი თვითონ ბატონების გამონაგონი იქნება, სწორეთ გითხრა”. არ გასულა ამ მდგომარეობაში ერთი საათი, რომ მურა ძაღლმა და სხვა ძაღლებმა ჭიშკართან ასტეხეს საშინელი ყეფა.

- ვაიმე, აგია, თავზე დაგვეცენ! - ხმის კანკალით წამოიძახა ქალბატონმა №№-მა და პირისახე შიშისაგან გაუფითრდა.

- ვაიმე, დედავ, დაგვხოცენ! - მიატანა დედის ხმას გულომ და, მიუხედავათ იმისა, რომ ის საშინელი დასუსტებული იყო, წამოდგა ლოგინიდან.

- ნუ გეშინიათ ნუ გეშინიათ! - მიაძახა ორთავეს გიორგიმ და გავარდა გარეთ.

გიორგის გაჰყვენ თამარა და ორი-სამიოდე სხვა გოგო. ყველაზე პირველად გიორგი მივიდა ჭიშკართან და, რა დაინახა იმის გადაღმით სამი ქალი და ერთი მოხუცი კაცი, გაუღო მათ ჭიშკარი, თუმცაღა კი ვერ იცნობდა ვერც ერთს სტუმართაგანს, რომლებიც მოკრძალებით მიესალმენ მას. თამარამ და სხვა გოგოებმა მაშინვე იცნეს სტუმრები, დაუკოცნეს ორს მათგანს, ქალებს, კაბის კალთები, დანარჩენებს სიხარულით მიესალმენ და წაუძღვენ სახლში.

- ჩემო ელისაბედ, ჩემო ელისაბედ, გემდუროდი, ქალო, ჩემი გულო არ ნახა-მეთქინ და ახლა იმისთანა დროზე მოდი, რომ შევრიგდებით, - მიაძახა დანახვისთანავე ქალბატონმა №№-მა ერთ სტუმართაგანს, მაღალ-მაღალს, კარგი მოყვანილი ტანის ქალს, რომელსაც ეტყობოდა, რომ

წლოვანობის საშუადღეოზე მიეღწია, მაგრამ პირისახის სიმშვენიერის ჰარმონია ჯერ მაინც არ დარღვეოდა.

- ჩემს ქვრივობას ეპატიება, რძალო, რომ ამდენ ხანს გულო ვერ ვნახე. დღეს-ხვალ-მეთქინ და ქე დავრჩი ასე, - უპასუხა მასპინძელს ელისაბედმა და გადაკოცნა ის.

- ციცავ, მელანიავ, შენც მაკოცე. რამხელა შექნილხარ და მე არ ვიცოდი!

ამ სიტყვებით გადაკოცნა ქალბატონმა №№-მა ელისაბედის გვერდით მყოფი, ცამეტის, თუ თოთხმეტის წლის ცოტა მომაღლო, სხივიანი შეხედულობის, ლამაზი შავთვალწარბა ქალი. დანარჩენს ორ სტუმარს, რომლებში ერთი სამოცი წლის ქალი და მეორე ორმოცი-ორმოცდაათი წლის კაცი იყვენ, ქალბატონი №№-ი მიეაღერსა ამ სიტყვებით: “გოგო, თუთა, რავა დაბერებულხარ! შენც, ჩემო ზალიკა, ძალიან გაგთეთრებია შენი ლამაზი წვერი”,

მაგრამ კი არ აკოცა.

- მეორეთ მოსვლამ მოაწია, მგონია, რძალო! შინაყმები გამექცენ და გიერიენ იმ ოლქას. ახლა იმის შიშით, რომ ერთი ციცი მყავს და იგი არაკაცმა მომტაცოს ამ არეულობის დროზე-მეთქი, აგია ჩემი ძმისას წამოვედი, - სთქვა ელისაბედმა მას შემდეგ, რა რომ გულო გადაკოცნა და დალოცა: “ღმერთმა მოგარჩინოსო”. ბოლოს დაატანა კითხვა: - ჩემი ძმაი სად არის?

- უი, რას მოვესწართ ამას, ელისაბედ! დასტურ მეორეთ მოსვლაა. შენი ძმაი და ჩვენი აზნაურები ოზურგეთს გეიქცენ ამ დილაზე, - უპასუხა ქალბატონმა №№-მა თავის მუღს.

ამასობაში სტუმრებიც და მასპინძლებიც დასხდენ იმ ოთახში, რომელშიაც გულო იწვა და გააბეს ლაპარაკი. რა თქმა უნდა, რომ ამ დროს იმათი ლაპარაკის საგანი

ყაძახები და მათი მოქმედება იყო. ყველაზე უფრო თამამად სტუმრებში ელისაბედი იქცეოდა, როგორც და თავადი №№-ისა. მართალია, მას შემდეგ, რაც ერთ ღარიბ აზნაურთან ღამით გაიპარა და თავისი ძმის ნებადაურთველად ცოლად მისთხოვდა სიყვარულის გამო, მისი ძმა დიდხანს ემდუროდა. მაგრამ ბოლო ჟამს, როგორც იყო, ელისაბედმა შეირიგა თავისი ძმა და გვარიანი განწყობილება ჰქონდა მასთან. თუმცაღა სულ ელისაბედივით ვერ თამამობდენ, მაგრამ არც ძალიან მორცხვობდენ ელისაბედის მხლებელი მოხუცი ქალი და კაცი - თუთა და ზალიკა. პირველი - თუთა იყო ელისაბედის გამდელი გოგო, რომელიც შერიგების შემდეგ მისცა დას თავადმა №№-მა. თუთა, როგორც გოგო, თავის დღეში არა ჰყოლიყო ქმარს. მოწიფულობის დროს ვიღაცასაგან გვირგვინს გარეშე მას ეყოლა ერთი ვაჟი, რომელსაც მარცვალი დაარქვა, მაგრამ, რა რომ ბავშვი შვიდი-რვა წლის შეიქნა, ის მოსტაცეს დედას ყაჩაღებმა

და სადღაც წაიყვანეს... საწყალი თავისი შვილის გაყიდვაში ბრალს სდებდა როგორც ელისაბედის ქმარს, ისე ბევრს სხვებსაც და იწყევლებოდა: “ღმეთო, ჩემი მარცვალას გამყიდველს თვალები დაუბნელე, ასიარულე ისე ქვეყანაზე და აძახე, თუთას ცოდვამ მიყო აგიო”, მაგრამ ამ წყევლაში აგერ თუთა მოხუცდა, სიკვდილს დაუახლოვდა და ამგვარად, დასჯილს ვერავის ხედავდა.

ზალიკას თავგადასავალი ისეთი რთული და საინტერესოა, რომ ურიგო არ იქნება მაზე ცოტა შევჩერდეთ და მოკლედ მაინც ვუამბოთ მკითხველებს. ზალიკა იყო ერთადერთი ვაჟი მდიდარი გლეხისა. მამამ შეატყო თავის ვაჟს, რომ ნიჭიერი ყმაწვილიაო, იშოვნა, როგორც იყო, ნებართვა თავის ბატონისაგან (ელისაბედის მამამთილისაგან) და ზალიკა მიაბარა მღვდელს, რომ მოემზადებია ის (ზალიკა) საღვთო წერილის კითხვაში სამღვდლოთ. თავდაპირველად საქმე კარგათ მიდიოდა:



ზალიკამ (იმ დროს ზოსიმეს ეძახდენ) ისე კარგათ შეისწავლა წერილების კითხვა, რომ იმ მღვდელს, რომელთანაც სწავლობდა, არაფერში ჩამოურჩებოდა, ყველგან აქებდენ: “კარგი ნასტავლი დიაკონიაო”. ზალიკას კურთხევაც ხომ საიჭვიმიჭოთ აღარ მიაჩნდათ. მაგრამ ბოლოს კი ზალიკას საქმე უკუღმა შეტრიალდა. აი რა იყო ამის მიზეზი: როცა კურთხევის საქმე გაირიგა, ზალიკა დაინიშნა ერთი აზნაურის ლამაზ ქალზე და, ის იყო, იმ ერთი თვის განმავლობაში ჯვარი უნდა დაეწერა მასზე, მაგრამ ერთმა ყმაწვილმა აზნაურმა დაასწრო, მოიტაცა ზალიკაზე დანიშნული აზნაურის ქალი და შეირთო ცოლად. ამპარტავანმა ზალიკამ ველარ მოითმინა ეგ შეურაცხყოფა, დაუხვდა გზაში მის მოპირდაპირე აზნაურს, ჰკრა თოფი და მოჰკლა. გასაკვირველი არ არის, რომ ამის შემდეგ მის მიერ მოკლული აზნაურის ნათესავების შიშით ზალიკამ თავის სამშობლო სოფელში ველარ იცხოვრა და გავიდა ოსმალეთში, სადაც დარჩა ოცი

თუ მეტი წელი. უკანასკნელ, რა ზალიკაზე ჟინის ამოყრის წადილი ყველას გაუქარდა, ერთი გავლენიანი თავადის შემწეობით ისევ დაბრუნდა სამშობლო ქვეყანაში და, რა რომ თავის მშობლები აღარ დახვდენ ცოცხლები, მივიდა თავის ბატონთან, ელისაბედის ქმართან, და იმ დროიდან დაწყებული იქ ცხოვრობდა. ელისაბედმა თავის ქმრის სიცოცხლეში ძლიერ დაიხლოვა ზალიკა და, როცა ქმარი მოუკვდა, მას შემდეგ ხომ ყველა მისი მეზობლები ამტკიცებდენ, რომ ზალიკა ელისაბედს ქმრის ადგილას ჰყავსო. რომ სთქვას კაცმა, გასაკვირველიც არ იყო ელისაბედისაგან ზალიკას შეყვარება, რადგან ზალიკა კარგი ლამაზი სხივიანი შეხედულობის კაცი იყო და ამასთან ხუმარა, მოსიმღერე, ისეთი ლამაზი და დაწყობილი ლაპარაკი იცოდა, რომ გეგონებოდათ, სიტყვა კი არა, მდინარე მოუდის პირიდანაო. აბა, სამასლაათო საგნები ხომ თავის დღეში არ გამოუწყებოდა ზალიკას. ერთ უბრალო შემთხვევას

ისეთგვარად ააფერადებდა, რომ თუნდა მთელ დღეს განუწყვეტლივ გელაპარაკებოდა იმაზე და რამდენსაც ისმენდი მის ლაპარაკს, იმდენზე მოგწყურდებოდა იმის მოსმენა. მეტადრე საინტერესო სამასლაათო საგნები შეეკრიბა ზალიკას თავის ოსმალეთში მყოფობის დროს. ერთი სიტყვით, ზალიკა იყო ისეთი კაცი, რომელსაც ადვილად შეუძლია შეაყვაროს თავი ქალს, თუკი შემთხვევა იპოვა მასთან ლაპარაკის და გაცნობისა.

ქალბატონი №№-ი, ელისაბედ, ზალიკა და თუთა ისე შეეჩვენ ლაპარაკს, რომ სალამომდე ადგილიდანაც არ დაძრულან. მელანია კი იჯდა გულოს ლოგინთან, თუ ვინმე რამე კითხვას მისცემდა, ორი-სამი სიტყვით გასცემდა პასუხს, დანარჩენ დროზე უმზერდა ავადმყოფ ქალს და თანაგრძნობის ნიშნად ხანდახან ცრემლები მოასველებდენ მის შავს მსხვილ-მსხვილ თვალებს. გიორგი კი ჩაფიქრებული დადიოდა აივანზე და მხოლოდ

ხანდახან შემოვიდოდა სახლში, რომ გაეკეთებია გულოსთვის კომპრესი. ის ყურადღებასაც არ აქცევდა ლამაზ მელანიას, თუმცაღა კი გიორგის ადგილას რომ ზოგიერთი ყმაწვილი კაცი ყოფილიყო, ბევრ შექებას უძღვნოდა მელანიას და შეეცდებოდა იმის დაახლოვებას.

დაღამდა. თამარამ აანთო ზალაში ორი სანთელი და მიაართო ქალბატონ №№-ს, მის სტუმრებს და გიორგის ჩაი პურითურთ.

- უიმე! რა უკაცრაოდ ვიყავი დღეს! - უთხრა ქალბატონმა №№-მა თავის სტუმრებს. - იქნება თქვენ უსადილო იყავით? ჩვენ დღეს აღარც სადილი გაგვხსენებია და აღარც სხვაი. იფიქრე, გიორგის დღეს ჩაიც არ უსვამს; სადილობის დროს მარტო ერთი ხაჭაპურის ყუა და ერთი სტაქანი ღვინო მიირთო და იმით გამოატარა. მაგრამ მეტი რა აწყინოს ყაძახებმა, რომ ისე ებრალება ყოველთვის!

- შენ არ მომიკტე, რძალო, უსადილო რავა ვიყავით! სადილი ვჭამეთ და ისე წამოვედით, - უპასუხა ელისაბედმა თავის ძმის ცოლს, შემდეგ შეხედა გიორგის და გადუჩურჩულა იმავე რძალს. - ეს შენი ნათესავი ჯერ კიდევ არ აპირობს წასვლას?

- არა, თვითონ ჩვენ ვერ ვუშვებთ ჯერჯერობით; ათასი საქმე გვაქ და, მან თუ არ გაგვირიგა, სხვას ვერ ვენდობით, - უპასუხა ქალბატონმა №№-მა ჩურჩულითვე.

- კაი დაგემართოს, ვისაც ამისთანა ნათესავი კი ჰყავს, იმის საქმე ყოველთვის წაღმაა, - სთქვა ელისაბედმა, რომელსაც პირველშივე ისე გააცნეს გიორგი, თითქო ის (გიორგი) ქალბატონი №№-ის ნათესავი კახელი თავადი ყოფილიყო.

- დედავ, ჩემთვისაც მოიტანეთ ერთი სტაქანი ჩაი, ერთს ვნახავ, თუ შემიძლია სმა, - სთქვა გულომ.

- შენი ჭირიმე, შვილო, შენი ჭირიმე! ერთ თვეზე მეტია, რაც ჩაი არ მიგიკარებია, არიქა, თუ მომხედოს ღმერთმა და მოიკეთო! დღეს რაცხა სულ უკეთესობას გატყობ, - სიხარულით მიაძახა დედამ თავის ქალს და საჩქაროდ მოატანია მისთვის ჩაი და პური.

გულო წამოჯდა ლოგინზე და დაიწყო ჩაის სმა, მაგრამ ნახევარი ჭიქა დალია თუ არა, გული შეუწუხდა და მიატოვა.

- აბა, ზალიკავ, ერთი შენებური ტკბილი ჩანგური გაგვაგონე, - უთხრა ჩაის მირთმევის შემდეგ ქალბატონმა №№-მა ზალიკას და მოუტანა ჩანგური. ზალიკამ მორთო ჩანგურის სიმები, ჩაუფანტურა სიმებს თავის გრძელ-გრძელი თითები და ოთახში გაისმა ტკბილი, მelloდიური ხმა ჩანგურის და დაბალი ხმით სიმღერისა.

- ჩაგიშაქრდა, ზალიკავ, იი ენა, რა მშვენიერი ჩანგური

დაალიღინე, - მიეალერსა ქალბატონი №№-ი თავის მულის საყვარელს და თავზე ხელშემოდგმულმა დაუწყო მას სმენა. გულოსაც ძლიერ ესიამოვნა ეგ ხმა. მხოლოდ გიორგის კი ვერაფრად მოეწონა ის, რადგანაც რუსეთში ყოფნის დროს ყურები გადააჩვია სხვაგვარ საკრავებზე.

თითქმის შუალამე იქნებოდა, რომ ქალბატონი №№-ის გოგოებმა გაუწყვეს თავიანთ ბატონებს და მათ სტუმრებს ვახშამი, რომელიც შესდგებოდა ერთი შემწვარი ბატის, რამდენისამე შემწვარი ქათმის, ღომის, ხაჭაპურის და ჩხავერის ღვინისაგან.

- ღმერთო, რა დროს მომასწარი! მეორეთ მოსვლა რავა არ არის იგი, რომ ჩემი მზარეული გაბატონდა და ჩემთან აღარ მოიცადა! ხორცი უნდა შეჭამო იმ მამაძალლი ყაძახების, ხორცი! - სთქვა მრისხანედ ქალბატონმა №№-მა და მიიპატიჟა თავის სტუმრები ვახშამზე, რომელსაც სტუმრიან-მასპინძლიანად ყველანი მაღიანად მისდგენ

და კარგა ხანს შეექცეოდნენ.

მეტადრე ზალიკა ძლიერ მიიბრუნა თეთრი ჩხავერის ღვინით. გულო, რაც ავად შეიქმნა, მას შემდეგ საჭმელს ერთ-ორ ლუკმაზე ველარ გადაამეტებდა დღეში, მაგრამ იმ დღეს კი კარგა ათიოდე ლუკმა შეჭამა და თან ერთი ჭიქა ღვინო შესვა. ნავახშმევს თამარამ გაუმზადა ლოგინები ქალბატონს №№-ს, ელისაბედს და მელანიას ზალაში, რომელშიაც იწვა იმ დროს ავადმყოფი გულო, თუთას და ზალიკას მეორე ოთახში და გიორგის კი იმ ოთახში, რომელიც გიორგის ეკუთვნოდა. არ გასულა იმათ დაწოლის შემდეგ ნახევარი საათი, რომ, გარდა ავადმყოფი გულოსა, სტუმარ-მასპინძლიანად სულ ყველა ძილმა წაიყვანა თავის ქვეყანაში.

## VIII

თავადი №№-ის სახლეულობა ძლიერ შიშს მიეცა, რომ



აგერ მეოთხე დღე დაღამდა და თავადი №№-ი ოზურგეთიდან არ დაბრუნებულყო. ამ შიშის მიზეზი მეტადრე ის იყო, რომ ვილაცამ ხმა დაჰყარა: აჯანყებული გლეხები შეხვდენ გზაზე ოზურგეთში მიმავალს თავად-აზნაურებს სულ ერთიანათ დახოცეს და ახლა თურმე სულ ყველა თავად-აზნაურების ოჯახებს ცეცხლს უკიდებენო. “ღმერთო, რა დროს მოვესწარი! რაფერ გაუთაურდენ იი მამაძალლი ყაძახები! - წუწუნებდა ქალბატონი №№-ი. - იქით იმის ჯავრი მკლავს, ვაითუ ჩემი ქმარი მოკლული აგდია-მეთქი და აქეთ იმის შიში, რომ იი მამაძაღლები ოჯახს დაგვიწვენ-მეთქი! ამას რომ გადავრჩებოდე არ მინდა, წეეთრიონ იი მამაძალლი შინაყმები სადაც უნდა! ვითამ უიმათოთ ძაღლები დაგვჭამს თუ? დიახაც არა, ნუ გასჭირდება საქმე, თვარა ჩვენც ძაან კარქათ შეგვიძლია მუშაობა, აი ღვთის მოცემული ხელები ჩვენც კი გვაბია ტანზე!” გულო, რომელსაც ორი-სამი დღე იყო, რაც მოეკეთებია,

აყვედრიდა დედას: “შენ გაუპირდი მამას ოზურგეთში წასვლა და ახლა ტირილი რაღას გვიშველის? თავდაპირველად უნდა გეფიქრებია, რომ იმდენი კაცი თუკი გადალდა, იქ შენი მთავრობაც ველარას განთება”. ელისაბედი ხან თავის ძმაზე ტიროდა, ნაღვლობდა და ხან გლეხკაცებს სწყევლიდა და ლანძღავდა. გიორგი, ზალიკა და თამარა თუმცაღა ამხნევებდენ შეშინებულებს, ნუ გეშინიათ, ტყუილია, გლეხები თავადაზნაურობას დასახოცად არ გაიმეტებდენო, მაგრამ, თავის გულში კი შესაძლებელ საქმეთ მიაჩნდათ: გლეხები თუკი შემთხვევას ნახავდენ, ამოიყრიდენ ჯავრს თავიანთ შემავიწროებელ ბატონებზეო. ქალბატონმა №№-მა იმ დღეს სადილიც და ვახშამიც განზრახ გვიან მოამზადებია თამარას, რომ იქნება ჩემმა ქმარმა მომისწროსო, მაგრამ ტყუილი იყო თავადი №№-ი არ გამოჩნდა და არა.

- რა ვიფიქროთ, გიორგი, ახლა? აჰა მეოთხე დღეიც

გათავდა და ამბავი არ ისმის! ხვალ მაინც ვინმე ვიშოვნოთ და გავაგზავნოთ ოზურგეთს, რომ ამბავი მოგვიტანოს, - უთხრა ნაღვლიანად თავის შვილობილს ქალბატონმა №№-მა ნავახშმევს.

- კაცის გაგზავნა აღარ შეიძლება, რადგანაც გზებზე დარაჯები იქნებიან დაყენებული და ან შეიპყრობენ ჩვენ მიერ გაგზავნილ კაცს და ან მოკვლენ.

- ღმერთო, ღმერთო! რა მომასწარი აგი! ჩემი შინაყმები, გუშინ რომ ჩემი შიშით ძრწოდენ, დღეს გზაზე აღარ გვიშობენ, აგია სამართალი! - წამოიძახა ტუჩების კვანეტით ქალბატონმა №№-მა და შემდეგ იკითხა: - მერე გზაზეც აღარ გაგიშობენ? გზების ცვაი რა ბიჭობაა?

- ეს მხოლოდ ეხლა, რომ ჩვენ გლეხების საწინააღმდეგო არა რა ვიმოქმედოთ, თორემ შემდეგ გზებზე გვექნება და სხვაც. გლეხები როცა დაინახავენ, რომ ჩვენ, იმათი

ბატონები, იმათ საწინააღმდეგოს აღარას მოვქმედობთ და აღარც მათზე მეტს უფლებებს ვთხოულობთ, ესე იგი, როცა ჩვენცა და ისინიც ერთის და იმავე უფლებით ვიცხოვრებთ. მაშინ შემოგვირიგდებიან და კარგ მეზობლად გაგვიხდებიან.

- კარგიც იქნება! თავადი და მისი შინაყმა გააფხანაკდეს, ვითამდა ძმებია! იმ დღემდი ყველაი დავხოცილიყოთ! - გაბრაზებით წამოიძახა ქალბატონმა №№-მა.

მას წაესარჩლა ელისაბედ და უნდოდათ ერთი ვაი-ვაგლანი ლაპარაკი აეტენათ ყაძახების “უთაურობის” შესახებ, მაგრამ ამ დროს შემოესმათ ძაღლების გაცხარებული ყეფა და სულ ყველას, გარდა გიორგისა და ზალიკასი შიშისაგან სიკვდილის ფერი დაედო. გიორგი გამოვარდა გარეთ და გაექანა ჭიშკრისკენ, სადაც ძაღლები ყეფდა: გიორგის გაჰყვა ზალიკაც, დანარჩენები კი ვერ ბედავდენ გარეთ თავის გამოყოფას. გულოს და მელანიას

ცოტა უკლდათ, შიშისაგან გული წასვლოდათ, მაგრამ მათ ბედზე გიორგი იმ წამსვე დაბრუნდა სახლში და სთქვა:

- ნუ გეშინიათ, არაფერია! ჩვენი ბესია დაუჭრიათ და სიმონმა გვთხოვა, რომ თამარამ უეჭიმოსო.

- რავა დაუჭრიათ? იკითხა ქალბატონმა №№-მა.

- აი თოფით. რას მეტყვით დედა მივსცე ნება აქ მოყვანისა?

- ანია მაზე, ანო! იგიც ჩადგა ჩვენს ღალატში! - გაჯავრებით სთქვა ქალბატონმა №№-მა და შემდეგ დაუმატა: - მარა რაღა ვქნა, რომ მირონი ჩემი ქმრის მუხლზე სცხებია! მეიყვანონ.

ამ უკანასკნელი სიტყვების მოსმენის შემდეგ გიორგი

ხელახლა გაბრუნდა ჭიშკართან და უთხრა სიმონს:

- დედა თანახმაა, რომ ბესია აქ მოიყვანოთ და თამარამ უეჭიმოს.

სიმონ, თითქო ბნელმა ღამემ გადაყლაპაო, საჩქაროდ გაქრა ამ სიტყვების შემდეგ. ქალბატონი №№-ი, გულო, ელისაბედ და მელანია წინანდელზე კიდევ უფრო შეშინდენ, რა რომ გაიგონეს: სიტყვა: “დაუჭრიათო”... ამ სიტყვებით ისინი ვითამც და მიხვდენ, რაშინაც მდგომარეობდა საქმე; ამათი სიტყვით, გლებები დახვდერიათ გზაზე თავად-აზნაურებს და შესტაკებიანო.

- ცოტა მოვითმინოთ და, როცა ბესიას მოიყვანებენ, მაშინ იმასაც გვეტყვიან, როგორც ყოფილა საქმე, - სთქვა ბოლოს გიორგიმ და შემდეგ დაამატა: - მე დარწმუნებული ვარ, რომ მამა ცოცხალია, წინააღმდეგ შემთხვევაში ბესია აღარ მოინდომებდა აქ მოსვლას.

გიორგის სიტყვამ იქონია შეშინებულებზე გავლენა; ისინი ეხლა თითქმის დარწმუნდენ, რომ თავადი №№-ი ცოცხალიაო და გულის ძგერით მოელოდენ დაჭრილ ბესიას, რომელიც უამბობდა მათ, თუ როგორ წავიდა საქმე. ძილზე აღარც ერთი მათგანი აღარ ფიქრობდა ამ დროს, ისე რაღაც ცნობისმოყვარეობის სახის მეტყველებით ისხდენ სანთლის სინათლეში და გაიყურებოდენ გარეთ; ხანდახან ზალიკა გაიხუმრებდა რაღაცაზე და გააცინებდა ყველას; გიორგი კი დადიოდა აივანზე და ხშირად ფანჯრიდან შეხედავდა გულოს, რომელიც ნახევრად ამდგარი მიყრდნობილიყო ბალიშზე და თვალებგამტერებით გაიყურებოდა გარეთ. გიორგის ეშინოდა ამდენმა ამაღელვებელმა ამბებმა გულო ხელახლა არ გახადოს ძლიერ ავადო. თამარა, რომელიც დაჭრილობის პირველ ექიმად ითვლებოდა იმ სოფელში, წავიდა სხვა გოგოებთან სამოახლოში. ის ოთხი-ხუთი დღე იყო გაეჯავრებიათ ბატონებს და, თუ დიდი

საჭიროება არ იყო, ისე აღარ ჩერდებოდა იმათ ოთახში. გავიდა კარგა ხანი და ძაღლებმა ხელახლა შექნეს ყეფა. გიორგიმ და რაოდენმამე სხვებმა მიირბინეს ჭიშკართან და დაინახეს, რომ სიმონ შეუძღვა ეზოში რამდენსამე თოფიარაღიან კაცს, რომლებსაც მოჰქონდათ ვენახით გაკონილი ორი ხე, რომლებზედაც იდო სისხლში მოსვრილი ბესია. ქალებმა გასისხლიანებული ადამიანის დანახვაზე ერთი ჩვეულებრივად შესწივლეს, შემდეგ შემოესიენ ბესიასა და დაიწყეს გმინვა და გულზე ხელის ცემა. მელანია მ თან შიშით, თან სიბრალოლით კარგა ბევრი ცრემლი დაღვარა. მას, მართალია, აქამდე თავის დღეში არ ენახა ბესია, მაგრამ ამ პირველი ნახვითაც შეატყო რომ დაჭრილი კარგი შეხედულების ვაჟკაცი უნდა იყოს.

- მადლობელი ვარ, რომ ჩემი აფხანაკი ასე შეგებრალა, - უთხრა ყმაწვილ ქალს სიმონმა.



მელანიამ ერთი შეხედა ლამაზ-ლამაზს სიმონს, შემდეგ შერცხვა და შებრუნდა ოთახში გულოსთან, რომელთანაც ამ დროს მხოლოდ ერთი გოგოლა დარჩენილიყო, სხვა არავინ.

- რა ამბავია, მელო, ძალიან, ცუდათ არის? - ჰკითხა გულომ.

- სისხლში ამოსვრილია ერთიანათ! ღმერთო, რა კაი ბიჭი ყოფილა და რა კაი აფხანაკი ყოლია!

- ოო, მელო, კარგათ რომ იყო, მაშვინ რომ გენახა ბესიეი, რაღას იტყოდნი! ჩვენ ქვეყანაში იმისთანა ვაჟკაცი არ იყო.

- მადლობა ღმერთს, გვარიანი კაი ამბავია, - შეილაპარაკა ამ დროს ოთახში ქალბატონმა №№-მა, რომელსაც შეჰყვა ელისაბედი.

- რა ამბავი, დედა? - ჰკითხა გულომ.

- მამაშენი ცოცხალი უნდა იყოს, ისე ჩივიან. ყაძახებს მარტო ნაკაშიძეებთან ქონებით შეტაკება, ნაკაშიძენს დაუძლევია და გაუქცევია ყველაი.

- მართლა? მადლობა ღმერთს, რომ მამა ცოცხალია! ბესიას რა უყავით?

- ყრუ სამოახლოში წეიყვანეს, არ უნდა მორჩეს, ისე გლახათ არის.

- რატომ ოთახში არ დააწვინეთ დედავ? ყრუ სამოახლოში რა გააძლებიებს!

- რა ყაძახის საქმეა საბატონო ოთახში წოლა! - გაუმტყუნა ელისაბედმა თავის ძმისწულს და მერე დაუმატა: - იგი არა და კიდევ კაი გულის არის ჩემი რძალი, თუ არა სულ

არ უნდა მოეკარებია იი ყაძახი! კაი რამე საქმეზე იყო თუ!

- უი, შენ რა იცი, ბესიას რეთი პატივი უცია ჩვენი ოჯახისთვის!

- გულო, მე ცოტა ხანს კიდევ დავრჩები ბესიასთან, - შემოსდახა გიორგიმ, - შენებურათ გაუფრთხილდი, არ გაიშიშვლო, თორემ ხელახლავ გაცივლები.

თამარამ გახადა ბესიას გასისხლიანებული ტანსაცმელი, ნიფხავ-პერანგს გარდა, და უთხრა:

- აბა მოაშიშვლე იმ ალაგას, სადაც გაქ დაკოდილი.

ბესიამ გაიხსნა საცვალის და მოიშიშვლა ის ადგილი თავის სხეულისა, სადაც ბარძაყი უერთდება თეძოს, ესე იგი, ის ადგილი, რომელიც მისთვის დაეჭრა ტყვიას.

- ვაი, ვაი! რავა გასივებია და გაშავებია! - დაიძახა სიმონმა, რა დახედა ბესიას წყლოულზე, სადაც მართლა საშინლად იყო ხორცი დაგლეჯილი, გაშავებული და გასიებული.

- ტყვია აღარ არის შით, - სთქვა თამარამ როცა გასინჯა წყლოული წინდის ჩხირით.

- არა, აღარ არის, მეორე კედრით გავარდა, - უპასუხა ტუჩების კვნეტით ბესიამ, რომელიც ამ დროს ცდილობდა დაეფარა ხელებით და პერანგის კალთით ის ნაწილი სხეულისა, რომლის გამოჩენა ძლიერ სირცხვილად ითვლება ზნეობათა მოძღვრების კანონის ძალით.

- ნეტა რა არის, რომ ასე ვუფროთხილდებით და ვმაღავთ იმ ერთ ასოს? - ჰკითხა სიცილით ზალიკამ გიორგის.

- ჩვეულება, მეტი არაფელი. აი რა გითხრა: აფრიკაში არის ერთი ხალხი, რომელიც ისე ფარავს და იმოსავს ცხვირის

და პირის ნახვრეტებს, როგორც ჩვენში ქალები სამშობიარო ორგანოს, - უპასუხა გიორგიმ. შემდეგ მიუბრუნდა თამარას და უთხრა:

- თამარ, ჯერ მოჰბანე და შემდეგ მალამო დაადე.

- დიახ, ჯერ მოვბან თბილი წყლით, ამელამ საშუშებელ ბალახ-წამლებს დავადობ და ხვალ იმას ევიღებ და მალამოს დავადობ.

როცა ბესიას წყლოული მოჰბანეს და შეუხვიეს, გიორგიმ მოატანა თავისი ახალი სუფთა, თეთრი პერანგი და პერანგის ამხანაგი და ჩააცო ბესიას.

- აბა, ახლა გვიამბე, სიმონ, რავა იყო საქმე? - ჰკითხა ზალიკამ სიმონს, როცა სხვა საქმეს მორჩენ.

- რალა რავა იყო! - დაიწყო სიმონმა თავისებური ტკბილი

და წყნარი ხმით. - უწინ და უწინ ჩვენი საქმე კარგად მივიდოდა, სადაც კი მივედით სოფლებში, ყველაი მოგვემფხნო. გუშინწინ ოზურგეთს გვერდი ჩაუარეთ, დავემუქრეთ რუსებს, ძან ჯარი ჩთა იქინეიც, მარა ხმაი არ გუუციენ. მერე გავსწიეთ გურიანთას, თავადი ნაკაშიძენის მამულში; ახლო რომ მივაწიეთ, ნაკაშიძენმა მოგვაგებეს კაცი, ნუ მოხვალთ თვარა თოფი უნდა გესროლოთო, შემოეთვალათ. ჩვენ კუჭი მევიყვანეთ, რავა გაგვიბედა ამდონ კაცს დამუქრებაო და მოციქული უკან გავაქციეთ. მერე სკურდუბის წყალთან რომ მივაწიეთ, გამოვარდა თოფები და ბარე ხუთი-ექვსი წეიქცა ჩვენკენ! თურმე ნაკაშიძენი ჩაგვესაფრენ და თოფები იგინმა გვესროლეს.

- ნუ გეშინია, ბიჭებო, გასწით წინ და მტერი გეიქცევავო, - დასძახა ბესიამ ჩვენს ჯარს და გაუძღვა. მარა ამ დროს ვინცხამ ჩვენივე აფხანაკთაგანმა უცფათაი მოარტყა

ბესიას ტყვია და დასცა ძირს. ბესიეი რომ წაქცეული დეინახეს, ჩვენებს გული წუუხთა; ამასობაში ვინცხამ დეიძახა: მოვიდენ უკანიდან რუსები და დაგვხოცეს, თავს ვუშველოთო. ამ ხმაზე ჩვენი ჯარი გაიპნა, ვინ განზე მირბოდა, ვინ უკან და ვინ სად, ველარ გეიგებდი. სხვაი რომ ყველაი გეიქცა, მე და ათმა ბიჭმა მივარდით ბესიას, ავიღეთ და გავსწიეთ ტყეში. შუაგულ ტყეში მოგვეწია ღამე; სხვაი რალა უნდა გვექნა? დავანთეთ ცეცხლი, დავაწვინეთ ბესიე მიწაზე და დავადექით მცველებათ. მარა ძაან შიში კი ვჭამეთ, იმისთანა ცუდათ შეიქნა აი კაცი! მთელ ღამეს სულ წყალს სვამდა.

- ეს იმიტომ, რომ დაჭრილს ხშირათ სიცხე მიეცემა. ბესიასაც სიცხე ჰქონია, - სთქვა გიორგიმ.

- იგი რა ვიცი მე, ძაან კი სვა წყალი და! - განაგრძო სიმონმა. - იალონზე, რავაც კი დღის სინათლემ ამოყო თავი, დავადევით ბესიეი ხეებზე, გავიგდეთ ფხარზე და

გამოვსწიეთ. რუსები არ შეგვხებენო, იმის შიშით გზაზე გამოსვლას ვერ ვბედავდით, სულ ტყეტყე მოვდიოდით. მოაწია სალამო და მივაწიეთ ჩვენც ბესიეისას. საცოდავი მისი დედ-მამა ჩვენს მისვლამდი თმებს იგლეჯდენ თურმე, ბესიეი კვტარი ეგონენ. ცოცხალი რომ ნახეს, ისინი სიხარულით ცაზე ხელს არებდენ. ახლა ბესიეი რომ აქანაი მოგვყავდა, ერთი ჩვენი ნააფხანაკარი ვნახეთ და იმან გვითხრა, რომ თურმე ჩვენი ჯარი წუხელის სულ ცალ-ცალკე დაბნეულა და სადაც შეხებენიან, ერთს მეორე გაუცარცავს.

- აი, ამიტომაც არის უსწავლელი ხალხის საქმე ცუდათ. წარმოიდგინე, თავის მტერს ვერა რა დააკლეს, ერთმანეთს დაუწყეს ძარცვა! - სთქვა გიორგიმ.

- რა გეემტყუნება, ძარცვა-ღლეტის მეტი რა უნახავს? ბატონი იმითი ცხოვრობს ჩვენში და მოურავი, - სთქვა ზალიკამ სარკაზმულად.



- იგი კაცი, რომ დეიძახა რუსები მოვა, დაგვხოცესო, - განაგრძო კიდევ სიმონმა, - თურმე ვინცხა ყაძახი ყოფილა, გვართ ჯიჯიეიშვილი. ჩვენი ჯარი რომ დეიფანტა, თურმე იი ჯიჯიეიშვილი გეიქცა და მივიდა ოზურგეთს ნაჩალიკთან, მიულოცა გამარჯვება და უთხრა: ჯარი მე განზრახ შევაშინე თქვენი ერთგულობის გულიზა და სამაგიეროთ წყალობა მიყავითო. ნაჩალიკს სიმართლე არ ჰგონებია თურმე აგი, დაუჭირავს ჩვენი მოღალატე ჯიჯიეიშვილი და სატუსაღოში ჩაუგდია.

- წავხდით, თუ არა ჩვენ უნდა მოგვეკლა იგი. უნამუსომ დააქცია ჩვენი საქმე! - სთქვა ბესიამ, რომელსაც ტუჩების კვნეტაზე ეტყობოდა, რომ ძლიერ სტკიოდა ჭრილობა.

- ნეტაი ჩვენი შინაყმები სად არიან? - იკითხა თამარამ.

- სადაც არიან, ხვალ თუ ზეგ ყველანი აქანაი გეყოლება, მეტი გზაი არ აქვან, - უპასუხა სიმონმა.

- ჰმ! ბატონო, რას გააწყობს ჩვენი კაცი რუსებთან! ჯარი იგინს ჰყავს და თოფ-იარაღი იგინს აქვან, - სთქვა ზალიკამ, რომელმაც ამ დროს, ის იყო, გაანება თუთუნის წევას თავი და დაიწყო: ან რომ თქვას კაცმა, რას ვერჩით რუსებს? ვითომ მათ მოსვლამდე უკეთესად იყო ყაძახების საქმე თუ? ბიძია, თქვენ რა იცით, ჯერ ბაღლები ხართ. მე რაც წამიკითხავს, გამიგონია, და მინახავს, ყაძახები არას დროს არ ყოფილა კაი ცხოვრებაში. უწინ ჩვენი მეფეები და ერისთავები მუდამ ერთმანეთს ემტერებოდნენ და ეჩხუბებოდნენ და იმით ამხოზდნენ ყაძახების ოჯახს. მერე ჩვენმა მეფეებმა და ერისთავებმა ერთმანეთში ჩხუბებით ყაძახების ყოფაცხოვრება ხომ სულ დააქციეს, და თვითონაც თავის თავი დაანელეს. გამოჩნდა ვინცნა მოსკოვის მეფე. ქართლის მეფემ, გიორგიმ, ამ მოსკოვის მეფეს მიაბარა თავის სამეფო. მაშინ ჩვენმა გურიელმა მამიამ, მოიხმო ჯუმათელი და დაბალი ბერი და ჰკითხა, თუ გაგიგონიან, რავარი კაცებია

მოსკოველებიო. დაბალი ბერი ძალიან ნასტავლი კაცი იყო და საჩქაროთ მისცა გურიელს პასუხი, რომ ანდრია სალოსის წიგნში სწერიაო: არის ჩრდილოისა ქვეყანასა შინა კაცნი წითურნი, რომელთაც ეწოდების რუსი და იმან დაიპყრას მრავალი ქვეყანაო. ქრისტიანია თუ არაო, ჰკითხა გურიელმა. რუსი წერებულ არს სარკინოზათ, ხოლო ახლა ქრისტიანობას აღიარებენო, უპასუხა დაბალმა ბერმა. ჩვენი ქვეყანა რომ ჩავაბაროთ იმ რუსს, კაი იქნება თუ არაო, ჰკითხა კიდევ გურიელმა. შენ თუ გინდა, ნუ ჩააბარებ, მაინც ჩეიგდებს ხელშიო, უპასუხა კიდევ ბერმა. აგი ბერი ჩვენი ქვეყნის წინასწარმეტყველია, მისი უნდა დევიჯეროვო, თქვა თურმე მაშვინ გურიელმა და გააგზავნა კაცი ტფილისის ქალაქს რუსის ჯარის უფროსთან და სთხოვა, გამირიგეთ საქმე თქვენს მეფესთან და ჩემი ქვეყანა მიაღებით მის მფარველობაშიო.

- მგონია, ბესიას წამალმა დუუჟამა სატკივარი, - სთქვა თამარამ, რა დაინახა, რომ ბესიას დაეძინა.

- აი, ღმერთო! აგი მორჩებოდეს, თვარა სხვაი რალა მინდა!  
- სთქვა სიმონმა.

- რატომ გაგტენიათ გული? ამისი ჭრილობა ისე ძნელი არ არის, რომ მოკლას, - უთხრა სიმონს გიორგიმ.

- რა ვიცი, მეშინია, კაცი ძმებზე უფრო მიყვარს და უპატრონობით არ ჩამიკვტეს ხელში-მეთქი, - უპასუხა სიმონმა.

- დიახ, იმას მოგახსენებდით, - განაგრძო ზალიკამ, - გურიელმა ისე შეუთვალა რუსის ჯარის უფროსს. იმანაც გუურიგა საქმე და რუსის მეფემ გამოუგზავნა გურიელს ჩინი, ხმალი და გრამოტა. იმ გრამოტის თარგმანი, ჯუმათში რომ ვიყავი დიაკვნათ, მაშინ ვნახე.

გადმოვიწერე და ზეპირათაც დავისტავლე. თუ გნებავს, მოგახსენებთ.

- ძალიან კარგი, ბრძანეთ, - უთხრა გიორგიმ.

- თარგმანი ასე გახლდა, - დაიწყო ზალიკამ: - გურიის სამთავროისა მპყრობელს, ჩვენს ქვეშევრდომს, მექონს წმინდის ანასი პირველი კლასისა, პოლკოვნიკს და კავალერს, თავადს მამია გურიელს ჩვენი იმპერატორებითი მოწყალება. ვუწყით რა უგულითადესი ერთგულება თქვენი ჩვენდამი და ჩვენის უმაღლესის ტახტისადმი, სრულსა ვპყოფთ წადილსა თქვენსა მოხსენებულსა ჩვენს სახელზე წარმოგზავნილს თქვენსა თხოვნასა შინა, გამტკიცებ და გცნობ მემკვიდრეთ და მთავრათ გურიის სამთავროისა, რომელიც აწ იქნების ქვეშევრდომობასა და მფარველობასა ქვეშე მალლის რუსეთის სახელმწიფოებისა. აწ ხართ თქვენ მალალსა სახლეულობისა ჩვენისა რიცხვთა შორის, ხოლო გურიის

სამთავროისა ერი რიცხვთა შორის ჩვენის ქვეშევრდომისა. აღვითქვამთ თქვენ და თქვენს მემკვიდრეთა ჩვენს იმპერატორებითს მოწყალებას. თქვენ მიერ ხელმოწერილ თხოვნასა, რომელსა ზედა არს რუსული თარგმანი სიტყვითი სიტყვათ, შეწყნარებულსა ვყოფ და ვამტკიცებ საუკუნოთ უცვლელი სიტყვითა, ვითარცა ჩვენ მიერ, აგრეთვე ჩვენი მაღალი შთამომავლობის მაგიერათაც, სარწმუნო ყოფისათვის თქვენის მთავრობითი ღირსებისა, გიბოძებ თქვენ ხმალსა და დროშასა ღერბითა სრულიათ რუსეთისათა, რომელიც ჯერ არს ინახებოდეს სახლსა თქვენსა შინა, ხოლო მემკვიდრეთა თქვენის ღირსებისათა ებრძანების, რათა სიმტკიცისათვის გამოითხოვონ ჩვენ მიერ უმაღლესი გრამოტა, რომელიც მზგავსად ამისა მათაც კვალათ ებოძების ჩვენის იმპერატორებითი ნებითა. აწ მოგანდობ, რათა სიშვიდითა და მართლმსაჯულებითა მართოთ გურიის სამთავროისა ერი. ვუწყით და გვრწამს, რომ თქვენ და

მემკვიდრენი თქვენნი სრულ ჰყოფთ და იქნებით მტკიცე ერთგული ჩვენის იმპერატორებითი სახლულოობისა და რუსეთის სახელმწიფოს ტახტისა. დარწმუნებული ამაზედა, ძეგლათ ჩემი იმპერატორებითი მოწყალებისა თქვენ და თქვენს ქვეშევრდომს გურიის ერს გაძლევ ამა იმპერატორებითს გრამოტას, რომელსა ზედა მოწერილ არს საკუთარი ხელი ჩვენი და დასმულ არს სახელმწიფო ბეჭედი. სატახტოსა ქალაქსა წმინდის პეტრესი. რიცხვსა თებერვლისა რვასა, წელსა ქრისტეს აქეთ ათას რვაას თერთმეტსა, ხოლო ჩვენი გახელმწიფებიდან წელსა მეთერთმეტესა. ალექსანდრე პირველი. დაწერასა სიმართლითა ვამტკიცებ გრაფი რუმიანცევი.

- გასაოცარი ზეპირობის ნიჭი გქონია! ასე გეგონებოდათ, წიგნი უჭირავს ხელში და იმისაგან კითხულობსო, ისე აასხით ლაპარაკი, - უთხრა გიორგიმ ზალიკას, როცა ამ უკანასკნელმა დაასრულა ლაპარაკი, რომლის დროს

ერთხელაც არ შეფორნებულა და არ ჩაუხველებია.

ძან ჩააგრიგალა. ლოცულობსო, გეგონებოდა კაცს, - მოუწონა თავის მხრით სიმონმაც, რომელსაც ნახევრადაც არ გაეგებოდა ზალიკას მიერ მოთხრობილის აზრი.

- ძალიანი ლოცვა იყო, - მინელებულის ხმით ჩაილაპარაკა თამარამ, რომელსაც ზალიკას ლაპარაკის დროს მუდამ სთვლემდა და ლაპარაკი ლოცვისაებრ ესმოდა.

- დიახ, ასე განლდათ, - განაგრძო ზალიკამ, - მერე რუსმა რომ ჩვენი ქვეყანა დეიკავა ხელში, მამია გურიელის შვილი, დავით, რუსის სამსახურში შევიდა, მარა დიდი ხანი აღარ დაყოვნა, - მოკვტა. მაშვინ რომ გეკითხა, გეტყოდენ, რომ მოწამლეს და იმიზა მოკვტაო. მარა ვინ იცის? მას დღეს მოღმა რუსია ჩვენი ქვეყნის პატრონი. ახლა ყაძახები რა სამდურავს ემართლებიან, უნდა გითხრა, არ ვიცი. ჩვენი მეფის, გინდა გურიელის ხელში



რომ ყოფილიყო, აწი ოცჯელ მოაოხრებდენ მათ ოჯახს, რუსის ხელში ფრჩხილიც არ წაუტეხიან. რაიო და გადასახადი დაგვაწერაო! ხელმწიფეს და ბატონს გადასახადი უნდა მისცენ, აგიც არ იციან!

- რაც გინდა თქვი, ზალიკავ, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, რომ იტყვიან, ისე გვჭირს. არც უწინ ყოფილა ჩვენი საქმე კარქა და არც ახლა არის, - სთქვა სიმონმა უიმედო კილოთი.

- მართალს ამბობს ზაალი: ჩვენი ქვეყნის გლახკაცობა ეხლა უკეთეს მდგომარეობაშია, მინამ წინეთ, მეფეების ხელში ყოფილან. ისე ნამდვილი გაუმჯობესობა გლახკაცობის მდგომარეობისა მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც ბატონყმობა მოისპობა. მაგრამ ამასთან ესეც უნდა ვთქვა, რომ მონობის მოსპობაზე თვითონ გლახკაცობამ უნდა ამოიღოს ხმა, რადგანაც აგეთი დიდი ცვლილების მოხტენა თვითონ ერს ეკუთვნის

სამოქმედოთ და არა მეფეს, გინდა ხელმწიფეს, - სთქვა გიორგიმ, შემდეგ დახედა საათს და დაამატა: - ოთხი საათილა დარჩენილა გათენებამდის. მე ეხლა წავალ და დავწვები. ბესიას, თამარო, იმედია, კარგა მოუვლით.

ამ სიტყვების შემდეგ გიორგი ადგა და წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს შეხედა სიმონს და უთხრა:

- თქვენ, სიმონ, წამოდით და ჩემს ოთახში დაწევით.
- მაღლობელი ვარ, მე ამელამ ბესიას ვერ დავტოვებ, - უპასუხა სიმონმა და მოკრძალების ნიშნათ დაბლათ მოღუნა თავი.
- აბა, თამარო, კარგი ლოგინი დაუგე სიმონს. ღამე მშვიდობისა, - დაატანა გიორგიმ და წავიდა თავის ოთახში. გიორგის გაყვა ზალიკაც. თამარამ გაუწყო სიმონს ლოგინი, შემდეგ გაანძრია ხელით მძინარე ბესია,

გააღვიძა და ჰკითხა:

- რავა ხარ? პაწია არ გიამა?

- უწინდულა აღარ მძგერს ნატყვიარში. გულმაც უფრო იღიმა, - უპასუხა ბესიამ და მოინდომა თვალების დახუჭვა, მაგრამ თამარამ კიდევ მისცა კითხვა:

- საჭმელი ხომ არ გინდა?

- არა, - უპასუხა ბესიამ და ჩაიძინა.

- აჰა აწი იძინე, შენთან ამელამ სიმონ იცდის.

ამის შემდეგ თამარამ დააბარა სიმონს, სანთელი ამელამ სულ ანთებული იყოსო და წავიდა დასაძინებლად. სიმონი კარგა ნახევარ საათს კიდევ იჯდა თამარას წასვლის შემდეგ, მაგრამ, რა რომ ძილმა თავისი

მოსთხოვა, ისიც დაწვა.

## IX

ჭრილობისაგან ავადმყოფი ბესია ერთი თვე დარჩა თავადი №№-ის სასახლეში. აქ მას ყველანი, დიდიდან პატარამდე, პატივით ეპყრობოდენ, განსაკუთრებით - გულო, რომელიც ამ დროს, ის იყო, თითქმის მორჩა ავადმყოფობისაგან, და გიორგი. ყოველდღე ორ სამხელ მაინც შედიოდენ და შეაქცევდენ მას სხვადასხვა ამბებით. ელისაბედი და მელანიაც - ისინი თავადთან დარჩენ საზაფხულოდ - ხომ ძლიერ დაუახლოვდენ ბესიას. მელანიას ყოველდღე შექონდა ბესიასთან თავადი №№-ის და მისი ცოლ-შვილის გაგზავნილი ჩაი, ყავა, ხილი და სხვა. ბესია ისე დაეჩვია მის მზერას და ლაპარაკს, რომ ძლიერ მოეწყინებოდა, როცა მელანია ნახვას დაუგვიანებდა. რომ დიდხანს გაეჩრებია მელანია თავისთან, ბესია დაუწყებდა მელანიას ათას რამეებზე

გამოკითხვას; ხან კიდე ჩანგურსაც დააკვრევიებდა. მეტადრე ერთ დღეს მელანია და ბესია ძლიერ გაუმასლაათდენ ერთმანეთს.

- მელო, ძალიან ტკბილი ჩანგური იცი, სად ისწავლე ამისთანა ხმები? - ამით დაიწყო იმ დღეს ბესიამ მელანიასთან მასლაათი.

- მე სად ვიცი კაი ჩანგური! - მორცხვად უპასუხა მელანიამ და შემდეგ ხარბის კილოთი დაატანა: - ჩანგური და მღერა შენმა დამ რომ იცის, იმას ჭვია. დედა, დედა, რა ქალია შენი დაი! შენი დედ-მამა აქანაი რომ მოვიდენ და შენ გნახეს, მე მაშინ გევიცანი შენი დაი. უწინ დანახვაზე ვინმე თავადის ქალი მეგონა. მერე რომ მითხრეს, ბესიას დაიო, ვიფიქრე, ბესიაც კაი ბიჭია, მარა დაიც კაი ყოლია-მეთქინ.

- ვინ მოგატყუა, მელო, რომ ვითომც და მე კაი ბიჭი ვიყო?

ისე ჩემი დის კარგა მოხსენებისტვის მადლობელი ვარ. მარა ერთი აგიც გამკვირვებია: შენ რომ ლამაზი ხარ, სხვას რაღაიზა აქებ?

- მე არც ლამაზი ვარ და არც რამე. შენისთანა კაი ბიჭის დაი რომ ვყოფილიყავი, მაშინ...

- ახლა არ გკითხე, ვინ გითხრა, რომ ვითამც და მე კაი ვიყო?

- რა თხრობა მინდოდა, მე თვალი არ მაქ თუ?

- ამ საქმეში შეუცთენიხარ, მე აბა რა კაი ბიჭი ვარ? ახლა ერთი აგი მითხარი: შენ არ გყავს ძმაი?

- მე დედის მეტი, არც მამა მყავს, არც დაი და არც ძმაი.

- აბა ვინ პატრონობს თქვენ ოჯახს?

- ჩვენს ოჯახში უფროსი დედაჩემი და ზალიკაია.

- ზალიკაი შენი ბიძაა თუ?

- არა, მამა რომ მომიკვდა, დედაჩემმა ზალიკას ჩააბარა ჩვენი ოჯახი და მას მერე არის.

- ოო, ძალიან კაი საქმეა, - სთქვა ბესიამ და გაიღიმა თავისი თხელ-თხელი ლალივით წითელი ტუჩებით, რომელთა შორის გამოუჩნდენ სუფთა, თოვლივით თეთრი ლამაზი კბილები. მელანია ვერ მიხვდა ბესიას გაღიმების აზრს და ჰკითხა:

- რას იცინი, ვითომ ზალიკაი ცუდი კაცია თუ?

- არა, იმას არ ვიცინი. ახლა იგი მითხარი: შინაყმები და გოგოები ხომ გყავან?

- დედავ! აბა რაფერ ვიქნებით! ერთი უწინ საცხა გეიქცენ ჩვენი შინაყმები და მერე შენ რო აქანაი მოგიყვანეს, მაშვინ კაცი მოგვივიდა და გვითხრა: ჩვენი შინაყმები ისევე ყველაყაი მოვიდენო.

- მერე გაგიკვირდა, მელო, შინაყმები რომ გაიქცენ?

- დედავ! რეიზა არ გამიკვირდებოდა? ჩვენი შინაყმები იყვენ და სხოგან გაიქცენ.

- შენ რომ კაცი იყო და შინაყმათ იყო, არ გეიქცეოდი?

- მე შინაყმათ რეზა ვიქნებოდი, აზნაური ვარ!

- არა, ვთქვათ, რომ აზნაური არ ყოფილიყავი, მაშვინ?

- გევიქცეოდი, აბა სხვას რეიზა ვემსახურებოდი?



- ჰოო, ყაძახები რომ გაიქცენ, აბა იგი რაღას გიკვირს?

- რა ვიცი, დედაჩემმა თქვა, ყაძახები ღმერთმა ულუფათ მისცა ბატონებსო და იმიზეზა უნდა გვემსახურონ, თვარა მე ჩემობით, თუ გინდა ეხლავე წვევიდენ, მაინც აფერს ვეტყვი, - სთქვა მელანია და დააპირა წასვლა, მაგრამ ბესიამ ეხლა შეცვალა ლაპარაკის საგანი და ჰკითხა მელანიას:

- შენ რომ გათხოვდები, მაშინ მარტო ზალიკა დარჩება დედაშენთან, არა?

- მე არ გავთხოვდები.

- რეიზა, ქმარი არ გინდა?

- არ მინდა, ჰო.

- აბა სულ უქმროთ მეიცთი?

- მევიცთი, რა მიშავს?

- არაფერი, მარა სხვები ერთ ქმარსაც არ ჯერდებიან და შენ რა სული წმინდა ხარ, რომ სულ უქმროთ გასძლო? ერთი იგი მითხარი, ვთქვათ, გინდა ქმარი, ყაძახს შეირთავ?

- ქმარი რომ მინდოდეს, ყაძახობით რეზა დევიწუნებ? ყაძახი ხარ შენ, მარა ამისთანა კაი ხარ.

ამ სიტყვებთან მელანიათ თითქო ალერსით შეხედა ბესიას, რომელიც, ტანზე ჩაცმული, ნახევრად მიწოლილიყო ლოგინზე, რადგანაც ჭრილობა ჯერ კარგად არ გამთელებოდა და ამიტომ ჯდომა ძლიერ უჭირდა. ბესიას სწორი პირისახე, ახალამოხვითქული, მელანივით შავი წვერ-ულვაში და ცეცხლივით ანთებული თვალები

მართლაც რომ საღი და საჭები რამ იყო. მართალია, ჭრილობას თავისი დაღი დაესო ბესიასთვის, რძე და ღვინისფერი იმისი პირისახის კანი დაეფერნაკლოლებია, იმისი ხორცი თ სავსე ხელები დაემჭლევებია და ძარღვები გამოეჩინა, მაგრამ ესენი თითქო კიდეც უფრო ამშვენებდენ ბესიას შეხედულებას.

- მე რომ გითხვო, წამომყვები ცოლათ? - ჰკითხა სიცილით ბესიამ.

- მელანიას აქნამდე ბევრჯერ გაუვლია ფიქრებში: თუ როდესმე ყმაი უნდა შევირთო, ღმერთო, ბესია შემახვედრეო, და ეხლაც ამგვარმა ფიქრებმა დაურბინეს მას, მაგრამ, როგორც ყმაწვილი ქალი, ეხლა ვერა ბედავდა ამაზე გადაჭრით პასუხის მიცემას.

- ჰო, მითხარი, წამომყვები? - განუმეორა ბესიამ და განაგრძო ღმილი, რომელიც მას ძლიერ შვენოდა.

- შენ ხომ ჩვენი ნათესავი ხარ? ნენამ მითხრა, ბესია ბიძაშენის მუხლზე მონათლული არისო, - ამოიღო ხმა უკანასკნელ მელანიამ, რომელსაც სახეზედ მოსდებოდა სიწითლე.

- არა, ვთქვათ, ნათესავი რომ არ ვიყო, მაშინ?

- მაშინ, რა ვიცი... - სთქვა მელანიამ და სახე სულ გაუწითლდა. ბოლოს თითქო რაღაც მოაგონდაო, თამამად ჰკითხა: - რეიზა მოგივიდა ისე კუჭი, ბიძიამ რომ გისაყვედურა ყაძახის ოლქას რეზა გეერიეო?

- დედავ, რავა არ მომივიდოდა! დამიჩემა ჩემს მუხლზე მონათლული ხარ და რავა გაბედე ბატონების წინააღმდეგობაო! რავა გავბედე რას ქვია! დიდი საქმეა, იგი არა და, ღმერთიც რომ იარებოდეს ფეხდაფეხ, თუ არ დამიჯდა, იმასაც კი გავუბედავ, თვარა კაცის რავა შემეშინდება!

- მერე იმისთანაი დაკოდელი კაცი გაკუჭტი და ლამე აპირებდი წასვლას, ხომ მოკვტებოდი გზაზე?

- თუ მოკვტებოდი და ჯანი გავარდეს! ერთ დღეს დავბადებულვარ და ერთ დღეს მოკვტები!

- დედა, დედა! მე შიშით კალამ მოკვტი მაშვინ. იგი, შენი ამხანაკი რომ არის, სიმონ, იმან დაგაკავა, თვარა შენ აქანაი აღარ იქნებოდი. ნათესავია შენი იი სიმონ თუ რა არის, რომ ისე წუხს შენს საქმეზე?

- არა, ნათესავი არ არის, ისე ერთად გაზდილი ვართ და ერთი მეორე გვიყვარს.

- აბა ნათესავი თუ არ არის, შენი დაი მანაი შერთე. შეეფერება ერთი მეორეს, ორივე ლამაზია.

ცოტა დაუკლდა, მელანია მ კინალამ არ თქვა, რომ მანას და

სიმონს ერთმანეთი კიდევაც შეყვარებიათ, ისე უყურებენ ერთმანეთსაო.

- ჩემი დაი და სიმონ და-ძმასავით გაზდილი არიან და ნათესავათ მიაჩნიათ ერთს მეორე.

- ნათესავათ? იმის აღარ ვიცი, სთქვა მელანია, რაღაცას ჩაუფიქრდა და შემდეგ ჰკითხა ბესიას: - მანაზე მეტი გყავს ან დაი ან ძმაი?

- არა, არც დაი მყავს, არც ძმაი.

- ბატონი გყავს?

- ბესიას აქ მოაგონდა თავისი ბატონი, რომელიც მუდამ ეხვეწებოდა მთავრობას, ბესია არ მეშინაყმა და მომეხმარეთო, მაგრამ მაინც ვერა რას არიგებდა; ბესია არა თუ შინაყმად არ მიდიოდა მასთან, პირიქით, სიკვდილს

უქადოდა, როგორ ბედავ, რომ მთავრობასთან დადიხარ და ჩემ თავს შინაყმად თხოულობო.

- ბატონი არა და ნაბატონარი კი.

- რავა ნაბატონარი?

- რავა და რაც თავს მოვესწარი, მერე ბატონს ჩვენი ოჯახიდან არც შინაყმა გაუყვანია და არცა რაი.

მელანიას ამ სიტყვებზე მოაგონდა, რომ თავადის №№-ის სასახლეში სხვა ამბავთა შორის, ერთხელ მოიხსენიეს ისიც, რომ ბესიამ თავისი ბატონი შეაშინა და აღარ ეშინაყო.

- მერე რაფერ ქენი აგი? - ჰკითხა მან ბესიას.

- რეზა რაფერ ვქენი? გლახა ხომ არ ვიყავი, რომ სხვას

ემსახურებოდი!

- ვინც სხვას ემსახურება, ყველა გლახაა?

- გლახაა, აბა რაღაა? კაი თუ იყოს, ვერც სხვაი იმსახურებს,  
- სთქვა ბესიამ.

შემდეგ წამოიწია, დაჯდა ლოგინზე და განაგრძო ლაპარაკი მაზე, რომ ყაძახები ლაჩრები და გლახაკებია, თორემ არც შინაყმად იქნებოდენ და ბატონებს იმდენი ყაძახები სულ თავ-პირს დაამტვრევდენო და სხვა. ლაპარაკის დროს ის საშინლად იჭმუხნებოდა, რადგანაც წყლული ხანდახან ეტკინებოდა. უკანასკნელ შემოვიდა თამარა და შემოიტანა რაღაც დანაყილი ბალახი და უთხრა ბესიას:

- გაიხსენი, ბესო, წამალი უნდა გამოგიცვალო.



ამ სიტყვების გაგონებაზე მელანია წამოდგა და გავიდა გარეთ, რადგანაც იცოდა, რომ წამლის გამოცვლის დროს ბესიას უნდა მოეშვიშებოდა თავისი ბარძაყი და მას, როგორც ყმაწვილ ქალს, ზრდილობის მიხედვით არ შეეძლო ემზირა შიშველა ბარძაყისთვის, როცა მელანიამ საკარულზე გადადგა ფეხი, ბესიამ მიაშტერა თავისი თვალები ამ ყმაწვილი ქალის საღად მოყვანილ ტანს და სთქვა თავის ფიქრებში: თუ როდესმე ცოლი შევირთე, მელანია უნდა შევირთო, სხვა არ მინდაო. ამ ფიქრებთან ერთად ამ ყმაწვილ კაცს გაურბინა გულში ერთგვარმა ტკბილმა გრძნობამ, რომლის მსგავსი მას თავის დღეში არა გამოუცდია რა. ეს განხლდათ სიყვარული.

## X

რა რომ აჯანყებული გლეხკაცობა გურიაში პირველ, თითქმის უმიზეზოდ, თავისთავად გაიფანტა, ოზურგეთის მაზრის უფროსმა იხელთა დრო, თავის

ამალა ჩინოვნიკებით და თავად-აზნაურებით დაიარა გურიის სოფლები და გამოუცხადა გლეხკაცებს, რომ ამათ შემდეგში აღარ გაებდათ ბატონისთვის შინაყმოზაზე უარის თქმა და მთავრობის წინააღმდეგობა.

- თუ ვინმეზე ამაებში ეჭვი ავიღეთ, - აბოლოვებდა მაზრის უფროსი სიტყვას, - ძლიერ ცუდათ წაუვა საქმე; ასე რომ მთავრობის წინააღმდეგობაში შემჩნეული პირები თოფით დაიხვრიტებიან და ბატონის სამსახურზე დაურჩებულები გაიროზგებიან; ისე თუ მშვიდათ იქნებით, რასაც გიბრძანებენ, იმაზე უარს არ იტყვიან, მაშინ მთავრობა თქვენი მფარველი და დამცველი იქნებაო. მაზრის უფროსის ამგვარმა ბძანებამ იმ ზომამდე წააქეზა თავადაზნაურები, რომ ვინ მოსთვლის რაგვართ არ ავიწროებდენ თავიანთ შინაყმებს და რაგვარ უსამართლობას არ ხმარობდენ მათზედ! თუ რომელიმე შინაყმა გაბედავდა ბატონის უსამართლოდ მოპყრობას

და წინააღმდეგობას, ესე იგი, თუ რომელსამე შინაყმას თვითონ ბატონი უკიდურესათ შესავიწროვებლად ვერ დაიმორჩილებდა, იმ შემთხვევაში მას, ბატონს, მიჰქონდა ამ ურჩ შინაყმაზე ოზურგეთის მაზრის უფროსთან საჩივარი და ეს უკანასკნელიც (მაზრის უფროსი) იმის შიშით, რომ გურიის გლეხები თავს არ გავიდენ და კიდევ არ აჯანყდენო, ხმარობდა სასტიკ ზომებს ურჩ შინაყმებზე. ასე გასინჯეთ, ბატონის მიერ ნახევარ თაბახ ქალაქზე დაჯღაბნილი საჩივარი სრულიად საკმარისი იყო, რომ მაზრის უფროსს მოეხდინა განკარგულება ბატონის მიერ ურჩად წოდებული შინაყმა წამოეწვინათ, მოეშიშვლებიათ იმისი სხეულის უკანა ნაწილი და როზგით ტყავი აეძროთ. მართალია, ბესია და ზოგიერთი მისი მსგავსნი ყოჩაღი გლეხები არ მიდიოდენ მთავრობის დაბარებაზე და არ აძლევდენ თავიანთ სხეულს როზგით დასაფლეთად, მაგრამ ამ უკანასკნელთა რიცხვი ისე მცირე იყო, რომ ყურადღებათაც არ ღირდა. ასე ამგვარად, თითქო

გასჭრეს მთავრობის სასტიკმა ზომებმა, თითქო გლენკაცობა სრულიად დაემორჩილა თავის ხვედრს.

მაგრამ დადგა მარიამობის თვე და გურიაში, თითქო ჯადოქარმა დაჰბერაო, გაისმა საყვირის და ზარის ხმა, რომლებზედაც გურიის გლენკაცებმა, თითქო გაწვრთნილი სალდათებია გამოცდილი გენერლის ხელში, ისე ჯერ ცალ-ცალკე წავიდენ და შემდეგ კი ყველანი ერთ დიდრიცხვიან კრებად შესდგენ. ამათი ახლანდელი აჯანყება თითქო არა ჰგავდა იმას, რომელიც ამათ ამ ორი თვის წინეთ მოახდინეს, პირველი აჯანყების დროს. ამათი მოქმედების მიზანი გამოურკვეველი და განუსაზღვრელი იყო; ბევრმა არ იცოდა რისთვის იბრძოდა და რაზე მოღვაწეობდა, ისე მხოლოდ ფენის ხმას აჰყვე და ჰყვიროდენ, “ან ჩვენ და ან ისინი”. ეხლა კი, თითქო მცირეოდენ ნაწილს გარდა, ყველამ იცოდა, რომ მათი აჯანყების მიზანი ბატონყმობის დარღვევა და ახალ

გამოცხადებულ გადასახადზე უარისყოფა იყო. მართალია, აჯანყებულებში კიდევ არა იხილება პირებიც, რომლებიც ფიქრობდნენ ოზურგეთიდან რუსებს გავდევნიოთ და შემდეგ რომელსამე ბატონიშვილს გურიის მთავრად დავსვამთო; არიან ისეთნიც, რომლებსაც არ გაეგებოდათ, რისთვის ან რა მიზნის მისაღწევად გამოსულიყვნენ და იბრძოდნენ. ამ უკანასკნელებისთვის რომ გეკითხათ: - რა არის თქვენი სურვილი, რას ამჯობინებთო, ისინი გიპასუხებდნენ: - დედავ! რა ვიცი მე! ამდონი კაცი აქანაია და მეც ვარ მათში, მეტი რაი! მაგრამ, როგორც ვსთქვით, ჯანყის მოთავე საუკეთესო პირები მტკიცედ იდგნენ თავიანთ განზრახვაზე და რას დასდევდნენ, თუ ზოგიერთებს არ გაეგებოდათ იმათი ლტოლვილების აზრი.

თუმცაღა კი “რუსების განდევნა” თავად-აზნაურებმა ასტეხეს თავდაპირველად, მათ ააყაყანეს გლეხები

რუსების წინააღმდეგ, მაგრამ მაშინ, როცა გლეხებმა რუსების ქვეშევრდომობიდან განთავისუფლების მეცადინის, მონობის (ბატონყმობის) დამხობის მეცადინიც ზედ მიატანეს, თავად-აზნაურობამ იკბინა ენაზე და ამ „უცნაური ჭირის“ (ისინი ასე ეძახდნენ ბატონყმობის უარყოფას) თავიდან ასაშორებლად, სხვა გზა სადღა იყო, ისევ რუსების შემწეობა დაინახა საჭიროდ, გადახიზნა ცოლ-შვილი და მიეშურებოდა ოზურგეთს მაზრის უფროსთან. მაგრამ, დახე უბედურებას, არც ეგ ოზურგეთში მიშურება იყო საადვილო საქმე: აჯანყებული გლეხების დარაჯები, სადაც კი წაახლებდნენ, იჭერდნენ ოზურგეთში მიმავალს თავადს, გინდა აზნაურს, ხელახლავ აფიცებდნენ, რომ რუსების მხარე არ დაეჭირათ და ამას შემდეგ ძალად შეჰყავდათ თავიანთ “ოლქაში” (კრებაში). მართალია, როგორც იყო უკანასკნელ, მცირეოდენს გარდა, თავადაზნაურობა შეიკრიბა ქ. ოზურგეთში, მაგრამ გლეხები აქაც არ

ასვენებდენ იმათ: ისინი (გლეხები) შემოადგენ ქ. ოზურგეთს და აღარავის აღარ უშვებდენ არც ქალაქში და არც ქალაქიდან. იმათ რამდენიმეჯერ გზაშივე დაამარცხეს და უკანვე დააბრუნეს რუსის ჯარი, რომელიც ბ. მაზრის უფროსმა გურიის ნაპირების გასამაგრებლად გააგზავნა. მეტადრე შესანიშნავი შეტაკება მოუხდათ გლეხებს და სალდათებს ფერიცვალება დღეს (6 აგვისტოს) ოზურგეთის მახლობლად. აი, როგორ იყო საქმე: მაზრის უფროსმა გაგზავნა ოზურგეთიდან რამოდენიმე სალდათი და აფიცერი, რომლებსაც უნდა გაემაგრებიათ გურიის დასავლეთის ნაწილში ზღვის პირას მდებარე პატარა ქ. შეკვეთილი; ოზურგეთის ახლო ამ სალდათებს შეხვდათ ერთი ნაწილი აჯანყებული გლეხებისა, რომლებთან, რასაკვირველია, მოუვიდათ შეტაკება. ერთ-ორ საათს თოფებს უშენდენ ერთმანეთს; უკანასკნელ დაერიენ ერთმანეთს ხელდახელ; გლეხებმა დასძლიეს სალდათებსა, ამ უკანასკნელებმა მიატოვეს თოფები და

ზარბაზნები და ვინც კი სიკვდილს გადაურჩა, გაიქცენ უკანვე ქ. ოზურგეთს. ამას გარდა, აჯანყებულმა გლეხებმა დაამარცხეს თავადი წერეთლის თაოსნობით რუსების მოსარჩლედ მოსული იმერეთის ხალხი.

აჯანყებული გლეხების ამგვარმა თანისთან გამარჯვებამ ძალიან დააფიქრა ბ. მაზრის უფროსი; მეტადრე შიშის ზარს სცემდა მას ის, რომ ხმა დადიოდა: ქობულეთის ბეგი ჰასან თავდგირაძე თან თავის მამულის ხალხს აშველებს აჯანყებულებს და თან ხონთქარს სწერს, რომ აჯანყებულ გურულებს ჯარი, თოფ-იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა საჭირო მასალები მოაშველოსო. ბ. მაზრის უფროსი მეცადინეობდა, ყოველივე ესენი ეცნობებია ქუთაისში გუბერნატორისთვის, მაგრამ ეგეც არ იყო ადვილი საქმე, რადგანაც გზებიც დაჭერილი იყო. მართალია, მაზრის უფროსს ყავდა მოსყიდული ერთი ვიღაც გლეხი, გვარად ძნელაძე, რომელიც ჯამუშობდა და აჯანყებული



გლებების განზრახვებს ყოველდღე აცნობებდა მაზრის უფროსს, მაგრამ ეს გლენი ჯერჯერობით ვერა ბედავდა, რომ მაზრის უფროსის მიერ მიწერილი წერილი გაეტარებია აჯანყებულების დარაჯში და ქ. ქუთაისს მიეტანა. ყოველის მხრით შეჭირვებულმა და სასოწარკვეთილმა მაზრის უფროსმა შეკრიბა ქ. ოზურგეთში მყოფი თავად-აზნაურები და მიმართა მათ შემდეგი სიტყვებით:

- თქვენმა შინაყმებმა დიდი ზიანი მისცეს მთავრობას. იმათთან, როგორც ხალხთან, არავითარი მოლაპარაკება და დარიგება არ შეიძლება. მე ეჭვი მაქვს თქვენზე: თქვენ ხელს უწყობთ იმათ. მოახერხეთ რამე, დააცხრეთ თქვენი გაზრდილი გლებები და მით დაამტკიცეთ, რომ თქვენ დამნაშავე არა ხართ მთავრობასთან. თორემ იცოდეთ, მე ვუბრძანებ ჩვენს ჯარს და სულ ერთიანით დაგხოცთ.

ამ მუქარისაგან შეშინებულ თავად-აზნაურებში ასტყდა

ჩოჩქოლი; ყველას უნდოდა რამე მოეხერხებია, აჯანყებული გლეხები დაემარცხებია და ამით აშორებოდა სალდათების ტყვიას. ეს წადილი, გლეხები დავამარცხოთო, მართალია, აქამომდეც არსებობდა მათში, მაგრამ ეხლა მაზრის უფროსის ბძანებამ უფრო გაუცხოველა ყველა მათგანს. აზნაური ივანე ...ძე, რომელსაც უკანასკნელ მოეტყუებია გლეხები, მთავრობის მხრისკენ გადმოსულიყო და ერთგულებდა, აწყობდა ბევრგვარ გეგმებს გლეხების დასამარცხებლად. უკანასკნელ ყველასაგან მიღებული იქნა ერთი თავადის რჩევა. ამ თავადმა არჩია, რომ გაგზავნონ კაცი სამეგრელოში დადიანთან და სთხოვონ ერთობ გურიის თავად-აზნაურთაგან სამეგრელოს მთავარს, რომ მან მოაშველოს თავისი ხალხი და იხსნას ქ. ოზურგეთში გლეხების მიერ დამწყვდეული გურიის თავადაზნაურობა. ეს განზრახვა მოიწონა მაზრის უფროსმაც. დაიწერა საჩქაროდ წერილი გურიის

თავადაზნაურობის სახელით თავადი დადიანის სახელზე. წერილში, რასაკვირველია, როგორც ეს ჩვეულებად აქვს ქართველ კაცს და საზოგადოთ აზიის ხალხს, ჯერ დადიანისადმი მოკითხვა, ნახვის ნატვრა და ბოდიში იყო მოყვანილი და შემდეგ საშინლად გაორკეცებულად და გადამეტებულად აღწერილი გურიის თავადაზნაურობის გაჭირვება. “მოაწია ღვთის რისხვამ და ქვეყნის დაქცევამ ჩვენზე, - ეწერა სხვათა შორის წერილში, - და ჩვენმა შინაყმებმა გაბედეს ჩვენ სამსახურზე უარისყოფა, დაგვამწყვტიეს ქალაქ ოზურგეთში და გვიპირობენ დახოცვას. გვიშველე ძმურათ, დაგვდევი საუკუნო ვალი და ამოგვიყვანე ამ გაჭირვებისაგან. ნუ დაიშურებ დასაქცევად ჩვენი მოღალატე შინაყმების ოჯახებს, ცეცხლი მოუდევით სოფლებს და შეანანე ჩვენი ღალატი”. წერილის ბოლოში მოაწერეს ხელი წარჩინებულმა და თავმომწონე თავადაზნაურებმა და აგრეთვე მაზრის უფროსმა. უკანასკნელ,

ერთს აზნაურს და ერთს გლესს, რომლებსაც ეკისრათ სამეგრელოში წერილის წაღება, მაზრის უფროსმა აჩუქა ვერცხლის ფულები, დაჰპირდა კიდევ საჩუქარს და გადასცეს დადიანთან მისატანი პაკეტი, რომელზედაც ესო მაზრის უფროსის ბეჭედი.

## XI

ქ. ოზურგეთი 1840 წელს კიდევ პატარა იყო და თავისი უმნო ხის შენობებით უფრო სოფელს წააგავდა, მინამ ქალაქსა. ამ დროს იმის გარშემო არემარეც არ იყო მაინცდამაინც მოსახლობიანი და გარდა იმის სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მხარისა, რომლებიც ძლივსძლივობით ჩაითვლებოდენ სოფლებად, სულ ტევრით-გაუვალი ტყით იყო დაბურული. გზები კი, როგორც ეხლა, მაშინაც ჯვარედათ გადაჭრიდენ ამ ქალაქს, ესე იგი, ერთი გაივლიდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და მეორე - ჩრდილოეთიდან

სამზრეთისკენ. ყველა ეს გზები, ტყეები და სოფლები ისე შეკრეს აჯანყებული გლეხების დარაჯებმა, რომ დიდი ხერხი და მეცადინეობა უნდოდა კაცს, რომ იმათ შეუტყობლად და უნებურად ან ქალაქში შესულიყო და ან ქალაქიდან სხვაგან წასულიყო. ბაგრატამ და ივანიკამ (ეს სახელები ერქვათ იმ აზნაურს და გლეხს, რომლებსაც გურიის თავად-აზნაურებმა და მაზრის უფროსმა წერილი წაატანა სამეგრელოში თავად დადიანთან), რომლებმაც კარგად იცოდნენ ეს გარემოება, დააპირეს დაღამებამდის ქალაქში მოცდა და ღამით ტყეში გავლა და გაპარვა, მაგრამ შემდეგ გაიფიქრეს და შუადღისას დაადგენ იმ გზას, რომელიც ქალაქიდან მიდიოდა ჩრდილოეთისკენ, ესე იგი, სამეგრელოსკენ. როცა ისინი ცოტათი მოშორდნენ ქალაქს, შემოესმათ: “არ გაექანო, გაჩერდი!” ამ ხმაზე აზნაური ბაგრატა ისეთად შეშინდა, რომ ფერი ერთობ წაუვიდა და ხელებში ცანცანი დააწყებია, მაგრამ სამაგიეროთ მის გაიძვერა ამხანაგს, გლეხს ივანიკას,

სრულიადაც არ ეტყობოდა შიში; მან, თითქო აქ არაფერიაო, ისე დამშვიდებით გასცა დაძახილზე შემდეგი პასუხი:

- არ გადირიოთ, თქვენი ვართ!

- ჩვენი ხარ თუ სხვისი, დადევნი იარაღი და გაჩერდი! - მოსცა კიდევ ტყიდან ხმამ და ამ დროს ოციოდე თოფიარაღიანი კაცი შემოაცვინდა ბაგრატას და ივანიკას აქეთ-იქით. ესენი იყვენ აჯანყებულების გუშაგები.

- დადევით იარაღი, ჩქარა! - უყვიროდენ ისინი ბაგრატას და ივანიკას.

- მტერი გეგონეთ, რუსის სალათები? - სიცილით, აუჩქარებლით უთხრა ივანიკამ გუშაგებს.

- ვითამ და თქვენ რა მოყვარე ხართ! არ ვიცით, გგონიათ,

რომ ნაჩალიკი ბრუსულოვის გამოგზავნილი ხართ? -  
დაუყვირა ერთმა გუშაგმა.

- მოლალატე, მოლალატე! ბრუსულოვის შემოჩენილი! -  
დაეხმარა მეორე.

- არ გაუშვათ, ჩალესეთ! - დაიძახა მესამემ.

ივანიკას ადგილას რომ მშვიშარა, გამოუცდელი კაცი  
ყოფილიყო, შეშინდებოდა და ეს შეშინება უბედურებაში  
ჩააგდებდა. მაგრამ მოხერხებულმა გაიძვერა ივანიკამ  
მაშინვე მოიფიქრა ის სიტყვები, რომლებიც ამ  
გასაჭირიდან გამოიხსნიდა მას და მის ამახანაგს; ის,  
თითქო უწყრებაო, ისე მიუბრუნდა გუშაგებს:

- აბა ჩვენგან თუ ხეირი იქნება, ამით მიხთი! ბიჭო, თქვენ  
უბედურო, ბრუსულოვთან არ ვიყავითო, ვინ გითხრა!  
მარა რომ ვიყავით, რეიზა ვიყავით, არ იკითხავ? ამბაკო

შალიკაიშვილმა, ბესიამ, პეტრიამ და ათარმიზამ  
გაგვგზავნეს, მიდით ნაჩალნიკთან, ვითამ და მისი ფხარი  
ხართ, ჩუმათ-ჩუმათაი ამბავი შეგვიტყვე, რას აპირობს  
ნაჩალიკი ბრუსულოვი, მერე გამეიპარეთ და ჩვენთან  
მოდითო. გადავდევით თავი და წავედით. ღმერთმა  
თქვენს მტერს აჭამოს იმისთანაი შიში, რაც ჩვენ იქინეი  
მისვლაზე ვჭამეთ! დაგვიჭირეს რუსებმა და შტიკზე  
აცმას გვიპირობდენ, ვებვეწეთ, ვებვეწეთ ჩვენ მტერი არა,  
ნაჩალიკი ნადა, შენი ჩირიმე, გაგვიშვიო. აგვწიეს, შენ ხარ  
ჩემი ბატონი, და წაგვიყვანეს ნაჩალიკთან. გამობძანდა  
ბრუსულოვი და დააბაკუნა ფეხები: ყაძახი მამაძალლი  
ახლავე დახვრიტეთო. შენ მტერს და დამაწყევარს  
იმისთანაი, ჩვენ გაგვაცივა და გაგვაცხელა. აგია  
გაგვათავესო, ვიფიქრეთ. მარა გვიშველა ღმერთმა!  
დევინახეთ ბატონიშვილი. იმან ჩუურუსულა  
ბრუსულოვს. თურმე უთხრა, ჩემი ბიჭებია, ნუ ერჩიო.  
ხარაშოვო, თქვა ბრუსულოვმა და გააშობია ჩვენი თავი.



რავაც კი გაგვიშვეს, ბატონიშვილმა წაგვიყვანა ცალკე და გვითხრა: ბიჭებო, მე აქანაი ქვეყნის შესახედავათ ვარ, თვარა ისე თქვენი ვარო. მერე ყველაყაი დაგვიწიგნა, რავაც ყოფილა ნაჩალიკი ბრუსულოვის საქმე: თურმე პაწას რომ კიდევ გავმაგრდებოდეთ და არ წავხდებოდეთ, იი მამაძალი ბრუსულოვი კუდამოდუებული გეიპარვის. დღეს რომ ავდექით, ბატონიშვილმა გვითხრა, გეიპარეთ და უთხარით ბიჭებს გამაგრდენ და ახირებულად ხელი არ შეუშვან საქმესო. წამოვედით, შიშით გვაცხელებდა, რუსებმა არ დაგვიჭიროსო. რავაც იქნა გადავრჩით, და ახლა თქვენ გვიჩივით, მოლალატე ხართო! ამის მეტს თუ ვერ მიხთებით და ვითამ სიკეთეს რავა ვიზამთ. რას ქვია მოლალატე! მოლალატე არა, თქვენ აქანაი მოსვენებით რომ გრილში იჯედით, მე და ბაგრატ, მაშვინ სიკვტილს თვალდათვალ ვუმზერდით! იმას რას ჩივი, ახლა ბრუსულოვი ცას და ქვეყანას დაარბენიებს ჩვენი გულიზა, ეგება ნახოთ და მოკლათო!

- ჰა, ჰაი, იი ღდინძაღლი ბრუსულოვი! მეიცადოს ჰაწაი, გადვიართ მის ახლოს! - თქვა ერთმა დარაჯმა.

- აგია ჰო, ახლა ხომ მიხთი, რომ გეგონა ივანიკამ გვიღალატაო, - განაგრძო ივანიკამ, - მე ღალატი რავა შემიძლია, ხატზე ფიცით გაბერილი ვარ! კიდევ რეთი ამბავი მაქ, მარა სად მცალია, ამელამ ნაგომარზე უნდა მივიდე ამბაკო შალიკაიშვილთან, ხვალ ჩოჩხათს პეტრიასთან, იქიდან ლეხაურს თოიძესთან, რეთი გზაი მიბზერს.

- ასე თუა, რაღას აყონებთ ამ კაცებს? - დაიძახა ერთმა დარაჯმა.

- გუუშვით, გზას ნუ მოაცთენთ! - დაიძახა მეორემ.

- წადით, წადით! ნულარ ყონობთ, ჩქარა უთხარით ამბაკოს აგი ამბები, - შესძახეს არეულ-დარეულათ

დანარჩენმა დარაჯებმაც.

- აბა, გამარჯობით, ბიჭებო! თქვენ იცით, რავაც ჭკუით იქნებით, ახირებულათ კაცს არ ენდოთ, არ მოგატყუონ, - დააბარა მოხერხებულმა და ცბიერმა ივანიკამ და გაუდგა თავის ამხანაგით გზას. როცა კარგა მანძილზე მოშორდა დარაჯებს, მიუბრუნდა თავის ამხანაგს და უთხრა:

- ძალიან არ გადავრჩით?

- უჰ, რა შემეშინდა! - უპასუხა ამხანაგმა. - შენ რომ არ ყოფილიყავი, ვერც იმისთანებს მე ვიხერხებდი და სულსაც გამაგდებებდენ. დედავ, დედავ, დედავ! რა ხერხი გცოდნია!

- რა ბრძანებაა! აბა ამისთანა ბეჩავ ყაზახს ევანიკა ბიჭი თავს მოატყუებებს! ოქროებს ვაჩუქებდი, ეგონა, - სთქვა ივანიკამ და გადაიხარხარა.

## XII

მარიამობისთვის წვიმიანი დილა იყო. სამეგრელოში ხალხს ერთი ფაციფუცი და მზადება ჰქონდა; ყველა სოფლებში გაისმოდა ხმა: მივშვათ! მივშვათ! გურიაში ბუნტი რეო. დათოფიარალებული კაცები იყრიდენ თავს თავადი გიორგი დადიანის სასახლეში. იმათ ლაპარაკიდან მიხვდებოდით, რომ ისინი მიდიოდენ გურიაში თავის მთავრის დადიანის ბრძანებით აჯანყებული გურული გლეხკაცობის მიერ შეჭირვებული გურიის თავად-აზნაურების საშველად. ზოგიერთი ცეტი ყმაწვილი კაცები აღტაცებაში იყვნენ იმის ფიქრით, რომ წავალთ გურიაში, ამოვბუგავთ იქაურობას და ნადავლ-ნაშოვნით დამდიდრებულნი დავბრუნდებით სამშობლოშიო. მიუძღოდა თუ არა გურიის გლეხკაცობას საამისო დანაშაული მათდამი, ამას სრულიადაც არ დაგიდევენ გამოუცდელი, ომში დასწრების მწყურვალე ყმაწვილები,

იმათთვის საკმარისი იყო ისიც, რომ უბრძანა მათმა ბატონმა დადიანმა: წავიდეთ და ავიკლოთო. მართალია, იმათში არაა რამდენიმე ისეთი კაციც, რომლებიც თავის გულთან ლაპარაკობდენ: “რას ვერჩით გურულ გლეხებს? რა დაუშავებიათ ჩვენთვის, რომ მათი სისხლი გვწყუროდეს? ამისთანა ცოცხალი უსამართლობა და უღვთობა სხვა რაღა იქნება, რომ გაჭირვებული გლეხები თავის სამშობლოში თავისავე ბატონებს უკმაყოფილებას უცხადებენ და ჩვენ აქედან წავიდეთ და მათი ოჯახი ავიკლოთ! არა, მე რომ დამიჯერებდენ, ძალიან უარს ვეტყობდი ბატონ დადიანს გურიაში საომრათ წასვლაზედ, მით უმეტეს, რომ შესაძლებელია, გურულები, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ისე ადვილი ასაკლები არ იყვენ და ბევრს ჩვენგანს სიცოცხლაც დაგვატოვებინონ”. მაგრამ ამ ფიქრის პატრონები ჯერე რომ ვერ ახერხებდენ ეს თავიანთი ფიქრი სხვებისთვის გაეზიარებიათ და მერე ისე ცოტანი იყვენ, რომ იმათი აზრი და პროტესტი ისე ჩაინთქებოდა

მათი მრავალრიცხოვანი ამხანაგების წადილში, როგორც პატარა კენჭი ზღვის სიღრმეში. რას გააწყობდენ ათი, გინდა ასი კაცის აზრი და უარი იმ რამდენსამე ათას კაცთან, რომლებიც მოუთმენლად ჰყვიროდენ: “მივშვათ, მივშვათ! მაღასო”. წარმოიდგინეთ, ამ უკანასკნელებში იყვენ ბევრი ისეთებიც, რომლებმაც სრულიადაც არ იცოდენ, თუ რა საქმისთვის გაჰყავდა ისინი მათს ბატონს, დადიანს! ისინი მიჰყვებოდენ სხვებს ისე, როგორც ინდოურები ან ცხვრები გაჰყვებიან ერთს მათგან - წინას, თუნდაც ეს წინა პირდაპირ ტურასთან, გინდა მგელთან, მიდიოდეს.

როცა ხალხი საკმაოდ დაუგროვდა, თავადმა გიორგი დადიანმა იკითხა რამდენი კაციაო და, რა გაიგო თორმეტი ათასიაო, გამოუცხადა მათ, რომ გურიაში არეულობა მომხდარა, ჩვენ მივდივართ იქ ჩვენი მთავრის ბრძანებით, რომ გამოვესარჩლოთ მთავრობას და

თავადაზნაურობას და დავამორჩილებიოთ აჯანყებული გურიის გლებკაცობა; ვინც თქვენში ვაჟკაცობას გამოიჩენს, მთავარი სულ ყველას დაგაჯილდოვებს, იმათ კი, რომლებიც ერთგულად არ იომებენ, დასჯისო. ამ გამოცხადების შემდეგ თავადი დადიანი შებრძანდა ცხენზე და გამოუძღვა თავის ხალხს გურიისკენ. მას მხარდამხარ მოჰყვებოდა რამდენიმე სამეგრელოს წარჩინებული თავად-აზნაური, რომლებშიაც ოფიცერი ოტია ჯაიანი ისე მხიარულად და კობტად იჯდა ცხენზე, თითქო სადმე დღეობა უნდა იყვეს და ეს კაცი ქეიფ-მეჯლისში მიჰპატიჟებული მიდიოდესო.

- ოტია, რა იცი, რომ მაინცადამაინც ჩვენ გავიმარჯვებთ, რომ ეგრე მიგიხარია? ხომ იცით, ფნიკიანი გურულების ამბავი, ადვილათ მტერს არ დაუმორჩილდებიან, - უთხრა ჯაიანს ერთმა თავადმა, როცა დაინახა რომ ჯაიანი ბავშვივით მხიარული იყო და გზადაგზა ცხენს

ათამაშებდა.

- ის მე მკითხე! პრაწია გურულებს ისეთ საქმეს დავაყენებ, რომ ცხრა წელს მათ ქვეყანაში არც მამალმა დაიყვილოს და არც ძაღლმა დაიყეფოს, - უთხრა მხიარულმა ჯაიანმა ცეტიის კილოთი და განაგრძო გზა ცხენის თამაშით.

### XIII

გურიის დასავლეთს, იქ, სადაც მდინარე სუფსა ერთვის შავს ზღვას, ძევს ერთი მოზრდილი ვაკე ადგილი, რომელსაც ეწოდება გრიგოლეთი. ამ ადგილის ახლო მცხოვრებს გურულებს რომ ჰკითხოთ ამ სახელწოდების შესახებ, შეუყოყმანებლად გიპასუხებენ: “დედაავ! აქანაი წმინდა გრიგოლმა სადილი მიირთვა თურმე და იმიზე ქვია გრიგოლეთიო”. ჩვენ საჭიროდ არა ვპოვებთ, რომ გამოვუდგეთ ახსნას, მართალია ეგ გადმოცემა თუ არა.



ვიტყვით მხოლოდ მას, რომ ეს ადგილი - გრიგოლეთი დღეს ძლიერ ნოყიერი სახნავ-სათესი მიწებიდან შესდგება და კარგი სიმინდის მოსავალი იცის. ტყეები ამ ადგილზე მხოლოდ ცოტაოდენი აქა-იქ დარჩენილა, ისე როგორც გაბელატების შემდეგ ადამიანის თავზე დარჩება თმა აგერ-აგერ, თითო ღეროებით. მაგრამ ამ ოცდაათის თუ ორმოცი წლის წინეთ კი გრიგოლეთი ისეთი ტევრით - გაუვალი, ბნელი ტყით - იყო დაბურვილი, რომ გზის გადაღმა-გადმოღმა, გარდა ქებული მონადირისა, ცხვირის შეყოფასაც ვერავინ გაბედავდა; იქ, სადაც ეხლა ხსენებულ ადგილში გურული მუშა სთესს სიმინდსა და ღომს და სძოვს შინაური საქონელი, წინეთ საყვირისამებრ გაისმოდა ამჰარტავანი ირმის ღმუილი, ილესავდა კბილებს შეუპოვარი ველური ტახი, თავისუფლად და უშიშრად დახტოდენ შვლები და სხვა ნადირები. ამ ნადირით სავსე ტყეში უხსოვარის დროდან არსებობდა გზა, რომლის ერთი თავი მიდიოდა სამხრეთ-

აღმოსავლეთისკენ და განუწყვეტლად ბოლოდან თავამდე გაივლიდა, როგორც დღესაც, გურიის მაზრას, მეორე თავი კი გაივლიდა ქ. ფოთს და უერთდებოდა სამეგრელოს გზებს სუფსის მარჯვენა ნაპირზე შავი ზღვის სიახლოვეს. ამ გზას გადასჭრიდა ერთი პატარა მდინარე, რომელსაც გურულები უწოდებენ შავ წყალს. ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე, გზის პირას ამ უკანასკნელ დრომდე კიდევ იდგა ერთი ოთხკუთხედი შენობა, რომელსაც გურიის ხალხი ჯიხურს ეძახდა. ეს შენობა იყო გაკეთებული მუხის ფიცრებისაგან, რომლებსაც მეოთხედ ალაბზე მეტი სისქე ჰქონდათ. გარდა ერთი ვიწრო კარისა, ამ ჯიხურს არც ფანჯარა გააჩნდა და არცა რა, მხოლოდ ეს კია, რომ იმისი კედლები აქა-იქ აღმაცრივ იყო დაბურღული თოფის პირის ოდენათ. ნამდვილათ არავის ახსოვდა ვის, როდის და რა მიზნით დაეარსებიათ ეს ჯიხური, მაგრამ ის თქმულება კი იყო გურიაში, რომ ხსენებული ჯიხური დააარსა გურიის მთავარმა

გურიელმა იმ მიზნით, რომ აქ დაუყენებია დარაჯები, რომელთაც უნდა ელოთ ბაჟი ჭანების (ლაზების) და სხვა გარეშე პირებისაგან, რომლებიც შემოდის გურიაში სავაჭროდ. ეს თქმულება სიმართლე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ხსენებულ ჯიხურს თავისი უკანასკნელი არსებობის ჟამსაც ესევე დანიშნულება ჰქონდა, ესე იგი ჯიხურში მუდამ იდგენ ცხრა თუ ათ კაცამდე ბატონიშვილების შინაყმები - მეჯიხურეთ, რომლებსაც გაყავდათ ნავით შავს წყალზე მგზავრები და ახდევიანებდენ ბაჟს. მეჯიხურენი აგრეთვე ახდევიანებდენ ბაჟს სიმინდზე, ხის მასალაზე და სხვებზე, რომლებიც იმ დროს გაჰქონდათ გურიიდან მდინარე სუფსით.

სადილობის დრო იყო. როსტომა მეჯიხურე, რომელიც ერთი უსაიმედოესი პირთაგანი იყო აჯანყებულთა შორის, ქ. ოზურგეთიდან ახალ დაბრუნებული იჯდა ჯიხურში,

თან თავის ამხანაგებს უამბობდა, თუ როგორ დახოცეს აჯანყებულებმა რუსის სალათები და თან საჭმელსა ჭამდა. რადგანაც ძლიერ მომშეული იყო, როსტომას ლაზათიანად გადაჰქონდა მუცელში შემწვარი თევზი და ყვითელი მჭადი, რომლებსაც ხშირ-ხშირად დაატანდა თითო კათხა თეთრ ჩხავრის ღვინოს.

- აბა, თუ ასე კარგა წევოდა ჩვენი საქმე, ნაჩალიკი ბრუსულოვი ადრე აიკრებს ბარგს და გეიპარვის მისი ყველაყაისკენ, - სთქვა ერთმა როსტომას ამხანაგმა.

- სხვა მტერს გადაუწყდეს, იმას ადრე გადვუწყვიტოთ, - უპასუხა როსტომამ, რომელმაც ამ დროს გადაუშვა მუცელში კათხით ღვინო და განაგრძო: - ისე გაძაღლებული არიან, მაინც იი ხუთი კაცი რომ არის, ამბაკო შალიკაიშვილი, სიმონ, ბესიეი, პეტრე მჭედელი და თოიძე, ცეცხლს ანთებენ თვალებით!

- ჰასან-ბეგი ვერ მოვიდა ჯერე? - ჰკითხა ერთმა ამხანაგმა.
- ჰასან-ბეგი ადრე მოვა. მაშვინ, იგი რომ მოვა, მეც უნდა წევიდე ოზურგეთს, ისე მაქ სიტყვა ამბაკოსთან, - უპასუხა როსტომამ, აიღო ხელში ღვინით სავსე კათხა და, ის იყო, უნდა მოედო პირზე, მაგრამ თითქო ხელები დასწვაო, საჩქაროდ გააგდო ხელიდან.
- აგი რა ამბავია, - წამოიძახა და მიაშტერა რაღაცას თავისი გამჭრიახი ცეცხლივით ანთებული თვალები.
- რა მოხთა, როსტომავ? - გაკვირვებით შესძახეს მას ამხანაგებმა, რომელთაც ეგონათ, რომ როსტომა გაგიჟდაო.
- ეი მაგას, ბიჭებო, თოფებს ხელი! ჯარი დაგვეცა თავზე! - წამოიძახა როსტომამ, წამოვარდა ზეზე და წამოავლო თავის თოფს ხელი.

როსტომას ამხანაგებმა გაიხედეს და დაინახეს, რომ მართლაც მოდის აუარებელი თოფიარადიანი ხალხი. ეს იყო მეგრელები, რომლებიც დადიანის თაოსნობით გამოემგზავრენ გურიაში იმ ორი დღის წინეთ.

- დედავ, დედავ! აგი რა ამბავია, ქვეყანა ერთად მოვა! - დაიძახა ერთმა როსტომას ამხანაგმა.

- გევიქცეთ! ცხრავი კაცი ამას რას ვაწყენთ, სერესკერია! - დაიძახა მეორემ.

- რას ქვია გევიქცეთო! ლეჩაქიანი ქალი ხომ არ ვართ, რომ გევიქცეთ და მტერს კარი გაუღოთ! მეორეთ არ გაბედო! - თავისებურის ვაჟკაცური ხმით შესძახა როსტომამ ამხანაგებს. შემდეგ მიახტა, მიხურა ჯიხურის კარი; მიაღო თოფის პირი განზრახ სათოფისპირეთ დაბურღილ კედელს და გაჰყურებდა გარეთ. როსტომას მაგალითს მის ამხანაგებმაც მიბაძეს და თოფებით ხელში ჩაისაფრენ

ჯიხურის კედლებთან. არ გასულა ამის შემდეგ სამი წამი, რომ მდ. შავი წყლის მარჯვენა ნაპირას მოადგენ ჩერქეზულ ჩოხებში ჩაცმული, შეიარაღებული მეგრელები. “გურულო, ნავი მაღას, მაღას!” - დაიძახა ერთმა მეგრელმა და მიაგდო ცხენი მდინარის პირზე. “აბა, ბიჭებო, მარჯვეთ!” - სთქვა როსტომამ და გაისროლა თავისი თოფი, რომლის ტყვიამ დასცა მიწაზე ერთი მოწინავე მეგრელი. როსტომას მაგალითს მიჰყვენ მისი ამხანაგებიც და გაისტუმრეს საიჭიოს რვაოდე მეგრელი. მაგრამ, ეს თითქო არც კი დაჰკლებიაო. შავი წყლის მარჯვენა ნაპირი გაივსო ხალხით და ჯიხურს მოხვთა რამდენიმე ასი ტყვია იმათგან გამონასროლი, მაგრამ მეთაედზედაც ვერ გასჭრა იმისი სქელი კედელი. როსტომამ და მისმა ამხანაგებმა ხელახლა გასტენეს თოფები.

- ბიჭებო, მარტო ხუთმა ვესროლოთ, მერე ჩვენ რომ

თოფების ტენას დავიწყებთ, დანარჩენმა ესროლოს. ამ ჭკუით გატენილი თოფები აღარ გამოგვიწყება. ფიშტოები ჯერ არ ისროლოთ, ვინ იცის, ეგება სხვაზე დაგვჭირდეს, - ურჩია როსტომამ თავის ამხანაგებს.

ამხანაგები დაემორჩილენ ამ რჩევას და ეხლა ისე ხუთ-ხუთობით ესროდენ თოფებსა, რომლების ტყვია ყოველ გასროლაზე ჰკლავდა ხუთ-ხუთს და ხან მეტსაც მეგრელს. მეგრელებისაგან გამონასროლი ტყვიები კი იკარგებოდენ ჯიხურის მაგარ კედლებში. რა რომ ეგეთი გასროლ-გამოსროლა განმეორდა რამდენიმეჯერ და ჯიხური მაინც, თითქო უძლეველი ციხეაო, უვნებლად იდგა, მეგრელები გაეჭანენ უკან, რაღაც მოილაპარაკეს და ისევ მობრუნდენ მდინარის ნაპირზე.

- აბა, ბიჭებო, ახლა უნდა სიმარჯვე! ხედავთ, მცურავი კაცები ჩამოუშვეს წყალში და ნავის წართმევას გვიპირებენ, - დაიყვირა როსტომამ და დაუმიზნა თოფი.



როსტომას ამხანაგებმა დაინახეს, რომ რამდენიმე მეგრელი გადმოემო წყალში, დაიყვინთა და წყლიდან ამოყრილ ტკვაბშებზე ეტყობოდა, რომ მოდიოდნენ ნავისაკენ, როსტომა და მისი ამხანაგები ეხლა სრულიად არ აქცევდნენ ყურადღებას მეგრელების მიერ გამოწასროლ თოფებს, ისე სულგატყვირულნი მოელოდნენ აი, აი ამოყოფენ მეგრელები წყლიდან თავებსო. არ დააგვიანა ამ შემთხვევამ. ორმა მეგრელმა ამოყო ნავთან თავი და, ის იყო აპირებდა ნავის ბაწარზე ხელის მოჭერას, რომ ამ დროს ჯიხურიდან გამოვარდა ორი თოფი და დაუშალა ეს განზრახვა. სულისაგან დაცლილი მეგრელების გვამები, თითქო თევზიაო, ერთი შეტრიალდნენ და დაიძირნენ სიღრმეში. იგივე ბედი ერგოთ იმათ ამხანაგებსაც, გარდა ორისა, რომლებსაც აღარ მოუწევიათ ნავთან, ისე გაბრუნდნენ უკან.

მოახლოვდა საღამო, მაგრამ სროლა კი არ ჩაწყნარდა.

მეგრელები თანდათან კარგავდნენ ხან ხუთს და ხან ექვს კაცს, მაგრამ რამდენსამე ათას კაცს ეს თითქო არც კი აკლდებოდა, მოკლულების ალაცს იმ წამსვე იჭერდნენ ცოცხლები, რომლებსაც დადიანი, ჯაიანი და ხუთიოდესხვა თავადი მათრახით ერეკებოდნენ გურულებისკენ იმ მიზნით, რომ უკანასკნელ იქნება მაინც ჩავიგდოთ ხელში ჯიხურიო. მაგრამ ამო იყო ყოველივე მეცადინი: ჯიხური ისევ ისე თავმომწონედ და შეურყევლად იდგა. ამასობაში მზე, თითქო ემდურის ერთმანეთის სისხლის მწყურვალ და დაუნდობელ ადამიანთო, თითქმის ჩაიმალა დასავლეთში ისეთგვარად, თითქო ზღვაში ჩაიყვინთაო და იმისი უკანასკნელი სხივები, რომლებთაგან ზღვა ისე ბრჭყვიალებდა, თითქო უზარმაზარი ოქროს ტანტიაო, მოხვდნენ ჯიხურს და შეიტანეს დახვრეტილ ადგილებში შტოები, რომლის გამო მეჯიხურეებს აღარ შეეძლოთ დაენახათ თავისი მტერი - მეგრელები და ამიტომ დიდ შიშს ეძლეოდნენ, ვაითუ მეგრელებმა ისევ ჩამოუშვან

წყალში მცურავი კაცები, წაგვართვან ნავი და გამოვიდენ ჩვენ მხარესო. ამ შიშის გამო იმათ სროლას თავი გაანებეს და გაყურებდენ ჭუჭრუტანებიდან მათ მტრებს, რომლებსაც ამ დროს, თითქო თავიანთ მოპირდაპირეებს ბაძვენო, ცოტა დროებით შეეწყვიტათ სროლა და გაქანებულიყვნენ უკან: კარგა ხნის მზერის შემდეგ, ერთმა მეჯიხურემ, რომელსაც მზე მაინცდამაინც არ უცქერდა თვალებში, დაიძახა: “დედავ, აგი რა მოაქვან!” ამ ყვირილზე როსტომამ და დანარჩენმა მეჯიხურეებმა დაატანეს თვალს ძალა და, თუმცაღა მზის სხივი პირდაპირ სცემდა თვალებში, მაინც დაინახეს, რომ მეგრელები გაყოფილან ორად, გარაზმულან გზის იქით-აქეთ და შუაში დიდის სიფრთხილით შემოაქვთ რაღაც გრძელი შავი რკინა.

- უი, ბიჭო, ზარბაზანი მოაქვან! არიქა ვუშველოთ თავს, თავარა მტვრათ აქცევენ ჩვენს ჯიხურს! - დაიძახა

როსტომამ, მიაყუდა ჯიხურის უკან კედელზე რაღაც პატარა ბოძი, რომელიც იქვე ხელათ იპოვნა, თვალის დახამხამებამდე ავიდა სახურავთან, გაარღვია ის და დაუძახა ამხანაგებს:

- არიქა, ამეიტანეთ თოფები და გევიდეთ აქანაი!

მეჯიხურენი სისწრაფით ერთი მეორის შემდეგ გავიდენ როსტომას მიერ გარღვეულ სახურავში და ორი წამის განმავლობაში ჯიხური სრულიად დაცარიელდა. იმ დროს, როცა ზარბაზნის ტყვიამ შუილ-ზუზუნით აცნობა შავი წყლის მარჯვენა ნაპირს თავისი ძალა და არსებობა და შეგლიჯა ჯიხურის კარი, მეჯიხურენი იმყოფებოდენ უფიქრალ ადგილს, ჯიხურზე მოშორებით გზის პირს მდებარე ტყის დიდრონი ხეების ძირში ჩასაფრებულნი.

დადიანი რა დარწმუნდა, რომ გურულები წასულან და ჯიხური ცარიელიაო, ხელახლა ჩაუშვა წყალში მცურავი

კაცები, გააყვანია ნავი და ერთი-ორი საათის განმავლობაში გამოვიდა თავისი ხალხით შავი წყლის მარცხენა ნაპირს. მარჯვენა კი დაუთმეს ლემით იმ ადამიანებისას, რომლებსაც იმ ერთი-ორი საათის წინეთ, ვინ იცის, რაგვარად არ უცემდათ და რაებს არ უპირდებოდათ სიცოცხლით სავსე გული, და ორგვარად დამახინჯებულ დაჭრილებს, რომელთ მიერ წყევა-კრულვა, ლანძღვა კვნესასთან ერთად გაისმოდა დაწყნარებულ საღამოს არემარეში. რადგანაც, ის იყო, ღამემ დაუშვა დედამიწაზე სიბნელის ზღვა და გზები აღარ დაინახებოდა, დადიანმა ბრძანა:

- ამელამ აჟ უნდა დავრჩეთ და ხვალ დილაადრიან გავსწიოთ ოზურგეთშიო. მართალია, გურულებმა ცოტაოდენი ზიანი მოგვაყენეს, რადგანაც ცუდ ადგილზე დაგვიხთენ, - დაატანა დადიანმა თავის ბრძანებას, - მაგრამ სამაგიეროდ გასეირებთ ხვალ იმათზე! სულ

ერთიანათ გადავწვავ იმათ სოფლებს!

- ბებრები დავხოცოთ და ყმაწვილი კაცები და გურული ლამაზი ქალები ტყვეთ წამოვიყვანოთ! - მიატანა დადიანის სიტყვებს ჯაიანმა.

ბატონის თავი გვიცოცხლოს ღმერთმა! - დაიგრიალა ხალხმა.

#### XIV

გათენდა მეოთხე დღე მას შემდეგ, რაც დადიანმა სამეგრელოს ხალხი გურიის თავადაზნაურობის მოსარჩლედ გურიაში მოიყვანა. მზე თითქო იგლოვს ადამიანის უგუნურ მოქმედებას და ურთიერთ შორის მტრობა-მოსისხლობასო, საშინლად მოწყენილი და ღრუბლებში გახვეული ამოვიდა. შავი ზღვა, რომელიც კუპრივით უქაფებია იმ დილაზე ამოვარდნილ ქვენა ქარს,

გულის შემზარავად ღმუოდა. შავის წყლის მარჯვენა ნაპირზედ დაჭირიანებული საქონელივით მოქანცულნი ეყარენ აქა-იქ მეგრელები, რომლებსაც ბუნებრივი სიკონტავე, სიმზიარულე და სიცეტე ამ დროს სრულიად დაკარგოდათ. თუ ვინმე ამათგანში გაივლ-გამოივლიდა ან ლაპარაკს დაიწყებდა, ისიც საშინლად დანადვლიანებულად და ისე ზანტად, თითქო წელი აქვს მოწყვეტილიო. ამ არაჩვეულებრივად დანადვლიანებულ ხალხის შორიანლოს ეყარენ გასისხლიანებულნი, დამახინჯებულნი, თავისივე ტანსაცმელში გახვეულნი გვამნი თოფით დახოცილი ადამიანებისა, რომლებსაც ეხვეოდა უთვალავი კოლო-ბუზები და ზოგს ჭიებიც; ზევიდან კი დასტრიალებდენ ორბები, ყორნები, ძერები და სხვა ლემისმოყვარე ფრინველები, რომლებიც მოუთმენლობის გამო საშინლად დასწიოდენ და დასჩხაოდენ. ხანდახან ამ მიცვალებულების გვამთაგან ისეთი ცუდი სუნი გამოვარდებოდა, რომ დიდი

გულმაგრობა უნდოდა ადამიანს ზიზღისგან რწყევა არ დაეწყო. ხალხთა და მიცვალებულთა გვამთაგან კარგა მოშორებით იდგა ნაბდებისაგან გაკეთებული კარავი, რომელშიაც ბრძანდებოდა თავადი გიორგი დადიანი, თავის ამაღა თავად-აზნაურებით. როგორც თავადი დადიანის, ისე მის ამაღა თავად-აზნაურების სახეზედ საშინელი ნაწყენობა და მოღუშულობა ემჩნეოდათ. მაგრამ ამათი სახის მოღუშულობა სრულიადაც არა გვანდა ხალხისას: ხალხის სახის მოღუშულობაში ნაღველი და ტირილი იხატებოდა, ამათისაში - გაჯავრება-გაბრაზება, ანუ გულმოსულობა. ის ცეტი ყმაწვილი თავადები, რომლებიც გურიაში მოღწევამდე სიხარულისაგან თითქო ფრთებს ისხამდენ, ომს დავესწრებითო, ეხლა კრინტს არ სძრავდენ, ბევრი იმათგანი გამოეკლო და გაემგზავრებია საიქაოს შეუბრალებელ ტყვიას.



სულ სხვაგვარ სურათს წარმოადგენდა შავის წყლის მარცხენა ნაპირი: აქ შეკრებილიყო რამდენიმე ასი თოფიარადიანი გურული, ჩვეულებრივის მხიარული, ცქვიტი სიტყვა-პასუხით ეოხუნჯებოდენ ერთმანეთს და დასცინოდენ მეგრელებს, რომლებიც ამ ორი დღის წინეთ დაამარცხეს. აი თუ როგორ მოხთა მეგრელების დამარცხება: როსტომა მეჯიხურემ და მისმა ამხანაგებმა რა დაინახეს, რომ მეგრელებმა ზარბაზანი მოიტანეს და ჩვენ მიერ მის წინააღმდეგ გაძლება შეუძლებელიაო, ის იყო, მიატოვეს ჯიხური, შეეფარენ ტყეს და ორი მათგანი აფრინეს მახლობელ სოფლებში, რომ იქიდან მოუშველებიათ ხალხი მეგრელების გასადევნად. გაგზავნილებმა იმავე ღამეს დაათარეშეს სოფლები, შეაგროვეს რამდენიმე ასი თოფიარადიანი კაცი და ალიონზე გაჩდენ გრიგოლეთს როსტომასთან. ამ უკანასკნელმა წაიტანა მოშველეთ მოსული ხალხი, მიეპარა მეგრელებს ტყიდან და დაუშინა თოფი.

მეგრელებმა, რასაკვირველია, გასცეს პასუხი ზარბაზნით და ურიცხვი თოფების სროლით, მაგრამ ვერა რას აკლებდენ, რადგანაც პირველები (გურულები) მოფარებულნი იყვენ მძლავრ სიმაგრეებს, - დიდრონ წიფლის და მუხის ძირებს. გაგრძელდა სროლა რამდენსამე საათს, რომლის განმავლობაში მეგრელების მხარე გვარიანად დაზიანდა; გურულები კი, თითქმის, უვნებლად იყვენ. ცოტა კიდევ და მეგრელების ზარბაზანი ძალდატანებისაგან გასკდა და ნატეხ-ნატეხად გაიფანტა აქეთ-იქით. ამ შემთხვევამ ძლიერ შეუშალა მათ ხელი. ისინი ეხლა მიცვინდენ ნავსა და დიდის გაჭირვებით და დაზიანებით ხელახლავ გაბრუნდენ შავის წყლის მარჯვენა ნაპირს. გურულებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, ხელახლავ გაამაგრეს ჯიხური და იქიდან ესროდენ მეგრელებს, რომლებიც, ის იყო, აპირებდენ უკან დაბრუნებას, თუ რომ დადიანის და ჯაიანის მათრახს არ დაეშალათ იმათთვის ეს განზრახვა. ამ

თავმომწონე თავადებს ჯერ არამც და არამც არ უნდოდათ დანაქადში გაწბილება, ესე იგი, რადაც უნდა დასჯდომოდათ, გურია უნდა აეოხრებიათ. მეტადრე მამაცი ჯაიანი თავგანწირულად დასტრიალებდა, ერეკებოდა ხალხს წინ გურულებისაკენ და უყვიროდა: “არ გრცხვენიათ, პრაწია გურულებმა შეგაშინეს! წინ, წინ!” ჯაიანის ასეთი ყვირილი გაიგონა ერთმა გურულმა და ჰკითხა იქ მყოფს თავის ამხანაგს:

- ვინ არის, თუ იცი, იი მეგრელი, ისე რომ იქადნება?

- ოტია ჯაიანია. - უპასუხა ამხანაგმა, რომელიც იცნობდა ჯაიანს.

- მომკლა, აღარ ვჩივი, რომ ჩემი თოფის ტყვია იმას საკოცნათ მისწვდებოდეს!

- ძალიან ჯიანი გაქ მისი?

- რეზა არ მექნება, არ ყურობ რაფერ გვაგინებს? იი რომ არ ყოფილიყო აქანაი, ჩვენ და მეგრელები ერთი მეორეს არ დავზოცდით.

- აბა პაწია წინ გევიწიოთ და მე გაშონიებ იმას სათოფეთ.

ამ მოლაპარაკების შემდეგ ეს ორი ამხანაგი გაიქცა კარგა მანძილზე წინ და საჩქაროდ მოეფარენ დიდი წიფელის ძირს. როცა თოფის სროლა ცოტათი შეწყნარდა. ჯაიანის მცნობმა გურულმა კიჟინის ხმით დაუძახა:

- ოტია ჯაიანო, ოტია!

- რა კაცი ხარ შენ? - მოსცა პასუხათ ჯაიანმა.

- რამ გაგაბრიყვა: შენ შენი ბოზი ცოლი ვერ დაიცევი, არამც თუ ბატონები და რუსები დაიცო! გურიაში მოსულხარ და ქრისტიანის სისხლს გვასმევ და იქინეი

შენ ცოლს მეჯოგე მეგრელები იგორებენ მკლავზე!

ჯაიანს ამ სიტყვებმა ნატკენ ადგილზე უკბინეს და გააჯავრეს. ამიტომ გადასწყვიტა რამეგვარად ამ სიტყვების მოქმედის სიკვდილი, მაგრამ ჯერ უნდოდა შეეტყო, თუ ვინ იყო ეს გურული, რომელსაც ასე კარგად სცოდნოდა ჯაიანის ცოლის ამბავი და ასე გასინჯეთ, იმისი საიდუმლოებიც.

- გურულო, გამოდი აქეთ და მითხარი შენი სახელი და გვარი. ღმერთს გაძლევ თავდებათ, არაფერი გაწყინო! - დაუძახა ჯაინმა და მოადგა სულ ახლოს, შავის წყლის ნაპირს, ასე რომ იმის ტანს აღარა ეფარებოდა რა.

- ახლავე! - დაუძახა გურულმა მოსატყუებლად, ფრთხილად დაუმიზნა თავისი მაჭახელა (თოფი) ჯაიანს და თვალის დახამხამებადე ამპარტავანი თავადი უსულოდ დასცა დედამიწაზე.

ჯაიანის სიკვდილმა ძლიერი ზედმოქმედება იქონია დადიანზედ: მან ეხლა წარიკვეთა სასო, გურულებს ველარ მოვერევიო, გადასწყვიტა თავისი სამშობლო სამეგრელოში დაბრუნება, რომლის შესახებ საჩქაროდ გამოუცხადა თავის ხალხს, რომელიც ამ დროს შეუდგა უკან დაქანებას, მაგრამ გაგულისებულმა გურულებმა, რა გაუგეს ესა, გაიპარენ ტყის გზით, გავიდენ შავს წყალზე, დაუარეს თავი მეგრელებს და გადაუჭრეს გზა. ეხლა მეგრელები დარჩენ საშინლათ დამწყვდეულნი, ასე რომ ერთი მხრით ზღვა ჰქონდათ, მეორე მხრით გაუვალი ტყე, წინ და უკან კი გურიის ხალხი! სხვა რაღა უნდა ექმნათ? დაჰყარეს იარაღი და დაუწყეს ხვეწნა გურულებს - სამშობლოში დაბრუნების ნება მოგვეცითო. მაგრამ გავიდა ამ ხვეწნა-მუდარაში ორი დღე და გაჯიბრებული გურულები ჯერ კიდევ ვერ მოსულიყვენ ღმობიერებაში ამ დედაბრული ხვეწნით, ჯერ არ მიეცათ მეგრელებისთვის სამეგრელოში დაბრუნების ნება.

მზე სასადილოზე ამოვიდა. გურულებმა ამოიღეს ქეჩხოები და მჭადი, ყველი, თევზი, ხაპით ღვინო, დაგლიჯეს ხის ტოტები, გაშალეს სუფრა და დასხდნენ სადილოზე. ძლიერმა “ჩხავრის” ღვინომ, რომელსაც კათხებით ხშირ-ხშირით სვამდნენ, ძლიერ გააქეიფა ისინი და მოუხშირეს თავისებური კიჟინა-სიმღერა. გაქეიფიანებულებში ტოლუმბაშობდა ერთი ყოჩაღი გლეხი, რომელსაც სიმონიკა ცერას ეძახდნენ და ორი-სამი სხვა. როსტომა მეჯიხურე? ის კი აღარ ერია ცოცხლებში!.. ის დაღუპა თავისმა შეუშინებელ-მოუდრეკელმა გულმა, მას წაართო სიცოცხლე რამდენიმე მტრის ტყვიამ წინა დღით, სწორეთ იმ დროს, როცა მან (როსტომამ) მოინდომა დადიანის სიკვდილი და ხელხანჯლიანი მივარდა მას შემდეგი სიტყვებით: “შენ, შენ ხარ ამდონი ადამიანის სისხლის ღვრის ბრალი!” რა თქმა უნდა, რომ მის ამხანაგებს ძლიერ ეწყინათ და ეტკინათ მოკლება და მხრიდან გამოშლა ისეთი საიმედო, კლდე ამხანაგისა,

როგორც იყო როსტომა, მაგრამ ეგეც უნდა ვსთქვათ, რომ იქ, სადაც ხალხი გაიმარჯვებს მტერზე, ერთის, გინდა ორი-სამი კაცის დაღუპვის გამო გამოწვეული ნაღველი მხიარულებას ვერ დააჩრდილებს. როცა გურულებმა სადილის ჭამა თითქმის მოასრულეს, მათ შეესტუმრა სამი კაცი მეგრელი, და მიუტანეს სიტყვა: დადიანი თანახმაა ყოველივეზე ოღონდ შიმშილით ნუ დაგვზოცთ, სახლში გაგვიშვითო და რა მიიღეს პასუხად გურულებისაგან: აბა კაი, გაგიშობთო, წასვლა უნდოდათ, მაგრამ, როდესაც გურულებმა მიიწვიეს ისინი სადილზე, იმათ აღარ გაუწიეს დიდი წინააღმდეგობა, რადგანაც სამი დღე იყო არა ეჭამათ რა, დასხდენ გურულებთან სადილზე და მადიანად შეექცენ მჭადს, ყველსა და ღვინოს.

- კაცის არაფელი დეიჯერება! გუშინ ერთმანეთს ვწყვეტდით და დღეს აგერ თქვენ სადილზე ვზივარო! -



სთქვა ერთმა თავაზიანი შეხედულობის მეგრელმა გვარიანი კარგი ქართული ენით.

- დედავ, რომ ვწყვეტო, თქვენი ბრალი მერე როის ყოფილა, თქვენი მთავრის დადიანის ბრალი იყო. იმას რომ არ მოეყვანეთ, ჩვენში რა იყო საჩხუბარი? ნათესავები და მეზობლები ვართ ერთი მეორეის. შენ შენი ქვეყანა გეყოფა და მე ჩემი. მარა იმ სულძაღლიანმა დადიანმა დაგვაკლია ერთს მეორე, - უთხრა პასუხად მეგრელს ერთმა ცქვიტი ენის გურულმა.

- გაჩერდი, ბიჭო, დადიანი ჩვენი ბატონიშვილის ცოლის ძმაია, შეიტყობს შეუგინებიაო და, ხომ იცი, არ შეგარჩენს. ბატონიშვილმა რომ შეგარჩინოს, ქალბატონი არ შეგარჩენს მისი ძმის შეგინებას, - გაუმტყუნა თავის ყმაწვილ ამხანაგს ერთმა მოხუცმა კაცმა.

- რას უმტყუნებ, ძამია? - ჩაერია ლაპარაკში ქართულის

მცოდნე მეგრელი, - მართალს ამბობს ეს კაცი. ჩვენი მთავრები ძველიდგანვე დაჩვეული არიან ადამიანის დახოცვასა. ვინცხამ ბარათი მომწერა, წადით ახლავე, ან გურულები დაჟლიტეთ ან თავი შეაკალითო, გვიბძანა. წამოვედით ამდონი კაცი, ზოგი და ზოგი ტყვიამ მოკლა და დანარჩენს შიმშილი ხოცავს! მას რა დარდი აქ, რა ეტკინება ჩვენი სიკვტილით! ჩვენი შვილები დარჩებიან მოსამსახურებათ. რომ მოვახსენეთ: ბატონო, არ ჯობს გურიის დამტერებაო, გაგვიწყრა, თქვენ ვინ გკითხავსო. აგია სამართალი! სასიკვტილო საქმეზე გაგზავნიდეს კაცი და გეუბნებოდეს, ენის თქმა შენი საქმე არ არი, ისე წადიო!

- კი, ძამიავ, მარა, რაც უნდა იყოს, ბატონია, უზდელათ მოხსენება არ ეკადრება, - სთქვა მოხუცმა გურულმა.

- ნუ გამოგიკავებია პირში ბატონი, ბატონი! - თითქმის წყრომით შესძახა მოხუც ამხანაგს ერთმა

კონტაქტანისამოსიანმა, კარგი შეხედულობის გურულმა, -  
ვერ შეიტყვე, ბატონობა აღარ არისო! რა ხანია  
გამოაცხადეს ბესიამ და სხვებმა, აწი აღარ იქნება  
ბატონობაო, აბა რავა გგონია! ბატონიც ჩვენისთანა  
ორფეხაი კაცია, აწი იმანაც ეილოს თოხნი და იმუშაოს ყანა.  
აწი ჩვენ ვიქნებით ჩვენი თავის ბატონი! ვნახოთ ერთი,  
თუ შეგვჭამოს რამემ უბატონოთ!

მეგრელებმა ამასობაში გაათავეს სადილი, გადაუხადეს  
მადლი გურულებს და წავიდენ თავის სახლში. არ  
გასულა ამის შემდეგ ნახევარი საათი, რომ ერთი მათგანი  
ხელახლა მოდგა შავი წყლის ნაპირზე და დაუძახა  
გურულებს: “ბატონმა მოგახსენათ, თუ შეიძლება, ცოტა  
იჩქარეთ და ადრე გაგვიშვითო.” გურულებმა დასტოვეს  
ჯიხურში რამდენიმე კაცი გუშაგად და დანარჩენები  
გავიდენ მეგრელებისკენ, გაუერთდენ იმ ხალხს,  
რომელიც აქამომდე დარაჯად იყვენ გზაზე, მეგრელები არ

წავიდესო, და კედლებივით გაირაზმენ აქეთ-იქით ნაპირზე იმ გზისა, რომლითაც დადიანი და მისი ხალხი უნდა დაბრუნებულიყვნენ თავის სამშობლოში. “აბა გააკეთეთ თოფები!” - დაიძახა ერთმა გურულმა, ამ დაძახებაზე გურულებმა, თითქო გზას ხურავენ თოფებითაო, აიღეს, შეაჯვარედინეს თოფები, ისე რომ ადამიანი თუ არ დაიკუნძებოდა, ისე აღარ შეეძლო ამ თოფებით დახურულ გზაზე გავლა. ამ დროს დაიდრენ მეგრელები; გაიმართა ერთი სასაცილო სცენა. აი რა სცენა იყო ეს: ჯერ დადიანი და რამდენიმე თავადი დაიკუნდა და გაძვრა თოფის სახურავს ქვეშ. შემდეგ დადიანის მაგალითს მიჰყვა მისი ხალხი და ყველანი დაკუნძული გაძვრენ თოფებს ქვეშ. როცა ეს სასაცილო ცერემონია მოსრულდა, დადიანი პირადად დაელაპარაკა გურულებს:

- ახლა, ძმებო. ხომ გვაძლევთ წასვლის ნებას?

- გაძლევთ, გაძლევთ! ალღიაში ქე გაგაძვრინეთ და მეტი

რალი! - უპასუხა ერთმა ვაჟკაცური შეხედულების გურულმა.

- რაც იყო, იყო, ჩვენ მაინც მადლობელი ვართ! - უთხრა კვლავ დადიანმა გურულებს, შემდეგ მიუბრუნდა თავის ხალხს - მეგრელებს, წარბმოჭმუხვნით შეხედა, რაღაც თავისთვის ჩაილაპარაკა, მგონია, ლანძღვა-უკმაყოფილება უნდა ყოფილიყოს იმათი და უბრძანა: - მივშვათ.

მეგრელები დაიძრენ; მათ გაუძღვა წინ დადიანი და სხვა თავადები, ნელის, დაღონებულის ნაბიჯით, მწუხარის სახით გასწიეს თავის სამშობლოსკენ. როცა კარგა მანძილზე მოშორდნენ გურულებს, დადიანმა უთხრა ერთს თავადს:

- საშინელია გამარჯვებული ხალხი! ხედავდი, რა სასაცილო საქმე გვიყვეს?

- თქვენ ნუ მომიკვდები, ბატონო, ახი იყო ჩვენზე, უარესი ექნათ. იფიქრეთ, ბატონო, ჩვენ იმ განზრახვით წამოვედით გურიაში, რომ იქაურობა აგვეოხრებია, გადაგვეწვა და ხალხი ტყვედ წამოგვეყვანა. გურულებმა კი იმდენი პატიოსნება იხმარეს, რომ, როცა დაინახეს ჩვენი უძლურობა და დამარცხება, შემდეგ ერთი კაციც აღარ მოუკლავთ ჩვენთვის, - უპასუხა დადიანს თავადმა.

- ეგ კი გვარიანი კეთილკაცობა ჰქონეს, მაგრამ თოფებს ქვეშ გაძვრენა რაღა იყო?

- მამაჩემისაგან გამიგონია, რომ გურულებს ჩვეულებათ აქვთ, მტერს რომ დაიმორჩილებენ, თოფებს ქვეშ გააძვრენენ და შემდეგ მისცემენ თავის ქვეყანაში დაბრუნების ნებასო. ამგვართ თოფებს ქვეშ გაძვრენას ალაია ჰქვია თურმე იმათებურით, ვითამ და ალაიაში გაგაძვრინესო.

დადიანს ცოტა ღიმი მოუვიდა პირზე, მაგრამ საჩქაროდ შესცვალა სახე და ხელახლა მოიჭმუნა.

- ნეტავი არ წამოვსულიყავით სულაც, იმდენი კაცი მოგვიკლეს და არაფერი გაგვიკეთებია, - სთქვა მეორე თავადმა.

რა თქმა უნდა, რომ ცუდათ მოვიდა საქმე: ჯერ რომ იმდენი კაცი მოგვიკლეს. ჩვენსა და გურულებს შორის დაითესა სამუდამო მტრობა. ყველა ეს უნდა იფიქროს კაცმა, მიუგო პირველმა თავადმა.

მეგრელების წასვლის შემდეგ გურულებმა გააკრეს ხეებზე როსტომი და სხვა მოკლულები და წამოვიდნენ თავიანთ სოფლებში. გრიგოლეთში დარჩენ მეჯიხურენი, რომლებსაც კვლავ მიანდო გურიის ხალხმა დარაჯობა. მეგრელებისაგან ქვიშაში დაფლული მიცვალებულთა გვამები, რომლებსაც ღამლამობით იღებდნენ სამარიდან

ტურა და მგლები და სჭამდენ, ნახევარი თვის განმავლობაში აღარც ერთი აღარ დარჩენილა მიწაში.

## XV

სექტემბრის მზე ჩაგორდა დასავლეთის კუთხეში, მაგრამ მისი ფართო კვალი ჯერ კიდევ აჩნდა ოქროსფრად მოწმენდილ ცის კუთხეს. ჰაერი, რომელიც მთელი ის დღე საშინლად გაცხელებულო იყო, მზის ჩასვლისთანავე გაგრილდა. აჯანყებულ გლებებს, რომლებსაც ერთ თვეზე მეტი იყო, რაც დაებანაკათ ქ. ოზურგეთის გარშემო და მოემწყვდიათ შუაში მაზრის უფროსი თავის მწერლებით, რუსის ჯარი და გურიის თავადაზნაურობა, ცოტა დროებით შეეწყვიტათ ჩხუბი და ამ გრილ-გამაცოცხლებელ ჰაერში ჰქონდათ მოლაპარაკება მის შესახებ თუ რა ზომები იხმარონ განთიადისას, როცა უნდა დასცემოდენ თავზე ქ. ოზურგეთს და საუკუნოდ მოეღოთ ბოლო თავიანთი მტრებისთვის. რაღაც ორი-სამი



თვის განმავლობაში იმათ რამდენიმეჯერ დაამარცხეს რუსის ჯარი და წერეთლის თაოსნობით თავადაზნაურობის და მთავრობის მომშველად მოსული იმერლები; დაამარცხეს და უკან გააბრუნეს გურიის თავად-აზნაურების და მაზრის უფროსის თხოვნით მოსული დადიანი თავისი მრავალრიცხვიანი სამეგრელოს ხალხით. ამგვარად გამარჯვებაზე დაჩვეულ აჯანყებულებს, გასამტყუნარიც არ არის, რომ საიაფოდ მიაჩნდათ ქ. ოზურგეთის ხელში ჩაგდება და იქიდან მტრების გარეკვა. სამხრეთის მხრით ქ. ოზურგეთს შემოსდგომოდა რამდენიმე ათასი კარგად შეიარაღებული კაცით აჯანყებულების შემწედ მოსული ქობულეთის ბეგი ჰასან თავდგირიძე და ისე დაჰყურებდა პატარა ოზურგეთის ქალაქს და მასში მყოფ რუსებს, თითქო ქორი წიწილას. გურიის ხალხზე თითქმის ულამაზესი, უკონტავესი და უვაჟკაცესი ქობულეთის ხალხი გულის ძგერით მოელოდა, გაივლის ეს ერთი ღამეც, მოაღწევს

განთიადი და გავუჩინთ ქ. ოზურგეთს ცეცხლსაო. ისინი აგერ ერთი კვირა იყო, რაც მოსულიყვენ ოზურგეთში და სწუხდენ, რომ ჯერ ერთი შემთხვევაც არ მისცემოდათ რუსებთან შეტაკებისა. ისინი თითქმის ესაყვედურებოდენ აჯანყებულებს - საქმეში ყოყმანა ყოფილხართ, რაღას ვუყურებთ, დავეცეთ ბარემ ამ რუსებს და დავჟლიტოთო. აჯანყებულების ბანაკთა შორის, ერთ-ერთ პატარა ოთახში ისხდენ თავადი ამბაკო შალიკაიშვილი და ჩვენი ნაცნობი გიორგი - თავადი №№-ის შვილობილი და ჰქონდათ მსჯელობა მაზე, თუ რაგვარი წესწყობილება და თადარიგი მიეცათ გურიის ხალხისთვის იმ შემთხვევაში, თუ ხალხი გაიმარჯვებდა თავის განზრახვაში. კარგად მოყვანილ, მაღალტანიან, ჯერ კიდევ მოწიფულ შალიკაიშვილს თავის ვაჟაკაცობის გამომეტყველ სიმპატიურ ლამაზ პირისახეზე ჯერ კიდევ აჩნდა კვალი იმ ძლიერი ავადმყოფობისა, რომელიც მან გამოიარა იმ დროს, როცა გურიაში ჯანყი იწყებოდა. ის

ლოგინში იწვა და საშინელი სიცხე აწუხებდა, როცა ჯანყის მოთავეებმა მიუტანეს ღამით ხატი და დააფიცეს, რუსების მხარე არ დაიჭიროვო. ფიცის მიღების შემდეგ, თუმცაღა კიდევ კარგა ხანს იყო ავად, მაგრამ, რა რომ ავადმყოფობას მოურჩა, ხალხის გაჭირვების თანამგრძობათ შექმნილმა, ვაჟკაცურმა გულმა მაშინათვე გაიტაცა ის აჯანყებულებაში, რომელთაც მისვლისთანავე დააყენეს, როგორც ომში გამოცდლი ოფიცერი, ჯანყის გამგედ. მართალია, ივანე X-ძე და სხვები, რომელთაც თვითონ უნდოდათ ხალხის ბედ-იღბლის ხელში ჩაგდება, ამბობდენ, რომ ამბაკო შალიკაიშვილი რუსების მიერ დაჯილდოებულია ოფიცრობით, ნუ მივენდობით, თორემ გვიღალატებსო, მაგრამ შალიკაიშვილის მოქმედებამ დაუმტკიცა ხალხს, რომ ის კი არ უღალატებდა მას, არამედ - თვითონ შალიკაიშვილზე ცუდის მოლაპარაკენი, ივანე X-ძე და სხვები, რომლებიც ერთი მეორეზე მიიპარებოდენ

რუსებთან შესარიგებლათ. გიორგიმ კი აგვისტოს პირველთა რიცხვებში განუცხადა გულოს, რომელიც იმ დროს უკვე მორჩენილი იყო ავადმყოფობისაგან მე აჯანყებულებში უნდა წავიდე და შემწეობა უნდა მივცეო; თუმცაღა ამ უკანასკნელმა (გულომ) ბევრი ცრემლი დაღვარა ამის გაგონებაზე, მაგრამ გიორგიმ როგორც ხალხის ბედ-იღბალზე გულშემატკივარმა, არ დაიშალა თავისი, იცრუვა ქალბატონ №№-თან, ოზურგეთში მამაჩემთან მივდივარო, მივიდა აჯანყებულებთან და იმ დროდან მოწყებული ცხოვრობდა შალიკაიშვილთან, რომელსაც ძლიერ დაუმეგობრდა, რაკი მიუხვდა, პატიოსანი გულის და ჭკვიანი კაცი ყოფილაო. გიორგის მეცადინეობა იმაში მდგომარეობდა, რომ შეეცვალა ჯანყის მიმართულება, ესე იგი, აჯანყებულ გლეხებს რუსების განდევნაზე უარი ეთქვათ და მხოლოდ ბატონყმობის მოსპობაზე და გადასახადის შემსუბუქებაზე უნდა ემეცადინათ. რუსები, - ამბობდა

გიორგი, - როცა გაიგებენ, რომ ჩვენი აჯანყება მარტო ამ მიზნით არის და არა ჩვენი ქვეყნიდან იმათ განსაღებნად, ადრე შემოგვირიგდებიან, განათავისუფლებენ გლეხებს შინაუმობისაგან და შეუმსუბუქებენ გადასახადსაცო. მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, გიორგი კარგად ხედავდა, რომ აჯანყებულების უმეტესი ნაწილი უფრო იმის მეცადინში იყო, რომ რუსები გაეღებნათ ჩვენი ქვეყნიდან, მინამ ბატონყმობა მოესპოთ და იმათი თავი შალიკაიშვილი ძალაუნებურად ემორჩილებოდა უმეტესობის წადილს. იმ საღამოს, თითქო შეურიგდა ხალხის აზრსაო, გიორგი შალიკაიშვილის თანახმად აწყობდა სამეორედლისო და სამერმისო მოქმედების გეგმას და მხოლოდ ხანდახან, ისეთ რამეებში, რომლებშიც იმედი ჰქონდა შალიკაიშვილი დამეთანხმებო, გაუწევდა მას წინააღმდეგობას. ეს იმას კი არ ნიშნავდა, თითქო გიორგის ბოლოს და ბოლოს მოსწონებოდა ხალხის მოქმედების მიზანი; არა, გიორგი

ხედავდა, ხალხმა თავისი არ დაიშალა, ჩემს ლაპარაკს არავინ ყურს არ უგდებსო და ტყუილუბრალოდ აღარ იფხანდა ენას.

- ჰასან-ბეგი დიდ იმედს მაძლევს, ჩემს ზარბაზნებს და ჩემს ბიჭებს ერთ საათსაც ვერ დაუმაგრდებიან რუსებში,

- სთქვა შალიკაიშვილმა, რა რომ სამეორედლისო მოქმედების გეგმები თითქმის დააწყო.

- დიახ, უფრო საფიქრებელია, რომ ხვალ გამარჯვება ჩვენ და ბეგს დაგვრჩეს, უპასუხა გიორგიმ.

- მერე, გიორგი, რავა უნდა ვქნათ, ქვეყანას ვინ ეპატრონოს?

- თუკი სასწაული მოხდება და ჩვენი გლახეკაცობა თავადაზნაურობას და რუსებს მოერევა, მერე რესპუბლიკური მმართველობა დავაარსოთ, ესე იგი,

აღმოვარჩიოთ პატიოსანი და ჭკვიანი კაცები და რამდენიმე წლის ვადით მივანდოთ ხალხის მართვა. შემდეგ როცა ამათ მინდობილებას ვადა შეუსრულდება, სხვები ამოვირჩიოთ, ამათ შემდეგ კიდევ სხვები და ასე უნდა იქნეს შემდეგშიაც. ვინიცობაა, გამოცდილებამ გვაჩვენოს, ეგეთი წესწყობილება არ ვარგაო, მაშინ შევსცვალოთ ისე, როგორც დავინახოთ საუმჯობესოთ.

- ვინმე რომ მთავრათ დევიყენოთ, ხომ არ ჯობს?

- ეგ ხომ სასაცილო, ბავშვური მოქმედება იქნება! ბატონი არ გვინდაო, დღეს სისხლსა ვღვრით ამის გულისთვის და ხელახლავ ბატონი დავისვათ! ხომ იცით, რომ მთავარი ისევ მოაბრუნებს ბატონყმურ წესებს. მთავრებს სიკეთე არასდროს არ უქნიათ ქვეყნისათვის. ან რა სიკეთე შეუძლიათ? მთავარი კერპია ხალხისა, სხვა არაფერი.

- მართალი ბრძანებაა მე თქვენგან მაქ, გიორგი, იმედი,

ნასწავლი კაცი ხართ და კაი რასმე ასწავლი ხალხს.

გიორგის უნდოდა რამე ეპასუხა შალიკაიშვილისთვის, მაგრამ ამ დროს მოისმა რამდენიმე თოფის ხმა და იმან მიიქცია ორისავე ყურადღება.

- ქალაქში იყო, არა? - ჰკითხა ამბაკომ გიორგის.

- დიახ, რუსების ჯარი რომ დგას იქიდან მოისმა.

- როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს?

- სწორეთ გითხრა, ვერ მივხთი შესაძლებელია ვინმე დამნაშავე დახვრიტეს.

- ჰოო, შეიძლება ვაიმე, თუ ვინმე ჩვენგან ჩეიგდეს ხელში!



- ჩვენგანს რა მიიყვანდა იქ, საქმე ხომ არა ჰქონია რა?

- არა, მაგრამ ვინ იცის!

რამდენსამე წამს კიდევ უყურებდენ ამბაკო და გიორგი, შემდეგ, ჩვენ შესახებ არ უნდა ყოფილიყო, დარწმუნდენ და კიდევ ხალხის მმართველობის შესახებ დაიწყეს ლაპარაკი.

დაღამდა. უმთვარო მოწმენდილი ცა მოიჭედა ვარსკვლავებით. თითქო გურულ მომტირალებს დასცინიანო, ტურებმა შექმნეს კივილი, მაგრამ ისევ მიწყნარდენ და ქალაქის ახლოს მდებარე ტყეებიდან მოისმა ბუების ძახილი. გიორგიმ აანთო ჭრაქი, რომლის სუსტმა სინათლემ ნახევრითაც ვერ გაანათა ოთახი, ამოიღო ფანქარი და დაიწყო წერა რვეულში, რომელშიაც კარგი ხანი იყო მას აქეთ, სწერდა დღიურ შენიშვნებს. “ცოტა გამაცივა”, სთქვა შალიკაიშვილმა, გაეხვია ნაბადში

და მიწვა ლოგინზე. ამ დროს ერთმა ყმაწვილმა გურულმა შეუტანა იმათ კალათით მჭადი, შემწვარი ქათამი, ყველი და “ხაპით” ღვინო. ეს იყო ამბაკოს და გიორგის ვახშამი.

- გიორგი, ვჭამოთ აი ვახშამი. მერე დარაჯების დასახედავით უნდა წევიდე, - უთხრა ამბაკომ, რომელიც ადგა ამ დროს და მიუჯდა მაგიდას.

- აი, ამ წამშივე, - სთქვა გიორგიმ, მიაწება წერას თავი, მიუჯდა მაგიდას, ამოიღო კალათიდან, რაც კი რამ იყო შიგ, და გააწყო სუფრაზე.

- უკაცრაოთ, გიორგი, ყოველთვის თქვენ შეგხვდათ სადილ-ვახშმის დროს სამსახური, მაგრამ რა ვქნა? არ დამანებებ, ვიცი, და ამიტომ მეც ქე მივანებე თავი.

- ეს საბოდიშო არ არის. ჯერ რომ სკოლაში ყოფნის დროს დავეჩვიე საჭმლის გაწყობას და მერე წლოვანობის

მიხედვითაც მე მეკუთვნის თქვენი სამსახური, მინამ თქვენ ჩემი, - სიცილით უპასუხა გიორგიმ შალიკაიშვილს. შემდეგ ორთავემ, გიორგიმაც და ამბაკომაც. მიიპატიჟეს ვახშმის მიმტანი: დაჯექი, ჩვენთან სჭამე ვახშამიო, მაგრამ, რა რომ უკანასკნელმა უარი სთქვა ამაზე და წავიდა თავისთვის, დაიწყეს ვახშმის ჭამა. შალიკაიშვილს ეტყობოდა, რომ სრულიადაც არ ჰქონდა ჭამის მადა: ის პატარ-პატარას აძრობდა ფრჩხილით ქათმის ხორცს და მარტო უმჭადოთ იღებდა პირში, ღვინოს კი გვარიან ხშირად სვამდა. გიორგის გვარიან კარგად შიოდა, მაგრამ, რადგანაც ქათამიც და ყველიც ძლიერ მარილიანი იყო, ამიტომ ისიც ვერა სჭამდა მაინცდამაინც ბევრს. ღვინო კი ცოტათი უყვარდა, მაგრამ რადგანაც ცოტა მომჟავოდ ეჩვენა, პატარ-პატარას სვამდა.

- მე ხანდახან რომ გამაციებს, ის მიკარგავს ჭამის მადას, თქვენ რაღაა, რომ არ სჭამთ? - უთხრა შალიკაიშვილმა, რა

დაინახა, რომ გიორგიც უმაღლეს ეკიდება ვახშამს.

- ცოტა მარილიანი მეჩვენა საჭმელი.

- ეს ხომ ჩვენში ისეა, მარილი, პილპილი და ნიგოზი ყოველთვის წარბოხს და აუგემურებს საჭმელს. ძალიანი კაი საჭმლის გაკეთება რუსის მზარეულებმა იციან.

- მოითმინეთ, ფეხის ხმაია, ვინცხა მოდის!

- ბესია და სიმონ რამდენიმე საათია მას შემდეგ, რაც აქ იყვენ, სხვები დილას მოვიდენ და სახვალთ დარიგება მიიღეს, ახლა ვინლა უნდა იყვენ?

- არ ვიცი. ღმერთმანი! ყველას ვუთხარი, რომ ვახშამობიდან შუალამემდის შინ არ ვიქნები, დარაჯები უნდა დავიარო-მეთქი და...

ამბაკომ ვერ მოასწრო უკანასკნელი სიტყვის წარმოთქმა, რომ კარები გაიღო და ოთახში შევიდენ ბესია და სიმონ.

- რა იქნა, ბესიავ, ფარსაგი აღარ არის, რომ დარაჯის დასახედავით წადი-მეთქი და იმის მაგიერათ აქ მოდი!

- რაღა ფარსაგი, - დაიწყო ბესიამ, - დათაი და ივანე შამოურიგდენ ჩვენს ჯარს, მოიტანეს ამბავი, რომ დღეს გვაცალეთ და თავად-აზნაურები ყველაი ჩვენსავით შამოგირიგდებაო. აგი ამბავი მოთესეს სულ ჩვენს ჯარში და ყველას გული დაადობიეს. სამი დღეი და მეტიც ვაცალოთო, იძახის ყველაყაი. მე რაცხა ეშმაკობა მგონია აგი და ვიფიქრე ამბაკოს და გიორგის თუ არ შეუტყვია ჯერე, შევატყობიებ-მეთქი.

დათაი... და ივანე X-ძე, რომლებიც შემორიგების ამბავი მოუტანა ბესიამ, ისეთი ახლო ნაცნობები იყვენ შალიკაიშვილისა, რომ ის აღარ საჭიროებდა იმათ

გვარების გამოკითხვას მან მოჰმუხნა თავის მსხვილ-მსხვილი წარბები და ისე იკითხა:

- რეთი ხანია, ეს რომ მოხთა მას შემდეგ?

- აა, წახანაი, მზის ჩასვლის ხანს, თოფების ხმა რომ მოისმა, მაშვინ წამოსულიყვნენ თურმე. თქვეს, რომ რუსებმა შეგვიტყვეს, რომ მოვიპარებოდით და თოფები დაგვიშინესო, - უპასუხა სიმონმა.

- ჩვენთან ნეტავი რატომ არ მოვიდენ? - ჰკითხა გიორგიმ.

- იმიზა, რომ იცის არ მოტყუვდებით. თქვენთან არა, თქვენს სიახლოვეს ვინც კია ჩვენი, იმასაც არ მოჰკარებთან.

- ახლა სად არიან დათაი და ივანე? - იკითხა შალიკაიშვილმა.

- ბეგთან უნდა იყვენ წასული.

- ბეგთან! - წამოიძახა შალიკაიშვილმა და საშინელმა ფერმა გადაუარა სახეზე, მაგრამ ისევ საჩქაროდ მოეწმინდა სახე და სთქვა: - არა, ვერ შეიძლებენ, ჰასან-ბეგისთანა ვაჟკაცი ღალატს არ იკადრებს და იმის იმედი მაქ. ჩვენებს რომ ღმერთი გაუწყრეს, ბეგი და მისი ჯარი მეყოფა, სადილობამდე მტვრათ ვაქცევ ქალაქს!

[-...\*] სთქვა გიორგიმ.

- არა, ვერ დავენდობი, - სთქა შალიკაიშვილმა.

- რა ბრძანებაა! ევანეს კაცმა ენდოს!

გიორგის ამ სიტყვებზე გაახსენდა, რომ ეს ის ივანეა, რომელთანაც ჯანყის დაწყების წინ ცოტა უკმაყოფილება მოუვიდა და სთქვა:

- ჰოი, ის კი გავს საიჭვო კაცს.

- საკითხავია, ჯერე ჩვენკენ იყო, მერე რუსებისკენ გადახტა, ახლა ჩვენკენ გადმეიარა, იმას კაცი რავა ენდობა, - სთქვა კიდევ ბესიამ.

- ამაებს დავანებოთ თავი, წავიდეთ და ვინც ჩვენი იყოს, ყველა ჩამოვიაროთ და გავაფრთხილოთ, რომ არ გაბრიყვდენ. დათაის და ივანეს რჩევით ხვალინდელი ჩხუბი არ დაშალონ.

ამ რჩევის შემოტანის შემდეგ ყველანი გამოვიდენ გარეთ, მოხურეს ოთახის კარი ისე, დაუკეტავად, გააფრთხილეს ერთმანეთი, რომ ჭკუით იყვნენ, თოფი არ გაისროლონ და წავიდენ ხელხში, სადაც დიდად საშიში იყო ღამით მისვლა, რადგანაც შესაძლებელი იყო, ბნელაში დარაჯს ვერ ეცნო ისინი, მტრად მიეღო და მოეკლა.



## XVI

მივაყუროთ ეხლა თავად დათა ...ას, აზნაური ივანე X-ის და თავდგირიძე ბეგის საუბარს და მაშინ ცხადით დავინახავთ, თუ რა განზრახვით შემორიგებიან პირველნი (დათა და ივანე) აჯანყებულ გლეხებს.

- გურიაში ორიც არ მოიპოვება ისეთი თავადი, გინდა წარჩინებული აზნაური, ბეგო, რომ თქვენი ნათესავი არ იყოს, - განაგრძო თავადმა დათა ...ამ უკვე დაწყებული სიტყვა თავისებურ მჭერმეტყველოურად, ამიტომ იმედი გვაქვს, იმ თხოვნაზე, რომელიც ივანემ და მე მოგახსენეთ მათ მაგიერ და ჩვენ მაგიერათაც, უარს არ გვიბძანებთ. იმედი გვაქვს, თქვენთვისაც არ იქნება სასიამოვნო, რომ ჩვენმა შინაყმებმა ჩალა გამოგვავლონ პირში. თქვენ მით უფრო შეგიძლიანთ ამ გაჭირვებაში ჩვენი თანაგრძნობა, რომ თვითონ თქვენც თავადის და ერისთვის შთამომავალი ბრძანდებით; თქვენს გულს ესმის, თუ რა

ღვთაებრივი დაწესებულებაა ბატონყმობა. მართალია, დღეს თქვენს სამშობლო ქობულეთში ხონთქრის სჯულმა დაარღვია ბატონყმური კავშირი, დღეს აღარ არსებობს ქობულეთში ისეთი გვარის ბატონყმობა, როგორც ჩვენში, მაგრამ ეს არის მხოლოდ გარეგნათ; სულით და გულით ქობულეთის ერი ისევ თქვენი ერთგული შინაყმაა. ის ყოველთვის მზათ იყო და იქნება დასთხიოს სისხლი თავისი ბეგისთვის, ესე იგი ბატონის გულისთვის. აი, მაგალითად, დღეს, თქვენს ბრძანებაზედ გამოგყავთ მთელი ქობულეთი და აგერ მზათ არის, როცა უბრძანებთ, გასცვითოს თქვენი მტერი. ეხლა წარმოიდგინეთ, რას იგრძნობს თქვენი მაღალი გვარის სისხლით მიჩქეფარე გული, რომ ეს თქვენი სულით და გულით შინაყმა, ქობულეთის ერი ვინმე ერთმა-ორმა უნამუსომ გაგიორგულოს და აძახებიოს: ჰასან თავდგირიძე ბეგი არ არის, ჩვენ და ის ერთი ვართო? ღმერთმა დეიფაროს თქვენი მაღალ გვაროვნობა ასეთის

განსაცდელისაგან. თორემ დამიჯერეთ, ძვირფასო უფროსო ძმაო, მაშინ სიკვდილს ასჯერ ამჯობინებთ სიცოცხლესა. გეფიცები თავადაზნაურობის და ადამიანთა შორის მღალ-დაბლობის დამაარსებელ ღმერთს, დღეს სიკვდილი სჯობია გურიის თავადაზნაურობის სიცოცხლეს! ვილაც უნამუსო და უღვთო კაცების ჩაგონებით დღეს უარს გვყოფს ჩვენი მარჩენალი შინაყმა! დღეს დაბალსისხლიან ჩვენს შინაყმებს უნდათ, რომ მაღალი, ბრწყინვალე სისხლი თავის მურტალ სისხლთან გაათანასწორონ! ეს გახლავთ ჩვენი მოძმე თავადაზნაურობის და ჩვენი გულის ვითარება და სატკივარი აწ მოგვინდვია თქვენი ქებული ნამუსისათვის, რაც თქვენმა ბრწყინვალე სისხლით მჩქეფარე გულმა მოგახსენოს, ისე ინებეთ, გნებავს, ან გაჭირვებულ ძმებს ძმურათ მოგვეშველეთ და გნებავს გაგვიმეტე თქვენი სისხლი და სულის მონაწილე და მიგვეცი მიწა-სამარეს.

თავადმა დათა ...ამ გაათავა სიტყვა და თავისი მრგვალი, მომღიმარე, ლამაზი სახე მიაპყრო თავდგირიძეს, რომლის ზორბა-მსუქანი, მაღალშობლიანი და გამჭრიახთვალეებიანი პირისახე გამომეტყველებდა პატრონის როგორც მაღალ ჭკუა-გონებას, ისე იმის სიბოროტეს. ივანე ჯერ გაჩუმებული იჯდა და, თითქო პირველად ნახაო, თვალებით სინჯავდა როგორც ბეგს, ისე თავის ამხანაგს დათას. უკანასკნელ, რა შეატყო, რომ ბეგი არაფერს ამბობს და ჯერ კიდე თავის გულს ეკითხება პასუხის შესახებო, ივანემ დაამატა თავის ამხანაგის სიტყვებს:

- იმ ფულებს, წელან რომ მოგახსენეთ, ამელამვე მოგართმევს ნაჩალიკი ბრუსულოვი. ამასთან ხელწერილსაც დებს, რომ თავის დღეში რუსეთმა არ განიზრახოს ქობულეთის დაპყრობა.

- ეიდა, თავადო დავით და აზნაურო ივანე, დაიწყო ბეგმა

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ბუნებრივი გაბედულის კილოთი, - მე თქვენი ბეგების სიტყვით თემი მომიწოვია და მოვსულვართ გურიაში. გახსოვს, წინაზედ თქვენ ჩიოდით, რუსებს თავს ნუ მოვაქეჩებთ, გარეკოთო? ახლა თურმე თქვენი თემი ორათ გაჭრილა, ზოგი სხვას იტყვის და ზოგი სხვას, ამისაგან მე რას მივხთე! მე ჩემი პირი პირით მინდა. დღეს შალიკაიშვილს სიტყვა მივეცი, ხვალ პირველ მე ავსტებ სროლას-მეთქინ, ჩემი ჯარი დავანამუსე, ხვალ სროლა ჩვენ უნდა ავსტებოთ-მეთქი და ახლა უნდა გავსტებო აგი პირი? მერე რა შუბლით დავბრუნდე ქობულეთში? ჩემი ძმაი ხომ თოფს მკრავს, გურიის ღალატი რეზა დაგვადევნი ვალათო!

- აბა აგია, ანაცვალე ჩვენი თავი ჩვენ შინაყმებს! სარგებლიან საქმეს მაინც შეხედე, ოქრო-ვერცხლით გილაღებენ ზანდუკს საყვედურით შენიშნა ივანემ.

- ეიდა, აზნაურო, შენი ნამუსი ღალაია და ჩემი ნახშირი?

ნამუსს ნუ გამატეხიებთ, ქვეყნის ღალატს ნუ დამადებთ-  
მეჭი მითქვამს, რა საწყენია!

- ბეგო ისე უზრდელი არა ვართ, ამისთანა რამე გთხოვოთ  
წაესარჩლა თავის ამხანაგს დათა - ნუ კი გეწყინება და ამ  
სიტყვაში გაგამტყუნებ. აბა იფიქრე თუ არა: გურია ჩვენ,  
თავად-აზნაურებს გვეკუთვნის და არა ჩვენს შინაყმებს.  
გურიის ღალატი მაშინ დაგედებათ თქვენ, თავად-  
აზნაურების სავნებელი საქმე რომ ჩაიდინოთ. მოიგონეთ,  
ბეგო. ვისთან გქონდა მოლაპარაკება თავდაპირველად?  
ჩვენ, თავად-აზნაურებთან. თუ ჩვენს შინაყმებთან? ჰო,  
და ღმერთმა თქვენი თავი ნუ მოგვიშალოს. აბა ჩვენი  
შინაყმები რაღა შუაშია? ვინ მისცა იმათ ქვეყანა! იმათ  
თავიანთი თავი არ ეკუთვნის, არა თუ ქვეყანა! თქვენ  
გაგვიპირდი, რუსები გარეკეთო; ამ გაპირებაზე ჩვენ  
ჩვენი შინაყმები ავამბოხეთ, თქვენც მობრძანდით, რომ  
შემწეობა მოგეცათ, მაგრამ ახლა საქმე სხვაფერ წავიდა.

ჩვენი რჩევით ამბოხებულმა ყაძახებმა, ვილაც უსინდისო და ურჯულო კაცების რჩევით, რუსების განდევნის მაგიერ ჩვენსკენ მოიბრუნეს თოფი, როგორც წელან მოგახსენეთ, აპირობენ თავისთავი წაგვართონ და ისე უშინაყმით, ძაღლის საჭმელათ დაგვყარონ! გაგონილა! შენს უფროს ძმობას ვფიცავ, ბეგო ასან, შინაყმა რომ წაგვერთვას, თავად-აზნაურმა თოხს უნდა მოჰკიდოს ხელი და ყაძახსავით იმუშაოს, თუ არა შიმშილით მოკვდება! ამიზა გავბედეთ და გთხოვთ, რომ ნუ დეიდებთ ჩვენს ღალატს თავზე. იმ ფულებს, წელან რომ მოგახსენეთ, მოგართუმენ, ამელამ თუ არა, ხვალ. გააბრუნეთ თქვენი ჯარი უკან.

- მართალია, მე თავადების მომხრეთ მოვედი და, თუ თქვენ აღარ გიჭირს, ჯარი უნდა წევიყვანო, მარა ამბაკო შალიკაიშვილიც ხომ თავადია, ის დღეს ჩემთან იყო. ეიდა, პირობა მივეც-მეთქი, ხომ მოგახსენე, თავადო?

- შალიკაიშვილი თავადი აღარ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი შინაყმების თავით შეიქნა და ჩვენს ღალატში გაერია. ის ჩვენ გავაგდეო.

- ყველა კაი, მარა რუსებს ხომ შერჩა სიავე?

- არაფელია. ჯერე ერთი ეს ბატონ-ყმებს შუა არეული საქმე დასცხრეს და მერე ყველა მოეწყობა.

- ეიდა, შალიკაიშვილმა რომ გეიმარჯვოს ხვალ, მაშვინ ხომ ტყვილა თხლენაჭამი დავრჩებით მეც და თქვენც, ტყულა დაგვატყდება ღალატი!

- ჩვენ თავს იყოს, - ერთხმად შესძახეს დათამ და ივანემ და, ბოლოს ივანემ განაგრძო:

- ჩვენ ყაზახებში საქმე გაწყობილი გვაქ, უნდა შემოგირიგდეო ყველა ბატონებიო, ვუთხარით და ისე



დავადობიეთ გული, რომ ხვალ ყველაი წელშიშველი იქნება. მივუსევთ იქიდან იმერლებს, აქედან რუსებს და სულ ყველას დავბაწრავთ. ამბაკო შალიკაიშვილს და მის ამყოლ ბესია-გოგოელებსაც დაასმენ ბაწარს, თუკი სიკვტილს გადურჩენ.

თავდგირიძე ჩაფიქრდა; მის სახის მოძრაობას ეტყობოდა, რომ! მისს სულსა და გულში ამ დროს რაღაც ბრძოლა იყო. რამოდენისამე წამის შემდეგ მან აიღო თავი და უთხრა დათას და ივანეს:

- ეიდა, თქვენმა ხათრმა ამაღებია ხელი გაცემულ სიტყვაზე მარა იმ თქვენმა ნაჩალიკმა რაც დამპირდა ფულები, არ მიმატყუოს, თვარა იცოდეს, რომ რასაც ვუპირებდი, იმაზე უარესს დავმართებ!

დათა და ივანე წამოხტენ, მდაბლად თავის დაკვრით გადაუხადეს მადლი ბეგს, ფულს ან ამელამ და ან ხვალ

მოგართმევთო, უთხრეს და დააპირეს გამოსვლა; მაგრამ ბეგმა მიიპატიჟა ისინი ყავაზე რომლის მიზეზით ისინი კიდევ დარჩენ ბეგის სახლში ერთ საათს რის განმავლობაში სულ გურიის გლეხკაცობას ლანძღავდენ: დაბალსისხლიანები, მოღალატენი არიან, თავის განთავისუფლება დააპირესო. წასვლის დროს ბეგმა კიდევ გაახსენა: ფული თუ არ გამოვიდა ხვალ შალიკაიშვილს მივეხმარები და ქალაქს მტვრად ვაქცევო.

## XVII

გათენდა. მზე ამოგორდა აჭარის მთის იქიდან და ჩახედა ოზურგეთის არემარეს, სადაც დანამებულ მცენარეებს ადგა სქელი ნისლი, თითქო მზის შუქმა სული ჩაუდგა და გააცოცხლაო. გარეულმა ფრინველებმა გამოიღვიძეს და იმათ ჟრიამულში მიიკარგა მდინარე ბჟუჟის შუილი, რომელიც იმ დაწყნარებულ ღამეში გაუწყნარებლივ გაისმოდა ქ. ოზურგეთის მიდამოში. ამბაკო

შალიკაიშვილს და გიორგის შემოხვეოდა ორმოცდაათიოდე თოფიარალიანი კაცი რამდენიც მოთავსებულიყო, მათგანი შესულიყვნენ ოთახში და დანარჩენები იდგენ გარეთ. ზოგს მათგანს სახეზე ემჩნეოდა რაღაც ერთ გვარი სასოწარკვეთილება და მღელვარება, ზოგს კი უსაზომო გულმოსულობა და მრისხანება; ამ უკანასკნელებში უფრო შესანიშნავი იყვენ თვითონ შალიკაიშვილი და ბესია, გიორგის სახე კი უფრო არ ეკუთვნოდა არც აღელვებულების და არც განრიხებულების რიცხვს; ის ნაღვლიანად იყო ჩაფიქრებული.

- ეი, ღმერთო, ღმერთო! რა მიყვეს იმ იუდეებმა! ათასი ვაისა და უის გამონაცადი ავადმყოფი კაცი ვეგდე ჩემს სახლში, ლოგინზე; შამომიცვინდენ, ძალით დამაფიცეს, საქმეში გამაბეს, რაც შესაძლო იყო, ღმერთმა იცის, წაღმა წევყვანე. ცოტა აკლდა, რასაც ვნატრობდით, იმის

ასრულებას და ახლა მიღლატეს! ფუი, ამისთანა ხალხს! -  
გაცეცხლებულმა წამოიძახა მოთმინებიდან გამოსულმა  
შალიკაიშვილმა.

- რუსეთში რომ ვიყავი, - სთქვა გიორგიმ, - სტუდენტებს  
ხშირათ გვქონდა ხალხის მდგომარეობის შესახებ  
ლაპარაკი; ყველას გული გვეწოდა იმისი ცუდი  
მდგომარეობის გამო, ყველას გვეწადა რამე შველა  
მიგვეცა; ვინ მოსთვლის რა და რა საშუალებას არ  
დავეძებდით ამისთვის. როცა ხალხის აჯანყებაზედ  
ჩამოვაგდებდით ლაპარაკს, ერთი ჩვენი ამხანაგი,  
რომელიც კარგა დაახლოებით გაცნობილი იყო რუსეთის  
დაბალ ხალხთან, მაშინათვე იტყოდა: თქვენ ჩვენი  
გაუწვრთნელი ხალხი სანდო ნუ გგონიათ; ჯერ რომ  
ჩვენმა ხალხმა არ იცის, სად როგორ უნდა მოქმედება, ის,  
სადაც საჭირო არ არის, თავშეუმაგრებელი ჯიუტი  
საქონელივით აწვება და ალევს თავის ძალ-ღონეს; სადაც

საჭიროა, იქ კი გიმუხბოლებს და ხელს არ გაანძრევს. ამას გარდა ხალხი ადვილი მოსატყუებელი და მოსარიგებელია იმის მხრით, ვის წინააღმდეგაც ის აჯანყებულია. მაშინ იმ ჩვენი ამხანაგის აზრი ხალხის შესახებ სიმართლე არ მეგონა, დღეს კი ვხედავ, რომ ჭეშმარიტება ყოფილა.

- ბეგმა რომ შეიგვიანა და არ ასტეხა სროლა, იგი რაღაა? იმანაც გვიღალატა! მოდი, ბიჭებო, ეს ორმოცი-ორმოცდაათი კაცი დევერიოთ რუსებს, რაც შევიძლოთ, დავჟლიტოთ, რაც ვერა, დაგვხოცენ, იგი იქნება! გეიხაროს ჩვენმა მოღალატე ხალხმა!

- ასე უნდა, ასე! - დაუდასტურა ბესიამ, - ამას ვჩივი მეც. თუ დაგვხოცენ, სირცხვილი მაინც აღარ დაგვედება.

- ნამდვილია, ნამდვილი! - დაიძახა რამდენიმე კაცმა.

- მერე ორმოცდაათი კაცი რას დააკლებს იმოდენა ჯარს?

ისევ ისა სჯობია, სანამ ბეგი თავდგირიძე არ ასტეხს სროლას, ჩვენ მოვითმინოთ. როცა თავდგირიძის ხალხი სროლას აუტეხს, მაშინ ჩვენი ვქნათ. ვინ იცის, მაშინ ჩვენ ხალხსაც არ მოუთმინოს ეგება გულმა და ისიც მოგვეხმაროს, - არჩია გიორგიმ.

- დიან, დიან, ბეგს მოვუცადოთ. - დაეთანხმენ ზოგნი.

- კი, მაგრამ, ამ ბეგმაც რომ გვიღალატოს და აღარ ესროლოს, მაშინ რაღაი, სთქვა სიმონ... ძემ.

- რუსის სალდათებმა რომ გზები შეგვიკრეს და ვეღარ მივუდექი, თვარა წევიდოდი, - სთქვა შალიკაიშვილმა.

- ბეგთან მისვლა აღარ მიეწყობა, თავამდი სულ რუსის ყალაურებია, - დაიძახა ვილაცამ.

- ეს მიკვირს ყველაზე უფრო! - უთხრა გიორგის

შალიკაიშვილმა, - წუხელი შელამების დროს რუსები ქალაქიდან თავის გამოყოფას ვერ ბედავდენ და დღეს ძალიან გაუწევიათ, ბეგი და მისი ჯარი თლათ შემოუკვრია! თუ ღალატი არ იყოს, ბეგმა რავა დაანება თავი!

- გასაკვირალი კია, მარა, რაც უნდა იყოს, ჯერ ვერ დავიჯერებ, ჰასან-ბეგმა გვიღალატა მეთქი. იმისთანა ვაჟკაცი ღალატს არ იკადრებს, - სთქვა ბესიამ და შემდეგ დაამატა: - ახლა ერთი უნდა ვქნათ: ამბაკოსთან და გიორგისთან დავტოვოთ ათი კაცი, ვინ იცის ეგება საჭირო დარჩეს, სხვებმა წევიდეთ და ერთი კიდე ვსცადოთ ჩვენებთან, ეგება დაგვიჯერონ, გამოვიდენ საჩხუბრათ. ამასობაში ბეგი, დასტურ თუ არ გვღალატობს, აუტენს სროლას. თუ ყველა გამოგვეშლება და მაშინ თავი შევაკლათ, მეტა რაღაი! ვითამ რათ გვინდა ცოცხალ-მკვტარი თავი!

- ძალიან კარგათ თქვა ბესიამ, ახლავე წევიდეთ ამხანაგებში და თუ იგინმა თხლელი ჭამოს, ჩვენ ჩვენი ვქნათ, - დაიძახა რამდენიმე ხმამ.

ამის შემდეგ დაითვალეს ათი კაცი, რომლებსაც უნდა მოეცადათ ამბაკოსთან და დანარჩენები წავიდენ თავიანთ გულდადებულ ამხანაგებში, რომელთა კარვები ერთი მეორეში იყვენ არეულნი ქ. ოზურგეთის გარშემო. ამბაკოს და გიორგის ძლიერ ესურვებოდათ თითონაც გაჰყოლოდენ ბესიას, მაგრამ იქ მყოფმა ხალხმა ერთპირად ურჩია მათ: შენ, გიორგი და ათმა კაცმა შეიცადეთ, ვინიცობაა, ბეგმა კაცი გამოგზავნოს, სიტყვა უნდა უთხრათო.

მზე სასადილოზე მოახლოვდა, რომ ბესია თავისი ორმოციოდე ამხანაგით კიდევ დადიოდა აჯანყებულებში და იწვევდა მათ: საქმე ყუაზე მიგვიყენებია, ნუ მივაწყვეტთ ბოლოს, მტერის სანატრელს ნუ ვშვრებით,



დავეცეთ ქალაქს და მოვუღოთ ბოლოვო. მაგრამ ამის  
სამაგიეროდ ის ხედავდა, რომ აჯანყებული გლეხები,  
თითქო ვიღაცას მოუჯადოებიაო, სრულიადაც აღარ  
ჰფიქრობდენ ხელის განძრევას. ბესიას რჩევაზე ისინი  
მედიდურად იძლეოდენ პასუხად: “თქვენ ჩვენი  
მოდღვრები ხომ არ ხართ? თქვენ თუ გინდათ, ეჩხუბეთ  
და ჩვენი ჩვენ უფრო ვიცითო. ბესიას მამა გაულახეს და  
ახლა ჩვენით უნდა ნაჩალიკის ჯინი ამოიყაროსო”, -  
ამბობდენ ბესიაზე რამდენსამე ალაგას, როცა კი ბესია  
ზურგს შეაქცევდა და მოშორდებოდა, ერთ ადგილზე  
ბესია შეხვდა ივანე X-ძეს და მის ბიჭ კოზიას: ეს  
უკანასკნელები დადიოდენ ხალხში თავის მხრით და,  
თითქო მახარობელნი არიანო, ეუბნებოდენ ხალხს:  
“გათავდა, ჩვენი საქმე წაღმაა, რაც გინდოდენ,  
გისრულდებიან, დღესვე მოგვივა ნაჩალიკის და  
ბატონებისაგან სიტყვა: ბატონყმოზა დეირლვა,  
გადასახადი მოისპო და შეგვირიგდითო. აღარავის

დაუჯეროთ, ჩხუბი აღარ ატეხოთ”. ბესიამ მოინდომა ივანეს მოკვლა, მაგრამ სიმონი, რომელიც მხარდამხარ მიჰყვებოდა ბესიას, ეცა თოფზე და უთხრა:

- არ გადარიო! შენ რომ ახლა ივანე მოკლა, ბიჭები მაშინვე ჩხუბს აგვიტეხენ და მტრის გასახარელი საქმე მოგვივა, ერთი-მეორეს დავსწყვეტთ!

- ღმერთმა იცის, ამის სიკვტილი კაი საქმე იყო, მარა არ დამანებეთ და იგია! ბესიამ მოშალა დამიზნებული თოფი. ივანე, თუმცაღა გვარიანი მოშორებით იყო ამ დროს და არ გაუგია არც ბესიას სიტყვები და არც ის, რომ თოფი დაუმიზნეს, ბესიას დანახვაზე მაინც დაბრუნდა უკან და თავისთვის ჩაილაპარაკა: „მაცა პაწაი და გაჩვენებ სეირს!” ბესიას და მის ამხანაგებს, რასაკვირველია, არ გაუგონიათ ეს ივანეს სიტყვები ისინი ამ დროს, ის იყო, ავიდენ ერთ გორაკზე, სადაც რამდენიმე ხის ტოტისაგან გაკეთებული, ისლით და ჩალით დახურული კარვები იდგა. ამ კარვებში

მყოფი ხალხი ახალი ამდგარი იყო და, თითქმის თავიანთ კერასთან არიანო, ისე ზოგნი ზანტად პირს იბანდენ, ზოგნი პირჯვარს იწერდენ და ზოგნიც საუზმეს შეეჭეოდენ. იმათი თოფ-იარაღი უპატრონოსაებრ ეკიდა კარვის ღობეებზე.

- ყოჩაღ შენ კაცობას, ათანიავ, აგი იყო შენი იმედი, რომ გვიჭირს, მაშვინ წელშიშველი დეიარები! ბოლოზე გატეხე ჩხირი და მიგვატეი! ბედაური ბოლოსო, მაინც აღარ გაგიგონია? - მიაძახა ბესიამ საყვედურით ერთ კარგა მოყვანილ ტანის ყმაწვილ კაცს, რომელიც ჯანყის მოთავეთაგან ითვლებოდა და ძალიანაც თავგადადებით დასტრიალებდა, სანამ შემორიგებაზე არ მოესმა ხმა.

- რას მერჩი? ჩვენ რომ გვინდა, ისე გვირიგდებიან თურმე და მეტი რაღა გვინდოდა? - უპასუხა ბესიას ყმაწვილმა კაცმა.

- კი ნახავ თუ გვირიგდებიან! დათას და ივანეს დაუჯერე!
- დედავ! აბა მოგვატყუეს! დღეს და ხვალ ვუყუროთ და, თუ ცრუობა დარჩა, სად წამივა! თვალებს მოვსთხრი!
- კი, უწინ შენ მეითხარე თვალები და მერე თვალებმოთხრილი ძალიანს არ დეინახავ მტრის თვალებს!

სიმონს და რამდენსამე სხვებს გაეცინა ბესიას სარკაზმულს ხუმრობაზე.

- მზიარულია თუ ჯავრიანი, მაინც ასე საცინელი ხუმრობა იცის ბესიამ, - სთქვა სიმონმა, შემდეგ შეხედა მზეს და უთხრა ბესიას: - ბესიავ, მგონია, ჰასან-ბეგმაც გვიღალატა, თუ არა. რა იქნა ამდღონ ხანს რომ არაფერი ისმის!
- ფარცაგი აღარ არის, მეც მწამს! შალიკაიშვილთან

გავბრუნდეთ და რაც დავთქვით, იგი ვქნათ, - უპასუხა ბესიამ და შემდეგ ერთი კიდევ მიუბრუნდა ათანასს, იქნება დავაჯერო როგორმე და გავიყოლიო, მაგრამ ვერ მოასწრო ორი სიტყვის წარმოთქმა, რომ მოისმა ვიღაცას ყვირილი: “დაგვზოცეს, დაგვზოცეს! ღალატია, თავს ვუშველოთ!”

ბესიამ გაიხედა ამ ყვირილზე და დაინახა, რომ აჯანყებულების კარვებს შემოადგენ რუსის ჯარი და ცხენოსანი იმერლები. აჯანყებულებში ატყდა საშინელი ფაციფუცი: “არიქა, თავს ვუშველოთ, ტყისკენ გავიქცეთ, ტყისკენ” - გაისმოდა ყოველგან, მაგრამ აღარც ეგ ტყისკენ გაქცევა იყო საადვილო, რადგანაც რუსის ჯარი უფრო და უფრო ტყეს ეტანებოდა და, მცირეოდენს გარდა, სულ გადაეჭრათ ტყის ნაპირი. “თოფი, ბიჭებო, თოფი! თხებსავით დავპანტოთ მტერი!” - დაიძახა ბესიამ, გაიწია წინ, ცხენოსანი იმერლებისაკენ დამიზნებული თოფით

მოახტა ხეს. ბესიას გადაჰყვენ სიმონ და სხვა ამხანაგები, რომლებიც იმ დილაზე დადიოდენ მასთან. დაიჭეჭა რამდენიმე თოფმა და თვალის დახამხამებამდე რამდენიმე იმერელი უსულოდ გადავარდა ცხენიდან. “დათამ გვიღალატა, ბესიას გავყვეთ!” დაიკვივლა ათანამ. ამ ხმამ ერთი ასიოდე კაცი მიუმატა ბესიას ამხანაგობას, რომლებიც ამ დროს ხეზე მოფარებულები სტენავდენ თავიანთ თოფებს.

- წავხთით, ამბაკო და გიორგი მოკლული იქნებიან ახლა! - უთხრა ჩქარი ლაპარაკით ბესიამ სიმონს, რომელიც ბესიასთან ერთად ეფარებოდა ხეს.

- ნუ გეშინია, იგინს იმისთანათ მორთული ადგილი აქვან, რომ ფრჩხილსაც ვერ წასტეხენ, უპასუხა ამ უკანასკნელმა.

- ჰო, ჰო, გორას მოეფარებოდენ, სთქვა ბესიამ. - ხეს

მოეფარეთ, ხეს! - დასძახა ამხანაგებს და გაისროლა თოფი, რომლის ხმას გაჰყვა ასზე მეტი თოფის ხმა და მათ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ჯერ კიდევ ტრიალ მინდორში იყვნენ, კიდევ გამოაკლდა რამდენიმე კაცი. ერთი ხუთიოდეხელ კიდევ ამისთანა, და რუსის ჯარი მათი მომხმარე იმერლებითურთ იძულებულნი იქნებოდნენ დაქანებულიყვნენ უკან, რასაც ის შედეგი ექნებოდა, რომ აჯანყებულები წაიყრიდნენ თავს და ხელახლა გამაგრდებოდნენ. აი სწორეთ ამ დროს აზნაური ივანე X-ძე და მისი ბიჭი კოზია მოეფარენ ბესიას და სიმონის უკან ხეებს და, თითქო რუსებს ესროდნო, მონარტყეს ბესიას ზურგში და სიმონს მხარში.

- ჰასან-ბეგო, გვიღალატე, მარა გადაგიხდის გურია! - დაიძახა ბესიამ, დაეცა მიწაზე, კიდევ რაღაც ჩაილულლულა დათაზე და დალია სული.

- ბესიავ, მოგვკლეს! - დაიძახა სიმონმა და ისიც დაეცა

მიწაზე, მაგრამ ერთმა ამხანაგმა, რა დაინახა, რომ სიმონი ჯერ კიდევ ცოცხალია, იქნება არ მოკვდესო, მოიგდო ზურგზე და გასწია ტყისკენ. მეომარმა აჯანყებულებმა ჯერ ვერც კი შეიტყვეს ბესიასა და სიმონის გამოკლება, ისე თავგანწირულნი ესროდენ მათ მოწინააღმდეგე რუსის ჯარს და იმერლებს, რომლებიც ჯერ ვერ ახერხებდენ ქალაქიდან ზარბაზნების გამოტანას და იმითი მოქმედებას, რის გამოც თანდათან ზიანდებოდენ აჯანყებულების ტყვიით. მაგრამ ამ დროს ივანე X-ძე და მისმა ბიჭმა, რომლების შესახებ არავის გაუგია, რომ მათ იმ ერთი წამის წინ თოფი ჰკრეს ბესიას და სიმონს დაჰკივლეს “დაგვხოცეს, ბესია და სიმონ მოგვიკლეს, თავს ვუშველოთ!” ხალხმა, რა გაიგონა ეს ხმა, იბრუნა ზურგი, მიატოვა ბრძოლის ველი და გაიქცა ტყეში. “არ გაუშვათ, დახოცეთ!” - თავისებური კიჟინის ხმით დასძახა თავადმა დათამ, რომელიც ამ დროს ცხენოსან იმერლებში ერია. იმერლები და რუსის ჯარი დაედევნენ



დამარცხებულ გლეხებს, მაგრამ ტყეში შესვლას ვერა  
ჰბედავდენ, რადგანაც ეგონათ, რომ გლეხები  
მოგვიბრუნდებიან, მოეფარებიან ხეებს და  
დაგვზოცავენო. საჩქაროდ გამოიტანეს ქალაქიდან  
ზარბაზნები და რამდენისამე საათის განმავლობაში  
ესროდენ ტყეში იმ მხარეზე, საითკენაც დამარცხებული  
გლეხები პასუხის გაცემას ვერ ჰბედავდენ. რუსის ჯარმა  
და მათმა მხარმა იმერლებმა დასტოვეს ოზურგეთის  
გარშემო დარაჯები და შებრუნდენ ქალაქში. გაბრუნების  
დროს თავადმა დათამ დაინახა მოკლული ბესია და  
დაუწყო ნიშნის გება:

- აა, გლეხების გენერალი მოუკლავთ! რაღა ეშველება  
ამბაკო შალიკაიშვილს, თანაშემწე რომ აღარ ეყოლება აწი?  
ჰა, შენ გვართმევდი შინაყმებს! ის არ, გერჩია შენის  
ბატონისთვის გემსახურებია და ცოცხალი ყოფილიყავი?  
შეგჭამოს აქ ტურებმა და მგლებმა!

ამ ლაპარაკზე მოვიდენ რამდენიმე იმერელი და რუსის ოფიცრები და რა შეიტყვეს მოკლული ჯანყის თავი იყოვო, იმათაც თავის მზრით დაუწყეს ბესიას ლემს მასზრობა. მხოლოდ ერთმა ოფიცერმა რა დახედა ბესიას ვაჟკაცურ მოყვანილობას, შეიბრალა ის და სთქვა:

- Как хотите говорите, а это весьма неприятное явление, если наше войско вследствие таких глупых бунтов будет истреблять таких здоровяков крестьян. Вы должны знать, что силу государства составляют рабочий люд - крестьяне, они кормят всех\*.

ამ გულშემატკივარ ოფიცერს ამხანაგებმა დააყარეს სიცილი და მიაძახეს:

- Видьте, ему жаль, что убили атамана бунтарей.

- Как-же не жаль убить такого здорового земледельца!\*\*

არ შეაწბილდა გულშემატკივარმა აფიცერმა თავისას.

საღამო ჟამს მინდორი სრულიად დაიცალა მეომართაგან; ბესიას და სხვა მოკლულების გვამი დარჩათ ტურამგლებს, რომლებმაც იმავე ღამესვე გადაითრიეს ტყეში და დააწიოკეს.

## XVIII

სულ ჩვენი მეზობლობა შემოვიარე და ამ სამი დღის აქეთელი ამბავი რომ იცოდეს, იმისთანა კაცი არ არის! - ნაღვლიანად უთხრა მანამ თავის დედას მაღალ-მაღალ, წელში მოხრილ მოხუცს, სწორედ იმ საღამოს როცა მთავრობის ჯარმა დაამარცხა აჯანყებულები. მოხუცმა მოჰმუხნა თავისი ხმელი, ამაყი სახე და სთქვა:

- რა იქნა, რომ არ ვიცი! აქამდი დილა-საღამოს ვტყობილობდით ყველას და ახლა სამი დღეა ველარაფერი

შევიტყვეთ. აი სიზმარიც რომ აღარ მომეკარა! სხომის, შვილო ბესიეი რომ სადმე იქნებოდა, ყოველთვის ვნახავდი სიზმარში, ახლა კი, ოთხი ღამეა მას მერე, მესიზმრა ვითამც ბესიეი, ენაცვალა დედამისი, მისებურა ჯილათ დეიარებოდა ეზოში.

- კაი და კეთილია, ნენა გუშინწინ. ღამით მეც მესიზმრა, ვითამ ბესიკი და სიმონ ორივე მევიდენ და მეიტანეს ამბავი, რუსები გავაქციეთო...

მანას უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს სახლის კარზე მიადგა მამამისი და დაეკითხა მას:

- ცავ, მანავ, არაფერი ამბავია?

არა, ბაბავ, სამი დღეა არაფერი შეგვიტყვია.

- რა თქვი? - ჰკითხა ხელახლავ შავარდენმა (ეს სახელი

ერქვა მანას მამას), რომელსაც ღრმა მოხუცების გამო უერთ დაჰკლებოდა.

მანამ გაუნმეორა პასუხი მამას უფრო ხმამაღლა.

მოხუცმა მძიმედ დაიკვნესა ამ პასუხზე და წარმოსთქვა:

- სამ დღეს კაცმა რავა უნდა გაჩერდეს ამბის შეუტყობლად! რა დიდი საქმეა ოზურგეთს გარბენა? მარა ახლა რომ მოვხუცთი და წავხთი, ჩემთვის ყველაი დიდი საქმეა. შვილი ჩემი ნუგეში, ვაჟიშვილი თოფის პირზეა აფარებული და მე მისი ამბავი ვერ შემიტყვია! ეი, მოხუცებავ, რა შერცხვენილი ხარ!.. ამ ოცი წლის წინათ თუნდა ქუთაის რბენით მივიდოდდი და ახლა ეზოდან გადარება აღარ შემიძლია!..

ამ ლაპარაკით მოხუცი შევიდა სახლში და მიუჯდა ცეცხლის პირს, რადგანაც იმ საღამოს ცოტა გრილოდა. ამ

მოხუცს ჯერ კიდევ ეტყობოდა სახეზე, რომ ის ყმაწვილობისას ძლიერ ეგვანებოდა თავის ასულს, მანას.

- ჩვენი ხიზანი ქალები სად არიან? - ჰკითხა ბოლოს მოხუცმა.

- ძროხებიზა წევიდენ, - უპასუხა მისმა მეუღლემ და შემდეგ უთხრა მანას, - აწი, შვილო, შენც წადი ძროხიზა, აგერ, ხედავ, მზე ჩავიდა.

მანამ დაუძახა ძაღლებს, წაიტანა თან და წავიდა ძროხის მოსადენათ. იმ დღემდე, როცა ძროხის მოსადენათ წავიდოდა, ყოველთვის გაუვლიდა თავის მეზობლის ქალებს, წაიტანდა იმათაც და შინ მოსვლამდე ბავშვივით კისკისებდა და ცელქობდა იმათთან. მაგრამ ამ დღეს ძლიერ დაღონებული იყო თავისი ძმის ბესიას ამბის გაუგებლობის გამო. “სწომის დილიდან სალამომდე რაც მოხთებოდა, ყველას ვტყობილობდით, - ფიქრობდა ის, -

ახლა რა არის, რომ მიყრუვდა და აღარაფერი ისმის? ვაითუ რუსებმა დასძლიეს და ჩემი ძმა და სიმონ დეიჭირეს! მარა აგი არ იქნებოდა. ბესიას ადვილად ხელს ვერ სტაცებენ. მის აღმურ თვალებთან ვინ რას გაბედავდა!” მანას გულშიაც არ გაუვლია რომ დაჭერის გარდა კიდე შესაძლებელი იყო ისიც, რომ მისი ძმა მოეკლათ თოფით. მანას ამასთან მოაგონდა იგიც, რომ აგერ ერთ თვეზე მეტი იყო, რაც თანისთან ყოველდღე ისმოდა ხმა: აჯანყებულებმა აქ მეგრელები დაამარცხეს, იქ რუსებს ზარბაზანი წაართვეს, იმერლები იფრინეს და ცხენები წაართვეს და სხვა. “ღმერთო დიდებულო, - გაიფიქრა მანამ, - რეზა ვიკლავ თავს ჯავრით! ამდენი ხანია სულ ჩვენებია გამარჯვებული და ამ სამ დღეს ისე რავა შებრუნდებოდა საქმე, რომ მტრის გულის გამხთარიყვენ!” სწორედ ამ ფიქრებზე იყო მანა გაჩერებული, რომ იმ წყაროსთან, სადაც ის ხშირად დადიოდა, დაინახა ვილაც კაბალახით თავშეხვეული კაცი,

რომელიც იჯდა და თუთუნს სწევდა. მანა პირველად შეფიქრიანდა, თათარია ეგებაო, მაგრამ ბოლოს გადაატრიალა ეს სწრაფად მოსული აზრი და სთქვა თავის გულში: “რა დროს თათარია, ქვეყანას თოფი უჭირავს ხელში!” ამ ფიქრით ის დაუახლოვდა წყაროს, რომელსაც გაუვლიდა გზა, და იცნო, რომ ის, ვინც მან პირველად ჩასთვალა თათრად, იყო ივანეს ბიჭი კოზია. თუმცაღა მანას ბედით ინსტინქტურათ სძულდა ეს კაცი, ზიზღის ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში, როცა ის კოზიას ნახავდა, მაგრამ, რადგანაც მას შეტყობილი ჰქონდა, რომ კოზია აჯანყებულებში იმყოფებაო, გადასწყვიტა ამ შემთხვევაში გამოსცხადებოდა კოზიას და გამოეკითხა ბესიას და სიმონის ამბები. მაგრამ კოზიამ დაასწრო და უთხრა:

- სალამი, მანა!

- სიცოცხლე, ნიკოლოზ! - უპასუხა მანამ და დააპირა



რატომაცაა გამოკითხვა, მაგრამ კიდევ კოზიამ დაასწრო და უთხრა:

- მანა, რა ამბავია სოფელში, რა ისმის ჩვენზე?

- მანამდე სულ გეიმარჯვეს და გეიმარჯვესო, ისმოდა; აგერ სამი დღეა აქ არაფერი შეგვიტყვია. მითხარი, ჩემი ძამიეი, რა ქენით, ჩემი ძმაი რავა არის?

- გამარჯვება ჩვენია და ჩვენი. შენი ძმაი ძალიან კარგათ არის, მარა ჯერ ბესიეი შინ ვერ მოვა. საქმე არ გაგვითავებია. მე დღეს წამოვედი, ბესიას ვკითხე, შინ თუ რამეს შეუთვლი, მიუტან-მეთქი, მარა სიმონ მივა ამელამ და იმის პირით შევუთვლით, მითხრა. ამელამ მე მასთან მივალ, თუ რამეს შეუთვლი ბესიას, ვეტყვი.

- მადლობელი ვარ, შესათვალი არაფერი მაქ, - უპასუხა მანამ, გადაუხადა კიდევ მადლი და წავიდა თავის გზაზე.

მეტი სმეტად გამხიარულა ძმის შესახებ კარგმა ამბავმა და ამასთან იმანაც, რომ შეიტყო ამელამ სიმონი მოვაო. “ზოგი ჭირი მარგებელიაო, იტყვიან, იმისი არ იყოს, კოზია მძულდა და ახლა ძალიან მასიამოვნა ამ ამბებით”, - გაივლო მანამ ფიქრში, მაგრამ ამ დროს გაახსენდა ის საეჭვო გამომეტყველება, რომელიც კოზიას ეხატებოდა სახეზე და დაფიქრდა: “მართლა, ის ეშმაკური ღიმილი და თვალების ტრიალი რაღა იყო?” - დაეკითხა მანა თავის გულს და ბოლოს თითონვე ახსნა ეს კითხვა: მარტოთ რომ მნახა, უეჭველათ გულმა რამე უთხრაო.

როცა მანა სახლში დაბრუნდა, მშობლებმა მაშინვე შეატყვეს, რაღაც კარგი ამბები შეუტყვიაო.

- შენ რაცხა კი შეგიტყვია? არიქა, ქალო, მომარჩინე მითხარი, მანა, რა ამბავია? - ჰკითხა დედამ.

- ბესია კარგათ არის და საქმეც კარგათ მივაო.

- დედაშვილობამ ხეირი მისცეს, ვინც ამისთანაი კაი ამბავი მოგვიტანა.

- გამარჯვება ჩვენების არისო? - იკითხა მანას მამამ.

- ბესიეი კარგათ არის და ამელამ ტკბილათ დამეძინება.

- ღმერთო, მაღლი შენ.

ამბავი გამოკითხეს ხიზნებმაც და ძლიერ გაიხარეს -  
“ჩვენებს გაუმარჯვიაო” - ამის გაგონებით.

- ვინ გითხრა, მანა? დაეკითხა დედა.

მანას არ უნდოდა გაემხილა, რომ კოზიეი მარტო ვნახე და ველაპარაკეო. ამიტომ უპასუხა დედას:

- ვინცხა თოფიანი კაცი ვნახე გზაზე, მივხვთი

ოზურგეთიდან მოვა-მეთქი, ჩვენი ესიკაის ბიჭს ვაკითხვით ამბავი და იმან თქვა ყველაყაი.

მანამ დაამატა ისიც, რომ შეიტყო ამაღამ სიმონა მოდისო.

- ხეირი მისცა დედაშვილობამ, - სთქვა კიდევ მანას დედამ, რომელიც მარდათ შეუდგა ვახშმის კეთებას და ჩვეულებრივზე უფრო ადრეც მოამზადა, რადგანაც სადილი ყველას უმაღლედ ეჭამათ ბესიას ამბის გაუგებლობის გამო.

დღე გამოეთხოვა ქვეყანას. ღრუბლიანმა ღამემ ისეთი თვალთუხელი სიბნელე დაუშვა, რომ გეგონებოდათ მთელი სამყარო სიბნელის ოკეანმა შთანთქაო. მანა და მისი მშობლები ზიზნებითურთ ქეიფიანად შეექცეოდნენ ვახშამს და სვამდნენ აჯანყებულების სადღეგრძელოს. მანა ხშირად გაჩერდებოდა და გაიყურებოდა, იქნება სიმონ მოდის და ძაღლებმა დაუწყოს ყეფაო. მაგრამ

სრულიათ არარა ისმოდა. უეჭველათ სიმონს უნდა ჯერ მე მნახოს ჩუმათ და ამიზა არ მოვიდა ამელამ ჩვენსას”, - დაასკვნა მან, რა რომ ვახშამი დასრულდა და სიმონი არ გამოჩნდა. მაგრამ ამ ქალს რომ ამ დროს თავის ეზოს მახლობელ ბუჩქნარში გაევილო, დარწმუნდებოდა, რომ მწარედ მოვტყუებულვარო, რადგანაც, ნახავდა იქ კაზიას და ორს ვილაც ყმაწვილს, რომლებსაც ჰქონდა ამ დროს შემდეგი ლაპარაკი.

- კოზიავ, ვაითუ ეჭვი აგართვა და მის მაგიერ ახლა იმ ნიგვზის ძირში ვინმე თოფიანი კაცი გვიდარაჯებს ჩვენ მოსაკლავათ.

- რა ეჭვიანი ხარ! ვინ მისცა გამოუცთელ ქალს ამდენი ხერხი, რომ ეჭვი ამართვას! მე იგი ისე დავაჯერე, ამელამ სიმონ მოვა მეთქი, რომ ახლა კარში დარაჯობს.

- ხომ ნამდვილათ იცი, სიმონს და მანას რავა პაემანი

ჰქონდათ? - ჩაერია ლაპარაკში მეორე ამხანაგი.

- რავა არ ვიცი, - უპასუხა კოზიამ ორჯელ ჩუმათ გამოვყევი ღამე სიმონს და ყველაფერი შევიტყვე. მე მივალ დიდი ნიგვზის ძირში და სიმონივით დევისტვენ. მანაი გამოვა, სიმონ ვეგონები და მოვა ჩემთან. თქვენ იქინეი ახლო იქნებით ჩასაფრებული და, მე რომ ქალს ხელს მოვკიდებ, მომეხმარეთ.

- ეი, ბიჭო, რა მუდრეგია სიკვტილი! ბესიეი რომ ცოცხალი იყოს, ხომ ვერ გავბედავთ ამას? ხომ უძებრ-საძებრით მოგვნახავს, დედამაწაში რომ ჩევიდეთ, იქინეო ჩამოგვდევს და მოგვკლავს, - თქვა ერთმა ამხანაგმა.

- ძალიან ბიჭი გათავდა, - უპასუხა მეორემ.

- რა მხთალები ხართ! ბესიეის ძოვრს ახლა მწერები ჭამს და თქვენ ისე ლაპარაკობთ, რომ კაცმა გიყუროს, კიდევ

მისი ეშინიათო, იფიქრებს, - შეუწყრა კოზია.

- შიშით რეის უნდა მეშინოდეს? ბეისეი ახლა ვითამ ქვეყანაზე მის დღეში არ ყოფილა, - უპასუხა ერთმა.

- შიშით არ მეშინია და ისე ძაან დასაფიქრებელი კია აი სიკვტილი. კაცი დღეს ცოცხალი იყო, ათას რამეს ფიქრობდა და ახლა მის ხორცს მწერები ჭამს! მე რომ ამას დავეყურე, ტვინი დამება თავში, - თქვა მეორემ.

- შენ, სულელო, ბრიყვულს რომ ედები, ერთი აგერ მიყურე რანაირათ მოვატყუე მანაი. ვუთხარი შენი ძმაი კარქათ არის და შენთან სიტყვები სიმონის პირით შემოგითვალა, სიმონ ამელამ მოვა-მეთქი. იმისთანა გუუხარდა აგი ამბავი, რომ მეთხრობია, მგონია, მაშვინ მაკოცებდა კიდევ, - შეატრიალა ლაპარაკი კოზიამ, რომელიც ამ დროს გატაცებული იყო მანას სურვილით და სრულიადაც არ თანაუგრძნობდა ახირებულ ფიქრებში

თავის ამხანაგებს.

- ჰოი, შენ ყურმსალო, შენ! რა ანგელოზი ქალი უნდა ჩეიგდო ხელში! შენი სული ახლა იმასთან არის, - გაეხუმრა ერთი.

- ჩვენს ქვეყანას მეორეს აღარ ეყოლება შენისთანა ცოლი.

- შენმა ბატონმა ივანემ არ წაგართვას, ძან სუნაგი კაცია ამისთანაობაში, - უთხრა მეორემ.

- თქვენ დარდი ნუ გაქ. ერთი რომ ცუდი თვალით შეხედოს, სიცოცხლეს მოვუსპობ.

- უჰ, უჰ, რა მტკივა მუხლები. ეს ოხერი სულ რბენით წამოვიდა, - წამოიძახა ერთმა, რომელიც გრძნობდა ძლიერ დაღლილობას, რადგანაც კარგა ძალი გზა მართლადაც რბენით გამოევლო თავისი ამხანაგის კოზიას



გულისთვის.

- მეც ძაან მტკივა, - თქვა მეორემ.

- ფუ, თქვენს ვაჟკაცობას! რალა მოწიფულები ხართ, თუ ნახევარ დღის რბენაზე სალამოს დედაბერივით დაიწყებთ კვნესას. ისე რომ არ გვერბინა, ხომ ვერ მოუსწრებდით. - უპასუხა კოზიამ, რომელიც მართლადაც, ისეთი ჯანსაღი იყო, რომ სამი დღე რომ ერბინა, მაინც არ დაიღლებოდა.

- ამას დაეთხუე, არ დაგვიგვიანდეს იი ნიგოზთან წასვლა,  
- თქვა ერთმა.

- არა, ჯერ ადრეა, თვითონ გეტყვი, როცა იქნება დროი, -  
უპასუხა კოზიამ.

მანამ სრულიად ეჭვითაც არ იცოდა, რომ მისივე ეზოს მახლობლად მას ასეთ მახეს უგებდენ და მის ხელში

ჩაგდებას მეცადინეობდენ. ამიტომ იმ დროს, როცა მის შესახებ კოზიას და მის ამხანაგებს ისეთი ლაპარაკი ჰქონდათ, როგორც ზევით მოვიყვანეთ, მანა დაწვა კიდეც ლოგინში და გულის ძგერით სულგანაბული უცდიდა იმ დროს, როცა მისი მშობლები და ხიზნები ძილს მიეცემოდენ. “სიმონ ახლა უეჭველათ ნიგვზის ძირში ზის”, - უტრიალებდა მანას ფიქრებში. ბოლოს შემოესმა მას ნელი სტვენა. მანას გულის ძარღვმა ამ სტვენაზე ისე მოუხშირა ცემა, რომ გეგონებოდათ დავლი დაუკრეს ამ ქალის გულშიო. როცა სტვენა გამეორდა და გამესამდა, მანა წყნარად ადგა ლოგინიდან. ერთ წამზე გააყურა და როცა დარწმუნდა, რომ სულ ყველას სძინავს, წყნარად გააღო ქვეითა კარი და გამოვიდა გარეთ. “ოჰ, რა ბნელი ღამე ყოფილა! მარა უკეთესიც არის ბნელი ამისთანა საქმის დროს”, - გაიფიქრა მან და გასწია ნელის ნაბიჯით ნიგვზის ხისკენ. როცა მიუახლოვდა ნიგვზის ხეს, მან დაინახა ადამიანის აჩრდილი. “სიმონო!” - შესძახა ნელის

ხმით და მოეხვია. მაგრამ რა შენიშნა, რომ თავი შეხვეული ჰქონდა, ჰკითხა:

- თავი რომ შეგიხვია კაბალახით, ავად ხომ არ ხარ?
- სურდო დამემართა, ხმაც წამართვა და თავიც მტკივა.
- სურდო? აბა მე დამიტიე და შენ ქე მორჩები.
- შენ ვერ გაგიმეტებ. სხვაი რა ამბავია, მანა. კარქათ ხარ?
- მე რა მიჭირს, თქვენ თუ კარქათ მყავხართ. ჩემი ძმაი კარქათ არის? შინ როის მოვა?
- ძან კარქათ არის, შინ ამ კვირეში მოვა.
- ხომ კაი მოწყობილი ხართ შენ და იგი?

- ერთსულათ ვართ. შაქარს არ ჭამ?

- შენს ნახელავს შაქარს კი არა, თუ გინდა ნახშირიც იყოს.

- აბა გააღე პირი, ჩემი ხელით ჩაგიდობ. ძაან გააღე, დიდრონი ნატეხია.

მანამ გააღო პირი და იგრძნო, რომ შიგ ჩაუდვეს დიდი ნატეხი შაქარი.

- აბა კიდევ, ახლა უფროსი ნატეხია, ძაან ასწი პირი.

- სიმონ, ხომ არ მარჩობ?

გაეხუმრა მანა და დააღო პირი, მაგრამ ამ დროს შაქრის მაგიერათ მას ჩაუდვეს პირში დახვეული ხელსახოცი ისე მაგრად, რომ კინალამ სული შეეხუთა. ჯერ ხუმრობა ეგონა, უნდოდა ეთქვა კიდევ, სიმონ, ამისთანა

ახირებული ხუმრობა სხომის არ იცოდი შენო, მაგრამ როცა დაინახა ორი ვიღაცა თოფიანი კიდევ მოვიდა და საჩქაროდ შეუკრეს ხელები, მიხვდა რაც ამბავი იყო. საწყალ მანას უნდოდა დაეკივლა, მაგრამ ხელსახოცმა, რომელიც პირში მაგრად ჰქონდა ჩახვეული, კრინტიც არ დააძვრია. ამ დროს ის მოიგდეს ზურგზე და რბენით გასწიეს. მანაის სამწუხაროდ ძაღლებიც ხმას არ იღებდენ, რადგანაც ისინი წინათვე დაჩვეული იყვენ მანას და სიმონის ნახვას, ამ ნახვის ნიშანს - სტვენას და ამით მოსტყუვდენ. იმათაც მანასთან სიმონი ეგონათ და ყურადღებასაც არ აქცევდენ, რომ მათი პატრონი ქალი, მანა, სადღაც წაიღეს.

## XIX

ქრისტეშობისთვის მარხვების დაწყებას ათი-თხუთმეტი დღელა აკლდა. თავადი NN-ის სასახლეში ძალიან ფაციფუცი იყო. შინაყმები მისეოდენ და აკეთებდენ

საქორწინო კარავს, ანუ როგორც ისინი ეძახდნენ - სეფას. ისინი (შინაყმები) თვით სექტემბრის თვეშივე მობრუნებულიყვენ თავის ბატონ თავად №№-თან. აი როგორ მოხდა იმათი მობრუნება: სექტემბერში, როცა დამარცხებული აჯანყებულები გაიფანტნენ თავიანთ სახლებში, მთავრობამ დაიბარა გურიის გლეხები და დააფიცა ჯერ რუსეთის იმპერატორის და მერე ბატონის ერთგულებაზე. ფიცის მიღების შემდეგ გამოუცხადეს, რომ გურიის გლეხებმა უნდა გადაიხადონ ყოველწლიურად ხაზინაში შესატანად ფული და აგრეთვე ყველა შინაყმები უნდა მობრუნდნენ თავიანთ ბატონებთან, რომლებსაც უნდა ემსახურონ ჩვეულებისამებრ. მეორე დღესვე ამ განცხადებიდან ყველა გურიის მებატონეებს დაუბრუნდათ თავიანთი შინაყმები, რომლებშიაც ეხლა, შესაძლებელია, ათასზე ერთი ერია ისეთი ადამიანი, რომელიც კიდევ ფიქრობდა აჯანყის განგრძობაზე, დანარჩენები კი სრულიად

დამშვიდებულნი იყვენ და ნანობდენ კიდეც, რატომ შევცდით, მთავრობის და მებატონეთა წინააღმდეგობა რომ გავბედეთო. ამ უკანასკნელთა დასს ეკუთვნოდენ თავადის №№-ის გლეხებიც. ისინი სრულიად კანონიერად სთვლიდენ, რომ ქალბატონი №№-ი ლანძღავდა და აგინებდა იმათ, აჯანყება როგორ გაბედეთო. “ჩვენი ცოდვა ეწიოს, ვინც ჩვენ შეგვაცთინა! თვარა ჩვენი ბატონის უარისყოფას რავა ვიფიქრებდითო!” - უპასუხებდენ ისინი ამ ლანძღვა-გინებაზე.

- არიქა, ბიჭებო, კარგი სეფა გააკეთეთ და მაგიერში ქორწილის დღეს სუყველას დაგათრობთ, - ეუბნებოდა ხსენებულ დღეს თავადი №№-ი გულშემატკივარ შინაყმებს.

- თქვენის კარგათ ყოფნით, ბატონო, დავლევთ და დავლევთ ჩვენი ახალგაზრდა ქალბატონის და ვაჟბატონის სადღეგრძელოს, - პასუხობდა ხან ერთი და

ზან მეორე შინაყმათაგანი.

აგერ ნახევარ თვეზე მეტი იყო, რაც გულო და გიორგი დანიშნულიყვენ ერთმანეთზე საცოლქმაროდ. ამ ორი აქამომდე და-ძმად აღსარებული ყმაწვილი ქალისა და კაცის ერთმანეთზე ცოლ-ქმრად დანიშვნა მოახდინა შემდეგმა შემთხვევამ: ჯანყის დაწყნარების შემდეგ, გულოს სასიხარულოდ, გიორგი დაბრუნდა თავის სახლში, ესე იგი თავად №№-ის სასახლეში. ამ დროდან მოწყებული, გულო თვალზე არ იცილებდა მას. მის გიორგისადმი ტრფიალებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ მხოლოდ ერთი ამისი თქმაღა აკლდა ამ ქალის მხრით: “გიორგი, მიყვარხარ და შემირთე ცოლაღო”, სხვა აღარაფერი. გიორგი, როგორც ჭკუაგამჭრიახი კაცი, ცხადად ხეღავღა ამას და აყვედრიღა თავის თავს: მე რომ ბუნებითი საგნების და კანონების ახსნა არ დამეწყო ჩემი დისტვის, ის თავის დღეში ამისთანა რასმე გულშიაც არ



გაიტარებდაო. რომ გაესწორებია თავისი დანაშაული, მან ეხლა დააწყებია გულოს საღვთო წერილის - სახარების, სამოციქულოს და დავითნის კითხვა და გადაჭარბებით უხსნიდა მის შინაარსს ანუ ტექსტებს. ამასთან გიორგი ხშირად ეუბნებოდა გულოს, რომ სიყვარული ბავშვური გრძნობაა და არავის უნახავს, რომ შეყვარებულებს ბოლოს და ბოლოს არ ენანოთ, რატომ წავაწყდით ასეთ სისულელესო. ვინ მოსთვლის რა ხერხსა და საშუალებას არ ხმარობდა გიორგი, რომ დაეცხრო გულოს გულში აღძრული მზურვალე გრძნობა - სიყვარული, მაგრამ ყოველივე ამას იყო, გულოს გულში გიორგის დაეჭირა ვრცელი ადგილი და არავითარი საშუალებით აღარ გამოიდევნებოდა იქიდან. “არა, ნამდვილ გულიდან დაბადებულ სიყვარულზედ ამისთანა შელოცვა ვერ გასჭრის”. ვითომდა ნამდვილის გრძნობით შექმნილ სიყვარულს საღვთო წერილის სიტყვები ვერ დაარღვევენო, ამბობდა გულო თავის გულში გიორგის

პასუხად, იმ დროს, როცა გიორგი უხსნიდა მას საღვთო წერილიდან რომელსამე ტექსტს, რომელშიაც ხორციელი სიყვარული იგულისხმებოდა. ერთ დღეს თავადი №№-ის სასახლეში, როცა თავადი №№-ის სახლეულობა სადილზე ისხდა, მივიდა პეტრე სალოსი.

- აა, პეტრე, პეტრე! სად ყოფილხარ, მოდი აგერ ჩემთან დაჯექი, - მიაძახა თავადმა №№-მა.

- ჰა, ჰა, ჰა, ჰა, - გადაიხარხარა პეტრიამ ჩვეულებრივად, დაჯდა გულოს გვერდით და უთხრა თავად №№-ს:

- არა, ამასთან ჯობს ჯდომა.

- მადლობელი ვარ, ჩემო პეტრია, რომ ყველაში ამომარჩიე, მაგიერში აჰა ჩემს საჭამადს გითავაზებ, - სიცილით უთხრა გულომ პეტრიას და მისთავაზა თავისი საჭამადის უმეტესი ნაწილი.

- ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო! რა პურ-ღვინოა! ასე უნდა, ასე, ამის მეტი რა გაგვაჩნია ამ ქვეყანაზე, ვჭამოთ უნდა და მერე მოვკვტეთ ყაჭსავით. აბა რავა გგონია, ჭამისა სწყვეტენ ბემწიფეები ჯარებს.

- აჰა, პეტრე, ღვინო მიირთვი, - მისთავაზა გიორგიმ ჭიქით ღვინო.

- შენს ქორწილში დავლიე კიდევ ამისთანა! - უპასუხა პეტრიამ, მერე შეხედა გულოს და უთხრა გიორგის: - შორ რაღას მიხვალ, აგერ გულო შეირთე.

- ოხ! პეტრია გაგიჟდი! სად გინახავს და-ძმანმა ერთმანეთი შერთო! - თითქმის ერთხმად შესძახეს ამ სიტყვაზე გიორგიმ, თავადმა №№-მა და ქალბატონმა №№-მა. გულო კი გაწითლდა და არას ამბობდა.

- დაი? სადაური დაია? პეტრიეი გინდა მოატყუოთ?

ტყვილი, გულო თქვენი შვილია, ქალბატონო, და გიორგი ცხონებული თქვენი გოგო რომ იყო - ვარსკვლავისა, იმის.

- პეტრიავ, ბიჭო, რაფერ ჩერჩეტობ, შენ რა იცი ჩვენი შვილების ამბავი, - შესწყრა თავადი №№-ი.

- აა, თავადო, კუჭს ნუ მეიყვან, თვარა ადრე დაბერდები. მე ვიცი ამბავი, რას მიმალავ? გიორგი გოგოის შვილია, უწინ გოგი ერქვა, მერე რუსეთში გაგზავნეთ, სერთუკის ჩაცმა ისტავლეო, ისტავლა და გიორგი ქვია. თქვენი ორი ვაჟი იქინეი გყავან გაგზავნილი, რა ქვია იმ ქვეყანას, რომ წავა და ველარ მოვა. შენ ნუ გეწყინება, გიორგი. რა საწყენია? სულ ერთია გინდა ქალბატონს დუუბადებიხარ და გინდა მის გოგოს, დაბადება ორივემ ერთნაირათ მუცლიდან იცის. აცხონოს ღმერთმა ვარსკვლავისა, ძაან ბიჭი დაგსვა. იმ ცხონებულმა და ხოსრუა რომ იყო, აგინის ბიჭი, იგინმა გაგაკეთეს. ახლა ვისიც გინდა იმის იყავი, იგინი იქანეი წევიდენ, წალანაი რომ ვთქვი, წავა და აღარ

მუა ამ ქვეყანაში. ვინ იცის, მეორე გიორგის იქნება კიდევ იქინეი აკეთებენ.

ამ სიტყვებმა კარგა გვარიანი სკანდალი მოახდინეს თავადი №№-ის სახლში: გიორგიმ მიატოვა სადილი და საშინლად არეული გამოვიდა გარეთ; იმას გამოჰყვა გულოც, ერთის მხრით უხაროდა ეს შემთხვევა, რომ გიორგიმ გაიგო ჩემი ძმა არ არისო და მეორე მხრით კიდევ ეშინოდა, ვაითუ გიორგიმ ჩვენსას აღარ მოიცადოსო. თავადმა №№-მა პანლურით გამოაგდო გარეთ პეტრია სალოსი და თან მიაყოლა: „არ გნახოს აქ ჩემმა თვალებმა!“  
“არ მოქტება პეტრიეი უშენოთ, წაილაპარაკა გზაზე პეტრიამ, - მარა იი კი მეწყინა, იმისთანა სადილი რომ დამატებოდა. არ გნახოს ჩემმა თვალებმაო. იგი როის იცის ბებრუცუნამ, იმ თვალებს ადრე წეილებს ვერ მობრუნდის ქვეყანაში! თურმე აგინის თავადობა აგი ყოფილა, რომ სულ ცრუობით მოაქვთ თავი. გიორგი ჩემი შვილიაო.

ვითომდა პეტრიას მოვატყუებთო! ვერ მოგართვით: პეტრიეი, თქვენ რომ გგონია, ისე მოსატყუებელი არ არის!”

- გულო, უთხრა გიორგიმ ერთი-ორი საათის შემდეგ, რა გული ცოტათი დაიწყნარა, - გაფიცებ ყმაწვილი ქალის სინდისს, დაუფარავად მითხარი, რას ნიშნავდენ იმ გიჟის სიტყვები?

გულოს ძლიერ ემძიმა ამ კითხვაზე პასუხის მიცემა, რადგანაც ეშინოდა გიორგის გული არ დაეჩაგროს, რა რომ შეიტყობს გოგოს და ბიჭის შვილი ვყოფილვარო, მაგრამ ფიცმა აიძულა ეთქვა.

- გიორგი, - დაიწყო მან, - მე არ მიყვარს ტყვილის ლაპარაკი და ახლა მეტადრე არ შემიძლია ტყვილი ვთქვა, რადგანაც მაფიცებ სიმართლე გითხრა, მაგრამ ესეც უნდა გითხრა, რომ მთაგორზე უმძიმესია ჩემთვის იმისი

გამხელა, რასაც მეკითხები.

- თუნდა ჩემს სიკვდილს მოასწავებდეს, გაფიცებ, არა რა დამიფარო.
- არ დაგიფარავ, - თითქმის ხმის კანკალით უთხრა გულომ, - შენ ჩემი დედ-მამის შვილი არ ხარ.
- აბა, რატომ მომატყუეს, შვილი ხარო? - ჰკითხა საშინლად ფერდაკარგულმა გიორგიმ.
- როცა ჩემი ძმები დაიხოცენ, მაშინ თურმე გიშვილეს და იმიტომ.
- გულო, ნუ დამიმალავ, ვისი შვილი უნდა ვიყო, თუ გაგიგონია?
- თამარამ მითხრა, რომ ვარსკვლავისას და ზოსრუას

შვილი უნდა იყოს. ისინი, როგორც იცი, კარგა ხანია მოკვტენ.

- ძალიან მაღლობელი ვარ, რომ გამაგებინეთ, თორემ იჭვები დამახრჩობდენ. იცი, მე მიკვირდა, თქვენი მშობლები და თქვენ რომ ფარავდით ჩემს ვინაობას, ეხლა კი მივხთი.

- გიორგი, არ დაგვტოო, - უთხრა გულომ და ტირილით მოეხვია ყელზედ.

- ნუ სტირი, გულო, მე თქვენ არ დაგტოვებთ, მარა ეგეც იცოდეთ, რომ, როცა თქვენი მშობლები მოკვდებიან, თქვენი ნათესავები მე აქ აღარ დამაყენებენ. ამ შემთხვევაში ჯობია ვუწამლო თავს.

- რით, რაგვართ უნდა უწამლო. წახვალ ჩვენგან?



- მაშ რა უნდა ვქნა. მაინც ხომ გამაგლებენ ერთ დროს.
- მერე მე რა ვქნა, შენ რომ წახვალ? - თქვა გულომ და კიდევ ატირდა.
- გულო, თქვენ რა გჭირს სატირალი? ქმარი შეირთეთ და იცხოვრეთ. მეტი რა?
- ქმარი? ვინ, ვინ შევიერთო?
- ვინც გინდოდეს ის, ცოტა არიან ყმაწვილი თავადები? ამოირჩიე რომელიმე მათგანი და შეირთე.
- გიორგი, მე უშენოთ ვერ ვიცხოვრებ, შენ რომ ჩვენს ოჯახს გამოეთხოვო, მე, გახსოვდეს, თავს მოვიკლავ.
- მაშ რა ვქნა, გულო? უკაცრავად, ბატონო-მეთქი უნდა მეთქვა, აქამომდე ჩემი თავი შენისთანა ოჯახის

მემკვიდრეთ და შენს ძმათ მიმაჩნდა. ეხლა შევიტყვე, ეს ცრუობა ყოფილა, მე არც თქვენი ოჯახის მემკვიდრე ვარ და არც შენი ძმა! ამასთან ისიც უნდა გითხრა, რომ შინ მაინც არ მინდა ყოფნა. ნუთუ არ ჯობია ამ შემთხვევაში, რომ წავიდე და სამსახურში შევიდე!

- ძმა რომ არ იყო, სხვათ არ გინდა ჩემთან ყოფნა? -  
მორცხვათ, ხმის კანკალით ჰკითხა ამ დროს ფერდაკარგულმა გულომ.

- სხვათ? შინაყმათ თუ? ახლა არ გითხარ, შინაყმობა არ შემეძლება-მეთქი: შინაყმობას ანუ მონობას მე სიკვდილი მირჩევნია.

- გიორგი, რაზე მაწვალე, რომ არ გინდა მიხთე ჩემს სიტყვებს.

- აბა რა უნდა მეთქვა, თქვენ თითონ ამიხსენით.

- რა უნდა გეთქვა და ჩემი სიყვარული, - გაბედა გულომ.

- მერე შენ რომ ქმარს შეირთავ!

- შენს მეტი არ მინდა და აწი რაც გინდა იგი თქვი.

გულოს ისეთი შერცხვა ამის თქმაზე, რომ შუბლი ოფლით მოირწყო.

- გულო, ამაზედ თქვენი მშობლები არ დაგვეთანხმება.

- არ დამეთანხმება და ჩემი თავი არ სდომებიათ. მაშვინ სადაც შენ წახვალ, მეც იქ წამოვალ.

- ერთი ეს მითხარი, შეგიძლიათ ეს თქვენი გადაწყვეტილება უთხრათ თქვენს მშობლებს?

- შემიძლია, რაც უნდა იყოს, შემიძლია, ეხლავე შევალ

იმათთან, - მტკიცედ წამოიძახა გულომ, რომელიც ამ დროს ადგა და წავიდა თავის მშობლების ოთახში.

გავიდა გულოს წასვლიდან ნახევარი საათი, რომ გულოს მშობლებმა გიორგი მიიწვიეს ოთახში და მიულოცეს ცოლად გულო.

იმ დღეს, როცა თავადი №№-ის შინაყმები საქორწინო სეფას აკეთებდენ, გულო და გიორგი სწერენ თავის ხელით ქორწინების დღეს მოსაწვევი პირების დასაპატიჟებელ ბარათებს.

- საშინლათ დავიღალე, - სთქვა გიორგიმ საღამო ჟამს, რა რომ დაასრულა ბარათების წერა.

- მე კი არ დავღალულვარ, - უპასუხა გულომ მხიარულად და შემდეგ დაატანა: - წავიდეთ, გავიარ-გამოვიაროთ, მშვენიერი საღამოა.

გიორგიმ დაიხურა ქუდი და წავიდა გულოსთან ერთად სასეირნოდ.

- ცხრა დღე კიდევ არი ჩვენი ჯვარის დაწერამდე, მაგრამ არაფელია, ესეც ადრე გაივლის; ჩვენ ხომ მაინც ერთმანეთის ვართ; აწი სიკვტილის მეტი ვერაფერი გაგვაშორებს. უნდა გითხრა გიორგი, ბავშვივით მიხარია, - თქვა გულომ და შემდეგ დაატანა: - იი არეულობა რომ არ მომხდარიყო, ახლა ჯვარდაწერილები ვიქნებოდით კიდევ.

- ვინ იცის, შესაძლებელია, ვიქნებოდით, - უპასუხა გიორგიმ და შემდეგ დაატანა: - ოჰ, რა უხეიროთ ჩაიარა იმ ჯანყმა! თავდაპირველად ვიმეცადინე, რომ არ მომხდარიყო ჯანყი, შემდეგ, რა რომ ჩემი მეცადინეობით ვერას გავხთი და ხალხი აირ-დაირია, ვიფიქრე, თუ ცოტაოდენ ხანს კიდევ გამაგრდენ, ყველას შევაგონებ, რომ რუსის მთავრობას ჩამოეთხოვონ და ბატონყმობის

დარღვევაზედ ეცადონ-მეთქი. ვინ იცის, შესაძლებელი იყო, მთავრობას მიექცია ყურადღება ხალხის ამნაირ წადილზე და გამოეცხადებია ბატონყმობის გაუქმება, მაგრამ უგონო აჯანყებულები ძლიერ ადრე გაიფანტენ და მათს აჯანყებას, გარდა ზიანისა, არავითარი სარგებელი არ მოუტანია მათთვის. კიდევ კარგი, რომ მთავრობამ აპატივა ხალხს და ფიცხელი განკარგულება არ მოჰყვა მთავრობის მხრით. თვით რუსეთში რომ ეგ მომხთარიყო, გამარჯვებული მთავრობა რამდენიმე ათასობით დახოცდა და ციმბირში გადაასახლებდა დამარცხებულ აჯანყებულებს.

- უწინ ყველას ეგონა გლეხებმა გაიმარჯვესო, მერე რაღა დაემართენ?

- ეჰ, რა გამარჯვება იყო, გულო, ის? ერთ მუჭა, გაუწვრთნელ, უთოფიარადო, მშვიერ ხალხს სად შეეძლოთ გაემარჯვათ? გინახავს, გაზაფხულზედ ხის ტოტს

მოსჭრიან, სარათ დაასობენ, სანამ ზაფხული დადგებოდეს, სარი იფოთლება, ყვავილდება, მაგრამ, რა რომ ზაფხულის ცხელი მზე მოუცხუნებს, გახმება; სწორეთ იმისი მსგავსი იყო ჩვენი აჯანყებულების გამარჯვება. სანამ მაგარი ტალღა არ მოხვდათ, მძლავრათ იდგენ, მაგრამ მაგარ ტალღაზედ კი გადაუბრუნდათ ნავი. ისეთი დროებითი გამარჯვება, როგორც ჩვენს აჯანყებულებს მოსდიოდათ, მარტომხედველებს გაუხარებს გულს.

- მართალია, გიორგი. საწყალი ჩვენი გლებები ვის უნდა მორეოდენ? იი დასაქცევი არეულობა, ასე მგონია, მარტო ჩვენი ბესიას და მანაის დასაღუპავათ მოხთა! ძმაი იქ მოკლეს, დაი ჯავრით ჭკუაზე შეიშალა, - თქვა გულომ თვალებზე ცრემლმოდენით.

- მართლა, გულო, მიაბე როგორ მომხდარა მანას მოტაცება.

გულომ უამბო გიორგის, რომ მანა თვით იმ ღამეს, როცა აჯანყებულები დაამარცხეს, ჩუმათ გასულა გარეთ და ნიფხავ-პერანგის ამარა გაპარულა ტყეში. საწყალ მანას მშობლებს დილამდე არ შეუტყვიათ თავისი ასულის გაგიჟება და გაპარვა. დილას კი ურბენიათ აქეთ-იქით, ვერ უნახავენ. ამ დროს უბედური მშობლებისთვის მიუტანიათ ბესიას სიკვდილის ამბავი, ტყუილა კი არ იტყვიან, დამწვარზედ მდულარე დაესხაო. უბედური მშობლები თან მკვდარი შვილის ჯავრით და ნაღველით იხარშებოდენ და თან მტირალნი დაკარგულის საძებრად დარბოდენ. გავიდა თითქმის ნახევარი თვე და მანა ვერ ნახეს. ბოლოს თურმე უბედურმა ქალმა გაგიჟებულმა მიირბინა შინ, ტანსაცმელი სულ შემოეფლითა, ათას ურიგო რამეს ლაპარაკობდა. მშობლებმა და ნათესავებმა მიიყვანეს, იქნება ჭკუაზე მოვაბრუნოთო, მაგრამ არა ეშველა რა. ახლა სხვაფრივ რომ ვეღარ მოახერხეს მისი მოვლა, უბედური ქალი ბაწრით აბია სახლში.



- აი, სამწუხარო შემთხვევა! ბესია, შესანიშნავი პატიოსანი გულის ვაჟკაცი, იქ მოკლეს, იმისი და, ისეთივე შესანიშნავი მშვენიერების და საუცხოვო ჭკვა-გონების პატრონი ქალი, იმისი ჯავრით ჭკუაზე შეიშალა! ჩვენ ეგ ერთი შევიტყვეთ და სხვა კიდევ რამდენი იქნება ამისთანა, ვინ იცის. აი, ეგეთი შემთხვევები ხშირად მოჰყვება ჯანყს. რასაკვირველია, თუ რომ ჯანყი ხალხის სასარგებლოთ დაბოლავდებოდეს, მაშინ ამისთანა წვრილმანი არარად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მაშინ, როცა ჯანყი ზიანს გარდა სარგებელს არ მოიტანს, მაშინ კი ბესიასა და მანასთანა პირების დაკარგვა მძიმე დასაკლისია ხალხისთვის. მე ჩემის მხრით იმდენზე მატკინა გული ბესიას და მანას დალუპვამ, რომ ადვილათ არ მომიშველდება. - თქვა გიორგიმ და ის იყო დააპირა გულოსთან ერთად სახლში დაბრუნება, მაგრამ ამ დროს იმასთან მივარდა თამარა და უთხრა:

- ბატონო, ჯერ შინ ნუ მობრძანდებით. ვინცხა უფროსები მოვიდენ და შენ გკითხულობენ. იგინს ბიჭი ახლავს და იმისგან შევიტყვე ჩუმათაი, რომ ბევრი კაცი დაუჭირავენ და წუყუყვანიან ოზურგეთს. გიორგიც უნდა გააგზავნონო.

გულოს სრულიად დაეკარგა ფერი და წაქცევას ცოტადა უკლდა. გიორგიმ კი მოწყენილის ღიმილით წარმოსთქვა:

- ეგ აღარ არის სასიამოვნო ამბავი, - და ბოლოს, როცა გულოს შეხედა, დაუმატა, - რა არის, გულო, ფერი რომ დაკარგე? ნუ გეშინია, მე იმათ ჩემ თავს ხელში არ ჩავუგდებ. მხოლოდ ეს კია, რომ ჩვენი ჯვარისწერის საქმე გადიდება, რადგანაც ცოტა ხანს სადმე თავი უნდა შევაფარო. ახლა შენ წადი სახლში და დაღამებამდე აქ მოვიცთი, როცა დაღამდება, ვინმე ერთი შინაყმის ტანსაცმელი გამოგზავნეთ, ჩავიცვამ, მოვალ შინ და სამზარეულოში გავათევ ღამეს.

გულო მწარედ დანალვლიანებული დაბრუნდა სახლში. როცა დაღამდა, გაუგზავნა გიორგის ტანსაცმელი, რომლითაც გიორგი მიიპარა და დაიძინა სამზარეულოში. დილას ალიონზე, იმავე ტანსაცმელით ხელახლა გაიპარა და მთელი დღე ბუჩქებში გაატარა. უკანასკნელ, რა რომ მთავრობის კაცებმა ძლიერ დაუწყეს ძებნა და აღარ შორდებოდენ თავადი №№-ის სასახლეს, გიორგიმ უთხრა გულოს და მის მშობლებს:

- მართალია, თქვენ ჩემი მოშორება გაგიძნელდებათ და მე თქვენი, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ მე თუ მთავრობამ ხელში ჩამიგდო, ან თოფით დამხვრეტენ და ან ციმბირში გამაგზავნიან. ამიტომაც საჭიროა ან გავყაჩაღდე და ან ოსმალეთში გავიდე. ყაჩაღობა, ჯერ ერთი, არ შემიძლია, და რომ შემეძლოს კიდევ, ჩემი გაყაჩაღების შემდეგ თქვენ ძლიერ შეგაწუხებს მთავრობა. ისევ სჯობია ცოტა დროებით ოსმალეთში გავიდე. როცა

საქმე დაწყნარდება, ისევ დავბრუნდები სამშობლო გურიაში.

გულოს და მის მშობლებს რალა უარი ეთქმებოდათ ამ საბუთიან სიტყვებზე. ისინიც გრძნობდენ, რომ გიორგის სახლში დარჩენა აღარ შეიძლებოდა და იმასაც ხედავდენ, რომ პატივით გაზდილი გიორგი უაჩალობას, ესე იგი, ტყე-ღრეში გდებას ვერ აიტანდა. სხვა რა გზა იყო. ტირილითა და ლოყის კაწვრით დართეს ნება ოსმალეთში წასვლაზე.

## XX

გურიაში ჯანყის დაცხრობიდან მეორე შემოდგომა იდგა. არემარეს მომაკვდავისებური ყვითელი, სევდიანი ფერი ედო; ჰაერი, თითქო იმის შიშით, რომ დაბერებულ შემოდგომის ფოთლებს და მცენარეებს არა ევნოს რაო, არ ინძრეოდა. ცა თუმცაღა მოწმენდილი იყო, მაგრამ მზეს კი ეტყობოდა, რომ ზაფხულისებური სითბო და სინათლე

აღარ ჰქონდა. ის ისე მოწყენილის სინათლით დაჰყურებდა სიცოცხლეგამოლეულ შემოდგომის ბუნებას, რომ გეგონებოდათ, თითონაც გულნატკენი უნდა იყოს ბუნების დასევდიანების გამოვო. გურიის გლეხკაცები ერთგულად დასტრიალებდენ თავიანთ ბატონის ყანებში და რთველზე. იმათი მზიარული “ხელხვაკი” და “აბა დელა” ზარივით გაისმოდა არემარეში. ეხლა ვის რა ენაღვლებოდა, რომ ამ უგუნურმა აჯანყებამ, რომელიც ამ გლეხებმა იმ ერთი წლის წინათ მოახდინეს, იმსხვერპლა ბევრი ადამიანი. ვის რა ენაღვლებოდა, რომ იმ ჯანყის გამო ციმბირში გაგზავნებ გურიაში შესანიშნავი ვაჟკაცი თავადი ამბაკო შალიკაიშვილი. ვის რა ენაღვლებოდა, რომ საპყრობილეში ცუდი ჰაერისაგან დალპენ და დაიხოცენ რამდენიმე კაცი, “ბუნტოვჩიკად” წოდებულნი. ვის რა ენაღვლებოდა, რომ ისინი, ვინც თავის დასაფარავად უაჩაღად გავარდენ, დახოცილ იქნენ თავისივე მოძმის ღალატით და ტყვიით,

ვის რა ენაღვლებოდა, რომ გურიაში გაჩნდენ ერთგვარი დაბეზღების მოხელე ადამიანები, რომლებიც ფულის და ჯილდოს გულისთვის ღუპავდენ მართალ, უდანაშაულო ადამიანებს. ვის რა ენაღვლებოდა, რომ დახოცილთა ნათესავები უნუგეშოდ მტირალნი დარჩენ! ის გლეხები, რომლებიც უვნებლად მორჩენ ჯანყს, სრულიად კმაყოფილი იყვენ თავის ხვედრისა, ეხლა სრულიადაც საძნელოთ არა სთვლიდენ ბატონების სამსახურს და იმ მცირეოდენ გადასახადს რომელზედაც მათ ხელი მოაწერიეს ჯანყის დაცხრომისთანავე. გასულ წელს მათ მიერ მომხდარი აჯანყება გლეხების ხსოვნაში აჩრდილივით დარჩენილიყო მოგონებად მათ და მათ მოწინააღმდეგეთა შორის შეტაკებისა, რომელსაც ხანდახან ზღაპარით უამბობდენ თავიანთ ცოლ-შვილს. “არიქა, ჰო, გაანძრეთ ხელი!” - გაისმოდა ხსენებულ დღეს მათ თავზედ ბატონის ხმა. გლეხები ბატონების ბრძანებაზე მოუმატებდენ მუშაობას. ხანდახან

რომელსამე გლახს რომელიმე მასლაათისმოყვარე თავადი ან აზნაური ამბებიებდა, თუ როგორ იყო, რომ მეგრელებმა თავიანთი ცხენები დახოცეს მტრის მაგიერათო. “დედავ! - დაიწყებდა გლახი, - გიორგი დადიანია თუ ვინცხა, მეიყვანა სერესკელი, გურულებს დავსწყვეტო. დავხთით ჩვენ შავ წყალზე, დავსწყვიტეთ მეგრელები, მუუკალით ჯაიანი და გავაბრუნეთ. ამასობაში მიეწია ღამე. გუუშვეს ცხენები ბალახზე და თვითონ დეიწყეს დარაჯი. ცხენებს შეეფეთა მგელი. შეშინებული ცხენები გეიქცენ მეგრელებისკენ. მეგრელებმა, ღამე ველარ მიხთენ რა იყო, ეგონენ გურულები შემოგვესიაო, დუუშინეს თოფი და დასწყვიტეს მათივე ცხენები”. “ჰა, ჰა, ჰა, ჰა,” - გადაიხარხარებდა სიცილის მადაზე მოსული ბატონი და დაატანდა: “სასაცილო ამბავი ამას ქვია”.

ხსენებულ დღეს მეტადრე ძალიან სიცილი და კისკისი

ჰქონდათ ბატონებს და მათ შინაყმებს გურიის ერთ სოფელში. აი რა იყო იმათი სიცილის საგანი: გაგიჟებული მანა სრულიად ტიტველა ჩაირბენდა ხან ერთ ყანაში და ხან მეორეში და მოყვებოდა ურიგო ლაპარაკს. ერთ დროს მანას ლამაზი, თვალის წარმტაცი პირისახე ეხლა ჩამომხმარიყო და ძვლებზე მარტოლა ტყავი ეკრა. იმისი ერთ დროს მშვენიერი ჟუჟუნა ცისფერი თვალები ჩაცვივნულიყვენ, განაცრისფერებულიყვენ და უხეიროდ ხან აქეთ გაიყრებოდენ და ხან იქით. ის ხშირი, ოქროსფერი თმა, რომელიც ერთ დროს მანას უმშვენებდა უიმისოთაც მშვენიერ სახეს, ეხლა ისე გაწეწილიყო, დაუვარცხნელობის და ჭუჭყის გამო, რომ ზღაპრული ქაჯის თმას მოგაგონებდა. აი ამ შესაბრალისი ადამიანის დანახვაზე და მის ბრიყვულ ლაპარაკზე ხარხარებდა ხალხი.

ამ სცენაზე ცოტა მოშორებით იმავე სოფელში ერთი



მოხუცი ქალი და ერთი მოხუცი კაცი მოსხდომოდენ მომაკვდავ ქალს და ღვრიდენ ცრემლებს. ესენი იყვენ თავადი №№-ი და მისი მეუღლე, მომაკვდავი კი - გულო. ამ ყმაწვილ ქალს თავის სატრფო გიორგის ოსმალეთში წასვლისთანავე დასჩემდა სევდიანობა, რამდენიმე თვის შემდეგ დააწყებინა ხველა და პირიდან სისხლის ლებინება და უკანასკნელ, ის იყო, დაეცა სასიკვდილოდ.

- დედავ... წამოიძახა გულომ მინელებულის ხმით.

- ვაი შენს დედას! რა ვქნა, შვილო? - უპასუხა ტირილით დედამ.

- ჩემი წიგნები ერთათ დააწყვეთ და ისე დაახვედრეთ გიორგის! რომ შეხედავს, მოვაგონდები... დედა, გიორგის ცოლს ჩემი ვარდისფერი ატლასის კაბა აჩუქეთ. უთხარით გულომ დაგიტია ნახელაობით-თქვა... ვაი, სულო, ერთი ახლა გიორგი მაჩვენა!..

გულო ლაპარაკობდა საშინელი ყრუ ხმით. თვითეულ ფრაზაზე კარგა გვარიანად შეჩერდებოდა. უკანასკნელ ფრაზის წარმოთქმის შემდეგ სული შეეხუთა და მიმკვდარდა. თამარამ დაასხა გულზე წყალი, ასუნებია ოდეკოლონი. ამ საშუალებამ გულოს ისევ გააღებია თვალები. ის რამდენსამე წამს ენაუთქმელად იყო და შემდეგ კიდევ დაიწყო:

- დედა, გიორგის ჩემზედ შავი არ ჩააცვათ, შეაწუხებს... ნუ ტირი, დედა, შენი ტირილი უფრო მაწუხებს... ვაიმე, მამა კიდევ ჭე ტირის. თამარა, შეეხვეწე ნუ ტირი თქვა.

თამარამ აღასრულა ბრძანება, მივიდა ბუხართან მჯდომ №№-თან და უთხრა:

- ვაჟბატონო, გეხვეწება ნუ ტირიო. რაა ვითამ ტირილი? ეგება ღმერთმა ჭე მოაბრუნოს.

თავადი №№-ი წამოდგა ამ სიტყვებზედ, მივიდა თავის ასულთან და უთხრა:

- გულო, გულო, არ ვიტირებ, შვილო, შემომხედე. ენა მითხარი.

- რა გინდა, მამა?... ნუ გეშინია. მე ვკვტები, მარა გიორგი კი გიზამს ჩემ მაგიერობას... ეგება მეც ქე მოვრჩე, ვინ იცის...

უნუგეშო მამა ამგვარ გულოს პასუხზე უფრო ხმამაღლათ ატირდა და გაბრუნდა უკან.

- ოი, მამავ! მართალი ხარ... მე ვკვტები... წარმოსთქვა გულომ და ხელახლავ შეუხუთდა სული. თამარამ წინანდებურათ მიაშველა წყალი, ოდეკოლონი და მოაბრუნა.

- დედა, ახლა ზამთარი იწყება... მერე გაზაფხული დადგება, არა? მაშინ მოვა გიორგი... მარა, უფ, მე საღა ვიქნები!.. ველარ შევიტყობ! დედა, გეხვეწები, ხმას ნუ უუშობ, ისე იტირე თვარა გული მიწუნს.. დაღამდა?

- არა, შვილო, ჯერ კიდევ დღეია, - უპასუხა ტირილით დედამ.

- დედა, იცი, რა გამახსენდა... უბედური ბესიეის მამა თქვენთან მეიყვანეთ და არჩინეთ... იმას ქვეყანაზე პატრონი აღარა ჰყავს... ჰაი, ჰაი! რა შვილები დაელუპა! მისმა დედამ ველარ გაუძლო ჯავრს და მოკტა... ჯავრი ცუდი გასაძლები ყოფილა!.. დაღამდა?

- ჯერ არა, შვილო. რეზა კითხულობ?

- მეშინია ღამის...

გულომ მიხუჭა თვალები და გვარიან ხანს მიძინებული იყო. ამასობაში მოსაღამურდა, მზემ, თითქო გულოს სულს თხოულობსო, ერთი უკანასკნელათ შეიხედა გულოს ოთახში, შემდეგ აკრიფა დედამიწიდან თავისი სხივები და გადაესვენა. გულომ ხელახლა გააღო თვალები და იკითხა:

- დაღამდა?

- არა, შვილო, მოსაღამურდა, - ხმის კანკალით უპასუხა დედამ.

- დედა... გულზე წყალი დამასხით... სული მეგუბება... თამარამ მიასხურა წყალი და ასუნებინა ოდეკოლონი.

- ოი... სული მეგუბება... დაბნელდა... ღამე...

თამარამ განუმეორა წყალი და ოდეკოლონი.

- დედა... გიორგი...

ამ სიტყვებით გულომ განუტევა სული.

რა იქნა გიორგი, რომელსაც ისე ნატრობდა სიკვდილის დღეს გულმ? 1841 წელს, დეკემბრის თვეში, სტამბოლის ქალაქის ჯალათს მოჰგვარეს ათი ტყვე, რომელშიც ცხრა იყო მისირელი, მეათე მშვენიერი სახის ყმაწვილი კაცი - გიორგი. პირველებს სჯიდენ იმიტომ, რომ ხონთქრის საწინააღმდეგოთ აჯანყებული მისირის ფაშის ჯარში რატომ ომობდითო, მეორეს კი იმიტომ, რომ რუსეთიდან შემოსული შპიონი ეგონათ. სამი წამის განმავლობაში შეუბრალებელმა ჯალათმა, როგორ პირველებს, ისე გიორგისაც გააგდებინა ნიჭით სავსე, ხუჭუჭთმიანი ლამაზი თავი.

1888 - 1889 წ.წ.

\* ტექსტს რამდენიმე სიტყვა აკლია. რ ე დ.

\* რაც უნდა იყოს, ეს მეტად არა სასიამოვნო ამბავია, თუ ჩვენმა ჯარმა ასეთი უგუნური აჯანყებების გამო ასეთი ჯანსაღი გლეხები ჟლიტა, უნდა გესმოდეთ, რომ სახელმწიფოს ძალას მშრომელი ხალხი - გლეხკაცობა წარმოადგენს, ის კვებავს ყველას.

\*\* - ხედავთ, მას ენანება, რომ მეამბოხეების მეთაური მოჰკლეს.

- როგორ არ მენანება ასეთი ჯანმრთელი მიწის მუშის მოკვლა.

1841 წელს მისირის (ეგვიპტის) ფაშა მამედ-ალი აუჯანყდა ხონთქარს და რამდენიმე ადგილი წაართო.

# გოგია უიშვილი

- იი ეკუცია კიდევ ჩამოუყენებიათ სოფელში! დღეს ნაცვალმა ჩამოირბინა და გამოაცხადა: კომლმა თითო თუმანი უნდა შემოიტანოს ეკუციის ხარჯათ. შეშა, თივა, სიმინდი კიდევ სხვააო! - გულგატეხილის კილოთი უთხრა მარინემ თავის ქმარს, გოგიას, როცა ეს უკანასკნელი სამუშაოდან საღამოს შინ დაბრუნდა.

- კიდევ ეკუცია!.. ხომ არ გადირიე, დედაკაცო. კიდევ ეკუცია რომ ჩამოგვიყენონ, ფუტი გაგვიცივდება! - სთქვა გოგიამ და სახეზე დაღრეჯილობა დაეტყო.

- მე რომ მიწყრები, ჩემი ბრალია თუ! უსაყვედურა მარინემ ქმარს.



ახლა ერთი შენც დაიჩემე! გიწყრები! მიხთი, ადამიანო, იმას გიჩივი, რომ ვეტყოდი იმ ოჯახდაქცეულს - ახლა ნადელის ფული, ახლა ხუცის ფული, ახლა ფოშტის ფული, ახლა გზის სამუშაო და რა ვიცი, ათასი ჯანაბა უნდა გადაიაროს ამ ჩვენ ზურგზე! ამასაც აღარ დაგვაჯერეს, თქვენში ავი კაცები ბუდობსო, ასწიეს მარშან და ეკუციით დაავსეს ჩვენი სოფელი. ახლა ეკუციაო! ბარემ ამოგვხადონ სული-თქვა, ვეტყოდი! - ამ სიტყვებით გოგია მიუჯდა ცეცხლიპირს მწარედ ჩაფიქრებული.

გოგია, გვარად უიშვილი, ორმოციოდე წლის გლეხი იყო. შავგვრემანი, მოხმელო, ულამაზო პირისახე მუდამ მოღუშული და ნაღვლიანი ჰქონდა; უსწორმასწორო გაბურძგნულ შავ წვერ-ულვაშში საკმაოდ გამორეოდა ჭალარა; მსხვილი, გაუხსნელი წარბები მეტისმეტ სასტიკ შეხედულებას სდებდა მის სახეს. გოგიას მამამ,

რომელსაც თავისი სიყმაწვილის და ვაჟკაცობის დღენი ბატონის სამსახურში ჩაელია, რადგანაც მის დროს ბატონყმობა იყო, სიკვდილის შემდეგ, თავის სამს ვაჟს (გოგიას და მის ძმებს) სამემკვიდროდ დუტოვა: ერთი პატარა ფიცრული ძველი სახლი, ერთი ნალია, ერთი ფაცხა და შვიდი დღიური საბეგრო, ანუ როგორც ეძახიან, სანადელო მიწა. აი ამ ყოფა-ქონების მესამედი ნაწილი შეხვდა გოგიას, როცა ძმებს გაეყო. მართალია, გაყოფის შემდეგ სახლი გოგიას შეანარჩუნეს ძმებმა, რადგანაც გოგია მათში წლოვანებით უფროსი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ნალია, ფაცხა და წვრილმანი, ავეჯ-სამკაული, რაც კი რამ ებადათ, გოგიას ძმებს დარჩათ თავიანთ წილ სახლის ფასში. რა თქმა უნდა, რომ ასეთი ლატაკი ოჯახის ფეხზე დაყენება ადვილი არ არის, მაგრამ გოგია და მარინე, როგორც ყმაწვილნი და ჯანიანი გლეხნი, დიდი იმედით და ხალისით შეუდგენ საქმეს. „რა ვუყოთ, ახლა ღარიბები ვართ მარა ხელს გავანძრევთ,

გევირჯებით და ჩვენც ტკბილი ცხოვრება გვექნებაო”. თავდაპირველად დაბრკოლებაც ვერ აშინებდა ამ ყმაწვილ ცოლ-ქმარს. „რა ვუყოთ, დღეს არა, ხვალ მაინც კარგად წავა ჩვენი საქმეო,” - ფიქრობდენ ისინი და გულმაგრად ებრძოდენ ყოველგვარ დაბრკოლებას. გოგიამ ფიცრებიც დათვალა, ოდა უნდა ავაშენოო, მაგრამ ხანი გადიოდა და “ტკბილი ცხოვრება” კი არსად იყო გოგიას ჯალაბისათვის. პირიქით, რაც დღე გადიოდა, მით უფრო და უფრო ძნელი ასატანი ხდებოდა მათთვის ცხოვრების ტვირთი: მიწა ცოტა ჰქონდათ, როგორც ვსთქვი, ისიც საბეგრო. გადასახადი დღითი დღე ემატებოდა; ამასთან, ხუთი წვრილშვილი მიეცათ და, სხვა რომ არა ვსთქვათ, ამ ხუთი ბავშვის რჩენაც არ იყო ღარიბი გლეხისათვის ადვილი საქმე. „იი დასაქცევი დღით და ღამით არ ვისვენებ, ჩემი ოფლი მიწას ერთვის და მაიანც რომ არ იქნა, რაც არ იავა, წინ არ წეიწია ჩემი ცხოვრებაო”, - დაიწყო გოგიამ საჩივარი თავის თავზე

ბოლოს და ბოლოს, რა რომ მეტიხმეტად გაუმძიმდა ცხოვრების ტვირთი. გავიდა კიდეც რამდენიმე ხანი, გოგიას აგერ წვერში ჭალარა გამოერია და მისი წინანდელი საჩივარი ხვედრისადმი ეხლა თავმოებურებულ ადამიანის საჩივრად შეიცვალა: „სიკვდილი ჯობია ჩემ სიცოცხლესო“, - ამოხდებოდა მას ხშირად გულიდან ოხვრასთან ერთად.

- ნუ სცოდავ ღმერთს, ნუ! მკდარი არა, ცოცხალი ვართ აგერ, დღით და ღამით ვმუშაობთ და მაინც ვერ დაგვიპურებია ბაღნები! რა ვუყოთ, საცთელი ჩვენ არ დაგვიკლია და თუ ვერ ვიხეირეთ, ალბათ, ასთე ყოფილა ჩვენი ბედისწერა, მარტო ჩვენ ხომ არ ვართ ასე, ყაძახს ასში ერთს ვერ ნახავ, ჩვენზე უკეთესად იყოს. ქვეყანა იმ დალოცვილ ღმერთს ჩვენთვის არ დუულოცავს! - ეტყოდა მარინე თავის ქმარს, როცა თავის თავზე საჩივარს გაუგონებდა, მაგრამ თვითონ მარინეც კი ხშირად

სწყევლიდა თავის ბედს და გაჩენას.

- ვითამ ძაან მანუგეშებ ამ სტყუებით! მეც ამას არ ვტირი, რომ ასე უსაბუთოთ არის ჩვენი ცხოვრება-მეთქი! - მიუგებდა თავის მეუღლეს გოგია უკმაყოფილოდ.

მართლა და რა ნუგეში შეიძლებოდა გოგიასთვის, როცა ის ცხადად ხედავდა თავის მდგომარეობას: მუდამ მოუსვენარი ხარივით შრომა, ოფლის ღვრა, ჭაპან-ღლეტა და მაინც ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი, ხშირად მშიერიც; მიწა-მამული მის ბარაზე არსად მოიპოვება, ნაბატონარი საბეგრო მიწას გარდა: გადასახადი დღითი დღე მატულობს, უფროსი, მებატონე, მღვდელი, მამასახლისი, ასე გასინჯეთ, ნაცვალიც კი მას უწყობა და იჯაბნებს. სახსარი ცხოვრების გაუმჯობესებისა არსად სჩანს, ნუთუ არ დაღონდება და არ მოსძულდება თავი! მისი ფიცრები, რომლითაც ოდის აშენებას ფიქრობდა, კარგა ხანია მას შემდეგ, რომ გაყიდა სხვადასხვა

გადასახადის დასაკმაყოფილებლად. გადასახადში წაართვეს მარინეს მზითვი: ნოხი, ფარდაგი, სპილენძის ქვაბი და ის ქისეიას კაბა, რომელიც გოგიამ ჯვარის დაწერის დროს უყიდა მარინეს. რიგიანი საჭმლის უქონლობა და უსაცმელობა ანუ, როგორც თითონ გოგია იძახდა, „გლახათ ყოფნა“ ხშირად აჩენდა გოგიას ოჯახში ავადმყოფობას. მეტადრე ერთ ზაფხულში გოგიას ცოლ-შვილს გაუჩნდა სნება და ერთი ბავშვი მოუკლა; სხვები თუმცაღა გადარჩენ სიკვდილს, მაგრამ ერთი ბავშვი კი დამუნჯებულიყო ავადმყოფობისაგან და მას შემდეგ ისე მუნჯად დარჩა. აი ასეთმა უნუგეშო მდგომარეობამ შეაძულა გოგიას სიცოცხლე და ანატრებია სიკვდილი; ამიტომ უჩიოდა ის ცას და ქვეყანას. ხშირად ისეთ რამეებსაც ლაპარაკობდა, რომ მაყურებლები ამბობდენ - ადგილზე რომ მიაწიოს ამ სიტყვებმა, გოგიას უციმბიროდ არ დაარჩენენო. ერთხელ ეკლესიაზე რაღაც ლაპარაკი ჩამოვარდა, გოგია ჩაერია ლაპარაკში და ისეთი რამეები

წამოროცა, რომ მღვდელი ოქმის შედგენას უპირებდა. თუ ხალხს არ ეთხოვა მღვდლისათვის - შეუნდეთ, ესეთი უსტავლელი, ბრიყვი კაცია, არ გაეგება რას ლაპარაკობსო, - მღვდელი სისრულეში მოიყვანდა კიდეც თავის განზრახვას. ასევე მოუვიდა გოგიას სოფლის სასამართლოში: წამოროშა ისეთი სიტყვები, რომ გოგიას სიმამრს კარგი ძღვენი დაეხარჯა მამასახლისთან - აპატიე ჩემს სიძეს, ნუ მოახსენებ მთავრობას მის ნათქვამსო.

- მერე კალანდამდი უნდა გადიხადო ერთი თუმანიო? - ჰკითხა გოგიამ თავის ცოლს კარგი ხნის ფიქრის შემდეგ.

- ამ სამ დღეში ვინც არ შემოიტანს, მოთხრიანო, უპასუხა ცოლმა.

- ღმერთი მის ოჯახს ააშენებს ისე! ზავოტი მაქ, თუ სავიშონო ასე ელანძე თუმანი! ნაკალანდევისაც კი მიირთუმენ, თუკი ვიშოვნოდე! თუმანი! ძან ადვილი კი

გონიან იი თუმანი! მთელი ზამთარი რომ ვიმუშაო, ერთ თუმანს ვერ ევიღებ. არ ეყვენ, მარშან რომ დაგვაძვრეს ტყავი! ფირალი გეიქცაო! რა ვქნა მე, რომ გეიქცა! არა, მე სადაური ფირალის გამაქცევარი ვარ! თუ გაქცევა შემეძლოს, ჩემ თავს გავაქცევდი და გადავრჩებოდი ამ წვალებას! მარა იმ მამასახლისის და მწერლის ბრალიცაა. აიო და ეკუციის ხარჯიო, ათარეშებენ ქვეყანას და ნახევარს თავის ჯაბაში იტენენ თითონ იგინია ცუდები, რომ კაცი იყოს! მარა ჩვენ ჭკუაზე რომ აღარავინ ამგვარჩევია აღარც მწერალი და აღარც მამასახლისი! რა გონია, თითონ აქცევენ იი ფირალებს, მერე აიო და ფირალებიდან უნდა დაგიფაროთო, ტყავს ქე გვაძრობენ! იმდონობას ვერც ფირალი გვიზამდა და ვერც სხვაი! გადასახადი აღარ მეყოფოდა! წელში გავწყვედილვარ გადასახადით და ახლა აგიც მეიგონეს! ბარემ ამოგვხადონ სული და იგია! - ამბობდა გოგია ბრაზმორეული და ძალზე სწევდა თუთუნს მოკლე ღერიანი ჩიბუხით.



- რა ვიცი, ასე კი დაგვიმოწმა იმ ენა ჩასავარდნმა და! სთქვა მარინემ ნალვლიანად.

- ახლა რა ვუყო, რომ დამიმოწმა! კალანდის გათენებას აღარ მაცლიან თუ! კალანდას გევითენებ და მერე... ვითომ მერე რაი, თუმანი ან მერე სა იშონება ჩემგან! - დაღონებით სთქვა ბოლოს გოგიამ და დადო გული იმაზე, რო „კალანდამდე სამი დღე რჩება, ამ სამ-ოთხ დღეში ვერ მოგვთხრიან და მერე სამე ვეცდები, გავახერხებ და გადავიხდიო”.

## II

ახალი წლის წინა დღე იყო, თუმცაღა წინლამით თოვლი მოდიოდა, მაგრამ იმ დილას კი ცა მოიწმინდა. ღონემიხდილი ზამთრის მზე ზარმაცად ამოჩოჩდა მქისედ მოკრიალებულს ლურჯ ცაზე და თოვლით დაქუნთულ ხეებთ შუა ნელ-ნელა აძვრენდა თავის სხივებს. გოგია

უიშვილი იჯდა თავის სახლში და, თითქო ყოველივე  
ჯავრი და ნაღველი დავიწყნიაო, მზიარული,  
წარბგახსნილი, ხან თავის ცოლს ებაასებოდა და ხან  
ბავშვებს ეაღერებოდა. გოგია კმაყოფილების მიზეზი,  
აღბათ, ის იყო, რომ საკალანდო პურღვინო და ნამზადისი  
უკვე მზად ჰქონდა. მარინე, რომელსაც ღვთის  
მოწყალეზად მიაჩნდა თავის ქმრის პირისახეზედ  
დანახული ღიმილი და კმაყოფილება, ბედნიერად  
სთვლიდა ამ დილას თავის თავს, თითქო თხუთმეტ-  
თექვსმეტი წლის ქალიაო, ისე სიცილ-კისკისით აცნობდა  
საკალანდო ხაჭაპურებს. გოგიას ბავშვები, რა თქმა უნდა,  
მერცხალსავით ჭიკჭიკობდენ და ცელქობდენ. კალანდა  
თენდებოდა ხაჭაპურები ცხვებოდა, მსუქანი ღორი და  
ქათმები უნდა დაეკლათ, ამასთან თავიანთ მშობლებსაც  
მზიარულს ხედავდენ და ამაზე მეტი ბედნიერება  
იმათთვის რაღა იქნებოდა! მეტადრე ერთ საქმეში იყო  
პატარა ორწლინახევრის ქალი, თებრო: ხან დედასთან

მივიდოდა და დაუწყებდა ყურებას და ტიკტიკს: “ნენა, დიდი პული კიდევ გააკეთებ!.. სულო, სულო!...” ხან მამას ეხვეოდა და ეუბნებოდა: “ბაბა, ხვალ კალანდაია, მე ალ დევიძინავ...” და სხვა. “ჰო, ბაბა, კალანდაა. წმინდა ბასილი მობრძანდება, პური, წიწიეი, ჩიჩილაკი, ყოლიფერი გვაქ, ღვთის მოცემული. მე დილას თოფს ვისვრიო”, - ეუბნებოდა ალერსით გოგია თავის პატარა ქალს. აი ასეთი საყოველთაო მზიარულება იყო ხსენებულ დილას გოგიას პატარა, მჭვარტლით გაშავებულს, ფიცრულა სახლში, იმ სახლში, რომლის ავეჯ-სამკაულს შეადგენდენ ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთები: ოღრო-ჩოღრო ფიცრის ტახტზე ეწყო ჭილობი, ძველი ჭუჭყიანი ლები, ასეთივე საბანი და ბალიში (მუთაქის მაგიერად კი ხის ძირკვი იდო); ქვედა კუთხეში ერთმანეთში არეულიყვენ ერთი დიდი და ერთი პატარა თუჯის ქვაბები, ქვის კეცი და ორი პირმოტეხილი დოქი; იქვე თაროზე ეწყო ათი-თუთხმეტიოდე ხის ჯამი, ხისვე ფილი

და გობი; ზევით კუთხეში ერთ მხარეს ეგდო ცული და წალდი, მეორე მხარეს იდგა ერთი დიდი და ერთი პატარა გოდორი; საცეცხლურზე ეკიდა მჭვარტლისაგან გაშავებული ხის კავი. აი ამით თავდებოდა გოგია უიშვილის სახლის ავეჯეულობა. ამათ ახლა მომატებოდა ჩიჩალაკი, რომელიც სახლის ერთი საკმაოდ ბნელი კუთხიდან მოხუცის თეთრ წვერივით მოჩანდა. ჩიჩილაკთან ეკიდა თოფი, რომელიც გოგიამ თავის სიმამრისაგან ითხოვა, „კალანდას, დილით გავისროლიო”. რა რომ ლაპარაკით და ალერსით გული შეიჯერა, გოგიამ უთხრა თავის ცოლს:

- აბა, მარინე, ერთი შენ წყალი ამიდულე და ბარემ მოვრჩეთ იმ ქათმების და ღორის დაკვლას.

- რა იქნა, კაცო, რა გაჩქარებს? ყოველთვის სულწასულობა რავა იქნება! მეიცაი, აგერ ხაჭაპურს ვაცხობ, აგი შეჭამე და მერეც მიესრობი საქმეს, - ტკბილად უპასუხა ქმარს

მარინემ და შეაბრუნა ცეცხლის პირას აყუდებულ კეცზე მდებარე ხაჭაპური, როელიც აქა-იქ სიმზურვალისაგან გახეთქილიყო და შიგჩართული ყველის ერბო მადის აღმძრავად ცეცხლისაგან გაყირმიზებულიყო პურის კანზე.

გოგიამ დაუჯერა რჩევა თავის მეუღლეს. ხაჭაპურის გამოცხოვამდე გადადო ქათმების და ღორის დაკვლა. ის ეხლა დროს გასატარებლად მოჰყვა ძარის და საღორის დათვალეირებას და როცა გაათავა, სიამოვნებით გაუზიარა თავისი კმაყოფილება მარინეს:

- ძან კი გუუწითლებია და გადმოუებრუნებია დუდი იმ ჯაჭვედა დედალს! იი ყვერულიც ძან მსუქანი უნდა იყოს! საწყლები! სულ ორი საათის სიცოცხლე არ დარჩენიათ!.. ძან ცოდვა კი უნდა იყოს, მარინე, ამდონ სულდგმულს რომ ხოცავს ადამიანი!

- ცოდვა? რა ვიცი, ღმერთს ასე გაუჩენია და ჩვენი რა ბრალია, - უპასუხა მარინემ.

- სხვაფერ რომ გეეჩინა იმ დალოცვილს, უკეთესი იქნებოდა. აბა, ერთი იფიქრე, უნდა წამოვაქციო იმსისხო ღორი და დავკლა! მერე არ იტყვი, რავა ემწარება საცოდავს სიკვდილი! ცა უწევს იმის ჭყვირილი! - ჩაფიქრებით სთქვა გოგიამ და მერე შესცვალა ლაპარაკის საგანი: - ძან მარჯვეთ ვიყავით, მარინე, წრეულს! ასე ადვილად უწინ ვერ ვახერხებდით საკალანდო პურ-ღვინოს. აი, წმინდაო ბასილე, თუ გამიმართლო საეტლოის სიტყვა - ბოლო ჟამს კაი ცხოვრებო, რომ მიწერს! აი, ღმერთო, თუ ამ კალანდიდან მოწყებული წალმა შეატრიალო ჩემი იღბალი! - სთქვა გოგიამ და თვალეები იმედიანად გაუბრწყინდა.

- დეილოცა მისი დიდება, რაც დროია, ჩვენისთანა საწყლისკენაც გადმეიხედავს და მოგვცემს ტკბილ

ცხოვრებას, - იმედინათვე უპასუხა ქმარს მარინემ.

- აგია, მარინე, რომ იტყვიან გლეხი კაცი სიხარულში მოკვდებაო. ერთი ფუთი ყირიმული პური ვიშონეთ საკალანდოთ და ქვეყანა ჩვენი გვგონია, - ნაღვლიანის სიცილით უთხრა გოგიამ თავის ცოლს და დაუწყო ყურება ნაჭაპურს, რომელიც ის იყო, გამოცხვა კიდეც და მარინეს უნდა გაენაწილებია ქმარ-შვილებისათვის, რომ ამ დროს გარეთ გოგიას ერთგულმა ძაღლმა წავიამ გააბა გაცხარებული ყეფა, რომელიც საჩქაროდ შესცვალა საზარელ კივილზე.

- კაცო, ვინცხამ ძაღლი მოკლა! წამოიძახა გაკვირვებით მირინემ.

- გოგიავ, გოგია! - მოისმა ამ დროს გარედან.

- უი, ნაცვლის ხმაია! - სთქვა მარინემ და სახე

გაუფითრდა.

- ახლა ნაცვალს რა ხელი აქ, კალანდა, ასე ითქმის, აგერ გათენებულია! - სთქვა მარინეზე არა ნაკლებ გაფითრებულმა გოგიამ და წელმოწყვეტილი მივიდა კარებზე, რომელსაც ამ დროს, ის იყო, მეორე მხრიდან მოადგენ ნაცვალი და ექვსი ყაზახ-რუსი, ჭიშკართან ეგდო დაჭრილი წავია, სასიკვდილოდ ხრიალებდა და ჭიმავდა ფეხებს.

- გოგიავ, ძალღათ ჩამაგდე თუ რა არის აგი, თუმანი ჩამეიტანე კანცელარიაზე და შეშის საზიდავად ჩამოდი-მეთქი, გუშინლამ დაგიმოწმე შინ და ახლა მაინც მეორეჯელ მომათრიე აქანაი! - მე - მე ვარ, მარა ამ რუსებს რა პასუხს აძლევ? ერთი ძროხა არ გეყოფა დღეს სადილათ! - ჩქარი, შეწუხებული ხმით უთხრა ნაცვალმა.

- ივანე, რავა ჩივი, თუმანი ასე ადვილი საშონელია ჩემგან!



სამ დღეს არა, სამ თვეს ვერ ვიშონი ერთ თუმანს... - გოგიას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ნაცვალმა გააწყვეტია.

- ვერ ვიშონიო, ამ რუსებთან არ გაგივა, ძალა აღმართს ხნავსო ხომ გაგიგონია? გაშონინებენ. ჯობს ულაპარაკოთ მოგვცე, ლაპარაკს ძანს ხუობენ!

ჩემი ბაღნების დამკვლელი ვიყო, ივანე, თუ ერთი გროში გამაჩთეს! ქენი კაცობა, ამ კალანდის გასტუმრება მაცალე, მერე სადმე საჭირაოს წავალ და გადვიხთი, - შეეხვეწა ნაცვალს გოგია.

- გეყურება, შენ ზღაპარს ჩივი მგონია! რომელი საჭირაოზე წასვლაა! ქვეყანას თხრიან და ატირებენ და შენ რას ჩივი! ფული თვარ გაქ, სხვაი რამე მოგვეცი: ღორი, ქათმები და სხვა.

- სად მყავს, კაცო? იი ნაზარდაი ზამხულოზე მგელმა შემიჭამა. ქათმები, ხომ იცი, რა ქათმის ჭირი იყო, დამეხოცა. მარინემ დიდი ცოდვილობით გაახერხა საკალანდო, იმას ხომ ვერ მოგცემ!

- ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.. გიჩივი, ქვეყანას თხრიან და ატირებენ-მეთქი და შენ კიდევ შენი კალანდა გახსოვს? მორჩი, მოგვეცი ჩქარა, თვარა შენს კალანდას ოხრად მოგიქცევენ!

გოგია გაშეშდა და სიტყვას ველარ იღებდა.

- რას შობი, გადარჩი! შენისთანაი კიდევ გვყავს სხვაიც, ნასადილევის იქინეი უნდა წავიდეთ, - განუმეორა ნაცვალმა.

- ივანე, ღმერთს შეხედე, ქრისტიან კაცი ვარ, გიჩივი არა მაქვს-მეთქი, - თითქმის ტირილით უპასუხა გოგიამ.

ნაცვლის ამხანაგებმა ველარ მოითმინეს ეს გაგრძელებული საუბარი ნაცვლისა და გოგიას შორის და წყრომით შესძახეს:

- რა ბევრს ლაყბობთ! ნებით არ გვაძლევს, ძალით გავზიზღავთ! ამ სიტყვებით ისინი გაექანენ სახლში შესასვლელად.

- მომხთომიხართ, ძალლი მომიკალით და ახლა სახლი უნდა გამიგლიჯოთ! მე თქვენ გაჩვენებთ სეირს! - შეჰყვირა გოგიამ და ჰკრა გულზე ხელი ერთ ყაზახს, რომელიც ამ დროს სახლში უნდა შესულიყო.

ყაზახი წაბორძიკდა უკან და დაეცა. გოგიამ დააპირა, - მივირბენ, თოფს ავიღებ ხელში და იმით დავხთებო, მაგრამ ამდენი აღარ აცალეს: თანისთან მოიღო მის თავზე ხმლის ყუამ ხათქახუთქი; ვაიო, შეჰყვირა საბრალომ და დაეცა მიწაზე. სისხლმა ამოხეთქა გატკლევცილ კანიდან

და რამდენიმე წამის განმავლობაში გოგიას მელანივით შავი თმა წითელ ბურთს დაემსგავსა. მარინემ, რომელიც აქამომდე კარებს ეფარებოდა, დაინახა ყოველივე, რაც მოხდა, საშინელის წივილით, მომკლეს, მომეხმარეთო, გამოვარდა გარეთ, მივარდა ნაცვალს და უნდოდა ერთი ფრჩხილებით მაინც დაეკაწრა, მაგრამ საბრალო ქალი შეიპყრეს ყაზახებმა და მისცეს ხელში ერთ თავის ამხანაგს; ეს ამხანაგი არაყადაკრული იყო; დაინახა თუ არა მარინეს ლამაზი სახე (მარინე ჯერ კიდევ მოუხუცებელი და საკმაოდ ლამაზი იყო), დაუწყო ძალად კოცნა. მარინე ჰკიოდა, წიოდა, ცას და ქვეყანას სთხოვდა შველას, მაგრამ მშველელი არავინ ჩანდა. გოგიას ბავშვები ზოგი იქვე ჰკიოდა და ჩხაოდა შიშისაგან გულგახეთქილი და ზოგი იმალებოდა. წივილ-კივილზე მოვიდა რამდენიმე მეზობელი, მაგრამ რა, ყველა თავის ტყავს უფრთხილდებოდა.

არ გასულა ამის შემდეგ ნახევარი საათი, რომ ბაწრით გაკოჭილი გოგია ნაცვალს და ყაზახებს ჩაეყენებიათ შუაში და მიჰყავდათ უფროსთან წასადგენათ. ამათ უკან მიჰყებოდათ გოგიას საახალწლო ღორით და ქათმებით დატვირთული რამდენიმე გლეხი. ამ გლეხებს შორიახლო მისდევდა მტირალი მარინე.

მართალია, ნაცვალს არ უნდოდა გოგიას წაყვანა, რადგანაც გადასახადში ის იყო ღორი და ქათმები წაართვეს და ამასთან საკმაოდაც სცემეს ყაზახებმა გოგიას, მაგრამ ამ შემთხვევაში არ იქნა შეწყნარებული ნაცვლის აზრი მისი ამხანაგებისაგან.

- ეს ბრძანების წინააღმდეგია, ჩხუბიც დაგვიპირა! უეჭველად უნდა დაისაჯოსო. - სთქვეს ყაზახებმა და გაიგდეს გოგია წინ მათრახის ცემით. გოგიას ერთი მეზობელი მოხუცი კაცი შეეცადა, სთხოვა ნაცვალს და ყაზახებს გოგიას გათავისუფლება, მაგრამ, როცა

ყაზახებმა მათრახი დაანახვეს, გაკმინდა ხმა.

### III

ერთ უღობო, ვაკე მიდამოში იდგა ყავრით დახურული დიდი ფიცრის სახლი. ეს იყო სოფელი ა-ის სასამართლო, ანუ, როგორც იქაურები ეძახდენ, კანცელარია. ახალი წლის გათენებას რამდენიმე დღე უკლდა, რომ ამ კანცელარიას ესტუმრენ მაზრის უფროსი, პოლიციის ბოქაულები და ყაზახ-რუსები. მიზეზი ამ დაუპატიჟებელი სტუმრების მობრძანებისა ის იყო, რომ ა-ის სოფლის საზოგადოებას მთავრობა აბრალებდა ფირალების დევნაში გულგრილობას. რამდენიმე საათის განმავლობაში მთელ სოფელს მოედო ამბავი, ეკუცია (ეგზეკუცია) კიდევ ჩამოგვიყენესო. ამ ამბავმა ა-ის მკვიდრთ შიშის ჟრუანტელად დაუარა ტანში; მათ გასულ წელში ენახათ გემო, თუ რა იყო ეს ეკუცია, გასულ წელში მოაოხრა ეკუციამ მათი სოფელი; მაშინდელი

დაზიანებული, ჯერეც ვერ გამართულიყო ხალხი წელში და ახლა კიდევ იგივე მოელოდათ!

უფროსმა დაჰყო რუსები და ერთი ნაწილი დააყენა იმ ოჯახებში, რომლებზედაც იჭვი ჰქონდა მიტანილი - ყაჩაღებს ინახავსო, და აგრეთვე იმ პირებისას, რომლებსაც რაიმე ნათესაობა გააჩნდათ ფირალებთან. თითონ უფროსი, ბოქაულები და დანარჩენი რუსები კი ჯერჯერობით სოფლის კანცელარიაში იყვნენ ჩამომხტარნი, გარდა მაზრის უფროსისა, რომელიც თადარიგის მიცემის შემდეგ მაზრის ქალაქში უნდა წასულიყო: რამდენიმე დღის შემდეგ ესენიც სოფელში, აქა-იქ მოსახლე კაცებისას აპირებდენ ჩამოდგომას და იქ უნდა ეცხოვრათ, სანამ ფირალებს ხელში არ მოიგდებდენ. იმ დღიდან მოწყებული, რაც მაზრის უფროსი მობძანდა, კანცელარიაზე აუარებელი ხალხი ტრიალებდა ყოველ ცისმარა დღე: ზოგს უფროსის და

მისი ამალის ხარჯი მოჰქონდა, ზოგს - შეშა, ზოგს -  
ყაზახების ცხენებისათვის თივა და სიმინდი, ზოგს  
ეკუციის ხარჯის ფული მიეტანა და ეხვეწებოდა მწერალს  
და მამასახლისს - კვიტანცია მიბოძეთ, ხელახლა არ  
გადამხდესო. მაზრის უფროსი, რომელსაც ასე ხშირად  
მიჰყავდა სოფლებში ყაზახები ფირალების დასაჭერად,  
მაგრამ ფირალები მაინც ვერ დაეჭირა, მეტად ცუდ  
გუნებაზე ბრძანდებოდა. ის იბარებდა მამასახლისის და  
მწერლის მიერ დასახელებულ საეჭვო და შენიშნულ  
პირებს, ზოგს მათგანს სატუსაღოში გზავნიდა და ზოგზე  
კი მათრახით და წკეპლით ყრილობდა ჯავრს. ნამეტურ  
იმან გააცხარა უფროსი, რომ მისი იქ ყოფნის დროს ორი  
ბიჭი კიდევ გავარდა სოფელ ა-დან ფირალად. არა,  
აჯანყებას აპირებენ, სწორეთ აჯანყებას! ამათ ტყავი თუ  
არ დავაშპე, ისე არ იქნებაო, ამბობდა ბრაზმორეული  
უფროსი.



შუადღე იქნებოდა, რომ ნაცვალმა და ყაზახებმა მიაღწიეს ა-ის კანცელარიას და მიიყვანეს ბაწრით გოგია უიშვილი.

- მამასახლისო, მომთხარეს, დამაქციეს, გამლახეს! მიპატრონე, თუ სამართალი გაქ, მიპატრონე! თვარა შენი თვალის წინ დევიკლავ თავს! - დაიწყო გოგიამ ყვირილი კანცელარიაზე მისვლისთანავე.

ნაცვალი და ყაზახი პირიქით გოგიას აბრალებდენ დანაშაულს, - ბრძანების წინააღმდეგობას და ყაზახების ხელით შეურაცხყოფის მიყენებას.

- სუ, სუ, ნაჩალიკმა არ გაიგონოს! - მიაფარა ხალხმა გოგიას პირზე ხელი.

- მეც იგი მინდა, გეიგონოს. ნაჩალიკი თუა და მოასამართლე, აგია, დამაქციეს და მიპატრონოს! - ყვირილით წამოიძახა გოგიამ. მამასახლისს ვერც კი

მოესწრო გოგიას შესახებ განკარგულების მოხდენა, რომ გოგიას ყვირილზე გამობრძანდა უფროსი და იკითხა:

- ვინ არის ეს გლეხი?

- ბრძანების წინააღმდეგი გახლავსო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ხარჯს არ გვაძლევს, - უთხრა უფროსს ერთმა ყაზახმა.

- მიჰატრონეთ, ბატონო, დამიფარეთ, დამაქციეს, კალანდა დღეს მომთხარეს და გამლახეს ქრისტიანი კაცი! აა, ბატონო, რას მერჩოდენ, რომ თავი გამიტეხეს! - ყაბალახმონდით შეეხვეწა გოგია უფროსს და აჩვენა გასისხლიანებული თავი.

- ჩხუბი დაგვიწყო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ხელი შეგვახო, თოფის სროლას გვიპირებდა, - უთხრა ყაზახმა უფროსს და მერე აჩვენა ნაცვალზე - აი, ამან იცის.

ჩვენთან იყო.

ნაცვალი შეყოყმანდა, ეტყობოდა სინდისმა დატანჯა, მაგრამ ყაზახების შეეშინდა და ამიტომ გასცა გოგია - მართალი გახლავს, წინააღმდეგიაო, - მოახსენა უფროსს.

- მოიყვანეთ ეს გლეხი აქეთ, - ბრძანა უფროსმა.

გოგია მიიყვანეს.

- შენ ვინ გასწავლა წინააღმდეგობა და ჯარისკაცის ხელით შეხება! - მრისხანედ დაეკითხა უფროსი გოგიას.

- მე არა, ბატონო, იგინმა მომთხარეს და გამლახეს... - შემკრთალის ხმით უპასუხა შეშინებულმა გოგიამ და კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მეტი აღარ დასცალდა, მაზრის უფროსის მათრახმა დაატოვებია დანარჩენი სათქმელი.

- აა, შე ღდინძაღლო! აა!.. აჯანყებას აპირობენ, ხედავთ!.. მე ვიცი, თქვენ ვინცა ბძანდებით! მადროვეთ, სულ თითოუღად დაგაძრობთ ტყავს! აბა გაბედეთ!.. - გაბრაზებული, პირზე დორბლმოყენებული ამბობდა უფროსი და ჩქარის ნაბიჯით დადიოდა პარმალზედ.

გოგია კარგა ხანს ჩაკირულივით იდგა ერთ ადგილას, მკერდი მძლავრად აუღ-ჩაუდიოდა, რაღაც მძიმედ და ყრუდ ითქვამდა სულს. უკანასკნელ უფროსი შებრძანდა ოთახში; გოგია დაიძრა ადგილიდან და მოჰყვა ყვირილს:

- ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა! მე მომთხარეს, მე დამაქციეს, მე გამლახეს! სამართლის კარზე მოვედი მეგონა და აქანაი უარესი მიყვეს. სად ხარ, სამართალო, ღმერთო, ხატო, რჯულო!..

ხალხი სუ, სუო, აფარებდა გოგიას პირზე ხელს, მაგრამ გოგია თავისას არ იშლიდა, ყვიროდა და ყვიროდა. მარინე,

რომელიც აქამომდე მისი ქმრის თავზე მომხდარი სანახაობით ისე იყო შეშინებული, რომ კრინტს ვერ სძრავდა, ახლა აჰყვა ქმარს, ჩიოდა: “არ ყოფილა ჩვენდა სამართალი, უფროსი არა, თათარი ყოფილა!” ამ დროს გამოვარდა უფროსი და დაიყვირა:

- წაათრიეთ ეს ღდინძალლი, ოცდაათი წკეპელი მიატყით და მერე ცოლიან-ქმრიანად სატუსალოში დაამწყვდიეთ! ჩქარა!

წკეპლის ხსენებაზე იქ მყოფ ხალხს რაღაც ყრუ, საიდუმლო, შიშის ბინდმა დაჰკრა სახეზე; რაღაც საშინელი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... გოგიას ფერი წაუვიდა, ენა დაება და შესაბრალისი, შეშინებული სახით იდგა ხალხში. მარინემ კარგა ვერ გაიგო უფროსის ბრძანების აზრი, მაგრამ მიხვდა კი, რომ რაღაც საშინელი ამბავი უნდა დატრიალებულიყო მათ თავზე და შიშით თავბრუდახვეული ელოდა, რით გათავდება ჩვენთვის ეს

წამიო.

გავიდა ამ მდგომარეობაში რამდენიმე წუთი.

- ჩქარა! - გაისმა კიდეც უფროსის ბრძანება და ფეხების ბრახუნი.

მამასახლისი შეუდგა ბრძანების ასრულებას.

- ვაიმე, მომეხმარეთ! - შეჰღრიალა გოგიამ და დააპირა გაძლინება, მაგრამ რამდენიმე ყაზახის მძლავრმა ხელმა დასცა ის.

იქ დამსწრე ხალხს საშინელმა ჟრუანტელმა დაუარა ძარღვებში, როცა გაისმა გოგიას გულის შემზარავი გმინვა და ღრიალი.

მარინემ ველარ აიტანა თავისი ქმრის უბედურება და

გულშემოყრილი დაეცა მიწაზე.

#### IV

სალამო მოახლოვდა. ზევიდან მოწმენდილი, ლურჯი ცა და ქვეშ თოვლით მოთეთრებული დედამიწა რალაც დიდებულ შეხედულებას სდებდა ბუნებას. თითქო ცა და ქვეყანამ ამოისუნთქაო, არე-მარეში ჩამოდგა სიცივე და დაიწყო ყინვა. სოფელი ა-ის გლენკაცობაში ნაღვლიანობა და დაღვრემილობა სუფევდა, მაგრამ ჩვეულებას მაინც არ ღალატობდენ და, ვინც მორჩა უფროსის და ყაზახების სამახურს, მიესწრაფებოდა შინისკენ, რომ სახვალიო, საკალანდო სამზადისის თადარიგი მოესწრო თავის ოჯახში. რა ვქნათ, ჩვეულება რჯულის უმტკიცესია, ნათქვამია, თორემ გასულ წლებში იმედგაცრუებულნი არც მომავალში მოელოდენ უკეთესს.

გოგია უიშვილი დანაღვლისფერებული სახით,

თავჩაქინდრული მოჰყვებოდა უკან ტირილისაგან თვალეზდასივებულს მარინეს. უფროსმა გამოიჩინა სულგრძელობა და დაუბარა მამასახლისს (თვითონ უფროსი კი წაბრძანდა თავის ცოლ-შვილთან ქალაქში, ახალი წლის მისაგებებლად) - რადგან ხვალ ახალი წელია, ის გლეზი გაათავისუფლეო. მამასახლისმა აღასრულა უფროსის ბრძანება, გაათავისუფლა გოგია და მისი ცოლი და, ის იყო, მიდიოდენ შინ.

ღამის სიბნელემ კიდევ მოატანა, როცა გოგიამ და მარინემ თავიანთ სახლს მიაღწიეს. იმ დილას ნანახი სცენით თავზარდაცემულმა და მთელი დღის განმავლობაში უპატრონოდ დაყრილმა ბავშვებმა, რა დაინახეს თავიანთი მშობლები, სიხარულით შემოესიენ იქიდან-აქედან. პატარა ქალი, თებრო, მიცოცდა თავის გოგიასთან, სიცვივისაგან დაწითლებული პატარა ხელებით დაუწყო თავის ბაბას წვერებზე ცაცუნნი და თან ეტიტინებოდა:



„ბაბა, სად აღის პული, ნაზალდი... ლოის მეიტანავთ? ნენამ შეინაქა?“ და სხვა. გოგიამ ალერსის მაგიერ ბრაზიანსავით წაჰკრა თავის პაწია ქალს ხელი და იქვე, მუგუზლებში ჩააჯახა. ბავშვმა ისეთი გულისშემზარად დაიწყო წივილი, რომ ამის დამნახველ მარინეს კინალამ გული არ წაუვიდა. მარინეს თავის დღეში არ ენახა, რომ გოგია ასე სასტიკად და შეუბრალებლად ოდესმე თავის შვილს მოქცეოდეს. გაკვირვებული დედა საჩქაროდ მიახტა ბავშვს, ამოიღო მუგუზლებიდან და ჩაუდო პირში ძუძუ, რომელშიაც იმ დღეინდელი ვაივაგლახის გამო რძე სრულიად გაშრობოდა, მშვიერი ბავშვი ძალზე ეწეოდა, მაგრამ შიგ ვერაფერს პოულობდა.

გოგია მიუჯდა ცეცხლს, შემოიდგა თავზე ხელი და მდუმარებდა. მარინემ კი, როგორც იყო, მოიბრუნა გული, ჯერ კვერი გამოუცხო ბავშვებს, დაუნაწილა და გოგიასაც მიაწოდა:

- შენ არ ჭამ? ახლა ვითამ თავი რომ დევიზოცოთ, იმით რა გაგვიკეთდება? რა ვუყოთ, ბევრს ჩვენზე უარესიც დამართია! არ გაგიგონია ჭკუიანის ნათქვამი, - ჭირს ქვის კედელსავით უნდა შეხთეო? მეიბრუნე გული, ხეფსი გადაყლაპე, ღვინო დააყოლე, ასე რავა იქნება, მთელ დღეს უხეფსოთ!

ამ სიტყვებთან მარინემ მიუტანა თავის ქმარს ჭიქით ღვინო და ხის ლამბაქით ყველჩართული კვერის ნატეხი.

- გასწი იქით! - დაუყვირა გოგიამ ცოლს და გაისროლა პურ-ღვინო ლამბაქიან-ჭიქიანად ცეცხლში.

- უი, ჩემ დღეს! კაცის ფერი რომ აღარ აქ, რაღა ესაჭმელება! არ გადირიოს და სხვას არ ვჩივი! ან რა გასაკვირალია, რაც დღეს მას საქმე უყვეს, იმას ურიეი არ უზამდა ქრისტიანს! იმის მნახველი ან მე, ძაღლის დასაჭმელი, რავაღა ვარ ცოცხალი!.. ღმერთო, შენ გაამწარე

იგი, ვინც ჩვენ ამისთანა დღეი დაგვაყენა! - დაასრულა მარინემ წყევლით ლაპარაკი და იმ იმედით, რომ გოგია მოისვენებს, დაიძინებს და შემდეგ ეგება გული მოიბრუნოსო, შეუდგა საკალანდო სამზადისს, მაგრამ რალა სამზადისი! ღორი აღარ ჰყავდათ, ძარში არც ერთი ქათამი არ დაეტოვებიათ, ხაჭაპურებიც აღარსად იყო - ისიც წაეღოთ! მარინემ მონახა დანარჩენი პურის ფქვილი, მოზილა და დაადგა კერაზე. მერე მოინდომა ქათმების დაჭერა, მაგრამ ქათმები ამ დროს ხეზე ისხდენ და როგორ უნდა მოეკიდებია ხელი! მოიხმარია თავისი ბავშვები, ჩამოაგდო ხიდან სამიოდე ქათამი და დაუწყო დევნა დასაჭერად. დიდხანს ეწვალა, მაგრამ არ იქნა, ვერას განდა. მეტადრე ხელს უშლიდა პატარა თებრო, რომელიც მამაზე გაჯავრებული იყო და ამიტომ დედას აღარ შორდებოდა.

- ციცავ, ერთიცახე მაცა, თვარა ისე გაცოფებული ვარ,

მგონია, შენ დაგკლა! - უწყრებოდა მარინე პატარა თებროს, ვითომდა სტოვებდა სახლში მამასთან, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, თებრო არ იცდიდა სახლში, უფროდაუფრო ეკვროდა დედას გულში.

უკანასკნელ, თითქმის ვახშმოზის დრო იყო, მარინემ, როგორც იყო, ორი ქათამი მოიგდო ხელში და დააკვლევია ბავშვს. „იმდენი ვზდიე ამ რჯულძალს, რომ დღეს მაინც დაბნეული მქონდა და კიდევ უფრო დამებნა ტვინი თავში! ასე მგონია, ხე და მიწა ტრიალებსო!“ - ჩაილაპარაკა თავისთვის მარინემ, ცოტა დაისვენა და შეუდგა საქმეს - ქათმები გაბურტყლა, სამიოდე ხაჭაპური გამოაცხო, წმინდა თაფლის სანთელი ჩამოქნა, ერთი დოჭი ადესის ღვინო ამოიღო ჭურიდან, ასე რომ შუალამე მოახლოვებული იყო, როცა მარინე საქმეს მორჩა.

გოგია კი მთელი ამ დროს განმავლობაში გამოუთქმელი, მძიმედ ჩაფიქრებული იჯდა ერთ ადგილას და

ჩასცქეროდა ნაკვერჩხლებს. ჩიბუხნი, რომელიც ისე უყვარდა და იმ დღემდე მუდამ პირში ეკავა, ახლა დავიწყებოდა. პატარა თებრო ხანდახან მწყრომარე თვალით გადახედავდა მას; ეტყობოდა, რომ ის ჯერ კიდევ ძლიერ გაჯავრებული იყო თავის ბაბაზე, - მუგუზლებში ჩასაჯახებლადაც გამიმეტაო. გოგიას საიდუმლო მდუმარებას და სასოწარკვეთილების გამომეტყველ სახეს ისე შეუშინებია მისი შვილები, რომ ვერც ერთი ხმის ამოღებას და მამის სიახლოვეს დაჯდომას ვერ ბედავდა. რაღაც საშინელი გულისმომკვლელი გლოვა-მყუდროება სუფევდა მთელ ჯალაბში.

- არ გეძინება? თბილ წყალს მოგიტან, ფეხი დეიბანე და დავწვეთ... შუალამეა აგერ, უთხრა მარინემ ქმარს.

მაგრამ გოგიას თითქო არც კი გაუგონია ეს სიტყვებით, ისევ ისე ჩაფიქრებული ჩასცქეროდა ცეცხლს. მარინემ

კიდევ განუმეორა თავისი სიტყვები, მაგრამ რა რომ ქმრისაგან პასუხი ვერ მიიღო, ერთი მწარედ ამოიოხრა და, რადგანაც ძლიერ დაღლილი იყო, დაწვა თავის შვილებთან იმ იმედით, რომ გოგიაც ადრე თუ გვიან დაწვებოდა. მეტისმეტად დაღლილს და მოქანცულს მარინეს ჩქარა მოსტაცა ძილმა თვალები.

სახლში დამყარდა საშინელი მყუდროება, რომელსაც დროგამოშვებით არღვევდა მარინეს ან რომელიმე ბავშვის ამოხრინვა ან წამობოდვება. ცეცხლი მიიბჟუტა და შავ კედლებს შუა რაღაც უსიამოვნო, გულზე მწუხრის მომდები სიბნელე იდგა, რომელშიაც საგანს ძნელად თუ გაარჩევდით. მხოლოდ თოფი, რომელიც კუთხეში ეკიდა, პრიალით მოჩანდა ამ სუსტ სინათლეშიაც. გოგია იჯდა ერთ ადგილას გაუნძრევლად. მის თვალებს რული არ ეკარებოდა, მის ყურადღებას არა რა იქცევდა გარდა იმისა, რომ ხანდახან აიღებდა თავს და გაიხედავდა იმ

კუთხისაკენ, სადაც თოფი ეკიდა. თითქო თოფის პრიალს გულს აყოლებსო. ამ მდგომარეობაში გავიდა ღამე, მოაწია ალიონი და გაისმა არემარეში მამლების ყვილი, გოგიას მამალმაც შემოჰკრა ფრთა ფრთას და მკაფიო ხმით მიულოცა პატრონს ახალი წელი. მამლის ყვილის გაგონებაზე გოგია შეინძრა, თითქო ძილიდან ეხლა გამოფხიზლდაო, ერთი გიჟივით გააქნია თავი იქით-აქეთ, თითქო რაღაცაზე უარს ამბობსო, ადგა და დაიწყო ყურება მძინარე ცოლ-შვილისკენ. ყველას ღრმად ეძინა. ერთ-ორ წამს უყურა გოგიამ, რომელსაც ეტყობოდა, უნდა გაეგო - ხომ არავის ღვიძავსო. მერე ფრთხილად მივიდა კუთხეში, ჩამოიღო თოფი და მიიტანა კარებთან. აქ კიდევ ერთ წამს შეჩერდა, გატრუნა სული და მიაყურა მძინარე ცოლ-შვილს; ისევ ხვრინვა და ძილის სუნთქვა ისმოდა. უკანასკნელ, გოგიამ ნელა გააღო კარი, გავიდა გარეთ, ისევ ნელა მიხურა კარი და გაჩერდა სახლის წინ. სავსე მთვარე გადახრილიყო და მოწმენდილ ცის დასავლეთის

კუთხიდან შემოსცქეროდა გოგიას ეზოს. გაყინულს, მთვარის შუქით გაბრწყინებულ თოვლზე თავისი ტოტებიანად დახატულიყო ხეების აჩრდილები, დაწყნრებულს, ყინვისაგან დამძიმებულს ჰაერში ისეთნაირ მკაფიოდ გაისმოდა მამლების ყვილი, რომ გეგონებოდათ, ეს ხმა ჰაერში თვალით დასანახავ სხეულად იქცაო. გოგიამ მიაპყრა თვალი იმ ადგილს, სადაც მთვარის სინათლეზე გარკვევით მოჩანდა წავიას ლეში. „ჩემი წავიეი!.. რანაირად ჰკიოდა!.. ალბათ, ძან მწარეა სიკვტილი!..” - ჩაილაპარაკა თავისთვის, შემდეგ მობრუნდა კარებისკენ და, თითქო კარებს ელაპარაკებო, დაიწყო ძლივს გასაგონი ხმით: „გლალატობ, ოჯახო! გლალატობ, ცოლ-შვილო! მე მივალ, ვთავისუფლდები და თქვენ გტყებთ სატანჯველში! მომიტევეთ! ველარ გავუძელი, ველარ ევიტანე მეტი და გევექეცი!.. გილალატე, მარინე! დავყარე შვილები შენს ამარა და გაგექეცი!.. შენ უფრო სულგრძელი ყოფილხარ ჩემზე!.. რა იმედით



დევიწყეთ უწინ ოჯახობა!.. ვიფიქრებდი, ამნაირად გათავდებოდა! რა დღეში რჩება ახლა ჩემი ცოლ-შვილი! მომიტევე, მარინე, მომიტევეთ, შვილებო! მომიტევეთ, მე თავს ვუშველე და თქვენ ასე დაგყარეთ!.. რა ვქნა?.. ღმერთია მოწამე, რაც თავს მოვსრივარ, მერე დღეი არ მომისვენია და ღამე, ჩემი ოფლი მიწას ერთოდა, მარა ჩემს დღეს საშველი არ დაადგა! ერთი სიხარული არ მინახავს! სხვაი-სხვაი იყო და შოლტით ცემა!.. არა, ამას იქით ყოფნა აღარ ღირს..” აქ რამდენიმე წამს კიდევ ჩაფიქრდა გოგია, მერე გააქნია ხელი და ყრუ ხმით წარმოსთქვა: „არა, არ იქნება, გათავებულია! შვიდობით, ცოლ-შვილო! მივალ! სადა, არც მე ვიცი!.. თებრო, მომიტევე, წუხელის რომ გაგლახე! მარინე, შენც, რომ ხმაი არ გამიცია! ყველამ, ყველამ მუუტევეთ თქვენს მოღალატე გოგიას!. თქვენ გგონია ჩემდა ადვილია მოცილება, დაკარგვა!.. რა ვიცი, სად მივალ!.. თავბრუ მეხვევა, ჟრუანტელი მირბენს ტანში, თვალები

მიზნელდება! არა, გათავებულია, გათავებული!..” ამ სიტყვებით გოგიამ საშინელი სწრაფად მიიღო მომართული თოფი გულზე, გაჰკრა თოფის ფეხს თავისი ფეხის თითი, თოფმა იჭექა და გოგია ჩაეცა კვალში. ეკითხოსო, გაუგებრად ამოილულლულა და შემდეგ სამუდამოდ დახურა პირი.

თოფის ხმამ გამოაღვიძა მარინე.

- გოგია, არ გეყურება? გათენებულა კიდეც. თოფის სროლა ისმის. ავდგეთ, ჩვენც გევილოცოთ! - დაუძახა მან თავის ქმარს, რომელიც ცეცხლიპირას ჩაძინებული ეგულებოდა.

„რავა ღრმად დასძინებია!.. იყოს, ჯერ მე ავდგები, ცეცხლს დავანთებ და მერე გავაღვიძებ... იყოს, ცოდვას იმის გაღვიძება! წუხელ იმდონ ხანს არ დუუძინია! ან რა დააძინებდა! რაც იმას გუშინ დღე დაადგა, ძილი არა,

ცოცხალი რავა ვართ ან მე და ან იგი!” - გაიფიქრა მარინემ, რომ ძახილზე ქმარი არ გამოეხმაურა, მერე ადგა, დაანთო ცეცხლი და დაუწყო თვალით ძებნა თავის მეუღლეს. გოგია არსად ჩანდა. „ნეტაი სად წასულა!” - დაეკითხა მარინე თავის თავს. გააღო კარი და გავიდა გარეთ, რომ დაეძახა. კარში თავის გაყოფის დროს მას ცხვირში მოხვდა თოფის წამლის და დამწვარი ჭინჭის სუნი. მარინე ძლიერ შეაშინა ამ ახირებულმა სუნმა. „მეზობლიდან თუ მეიტანა ბორიომო”, - გაიმაგრა გული და დაუწყო ძახილი, გოგიაო. სამაგიერო ხმა არსაიდან ესმოდა. „წყალზე თუ ჩევიდა პირის დასაბანათ!” - ჩაილაპარაკა მარინემ თავისთვის და დააპირა წასვლა პატარა მდინარეზე, რომელიც მათი ეზოს სიახლოვეს მიმდინარეობდა, მაგრამ, გადასდგა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი, ფეხებით რაღაც რბილ საგანს გადაებორძიკა და დაეცა ძირს იმავე რბილ საგანზე. ეს იყო გოგიას გვამი, რომელსაც მარინე აქამომდე ვერ ხედავდა, რადგანაც

მთვარე გადახრილი იყო და სახლს ჩრდილი გაეშვა წინ.  
„ვაიმე!“ - ერთი შეჰკვივლა მარინემ და წაუვიდა გული.

## V

გათენდა. დედამიწა სარკესავით კრიალებდა ყინვისაგან.  
ჰაერი დამძიმებულიყო მეტისმეტი სიცივით და ადამიანს  
სუნთქვას უნელებდა. სოფელ ა-ში ისმოდა  
განუწყვეტლივ თოფის ხმა, - ხალხი მიეგება შედლოებით  
კალანდას.

- ფარცაგი არ დამართია, იმისთანა წივილ-კივილი ისმის  
გოგისას! ცოფიანი მგელი თუ მუუხთა! - დაიძახა გოგია  
უიშვილის ერთმა მეზობელმა, როცა გამოაღო დილას  
თავისი სახლის კარები და დაუყოვნებლივ გაიქცა  
უიშვილისაკენ ამას გასდიეს სხვებმაც.

ჩავიდენ თუ არა მეზობლები გოგიას ეზოში, იმათ

დაუბნა შემდეგი სანახაობა: მარინეს ეჭირა ხელში დანა და გამაგებული დასდევდა თავის შვილებს შეშინებული ბავშვები საშინელი წივილით გარბოდენ იქით-აქეთ და იმალებოდენ. მაგრამ მარინე პოულობდა მათ, დალუნავდა თავს, გაუჭვრეტდა, თითქო კატა ჩიტს ეპარვისო, „ჭიტა“ - დაიძახებდა და გაიქცეოდა დამალულ ბავშვისკენ. რადგანაც მარინე თავისი ჭიტას ძახილით შორიდანვე ატყობიებდა ბავშვს მოვდივარო, ბავშვი ასწრობდა გაქცევას და სხვა ადგილზე დამალვას. როცა მარინე მოეწეოდა რომელიმე ბავშვს იმდენზე, რომ ჰა, ცოტა აკლია, ეს-ეს არის, მოჰკიდებს ხელსო, ის იყო, მაშინ ბავშვი ამოუშვებდა საშინელ წივილს: ვაი, ვაი, მომეხმარეთ, მომეხმარეთ, დამკლავო. ამ წივილზე მარინე შეჩერდებოდა. „ვაი“ - დაიკვივლებდა და ახლა მეორე ბავშვისკენ გასწევდა.

სახლის წინ, კვალში ეგდო გოგიას გვამი, რომლის სახეს

ისეთი ცივი, საიდუმლო შეხედულება დასდებოდა, რომ მის შეხედვაზე ჟრუანტელი დაუვლიდა მგრძნობიარე ადამიანს ტანში. მისი გაბურძგნული წვერ-ულვაშის და შეჭალარებული გრძელი თმის ერთი მხარე იდო სისხლში, რომელიც მოწრეტილიყო თავისკენ. ერთ ხელში ეჭირა მიწა, მეორეში - თავისივე თავიდგან მონაგლეჯი თმა. ფეხებთან მოჩიჩქნილი მიწა ამტკიცებდა, რომ რამდენიმეჯერ მძლავრად გაესო მიწაზე ფეხი, - ალბათ, ემწარა სიცოცხლის გამოსაღება. სახლში, ლოგინზე იდო ყელგამოღადრული პატარა თებრო. რომელიც ხანდახან გაუსობდა ცალ ფეხს ჭილობზე და ესაღმებოდა თავის უმანკო სიცოცხლეს.

- რა ამბავია, ქალო, აგი, რაი! - ყვირილით შესძახეს მარინეს ამ სანახაობით შეძრწუნებულმა მეზობლებმა.

- სუ, სუ, არ გააღვიძოთ, წმინდა ბასილეთა! - რაღაც უცნაური ფუჩუნის ხმით უპასუხა მარინემ მეზობლებს;

მერე მივიდა ერთ მეზობლის ქალთან და სიფრთხილით, საიდუმლოდ ჩაუფუჩუნა ყურში:

- წუხელ ჩამევიდა ზეციდან წმინდა ბასილე, ქვეყანა უნდა დააქციოს.

აქ ერთი შეჰკვივლა: ვაიმე, მოვიდენო და გაიქცა.

მეზობლებმა, რომლებიც ამასობაში საკმაოდ მოგროვილიყვენ აქ, გამოუდგენ და დაიჭირეს მარინე, რომელიც ეხლა ცივი ხმით კიოდა:

- შემოგვესიენ!.. წეიღეს ყოლისფერი!.. მოკლეს, მომეხმარეთ, მომეხმარეთ!

ამაზე მეტი კი ვერც გამოკითხვით და ვერც სხვა გზით კრინტი ვერ დააძრევებს. ცხადად ჩანდა, რომ მარინე გაგიჟებულიყო.

სხვა რა გზა იყო, მეზობლებმა მარინე დააბეს სახლში, თავი მოუყარეს გოგიას ბავშვებს, რომლებიც აქეთ-იქით მიმალულიყვენ, დედამ თებროსავით ჩვენც არ დაგვკლასო (ერთი პატარა ბავშვი ტანტის ქვეშ შემძვრალიყო და სანამ ძალად არ გამოიყვანეს, არ მოდიოდა), ჩააბარეს ერთ მეზობელს და შემდეგ გაგზავნეს კაცი მამასახლისთან ამ ამბის გასაცხადებლად.

მეორე დღეს მოვიდა მამასახლისი, შეადგინა ოქმი, აწერა გოგიას ოჯახის ყოფა-ქონება, დაანიშნია მეზობლებს ობლების აპეკუნი და ჩააბარა გოგიას დანაშთი ოჯახიც და ობლებიც ამ აპეკუნს.

გავიდა ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე წელი. მარინე დიდხანს დადიოდა გაგიჟებული, ტანსაცმელშემოგლეჯილი და ეუბნებოდა ხალხს: წუხელ წმინდა ბასილე ჩამევიდა ზეციდან, ქვეყანა უნდა დააქციოსო. უკანასკნელ სიკვდილმა იხსნა ეს ბედკრული



ადამიანი ასეთი დამამცირებელი ყოფისაგან.

გოგიას მიდამო თითქმის გავერანდა, გარდა სახლისა, ყველა შენობა ჩაინგრა. სახლის მარტო კედლებილა იყო დარჩენილი, სახურავი კი კარგა ხანია დალჳა და ჩაიქცა. რამდენიმე წელი კიდევ და ველარც შეატყობდით, აქ ერთ დროს მოსახლე კაცი მდგარაო.

მაგრამ აგერ ვილაცამ დახურა ისლით ეს სახლი და გაიჩინა შიგ ფუტი. ეს განლავთ გოგიას უფროსი ვაჟი (სხვები კი ჯერ სხვადასხვა პირებისას არიან სამოჯამაგიროდ), რომელმაც, ეს არის, ცოლი შერთო და მოუბრუნდა მამის კერას.

ვუნატროთ, რომ მამის ბედი აშორებოდეს და უკეთესად წასულიყოს მისი ცხოვრება.



# პალიასტომის ტბა

## I

გურიის დასავლეთის მხრის სოფლებისათვის ქ. ფოთს დიდი მნიშვნელობა აქვს: რაც რამ გასაყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის; სასყიდელია და - კიდევ იქ ყიდულობს. როცა ამ სოფლების გლებს გადასახადისთვის მიადგებიან კარზე და ფული კი არა აქვს, მაშინ ფოთია მისი თავდები: “მაცა, ფოთს ჩევირბენ, ამევიტან და მოქცემო”, ეუბნება გლები “ზბორშჩიკს” ან ნაცვალს. დილიდამ სალამომდე მიდიან და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებით, ინდაურებით, იხვებით, ბატებით, ღომით, სიმინდით და, ვინ იცის, რით არა დატვირთული გურულები. ხე-ტყე ხომ აუარებელი ჩააქვთ გურიიდან ფოთს. ამიტომაც არის, რომ როცა ხმა გავარდება, ფოთი

ყრუვდება, სხვაგან გადააქვთო (ასეთი ხმა ხშირია გურიაში), ზემოხსენებულ სოფლის გლეხებს ჯავრით გული უსქდებათ. მაგრამ ამისთანა სარგებლობასთან ერთი სახიფათო რამაც სჭირს გურულების ფოთს მისვლამოსვლას: აღმოსავლეთის კარებთან, საიდანაც გასასყიდელი რამეებით გამგზავრებული გურულები უნდა შევიდენ თავიანთის პატარა ვარცხლა ნავებით, სდგას ერთი მრისხანე მეკლიტული, რომელიც ხანდახან ისე გაჯიბრიანდება, რომ მთელის კვირაობით, გურულად რომ ვსთქვათ, აყურყუტებს აქ ფოთს მიმავალს მგზავრს; თუ ზაფხულია, კოლოები სწევენ ქელეხს ამ საცოდავის მგზავრის სისხლზე, თუ ზამთარი, სიცივე უხვრეტავს ძვალ-რბილს. მშრალი ადგილიც ძვირია (მთელი აქაური არემარე ჩაღით დამოსილი ჭაობია), რომ ცეცხლი მაინც დაინთოს კაცმა. მრისხანე მეკლიტული, რომელსაც მე მოგახსენებთ, გახლავთ პალიასტომის ტბა, რომელიც თითქო შავ ზღვას გადმოუტყორცნია და დაუბარებია:

წადი, აღმოსავლეთის მხრით, შენ უდარაჯე ქ. ფოთსაო.  
თითქო შავ ზღვას უმზითვებია ამ პატარა თავისი  
ნათესავისთვის შოფოთიანობა, გახელება, ადამიანის  
მტრობა. როცა ქარი ამოიჭრება, პალიასტომიც გაშავდება,  
გაპირკუპრიანდება, წამოიქოჩრება, პირზე თეთრ  
დორბლს მოიყენებს და ცასა და ქვეყანას ჩაყლაპვას  
უპირებს ეს პატარა ვეშაპი. თუმცა დიდი არ არის ეს ტბა,  
თვალმახვილი კაცი მისი შუაგულიდან ადვილად  
დაინახავს იმის ჩალიან ნაპირებს, მაგრამ სიმარდე და ზნე  
კი შავი ზღვისა აქვს, შავი ზღვისა, რომელთანაც  
პალიასტომი შეერთებულია გვარიანის მოგრძო და  
ფართო სრუტეთი.

პალიასტომის შესახებ გურიაში არსებობს ერთი ლეგენდა:  
ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ, თურმე, ხმელეთი იყო,  
ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს “პავლიას ტომს” ეძახდენ.  
ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთ ადგილას მიწა

გაირღვა, უცხად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაფარა. აქაური ხალხიც და ყოველივე სულდგმული დაირჩო, მხოლოდ ერთმა დიაკვანმა მოასწრო, გაიტაცა მთავარანგელოზის ხატი, აიტანა ჯუმათის მთაზე და იქ შემდეგ ამ ხატს ეკლესია აუშენეს. ეს დიაკვანიც, გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკლესია (მონასტერი) დღესაც არსებობს. ხალხი, გვარად დარჩია, დღესაც ცხოვრობს სოფ. ჯუმათში და ბევრი მათგანი სასულიერო წოდებისაა, მაგრამ ლეგენდაში მოყვანილი ამბავი რამდენად მართალია, ამისი კი რა მოგახსენოთ. პალიასტომის ტბა უფრო მის მახლობლად მდებარე მთებიდან მონაწრეტსა და დაბლობში შეგროვებულ წყალსა ჰგავს, მინამ მიწისძვრისაგან ამონახეთქსა, თუმცაღა შეუძლებელი კი არც ამ უკანასკნელშია რამე.

ხსენებული ტბა სამეგრელოს თავადს დადიანს

ეკუთვნის და მეთევზე მეგრელები აუარებელ თევზს იჭერენ შიგ თავიანთი ღრიფით. თუ როგორ გამხდარა სადადიანოდ პალიასტომი, ამის შესახებაც ერთი ლეგენდარული ზეპირი გადმოცემა არსებობს გურიის ხალხში: ერთი რაღაც შემთხვევის გამო სამეგრელოს თავადს დადიანს თავისი ვაჟიშვილი მიუცია გურიის მპყრობელ გურიელისათვის მძევლად. გურიელს, მძევლის აყვანის შემდეგ, კიდევ მაინც რაღაც ეჭვი აუღია დადიანზე - მლალატობსო. ამიტომ ახალი წლის წინა დღეებში მოუჭრია თავი მძევლად აყვანილ დადიანის ვაჟისათვის, ჩაუდვია ეს თავი ყუთში და უთქვამს: ვინც ამას ახალწელს დილით დადიანს მიუტანს, გლეხი იქნება, აზნაურობას ვუბოძებ და აზნაური - თავადობასაო. ერთს გლეხს უკისრია მიტანა; შემჯდარა ცხენზე და სწორედ ახალწელს წირვაზე წასვლის დროს მიურთმევია დადიანისათვის დაკეტილი ყუთი - გურიელმა მოგართვაო. როცა დადიანს ყუთის გასაღები მოუთხოვია,

გლებს შემოუკრავს თავში ხელი: “ვაიმე, წუხელ სხვაგან ღამე გავათიე და იქ დამრჩენიაო”. ამ სიტყვებით გლები მოხტომია ცხენს და გამოუწევია შინისაკენ, ვითომდა კლიტის მისატანად. როცა დადიანს დაუნახავს, ყუთის მომტანი გლები აღარ დაბრუნდაო, გაუტენია ყუთი და უნახავს, რაც იდო შიგ - თავის შვილის თავი. ამაზე ატეხილა გურიელსა და დადიანს შორის ჩხუბი. უკანასკნელ, როგორც ყოფილა, მორიგებულან და დადიანს თავის შვილის სისხლში გურიელისაგან პალიასტომის ტბა აუღია.

პალიასტომსა და გურიის სოფლებს შუა, რიგ-რიგად, უშველებელი ზოლებივით მდებარეობს ჯერ სოფლების ბოლოს, საყანე და საბალახო ადგილები, მერე დიდი, თუმცაღა ჭაობიანი, მაგრამ სხვადასხვა ხეებით მდიდარი ტყე და უკანასკნელ ისლით და ჩალით დამოსილი ადგილი, რომელსაც გურულები ეწერს ეძახიან. კარგი



სანახავია ეს ეწერი, გაზაფხულზედაც თვალის წარმტაცის სიმწვანით და შემოდგომაზედაც ჩალისფერი სიყვითლით; თვალს იტაცებს, მაგრამ კიდევ ატყუებს: იქ, სადაც თვალს ხავერდით მოფენილი ჰგონია არე-მარე, ჭაობსა და დამპალს წყალში გეფლება ფეხები. კარგი რამ არის ეს ეწერი მონადირისათვის მაშინ, როცა დასთოვს და გაჰყინავს: ველარსად ემალება მონადირის ძაღლებს აქ გამოდევნილი ღორი ან შველი. ტყესა და ეწერს ხაზავს აუარებელი პატარა მდინარეები (გურულად ნოყო), რომლებისგანაც შესდგება ორი სანავო და სატივო მდინარე. ეს სანავო მდინარეები იწყება სოფლების ბოლოდან და ჩაერთვის პალიასტომს.

## II

ქრისტეშობისთვე იყო. საშინელი ცუდი დარები დაეჭირა. ხან ჰქროდა და ხან წვიმდა, ხოშკაკალს ჰყრიდა, ხან თოვლსაც ურევდა. როცა მოიწმენდდა, ყინვა სწვავდა

ყველაფერს. ბედნიერი ხალხი, ესე იგი მდიდრები, მამულიანები, უფროსები ამ დროს დაღუღუნებულ თბილ ბუხართან ისხდენ და სხვადასხვა შესაქცევართ იქცევდენ თავს. მაგრამ მუშა გლენს, რაც გინდა რა დარი იყოს, მაინც არ შეუძლია მოისვენოს; გლენმა კარგად იცის, რომ მოსვენება და სატანჯველის მორიდება უარესს სატანჯველს შეახვედრებს და ამიტომ არას დროს არ ისვენებს, არც დარში და არც ავდარში, ეწევა უღელს, სანამ სიკვდილი არ დაახუჭვებს თვალებს. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვთქვით, საშინელი ცუდი დარები იდგა, პალიასტომის ტბის მახლობელ ტყეებში გაისმოდა ცულების ხათქახუთქი და წამდაუწუმ ხის წაქცევისაგან - გრიალი. მუშა გასეოდა ტყეებს და ამზადებდა ფოთს გასასყიდს ხეებს. მუშაობდენ, ავდრის და სიცივის მიუხედავად, დასველებულები, სიცივისაგან ხელფენდაწითლებულები; მუშაობდენ მოუსვენრად და ღამით დაქანცულ-დაღლილები ეყრებოდენ აქა-იქ

ფარლალა კარვებში, ცეცხლის პირას, დასაძინებლად. ვისაც ნაბადი ჰქონდა, ეხვეოდა ნაბადში და უმეტესობა კი ისე გაუხდელად, სველის ტანისამოსით მიეგდებოდა დილამდე წკნელის ლოგინზედ და ხის მუთაქაზედ. ბევრს კარავში წვეთი და წვიმის წყალიც ჩადიოდა, რადგანაც მუშას ვერ მოეცალა ხეირიანად კარვის სახურავის გასწორებისათვის.

ტყე, რომელშიაც ეხლა მუშაობდნენ გლეხები, ერთ დროს ეკუთვნოდა სოფლებს, ყველა წოდების კაცი, ყველა დიდი და პატარა თავისუფლად თევზაობდა, ნადირობდა და მუშაობდა შიგ. მოდავე და მოცილე არსაიდან ჩანდა, იმას გარდა, რომ ხანდახან ერთი სოფელი მეორე სოფელს დაედავებოდა: ესა და ეს ნაჭერი ტყე მე მეკუთვნის და არა მეო; ართმევდენ ერთმანეთს დამუშავებულ ხეებს, უფუჭებდენ ნამუშევარს, მაგრამ ბოლოს საქმე ისევ მორიგებით თავდებოდა. მერე კიდევ ასეთი შემთხვევა

ხშირი არ იყო - ოცს ან ათს წელში ერთხელ მოხდებოდა. მაგრამ უკანასკნელ, როცა ტყის სარგებლობა გაიგეს, გლეხების მონაწილე თავადაზნაურობამ მოინდომა გლეხების თავიდან მოშორება; ჯერ ნელ-ნელა დაუწყეს ღრინვა - გლეხს კანონის ძალით ტყე არ ეკუთნის, ტყე ჩვენიაო. მაგრამ გლეხები ყურსაც არ იბერტყავდენ ასეთ ღრინვაზე. შემდეგ, რა ნელ-ნელა ღრინვით ვერას გახდენ, თავად-აზნაურებმა დაუწყეს გლეხების დამუშავებულს ხეებს ტაცება. რასაკვირველია, წინდაწინ უფრო ჯაბანს გლეხებს უბედავდენ წართმევას, მაგრამ შემდეგ აღარც მძლავრებს დაერიდენ. ეხლა კი გლეხებმა გაახილეს თვალი, დაუწყეს იმათაც სამაგიეროს გადახდა და ამ მხრით კიდევ გადააჭარბეს თავიანთს მოწინააღმდეგეებს. რადგან გლეხობა ბევრი იყო და მათ წინააღმდეგ ძალით ვერას გახდებოდა, თავადაზნაურობამ მიმართა პოლიციას. დღეს ერთს გლეხს ადებდენ ბრალს და აბარებინებდენ პოლიციაში, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს და

ასე ამგვარად, პოლიციის საშუალებით აპირებდენ მათს განდევნას ტყის მონაწილეობიდან. მაგრამ გლეხობამ ეხლა სხვა ღონეს მიმართა, ისინი შეერთდენ და სამუშაოდ თუ წასართმევად ერთად მიდიოდა ტყეში მთელი სოფლის გლეხობა. თავად-აზნაურებისკენ გადამდგარმა პოლიციამ, რასაკვირველია, აქაც თავისი ხერხი იხმარა, - დააპირა გლეხების დატუქსვა. მაგრამ “თავს დავიხოცთ და ჩვენს სარჩოს ხელიდგან ვერ გაუშვებთ, რაც უნდა გვიყოთო”, იყო გლეხების მხრით პასუხი. პოლიციამ სცადა კიდევ თითო-ოროლა თავკაცის გამოკლება გლეხებისაგან და დატუსალება, მაგრამ გლეხები არც ამით იღებდენ ტყის სარგებლობაზედ ხელს: “თუ გინდა სულ თითოთითობით სატუსაღოში გამოგვალპეთ, ჩვენს ლუკმას მაინც პირიდან ვერ გამოვიღებთო”, - იმეორებდენ ისინი. აქ, მართლაც, პოლიცია ვერას გახდა და თავადაზნაურობამ მიმართა სამსჯავროს კარებს. აქაც კარგად მიდიოდა გლეხების

საქმე, რადგანაც თავადაზნაურობაში განხეთქილება მოხდა, ისინი ერთმანეთთან დავას მოუხდენ და გლეხებისთვის აღარ ეცალათ. თავადები საკუთრად ჩემობდნენ მთელ ტყეს, აზნაურები ამბობდნენ, რომ თითოეული თავადის ოჯახსაც იმდენი წილი აქვს ტყეში, რამდენიც თითოეული აზნაურის ოჯახსაო. აიწეწა საქმე თავადაზნაურობაში. რა რომ საქმე აწეწილი დაინახეს, ხაზინა და ეკლესიაც წამოყელყელავდა: იქნება ჩვენც დავიჭიროთ ამ მღვრიე წყალში თევზიო. ასტებეს იმათაც დავა და ამტკიცებდნენ, რომ სადავო ტყე არც გლეხებს ეკუთნის და არც თავად-აზნაურობას - საეკლესიოა და სახაზინოაო. ისე დაიხლართა საქმე, რომ სამსჯავროებს მოსვენება აღარ ჰქონდათ იმისგან. ვინ იცის, საიდან არ გამოჩნდნენ ადვოკატები! ერთს ადვოკატს კი აღარ სჯერდებოდნენ მოცილეები, ორსა და სამს იყენებდა თითოეული მათგანი. მხოლოდ გლეხები კი არას დაგიდევდნენ, დარწმუნებულნი, რომ, “თუ კალონი

არსებობს ქვეყანაზე, ჩვენს წილს ტყეს ვერავინ ჩამოგვართმევსო”, დამშვიდებით განაგრძობდენ ტყით სარგებლობას. ძალით ვერც ერთი მოცილე ვერას აკლებდა და სამსჯავროში კი თავადაზნაურობის და ხაზინის აგენტის განცხადება, გლახკაცს თუ არავისაგან შეუსყიდია და დოკუმენტი არა აქვს, ისე უძრავი ქონების დასაკუთრება არ შეუძლიათ - სამსჯავრომ არ მიიღო: ათის წლის სარგებლობა სრულიად საკმარისია, რომ უძრავი ქონება მოსარგებლემ დაისაკუთროს, რა წოდებისაც უნდა იყოსო, - იყო სამსჯავროს მხრიდან პასუხი. მოცილენი რა დარწმუნდენ - საქმე ძალიან არეულ-დარეულია, სამსჯავროში საქმეს ბოლო აღარ ედება და გლახებსაც ტყის მონაწილეობიდან ადვილად ვერ გავდევნითო, ხრიკს მიმართეს: დაუფაცურდენ გლახებში განხეთქილების ჩამოგდებას. თავადები თავიანთს ნაყმევებს ეუბნებოდენ: “თქვენ არ გეუბნებით უარს და სხვისი რა დარდი გაქვთ, ტყუილა ან თქვენთვის

რად ჰკარგავთ ტყეს, ან ჩვენ რად გვიკარგავთ! მოგვიწყვეთ ხელი, გავდევნოთ სხვა მონაწილეები და მერე ჩვენ გავიყოთ ტყეო”. ამასვე ეუბნებოდენ აზნაურები თავიანთ ნაყმევეებს, ამასვე ეუბნებოდა ხაზინა და ეკლესია სახაზინო და საეკლესიო გლეხებს.

უმნიშვნელოდ არ ჩაიარა ამ ხრიკმა: დაიწყო ნელ-ნელა რღვევა გლეხების ერთპირობამ; ზოგი თავადებს ეკედლებოდა, ზოგი - აზნაურებს, ზოგი ხაზინას. დარჩა მცირე ნაწილი გლეხობისა თავისთვის. მაგრამ რაღა დარჩენა იყო იმისთანა დარჩენა! ის გლეხები, რომელთაც მათ უღალატეს, ილაჯს უწყვეტავდენ თუ ხის წართმევით, თუ ცრუ მოწმობით. ისე თვე არ გავიდოდა, რომ ამათ შორის თავპირის მტვრევა არ მომხდარიყო. ვინ იცის, რა ღონეს არ ხმარობდენ ერთმანეთის დასაღუპავად! ჩუმად ცეცხლს უკიდებდენ ერთი მეორის სახლ-კარს და ცეცხლს აბუგვინებდენ ვაი-ვაგლახითა და



ოფლით მონაგარს სარჩო-საცხოვრებელს. გზებზე თოფით უხვდებოდენ და ჩუმად ჰკლავდენ ერთმანეთს; ცილს უგონებდენ და სისხლის სამართალში აძლევდენ. თავადაზნაურობა, რომელმაც ასე გადაჰკიდა ერთმანეთს გლეხები, გულში იცინოდა და თავის საქმეს იკეთებდა. გადაბირებულ გლეხების შემწეობით და ცრუ მოწმობით ბოლოს იმათ მოიგეს საქმე დანარჩენის გლეხებისაგან და ეხლა დაუწყეს საჩივარი ზიანის, ტყის ბაჟის და სამსჯავროში ნახარჯის შესახებ; ესეც მოიგეს, ჩაუყენეს გლეხებს ბოქაული და სულით ხორცამდე, რაც კი ებადათ, სულ ვალში გაუყიდეს. ცრემლები გადმოგცვივოდათ, როცა სახლს, ბელელს, საქონელსა და სხვას აცლიდენ გლეხებს ხელიდგან და ცარიელს ჰყრიდენ ცაწმინდის ქვეშე!

გლეხები ხომ მოიშორეს თავიდან, ეხლა თავადაზნაურობას დარჩა მოცილედ ხაზინა და ეკლესია.

რომ ესენიც მოემორებიან, საჭირო იყო იმათი (თავადაზნაურობის) ერთმანეთში მორიგება. მორიგდენ კიდევ. მორიგების შემდეგ მათი საქმე კარგად წავიდა: ნაზინასა და ეკლესიისაგან ტყის საქმე მოიგეს. ის გლეხებიც, რომლებიც გადაბირებული ჰყავდათ და ვითომც ტყეში მონაწილედ ცნობილობდენ, პირში ჩალაგამოვლებული დასტოვეს და უბაჟოდ ერთს ღერს წკნელსაც არ აჭრევიებდენ.

აი, ეს ტყე იყო, რომელშიაც დღეს გლეხები ხეებს თლიდენ ფოთს წასაღებად. დამზადებულის ხისაგან ნახევარი ტყის პატრონებისთვის - თავად-აზნაურებისთვის - უნდა ჩაებარებიათ ტყის ბაჟში. იმ დროის, როცა გლეხებსაც საკუთარი წილი ჰქონდათ ამ ტყეში და ბაჟს არავინ ახდევებდა, მხოლოდ გლეხების მიერ დარქმეული სახელებილა შერჩენოდა ადგილს და წყლებს, მაგალითად, “მჭედელაის საღობი”, “საფარონე” და სხვ.

### III

ერთი ნოყოს პირზედ იდგა კარავი, რომელსაც ზედ ეტყობოდა, რომ მარჯვე და მოხერხებული მუშაკაცის ხელს გაეკეთებია: კარგის წკნელით მაგრად დაღობილი, ზედ ფიცრის კარი, რაც შეიძლება, ისლით კარგად დახურული, აქეთ-იქით სუფთა წკნელისაგან დაწნული, ტანტისებურად გაკეთებული საწოლი, - ერთი სიტყვით, მთელ ამ ტყეში იშვიათი იყო ასეთი კარავი. ეს კარავი ეკუთვნოდა გლენს ივანეს, რომელიც თავისის თექვსმეტის წლის ვაჟით ნიკოთი ჩამოსულიყო და მუშაობდა ტყეში. ივანე ორმოცდახუთი წლის იქნებოდა. ის იყო საშუალო ტანისა, ბეჭებგანიერი, სწორის, სასიამოვნო შესახედავის პირისახისა, რომელზედაც სიმამაცე და გამბედაობა ემჩნეოდა. ივანე დიდად წვრილშვილი კაცი იყო - ჰყავდა ორი ვაჟი და ხუთი ქალი. ამათში უფროსი ნიკო იყო; ნიკოს შემდეგ გასათხოვარი

ქალი და დანარჩენები ისე მცირეწლოვანნი, რომ ჯერ, ჭამის გარდა, არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. რომ ოჯახი და შვილები ერჩინა, ივანეს მხრით მოუსვენარი შრომა იყო საჭირო. აი, ამ მოუსვენარ შრომას უნდა მიეწეროს, რომ ივანეს წვერ-ულვაში ისე ჰქონდა გათეთრებული, როგორც ორმოცდაათი ან სამოცის წლის კაცს შეჰფერის. თუმცა ივანე მოხუცობას არ იმჩნევდა, მხნედ და ჯანიანად გამოიყურებოდა, მაგრამ ხანდახან კი წამოსცდებოდა ის, რასაც თავისთვის ხშირად ფიქრობდა: “თავს არ ვუტყდები, თვარა მოვხუცდიო”. მეზობლებში ივანე პატივცემული იყო თავის ჭკუის, პატიოსნების და სიმარჯვის გამო. რადგანაც ოჯახს შედარებით გვარიანად და კარგად ინახავდა, მეზობლებს ისიც ეგონათ, რომ ივანეს ვაჟკაცობის დროს შენაძენი ფული აქვს შენახული და გაჭირვების დროს ცოტცოტაობით ხარჯავსო. ცულის ხმარება ივანემ კარგად იცოდა და ამიტომაც ხშირად გაიგონებდით ტყეში მომუშავე მუშებში: “ძმავ, ხეები

ივანიკას რომ აქ, იმას ჰქვია, ღურგალის გათლილს ჰგავს! რა გასაკვირალია, რომ იი კაი ფასათ გეიყიდოს!” ამ წელს ივანემ მეტადრე ადრე დაიწყო მუშაობა და კარგა ბლომდაც დათალა ხე, რადგანაც ცოტაოდენს ნიკოც ეხმარებოდა. საღამომობით ივანე ნიკოს ადრე გამოუშვებდა ვახშმის გასაკეთებლად და თითონ კი დაბნელებამდე მუშაობდა. მერე, როცა დაბრუნდებოდა კარავში, მოუჯდებოდა ცეცხლს: დაიტებდენ მამა და შვილი ჩახანაში გამომცხვარს მჭადს, თუ ხსნილი იყო, ხმელს ყველს მიაჭმევდენ ზედ, თუ მარხვა - სუნელს, ივანე ხან თევზსაც იჭერდა, გარეულს ღორსაც ჰკლავდა (ივანე კარგი მონადირე იყო), თუმცაღა კი ძლიერ უჩიოდა: “გამეილია ამ დასაქცევ ტყეში ყოლიფერი. უწინ დილიდან საღამომდე რომ სამზირს (უძალლოთ ერთის კაცის ნადირობა) წავსულიყავი, ირემს გავაგორებდი, თებზით ნავს დავლაღავდი! ახლა ირემი ქე მოისპო, თევზი წყალში გამეილია! ერთი კვირე უნდა სდიო და

კიდევე კაი ბიჭობაა, ერთი ჭვირთი თებზი ან ხორცი იშოვნო კაცმაო”.

ერთს სალამოს ივანე ადრე დაბრუნდა კარავში და დიდხანს ესაუბრა თავის ნიკოს:

- იცი, ბიჭო ნიკო, ღმერთმა თუ ხელი მოგვიმართა და აფერი გამოგვეკრა, ავადმყოფობა ან რამე, წრეულს ძაან საჭმეს ვიზამთ, ძაან დავთალეთ ხეები! იი ციცაის მგვზითი რომ არ მქონდეს საყიდლად, ამ ხეების ფასით მებატონესაგან მიწას დევიხსნიდი, თავს გევითავისუფლებდი. ჰეი, ერთი იმ ნადელის გადასახადს მომაშორა და მომკლა, აღარ ვჩივი! მეზობლები სულ იმას მიჩივიან “შენისთანა შეძლებული ვინ არის, თავს რეზა არ ითავისუფლებო”. ჰგონიან, რომ ფული მაქ. თავი გევითავისუფლო და ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი დავყარო, ამას ვერ ვიზამ და ისე ყოლიფერს აღარ ეყო ერთი კაცის მკლავი. წრეულს იმ ციცაის გათხოვას

მოვრჩები... იი დასაქცევი, თლათ წახდა დროი! ვაჭარ ურიასავით მარტო ფულისკენ უჭირავს ყველას თვალი, მოწიფულს კაცს მაქამდულა გული აღარ უძგერის მკერდქვეშ. ჩემ შვილობით არ ვიტყვი და ჩემი ციცაი მატაი რომ უწინდელს დროში ყოფილიყო, მგვზითი კი არა, პირაქეთ დეიხარჯოდენ იმის ცოლათ შერთვაში. ჩვენ მუხურში იმისთანა ქალი ორიც არ მეიძებნება. ახლა მისი წონა მგვზითი თუ არ დავაყარე თავზე, შინ უნდა დამიბერდეს: დაბერებას ვილა ჩივა, ვინმე შემირცხვენს, იი ოსიკელაის ციცას რომ უგვირგვინოს შვილი აყოლეს, ისე... წრეულს, აი ერთი საქმე შევასრულოთ, რაც ამას მორჩება, გადასახადებს და ბაღნების დამოსვას მოუნდება...

- ბაჟი რომ არ გვქონდეს გადასახადი, რაც ხეები დავთალეთ, სულ ჩვენი რომ იყოს... - გააწყვეტია ნიკომ თავის მამას სიტყვა.

- ჰმ!.. ბაჟით რომ არ მხთიდენ სულს!.. წმინდამა გიორგიმ ბეჟვა არ გამოუწყვიდა მის ოჯახს, ვინც ჩვენ საბაჟოთ გაგვიხადა საქმე! - ჯავრმოსვლით დაიწყევლა ივანე, - ეი, ჰაი, ბიჭო, სად არის პირი და ერთობა! ჩვენსავე მოძმეებს რომ არ ელალატია, ვის რა ხელი ქონდა ჩვენთან! მარა ლალატი და უპირობა! ჰმ... მაშვინ რომ ფხარიდან არ გამოგვშლოდენ!.. მოატყუეს უბედურები, ალალატებიეს და მერე თვითან ულალატეს! ყაძახს ყოლიკაცი მუატყუებს. ყაძახმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერთმანეთის ფხარის მიცემა, მაშვინ... მარა ყაძახი უსტავლელია და უსწავლელს ყველა ატყუებს... იცი, ნიკო, წრევანდელი, რავაც გვითქვამს, ისე მევიხმაროთ. ამ გაის ძაან ადრე ჩამოვიდეთ, მაშვინ შენც კარგა შეგედლება მუშაობა და ერთი იი ბატონი მევიშოროთ თავიდან. მენადელე კაცი ბატონის ყმაია. იფიქრე, ერთი რომ უცფათ ფეხი გამეშალოს, ჩემს ობლებს ნადელის გადასახადში დააწინდრებენ! ღმერთო, შენ მომიწყვე ხელი!



- მოვკტით, ბაბავ, ყველა ზამთარში ტყეში გდებით! რა იქნა, ძაღლი ხომ არ ვართ! ერთი მევისვენოთ! - უკმაყოფილოდ უპასუხა მამას ნიკომ.

- მოსვენება კაია, შვილო, მარა ვინ მოგვასვენებს! მებატონეს, ღვდელს, ხენწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს, ყველას პასუხის გაცემა უნდა, ძნელია მუშის უღელი!

ნიკომ შეხედა მამას და ნაღვლიანად ამოიოხრა. ნიკო ქერა ყმაწვილი იყო, ქალივით ნაზის აგებულებისა და ამიტომ ძლიერ უჭირდა შრომის ატანა. მამა ატყობდა ნიკოს, რომ მძლავრს მუშაობას ვერ აიტანსო და ამიტომ მოინდომა მისი სწავლაში გაზრდა. ერთხანს სოფლის სკოლაში ჰყავდა, მერე საქალაქო სასწავლებელში წაიყვანა. ნიკომაც კარგი სწავლის ნიჭი გამოიჩინა, პირველ შეგირდად ითვლებოდა თავის ამხანაგებში. მაგრამ ივანემ ველარ შეიძლო შვილის სკოლაში რჩენა და პირველის კლასიდანვე გამოიყვანა ნიკო, რომელსაც თუმცა აგერ

სამი წელი იყო, რაც ის სკოლას მოაცილეს, მაგრამ წიგნის კითხვის სურვილი მაინც არ გაქრობოდა. იპოვნოდა თუ არა თავისუფალს დროს, წიგნში ჰქონდა თვალი. ივანეც ძლიერ დარდობდა ნიკოს სწავლიდან მოთიშვას:

- წევიწყმიდე სული, შენ რომ კლასს მოგაშორე! ახლანდელ დროში უსტავლელი კაცი უღლის ხარია, მეტი არაფელი, - იტყოდა ხოლმე ივანე, როცა ნიკოს წიგნს დაუნახავდა ხელში. მაგრამ რა ექნა? ველარ შესძლო ამ დროულმა კაცმა მძიმე უღლის წიკვა და უფროსი შვილი ამოიყენა გვერდში. თავისის ფიქრით, ივანე უმცროს ვაჟს უპირებდა სწავლაში გამოზდას, მაგრამ ამით ნიკოს სწავლაზე მოთეშის დარდი არ უმსუბუქდებოდა.

- ასეა, ნიკო, ასე ყაძახის საქმე!.. - ივანეს უნდოდა სიტყვა განეგრძო, მაგრამ ამ დროს მასთან შევიდა მისი მეზობელი გიგოია და უთხრა:

- შეიტყვე, ივანე, რა საცოდაობა ქნილა? წუხელი რომ დიდი ქარი იყო, ზალიკაის კარავთან მუხა მუუგლეჯია, დუურტყამს კარავზე და ორივე ამხანაგები, ზალიკაიც და სიმონიკაიც, გუუჭყლეტია! ნეტაი დასამარხათ მაინც ეშონა კაცს მკტარი! რას ქვია! მოკიდია ცეხლი და რავაც თაფლის სანთელი, ისე გამომწვარა ორივე! რაღა ეშველება მათ ცოლ-შვილს! ნეტაი მაინც იმდონი ობლები არ დარჩენოდენ. ერთსაც და მეორესაც ნაცარი საფსე ჰყავს ბაღნებით!

- ვაი საწყალო, ვაი საწყალო! - შემოირტყა ივანემ თავში ხელი, - გუშინდამ რომ გამევიარე, ვუთხარი: ბიჭო, აი მუხა დროზე მოსჭერით, თვარა კას არ იზამს-მეთქი! ვაი, რა ცოდვა დატრიალებულა! ერთმა მეორეს რომ ცეხლი მოაფსოს ტანზე, იმისთანაი არ დარჩენია არცეთს, შიმშილი დახოცს! მოდი ახლა ჩვენს სიცოცხლეს სიცოცხლე დაუძახე!..

- ნეტაი ეძინენ, თუ რეიზა ვერ გაასწრეს? - იკითხა ნიკომ, რომელსაც შეშინებულის სახე დაედო ამ ამბის გაგონებაზე.

- იგი ვილამ იცის, მოამბე კაცი რომ აღარ გადარჩენილა, - თქვა გიგოიამ.

ერთს ხანს კიდევ ილაპარაკეს ივანემ და გიგოიამ, თუ როგორ შეატყობიონ ზეგანში იმ ცოდვიშვილების ცოდვილს და მერე გიგოია წავიდა თავის კარავში.

- ჰმ!.. - წამოიძახა ივანემ მწარედ, - ასეა უბედური მუშაკაცის საქმე: მუშაობს, ფაცურობს, აი იქით, აი აქეთ, გეიხედავ და ჩაკვტება საცხა, რავაც მწერი, ისე! ვინ შეიტყობს, რამდონი ზალიკაი, სიმონიკაი, გოგიეი ამ კუთხეში ჩაკვტება, რამდონი სხვა კუთხეში და რამდონი სად? რა არის ჩვენი სიცოცხლე!..

დიდხანს ილაპარაკეს იმ ღამეს მამამ და შვილმა. გაიხსენეს ყველა, ვინც კი იმ წელს მათ სოფელში ან სხვა ახლომახლო სოფელში ფათერაკად მომკვდარიყო: ვილაც გოგიეი, რომელიც ხეს ჭრიდა, ვერ გაიგო ხის წაქცევა და ხემ გაჭყლიტა; თედორიკა, რომელსაც სიმინდის დატეხის დროს სავსე ნალიას ქვეშ დაეძინა, ნალია წაქცეულიყო და ცოლიან-შვილებიანად გაესრისა; პავლია, რომელიც ნიგოზის ჩამორეკის დროს ხიდან ჩამოვარდა, თავი კვერცხსავით გაეთქვიფა და, რა თქმა უნდა, მოკვდა; პეტრიელაის ექვსი წლის ქალს, რომელიც მშობლებმა სახლის მცველად დასტოვეს, უცბად ცეცხლი მოეკიდა ტანსაცმელზე და დაიწვა; მასიკელაი, ოცი წლის ბიჭი, რომელიც ერთს ღვდელთან მოჯამაგირედ იდგა, წყალდიდობას სხვაგან გაგზავნეს და დაირჩო; ვილაც გოგიელაი, რომელმაც ოჯახის რჩენა ველარ შეიძლო და თავი მოიკლა; სამი ბავშვი, რომლებიც იმ დროს, როცა მათი მშობლები ყანაში იყვნენ, ცოფიანმა დაჰგლიჯა; ერთი

მათგანი (უმცროსი) მაშინვე მოკვდა, მეორე გაცოფდა და მესამე გადარჩა, მაგრამ დამახინჯებულია - ცალი თვალი ამოგლეჯილი აქვს, ბაგე გახეული და ხელი გაფუჭებული; ერთი ძუძუს ბავშვი, რომელსაც იმ დროს, როცა დედამისმა სადილი წაიღო ყანაში და ის აკვანში ჩაკრული დატოვა, გველი მოეხვია ყელზე, დაკბინა და გამოუთქმელს ტანჯვაში დალია სული.

კიდევ ბევრს ასეთებზე ილაპარაკეს, ასე რომ შუალამეზე გადასული იყო, როცა დაიძინეს.

## IV

ფოთს წასაღებად დამზადებული ხეების ბედ-იღბალი ტაროსზეა დამოკიდებული: თუ წყალდიდობა არ შეხვდა, ისე ის ნოყობი, რომლის პირებზედაც ხეებს ამზადებენ (დიდრონ სანავო წყლების პირზე ამ ტყეში ხე გამოილია), წყლის სიცოტავის გამო ტივს ვერ აიღებს. ამიტომ ხშირად

ხდება, რომ გოლვიანი წელიწადი ზედიზედ მოჰყვება ერთმანეთს, წყალდიდობა არ გაჩნდება და დამუშავებული ხეები ძირზედვე ღვება. ამიტომაც არის, რომ ტყეში მომუშავე, რა დაამზადებს ხეებს, მას შემდეგ მუდამ ცას შესცქერის: როდის იქნება ერთი წვიმა დაუშვას და წყალდიდობა დეიწყოსო. მართალია, წვიმა გურიაში, შავი ზღვის სიახლოვის წყალობით, იშვიათი არ არის, მაგრამ ისეთი წვიმა და წყალდიდობა, როგორც ხის პატრონებს ეჭირვებათ, წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ მოხდება - ხან, როგორც ვთქვით, ისიც არა. მაგრამ იმ წელს, რომელსაც ჩვენი ივანე ვნახეთ ტყეში, თებერვლის თვეში დაუშვა ისეთი წვიმა, რომ მდინარეებმა ხე და მიწა წაიღეს. ახლომანლო სოფლებიდან მუშა ხალხი ჩალაგდა ტყეში, ასე რომ სოფლებში, ბავშვებს და ქალებს გარდა, მუშახელი არ დარჩენილა. ვისაც თავისი ხეები ჰქონდა, ის იყო, და ვისაც არა, ისინი ქირით მიჰყავდათ. რა თქმა უნდა, ივანეც თავის ნიკოთი და რამდენსამე ნაჭირავები

კაცით გაჩნდა თავის ხეებთან. მთელს თხუთმეტს დღეს ეზიდებოდა ხალხი ხეებს ნოყოებიდან “ტანწყალზე”. მართალია, სიცივე წყალში მომუშავეებს ძვალსა და რბილს უყინავდა, მაგრამ ეხლა სიცივეს ვინლა მიაქცევდა ყურადღებას! ისეთი წყალდიდობა, როგორც მაშინ იყო, იქნება სამს წელიწადშიაც აღარ გამოჩენილიყო, და ამიტომ, თუნდა ჯოჯოხეთი ყოფილიყო, მუშას თავისი ხე მაინც უნდა წაეღო ფოთს. როცა გამოალაგეს ხეები “ტანწყალზე”, შეკრეს დიდრონი ტივები და მიაცურებდნენ ფოთისკენ, ზოგი წინ, ზოგი უკან, ვის როგორც შეხვდებოდა, ისე. ივანემაც შეჰკრა უზარმაზარი ტივი, დაითხოვა ნაჭირავები მუშები, დაისო თავისი ნიკო ტივზე, გადაიწერა პირჯვარი და გაუდგა ფოთისკენ.

როცა ივანემ პალიასტომს მიუწია, დალამდა კიდევ. თუმცაღა მოიწმინდა, მაგრამ უმთვარო ღამე იყო და ბნელოდა. თან ცოტა ქარმაც მოუბერა. “ბიჭო, სიდან



ამოგირგილდა აი წყეული ზენაის ბინდი”, - უკმაყოფილოდ სთქვა ივანემ, მერე შეხედა ცას და დაატანა: - ვარსკვლავები ისეთ ცქრიალებს, რომ ქარი იმატებს. ნიკო, ამელამ აქანაი დავაბათ ტივი და გავათიოთ ღამე. ამ ბნელ ღამეში ერთი რომ მოაცილოს პირს ტივი, გათავდა, დევიკარქვით წყალში. მერე შენ რომ არ მეჯდე ტივზე, კიდევ სხვაა. მე ბევრჯელ ვარეს დარშიაც გადამიარია აგი. მარა შენ? შენ ამისტანა ბნელ ღამეში ვერ განდობ ამ მულაპავის პირს. გამოუცთელი ხარ. ერთი კუმი რომ ვაგლახათ მოხთეს ტივს, გადაგაგდებს!” ამ სიტყვებით ივანემ მისწია ტივი ნაპირისკენ. როცა ხმელეთს მიუწია, დაასო სარი, დააბა ზედ და მამა-შვილი გავიდენ ნაპირზე. ივანემ მონახა ჩალაში მშრალი ადგილი, სადაც ცეცხლის დანთება შეიძლებოდა, დააკვესა და გააჩინა ცეცხლი. მერე გადმოიტანა შეშა, რომელიც ტივზე ეყარა და ისეთი დოჩხაური დაანთო, რომ ერთი საჟენის სიმაღლეზე ადიოდა ალი. მაგრამ ისეთი ცივი ღამე იყო,

ისეთი ცივი ქარი ქროდა (ივანეს სიტყვა ასრულდა: მძლავრი ქარი ამოიჭრა), რომ ცასწმინდას ქვეშ დანთებული ცეცხლი სრულიადაც ვერ ათბობდა იქ მყოფთ. მეტადრე საწყალი ნიკო სულ გაჰყინა. მისი კბილების რაკარუკი გულს უკლავდა ივანეს, რომელიც ახვევდა შვილს ნაბადს, მაგრამ ნაბადი ტივზე დასველებულიყო და სითბო სრულიადაც არა ჰქონდა. შუალამის შემდეგ ქარმა იკლო. უკანასკნელ, როგორც იქნა, ნიკოს ჩაეძინა, ივანემაც მიდო თავი და, როგორც იტყვიან, თვალი მოატყუა. მაგრამ ჩქარა ალიონმა მოუსწრო და წამოხტა ზეზე. ნიკოც გააღვიძა. ახლად გაღვიძებული ნიკო ხელახლა სიცივემ აიტანა და მოჰყვა კბილების რახუნს. ივანეს უნდოდა, რაც შეიძლებოდა, ადრე წასულიყო, რადგანაც ქარის გაძლიერებისა ეშინოდა, მაგრამ ნიკო შეეცოდა, დაუნთო კარგი ცეცხლი და გაათბო. ამ გარემოებამ ისე დააყოვნა იმათი წასვლა, რომ მთის გადაღმიდან მზის სიწითლემ კიდევ მოატანა,

როცა ისინი ტივზე გავიდენ. თითქო მძინარემ გამოიღვიძაო, ქარმა ორიოდეჯერ მძლავრად ამოისუნთქა და ისევ გაჩერდა. ივანემ გახედა ცას და წარბებმოჯმუნვნით სთქვა: “ნიკო, ვიჩქაროთ, თვარა ქარი უმატებს!” გადაიწერეს მამამ და შვილმა პირჯვარი, ახსენეს ღმერთი და აუშვეს ტივი.

- ნეტა, რა ქნეს, ბეჟუკაი და დათიკელაი რომ მოგვყობოდენ უკან ტივით? - იკითხა ნიკომ.

- სიცივე შეაშინებდა და ზეით კარავში მეიცთიდენ. სხვებიც იყვენ, არც იგინი ჩანს. სიბრიყვე მათი! ამ ქარიზა გეესწრენ, თვარა ახლა რომ ქარი ამეიჭრება, თუთხმეტ დღეს არ ჩავარდება. მერე უფრო არ დეიხოცებიან ამ ბოლაზში ყურყუტით! - თქვა ივანემ, რომელიც მძლავრად მიაქანებდა ტივს და ხანდახანს უმზერდა ცას.

როცა ბოლაზს მოშორდენ, ტივმა მსუბუქად გაიცურა

იმლამინდელი ქარისაგან ათამაშებულ “პავლიას ტომის” წყალზე, საიდგანაც გარკვევით გამოჩნდა ჯუმათის მთა და მის წვერზე, არწივის ბუდის ოდენად, მთავარანგელოზის მონასტერი. რადგანაც მზე მეორე მხრიდან ადგა და ჯერ არ ამოსულიყო, მთასაც და მონასტერსაც რაღაც საიდუმლო, მკრთალი, ბნელი ფერი ედო. ივანემ გაიხედა მონასტრისაკენ და, მთავარანგელოზო, შენ გვიპატივეო, ღრმა გრძნობის გამომეტყველი სახით დაიწერა პირჯვარი სამჯერ. ნიკოც მიჰყვა მამის მაგალითს. მაგრამ პავლიასტომი ისეთი საიდუმლო, მწვანე, ბნელი თვალით გამოიყურებოდა, რომ ნიკოს შიშით ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე. ივანე მამაცად იბრუნებდა იქით-აქეთ ჭოლოკს და ამიტომ ყურადღება ვერ მიექცია ნიკოს გაფერმკრთალებულის პირისახისათვის. ნიკოც თავისის მხრით ცდილობდა მამის მიხმარებას და არ უმხელდა შეშინებას. ამოყო მზემ თავი და ერთს ადგილას, პავლიასტომის წყალში სვეტივით

ჩაუშვა თავისი სხივი, ასე რომ ადამიანს თვალებს გაუფუჭებდა იმ ადგილას შეხედვა; პალიასტომს მზის დახედვამ კიდევ უფრო საშიში ფერი დასდო. მთა და მონასტერი ჯერ კიდევ შავად მოჩანდა, რადგანაც მზე ჯერ კიდევ არ მისდგომოდა. წყალს, ჰაერს და არემარეს უსიამოვნო, საიდუმლო ფერი ედო. თითქო მზის შუქს ამოჰყვამ, ქარმა რამდენჯერმე გაიგრიალა პალიასტომზე და გააღვიძა ეს ვეშაპი. “გააგდე ჭოლოკი ხელიდგან, დაჯე ტივზე და მოუჭირე ხელჩასაკრავს!” - შესძახა ივანემ ნიკოს. თითონ კი ლომივით ტრიალებდა, რომ როგორმე ტივი მიეყენებია ნაპირზე. მაგრამ ივანეს ბრძოლა უძლოური იყო განძვინვებულ სტიქიონის ძალასთან. ტივს თანდათან ამორებდა ტალღები ნაპირიდან და გაჰქონდა შუაგულისკენ. უკანასკნელ ჭოლოკიც ველარ დაუწვდა წყალს ძირამდე, რადგანაც შუაგულისკენ წყლის სიღრმე თანდათან მატულობს. აქ ივანემ მოინდომა, ტივს რაც მოუვა, ჯანი გავარდეს, ნიკოს ჩავისვამ ნავში და ნაპირზე

გავალო. ნავი ტივზე ჰქონდა მიბმული, მაგრამ წყალი ისე იყო აზვირთებული, რომ ესეც შეუძლებელი გახდა. დიდხანს იბრძოდა ივანე თავგამეტებით. უკანასკნელ, როცა აქაფებულმა ტალღებმა ტივს ყირამალა დაუწყო ყუდება და ღონისაგან დაცლილმა ივანემ დაინახა, ჩემის ბრძოლისაგან არაფერი არ გამოდისო, გააგდო ჭოლოკი ხელიდან, დაეცა ტივზე და ჩაჰკიდა ტივზე დაკრულ ხეს ხელი. “ნუ გეშინია, ხელი მაგრათ, აგერ მეორე ნაპირზე გაგვიტანს და გადავრჩებითო”, - ამხნევებდა ნიკოს. ქარს გაჰქონდა და გაჰქონდა გუგუნის. ქარის გუგუნს წყლის გუგუნიც უერთდებოდა. ასე რომ, გვერდით ზარბაზანი რომ დაეცალათ, ვერ გაიგონებდით, ერთადერთი იმედი ივანესთვის ისლა იყო, რომ ტივი მაგრად ჰქონდა შეკრული, არ დაიშლებოდა, ტალღები სადმე ნაპირზე გააგდებდა და გადარჩებოდენ დახრჩობას. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმამაცებდენ, ტალღების დაძგერების დროს ტივზე ხელი არ მოეგლიჯებოდათ და წყალში არ

გადაცვივოდენ. ამიტომ “ხელი მაგრათ, ხელი მაგრათო” - წამდაუწუმ უყვიროდა ივანე ნიკოს, რომელიც მართლაც ისე იყო კეტზე ჩაფრენილი, რომ, თუ დააჭრიდი მკლავებს, თორემ სხვაფრივ ვერ მოაშორებდი. მაგრამ, აი აგერ ერთმა ტალღამ ჰკრა, აიყვანა ტივი მალლა, წამზე უცბად გამოეშალა და ისე დააჯახა წყალს, რომ ვენახი, რომლითაც ტივი იყო შეკრული, ორ-სამ ადგილს გაწყდა; ეს განმეორდა რამდენჯერმე და ტივმა იწყო რღვევა. ეხლა კი დაინახა ივანემ, რომ იღუპებოდა თავიანთვილიანად. ნიკო კი არც რასმე ხედავდა და არც რამესა ფიქრობდა, შიშისაგან გაბრუებულიყო და უაზროდ ჩასციებოდა ტივს. ივანემ გაუშვა ტივს ხელი, წამოვარდა ფეხზე და ისეთი დაჰკივლა, რომ ცა გასქდებო, გეგონებოდათ. არსად ადამიანის ბაიბური არ ისმოდა. მაგრამ თუნდ კიდეც ყოფილიყო სიახლოვეს ვინმე, ვინ გაბედავდა გახლებულის პალიასტომის პირში თავის მიცემას!

ივანემ დაჰკრა ფეხი, გადავარდა ნიკოსთან, მოჰკიდა ცალი ხელი ნიკოს მკლავში და ცალი იმ ხეს, რომელზედაც ნიკო იყო ჩაფრენილი. საშინელის თავგანწირულობის ფერი ედვა სახეზე. წარმოუდგენელი ძნელი წამია ის წამი, როცა ადამიანი თვალდათვალ უყურებს თავის დაღუპვას, თავის გაქრობას! ძნელია მეტადრე სოფლის გლეხისთვის, რომელიც ისე მჭიდროდ შეკავშირებულია სიცოცხლესთან, გლეხისათვის, რომელიც სწყევლის, კრულავს თავის ბედს, თავის გაჩენას, მაგრამ მაინც კი მთელი თავისი არსებით ეჯაჯგუნება ცხოვრებას, უზომოდ უყვარს სიცოცხლე. ივანემ სწრაფად წარმოიდგინა, თუ რა ჯოჯოხეთი მოელოდა მის ოჯახს დაობლების შემდეგ. “რა ეშველება? შიმშილი დახოცს, გადასახადში დააწინდრებენ, უპატრონოთ დარჩენილ ქალიშვილს ნამუსს ახთან, დეიღუპა ოჯახი, ნასახლევათ გადაიქცევა! ვილა დააპურებს? შიმშილი, შიმშილი...” - ქარიშხალივით გაურბინა ივანეს ამ ფიქრებმა, მაგრამ



მეტი ფიქრი კი აღარ დასცალდა, ისე მძლავრად დაეჯახა წყალს უიმისოდაც დარღვეული ტივი, რომ ხეები თითო ღეროებად გაიფანტა. ივანე და ნიკო, რომლებსაც უცბათ გამოეშალათ ხეები ფეხებიდან, მოემწყვდენ წყალში. თუმცალა მამამაც და შვილმაც ცურვა იცოდენ, მაგრამ ღონეგამოლეულს, ტანთგაუხდელს, საშინლად აზვირთებულ ცივს წყალში, აბა, რა შორს შეუძლია წავიდეს! ივანემ დაინახა, როგორ ჩასძირა და ჩაყლაპა შეუბრალებელმა წყალმა მისი საყვარელი ნიკო. ერთი უკანასკნელად კიდევ დაიღრიალა საწყალობელმა ივანემ მონადირისაგან სასიკვდილოდ დაჭრილ ღომსავით და უნდოდა მიშველებოდა შვილს, მაგრამ აღარც ღონე იყო მიშველებებისა და აღარც შვილი იყო მისაშველებელი: ნიკო უკვე ჩაიტანა ძირს წყალმა ისე, რომ ხელიც არ გაუნძრევია საცოდავს. რამდენსამე წამის შემდეგ ღონეგამოლეული ივანეც წავიდა წყლის ფსკერისაკენ და ეს სიტყვები: “ვაიმე, ოჯახო! ვაიმე, ცოლ-შვილოო!”

მუცელშივე ჩაუბრუნა პირში ჩახეთქილმა წყალმა.

\*\*\*

ქარი საშინელის ქუხილით ჰბრუნავდა; მზემ ამოიწია და დაჰყურებდა პალიასტომს, თითქო სეირს უყურებსო, ივანეს ხეები ისე თამაშობდენ ტალღებზე, თითქო დასულდგმულებულან და უხარიათ, რომ თავისუფალი ვართო. ივანეს პატარა ნავიც გარეულიყო ხეებში და მიჰყვებოდა ტალღებს, ხან აღმა, ხან დაღმა. რამდენსამე წამის შემდეგ დამრჩვალ ივანე და ნიკო წყალმა ერთხელ კიდევ ამოიტანა ზემოთ, აჩვენა ქვეყანას და შემდეგ ისევ წაიღო თავის კუპრსავით ბნელ ფსკერისაკენ.

1891 წ.

# ჩვენი ქვეყნის რაინდი

## I

რკინიგზის სადგურს №-ზედ საღამოს ჟამს აუარებელი ხალხი უცდიდა მატარებელს. თუმცაღა მარტი ილეოდა, მაგრამ საღამოს მაინც კიდევ სიცივე მოატანა, რადგანაც ხანგრძლივი წვიმის შემდეგ მხოლოდ წინალამით დამდგარიყო დარი. მატარებლის მომლოდინე ხალხმა იგრძნო სიცივე თუ არა, დაანება პლატფორმაზე სეირნობას თავი და სადგურის დარბაზში შევიდა. მცირეოდენი ხნის განმავლობაში ისე გაიჭედა ხალხით სადგურის დიდი დარბაზი, რომ ერთი კუთხიდან მეორემდე ძლივს მიატანდით. ქალების ჭვრეტას დაჩვეული ყმაწვილი კაცები კი არ ერიდებოდენ ამ დაბრკოლებას და დაყიალობდენ ყველა კუთხეში.

მეტადრე ვილაც ორი ზარხოში ყმაწვილი მოუსვენრად დაეხეტებოდა აქეთ-იქით და მოურიდებლად სჭვრეტდა მანდილოსნებს, რომლებიც კი თვალში მოეწონებოდათ. ერთი ამ ყმაწვილთაგანი შესანიშნავი რამ იყო თავისი ვაჟკაცური თვალტანადობით: მაღალი ტანი, სქელი, განიერი ბეჭები, მსხვილ-მსხვილი მკლავები, ცოტად ფერნაკლოული, სავსე, ლამაზი პირისახე, მელანივით შავი, პატარა წვერი, სწორეთ გითხრათ, ძველებურ რაინდს წარმოადგენდა. ეს ყმაწვილი, რა თქმა უნდა, ქალებსაც არ დარჩათ შეუნიშნავი: ბევრგან იკითხეს ჩუმჩუმად, ვინ არისო. ერთს ლაზათიანის გულ-მკერდის ყმაწვილ ქალს თვალეებზე წყალი მოსდენოდა ახოვანი ჭაბუკის ჭვრეტით. ერთმა კნეინამ ჰკითხა ნაცნობ მედუქნეს:

- ვინ არის ეს ყმაწვილი კაცი?

- ეს, კნეინა, ზემოური აზნაური გახლავთ, ტარიელ მკლავაძე.

ცოტა ქეიფის მოყვარე კაცია და ხშირად ჩამოდის აქ, სტანციაზე დროს გასატარებლად, - უპასუხა მედუქნემ.

- მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს მამულს კიდევ ებადებიან ამისთანა მოყვანილი ვაჟკაცები! - თქვა კნეინამ და გაატანა თვალი ყმაწვილ კაცს, რომელიც ამ დროს ვიღაც ქალს ჩასჩერებოდა თვალებში.

- ძლიერ დიდი ვაჟკაცი გახლავთ. ოღონდ ეს არის, როგორც მოგახსენეთ, ქეიფის მოყვარეა და, სოფლის ამბავი ხომ მოგეხსენებათ, სოფელს ეჯავრება.

- მერე რა ვუყოთ, რომ ქეიფის მოყვარეა? შნოც აქვს ქეიფის, ასეთი სრული ქმნილება! - კნეინამ დაუწყო მზერა ყმაწვილ კაცს, მაგრამ ისე გონივრულად, რომ ვერც კი შეამჩნევდით - უმზერსო.

ხალხს თანდათან ემატებოდა. ახალმოსულები

კითხულობდენ: “პოეზდმა ხომ არ გაგვასწროო” და, როცა გაიგებდენ, ჯერ კიდევ ადრეა მატარებლის მოსვლამდეო, გულდამშვიდებული, ვინ ნაცნობს ნახავდა და დაუწყებდა ბაასს, ვინ ხალხს სჭვრეტდა და ვინ კიდევ სხვას რასმეს აყოლებდა გულს მატარებლის მოსვლამდე.

მოვიდა ორი ცხენოსანი, - ერთი ქალი და ერთი კაცი. ამათაც იკითხეს მატარებლის მოსვლა. შემდეგ გაისტუმრეს ცხენები, შეიტანეს სადგურში თავიანთი მსუბუქი ჩემოდანი და პატარა აბგა, დადგეს კედელთან და მატარებლის მოლოდინში მიეყუდენ კედელს, რადგანაც თავისუფალი სკამი აღარ მოიპოვებოდა. კაცი, ასე ოცდახუთი თუ ოცდარვა წლის იქნებოდა. ხმელ-ხმელი, ჩია ტანის. ბეჭებში ცოტა მოხრილი, გამხდარი, ავადმყოფი პირისახისა, გახუნებული პალტოთი და შლიაპით, რა თქმა უნდა, ასეთ ადამიანს ამოდენა ხალხში, ნაცნობის გარდა, არავინ შენიშნავდა და არც

არავინ იკითხავდა მის ვინაობას, რომ ამ კაცის თანამგზავრ ქალს არ მიეპყრო ყურადღება. ეს იყო თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის ყმაწვილი ქალი, ლამაზად მოყვანილი, საშუალოზე ცოტა მომაღლო ტანისა, ცოტათი ფერნაკლული, სწორი პირისახე, დიდრონი შავი თვალები, მსხვილად დაწნული, წელამდე, წაბლისფერი თმა ჰქონდა, რაღაც ისეთი, როგორც იტყვიან, სანდომით იყო შემკობილი, რომ თვალის მოშორება გაგიძნელებოდათ. ძლიერ შვენოდა გაბედული მეტყველება და თავისუფალი მიზრა-მოზრა. ტანზე ღარიბულად ეცვა, - გახუნებული ტალმა და ჩალისფერი თივთიკის ყაბალახი შეადგენდა მის ტანსაცმელს.

მკლავაძემ და მისმა ამხანაგებმა, დაინახეს თუ არა ლამაზი ყმაწვილი ქალი, დაიწყეს მის ახლო სიარული და ისეთნაირად უჭვრეტდენ, თითქოს ეს ქალი კი არა, გასაყიდი საქონელია და ხელიდან არ უნდათ გაუშვანო.

რადგანაც დარბაზში, ხალხის სიმრავლის გამო თბილოდა, ქალმა გაიხადა ტალმა და ახლა ჩითის კაბაში ნაკვთად მოყვანილი ტანი ლამაზად იხატებოდა. ტარიელმა ვეღარ მოაშორა თვალი ამ ქალის სავსე გულ-მკერდს. ქალი და მისი ამხანაგი კაცი რაღაც საუბარში იყვნენ და ამიტომ ვერ ამჩნევდენ ტარიელს და მისი ამხანაგის უსირცხვილო ჭკრეტას.

- ერთი ამის გულ-მკერდში ჩაკონება მთელ სოფლად ღირს! შენ რას იტყვი, ტარიელ? - ჰკითხა ამხანაგმა.

ტარიელს სახეზე მოუთმენლობა გამოეხატა.

- ერთი გავიცნოთ მაინც, ვინ არის, - უთხრა პასუხად ამხანაგს და ბოლოს ღიმილით დაატანა: - ეს ვინლა არის, რომ ახლავს, მცველი? უშოვნია რაღა კავალერი! მთელ ჯარს მოშლის სწორედ!



ტარიელის ამხანაგმა ჯერ ერთი რიგიანად გადიხარხარა და მერე თქვა:

- ნათესავი იქნება და ძალაუნებურად აედევნებოდა, - დავიცავ, არავინ გაუარშიყდესო.

- მერე ამის შეეშინდებათ და ვერავინ გაუბედავს გაარშიყებას? მოგიკვდეს ტარიელ, რომ ამისთანა კაცუნების მთელი რაზმი დამიხვდეს შეიარაღებული, მე გზა გავიმრუდო! პერანგისამარა რომ ვიყო და ეს ზარბაზნით დამხვდეს, ვერას დამაკლებს. ამისთანა კაცუნასთვის ხელს კი არ ვიხმარ, არა, ერთ წკიპურტს ვკრავ და გათავდა, მწერივით წაუვა სული. მე რომ ის ქალი ვიყო, თუნდა ძმა იყოს, თუნდა მამა, იმას ჩემ გვერდით არ გავატარებდი.

- არა, სასაცილო ის იქნება, თუ ნათესავიც არ არის და მხოლოდ იმიტომ დასდევს, იქნება შემიყვაროსო.

ამ ხუმრობაზე ტარიელს და მის ამხანაგს წასკდათ სიცილი.

- ვითომ და რა გგონია შენ? ამისთანა ჩანჩურ ივანიჩები ხშირად ჩადიან ასეთ სასაცილო საქმეს! - მიუგო ტარიელმა ამხანაგს, როცა სიცილს მორჩენ.

- ერთი იმ ტყეში მოგცა ეს ქალი. ერთხელ რომ შენ... ის არ იყო ამაზე ნაკლები.

- ის სულ ახალგაზრდა იყო, კინალამ ჩამაკვდა ხელში. ეს კი სულ სხვაა, მოწიფული - ქალია. - უპასუხა მადიანად ტარიელმა.

- ძალიან გადაურჩი იმ საქმეს! არავის არ ეგონა, თუ ისე კარგად გათავდებოდა.

- რომ არ დამხმარებოდენ, ცუდად წავიდოდა, მაგრამ

ახლა რა დროსია ამაზე ლაპარაკი! ის, რაც იყო, წავიდა, გათავდა. უნდა გითხრა, ძლიერ ამიღელვა სისხლი ამ ქალმა, ვიღაც არის! ერთი ეს მომცა ერთი ღამით და...

- ჰაი, შე ცოდვილო, შენ! რამდენ ამისთანებს გაუვლია შენ ხელში და მაინც არ გაძღა შენი გული! - ღიმილით უთხრა ტარიელს ამხანაგმა და სიყვარულობით წაჰკრა მუჯღუგუნი.

- რის ცოდვილო! საქონელისთვის თუკი საღ კუროს არჩევენ, ადამიანს უფრო არ უნდა ამორჩევა? იმისთანების გამრავლებას, - ტარიელმა გაიშვირა ხელი იმ კაცისაკენ, რომელიც ლამაზ ქალს ახლდა, - ის არა სჯობია, ჩემისთანები გამრავლდენ?

- მერე რა საღი შვილი დაგებადებათ, შენ და ის რომ ერთად... - უთხრა ამხანაგმა ტარიელს და აჩვენა ქალზე.

ტარიელმა კმაყოფილებით გაიცინა და თქვა:

- ჯერ დედაზე ვიფიქროთ, მერე შვილებზე და შვილიშვილებზე, რომ ვერ გავიგეთ, ვინ არის ეს ქალი, საიდან მოდის, ან სად მიდის; მგონი, ისე გაგვიფრინდეს ხელიდან, რომ მისი ვინაობაც ვერ შევიტყოთ.

- მოდი, ერთი გავეცნობი, - უთხრა ტარიელს ამხანაგმა.

- აბა, ჰა, დათიკო, შენ ხომ ამისთანობა ძლიერ გეხერხება. - სიცილით უპასუხა ტარიელმა.

- ასეა, ერთისთვის ხერხი მიუცია ღმერთს, მეორესთვის - ღონიერი მკლავი. შენთვის - მკლავი, ჩემთვის - ხერხი.

- კარგი, ახლა ტრაბახობას თავი დაანებე. თუ შეგიძლია, წადი და გაეცანი. - კვლავ სიცილით უთხრა ტარიელმა.

- დიანაც გავიცნობ, შენ კი აქ მომიცადე, ეს შენი კამეჩისოდენა ბეჭები არ დაანახვო, თვარა იმ საწყალ კაცს, ქალს რომ ახლავს, შიშით სული წაუვა.

ამ სიტყვებით ამხანაგი მოშორდა ტარიელს, მივიდა ლამაზ ქალთან, მიესალმა და მოურიდებლად ჰკითხა:

- საიდან მობრძანდებით?

- სოფლიდან. - უპასუხა ქალმა.

- რომელი სოფლიდან? ვინ ბრძანდებით?

- რაში გესაჭიროება ამაების გაგება? თუ საქმე გაქვთ ჩვენთან, გვიბრძანეთ!

- არა, ისე.

- ისე? ისე საჭირო არ არის! - ცოტა არ იყოს, გესლიანად უპასუხა ქალმა.

- რატომ, ერთმანეთის გაცნობა რას დაგვიშავებს?

- თუ ამაზე მეტი საქმე არ გაქვთ, გთხოვთ, მიბრძანდეთ! უთხრა ქალმა, რომელსაც ისეთი მრისხანება გამოეხატა სახეზე ამ დროს, რომ მოსაუბრე ყმაწვილი კაცი იძულებული შეიქნა, მოშორებოდა.

- რა არის, დესპინე, რატომ მოეპყარი იმ კაცს ასე სასტიკად? ჩვენი გაცნობა უნდოდა, სხვა ხომ არა დაუშავებია რა? - ტკბილად შენიშნა ქალს მისმა თანამგზავრმა კაცმა.

- იმისთვის, რომ ურიგო საქციელი შევამჩნიე. ვიფიქრე, თან მესაუბრება და თან თვალებით კიდევ თითქოს რაღაცას მანიშნებსო, - თქვა ქალმა.

- ყოველ შემთხვევაში ტკბილი სიტყვა-პასუხი სჯობია.

- იმასთან რომ ტკბილად დამეწყო საუბარი, მერე თავიდან ველარ მოვიშორებდით, დაჯდებოდა და დამიწყებდა მაიმუნობას. იმისთანა კაცის პირველიდანვე მოშორება სჯობია.

- ემაიმუნებია, მერე რა გენალვლებოდა.

- მეჯავრება, როცა ადამიანი მაიმუნობს!

ამით გაათავეს ამათ ამ საგანზე ლაპარაკი...

- რა ქენი? ვერ იხერხა, მგონია, შენმა ხერხმა? - ჰკითხა ტარიელმა სიცილით ამხანაგს.

- მიუკარებელი ვინმე ყოფილა! ისე მოხარა წარბები, რომ ჩხუბს მიპირებს-მეთქი, ვიფიქრე. ორი სიტყვის თქმაც არ

დამაცალა, ისე შემომიტია, მიბრძანდიო და მომიშორა, -  
უპასუხა გულნატკენად დათიკომ.

- მაშ ასე, აღარც ხერხო და აღარც ღონევ! ღმერთს არც  
ერთი მოუცია შენთვის და არც მეორე, - სიცილით შენიშნა  
ამხანაგს ტარიელმა და შემდეგ დაატანა:

- მაშ გაგვიფრინდა ხელიდან? ცოტა აკლია პოეზდიც  
ჩამოივლის და, მშვიდობით.

- შე დალოცვილო, ვინც კი მოგეწონება, ყველამ შენ ხელში  
გაიაროს, ის გინდა? აქ რკინიგზაა, მთელი მილეთის  
ხალხი მიდი-მოდის, იმათში რამდენი ლამაზი ქალი  
გამოერევა, ყველას შენ ვინ მოგცემს გასათელად! -  
შენიშნა ხუმრობის კილოთი ტარიელს დათიკომ.

- ერიჰა, მოჰყევი შენებურად რახუნს! ვინ ამბობს ყველაო!  
მარა თუკი ძვირფასი ლალი იაფ ფასად იშოვება და მაინც



კი ვერ ახერხებ ხელში ჩაგდებას, გული დაგწყდება, მიხვდი? ამისთანა ლამაზი ქალი მოდის სოფლიდან, მცველათ ახლავს ერთი კოლო, რომელსაც, ერთი მძლავრათ ამოისუნთქო, ჰაერში გააფრენ; აი, ასეთ შემთხვევაში რომ ვერას გახთები, საწყენად დაგრჩება, თორემ იმ ქალს რომ ერთი დარდიმანდი, შეიარაღებული ყმაწვილი კაცი იახლოს, მაშინ გულიც ასე არ შემექნებოდა მაზე, - თქვა ტარიელმა და განაგრძო ამხანაგითურთ ლამაზი ქალის სიახლოვეს სეირნობა. ის ისე უმზერდა ამ ქალს, როგორც მგელი ბატკანს. ქალმა შეამჩნია ეს მუყაითი მზერა და მოარიდა პირი. ქალის თანამგზავრი კაცი კი ამ დროს ვიღაც ნაცნობს ელაპარაკებოდა და ამიტომ არც კი დაუნახავს მის წინ მოსეირნე ყმაწვილი კაცები, რომლებიც ისე ოხუნჯობდენ მასზე.

ამ დროს მივიდა ლამაზ ქალთან და მის თანამგზავრ კაცთან მათი ნაცნობი მედუქნე და მიესალმა. ამ

მედუქნეს ტარიელი და დათიკოც კარგად იცნობდენ.  
როცა მედუქნე ნაცნობ მგზავრს მოშორდა, ტარიელმა  
წაატანა მას მკლავზე ხელი:

- ვინ არის ის ქალი, ახლა რომ ელაპარაკებოდი?
- უჩიტლის ცოლი გახლავთ, - უპასუხა მედუქნემ.
- ის კაცი ვილაა, რომ ახლავს?
- ქმარია მისი, სოფლის უჩიტელი.
- ქმარი! ის მათხოვარი არის იმ ქალის ქმარი! რას ამბობ,  
რას? - გაკვირვებული ეკითხებოდა ტარიელ მედუქნეს.
- სწორეთ ის გახლავთ. - უპასუხა კიდევ მედუქნემ.
- ეს რა მესმის! ბრმა ხომ არ იყო ეს ოჯახდაქცეული, რომ

იმას წაყვა ცოლად! კარგი, თითონ, ვთქვათ, მოტყუვდა, მარა ქალის ჭირისუფალი რალამ დააბრმავა?!

- ვინ იცის! იქნება სულაც მშობლების ბრალია, ძალად მიათხოვეს. ცოტა არის ჩვენში ასეთი შემთხვევა? - თქვა დათიკომ.

- მერე რა მოეწონათ მისი, რომ ძალად მიათხოვეს ამისთანა ქალი?

- ფული შეაცთენდა.

- ძალიან არ ეტყობა ფულიანობა! - გაიცინა და ისე თქვა ტარიელმა.

- ახლა არ ეტყობა, მაგრამ მაშინ, იქნება, კიდევ ჰქონდა და კიდევ ეტყობოდა. ვინ იცის, იქნება, სულაც იმიტომ გაღარიბდა, რომ, რაც კი ებადა, სულ ქალის მშობლებს

მისცა ქრთამად, - უპასუხა ტარიელს ამხანაგმა.

- არა, მოგახსენებენ ქალი თავისი სურვილით წაჰყვა, რადგანაც უყვარდაო, - უთხრა მედუქნემ.

- აა, მივხვდი ახლა, როგორც იქნებოდა საქმე: ქალს ჯერ ვინმე შეაცთენდა, - ამისთანა ლამაზი ქალები წმინდად თავის დღეში ვერ შეინახავენ თავს, - თითონ შემცთენელს აღარ შეურთავს, - ვინ იცის, ეგება ცოლიანი იყო, - ამიტომ გამოაშკარავებამდე, ესე იგი, სანამ უგვირგვინოდ შვილი დაებადებოდა, მოუსწრია და ამ საწყალი კაცისთვის ჩაუჩეჩებია თავი ხელში. რა ენაღვლება ქალს, სახელათ ამისი იქნება და სახრავათ სხვისი. - თქვა დათიკომ.

- შეიძლება, მარა ვინც დაახლოებით იცნობს, ისინი კი, როგორც მოგახსენეთ, ისე ამბობენ, სიყვარულით შეირთეს ერთმანეთიო. შვილიო, რომ ბრძანეთ, შვილი კი არ ჰყავს, ეს მე თითონ ვიცი - თქვა მედუქნემ.

- უეჭველია, რამე ეშმაკობა იქნება, თორემ ისე ეს ანგელოზი ამ მათხოვარს ცოლად არ წაყვებოდა. - თქვა ტარიელმა და შემდეგ მიუბრუნდა მედუქნეს:

- საიდან მოდიან?

მედუქნემ დაუსახელა სოფელი.

- სად მიდიან? - განაგრძო კითხვა ტარიელმა.

- მოგახსენებენ, უჩიტელს დედა ყავს თავის სოფელში და იმასთან დადის ყოველ დღესასწაულზეო. ახლა, რადგან აღდგომის დღესასწაულები იწყება, ეს არის, გამგზავრებულა თავის სოფლისკენ.

- შორებელია?

- შორებელი გახლავთ.

- ვინმე გლახთაგანი უნდა იყოს, კეთილშობილობის არა სცხია რა.

- დიან, მოგახსენებენ, გლახკაცის შვილია, გვართ მცირიშვილი.

- რათ გინდა, რომ შეუდექი კითხვას გამომძიებელივით? ახლავე ჩამოივლის პოეზი და გათავდა, გაგექცევა ხელიდან. - სიცილით უთხრა ტარიელს ამხანაგმა.

ტარიელმა შეხედა ქალს და გაიქნია თავი:

- ეს იმის ცოლი იყოს!

მედუქნე წავიდა თავისთვის. ტარიელმა და მისმა ამხანაგებმა კი განაგრძეს ქალის სიახლოვეს სეირნობა და ჭვრეტა. მეტადრე ტარიელ ისეთი თვალით უყურებდა ქალს, თითქო უნდა ეცეს და გაიტაცოსო.

მოაწია მატარებლის მოსვლის დრომაც. მგზავრებმა, ვისაც რამე კი გააჩნდა, ბარგი მოიმზადეს, რომ, როცა მატარებელი მოვიდოდა, დაუყოვნებლივ შესულიყვენ ვაგონში. იცოდენ, რომ ვინც ბოლოს შედის, ის ხშირად უსკამოდ რჩება.

ლამაზმა ქალმა და მისმა თანამგზავრმა კაცმაც შეხედეს სადგურის საათს და მოიმარჯვეს თავიანთი ნივთები, რომ მატარებლის მოსვლისთანავე დაუყოვნებლივ წამოევლოთ ხელი. რამდენიმე წამი კიდევ და მატარებელიც უნდა მოსდგომოდა სადგურს.

- На линии завал! Поезд опаздывает! - გამოაცხადა სადგურის უფროსმა.

- რამდენ ხანს დაიგვიანებს? - ჰკითხეს მგზავრებმა.

- ვინ იცის, ერთი დღე მაინც მოუნდება გზის გაწმენდას. -

უპასუხა უფროსმა.

ამ ამბავმა ამგზავრებულ ხალხზე ძლიერ უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. გაისმოდა აქა-იქ საყვედური:

- ამ დასაქცევზე სულ ზვავი და ჯანაბაა. რა ენაღვლებათ ინჟირლებს, ფულებს ჩაიჯიბავენ და მერე იმას კი არ კითხულობენ, გზაი როგორია!

ხალხი გაიფანტა: ზოგი დუქანში მიდიოდა ღამის გასათევად, ზოგი კიდევ ნაცნობს მიყვებოდა. ვინც ახლო სოფლიდან იყვენ, ისინი შინ დაბრუნდენ.

## II

უადგილო არ იქნება, მკითხველო, უფრო დაახლოებით გაგაცნოთ ტარიელ მკლავაძე და მისი ცხოვრება.



- ბედნიერი ხარ, ბედნიერი! რა ანგელოზივით ვაჟი დაგებადა! - მიულოცა აზნაურ ერეკლე მკლავაძეს ბებიაქალმა სუსანამ, როცა ტარიელ დაიბადა. გახარებულმა მამამ უბრძანა ბიჭებს, - აბა თოფებიო; თვითონ კი გამოიტანა თავისი დიდი, მოვერცხლილი დამბაჩა და ისეთი შედლოუხი გამართა, გეგონებოდათ, სოფელს მტერი დასხმია და ერთი გაცხარებული ბრძოლა აქვთო. შემდეგ, როცა თვითონ მამამ დახედა ახალდაბადებულ ვაჟს, სიხარულით წამოიძახა: „გენაცვალე, ღმერთო, ტარიელი დამბადებია! დაილოცოს ჩვენი გვარი! გამოსულა ჩვენ გვარში ლომკაცები და ეს არის, კიდევ გამოვიდა!“ ერეკლე არა სტყუოდა: მართლაც, აზნაური მკლავაძეების გვარში ხშირად გამოერეოდა არაჩვეულებრივი ხელღონიერი ჭაბუკები. ამბობენ, ძველ დროში დიდი სამსახური გაუწევია მამულისათვის მკლავაძეების ჭაბუკებს, მედგრად ებრძოდენ მამულზე მოსულ მტრებსაო. რა მოგახსენოთ, იქნება მართალიც

იყოს, რომ მკლავაძეების წინაპრებს მტერთან ბრძოლაში დიდი ვაჟკაცობა გამოეჩინოთ, მაგრამ უფრო ნამდვილად კი ის ახსოვს ხალხს, რომ მკლავაძეების რაინდები სუსტებს და ხელქვეითებს ანადგურებდენ და აწიოკებდენ. უკანასკნელ, როცა საქართველოში სოფლების და ოჯახების ერთმანეთზე თავდასხმის და მიხტომ-მოხტომის ხანა შესწყდა და ეს ქვეყანა, ასე თუ ისე, ერთგვარ ცხოვრების კალაპოტში ჩადგა, მკლავაძეების ძალმომრეობასაც, რასაკვირველია, შეეკვეცა ფრთა. ახლა მკლავაძეთა რაინდებს ძლიერ შევიწროებული დაურჩათ სამოქმედო ასპარეზი, ზოგმა მათგანმა აიღო დროთა აღლო და სხვა, უფრო პრაქტიკულ საქმეზე გასცვალა რაინდობა, მაგალითად, ვაჭრობაზე, მამულის გაშენებაზე. ბევრს ქალაქებშიაც ნახავდით ლაქიებად ან “პოვრებად”. ერთი-ორი უმაღლეს სასწავლებელშიაც მოხვდა და შემდეგ ჩინოვნიკებად გამოვიდენ. მაგრამ მაინც კიდევ დარჩენ ისეთები,

რომლების თვალში ძველებურ რაინდობას, ესე იგი ძალმომრეობას, ჯერ კიდევ შერჩენოდა გვირგვინი, რომლებისთვის ჯერ კიდევ იდეალი იყო ძველებური რაინდობა. ერთი ამ უკანასკნელთაგანი იყო ერეკლე მკლავაძეც. მართალია, თვითონ ერეკლე ვერ დაიკვებდა მკლავლონიერობას. ის ამ მხრით საშუალო ზომაზე დაბლაც იდგა, მაგრამ მაინც კი აღტაცებაში მოდიოდა, როცა მისი გვარის რაინდი სხვა გვარის კაცს მიბეგვავდა. მართალია, ხანდახან თვითონ ერეკლესაც მოხვდებოდა ასეთი რაინდებისაგან: ხან საზიარო მამულისაგან იფრენდა ერეკლეს რომელიმე რაინდი გვარისკაცი, ხან სხვაგვარ შევიწროებას მიაყენებდა. ასეთი შემთხვევების დროს, სიბრაზით აღივსებოდა ერეკლეს გული, დანით დაეკლა რაინდი გვარისკაცი, გული არ მოუშლიდა. მაგრამ ეს იყო ერეკლეს მხრით დროებითი მტრობა პიროვნებისადმი. თვითონ ძალმომრეობას კი არ უჩიოდა, წინააღმდეგ, ერეკლე ნანობდა, - რატომ მე არა ვარ

ხელღონიერი, რომ შიშის ზარი დავცე ყველასაო. ამას შემდეგ გასაკვირველიც არ არის, რომ ერეკლეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა ნახა ახალდაბადებული თავისი ვაჟი, რომელიც, ჩვილის პირობაზე, ზორბად იწვა აკვანში და როცა ტირილს დაიწყებდა, მძლავრ ხმაზე ეტყობოდა, დიდი ღონის პატრონი უნდა გამოვიდესო.

როცა მონათლეს ერეკლეს ჩვილი ვაჟი, მღვდელმა ტიმოთე უწოდა სახელად, მაგრამ მშობლებმა საჩქაროდ გამოუცვალეს ეს სახელი: “ტიმოთე, ნეტა, რა ვაჟკაცის სახელია! ბერად ხომ არ ვზდით, რომ ტიმოთე დავარქვათ სახელადო” და ტიმოთეს მაგივრად თავიანთ ვაჟს ტარიელ უწოდეს.

ჯერ კიდევ ექვსი წლის ბავშვი იყო ტარიელ, რომ მშობლებმა ხანჯლის ტარება დააწყებინეს. სამაგალითოდ შვენოდა ჩერქეზული ტანისამოსით გამოწყობილ ტარიელს ეს იარაღი. ბავშვის პირობაზე ბეჭებგანიერი,

მეტად საღი, თვალტანადი ტარიელ, ხანჯლით წელზე, იმ თავითვე ძველებურ რაინდს მოგაგონებდათ. ნათესავები და ნაცნობები იმ თავითვე დიდი პატივისცემით ეპყრობოდენ მას. თვალტანადობას გარდა, საყურადღებო იყო ტარიელის გულადობა: შუალამისას რომ ყრუ ტყეში მარტოდმარტო დაეტოვებიათ, წარბს არ შეიდრეკდა შიშით. ერთხელ მეზობლის ძაღლები დაეხვიენ ტარიელს. ეს ძაღლები ბევრ ვაჟკაცსაც აშინებდენ. პატარა ტარიელი კი ისე დაერია ძაღლებს ჯოხით და მოიგერია, რომ მეზობელს დიდხანს ჰქონდა ეს ამბავი სალაპარაკოთ. ყველა ამაებთან ბავშვობისას კიდევ ერთი კარგი თვისება ჰქონდა ტარიელს: არ იყო ჭირვეული და ბორბოტი. იშვიათად წაეჩხუბებოდა თავის ტოლ-ამხანაგებს, თუმცაღა კი გრძნობდა უპირატესობას მათზე თავისი ფიზიკური ღონით. თუ მაინცადამაინც გააჯავრებდა ვინმე, მაშინ კი დათვივით დატორავდა, თუნდა გამჯავრებელი ორი-სამი წლით უფროსი ყოფილიყო

მასზე. “მართლა რომ ტარიელი ხარ, ტარიელი”, - ეტყოდენ მაშინ აღტაცებაში მოსული მისი მშობლები და ჩაკოცნიდენ ტარიელს. მართალია, ბევრ ღირსებასთან ერთი დიდი ნაკლოვანება გამოაჩნდა ტარიელს: სრულიად სუსტი იყო სწავლაში, ასე რომ მისი მშობლები იძულებული შეიქნენ გამოეყვანათ სკოლიდან, სადაც რამდენიმე წლის წინეთ დიდი იმედით მიაბარეს. იმდენ ხანს სკოლაში ყოფნით ქართული კითხვაც კი ვერ შეისწავლა ტარიელმა, მაგრამ ამის გამო სრულიადაც არ მოუკლიათ მისთვის პატივისცემა მშობლებს და ნათესავებს. “ჩემი ვაჟი, ტარიელ, ვაჟკაცი იქნება და ვაჟკაცისთვის სწავლა არაფერი დიდი ბედენააო!” - ამბობდა ერეკლე. ეს აზრი მეტადრე მას შემდეგ უფრო გაუმტკიცდათ ტარიელის მშობლებს, რაც ერთი პატივცემული ქართველი თავადის სასახლეში ტარიელის შესახებ გამოთქვეს შემდეგი აზრი: “ეს რაინდათ დაუბადია ბუნებას, ცოდვაც იქნება, რომ სწავლის

გულისთვის ამან თავისი საღი აგებულობა დაასუსტოს, სწავლა საზოგადოთ ასუსტებს ადამიანის სხეულსო”.

თუმცაღა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქება-დიდებას ასხამდენ ტარიელს, მაგრამ ბავშვობისას არავითარი ცუდი გავლენა არ ჰქონდა ტარიელის ხასიათზე ამ გარემოებას. მხოლოდ, როცა წამოიზარდა ტარიელ, მაშინ ყურადღება მიაქცია ამ ქება-დიდებას. “ალბათ, არის ჩემში მეტად ძვირფასი რამე, რომ ყველა მაქებს და პატივს მცემსო”. - იფიქრა მან და თანდათან გამედიდურდა, თანდათან დაეკარგა მის თვალში ფასი სხვების პირადობას, რომლებიც არ იყვენ ბუნებისაგან დაჯილდოებულნი მისთანა თვალტანადობით და მკლავღონიერობით, ერთი სიტყვით, იმ ღირსებით, რომლისათვისაც მას ყველა პატივს სცემდა და ქებას ასხამდა, ასე გასინჯეთ, ერთი პატივცემული პატრიოტიც კი, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ჰქონდა სწავლა დამთავრებული და

ძლიერ ჭკუიან კაცად ითვლებოდა, როცა ნახავდა ტარიელს, ყოველთვის იტყოდა: “ჩვენს ჭვეყანას, რომელსაც ასეთი შვილები ებადება, მრწამს, რომ დიდი სახელოვანი მომავალი ექნებაო”. ნაცნობი თავადების სასახლეებში ხომ რა, აღმერთებდენ ტარიელს. “უშენოდ მნო არა გვაქვს, უშენოდ ჩვენი ღვინი უფერულიაო”. - ეუბნებოდენ მას ნაცნობი თავადები და მეტადრე თავადის ქალები, თუმცაღა კი, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ტარიელ მაინცადამაინც ვერაფერი მომღვინი იყო. - არც სიმღერა იცოდა ხეირიანი და არც ცეკვა, მაგრამ სამაგიეროდ მისი თვალტანადობა ავსებდა ამ ნაკლს. ის რომ ყელს მოიღერებდა სიმღერაში და ბანის მთქმელებს ჩაერეოდა (სხვა მებანეებს თუ მიაყოლებდა თავის ბოხ ხმას, თორემ მარტოს არც ბანის თქმა შეეძლო, რადგანაც არ იცოდა, სად აემალღებია ხმა და სად დაეშვა), იფიქრებდით, - სწორედ, მარტო ის ამბობს სიმღერასო. ახსოვდა ტარიელს, რომ ერთმა ლამაზმა კნეინამ უთხრა



მათ შორის მომხდარ შემთხვევის გამო: “Это всегда так: прекраснейшая принадлежит храбрейшему” და, რადგან ტარიელმა რუსული არ იცოდა, კნეინამ მერე ქართულად გადმოუთარგმნა: “უმშვენიერესი ამ ჭვეყნად უმამაცესს ეკუთვნისო”. ამგვარად ტარიელ ნელ-ნელა შეეჩვია იმ აზრს, რომ მას, როგორც საუკეთესო ქმნილებას, საუკეთესო ადამიანს, სრული უფლება აქვს დასტკბეს ამჭვეყნად, იგემოს ეს ჭვეყანა, თუნდა ამ დატკობას სხვების სიცოცხლე და ბედნიერებაც შეეწიროს მსხვერპლადო. ლტოლვილება დატკობისა ტარიელისთვის გამოირკვა ორ საგანში: ქალებში და ღვინოში. ეს ორი საგანი შეიქნა ტარიელისთვის სიცოცხლის მიზნად. ჰქონდა ტარიელს მესამე ლტოლვილებაც. ეს მესამე ლტოლვილება იმაში მდგომარეობდა, რომ ეძებდა შემთხვევას, გმირული რამ საჭმე ჩაედინა. ის ეტროფიალებოდა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის” იმ ადგილებს, სადაც მოთხრობილია:

“ტარიელმა კაცს თავი მათრახით გადუფხრიწა, კაცი კაცსა შემოსტყორცნა”... “თავი სვეტსა შევუტაკე”... და სხვა ამგვარი. ამგვარი გმირული ამბების ტრფიალს ბავშვობიდანვე შეეჩვია ტარიელი, რადგანაც მშობლები მუდამ ამისთანა ამბებით უჭედავდენ ყურებს. ტარიელი ეძებდა შემთხვევას, რომ თვითონაც ჩაედინა “ვეფხისტყაოსანში” აწერილა რაინდისებური გმირობა. ერთხელ მოქეიფე ყმაწვილებში ტარიელიც ერია და ჩხუბი მოუვიდათ. ტარიელმა აიღო და ერთი მომცრო კაცი შემოსტყორცნა მოწინააღმდეგეს. მომცრო კაცს, მიწაზე დაცემის დროს, კისერი ეღრძო და ტარიელს საჩივარი დაუწყო. ამ საჩივარმა იქამდე მიაღწია, ნაცნობი დიდკაცობა რომ არ მიშველებოდა, ტარიელს კარგა დიდი ხნის ვადით სატუსაღოში ჩაამწყვდევდენ. მეორეხელ ერთმა ყმაწვილმა კაცმა ტარიელს გული მოაყვანია. ცხენზე მჯდარმა ტარიელმა თავისი მსხვილი მათრახი დაჰკრა ყმაწვილს და თავი მართლაც რომ გადაუფხრიწა.

მაგრამ აქაც იგივე საჩივარი და ვაივავლახი აუტყდა, როგორც კაცის შემოტყორცნის გამო. მართალია, ეს საჩივრები ვერ აშინებდა ტარიელს, რადგანაც, ნაცნობი დიდკაცობის შემწეობით, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა სამსჯავროდან, მაგრამ აჯავრებდა კი ძლიერ: - რაინდი კაცი და საჩივრები! რა მოწყობილია!

ძლიერ აწუხებდა ტარიელის თავგასულობა მის სამშობლო სოფელს, მეტადრე გლენკაცობას. თითქო მისი ჰარამხანის კუთვნილება იყოსო, ისე უყურებდა ტარიელ გლენკაცების ქალებს “რა არის, რა აჯავრებთ? - სიცილით ამბობდა ის იმ ქმრებზე, რომლებიც ტარიელისაგან შეურაცხყოფილად სთვლიდენ თავის თავს, - უკეთესიც არის მათთვის, ჩემი წყალობით კარგი შვილები გამოუვათო”. მეტადრე ცუდი ის იყო, რომ ტარიელმა ძალის ხმარება იცოდა იმ მანდილოსანზე, რომელიც ნებით არ დანებდებოდა. ერთხელ ერთი გლენის ცოლი

ძალად გაიტაცა გზიდან იმ დროს, როცა ამ უკანასკნელს ყანაში მყოფ ქმართან სადილი მიჰქონდა. მეორეჯერ ახლად ჯვარდაწერილ გლეხის ცოლს ძალით შეუმტვრია კარები იმ დროს, როცა იმ ქალის ქმარი სხვაგან იყო. ერთი მეზობელი გლეხკაცის ლამაზი ქალი მოიტაცა და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ჰყავდა სადღაც. მართალია, ამ უკანასკნელ მოქმედებას კინალამ თავი არ გადაატანა ტარიელმა, არავის ეგონა, თუ ის ამ საქმეს კატორღაში გაუგზავნელად გადურჩებოდა, მაგრამ, როგორც იყო, დიდი ხარჯით და მეცადინეობით დაიხსნეს ამ საქმისაგან ტარიელის მამამ და ნაცნობ-ნათესავებმა, - ტარიელი გაამართლა ოლქის სამსჯავრომ. არ გასულა ამ საქმის გარჩევის შემდეგ ერთი თვე, რომ ტარიელი დაუხვდა გზაში ერთი გლეხის ცოლს და ძალად გააუპატიურა.

უნდა ვთქვა, რომ ბუნებითად ტარიელი არ იყო სისხლის მოყვარე კაცი, ძლიერ ეჯავრებოდა ადამიანის დაჭრა და

ძლიერ იშვიათად ხმარობდა ადამიანზე იარაღს, მაგრამ, სამაგიეროდ, როცა ხელით მიბეგვავდა ვისმე, მაშინ კი რაღაც ერთგვარ კმაყოფილებას იგრძნობდა. ისე შეაჩვია ხელი სხვის მიბეგვას, რომ როცა დაუგვიანდებოდა, წყურვილად მოედებოდა გულზე, როგორც ლომი კლანჭებს, ისე ჭიმავდა თავის დიდრონ მკლავებს. დიახ, როგორც ვთქვით, ტარიელი არ იყო სისხლის მოყვარე კაცი, იარაღსაც იშვიათად ხმარობდა ადამიანზე, მაგრამ, სამაგიეროდ, მაინცდამაინც არც ის მიბეგვა იყო უვნებელი, რომელიც ტარიელს ისე უყვარდა; ასე რომ ტარიელისაგან მიბეგვილი ერთი გლეხი მესამე დღესვე გარდაიცვალა. მართალია, ეს შემთხვევა ტარიელის მშობლებმა შინაურულად ჩააფუჩეჩეს, ისე, როგორც აფუჩეჩებდენ ტარიელისაგან ჩადენილს სხვადასხვა დანაშაულს, მაგრამ ტარიელისაგან მოკლული გლეხკაცის ცოლ-შვილი კი უპატრონოდ დაცვივდა.

ერთხელ კი მოთმინებიდან გამოსულმა სოფლის გლეხკაცობამ შეუდგინა ტარიელს განაჩენი და წარადგინა, სადაც ჯერ იყო. ამ განაჩენით ვითომდა სოფლის გლეხობას სურდა ტარიელის თავიდან მოშორება. მაგრამ ეს განაჩენი გლეხებს უკანვე დაუბრუნეს შემდეგი წარწერით: “სოფლის ყრილობას, რომელიც შესდგება მხოლოდ გლეხკაცობისაგან, არა აქვს უფლება თავის განაჩენით აზნაური გადაასახლოს სოფლიდანო”.

ერთხელ კიდევ ერთმა გლეხმა, რომელიც მძიმედ შეურაცხყოფილად სთვლიდა თავის თავს ტარიელისაგან, თოფი ესროლა ტარიელს, მაგრამ ტყვია ასცდა მიზანს. გლეხი კი ამ დანაშაულისთვის სისხლის სამართალში მისცეს და ოლქის სამსჯავრომ ციმბირის მადნებში (კატორღაში) გაგზავნა.

ცოტა არ იყოს, მშობლებსაც მოაძულა თავი ტარიელის

ცუდმა საქციელმა. მაგრამ რა უნდა ექნათ, შვილს ხომ ვერ მოიძულებდენ? მერე კიდევ ისეთ შვილს, რომლის მარტო ერთი თვალტანადობა, მათი ფიქრით, მთელ ქვეყნად ღირდა, რომელსაც ერთობ მათი ნაცნობი დიდკაცობა აღმერთებდა.

ტარიელი ხშირად დადიოდა საქეიფოდ ქალაქებშიაც, სადაც გაცნობილი ჰყავდა მთელი გუნდი ყმაწვილებისა. მაგრამ უფრო მისი ასპარეზი სოფელი იყო, სოფელი, სადაც მას უზრუნველად ინახავდა მშობლების მდიდარი ოჯახი და მის თავგასულობას წინ ვერავინ ეღობებოდა.

### III

- სხვა გზა აღარ გვაქვს, ამელამ დუქანში უნდა გავათიოთ ღამე. - უთხრა მასწავლებელმა მცირიშვილმა თავის მეუღლეს, როცა გაიგო, მატარებელი დილამდე არ მოვაო.

- როგორ შევცდით, რომ ცხენები მაშინათვე გავაბრუნეთ უკან! ახლა რომ ცხენები აქ გვყოლოდა, დავბრუნდებოდით შინ. დუქანში რა გაგვაძლებიებს! - თქვა დაღონებით ქალმა.

- თუნდა ცხენები აქ გვყოლოდა კიდევ, შინისაკენ გაბრუნებას მაინც ველარ მოვასწრებდით. ხედავ, დაღამდა კიდევ. არა უშავს რა, დუქანში ერთ ოთახს ჩვენთვის დავიჭერ საკუთრად.

სპირიდონმა (სპირიდონი ერქვა მასწავლებელს) და მისმა მეუღლემ დაიკავეს ხელში: პირველმა ჩემოდანი, მეორემ - აბა და გასწიეს ნაცნობ მედუქნესთან.

დუქნისკენ მიმავალ მასწავლებელს და მის მეუღლეს ყურადღებით გაატანეს თვალი ტარიელმა და მისმა ამხანაგმა, რომელნიც აქამომდე შორიანლო უთვალთვალებდენ ამათ და ყურს უგდებდენ მათ



ლაპარაკს.

- კარგა მოეწყო საქმე! - აღტაცებით უთხრა ტარიელმა ამხანაგს.

- ეტყობა, ღმერთი ხელს გვიწყობს. - უპასუხა ამხანაგმა.

ამ ლაპარაკის შემდეგ ტარიელი და მისი ამხანაგი წავიდნენ იმ დუქნისკენ, სადაც იყვენ ჩამომხდარი.

ჯერ კიდევ კარგად არ დაღამებულიყო, რომ ტარიელმა, მისმა ამხანაგმა და ვიღაც კიდევ სამმა ყმაწვილმა კაცმა გაისეირნეს იმ დუქნის წინ, სადაც მცირიშვილი და მისი მეუღლე იყვენ მისული ღამის გასათევად, ამ დროს მასწავლებელი მცირიშვილი და მისი მეუღლე აივანზე ისხდნენ. მცირიშვილს მოეწონა ტარიელის თვალტანადობა და ჰკითხა მედუქნეს:

- ვინ არის ეს ყმაწვილი, ძველებური რაინდი რომ მომაგონა?

- მკლავაძე გახლავთ, აზნაური. - უპასუხა მედუქნემ.

- სწორედ შეეფერება ეს გვარი, მკლავაძე. - თქვა მასწავლებელმა და შემდეგ უთხრა თავის მეუღლეს:

- აი, დესპინე, მხოლოდ ჩვენს მამულს, საქართველოს, შეუძლია ასეთ შვილის შობა. სხვაგან კი ველარ შეხვდება კაცი ამ დროში ასეთ რაინდს. აბა, კარგად შეხედე, “ვეფსისტყაოსნის” გმირს ტარიელს არ მოგაგონებს? ზოგიერთებს რომ ჰკითხო, ტარიელ ზღაპრული პირია, ნამდვილ ცხოვრებაში ტარიელისთანები არ მოიპოებაო, გეტყვიან. თუკი ჩვენს დროში, როცა ფიზიკურ განვითარებას ყურადღებას აღარ აქცევენ, გამოერევა ასეთები, როგორიც ეს მკლავაძე არის, ძველ დროში, როცა ფიზიკურ განვითარებას პირველი ადგილი ეჭირა, როცა

მუდამ მხედრულ მდგომარეობაში იყო ადამიანი და ბურთი და მოედანი იმას რჩებოდა, ვინც უფრო ხელღონიერი იყო, განა არ გამოერეოდა “ვეფხისტყაოსანში” დახატული გმირებისთანა, მაგალითად, როგორც ტარიელ და ავთანდილი არიან, გმირები?

- ეს ყველა კარგი, მაგრამ ახლა. ეს ვიკითხოთ, ძველ დროში კიდევ ჰო, ეგება, ჰქონდა კიდევ ასეთ რაინდებს მნიშვნელობა, მარა ახლა რა მნიშვნელობა აქვთ ამისთანა რაინდებს კაცობრიობის წარმატებაში, ანუ, როგორც ეძახიან, პროგრესში? - ჰკითხა პოლემიკური კილოთი დესპინემ ქმარს.

- რას ამბობ, დესპინე!.. ნუთუ თავი არ უნდა მოსწონდეს იმ ქვეყანას, რომელსაც შეუძლია აღზარდოს ასეთი შვილები? საქართველოს შემონატრიან იმიტომ, რომ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბუნებას შეუძლია შვას და

აღზარდოს ასეთი საღი შვილები, როგორც, მაგალითად, აი ეს მკლავაძეა.

- მე მაყვედრი ხანდახან, ახირებული აზრი გაგიტაცებსო, მარა შენც არა ხარ სულ თავისუფალი ამ ნაკლულევანებისაგან. იფიქრე, მუდამ იმას ვიძახით, რომ ის ადამიანია პატივსაცემი, რომელსაც ხალხის ცხოვრება თავისი ღვაწლით გაუუმჯობესებიაო. ახლა კი აღტაცებაში მოდიხარ და ქვეყნის თვალად თვლი ისეთ ადამიანს, რომლის შესახებ არაფერი იცი, თუ რა სულია. ქვეყნის თვალად თვლი იმიტომ, რომ ბევრი ხორცი აქვს ტანზე, - ტკბილად შენიშნა დესპინემ ქმარს.

- ვეთანმები შენს კრიტიკას, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ ადამიანის ფიზიკური განვითარება დიდი თავდება იმის გონებრივი განვითარებისთვის. ჰოტენტოტი ძლიერ ცოტა ნიჭს იჩენს გონებრივ განვითარებაში. სხვა პირობებს გარდა, ერთი უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ

ჰოტენტოტს თავის ქალა, ტვინი, საზოგადოთ ორგანიზმი, განუვითარებელი აქვს.

- ჰოტენტოტის რა მოგახსენო და ჩვენში კი ხშირია იმის მაგალითი, რომ გარეგნობით საღი შეხედულების ბავშვი უნიჭო გამომდგარიყოს და არა საღი შეხედულებისა კი - ნიჭიერი.

- მართალია, არის კი ასეთი შემთხვევები, მარა ეს კანონად არ შეიძლება აღვიაროთ.

როცა მასწავლებელი და მისი მეუღლე ამგვარ მსჯელობაში იყვენ, ტარიელმა და მისმა ამხანაგებმა რამდენიმეჯერ გაისეირნ-გამოისეირნეს მათ წინ.

დაღამდა. თან სიცივემ უფრო მოატანა. სპირიდონ და მისი მეუღლე შევიდენ იმ ოთახში, რომელიც მედუქნეს დაეთმო საკუთრად მათთვის. სპირიდონ ცდილობდა,

რომ დუქანში ღამის გათევას არ შეუწუხებია დესპინე. ამიტომ მოიგონა ერთი საშუალება, რომელიც, იცოდა, ძლიერ გაართობდა დესპინეს.

- მართლა, დესპინე, გახსოვს, იმ დღეს რომ დაგპირდი, - იმ მოღვაწეების ცხოვრებას გიამბობ, რომლებმაც ისე მამაცურად შესწირეს სიცოცხლე უსამართლობასთან ბრძოლას ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის-მეთქი? - უთხრა მან თავის მეუღლეს.

დესპინე მიხვდა, რომელ მოღვაწეებზედაც ელაპარაკებოდა ქმარი და სთხოვა, დაწვრილებით მიაჩვენებოდა, არა გამოტოვო რაო.

სპირიდონმა მოუყვა და მოუთხრო დაპირებული ამბავი. ლაპარაკის დროს სპირიდონს ეტყობოდა გატაცება. საზოგადოდ, ის გრძნობაჭარბი კაცი იყო, ამიტომ თავის დღეში არ შეეძლო გულგრილად ეამბნა ან მოესმინა

ვინმესგან მწვავე კითხვების შესახებ ლაპარაკი. ქმრის გატაცებას ლაპარაკის დროს გავლენა ჰქონდა დესპინეზედაც. ხშირად თავდავიწყებამდე გაიტაცებდა ზოგიერთი ამბავი, რომელშიც კეთილი საქმისთვის თავგანწირვა იყო გამოხატული. ერთხელ ერთი ამბით გატაცებული დესპინე მოეხვია ქმარს ყელზე და აღტაცებით თვალზე ცრემლმოდენილი ეხვეწებოდა: - სპირიდონ, წავიდეთ ჩვენც, ჩვენც ისე შევწიროთ თავი ხალხის წარმატებისათვის ბრძოლას!

- ეს რომ არ მოგგონებოდა, არ ვიცი როგორ გავძლებდი ამელამ ამ დუქანში! ახლა კი თითქოს სხვა ქვეყანას გამაფრინა შენმა მოთხოვნამ, სულ გადამავიწყა აქაური გარემოება. - უთხრა ქმარს დესპინემ.

- მაშ რაღად იძახი, ჩვენც ქვეყნის სამსახურს შევწიროთ თავი, უსამართლობასთან ბრძოლაში დავლიოთ სიცოცხლეო, თუკი დუქანში ღამის გათევასაც ვერ

შეიძლება? მერე კიდევ აქ, სადაც საკუთარი ოთახი გვაქვს ორს. იმ ხალხს, რომლის წამებული ცხოვრება შენ ისე გიტაცებს, ვერ აშინებს ვერც შიმშილი, ვერც სიცივე, ვერც საპყრობილე, ვერც დაკარგვა, ვერც მარტოობა და ვერც სახრჩობელა.

- როცა კაცი აღიჭურვება და ბრძოლის ველზე გავა, მაშინ სულ სხვაა, მაშინ იცის, რომ ბრძოლის ველზეა, და არც ერიდება ბრძოლას. მარა, როცა იარაღჩამოხსნილი თავის ოჯახში კერასთან ზის, მაშინ მცირე რამ საშიშროებაც კი შეაშფოთებს და შეაკრთობს მის გულს. - უპასუხა დესპინემ.

- ისეთი მოღვაწეობისათვის, რომელსაც ჩვენ საჭიროდ ვთვლით, ყველგან ბრძოლის ველია. - თქვა სპირიდონმა და განაგრძო თავისი მოთხრობა.

სანამ სპირიდონი თავის მოთხრობას დაასრულებდეს, მე



გიამბობ, მკითხველო, თუ როგორ მოხდა სპირიდონსა და დესპინეს შორის ცოლქმრობა.

#### IV

როცა სპირიდონ მცირიშვილმა საოსტატო სემინარიაში სწავლა დაასრულა, ის გააწესეს ერთ შორეულ მივარდნილ სოფელში სოფლის სკოლის მასწავლებლად. სპირიდონ მივიდა დანიშნულ სოფელში და ნახა, რომ ერთ მხარეს კარგი მოზრდილი, სუფთა ნაშენი ხის სახლი დგას სოფლის სამმართველოსთვის, მეორე მხარეს კი უხეიროდ ნაშენი, პატარა, ძველი სახლი, რომლის იატაკი თითქმის დამპალა. ფანჯრებში მინების უმეტესი ნაწილი დამტვრეულია და რაც დარჩენილა, ისეა გატალახიანებული, რომ ძლივს გაარჩევ, მინაა თუ ფიცარი. ჭერი ბევრგან გაშავებულია, რაიცა ამტკიცებს, რომ სახლში წვიმის წყალი ჩამოდის. ეს იყო სკოლა. ამ სკოლაში შემდეგი სამკაული ელაგა: ოციოდე მირყეულ-

მორყეული სკამი შეგირდებისათვის, ერთი პატარა, ძველი მაგიდა და ფეხებმორყეული სკამი მასწავლებლისათვის და შეუღებავი ხის დაფა. ამას გარდა, არც სასწავლო ნივთები და არც ოთახი მასწავლებლისათვის სკოლას არ მოეპოვებოდა. ხალხი გულგრილად უყურებდა სკოლის საქმეს. ბევრი მათში ამასაც იძახოდა - სულაც არ არის ჩვენთვის საჭირო სკოლაო. მასწავლებელს მძარცვავად რაცხდენ. ეს იყო მიზეზი, რომ ერთ წელზე მეტს იშვიათად დარჩებოდა მასწავლებელი აქ და ხშირად სკოლა უმასწავლებლოდ რჩებოდა.

- რა ვქნა, სად უნდა გავათიო ღამე? - დაეკითხა სპირიდონი მამასახლისს, როცა ნახა, რომ მასწავლებლისთვის ოთახი არსად იყო.

მამასახლისმა ჩვეულებრივად შეიფხანა თავი, მერე მიუბრუნდა გლეხებს, რომლებიც შეკრებილიყვნენ სოფლის სამმართველოს წინ და უთხრა:

- ხალხო, ვინმე თქვენგანმა მიეცით ბინა ე უჩიტელს. მუქათათ კი არა, ქირას მოქცემს.

- არ გვაქვს იმისთანა ბინა, რომ უცხო კაცი მივიღოთ, - უპასუხეს გლეხებმა, რომელთაგან ბევრმა უსიამოვნოდ გადახედა ახალმოსულ მასწავლებელს, თითქო გულში ამბობსო - მოსულხარ, რომ ფულები აგვაცინცლო, მეტს, ნუ გეშინია, არაფელს შეგვძენო.

- ისევ როგორმე კლასში უნდა მოეწყოთ და ამასობაში, ეგება, გიშოვოთ ბინა სადმე. - უთხრა მამასახლისმა სპირიდონს.

მეტი რაღა გზა იყო, სპირიდონი დაბინავდა სკოლაში. ღამით ეძინა ოღროჩოღრო იატაკზე, დღისით კი მიალაგებდა თავის ლოგინსა და ნივთებს ერთ კუთხეში, რომ მოსწავლე ბავშვებს არ გაეთელათ ფეხით. ასე გაატარა სპირიდონმა ორი თვე - სექტემბერი და

ოქტომბერი. მაგრამ ნოემბერში ღამლამობით ისეთი სიცივეები დაიწყო, რომ ფარღალალა კედლებიან სკოლაში შეუძლებელი იყო გაძლება. სპირიდონი იძულებული შეიქნა, როგორმე სადმე სხვაგან აეჩინა ბინა. სპირიდონმა მიმართა ოთახისათვის ერთ ახალ გაცნობილ მღვდელს, რომელიც იქვე სკოლის სიახლოვეს ცხოვრობდა და კარგი ხუთოთახიანი ხის სახლი ედგა. მღვდელმა უარი არ უთხრა სპირიდონს ოთახის ქირაობაზე, რადგან თავისი პატარა ვაჟი სასულიერო სასწავლებელში მისაღებად უნდა მოემზადებია და სპირიდონი ამ შემთხვევაში გამოადგებოდა. სპირიდონი გადავიდა მღვდლის სახლში. მას მიუჩინეს ერთი პატარა ოთახი. როგორც უცხო, მღვდლის ოჯახში, გარდა თვითონ მღვდლისა, მას ყველა ერიდებოდა. ხანდახან მღვდელი თუ შევიდოდა მასთან სალაპარაკოდ და მღვდლის ათი წლის ვაჟი გაკვეთილებისთვის, თორემ სხვა არავინ ეკარებოდა, მღვდლის უფროს ქალს, დესპინეს, რომელიც ამ დროს

ცამეტი წლის იყო, კიდევ ეჯავრებოდა სპირიდონის ავადმყოფური, გამხდარი, მღუმარე სახის დანახვა.

სპირიდონის აღზრდას რომ თვალი გადავაკლოთ, მკითხველო, აღარ გაგიკვირდება, თუ რად ედო მოხუცის ბეჭედი მის სახეაგებულებას ყმაწვილობის დროს, რისთვისაც ეჯავრებოდა ის პირველ გაცნობისას ლამაზს და ჩიტივით ცქრიალა დესპინეს. სპირიდონ იყო გლეხკაცის შვილი. ჯანის სისუსტე ბავშვობიდანვე ემჩნეოდა. ვინ იცის, ჯანსაღი და ძალუმი რომ ყოფილიყო სპირიდონი, მამას ეგება, არც კი გაემეტებინა სკოლაში აღსაზრდელად - “იმის სკოლა ყანააო”, ეთქვა, როგორც ამბობს საზოგადოდ გლეხკაცობა. მაგრამ მამა ხედავდა, რომ ჯანსუსტი სპირიდონი თავისი მუშაობით მაინცდამაინც ვერ შეუმსუბუქებდა შრომის უღელს. ამასთან, სხვა გლეხებთან შედარებით, სპირიდონის მამა შეძლებული კაცი იყო და ამიტომ მისცა შვილი სოფლის

სკოლაში, იმ განზრახვით რომ, როცა ცოტაოდენ წერაკითხვას და ანგარიშს ისწავლის, სადმე დუქანში დავაყენებ მოჯამაგირედო. მაგრამ რაკი ერთხელ თავი შეყო სპირიდონმა სოფლის სკოლაში, დასრულებამდე აღარ მოშორებია მას და შემდეგ, დაასრულა თუ არა სოფლის სკოლაში სწავლა, აუტყდა მამას, - ქალაქის სკოლაში წამიყვანეო. სოფლის მასწავლებელიც ხომ საშველს არ აძლევდა სპირიდონის მამას - ნიჭიერი ბავშვია შენი შვილი, ნუ დაიდებ მის ცოდვას, წაიყვანე ქალაქის სკოლაშიო. აქეთ ზოგიერთმა მოკეთემაც ურჩია - ნულარ მიატებ ჩხირს, რადგან კაი ნიჭი აქ, ბარემ ქალაქის სკოლაშიაც დაასრულებიე სწავლა, მერე სადმე მწერლად შევა, შენც გამოგადგება და თავსაცაო.

ამრიგად შეაცდინეს სპირიდონის მამა (ის მაინც ასე ამბობდა, შემაცდინესო) და წააყვანიეს შვილი ქალაქის სასწავლებელში. ამას შემდეგ, როგორც იყო, მამა აძლევდა

სპირიდონს სწავლის და წიგნების ფულს. ხარჯი - ფქვილი, ყველი და ლობიო - თავისი ზურგით მიჰქონდა სპირიდონს შინიდან ყოველ კვირადღეობით ოცი ვერსის მანძილზე. ის იდგა ქალაქის განაპირას, მიწით შელესილ ქოხში, რომელიც ქირით მიცემული ჰქონდა მისთვის, თვეში ოთხ აბაზად, ერთ ახალ დასახლებულ რუსის მუჟიკს. ყოველ საღამოობით მოიტანდა სპირიდონი მახლობელი ტყიდან თითო ტვირთ ფიჩხს. როცა დაღამდებოდა, სანთლის მაგივრად დაანთებდა ცეცხლს და მის სინათლეზე სწავლობდა გაკვეთილებს. საჭმელს თავისი ხელით იკეთებდა. ტანისამოსი მუდამ აკლდა. ორი ზამთარი პარუსინის ბლუზის და შარვლის ამარა გაატარა. ასეთი ცხოვრებით დაასრულა სპირიდონმა სასწავლებელი. საოსტატო სემინარიაში, რომელშიაც შესვლის ნება სპირიდონმა თითქმის ძალად გამოგლიჯა მამას ხელიდან, მისი ცხოვრება გაუმჯობესდა, რადგანაც სახელმწიფო ხარჯზე მიიღეს. მაგრამ საიმისო პირობები

აქაც არ იყო, რომ სპირიდონის დასუსტებული ჯანი გაეუმჯობესებია. მერე კიდევ სწავლაშიაც სპირიდონი გლეხურ მუყაითობას იჩენდა, მუდამ კითხულობდა წიგნებს, შეუსვენებლად მეცადინეობდა თავისი განვითარებისთვის და ესეც, ცოტა არ იყოს, ასუსტებდა მას ფიზიკურად. როცა საოსტატო სემინარია დაამთავრა, სპირიდონი ოცი წლის იყო, მაგრამ რომ შეხედავდი, გეგონებოდა, - ოცდაათის თუ ოცდახუთმეტი წლისა არისო.

შრომაზე სპირიდონი მეტად მხნე იყო: თავდადებით მეცადინეობდა სკოლაში, როცა მორჩებოდა და შეგირდებს გაუშვებდა, მივიდოდა მღვდლისას, დაუძახებდა მღვდლის პატარა ვაჟს, აუხსნიდა გაკვეთილს, მერე სჭამდა სადილს და შემდეგ შუალამემდე კითხულობდა წიგნებს. ერთ დღეს სპირიდონ ჩვეულებრივად თავის ოთახში იჯდა და წიგნი ეჭირა ხელში. სახლის წინ,



ავიჯანზე დესპინეს და მის პატარა ძმას, რომელსაც სპირიდონი ასწავლიდა, გამოეტანათ უშინსკის “როდნოე სლოვო” და პირველი სწავლობდა უკანასკნელის ხელმძღვანელობით რუსულ კითხვას. მაგრამ, რადგანაც დესპინეს ძმას ახალდაწყებული ჰქონდა რუსული წერა-კითხვის სწავლა, ხშირად ცდებოდა რუსული სიტყვების ამოკითხვაში. სპირიდონმა გაიგონა ეს, გამოვიდა გარეთ და ასწავლა თავის შეგირდს, თუ როგორ უნდა წაეკითხა. დესპინეს არ ესამოვნა სპირიდონის დანახვა - ვინ ეხვეწებოდა, ნეტაი, რომ მოვიდა და გვასწავლის, - გაწყრა თავის გულში და დააპირა წასვლა, მაგრამ ზრდილობიანი ქალი იყო და ველარ ჩაიდინა ასეთი საჩქიელი. ის დარჩა და დაუგდო ყური სპირიდონს. ბოლოს როცა სპირიდონი საჩქმეს მორჩა და თავის ოთახისკენ გაბრუნდა, დესპინემ გააყოლა უკან დამცინავი თვალები და დაცინვის ღიმილი გამოიხატა მის ლამაზ ტუჩებზე: “თუმცადა სასაცილოა, მაგრამ სწავლება კი კაი სცოდნიაო”. - თქვა ბოლოს მან

გულში. ის რუსული სიტყვებიც კარგად დაამახსოვრდა დესპინეს, რომლებიც სპირიდონმა დაასწავლა მას და მის ძმას. შემდეგ დღეებში ორ-სამჯერ კიდევ განმეორდა ეს შემთხვევა. ერთ დღეს დესპინეს ძმა დედამ სადღაც წაიყვანა. მიუხედავად ამისა, დესპინემ დანიშნულ დროს ჩვეულებრივად გამოიტანა “როდნოე სლოვო” და ეხლა მარტო დაიწყო კითხვა. დესპინე კითხულობდა წყნარი, ნაზი ხმით. რადგანაც სპირიდონის ოთახი ამ დროს ღია იყო, სპირიდონს გარკვევით ესმოდა დესპინეს კითხვა და ის შეცდომებიც, რაც ყმაწვილ ქალს მოსდიოდა კითხვაში. სპირიდონს ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ჰქონდა ერთი ჩვეულება: როცა ხედავდა ადამიანი რაშიმე სცდებო, არ შეეძლო მოეთმინა და არ შეენიშნა ეს შეცდომა. ახლაც, გაიგონა თუ არა, რომ დესპინე რუსულ სიტყვებს დამახინჯებულად კითხულობს, აღარ მოუთმინა გულმა, გამოვიდა გარეთ, მივიდა ყმაწვილ ქალთან და უთხრა: “ეგრე კი არა, აი ასე უნდა

წიკითხო” დესპინე არ მოელოდა ამას. “ჩემ ძმას გაუსწორა შეცდომები, თვარა ჩემთან რა ხელი აქვსო!” - ფიქრობდა ის. სცოდნოდა, რომ სპირიდონი მასაც დაუწყებდა შეცდომების გასწორებას, მაშინ ძმის დაბრუნებამდე სულაც არ აიღებდა წიგნს ხელში, მაგრამ, ეხლა რაკი ეგრე მოვიდა საქმე, რალა უნდა ექნა, ყური დაუგდო სპირიდონს. ამასთან თავმოყვარეობაც ეუბნებოდა ყმაწვილ ქალს, - არ შერცხვე, უნიჭობა არ გამოიჩინო ამ უცხო კაცთანო. ის მუყაითად უსმენდა სპირიდონს და როცა რომელსამე სიტყვას მაშინვე ისე ვერ წიკითხავდა, როგორც სპირიდონი ასწავლიდა, სირცხვილით წითლდებოდა. კარგა ნახევარ საათზე მეტი მოუნდა სპირიდონი დესპინეს სწავლებას. დესპინე ეხლა ძლიერ კმაყოფილი დარჩა სპირიდონის სწავლებით, რადგანაც სპირიდონმა ბევრი რუსული სიტყვის სწორი წაკითხვა ასწავლა და თან ქართულადაც დაასწავლა იმ სიტყვების მნიშვნელობა. “ეს რა ყოფილა, რა კაი

სწავლება ცოდნიაო!” - კმაყოფილებით ეუბნებოდა თავის თავს და თან თხზავდა ფრაზებს იმ რუსული სიტყვებიდან, რომლებიც სპირიდონმა დაასწავლა. ძლიერაც უხაროდა, რომ საკმაო ბევრი ფრაზა შეთხზა რუსულად. “ყოველ დღე რომ ამდონი მასწავლოს, რა ადრე დავისწავლი რუსულ წერა-კითხვას და ლაპარაკს!” - გაურბინა მას ფიქრებში. - “მაგრამ მე ვერ ვეტყვი, მასწავლე-მეთქი და ისე რისთვის უნდა მასწავლოს!” - თქვა ნაღვლიანად, მაგრამ საჩქაროდ იმედიანად დაატანა: “დედას ვათხოვნიებ და ის იმისთანა კაი კაცია, რომ ვარს არ იტყვის”. საღამოს, როცა დესპინეს დედა დაბრუნდა შინ, დესპინე მივიდა მასთან და გაბედულად უთხრა:

- დედა, მეც მინდა რუსული წიგნის სტავლა, სთხოვე უჩიტელს რომ მასტავლოს.

- რა ქალის საქმეა რუსული! - პირველად გაუმტყუნა თავის ქალს დედამ. მაგრამ მოაგონდა, რომ ახლანდელ

დროში ქალებს სკოლაშიაც კი ზრდიან ზოგიერთი შეძლებული მშობლებიო და უთხრა თავის ქალს:

- თუკი გასწავლის, კარგი, ისწავლე!

- მე ვერ ვეტყვი, ან შენ სთხოვე და ან მამამ, უჩიტელი იმისთანაი კეთილი კაცია, ისე უყვარს სხვისი სწავლება, რომ უარს არ იტყვის, ოღონდ თქვენ კი უთხარით.

- ერიჰა, მგონია, შენ კიდევ შეგყვარებია! - გაეხუმრა დედა თავის ქალს.

უმანკო გულის პატრონ დესპინეს დედის ხუმრობაზე შერცხვა, გაწითლდა და გულმოსულად უპასუხა დედას:

- აბა, შემყვარებია!.. კეთილი კაცია-მეთქი, ვთქვი, მერე რაი? კეთილია!

- არა, შენ გენაცვალოს დედა, ჩემო ლამაზო! გეხუმრე, -  
უთხრა დედამ დესპინეს, მიიკრა გულზე და დაუწყო  
კოცნა.

იმ საღამოს დესპინეს მამა შევიდა სპირიდონთან და  
უთხრა:

- ჩემ ქალსაც უნდა რუსულის სწავლა, ნუ დაიზარებთ,  
თქვენი ჭირი მე, ასწავლეთ.

- დიდი კმაყოფილებით, - უპასუხა სპირიდონმა,  
რომელიც მართლა და კმაყოფილებას გრძნობდა, როცა  
სხვას ასწავლიდა.

იმ დღიდან მოწყებული, დღეში საათნახევარი შესწირა  
სპირიდონმა დესპინეს სწავლებას. გავიდა ოთხი წელი. ამ  
დროის განმავლობაში სპირიდონ მუყაითად შრომობდა,  
როგორც სკოლაში, შეგირდებთან, ისე თვითონ სკოლის

გაუმჯობესებისათვისაც. ხალხს, რომელიც პირველად ისე აღმაცრივ, იჭვიანი თვალით უყურებდა მას, ეხლა ძლიერ შეუყვარდა სპირიდონი, რადგანაც დაინახა, რომ სპირიდონი არ სჯერდებოდა მხოლოდ ფორმალურად ბავშვების სწავლებას, ის ხალხის მასწავლებელიც იყო, ხალხს ესარჩლებოდა, იღვწოდა მათი წარმატებისთვის. არ ერიდებოდა ისეთ მოღვაწეობასაც კი, რომელიც პირადად მისთვის ძლიერ საშიში იყო. მისმა მოღვაწეობამ ისე წაახალისა ხალხი, რომ თავისი სურვილით ააშენეს სკოლისთვის საკმაოდ კარგი შენობა. სპირიდონი ეხლა იმის მეცადინებაში იყო, რომ როგორმე ბიბლიოთეკა დაეარსებია სკოლისათვის. საჭირო წიგნები და ფული შეაგროვა, მაგრამ, არ იქნა, მთავრობამ ნება არ დართო ჯერჯერობით.

დესპინე ამ ოთხი წლის განმავლობაში მუყაითი შეგირდი იყო სპირიდონის. მართალია, მეოთხე წელს სპირიდონი

მღვდლის სახლიდან ახალ აგებულ სკოლის ოთახში გადავიდა, მაგრამ სადილისთვის ისევ მღვდლისას დადიოდა და დესპინეც ისევ ისე განაგრძობდა სწავლას მისი ხელმძღვანელობით. ყმაწვილი ქალი იმდენათ განვითარდა ამ ოთხ წელს, რომ ბევრ საგანში არც კი ჩამოურჩებოდა თავის მასწავლებელს. სპირიდონის წიგნები (სპირიდონს, ღარიბი კაცის პირობაზე, კაი შინაური ბიბლიოთეკა ჰქონდა) თითქმის სულ წაიკითხა. მშობლები უწყობდნენ: “ვის გუუგონია ქალისაგან ამდონი წიგნის კითხვა! თვალებს გაგიფუჭებს. მერე კიდევ ახლა მოწიფელი ქალი ხარ. მართალია, მასწავლებელი ამდონი ხანია ჩვენს ოჯახშია, პატიოსანი კაციც არის, მარა, რაც უნდა იყოს, მაინც უცხო კაცი ქვია. აწი საჭიროა მისგან თავი შორს დეიჭირო, თვარა ქვეყანა სხვაფერ იტყვისო”. მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში სპირიდონის ქადაგებამ და წიგნების კითხვამ საკმაოდ მტკიცე ნიადაგზე დააყენა დესპინეს ხასიათი “რა



გინდათ, მე მწამს, რომ სწავლა საჭიროა ადამიანისთვის და ვსწავლობ; მე მწამს, რომ სპირიტონი სინდისიერი მასწავლებელია და სათაკილოთაც არ მიმაჩნია, რომ მე მისი ხელმძღვანელობით ვსწავლობდე”. - ეუბნებოდა დესპინე მშობლებს პასუხად. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, თავდაპირველად დესპინე დასცინოდა სპირიტონს; შემდეგ, როცა სპირიტონმა სწავლება დაუწყო, დესპინემ შესცვალა სპირიტონზე თავისი აზრი: სპირიტონი მეტად კაი მასწავლებელი ყოფილა, ვცთებოდი, რომ დავცინოდიო”. - ეუბნებოდა დესპინე თავის თავს. შემდეგ, როცა კარგად დაუკვირდა სპირიტონის ხასიათს, მსჯელობას და მოქმედებას, დესპინემ აღიარა თავის ფიქრებში: “სპირიტონი არა თუ კარგი მასწავლებელია, ის ნამდვილი კაცია, რომლისთანა ჩემ ნაცნობებში არც კი ურევიაო”. რაც უფრო ახლო გაიცნო დესპინემ სპირიტონი, მით უფრო და უფრო სთხოვა ყმაწვილ ქალს გულმა სპირიტონის სიახლოვეს ყოფნა,

მეორე და მესამე წელს დესპინემ ცხადად იგრძნო, რომ მას აღარ შეუძლია უსპირიდონოთ გაძლება. საშინელი მოწყენილობა მოიცავდა მის გულს, როცა სპირიდონი დროებით სხვაგან წავიდოდა. მეოთხე წელს, როცა სპირიდონ ახალაგებულ სკოლის ოთახში დაბინავდა, დესპინემ მთელი ღამე ჩუმი ტირილით გაატარა, მაგრამ მეორე დღეს სპირიდონ სადილად ისევ მღვდლისას მივიდა და დესპინემაც გული გაიმაგრა, - სპირიდონ ისევ ივლის ჩვენსაო. ოღონდ მის სიახლოვეს კი ყოფილიყო და დესპინეს გული ჯერჯერობით მეტს არას თხოულობდა.

ერთი მოულოდნელი შემთხვევის გამო, მეოთხე წლის დამლევს სპირიდონი იძულებული შეიქნა დაეტოვებია ის სკოლა, რომელსაც მან იმდენი ღვაწლი დასდო, და გადასულიყო სხვა სოფელში მასწავლებლად. ძლიერ ატკინა გული სპირიდონს ამ გარემოებამ, რადგანაც კიდევ ბევრი რამ განზრახვა რჩებოდა სისრულეში

მოუყვანელად. ვინ იცის, ახალი მასწავლებელი განაგრძობდა თუ არა მისგან დაწყებულ საქმეს, ეცდებოდა თუ არა, სპირიდონის მეცადინეობით ფეხზე დაყენებული სკოლის საქმე რიგიანად წაეყვანა? გული სწყდებოდა სპირიდონს, მაგრამ რა ექნა? გარემოება ისეთი იყო, რომ დაუმორჩილებლობა ამ შემთხვევაში ცუდ შედეგს გამოიწვევდა. სადილისთვის რომ მივიდა, სპირიდონმა გააგებია მღვდლის ოჯახს, რომ ხვალ მიდის. ნასადილევს მოინდომა დესპინეს უკანასკნელ გაკვეთილს ავუხსნო, მაგრამ დესპინე სხვაგან წასულიყო. ცოტა არ იყოს, სპირიდონს ეწყინა ეს: “რატომ ახლა, გამომშვიდობების დროს, უკანასკნელი გაკვეთილი მიატოვა და სხვაგან წავიდა! ნუთუ არ არის ჩემგან კმაყოფილი და ამით უნდა დამიმტკიცოს თავისი უმადურობა? ოთხი წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ ვასწავლიდი და ახლა, გამოთხოვების დროს, უბრალო, სიტყვიერი მადლობაც კი არ უნდა

მითხრას?! აკი, აქომამდე ამას მეუბნებოდა, რომ ჩემი მეცადინეობით შეიქნა ის ადამიანი, ჩემი მეცადინეობით აეხილა გონების თვალი? განა მადლობა რა საჭიროა? მარა ასეთი უმადურობაც კი ვერ ამიხსნია, რას უნდა მიეწეროს?” - ამბობდა სპირიდონი ფიქრებში, დაღონებული. დაბრუნდა მღვდლის სახლიდან და მიადგა თავის ოთახს, რომლის დაკეტვა სხვაგან წასვლის დროს ჩვეულებად არ ჰქონდა. შეალო კარი და დაინახა, რომ მის ლოგინზე ზის დესპინე.

- გაგიკვირდა, რომ შენ იქ დაგტოვე და მე შენს ოთახში წამოველ? - ჰკითხა დესპინემ დაღონებული ხმით.

- არ გამკვირვებია, მაგრამ არ ვიცი კი, რას მოასწავებს. - უპასუხა სპირიდონმა.

- არა, ჯერ ეს მითხარი, მიდიხარ სამუდამოთ?

- რა ვუყვით, ეგრე მოეწყო გარემოება და მივდივარ.

- მეტი არაფერი?

- მეტი რა? მეც მწყინს, შეჩვეულ ადგილს, კარგ ნაცნობებს რომ ვტოვებ, მარა საქმე ასე თხოულობს და უნდა დავემორჩილო.

- მე მტოვებ? ხომ გითხარი უშენოთ გაძლება აწი აღარ შემიძლია-მეთქი! აგრე კარგათ გაიგე ჩემი სიტყვა?! - დესპინეს თვალზე მოადგა ცრემლები, მაგრამ ძალად შეიმაგრა თავი ტირილისაგან.

სპირიდონმა გრძნობიერად, მაგრამ თან გაკვირვებულმა შეხედა დესპინეს. დიდი ხანია სპირიდონის გულმა იგრძნო დესპინეს სიყვარული. ბევრი ღამეები გაათენებია მას უძილოდ ამ სიყვარულმა. მაგრამ გამხელა ამ გრძნობისა ერთხელაც კი არ განუზრახავს, ერთი იმიტომ,

რომ არ იცოდა, თუ დესპინესაც უყვარდა ის. მართალია, ახსოვდა, რომ დესპინემ უთხრა - უშენოდ გაძლება აწი აღარ შემიძლიაო; ამასთან ამჩნევდა, რომ დესპინე რაღაც თანაგრძნობით ექცეოდა, მაგრამ ყოველივე ეს სპირიდონს უბრალო მეგობრობა ეგონა. “მაგრამ კიდევ რომ ვუყვარდე, - ფიქრობდა სპირიდონი, - საშინელი თავმოყვარეობა იქნება ჩემი მხრით, რომ მე, ავადმყოფმა კაცმა, თან ლატაკმა, შევირთო ასეთი სრული ქმნილება ცოლად და გავუნაწილო ის ტანჯვა და ნაკლულევანება, რომელიც მე მომელის ცხოვრებაში. დესპინე უნაკლულო ქმნილებაა, შეხვდება ვინმე მისებრ საღ ყმაწვილ კაცს, შეიყვარებს და ბედნიერი შეიქმნება. რისთვის უნდა მოვუსპო ეს ბედნიერება!” მაგრამ ეხლა კი, როცა თვითონ დესპინე ეკითხებოდა: “მტოვებ? აკი გითხარი, აწი უშენოთ გაძლება აღარ შემიძლია-მეთქი!” - სპირიდონმა აღარ იცოდა რა ეთქვა ან რა ექნა.

- რა არის, რომ გაჩუმდი, რატომ არ მაძლევ პასუხს? -  
დაეკითხა დესპინე.

- დესპინე, გაგიტყდები და გეტყვი, რომ, - დაიწყო მძიმედ  
და დაფიქრებულად სპირიდონმა, - დიდი ხანია ჩემმა  
გულმა იგრძნო შენი სიყვარული, იგრძნო ისე მძლავრად,  
რომ მთელ ღამეებს უძილოთ მატარებიებდა და  
მატარებიებს. მარა გადავწყვიტე, ეგ სიყვარული ჩემსავე  
გულში ჩავიკლა. გადავწყვიტე იმიტომ, რომ არ მეგონა,  
თუ შენც გიყვარდი. მარა, თუნდა ეგეც მცოდნოდა, მე  
მანც ამ გადაწყვეტილებას დავადგებოდი. რადგანაც არ  
მინდა ჩემი ცხოვრების ვარამი შენ გაგინაწილო, არ მინდა  
გაგხადო იმ ტანჯვის მონაწილედ, რომელიც მე  
შემხვდება ცხოვრებაში. მე შენ მიყვარხარ და ამიტომ  
მსურს, რომ შენ ბედნიერი იყო და არა უბედური.

- მე უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლია, და აწი, როგორც  
გინდა, ისე გადაწყვიტე. - მოუჭრა სიტყვა დესპინემ.

- არც ის გაშინებს, რომ მე ავათმყოფი ვარ, არც ის, რომ მუდამ სილატაკეში იქნები? არ მოსტყუვდე, არ შეგაცდინოს პირველმა გრძნობამ.

- ეგენი, რაც შენ ჩამოთვალე, ანგარიშებია, რომლებსაც სიყვარულთან არავითარი მნიშვნელობა და ძალა არ აქვს.

- მარა არც სიყვარულს უნდა დაემონოს ადამიანი განუსჯელად. სიყვარული გრძნობა არის და გრძნობის ბელმძღვანელი ყოველ შემთხვევაში გონება უნდა იყოს.

- სიყვარულს, ანუ, როგორც შენ ეძახი, გრძნობას, უარი უნდა ჰყოს ადამიანმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ გრძნობის დაკმაყოფილებას ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა მოყვება. სხვა შემთხვევაში წვრილმანი ანგარიშები სიყვარულთან მოსახსენებელი არ არის.



- დანაშაული არ იქნება, რომ იმ არსებას, რომელიც ისე ძლიერ მიყვარს, ჩემი ტანჯვა-ვარამი გავუნაწილო, სილატაკეში მშვიერ-მწყურვალს გავატარებო სიცოცხლე?

- თუკი მაინც შენთან ცხოვრება ურჩევნია, ყოველივე ამის მიუხედავად? თუკი შენთან სიკვდილი ურჩევნია სხვასთან სიცოცხლეს?

- კარგა დაუფიქრდი, დესპინე!

- მეჩვიდმეტე წელში გადავედი, მგონია, შემიძლია გავარკვიო, რა მინდა და რა არა.

- მაშ, გადაწყვიტე?

- დიდი ხანია გადაწყვეტილი მაქვს.

- კიდევ გაგაფრთხილებ, კარგა დაუფიქრდი.

- დავუფიქრდი და კიდეც გითხარი, რასაც მეუბნება ჩემი გული და გონება, აწი შენ იცი, გინდა დამიჯერე და გინდა არა, ამას კიდეც გაგიმეორებ, - უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლია. აწი, გინდა მაცოცხლე და გინდა მომიძულე და მომკალი!

სპირიდონი კარგა ხანს ჩაფიქრებული იყო. მერე აიღო თავი, სიყვარულით მიაპყრო დესპინეს თავისი მშვიდი თვალები და უთხრა:

- დესპინე, ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვარ! ჩემი სიცოცხლე განახლდა, ნეტარების შუქით შეიმოსა. დღეიდან დაწყებული, ახალი ცხოვრება იწყება ჩემთვის, მარა მეშინია, რომ ჩემმა სიყვარულმა არ დაგტანჯოს, მეშინია, რომ ვერ შესძლო იმ გზაზე სვლა, რომელიც მე ცხოვრებაში ამომირჩევია. ჩვენი ცხოვრების გზა მეტად ეკლიანი და ძნელი სავალი იქნება.

- შენთან ჯოჯოხეთიც ვერ შემაშინებს. ოღონდ შენთან ვიყო და ყოველსავე ავიტან, ყოველსავეს! - აღტაცებით უთხრა დესპინემ, რომელსაც სიყვარულით ცრემლები მოედინა თვალებზე.

- მშობლებმა რომ არ მოგვცენ ნება? - ჰკითხა სპირიდონმა.

- იმათ კარგით იციან ჩემი ხასიათი, ვერ მეტყვიან ვარს. მარა თუნდაც კიდევ არ გახდენ თანახმა, სულ ერთია, მე მაინც წამოვალ შენთან. შენ ხომ არ გეშინია იმათი ვარის?

სპირიდონს გაეცინა ამ კითხვაზე.

- არა, ეს რა სულელური კითხვა იყო! განა არ ვიცი, რომ შენ ამისთანების არ გეშინია. მაშ გათავდა! აწი ერთად ვიცხოვრებთ, ჩვენთვის, საკუთრად! - დესპინე მოეხვია სპირიდონს და ტკბილმა კოცნამ დაუტკბო ორთავეს ტუჩები.

არ გასულა მას შემდეგ დიდი ხანი, რომ სოფელ X-ში სალაპარაკო საგნად გახდა ახალმოსული მასწავლებელი და მისი მეუღლე. “კაი ამხანაგები რომ გინახავს, ისთე ეხმარებიან ერთმანეთს საქმეში. ორივე ისე ზრუნავს სკოლისთვის, რავარც კაი დედ-მამა შვილის აღზრდაზეო”. - ამბობდა ხალხი. ეს მასწავლებელი განლდათ, მკითხველო, სპირიდონ მცირიშვილი, რომელმაც დაიწერა ჯვარი დესპინეზე და ეხლა დესპინე და ის ცხოვრობდენ სოფელ X-ში, სადაც სპირიდონი გაამწესა მასწავლებლად სახალხო სკოლების დირექტორმა. ცოლი და ქმარი მოთავსდენ ერთ პატარა ოთახში, რომელიც სკოლაზე იყო მიდგმული. რაც შეგირდების სწავლებაზე დრო მორჩებოდათ, წიგნების კითხვაში ატარებდენ. ამათ შეგნებული ქონდათ ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანს, რომელსაც სურს ხალხის წარმატებისთვის ცოტად თუ ბევრად იმოღვაწოს, კიდევ უნდა ესმოდეს, რაში მდგომარეობს ეს წარმატება, რომ მოღვაწე თანამედროვე

სწავლა-მეცნიერებით უნდა ინათებდეს გზას. იცოდენ, რომ დიდი ნაკლი ჰქონდათ ამ მხრით და უნდოდათ, რაც შეიძლებოდა, შეემცირებიათ ეს ნაკლი. ამიტომაც მეცადინეობდენ ისე მუყაითად, თითქოს კარგი შეგირდი გაკვეთილის სწავლას შესდგომიაო. სპირიდონის ენერგიას ერთიორად მოემატა დესპინეს შერთვის შემდეგ. ჯანზედაც კი გაუმჯობესება დაეტყო.

სპირიდონს ჰყავდა თავის სამშობლო სოფელში დედა, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ მარტოდმარტო დარჩა ოჯახში, თავისი მცირე ჯამაგირიდან სპირიდონი ერთ ნაწილს უგზავნიდა მას და ყოველ დღესასწაულზე მიდიოდა მასთან.

## V

ეხლა გიამბობთ, მკითხველო, თუ როგორ გაატარეს ღამე დესპინემ და სპირიდონმა დუქანში, სადაც დარჩენ ისინი

მატარებლის დაგვიანების გამო.

როცა სპირიდონმა თავისი ამბის მოთხრობა დაასრულა, შუალმე იყო.

- დავწვეთ ახლა, თორემ ხვალ დილას დაღლილებმა რომ დროზე ვერ გავიღვიძოთ და მატარებელს ვერ მოვასწროთ, ცუდად იქნება ჩვენი საქმე, - მაშინ ხვალ სალამომდე კიდევ უნდა დავრჩეთ აქ, - უთხრა სპირიდონმა თავის მეუღლეს.

რადგანაც დუქნის ლოგინი მეტად ჭუჭყიანი იყო, დესპინემ ამოიღო ჩემოდნიდან ზეწარი, საზაფხულო საბანი, დააგო ოღრო-ჩოღრო ტანტზე და ცოლ-ქმარი დაწვენ დასაძინებლად. საკმაოდ ციოდა. დესპინეს და სპირიდონს ლოგინში კიდევ კარგა ხანს ეღვიძათ. ამის მიზეზი, ერთი, სიცივე იყო და მეორეც ისა, რომ დესპინე გაეტაცებია სოფიას (გმირი ქალი იმ ამბისა, რომელიც

ქმარმა გააცნო). “ქალი ვარო, იმას ეთქმოდა!.. ქალი იმისთანა უნდა!”.. - იმეორებდა ის თავის გულში. სპირიდონს კი ესწრაფოდა საყვარელი დედის ნახვა და ჯავრი მოსდიოდა, - მატარებელმა რაღა მაინცადამაინც დღეს მოიტეხა ფეხიო. არ გაუვლია დიდ ხანს ამას შემდეგ, რომ ცოლ-ქმარს ღრმად ჩასძინებოდათ.

ტარიელი და მისი ამხანაგები კიდევ კარგა ხანს ქეიფობდენ.

უკანასკნელ ერთმა მათგანმა დახედა საათს და თქვა:

- აბა, ყმაწვილებო, თუ რამეს აპირებთ, დროც არის. მარა ფრთხილად, ფრთხილად!

ამ სიტყვებზე წამოდგა სამი ყმაწვილი და გამოვიდა გარეთ. ტარიელმა მოინდომა წაყოლა, მაგრამ ყმაწვილები მოუბრუნდენ და უთხრეს:

- თუ შენ წამოდი, საცემბიროთ გახთება ჩვენი საქმე, შენ შენებურად მკლავის ღონით მოინდომებ საქმის გატანას. აქ კი ამოდენა ხალხია ამელამ, დაგვეხვევიან და დაგვიჭერენ!

დიდხანს იწევდა ტარიელ წასასვლელად, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, ამხანაგების რჩევამ დააბრუნა უკან. დანარჩენი სამი კაცი კი აჩრდილივით გაცურდა ღამის წყვდიადში და კატასავით ჩუმი ნაბიჯით მიიპარა იმ დუქნის წინ, რომელშიაც ეძინათ სპირიდონს და მის მეუღლეს. ცოტა ხანს სამივე სულგაკმენდით იდგენ აქ და რაღაცას უყურებდენ. ამათ რიცხვში ერია დათიკოც, ტარიელის საუკეთესო მეგობარი. - ცოტა მომითმინეთ, - უთხრა ჩუმად დათიკომ ამხანაგებს. ამოიღო გრძელი, წვეტიანი დანა და დაუწყო კარს გაღება. ამასთან ცდილობდა, რაც შეიძლება, უხმაუროდ მოეხდინა ეს საქმე. ორი მისი ამხანაგი კი ამ დროს კიბესთან იდგენ და



ყურადღებით უცქეროდენ მესამეს, რომელიც ლანდივით ჩანდა კარებთან. ჭუჭრუტანებიანმა კარებმა დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, იმის შიგნითა რაზა ადვილად გადააგდო დანის წვერმა. ამას შემდეგ დათიკომ დანა შეინახა და ისე მოხერხებულად გააღო კარი, რომ ერთი ჭრიალიც კი არ გასმულა, თუმცა სხვა დროს, როცა გააღებდენ, მუდამ ჭრიალებდა. კარის გაღების შემდეგ, ის ჩამოვიდა აივნიდან, მივიდა ოთახის გვერდში, მიადო კედელს ყური და დაუწყო ყურება. სახლში ბაიბური არ ისმოდა. უკანასკნელ ამხანაგებმა მოიყარეს თავი და გამართეს ფუჩუნით თათბირი.

- სამივე შევიდეთ შიგ. მე ქმარს ყელზე ხანჯალს დავაბჯენ და ხმას გავაკმენდინებ, თქვენ კი ქალი გაიტაცეთ, - თქვა ერთმა.

- შენც ახლა ერთი ტარიელი გამიჩითი! - შენიშნა დათიკომ და შემდეგ განაგრძო: - კაცო, ძალით კი არა, ქურდულად

უნდა მოვახერხოთ ეს საქმე. სამივე რომ იმ უჯრის ოდენა ოთახში შევიდეთ, ერთმანეთს ხელს შევუშლით, მეტს ვერას გავაკეთებთ. ისევ ჯობია, თქვენ გარეთ, კარებთან, გაჩერდეთ, მე შევალ შიგ და კარებთან ისე მოგირბენიებთ ქალს, რომ კრინტის დაძვრა ვერ მოასწროს, მერე თქვენც მომეშველეთ. მართლა, კი არ დაგავიწყდეთ, პირში პლატოკი უნდა ჩაუდოთ, თვარა როცა გონს მოვა, კივილს გააბამს და ქვეყანას დაგვახოვს. მერე, როცა სამშვიდობოს გავალთ!.. ასე უნდა საქმე. არ გაგიგონიათ ჩვენებური ანდაზა: კატა ისე უნდა დაიჭირო, რომ ბრჭყალი არ გაგკრასო! აგრე, აგრე, ერთი ავუსრულოთ წადილი იმ ჩვენს გიჟს. ხომ გახსოვთ, ჩვენი გულისთვის რამდენჯერ მიუცია თავი ცეცხლში.

ორივე ამხანაგმა მოუწონეს დათიკოს ეს რჩევა. ისინი ჩუმად ავიდენ აივანზე. ორი მათგანი კარებთან გაჩერდა, დათიკო კი, თითქო ბამბა აკრავს მთელ სხეულზეო,

უბმაუროდ შევიდა ოთახში.

იმ დროს, როცა ეს ამხანაგები კარებს ადგენ და თათბირში იყვენ, დესპინე ღრმა ძილში იყო და ხედავდა შემდეგ სიზმარს: ვითამც ის წევს საშინელ, ბნელი სოროს პირზე; სოროდან ნელ-ნელა ამოყო თავი ვეებერთელა დათვმა და უნდა ჩაითრიოს. დესპინეს უნდა გაიქცეს, მაგრამ ფეხები ვერ გაანძრია, უნდა დაიყვიროს, მაგრამ კრინტიც ვერ დასძრა. დათვმა კი, ვითომც, ეს-ეს არის, მიაწვდინა კიდეც საშინლად დაღრენილი ხახა. დესპინეს შიშით სული ეხუთებოდა. აი, სწორედ ამ დროს შევიდა ოთახში დათიკო, ჯერ კარგად დააყურა, - სძინავთ თუ არაო. როცა დარწმუნდა, რომ ცოლსაც და ქმარსაც ღრმად სძინავთო, ნელ-ნელა დააცეცა მწოლარეთ ხელი, რომ გაეგო - ქალი რომელ მხარეს წევსო, მიაგნო დესპინეს, მოსდო ცალი ხელი მხრებზე, ცალი - წელზე, და დაუპირა ლოგინიდან აყვანა ისე, თითქოს ბავშვი აჰყავსო. მაგრამ ამ დროს

დესპინემ ისეთი იკვილა, რომ აქეთ სპირიდონ და მეორე ოთახში მედუქნე და მისი ბიჭები შეშინებული წამოცვივდნენ ზეზე, “რა დაგემართა!” - მისცა ხმა სპირიდონმა და გაეჩანა იქითკენ, რომელ მხარესაც დესპინე იწვა. მაგრამ ამ დროს იმან ლანდივით დაინახა კაცი, რომელსაც მიჰყავდა დესპინე და გამმაგებული ეცა მას. სპირიდონს ამ კაცის ხანჯალი მოხვდა ხელში; მან მოაგლიჯა ეს ხანჯალი ქამრიდან, დაანარცხა იატაკზე, ისე რომ ფიქრადაც არ მოსვლია ესარგებლა ამ იარაღით, სწვდა ისევ უცხო კაცს, რომელმაც ამ დროს გააგდო ქალი ხელიდან და თავის მხრით წაავლო სპირიდონს ყელში ხელი, მაგრამ უფრო იმ აზრით, თავი გაეთავისუფლებია მისგან და გაქცეულიყო.

დათიკოს მოეშველენ ორი ამხანაგი, რომლებიც გარეთ უცდიდნენ. ცუდად იქნებოდა სპირიდონის საქმე, რომ შემდეგ ორ გარემოებას არ დაეხსნა ის სიკვდილიდან:

ერთი, რომ ოთახში საშინლად ბნელოდა, ამხანაგები ერთმანეთს ველარ არჩევდენ და ამიტომ ამოღებული ხანჯლები ვერ მოეყვანათ მოქმედებაში იმის შიშით - ვაითუ შეგვცდეს და ერთმანეთი დავჭრათო; მეორე - არ გასულა ერთი წამი, რომ მედუქნე და მისი ბიჭები შემოვარდენ შუა კარიდან სპირიდონთან ანთებული სანთლით. მოჰკრეს თუ არა სინათლეს თვალი, უცხო კაცები დაუსხლტენ სპირიდონს ხელიდან, გავარდენ გარეთ და გაქრენ აჩრდილებივით. როცა სანთელმა ოთახში გააშუქა, დაინახეს რომ იატაკზე გდია გულწასული დესპინე. სპირიდონ ელვასებრ მივარდა და დაუწყო წყლის პკურება. მედუქნეც მიეშველა და, დესპინეს როგორც იყო, გაახელიეს თვალი. სპირიდონმა აგრეთვე იპოვა იატაკზე ის ხანჯალიც, რომელიც მან იმ ვიღაც კაცს შეაგლიჯა ქამრიდან. მედუქნემ იცნო, ვისიც იყო ეს ხანჯალი, მაგრამ სპირიდონს კი არ გაუმხილა, რადგანაც ხანჯლის პატრონისა ეშინოდა - დამიხელებს

სადმე და ამკუწავსო.

- ეს ჩემთვის საჭირო არ არის. - უთხრა სპირიდონმა მედუქნეს და გადასცა ხანჯალი.

მედუქნემ მაღლი გადაუხადა და ჩამოართო ხანჯალი იმ განზრახვით, რომ, როცა სპირიდონი წავიდოდა, გადაეცა პატრონისთვის.

დესპინემ თუმცაღა თვალი გაახილა და რამდენიმე სიტყვაც თქვა, მაგრამ სრულ გონს მაინც ვერ მოვიდა ჯერ, მას ვერ გამოერკვია, რა მოხდა მის თავს, მას ასე ახსოვდა ეს შემთხვევა, რომ ის ვითომც დათვმა დაითრია სოროში. ეხლა კი ხედავს, რომ სანთელით განათებულ ოთახში წევს და სასთუმალს ქმარი უზის, აქ არც სოროა და არც დათვი.

- რა იყო, რა მოხდა? - ჰკითხა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ

დასუსტებული ხმით დესპინემ ქმარს.

- არაფელი, ვილაც მთვრალეები შემოცვინდენ დუქანში, იმათმა ხმაურობამ შენ უცბად გაგაღვიძა და დაგაშინა კიდევ, მეტი არაფელი. - უპასუხა ქმარმა, რომელიც თვითონაც საშინლად აღელვებული და გაკვირვებული იყო, რომ ასე მოულოდნელად თავს დაესხენ. მას ეჭვიც ვერ აეღო, თუ ვინ უნდა ყოფილიყვენ ეს გმირები. “უთუოთ, ის ვილაც ტარიელია, ის იქნებოდა! დღეს სულ მგელსავით მიმზერდა”. - გაიფიქრა დესპინემ, როცა გონს მოვიდა და შიშის ჟრუანტელმა დაურბინა ტანში.

- მართლა, მაშინ დამავიწყდა, აი, ამით გაამაგრეთ კარები.  
- შემოუტანა მედუქნემ სპირიდონს რკინის ურდულები.

სპირიდონმა გაამაგრა კარები, დაწვა, მაგრამ ძილი კი არ ეკარებოდა არც მას და არც დესპინეს. პატარა ლამპა სუსტად ანათებდა მათს ოთახს.

ტარიელ მეტად აღელდა, როცა მისი ამხანაგები ხელცარიელი დაბრუნდნენ და მასთან ერთი მათგანი უხანჯლოდ.

- ერთმა ბაღლინჯომ სამ ვაჟკაცს ხანჯალი წაგართვათ და პირში ჩალა გამოვლებული გამოგაგდოთ! სადღა უნდა გაახილოთ ამის შემდეგ თვალი! - არცხვენდა ის ამხანაგებს.

- ვაჟო, ის ხანჯალი როგორმე ამელამ ამოვიგოთ, თვარა საციმბიროთ გაგვიხთის საჭმეს. ამისთანა მათხოვარი კაცი, ხომ იცით, საჩივარზეა ჭიპდაჭრილი. ხვალ იმ ხანჯალს პოლიციაში წარადგენს და მაშინ... - თქვა ერთმა ამხანაგმა.

- ფიქრი ნუ გაქვთ, ხანჯალსაც ამოვიგებთ და ჩვენს სურვილსაც შევისრულებთ, ოღონდ მე მომყევით. წავიდეთ იმ დუქანში, მოვატანიოთ ღვინო, დავპატიყოთ



იმ ქალის ქმარი და მედუქნე, გამოვართოთ კარგა - იმათ  
რა ბევრი უნდათ! სამ-სამი ჭიქა ღვინო თავდაღმა  
დასცემს! შემდეგ ხანჯალიც ხელთ გვექნება და ის  
ტარიელის ნესტან-დარეჯანიც ჩვენი იქნება დილამდე.  
რატომ აქომომდე არ მოგვაგონდა ეს! - თქვა მეორე  
ამხანაგმა.

ყველას მოეწონა ეს აზრი.

- კაცო, ის ახლა შეშინებულია, ასე ადვილით  
დაგვენდობა? - შენიშნა ვილაცამ.

- დამენდობა რომელია! მის ოთახში შევიტან ღვინოს,  
ბიჭია და ნუ დაღევს! - თქვა ტარიელმა.

ტარიელმა და მისმა ამფსონებმა თავიანთი არღნით  
გასწიეს იმ დუქნისკენ, სადაც სპირიდონ და მისი  
მეუღლე იყვნენ ჩამომხდარი. როცა დუქანს

დაუახლოვდენ, ტარიელს აღარ მოუთმინა გულმა, მივარდა იმ ოთახის კარს, სადაც სპირიდონ და მისი მეუღლე ეგულებოდა, და დაუწყო რახუნი. ამხანაგები ეცენ ტარიელს, - გვადროვე, ჯერ თითონ დუქანში შევიდეთ და შემდეგ მივიპატიჟოთ, ან თითონ ჩვენ მივიპატიჟოთ, - მაგრამ ტარიელს ისე ჰქონდა ღვინისაგან სისხლი აღელვებული, რომ ეგენი აღარ ეყურებოდა.

- ვინ ხარ? - დაუძახა სპირიდონმა.

- სტუმრები გეწვიათ და კარები გააღეთ. - შემოესმა პასუხად.

- ვინ სტუმრები?

- ტარიელ მკლავაძე და მისი ამხანაგები.

- უკაცრაოთ, მარა ერთი, რომ ვერ გიცნობთ და მეორეც,

დროც არა მაქვს ახლა სტუმრების მიღებისთვის, -  
ტკბილად უპასუხა სპირიდონმა.

- შეურაცხყოფას ნუ გვაყენებთ. გწვევივართ, უნდა  
მიგვიღოთ! - შემოესმა სპირიდონს და შემდეგ კიდევ  
რამდენიმე კაცის ხმამ არეულ-დარეულად განაგრძო:

- რას ქვია, დრო არა მაქვსო!.. ეს შეურაცხყოფაა  
ჩვენთვის!.. უნდა მიგვიღოთ!.. ქართველი კაცის  
ჩვეულება ასეა, გეწვევა, უნდა მიიღო, არმიღება გალახვია.

- შუალამისას, ლოგინში მწოლარემ რომ უცნობი  
სტუმრები ვერ მიგვიღოთ, ეს სრულიათაც შეურაცხყოფა  
არ უნდა იყოს არავისთვის. - უპასუხა სპირიდონმა.

- გააღე კარები, თვარა ძალით შემოვამტვრევთ! - შემოესმა  
მუქარის ხმა.

- მოდი, ჩავიცვამ ტანზე და გავაღებ კარებს, რას დაგვიშავებენ ვითომ? - დაეკითხა სპირიდონი დესპინეს.

- არა, არა! არ გაუღო კარი! - ეცა ხელში დესპინე ქმარს. - არ გაუღო, თვარა დევილუპებით! ესენი კაი საქმისთვის არ არიან აქ მოსული! არ გაუღო. - ეუბნებოდა დესპინე და თან ფერდაკარგული საშინლად კანკალებდა.

სპირიდონმა შეამჩნია დესპინეს გაფითრებულ სახეზე და კანკალზე - ძლიერ შეშინებიაო, და თვითონაც დაფიქრდა, მართლადა რაღაც ავი მიზანი უნდა ჰქონდეთ, თვარა რისთვის უნდა მოსულიყვენ უცხო კაცთან სტუმრადაო.

- როგორც მოგახსენეთ, ამელამ არ შემიძლია თქვენი მიღება, რადგანაც ვერ ვიცნობთ ერთმანეთს. თუ მაინცადამაინც სურვილი გაქვთ ჩვენთან სტუმრობის და გაცნობის, ხვალ მობრძანდით, დიდი კმაყოფილებით მიგიღებთ და, რაც ღონე გვექნება, პატივსა გცემთ. -

უთხრა სპირიდონმა დაუპატიჟებელ სტუმრებს.

- გაგვიღე კარები, თვარა ძალათ შემოვამტვრევთ! -  
დაემუქრენ გარედან ხელმეორედ.

- მერე სინდისიერი იქნება ეს? ასეთ საქციელს, სინდისზე  
ხელაღებული კაცის გარდა, არავინ იკადრებს.

- როგორ, მაშე მე უსინდისო ვარ?! მე მეძახი უსინდისოს?!  
მოგიკვტეს ტარიელ, თუ თავი არ გაცნობა! - აქ ტარიელმა  
ისე მაგრად ჰკრა კარებს წიხლი, რომ მთელი ოთახი  
შეინძრა.

კარებზე წიხლის ცემა თანდათან განმეორდა.  
სპირიდონმა დაინახა, რომ აქ ხუმრობა აღარ არისო,  
სასწრაფოდ ტანს ჩაიცვა, დაიკავა ხელში თავის პატარა  
რევოლვერი და მოელოდა - აი, აგერ, აი, აგერ  
შემოანგრევენ კარებს და, ვინ იცის, ეს გამხეცებული

ხალხი რას არ ჩაიდენსო. თუმცაღა ჯერ კარებისთვის ვერა დაეკლოთ რა, რადგანაც საკმაოდ მაგარი იყო და თან რკინის ურდულით გამაგრებული, მაგრამ იჭვი არ იყო, რომ ლომივით ღონიერი ტარიელი ადრე დაამტვრევდა მას. დესპინემაც ჩაიცვა ტანს და იჯდა ლოგინზე, მაგრამ ამ გარემოებას ისე შეეშინებია, რომ ცოტა უკლდა გულის წასვლას. სპირიდონმა სცადა კიდევ ტარიელთან ლაპარაკი, - იქნება შევაგონო რამეო. მაგრამ მისი ლაპარაკი აღარავის ესმოდა. ის იყო სწორედ, კარებიც საკმაოდ მოირყა და რამდენიმე წიხლის შემდეგ, უეჭველად, ჩამოცვიოდა ძირს, რომ ხმაურობაზე შეგროვდა ხალხი - მედუქნეები და სხვები, ეცენ ხელში ტარიელს, როგორც მოსაშვალე, და დაუწყეს რჩევა: “არ გეკადრება, ნუ ჩაიდენ ასეთ საქმესო”. “არა! უსინდისოო, დამიძახა! მე იმას უნდა ვაჩვენო, ვინცა ვარ! გამიშვით, გამიშვით!” - ყვიროდა ხაფი ხმით მკლავაძე, რომელიც რამდენიმეჯერ დაუსხლტა ხელიდან და ისე მძლავრად

დაეძგერა კარებს, რომ ერთი-ორი კიდეც და დალეწავდა კიდეც. მაგრამ ხალხი ხელახლა იჭერდა ტარიელს და ეხვეწებოდა დამშვიდდიო. მეტადრე ერთი მკლავლონიერი მუშა ბიჭი მამაცად ეჭიდებოდა და არ უშვებდა ტარიელს კარებთან. ამასობაში ტარიელის ამხანაგთაგანიც ზოგიერთი მოვიდა გონს და ამშვიდებდენ ამხანაგს - რას შვრები, რას! სულ ყველას სისხლის სამართალში მიგვცემენო. კარგა დიდი ხანი გავიდა ამ ცოდვილობაში.

უკანასკნელ, როგორც იყო, ტარიელ წაიყვანეს დუქანში. დიდხანს ისმოდა მისი ყვირილი: “გამიშვიო, ერთი დავლეწო იქაურობაო”. აგინებდა სპირიდონს დედას და ცოლს ისეთი უშვერი სიტყვებით, რომ მაყურებელნი ყურებში თითებს იცობდენ. უკანასკნელ, როგორც იყო, მიდუმდა ტარიელის ხმა.

დესპინემ და სპირიდონმა ამ შემთხვევის შემდეგ მთელი

ღამე უძილოდ გაატარეს. დესპინე ისევ ისე გაფითრებული იყო და ცანცანებდა.

სპირიდონმა სცადა მისი გამხნევება, მაგრამ ამაოდ. ეხლა ორივემ ცხადად იცოდენ, ვინც იყვენ ის გმირები, რომლებიც მძინარე დესპინეს მოტაცებას აპირებდენ.

## VI

გათენდა. მოღრუბლული დილა იყო და უსიამოვნო ქარი ქროდა. დესპინე ცოტათი მოაცოცხლა დღის სინათლის დანახვამ.

- ღმერთო, ერთი დროიანად მოვიდეს ის ოხერი მატარებელი და გავშორდეთ აქაურობას! - თქვა დესპინემ.

- ცოტა მოვითმინოთ და მოვა კიდევ. რამ შეგაშინა ასე? არ



გინახავს მთვრალი ხალხი? სიმთვრალით მოუვიდათ, სხვა კი არაფერი იყო. - უთხრა სპირიდონმა.

- სიმთვრალით მოუვიდათ თუ სიფხიზლით, ჩვენ ორის სიცოცხლე წუხელ ბეწვზე ეკიდა და სხვაი შენ იცი. - უპასუხა დესპინემ.

- ამისთანა მშიშარა გული თუ გაქვს, როგორ გინდა უსამართლობას შეებრძოლო? აი, რომ გიტაცებს გმირი ქალების მაგალითი და აპირებ გახვიდე ბრძოლის ველზე, იქ ხომ გულწრფელ მებრძოლს უფრო დიდი საშიშროებაც შეხვდება. - ტკბილად შენიშნა ცოლს სპირიდონმა.

- ის საშიშროება, შენ რომ ამბობ, სულ სხვაა და ეს - სულ სხვა. როცა საზოგადო საქმისთვის თავს სწირავს ადამიანი, იცის, რომ მისი ღვაწლი ამაოდ არ ჩაივლის, ასე თუ ისე კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ასეთ თავგანწირვაში რაღაც ერთგვარი კმაყოფილებაც არის, მერე კიდევ

წინდაწინვე იცი, რომ თავი უკვე შეწირული გაქვს, აქ შიშის ალარ ეკარება შენს გულს. მაგრამ, როცა ადამიანი ხედავს, რომ მისი სიცოცხლე სრულიად უმნიშვნელოდ, ფათერაკად უნდა გაქრეს, მაშინ კი ძლიერ დაენანება თავი. წარმოიდგინე, წუხელ რომ იმდენი ხალხი არ შეხვედროდა, ის გამხეცებული ადამიანები შემოცვინდებოდენ და გათავდა, დავილუპებოდით! დავილუპებოდით, ვიცი ბეჯითად, დავილუპებოდით! - დესპინეს ამ უკანასკნელ სიტყვებზე საშინლად გააჟრჟოლა.

- რა ვუყოთ, ჩვენი ხალხის ცხოვრება ამისთანა შემთხვევებით არის სავსე, მაგრამ, თუ ადამიანი მართლა გმირი და გულადია, გაუძლებს, არ დაეცემა სულით.

- ყოველივეს საზღვარი აქვს. იჭვი არ არის, ადამიანის სულიერ ძალასაც და გმრობასაც ექნება თავისი საზღვარი.

- მართალია, მაგრამ ადამიანი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება, შორს გასწიოს ეს საზღვარი, - უთხრა სპირიდონმა და შემდეგ დაატანა: - მაგრამ ახლა ფილოსოფოსობას თავი დავანებოთ. ერთი გავიგო, მატარებელს კიდევ რამდენი დააგვიანდება. შენ კი მანამდე ჩვენი ნივთები ჩაალაგე ჩემოდანში.

სპირიდონმა მოიხურა შალი და, ის იყო, აპირებდა გასვლას, რომ ამ დროს შემოვიდა მასთან მისი ნაცნობი მედუქნე და უთხრა:

- ბატონო, ნუ გაბრძანდებით, თქვენი ჭირიმე, ტარიელ ძლიერ გაჯავრებული ყოფილა თქვენზე - წუხელ მაგინაო. ისეთი კაცია, რომ სხვაფერ თუ არ მოვახერხეთ საქმე, არ ივარგებს.

დესპინეს საშინლად გაუფითრდა სახე ამ სიტყვების გაგონებაზე.

- მაშ, რა უნდა ვქნა? კარდაკეტილ სახლში ხომ არ დავჯდები? ადრე თუ გვიან, ხომ უნდა გავიღე სადგურზე? - წარბებმოჭმუხვნით თქვა სპირიდონმა.

- პოლიციას შეატყობინეთ. - ურჩია მედუქნემ.

- მერე პოლიცია ყოველ ფეხის ნაბიჯზე დარაჯათ ხომ ვერ დამიდგება?

- მაშ? როგორ გნებავთ? - დაეკითხა მედუქნე.

- წერილს მივწერ მკლავაძეს, - ცოტა ფიქრის შემდეგ თქვა სპირიდონმა. - რა ვუყო, ბოდიშს მოვიხდი დანაშაულში, თუმცაღა კი არ ჩამიდენია მის წინაშე არავითარი დანაშაული. იმათ კი ჩაიდინეს ჩემს წინაშე დანაშაული, მაგრამ მიპატიებია, და, თუ ამითაც არ დამეხსნება, ვიცოდე მაინც წინდაწინვე.

დესპინემ კი არ იცოდა, რა ერჩია ამ შემთხვევაში ქმრისთვის. პოლიცია რომ ვერაფერ მფარველობას გაუწევდა, ეს მასაც კარგად ესმოდა.

- სწორეთ წერილის მიწერა და ბოდიშის მოხდა სჯობია იმისთანა მხეცთან. - დაეთანხმა უკანასკნელ დესპინე ქმარს.

სპირიდონმა დასწერა შემდეგი წერილი:

“თქვენო კეთილშობილებავ, ტარიელ ერეკლეს ძევ!  
(სპირიდონმა მედუქნისაგან გაიგო ტარიელის მამის სახელი). დიდ ბოდიშს ვიხთი, რომ წუხელ ვერ მიგიღეთ. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ერთმანეთთან გაცნობილი არა ვართ. ამასთან კიდევ თქვენ და თქვენი მეგობრები, უკაცრავად არ ვიყო ამის თქმისათვის, და ღვინისაგან შექეიფიანებული ბრძანდებოდით. აბა, როგორ უნდა მიგვეღეთ ამისთანა პირობებში, ისეთ უდროოდ დროს!

(შუალამისას, ლოგინში მწოლარეს). ასეთ დანაშაულს (თუკი ეს დანაშაულია), იმედია, გვაპატიებთ. რაც შეეხება მას, რომ გიბრძანებიათ - გვლანძლო, სინდისს გეფიცებით, არ მახსოვს, რომ სალანძლავათ, ერთი სიტყვა რა არის, წამომცდენოდეს თქვენს და ან თქვენი ამხანაგების პიროვნებაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვეულებათ არა მაქვს ადამიანების ლანძლვა-გინება. ვინცობაა გამიწყრა ღმერთი და გაღვიძების დროს უნებლიეთ წამომცთა რამ ავი (კიდევ დავიფიცავ, რომ მე არაფერი მეგულება ისეთი), იმ შემთხვევაში მორჩილათ ბოდიშს ვიხთი თქვენს წინაშე და გთხოვთ, მაპატიოთ დანაშაული. იმედი მაქვს, რომ ამ ბოდიშის შემდეგ, როგორც კარგი ვაჟკაცი, აღარ მოიწადინებთ შურისძიებას. თუ მაინცადამაინც არ დაგაკმაყოფილოთ ამ ჩემმა ბოდიშმა, იმ შემთხვევაში, გთხოვთ, წინდაწინვე გვაცნობოთ ეს, რომ ჩვენც მოვემზადოთ დასახვედრათ. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ, როგორც კარგი

ვაჟკაცი, მოულოდნელად არ დაგვესწმით თავს. როცა მეცოდინება, რა ვუყოთ, რაც მოსავალია, მოვიდეს. მართალია, მე თქვენთან ვაჟკაცობაში, ესე იგი მკლავლონიერობაში თავი არ მომაქვს, მაგრამ თანასწორ იარაღით ბრძოლას არ გავექცევი (რომ გავიქცე, სანამდის უნდა ვიმალო?).

ს. მცირიშვილი”.

- ხედავთ, ვაჟკაცობას დასდგომია, დუელში მიწვევს! - სიცილით თქვა ტარიელმა, როცა სპირიდონის წერილი წაიკითხა. მერე მიუბრუნდა მედუქნეს და უთხრა:

- უთხარი, რომ შენისთანებს მე დუელში არ მივყობით თქვა.

- მაშ ალარ ინებებთ?

- რას ვინებებ, იმასთან დუელში წასვლას? წადი, ნუ ჩერჩებოვართი, შენს დუქანს მიხედუ! - ამაყად უპასუხნა ტარიელმა, მოატანია ბიჭს წყალი და დაიწყო პირის ბანა.

- მე, ჩემდა თავად, დიდი მადლობა მომიხსენებია. - გადაუხადა მედუქნემ მძიმედ მადლი და დაბრუნდა სპირიდონთან.

- არ ვიცი, ღმერთმანი, მეც ძალიან გამიკვირდა, შენ რომ მითხარი, გემუქრებო. კაცისთვის არაფერი დამიშავებია, რისთვის უნდა მემუქრებოდეს. - თქვა სპირიდონმა, როცა მედუქნემ დაარწმუნა, ტარიელს ცუდი აღარ უძევს გულში თქვენს შესახებო.

- დილას, მართალია ამბობდა, მაგრამ ასე კი მოგახსენა - რამ გადაგრიათ, რამ აგახირათ, რის ჩხუბი, რის დუელიო. დილას, ალბათ, კიდევ ღვინო უღიტინებდა თავში. - უკანასკნელად დაარწმუნა კიდევ მედუქნემ სპირიდონ



ტარიელის სიტყვებში და გაბრუნდა თავის დუქანში.

- იცი, სპირიდონ, როგორღაც მე იმ მგელკაცის მაინც კიდევ მეშინია. - უთხრა დესპინემ ქმარს, როცა უკანასკნელმა დააპირა სადგურზე წასვლა.

- უადგილო შიში იგივე ავთიმყოფობაა. უნდა ეშინოდეთ იმათ, ვისაც რამე დაუშავებიათ. ჩვენ ხომ ასეთი არა მიგვიძღვის რა? მაშ, არც შიში გვმართებს. - უპასუხა სპირიდონმა ცოლს.

- წუხელისაც არ მიგვიძლოდა დანაშაული იმ ხალხთან, მაგრამ მაინც კი ორჯელ თავს დაგვესხენ და მიწასთან გასწორებას გვიპირობდენ.

- შენი მოსაზრების ძალით ადამიანი მუდამ შიშში უნდა იყოს, ვინ იცის, არ მოველოდები, მაგრამ იქნება მოხთეს ჩემ თავზე ესა და ეს უბედურობაო. ამნაირი უმიზეზო

შიშით წინდაწინვე, უბედურობის შემთხვევამდე, კაცი სასჯელში იქნება მიცემული, - შიში იგივე ტანჯვა და სასჯელია.

- შიში სხვაა და სიფრთხილე კიდევ სხვა. მე სიფრთხილეზე ვლაპარაკობ.

- მუდამი სიფრთხილე იგივე შიშია. - უთხრა სპირიდონმა და გავიდა გარეთ.

მინამ სადგურს მიუწევდა, სპირიდონს უნდა გაეარა რამდენიმე დუქნის წინ, რომლებიც დათხუპნული კედლებით გამწკრივებული იყო სადგურზე კარგა მოშორებით. ერთ მხარეს, დუქნებს წინ გავლებული ქონდა ვიწრო გზა. სადგურის მხრით გზას მიჰყვებოდა კვალი, რომელიც მუდამ სავსე იყო ნეხვით, ტალახით და მღვრიე წყლით. სპირიდონ სიცივისაგან ცოტათი მოკუნტულიყო და ისე მიდიოდა. როცა რამდენსამე

დუქანს გასცილდა, მან დაინახა, რომ ტარიელ გამოსულა გარეთ და, ზურგით დუქნის ბოძზე მიყრდნობილი, ნელ-ნელა ივარცხნის წვერს. გაღეღილი ახალუხის და პერანგისგან ტარიელის ზორბა მკერდი ისე მოჩანდა იმ დროს, თითქოს მარმარილოს კედელიაო.

- ყმაწვილო, თქვენთან სიტყვა მაქვს, მომითმინეთ მანდ, თუ შეიძლება. - დაუძახა ტარიელმა სპირიდონს, როცა ეს უკანასკნელი დაუპირდაპირდა მას.

“ალბათ, ბოდიში უნდა მოიხადოსო”, - იფიქრა სპირიდონმა და მოუცადა ტარიელს, რომელიც ნელ-ნელა მიივარცხნიდა წვერს და უახლოვდებოდა მას.

- რას გვემართლებოდით, ყმაწვილო, წუხელ რომ გაგვლანძლეთ? - ჰკითხა ტარიელმა სპირიდონს, როცა მიეწია და ჯებირივით გაუჩერდა წინ.

იმ პასუხის შემდეგ, რომელიც მედუქნემ ტარიელისაგან მიუტანა, სპირიდონისთვის სრულიად მოულოდნელი იყო ტარიელის სიტყვები.

- ხომ მოგახსენეთ წერილით ამის პასუხი? მაშ ხელახლავ რაღა საჭირო იყო ამის განმეორება? რადგან გსურთ, გავიმეორებ: გეფიცებით, არ მახსოვდეს, რომ გამელანძლოთ! თუ რამ უნებლიეთ წამომცთა (გავიმეორებ, არ მახსოვს კი), ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე და გთხოვთ გვაპატიოთ. - უპასუხა სპირიდონმა.

- არ გახსოვს? კარებდაკეტილ სახლში ძალიან გულადად და მაგრად იძახოდით: თქვენ უსინდისო! ახლა აღარ გახსოვს? - დინჯად ჰკითხა ტარიელმა, რომელსაც, სიმთვრალის გამო თუ როგორღაც, ჩარჩენოდა ხსოვნაში, თითქო სპირიდონს დაეძახოს მისთვის, შენ უსინდისო და ეხლა ფიქრობდა, “ეშინია და იმიტომ უარობს სპირიდონი”.

- არ მახსოვს, მარა ბოდიშს კი მაინც ვიხდი. ახლა რაღა გნებავთ?!

- რა მნებავს? - გესლიანი ღიმილით ჰკითხა ტარიელმა, რომელსაც ამ დროს თვალები სხვანაირად აუთამაშდა. - არ გახსოვს? - გაიმეორა კიდევ და ისე სწრაფად ჰკრა ფერდში ფეხი სპირიდონს, რომ უკანასკნელს არც კი დაუნახავს, მხოლოდ იგრძნო, რომ რაღაც მძლავრი მოხვდა ფერდზე და ყირამალა ჩაეცა კვალში.

- აი, ეს მნებავს! - მიატანა ტარიელმა, რომელიც ჯერ კიდევ არ იძროდა ადგილიდან, რადგანაც სურდა - როცა სპირიდონ კვალიდან ამოვა, ერთს კიდევ მივვარდები, ვკრავ წიხლს და ჩავსცემ კვალში, რომ მისმა ლამაზმა ცოლმა ბარემ კარგად დაინახოს მისი ვაჟკაცობაო. წინდაწინვე დაწყობილი ჰქონდა ტარიელს, რომ ხელი არ ეხმარა სპირიდონის გალახვაზე:

- არა, ცალი ფეხის მეტს, არც ხელს ვიხმარ და არც იარაღს, ისე გავლახავ, ეს უფრო სასაცილო იქნება და უფრო მოეწონება მის ლამაზ ცოლსო.

სპირიდონ ადგა და ამოვიდა კვალიდან. თუმცაღა ამ მოულოდნელმა თავდასხმამ ის ძლიერ დააბნია, მაგრამ როცა ტარიელი იქვე დაინახა, მაინც მიხვდა - ალბათ, კიდევ უნდა დამეტაკოსო, ამიტომ სწრაფად მოივლო ხელი რევოლვერზე, რომელსაც ის მოგზაურობის დროს წაღის ყელში იღებდა, მაგრამ სამგზავრო წაღის ყელი მეტად მაღალი იყო და რევოლვერი ძალიან დაბლა ჩაწეულიყო შიგ, ალბათ, მაშინ, როცა კვალში ჩაეჯახა, - ასე რომ სპირიდონისათვის ადვილი არ იყო მისი ამოღება. როცა სპირიდონმა ჩექმის ყელში ხელი ჩაიყო, ტარიელი მიხვდა, რევოლვერს იღებსო, მაგრამ მისი დაუდრეკელი გული არ შეუშინდა იმ იარაღს: “რევოლვერს ეძებს მამაძაღლი!” - შეჰყვირა მან და, თითქოს ვეფხიაო, ისე

გადახტა სპირიდონისაკენ, ასე რომ სპირიდონმა ვერც კი მოასწრო ჩექმიდან ხელის ამოღება: ტარიელ დაახტა მას წელზე და დაანარცხა მიწაზე. თვალის დახამხამებამდე ისევ მივარდა, მოჰკიდა მხრებში ხელი და გაისროლა ბურთივით. მან შესცვალა თავისი გადაწყვეტილება - გალახვის დროს ხელს არ ვინმარო. ის ეხლა გაცხარებული მოქმედებდა თავისი ღონიერი ხელებით. ტარიელის ამფსონები გამოცვივდნენ დუქნიდან და უყურებდნენ სეირს, მხოლოდ, როცა ტარიელ მეტად გახურდა, ერთმა ყმაწვილმა დაიძახა: “მოკლავს ეს გიჟი ამ საწყალ კაცსო” - და მიაშურა ტარიელს, რომ დაეკავებია. ამ ყმაწვილს მიჰყვენ ორი-სამი კიდევ სხვა, მედუქნე, მედუქნის ბიჭი, ეცენ ტარიელს და აღარ უშვებდენ ხელიდან. ამათ სწორედ ისეთ დროს მიუსწრეს, როცა ის იყო, გაცხარებულმა ტარიელმა სტაცა მიწაზე დაცემულ სპირიდონს ცალ ფეხში და მეორე ფეხი თავის ფეხით მიწაზე დაუჭირა და უპირებდა გახლეჩას. იმისი რა

მოგახსენოთ, შესაძლებელია თუ არა ადამიანის ამგვარად შუაზე გახლეჩა, მაგრამ ტარიელს კი მოუვიდა ეს აზრი და ისიც ცხადია, რომ არ მოესწროთ, ორივე ფეხებს კი მაინც დაუმტვრევდა. მეტადრე ტარიელ იმან გააცეცხლა, რომ სპირიდონი ერთხელაც არ შეეხვეწა: - “ნუ მომკლავ, ბატონო”; წინააღმდეგ, რევოლვერით დახვედრაც კი დაუპირა.

ცოცხალ-მკვდარი სპირიდონი, მოსაშვალეების წყალობით, როგორც იყო, გათავისუფლდა ტარიელის ხელიდან. ის ერთიანად ტალახში იყო ამოსვრილი, ტანისამოსიც სულ შემოგლეჯილი ჰქონდა ტანზე. ეხლა თუმცაღა ამოიღო წალის ყელიდან რევოლვერი. მაგრამ რაღას უშველიდა! ტარიელი დაჭერილი ჰყავდათ მოსაშვალეებს. შურისძიება, კიდევ რომ სდომოდა სპირიდონს, შესაძლებელი არ იყო, რადგანაც ტარიელთან აღარავინ მიუშვებდა. ისე, შორიდან რომ ესროლა



რევოლვერი, ტარიელამდი მაინც ვერ მიატანდა ტყვია, ვინმე ალაღმართალ ადამიანს მოხვდებოდა. სპირიდონმა ხელახლავ ჩაიდო წადის ყელში რევოლვერი და წავიდა თავისთვის.

იმ დროს, როცა ტარიელმა დაუძახა სპირიდონს: “თქვენთან სიტყვა მაქვსო”, დესპინე ოთახის კარებთან იდგა და ამიტომ ყოველივე იმთავითვე დაინახა, რაც მოხდა სპირიდონსა და ტარიელს შორის. მას შიშის ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. როცა ტარიელ მის ქმართან მივიდა და ლაპარაკი დაუწყო, ინსტინქტით მიხვდა, რომ კარგს არას მოასწავებდა ეს ლაპარაკი. ვერ მოასწრო იმის მოაზრება, თუ რა უნდა ექნა, როგორ მიშველიებდა ქმარს, რომ ტარიელმა კიდევ ჩააჯახა სპირიდონი კვალში. ამ სცენის დანახვაზე კინალამ გული არ წაუვიდა დესპინეს. ის დარეტიანებული გამოვარდა გარეთ და გაიქცა სპირიდონისაკენ. თუ რით

მიშველებოდა ქმარს, რით შეებრძოლებოდა გამძვინვარებულ ტარიელს, იმისი მოფიქრების დრო სადღა იყო. მას მხოლოდ ელვასაებრ გაურბინა ფიქრში, რომ თავი შეაკლას თავისი ქმრის მოჩხუბარს. ის იყო დესპინემ მიუწია კიდეც იმ ადგილს, სადაც მის ქმარს თავს დაესხა ტარიელ, რომ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, ტარიელის ამფსონთაგანმა, სტაცა მას ხელი შემდეგი სიტყვებით: “სად მირბით? რა თქვენისთანა ანგელოზის საქმეა ჩხუბი!” დესპინემ დაიწყო ბრძოლა თავის განთავისუფლებისათვის, მაგრამ ამაოდ: ყმაწვილი კაცი ბევრად ღონიერი იყო ნაზ ქალზე. “აკი გეუბნებით, თქვენისთანა ანგელოზს არ შეფერის ჩხუბი-მეთქი”, - ეუბნებოდა ის დესპინეს და თან მაგრა უჭერდა მკლავებს, ვითომ და როგორც მოსაშვალე, მაგრამ ნამდვილად კი მოსაშვალის მოვალეობაზე უფრო ლამაზი დესპინეს ხელში დაჭერის სურვილი ამოქმედებდა ყმაწვილ კაცს. სხვაფრივ რომ ვერას გახდა, დესპინემ

ჩაავლო მას მკლავში კბილები და ისე მძლავრად მოუჭირა, რომ ყმაწვილი კაცი იძულებული იყო, ქალი ხელიდან გაეშვა. მაგრამ დესპინეს განთავისუფლებამდე მოსაშვალეებმა, ის იყო, კიდევ მოაშორეს ტარიელი სპირიდონს. რაღა უნდა ექნა! ცოცხლად მოკლული ამ შემთხვევით, ის გაჰყვა თავის ქმარს უკან ისე, თითქოს მკვდარი მეორე მკვდარს ასდევნებიაო.

ხალხი დიდხანს ჟიჟინებდა ამ შემთხვევის გამო. ვინ სპირიდონს დებდა ბრალს: “წუხელ თურმე სულ რუსულა აგინა ტარიელს და აბა ტარიელ როგორ შეარჩენდა გინებასო” ვინ იმას ამბობდა - “ტარიელ იმან გააცეცხლა, რომ თურმე დუელში გამოიწვია სპირიდონმაო”. ზოგი კიდევ უფრო შორს წასულიყო ჭორებში: “თურმე იმ უჩიტლის ცოლს შეპირებული ჰყოლია ტარიელ, რომ დაღამდეს, მოდიო. ტარიელ, რასაკვირველია, მოსულა. ეს გაუგია ქალის ქმარს და სულ

იმაზე მომხდარა ეს ანბავიო”. ვინ მოსთვლის, კიდეც რაები არ მოჭორეს. ბევრს კიდეც ის მოსწონდა, რომ ტარიელმა, როცა გალახა სპირიდონი, დაუძახა: “ქართული დუელი ეს არის. მე ასე ვიცი დუელიო”. მხოლოდ ორ-სამგან ჭმუხნავენ წარბებს ტარიელის საქციელზე და ამბობდენ: - ეს ვაჟკაცობა კი არა, მხეცობა არისო.

ამასობაში მოაწია მატარებელმაც. სპირიდონ ცხადათ ხედავდა, რომ მოეცადა და დაკმაყოფილება მოეთხოვა ტარიელისაგან უმართლოდ შეურაცხყოფის მიყენებისთვის, უფრო სასაცილოდ გაიხდიდა თავს, მეტს კი ვერას გახდებოდა. ის და მისი მეუღლე შევიდენ ვაგონში, რომ, რაც შეიძლება, ადრე მოშორებოდენ მათთვის უსიამოვნო ადგილს. როცა მატარებელი დაიძრა, ტარიელმა მიაძახა სპირიდონს: “ყმაწვილო, ყმაწვილო! დუელი დაგავიწყდა!” სპირიდონმა გარკვევით გაიგონა

ეს სიტყვები, რომლებშიაც მწარე დაცინვა იყო გამოხატული, მაგრამ მხოლოდ ერთი ზანტათ გადმოხედა ტარიელს, - ხმა არ გაუცია.

წავიდა თუ არა მატარებელი, ტარიელი და მისი ამფსონები შევიდნენ დუქანში და შეუდგნენ ქეიფს. ტარიელ ისე მზიარულად სვამდა და ქეიფობდა, თითქო იმ დღეს ჭიანჭველაზედაც კი არ დაედგას ფეხიო. მართალია, წინაღამეს ვერ აისრულა ტარიელმა თავისი წადილი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ დესპინე გაეტაცებია დილამდე, მაგრამ წადილის აუსრულებლობის გამო ნატკენი გული სპირიდონის გალახვით მოიფხანა და მით გაათავა იმაზე დარდი.

## VII

იმ სადგურიდან მოწყებული, სადაც ისეთი თავზარდამცემი უსიამოვნება შეხვდათ, სპირიდონმა და

მისმა მეუღლემ ისე გაიარეს მატარებლით რამდენიმე სადგური, რომ კრინტი არ დაუძრავთ. ეგდენ ვაგონში სკამებზე მდუმარედ, ნაღვლიან ფიქრებში გართულნი. უკანასკნელ, როცა მატარებელი მიადგა ერთ დიდ სადგურს, სადაც დიდხანს ჩერდებოდა და პასაჟირებს შეეძლოთ აუჩქარებლივ ეჭამათ საჭმელი სადგურის ბუფეტში, სპირიდონმა აიღო თავი და უთხრა თავის მეუღლეს:

- არ მოგშივდა? ვჭამოთ რამე. აქ კაი ბუფეტია.

- არ მინდა. - უპასუხა დაღონებულად დესპინემ.

- თუ საჭმელი არ გინდა, ჩაი დავლიოთ ან ყავა, თორემ, ხომ იცი, კარგა მოზრდილი გზა გვაქვს ჩვენ სახლამდე გასავლელი.

- რა ვქნა, რომ არ მინდა! შენ? შენ გშია?

- მაინცადამაინც არც მე მშია, მაგრამ, შენ რომ წამოსულიყავი, მაშინ კი ცოტა რამეს მეც ვჭამდი, - უპასუხა სპირიდონმა, რომელსაც სრულიადაც არ ჰქონდა საჭმლის მადა, მაგრამ უნდოდა, როგორმე დესპინე გამოეყვანა ნაღვლიანი მწარე ფიქრებისაგან და მისთვის მოიგონა ბუფეტში საჭმლის ჭამა.

- მხეცმა ადამიანმა ჩხუბი აგვიტეხა, უსიამოვნება მოგვაყენა, მაგრამ, როგორც იყო, გადავრჩით. ახლა განა იმის ჯავრით თავი უნდა დავიჩაგროთ, გული უნდა გავიტეხოთ?

- თუკი არ გაგვიტეხს გულს ამგვარი შემთხვევა, ძალად რატომ უნდა გავიტეხოთ? მაგრამ, თუ გაგვიტეხა, რას იზამ, შენსავე გულს ხომ ვერსად გაექცევი? - ნაღვლიანად, მაგრამ ტკბილად უპასუხა დესპინემ ქმარს.

სპირიდონი გაჩუმდა. “როგორ შეგიძლია, სხვა

გამხიარულო, როცა თვითონ შენ ვარამი გიტრიალებს გულში? როგორ შეგიძლია სხვა დაითანხმო იმ თეორიაზე, რომლის წინააღმდეგ შენივე გრძნობა გებრძვის”. - ეუბნებოდა ის თავის თავს.

როცა შინ მივიდენ - თუმცაღა სპირიდონს და დესპინეს არ გაუმხელიათ, რაც შეემთხვათ, მაგრამ სპირიდონის დედამ იმათ სახეზე ცხადად წაიკითხა, რაღაც დიდი მძიმე ამბავი გადახედიათ თავსაო.

- შვილო, კტრის სახე გაქვთ ორივეს. ავი ხომ არაფელი მომხდარა ჩვენ თავზე? - ჰკითხა დედამ სპირიდონს.

- არაფელი, დედა, გზაში დავიღალეთ და იმიტომ. - უპასუხა სპირიდონმა.

“იქნება ცოლ-ქმარ შორის არის რაიმე უკმაყოფილებაო”, - იფიქრა სპირიდონის დედამ და მიაპყრო ყურადღება -



იქნება რამ შევნიშნოო. მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ მის შვილს და რძალს ისევ უყვართ ერთმანეთი, როგორც უყვარდათ, თითქმის ახლა კიდევ მეტი სიყვარული ჩანდა ერთმანეთისადმი მათ საქციელში და ლაპარაკში, სპირიდონის დედისათვის სამუდამო საიდუმლოთ დარჩა, თუ რა ნაღველი აწვათ ამ დროს მის შვილს და რძალს.

იმ საღამოს სპირიდონს ძლიერ მძლავრად გააცინვა. შემდეგ სიციხე მისცა და მთელი ღამის განმავლობაში შფოთავდა. არც სპირიდონის დედას და არც დესპინეს იმ ღამეს არ დაუძინიათ. საწყალი დედა შიშით გულგახეთქილი დასტრიალებდა შვილს თავზე და ჩიფჩიფებდა რაღაც ლოცვას. დესპინე კი, წინაღამით უძინარი, მოქანცული იჯდა სასთუმალთან და ქმარს ხშირ-ხშირად ჰკითხავდა: “რა ქენი, სპირიდონ? აბა, შემომხედე შენს დესპინეს!” - მაგრამ სპირიდონს ახლა

ეგენი აღარ ეყურებოდა: სიცხისაგან აღმურმოდებული ბოდავდა თავისთვის მას, რაც წინაღამით და იმ ღამეს გადახედოდა და კიდევ ათას სხვას. განთიადისას დესპინემ სთხოვა ერთ მეზობელს და მოაყვანია ფერშალი. ფერშალმა რაღაც სიცხის წამლები მისცა სპირიდონს. ვინ იცის, ამ წამლებმა უშველეს, თუ თავისთავად მოიკეთა, შუადღის შემდეგ სპირიდონმა გამოახილა თვალები, მიაქცია ყურადღება, რომ დესპინე ორი ღამის უძინარი იყო და ურჩია, მოისვენეო.

- შენც, დედა, - უთხრა სპირიდონმა დედას, - გაწყენს ღამის თევა, რაზე დაიხოცეთ თავი ღამის თევით! - სპირიდონის მოკეთებამ ისე გაამხიარულა მისი დედა და ცოლი, რომ გეგონებოდათ, თავის დღეში ამათ უსიმოვნება არა შეხვედრიათ რაო.

დაღამდა. რადგანაც სპირიდონს მოკეთებულობა ეტყობოდა, სპირიდონის დედა და დესპინე ადრე დაწვეს

დასაძინებლად და ადრეც ჩაეძინათ.

სპირიდონმა ლამპა გააქრო და ცოტა მიიძინა. როცა გამოიღვიძა, იგრძნო, რომ ერთიანად ოფლით იყო დასველებული. ის ახლა იწვა თვალებგაშტერებული და ყურები საშინლად უწიოდა. სახლში სიბნელე და მყუდროება დამყარებულიყო. “ახლა რომ ავადმყოფობამ დამაგდოს, რალაი მაშინ!..” - სუსტად და გაურკვევლად გაურბინა სპირიდონს ფიქრებში. “რა შესაბრალო მდგომარეობაში...” გამოირკვა კიდეც ავადმყოფ სპირიდონის დასუსტებულ ფიქრებში და რალაც კიდეც უნდა მოჰყოლოდა ამ აზრს, რომ იქ, სადაც დესპინეს ეძინა, გაისმა საშინელი ცივი ხმით კივილი. სპირიდონს დაავიწყდა ავადმყოფობა და ფიქრიც. ის წამოვარდა ზეზე და მიაშურა დესპინეს ლოგინს. მას შერჩა პირში მხოლოდ ეს სიტყვები: “რა დაგემართა?.. რა დაგვმართა?..” გამოვარდა მეორე ოთახიდან სპირიდონის დედაც,

რომელმაც მოუკიდა სპიჩკას და შემდეგ აანთო სანთელი.  
დესპინე ფერწასული იჯდა ლოგინზე და მთელი  
სხეულით ცახცახებდა.

- რა იყო, რა დაგემართა? - ერთხმად ჰკითხეს  
დედამთილმა და ქმარმა.

- უზარმაზარი შავი დათვი მეცა და გადამითრია ბნელ  
სოროში! - ძლივს წარმოთქვა ხმის კანკალით დესპინემ.

- რა ვუყოთ მერე, სიზმარია. სიზმრის, აბა, როგორ უნდა  
შეგეშინოს ასე? - ტკბილად უთხრა სპირიდონმა, მოუჯდა  
გვერდით და მიიწვინა გულზე.

ალიონს ცოტა უკლდა, რომ ძლივს დამშვიდდა დესპინე.  
სპირიდონ და მისი დედა ხელახლავ დაწვეს. ლამპა კი  
დესპინემ არ გააქრობია.

მეორე დღეს სპირიდონის ავადმყოფობამ ხელახლავ იბრუნა პირი. მიზეზი ის იყო, რომ წინ ღამით, დესპინეს კივილზე სპირიდონი გაოფლიანებული პერანგისამარა ადგა და ამის გამო გაცივდა. ეს გაციება სპირიდონს ბოლოს სნეულებად გადაექცა და მთელი ორი თვე დააწვინა ლოგინში. ორი თვის შემდეგ, როგორც იყო, მოიკეთა, მაგრამ ხედავდა კი, რომ მისი ჯანზე მოსვლა საეჭვოდ იყო.

მაგრამ თავის დასნეულებაზე ისე არ სწუხდა სპირიდონ, როგორც თავისი მეუღლის საშინელ მდგომარეობაზე: დესპინეს ყოველ ღამით ესიზმრებოდა უზარმაზარი შავი დათვი, რომელიც მიათრევდა მას ბნელ სოროში. საბრალო ქალი ამ სიზმრის შიშით ღამპას ვეცარ აქრობდა, შუალამემდე თვალგამტერებული იწვა, შემდეგ მოჰპარავდა ძილი თვალებს, ამოუშვებდა ნელ სუნთქვას, როგორც შეფერის ტკბილად მძინარეს, მაგრამ არ

გაივლიდა ერთი საათი, რომ იკივლებდა და წამოვარდებოდა ლოგინიდან ფერდაკარგული, შაშით აცანცანებული. ბოლოს და ბოლოს ციებაც დაუწყო დესპინეს ღამღამობით. დაწოლის დროს იგრძნობდა ციებას, შემდეგ მისცემდა სიცხეს, როცა სიცხე დაუნელდებოდა და დაეძინებოდა, ნახავდა თავის დათვს. უკანასკნელ ისე შეიპყრო დესპინე სულით ავადმყოფობამ, რომ ღლით სიფხიზლის დროსაც კი ხან ღორი, ხან ძაღლი ან სხვა ცხოველიც კი დათვად ეჩვენებოდა. “ვაი!” - დაიკივლებდა და მივარდებოდა სპირიდონთან. ამ ავადმყოფობამ დესპინე საშინლად ჩამოაჭკნო, ასე რომ ძლივს იცნობდით. უკანასკნელ ზველაც დაუწყო დესპინეს.

სპირიდონს მოჰყავდა დესპინესთან ხან ერთი ეჭიმი, ხან მეორე, მაგრამ ყველა ამას ამბობდა: “შეშინებულია და მისგან ასტეხია სულით ავადმყოფობა. ძნელად, რომ

მორჩესო”. სპირიდონი არ შეუშინდა ვალებს და საზაფხულოდ აბასთუმანს წაიყვანა დესპინე. მაგრამ უკეთესობა არა დაეტყო რა, გარდა იმისა, რომ ახლა სიზმარში დათვის ნახვაზე აღარ კიოდა, არამედ ისე შეშინებული გამოიღვიძებდა და დიდხანს უცახცახებდა სხეული. სამაგიეროდ ფხიზლობის დროს გაუხშირდა მოჩვენება; ხშირად თავისი ან მისი ქმრის ტანისამოსი რომ დებულისყო ოთახში, ისიც კი დათვად მოეჩვენებოდა. სპირიდონს ერთ წამზედაც ველარ იშორებდა თვალიდან, რის გამო სპირიდონი იძულებული შეიქნა მიეტოვებია მასწავლებლობა. თითონაც ერთობ ჯანმოშლილი სპირიდონ ახლა უჯდა თავის მეუღლეს გვერდით, ანუგეშებდა, ამხნევებდა, უამბობდა სხვადასხვა ამბებს, დესპინეც ცდილობდა გართობილიყო, გადაეყარა გულიდან შავი ნაღველი, მაგრამ ამაოდ. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ემატებოდა მას სულის მღელვარება, მით უფრო ჭკნებოდა და თაფლის

სანთელივით დნებოდა მისი სილამაზე და სხეული.

ასე გაატარა დესპინემ ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. გაზაფხულზე ხველა გაუძლიერდა, ჩირქიანი სისხლის ლებინებაც დაუწყო პირიდან. მარტის უკანასკნელ რიცხვს ჩაწვა ლოგინში და მას შემდეგ აღარც ამდგარა, ისე დალია სული მაისის ერთ დღეს.

დესპინეს სიკვდილის შემდეგ სწრაფად ირღვეოდა იმისი მეუღლის უსიხარულო სიცოცხლაც. კვირაში თითქმის ხუთი დღე ავადმყოფობის გამო ლოგინზე ეგდო სპირიდონ. მისი ჯანის პატრონი, რა თქმა უნდა, მასწავლებლობას ველარ მიუბრუნდებოდა, თორემ, ვინ იცის, იქნება იმაზე მაინც გადაეყოლებია ჯავრიანი გული, მით უმეტეს, რომ ეს ხელობა (მასწავლებლობა) ძლიერ უყვარდა. ახლა ხშირად ებადებოდა სპირიდონს ამგვარი კითხვები: “რალასთვის ვარ ცოცხალი? ჩემთვის სიცოცხლე დიდი ხანია მოწამლოვია. სხვისთვის აღარაფერი



გამოსადეგი ვარ, არავითარი საქმის გაკეთება, ავადმყოფობის გამო, აღარ შემიძლია! მაშ რაღას ვუცთი ამ ქვეყნად?!” რამდენჯერ მოინდომა თავის მოკვლა, მაგრამ “არა, ბარემ შევსვა, სულ შევსვა ის მწარე ნაღველი, რომელიც ხვედრათ მხვდა! ბარემ სოფელმა მომწამლოს თავისი საწამლავით!” - იტყოდა თავის გულში სპირიდონი და გულზე მიდებულ რევოლვერს ძირს ჩამოიღებდა.

მართლაც რომ სისტემატიურად სწამლავდა სოფელი სპირიდონის სიცოცხლეს: ერთი რომ ხალხიც აბრალებდა სპირიდონს, - დესპინე მისმა სიჯაბანემ მოკლა უდროოდო. რა მისი ღირსი იყო, რომ გააბრიყვა ანგელოზივით ქალი, შეაყვარებია თავი და შეირთო! არ იცოდა, რომ მის პატრონობას ვერ შეიძლებდა! ეკითხოს მისი ცოდვაო. აბრალებდენ, რომ რიგიანად თავის დაჭერა არ იცოდა, არავის ერიდებოდა. ტარიელს ყბედობა

დაუწყო, დუელში გამოითხოვა, გააღაზვია თავი და მისმა  
ყბედობამ საწყალი დესპინე იმსხვერპლაო. “რა ბრძანებაა,  
ბატონო! შეგნებულს და რიგიან კაცს თავის დღეში არ  
მოუვა, ის რაც მას ტარიელმა დამართა, რიგიანი კაცი  
ყოველთვის მოახერხებს, იმისთანებისაგან თავი შორს  
დაიჭიროსო”. ამბავი იმ შეურაცხყოფისა, რომელიც  
ტარიელმა მიაყენა სპირიდონს, ასე გადააკეთეს: “თურმე  
ტარიელ და მისი ძმაბიჭები დასეირნობდენ თავისთვის  
დუქნების წინ და თან მღეროდენ. სპირიდონმა დაუძახა:  
“რა ამბავია, რომ არ დამაძინეთო” და დაუწყო საშინლათ  
ლანძღვა. ერთხანს მოუთმინა ტარიელმა, მაგრამ აღარ  
დადუმდა სპირიდონ ლანძღვისაგან, ტარიელი მივიდა  
პასუხის გასაცემად, სპირიდონმა ჩაიკეტა კარები და ისე  
დაუწყო მუქარა. როცა ტარიელი წაიყვანეს  
მოსაშვალეებმა, სპირიდონმა მიაძახა თურმე: “ამელამ  
კარგი, იყოს და ხვალ გაყურებიებ შენ სეირსო”. გათენდა  
თუ არა, გაუგზავნა თურმე ტარიელს წერილი - დუელში

გამომყევით. ტარიელმა უარი თქვა: “რა მედუელება! თუ ჩხუბი უნდა, გამოვიდეს და ვეჩხუბებო”, სპირიდომა რომ შეიტყო, ტარიელი დუელში არ გამოდისო, იფიქრა ვერ ყოფილა ვაჟკაციო და კიდევ რაღაც უბედური სიტყვები გააგონა. აქ კი ტარიელმა ველარ მოთმინა და მოეპყრო სპირიდონს ისე, რავარც ეკადრებოდაო”.

ეს მოგონილი ამბები მიდიოდა სპირიდონის ყურამდე და შხამს ასხამდა მის დაბნელებულ გულში.

დესპინეს მშობლებიც ხომ წყევა-კრულვით იხსენიებდენ სპირიდონს: “თავისი უსჯულო ქადაგებით გადაგვირია შვილი, მოგვტაცა და მოგვიკლაო”.

გავიდა რამდენიმე წელი. სპირიდონ სულ მთლად დაჯაბნა სევდამ და ავადმყოფობამ: საცოდავი, წელში მოხრილი, თვალეჩაცვინული, ძვალ-ტყავად ქცეული, ის სამ თვეში ერთხელ ძლივს აუდგებოდა ავადმყოფობას,

ერთ-ორ კვირას, როგორც იყო, დადიოდა ფეხზე და შემდეგ ისევ ჩააწვენდა საბრალოს ავადმყოფობა ლოგინში. მარჯვენა მხარი, რომლითაც ის ტარიელმა მიწაზე დასცა, ბოლოს სულ გაუფუჭდა, ასე რომ ახლა მარჯვენა ხელის ხმარება აღარ შეეძლო. ეგდო მამისაგან დატოვებულ სახლში მარტოდმარტო და მოელოდებოდა - აი, აი, მოვა სიკვდილი და მომისპობს ამ უსიხარულო სიცოცხლესო. სპირიდონის დედამ ველარ აიტანა ოჯახის ვარამი, შვილის გაუბედურება ღა რძლის შემდეგ ისიც გარდაიცვალა. ხანდახან, როცა უსაზღვროდ მოაძულებდა მარტო გდება თავს, თუ სიარული შეეძლო, სპირიდონ ერთი-ორი კვირის ვადით წავიდოდა რომელსამე ძველ ნაცნობთან, სადმე ქალაქში ან სოფელში, ვითომდა მგზავრობას ცოტა მაინც გადავწყობებ ჯავრიან გულსაო. მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუება იყო. მის გულს ახლა ველარაფერი გაართობდა.

## VIII

ერთ დღეს სპირიდონ თბლისში მიდიოდა. როცა მატარებელი იმ სადგურთან გაჩერდა, სადაც სპირიდონს ტარიელმა შეურაცხყოფა მიაყენა, სპირიდონმა პირი მოიბრუნა და ისე დაჯდა ვაგონში, რომ ველარ შეეხედა იქაურობისთვის, რადგანაც იმ მიდამოს დანახვა მწარე ნაღველს აუშლიდა. მაგრამ მას თვალი მოჰკრა ერთმა ნაცნობმა და საშველი აღარ მისცა - გამოდი, ბუფეტში ლიმონადი დავლიოთო. სხვაფრივ რომ ვერ მოიშორა სპირიდონმა ეს ახირებული ნაცნობი, იფიქრა: რა ვუყო, გავალ, ლიმონადს დავლევ და ხელახლავ ჩქარა შემოვალ ვაგონშიო. მაგრამ ნაცნობი გაუმასპინძლდა თუ არა სპირიდონს ლიმონადით, გამოსდო მკლავში ხელი და დაიწყო სეირნობა. სპირიდონ თითქმის უნებლიედ დადიოდა მასთან. თუმცა მაისის საღამო იყო, მაგრამ ცოტაოდნავ მაინც გრილოდა. სპირიდონის ფილტვებმა

იგრძნეს ეს სიგრილე და აუტყდა საშინელი ხველა.

- არ გიკვირს, ეს სიკვდილი რომ ამდენი ხანია მარჩობს და აქამომდე ვერ მორჩა ამ საქმეს? - უთხრა სპირიდონმა ნაცნობს.

ნაცნობმა, როგორც საზოგადოდ ჩვეულებად აქვს ბევრს, დაანუგეშა სპირიდონი: “არაფელია, გაივლის, მორჩებიო”, თუმცაღა კი დარწმუნებული იყო, როგორც მიცვალებული ვერ ადგება სამარიდან, არც სპირიდონი მორჩებაო.

ამასობაში სპირიდონმა და მისმა ნაცნობმა მიაწიეს პლატფორმის თავს და დაბრუნდენ უკან. ამ დროს პლატფორმის მეორე თავიდან წამოვიდა ამათკენ ერთი ლამაზად იარაღში ჩამჯდარი, ახოვანი ვაჟკაცი, რომელსაც ერთ მხარეს ვიღაც ლამაზი ყმაწვილი ქალი მოჰყვებოდა და მეორე მხარეს - ვიღაც ყმაწვილი კაცი.

- ვინ არის ის? - ჰკითხა სპირიდონმა თავის ნაცნობს.

- ვერ იცან? ტარიელ მკლავაძეა! - უპასუხა ნაცნობმა.

ამ სახელის გაგონებაზე სპირიდონს საშინელმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში, რაღაც ისეთი ალმური დაუტრიალდა გულში, თითქოს ცოფდებაო. დესპინეს სიკვდილის შემდეგ მართლა ბევრჯერ მოსვლია სპირიდონს ცეცხლი გულზე და უთქვამს: “წავალ, მოვნახავ და მოვსთხოვ პასუხს ჩემს დამღუპველსო”. მაგრამ ბოლოს მაინც იმორჩილებდა სპირიდონის გონება შურის საძიებლად აზვირთებულ გრძნობას. მაგრამ ახლა მას თვალწინ ედგა ის ადამიანი, რომელსაც ის აბრალებდა - მე და ჩემ მეუღლეს უდროოდ მოგვისპო სიცოცხლეო. ახლა გრძნობა აღარ ემორჩილებოდა გონებას; სპირიდონმა ახლა უნებლიედ გახედა იმ ადგილს, სადაც მას იმ რამდენისამე წლის წინათ ისე მხეცურად დაეტაკა ტარიელ. დაინახა ის ბოძიც რომელზედაც ტარიელ იყო იმ

დროს მიყრდნობილი და ივარცხნიდა წვერს; აი, ის კვალიც, სადაც ტარიელმა ისე ჩააჯახა. ისე წარმოუდგა თვალწინ მაშინდელი შემთხვევა, თითქოს რამდენისამე წლის წინათ კი არა, აი, ახლა, ამ წამში შეემთხვაო. მოაგონდა ისიც, თუ როგორ აღტაცებით ისმენდა დესპინე იმ ამბავს, რომელიც მან უამბო იმ ღამეს, იმ მათთვის უბედურ ღამეს, როცა ისინი დუქანში ღამის გასათევად დარჩენ. ამას მოჰყვა სხვა მოგონებანიც. ელვასაებრ გაურბინა სპირიდონს ხსოვნაში ყოველივემ, რაც კი მის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მომხდარიყო, - თავისი ბავშვობა, ის დრო, როცა ქალაქის სკოლაში იყო და ფიჩხის სინათლეზე სწავლობდა გაკვეთილებს, საოსტატო სემინარია, სადაც ის ისე მუყაითად მეცადინეობდა, რომ რაც შეიძლება კარგად აღჭურვილი გამოსულიყო სამოსწავლო ასპარეზზე და, სოფლის მასწავლებლის პირობაზე, ღირსეული სამსახური გაეწია ქვეყნისათვის; მერე სოფლის მასწავლებლობა, იქაური ცხოვრება,



იატაკზე რომ წვებოდა დასაძინებლად. დესპინეს გაცნობა, პირველად რომ გაკვეთილი წააკითხა, მისი სიყვარული, იმედებით სავსე ცხოვრება დესპინეს შერთვის შემდეგ; აი, აი, თითქოს ახლაც თვალწინ უდგას დესპინეს დიდრონი, სიყვარულით სავსე თვალები, თითქოს აი, ახლაც ესმის დესპინეს ლაპარაკი.

“ჩვენი ძალ-ღონე ქვეყნის სამსახურს შევწიროთ, ეს არის ადამიანისთვის ნეტარებაო. ახლა? ახლა ყველაფერი გათავებულია, ყველა მოგვისპო ამ ადამიანმა!.. თითონ კი ცხოვრობს განცხრომით! საზოგადოებაც შეტრფის და ტაშს უკრავს!” - აქ კი გული ყელზე მოადგა სპირიდონს და თითქოს უნებლიეთ მოუჭირა ხელი რევოლვერს, რომელსაც უკანასკნელ დროს ჯიბით ატარებდა. ეს რევოლვერი სპირიდონმა იმ დროს იყიდა, როცა საოსტატო სემინარიაში სწავლა დაასრულა და სოფელში უნდა წასულიყო. იყიდა სრულიად შემთხვევით, ან,

უკეთ რომ ვთქვათ, ამხანაგების მიბაძვით. ეს იყო პატარა, ჯიბის რევოლვერი, სმიტის სისტემისა. თავდაპირველად სპირიდონ იშვიათად ატარებდა ამ რევოლვერს თან, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეაყვარა ის და შემდეგ ის აღარ მოუშორებია. აი, რა შემთხვევა იყო ისა: “ზაფხულის ერთ დღეს სპირიდონ შინიდან ერთი ამხანაგისას მიდიოდა. წასვლის დროს რევოლვერიც ჩაიღო ჯიბეში, რადგანაც მისი ამხანაგი და ის ხშირად ერთობოდნენ ნიშანში რევოლვერის სროლით. როცა ერთი ნაწილი გზა გაიარა, სპირიდონს შემოესმა ყვირილი: “ცოფიანი, ცოფიანო!” სპირიდონმა გაიხედა და დაინახა, რომ გზაზე მორბის ერთი დიდი ქოფაკი ძაღლი. ძაღლი ჯერ შორს იყო, სპირიდონს შეეძლო იქვე გზის პირში ხეს ამოფარებოდა და თავისუფლად ესროლა ცოფიანი ძაღლისთვის რევოლვერი. მაგრამ სპირიდონის წინ რამდენიმე ნაბიჯზე, გზის პირას თამაშობდნენ ბავშვები, რომლებშიაც ვერა ერთი წლინახევრის თუ ორი წლის ბავშვი. როცა

ბავშვებმა გაიგონეს ყვირილი და დაინახეს, ძალი მორბისო, მიატოვეს პაწია ამხანაგი და გაიქცენ დასამალავათ. პაწია ბალანამ, ჯერ ამხანაგების გაქცევის გამო და მერე ძალის დანახვით შეშინებულმა, იწივლა და დააპირა გაქცევა, მაგრამ გაქცევის მაგივრად გადაებორძიკა იქვე რალაცას და წაიქცა მიწაზე. სპირიდონმა რომ ეს დაინახა, გაიქცა ბავშვისკენ რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ის იყო, ერთი წამით მიასწრო სპირიდონმა და მოვარდა მეორე მხრიდან პირდაღებული ქოფაკი. სპირიდონმა ესროლა რევოლვერი ძალსა და მოარტყა მკერდში. ძალი ერთი წაიქცა, მაგრამ ისევ სწრაფად წამოვარდა და გაეჩანა სპირიდონისკენ. სპირიდონმა მიაგება მეორე ტყვია, მიაყოლა მესამეც და მოუღო ბოლო. აი, იმ დღიდან დაწყებული, შეუყვარდა სპირიდონს თავისი რევოლვერი და აღარ იშორებდა: მართალია, ტარიელმა რომ ჩხუბი უქნა, მაშინ არ გამოადგა სპირიდონს თავისი რევოლვერი, ამიტომ იმ

დროებით ერთ-ორ თვეს მიატოვა რევოლვერის ტარება, მაგრამ შემდეგ ხელახლავ მოუბრუნდა გული - ეგდოს ჯიბეში მაინცო.

სპირიდონ და მისი ნაცნობი დაუპირდაპირდენ ტარიელს. ტარიელი კიდევ უფრო გამშვენიერებულიყო, თითქოს მზე ამოდის ზედაო, ისე ანათებდა მისი პირისახე. მისი ზორბა ბეჭები და მკერდი ლაზათიანად მოჩანდა მიხაკისფერ, ჩერქეზულ თივთიკის ჩოხაში.

- ...იმ ოჯახს მე პატივს ვცემ და არც მინდოდა, დაგარწმუნებთ, იმ ოჯახში იმ საქმის ჩადენა, - განაგრძობდა ტარიელი რაღაც ამბავს, - მაგრამ მოთმინებიდან გამოვედი და მერე კი ვკარი ფეხი, მგონია სამ საუენზე კი გავისროლე!...

- ახ, რა შეუბრალებელი ხართ! - შეჰკვივლა ნაზად ამ დროს ტარიელთან მოსეირნე ყმაწვილმა ქალმა. ტარიელმა

დინჯათ გაიცინა და აღტაცებით შეხედა თვალებში ლამაზ ყმაწვილ ქალს, რომელიც თავის მზრით სეირნობის დროს ისე უმზერდა ტარიელს, თითქო თვალებში უნდა ჩაიძვრინოს ამოდენა კაციო.

სპირიდონმა გარკვევით გაიგონა ტარიელის სიტყვები და ისევ რაღაც საშინელი აღმური მოედო მთელ სხეულში. “კიდევ ვილაცის დაჩაგვრა და გაქელვა! თითქოს იმისთვის არის დაბადებული, რომ ყველა გაქელოს და შეურაცხყოს! თავი მოსწონს კიდევ ამით!” - გაურბინა ელვასაებრ სპირიდონს ფიქრებში და შემდეგ მტკიცე გადაწყვეტით დაუმატა: “მოვთხოვ პასუხს! ორი ადამიანის სიცოცხლე ღირს იმათ, რომ მათ დამღუპველს პასუხი მოეთხოვოს! ორის და იქნება მეტისაც!”.

ამ დროს, ის იყო, ტარიელმა კიდევ ჩაუარა გვერდით სპირიდონს.

- ტარიელ მკლავაძევ, თქვენთან სიტყვა მაქვს. - დაუძახა სპირიდონმა და წავიდა ტარიელისკენ ისე სწრაფად, რომ მისმა ნაცნობმა, რომელიც ამ დროს მასთან სეირნობდა, ვერც კი მოასწრო რამე ეთქვა მისთვის.

ტარიელ დინჯად მობრუნდა უკან, გაკვირვებულმა შეხედა სპირიდონს და ჰკითხა:

- რა გნებავთ?

- ვერ მიცანიით? - ჰკითხა სპირიდონმა თავის მხრით და ჩააჩერდა თვალებში.

- ვერა. - უპასუხა ტარიელმა, რომელსაც ღიმილი გამოეხატა სახეზე, როცა სპირიდონის მოკუნტულ ტანს აავლ-ჩაავლო თვალი, თითქოს ეს კაცი უნახავსო, მაგრამ ვერ მოიგონა სად და როდის.

- მე სპირიდონ მცირიშვილი ვარ. არ გახსოვთ, ისე უდანაშაულოთ რომ დაგვესხით თავს? აბა, კარგა გაიხსენეთ! აი, ის ადგილი, სადაც თქვენ დაგვიხვდით. - სპირიდონმა გაიშვირა ხელი იქით, სადაც ის გალახა ტარიელმა.

ტარიელს, აბა, ყველა როგორ დაამახსოვრდებოდა, ვინ სად გაუღახავს! მაგრამ სპირიდონის გალახვა რაღაც ისეთი ტიპიური იყო, რომ ახლა, სპირიდონის სიტყვების შემდეგ, ადვილად გაიხსენა და იცნო კიდევ სპირიდონი.

- მერე, რა გინდა ახლა? - მედიდურად და თითქმის დაცინვით ჰკითხა მან სპირიდონს.

- მინდა, პასუხი მომცეთ, რას გვემართლებოდით, რომ ორს უდანაშაულო ადამიანს სიცოცხლე მოგვისპეთ?

- წადი, დაიკარგე აქედან! ხედავ, თურმე რისთვის

მეძახოდა ეს ბაღლინჯო! - შესძახა ტარიელმა და დააპირა წასვლა.

- ვერ წაბრძანდებით, სანამ არ დამაკმაყოფილებთ ჩემს კითხვებში! - რაღაც საშინელი მტკიცე ხმით უთხრა სპირიდონმა.

- ვინ, მე, მე ვერ წავბრძანდები? - თან წყრომით და თან გაკვირვებით ჰკითხა ტარიელმა.

- დიახ, თქვენ! სანამ არ დამაკმაყოფილებთ ჩემს კითხვებში. ერთ ბიჯსაც ვერ გადასდგამთ!

- მაშ დავვიწყებია ჩემი ხელი! - უთხრა ტარიელმა რაღაც დამცინავი წყრომით და გაექანა სპირიდონისკენ, რომ დახტომოდა და კარგა მანძილზე გაესროლა, ვითარცა ნაფოტი.



მაგრამ, სანამ ტარიელ თავის მძლავრ ხელებში მოიგდებდა სპირიდონს, უკანასკნელმა დასცა მას გულში რევოლვერი. ტარიელ ერთი შეტორტმანდა, გადაიბორძიკა ერთ მხარეს და დაეცა მიწაზე.

- ვისი ხელით ვკვ...დე...ე...ბ...ი! - რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ სიტყვის დასრულების მაგივრად მძლავრად გაუსვა ცალი ფეხი მიწაზე და განუტევა სული.

თვალის დახამხამებამდე იმ ადგილის გარშემო, სადაც ტარიელი ეგდო, გაიჭედა ხალხით. ვიღაცამ გაუხსნა მოკლოუს გულზე ჩოხა და ახალუხი. განიერ მკერდზე ძუძუს სიახლოვეს, გვამს ჰქონდა პატარა ჭრილობა, რომლიდანაც მოთქერავდა მოშაო სისხლი.

- რა პატარა ტყვიას მოუკლავს ეს ლომივით კაცი! - თქვა ვიღაცამ.

- Кто убил? - იკითხა სადგურზე მოსამსახურე ჟანდარმმა.

- Я убил! - უპასუხა საჩქაროდ სპირიდონმა, რომელსაც რევოლვერი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

ჟანდარმმა დაატყვევა სპირიდონი, შეადგინა ოქმი და წარადგინა სპირიდონითურთ სადაც ჯერ იყო.

\*\*\*

სამსჯავროში სპირიდონი სრულიად არ ცდილობდა, რომ გამართლებულიყო. მან მხოლოდ თავიდანვე უამბო მსაჯულებს საქმის გარემოება. ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა სპირიდონს ციმბირს გაგზავნა და იქ მადნებში მუშაობა. მაგრამ მადნებამდე აღარ მიუღწევია სპირიდონს - გზაში გარდაიცვალა.

გზაზე ზვავი ჩამოწვა! მატარებელი იგვიანებს!  
ვინ მოკლა?  
მე მოვკალი!

# სიმონა

## I

სოფელ წაბლისერში გლეხის ძალადის ოჯახი ერთ დროს ძლიერ ქებული და მძლავრი ოჯახი იყო. “გაბილა ძალადეს ხმამაღლა ვერავინ ჩასძახებს ოჯახში, ბატონსაც კი ეშინია მისიო”, - ამბობდა ძალადის მეზობლები იმ დროს, როცა ბატონყმობა ჯერ კიდევ შეურყეველი იყო ჩვენში. ბატონი ან მისი მოურავი როცა გაბრიელას სხვა შინაყმებივით დაჩაგვრას მოუნდომებდა, გაბრიელ თოფით უხვდებოდა წინ: “გიჯობს შენს ტყავში დიეტო! გეყოფა იგიც, რომ შენ ბატონი ხარ და მე ყმაი, კვირეში ოთხ დღეს შენთვის ვმუშაობ და ორს ჩემთვის; თლათ შესაჭმელად ნუ მომინდომებ, თუ არა, ერთი თუ თავზე ხელი ევიღე, შავს დღეს დაგაყენებ, ოხრად მოგიქცევ იმ საწყალ ყაძახების

ოფლით აგებულ სასახლესო”.

გაბრიელას ბატონი თავადი თხლეძირაძე მუდამ უჩიოდა ამ თავზედ ხელაღებულს შინაყმას. “აბა რა უნდა ვუყო ამ ბიჭს? ნებით გემოიანათ არ გემსახურება; ძალა ვინმარო, კიდევ უარესია. კაცმა თუ თავზე ხელი ეიღო, იმაზე საშიში რაღაა ქვეყანაზე! გაბილას ხომ ბევრი აღარ უკლია თავზე ხელის აღებას. ყველა ყაძახი რომ გაბილაისნაირი ყოფილიყო, შენი მტერია, ბატონყმობა დიდი ხნიდან მოისპობოდა!” ასე ამბობდა ეშმაკი ბატონი, მაგრამ სადაც ძალა არ სჭრიდა, იქ თავის ხრიკიან ენას აჭრევებდა: კვირაში ოთხ დღე მაინცდამაინც საბატონო ოჩქეში ანუ ყანაში მუშაობდა გაბრიელი, ეს ვითომდა ბატონის ურგები შინაყმა.

მაგრამ გაბრიელის ერთადერთი შვილი, საყვარელა, არ ჰგავდა მამას: ვერ იყო გაბრიელასავით ამაყი და გულდაუდრეკელი. საყვარელას თავისი მორჩილობით და

თავდაბლობით უნდოდა ამქვეყნად თავის გატანა. ცხვირი რომ გაეტეხათ მისთვის, ხელს არ შეუბრუნებდა. რაკი ასეთ დაბალ ღობედ მიიჩნიეს საყვარელა, ბატონიც და მეზობელიც, ყველა ჰქელავდა და თავში ურახუნებდა. საყვარელას მეუღლე ქეთევან, რომელიც გაბრიელამ ამ თავისი ნებით შერთო შვილს, ყოჩალი და გაბედული დედაკაცი იყო, მაგრამ იმისთანა ღვთის მონა ქმრის ხელში რა სიყოჩაღე გამოადგებოდა? მეტადრე ბატონყმობის დროს, როცა მკლავის ღონესა და ძალმომრეობაზე იყო ყოველივე დამყარებული. ამიტომაც ქეთევანი მუდამ ჩიოდა: “ჩემი ქმრისთანა შვილის დარჩენას დაურჩენლობა ჯობია. ქვეყნის სათრევი და საცემარია. მერე, რა მამის შვილი! ცხონებულ ჩემ მამამთილს ვინ გაუბედავდა იმას, რასაც ახლა ჩვენს ოჯახს უბედავენ! სულ უწყრებოდა ცხონებული: “შენ თუ ამაზე მეტად თვალი არ გაახილე, ცოცხლათ შეგჭამენო”. ქმარის ჯაბანს ხასიათს უნდა მიეწეროს ისიც, რომ

ქეთევანზე ცუდი ხმები დადიოდა მეზობლებში: ქმარს არ სჯერდება, თვალი ვაჟკაცებისკენ უჭირავს, ამას და ამას ყვარობსო. ამ ხმებში ცოტაოდენი მართალიც ერია: ლამაზი, მოყვანილი და ჯანიანი ქეთევანი, ეჭვი არ არის, თავის შესაფერს მონახავდა და, თუ ფორმალურად ვერა, საიდუმლოდ მაინც გულს იმას შეუკავშირებდა.

ბატონყმობის დარღვევა მოახლოვებული იყო, რომ საყვარელამ ბატონს სასახლეში ბეგრის ღვინო წაუღო. გზაზე ცუდი ტაროსი შეხვდა, გაცივდა და ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ ჩააბარა თავის საცოდავი სიცოცხლე იმას, ვინც მიანიჭა. დარჩენ ობლად საყვარელას შვილები, ვაჟები: გიგოია - თუთხმეტი წლისა და სიმონა - სამი წლისა, ქალი მაგდანა - შვიდი წლისა. ორი ქალი კი სიცოცხლეში გამოაცალეს საყვარელას ხელიდან: ერთი ბატონმა მოსტაცა და გაუყიდა, - მეორე ყაჩაღებმა.

თუმცა საყვარელა უფოლადო, უფხო კაცი იყო, როგორც იტყვიან, მაგრამ მაინც ოჯახის თავი იყო, თავის შრომით, ავად თუ კარგად, ოჯახს არჩენდა. მისი სიკვდილის შემდეგ კი დიდი ჯაფა დააწვა ქეთევანსაც და გიგოიასაც, სიმონას კი ჯერ ჭამის გარდა არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მეტადრე პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში ძლიერ გაუჭირდა საქმე, რადგანაც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გამოუცდელმა ქეთევანმა, რაც კი მიწა დარჩენოდა მათ მამა-პაპას, სულ თავის შვილების სახელზე “სანადელოდ” დააწერა: “რავა დავუკარქავ შვილებს მამა-პაპის დატიებულ მიწა-წყალსო”. ამ ბევრ სანადელო მიწებს მოჰყვა დიდი გადასახადი, რომელიც ქვრივ-ობოლს კი არა, მოწიფულს ვაჟკაცსაც გასტეხდა წელში. დიან, პირველში ძლიერ გაუჭირა საქმე ამ გარემოებამ, მაგრამ გავიდა ხანი, აგერ გიგოია დავაჟკაცდა, ქეთევანიც გამოიცადა ქვრივობაში და ერთ ვაჟკაცს არც ის ჩამორჩებოდა საოჯახო საქმის



გაკეთებაში. ბოლოს და ბოლოს ამ მოუსვენარი შრომით ისე კარგად წაიყვანა საქმე, რომ “ნადელ-ის“ მიწების შეყიდვასაც კი აპირებდენ ნაბატონარ თხლეძირაძისაგან. “ქალი კი არა, ვეშაპია! ჰხედავ, რავა წამოაყენა ფეხზე ოჯახი და გამოზარდა შვილები! ქვრივობა კიდევ მოუხთაო!”, - ამბობდენ ქეთევანის შესახებ მისი მეზობლები.

ასე კარგად მიდიოდა საყვარელა ძალაძის ობლების საქმე, რომ ოხერი ფათერაკი არ გამოსტყვრომოდათ. ერთ დღეს, - სიმონა მაშინ შვიდი წლისა იყო, - გიგიამ ხარები შეაბა და ყანიდან ურმით სიმინდი უნდა მოეტანა. დეკემბერი იყო, მაგრამ კარგი დარი იდგა. რადგანაც ხარები კარგად გამოქნილი ჰყავდა, წინამძღოლად აღარავინ მიჰყავდა. “ფრთხილად, დედაშვილობას, ცუდი გზებია...” - დააბარა ქეთევანმა შვილს. “ახლა ერთი შენებურა, ჰო!.. ვითამდა პირველად მივდიოდე, იმ გზაზე არ დავბერდი!..”

უპასუხა გიგოიამ დედას და გადაჰკრა ხარებს შოლტი. მსუქანი, ზორბა ხარები დაიდრენ და მსუბუქად გააქანეს ურმები. “ღმერთო, შენ მომიმართე ხელი!” - გადაიწერა პირჯვარი გიგოიამ და გაჰყვა ხარებს. “ღმერთო, შენ შეეწიე, შენ დეიფარე და მოუმართე მარჯვენი!” - ილოცებოდა ქეთევან დიდხანს. სიმონა, რადგანაც ძმამ აღარ წაიტანა, განარებული გაიქცა თავის ტოლ ბიჭებთან სათამაშოდ.

შუადღე გადავიდა. ქეთევანი კარებს აღარ შორდებოდა: “რა ვქნა, რეზა დეიგვიანა, არ ვიცი! წავალ, შევეგებები, მარა, ღმერთო. შვიდობა მიეცი, გაწყრომა იცის: “ვითამდა ბაღანაი ვიყო, ისე უკან დამდევი ამ მოწიფულ კაცსაო”, - ამბობდა შეშინებული ქეთევანი. “სიმონავ! სიმონავ!” - მოისმა ხმა. ქეთევანი ფერდაკარგული გავარდა კარში და “ვინ ბძანდებიო”, - გასძახა. “გიგოიას ურემი გადავარდნია, მოგვეხმარე! ჩქარა, ჩქარა!” მოესმა

ქეთევანს პასუხად. “ვაიმე, შვილო!” ერთი შეჰკვივლა ქეთევანმა და მოუსვენარი სირბილით გაიქცა გიგოიასაკენ ისე, რომ სახლის კარები არც კი დაუხურავს. როცა მიაღწია იმ ადგილს, სადაც ურემი გადაბრუნებულიყო, მწარე სანახავი წარმოუდგა ქეთევანს: იმ კლდის ძირში, რომლის თავზე გზა მიდიოდა, კისერმოგრებილი, დამტვრეულ ურემზე, აქეთ-იქით გადახლანჯულ-გადმოხლანჯულნი ეგდენ ხარები, ერთი - ორივე რქით მიწაში დაფლული და მეორე - რქებდამტვრეული. ორივე ხარი მკვდარი იყო, მაგრამ ერთ ხარს, რომელსაც ენა გარეთ ჰქონდა გადმოგდებული, გეგონებოდა, სიცოცხლე შერჩენიაო, რადგანაც სიკვდილის დროს თვალები ღია დარჩენოდა. სიმინდი ჩაცვივულიყო პატარა მდინარეში და თითო ტარობით მიჰქონდა მოჩანჩქარე წყალს. მეზობლებს, რომლებიც ამ დროს აქ შეხვედროდენ, გაეყვანათ გიგოია მდინარის პირზე, დაეწვინათ და სისხლი მოებანათ, მაგრამ რაღაი,

რომ სიცოცხლე აღარ ეტყობოდა! ფერი წასვლოდა, ბაგე ჩასთეთრებოდა და ოდნავლა სუნთქავდა.

გიგოიას დაეტვირთა ურემი სიმინდით და წამოსულიყო შინისაკენ. კლდის პირას, გზაზე ურემს ქვეშიდან მოზღვაავდებოდა, წასულიყო კლდის ძირს და ურემი, ხარები და გიგოიაც თან ჩაეტანა. თუმცა იმ დროს, როცა ორივე ხარი მომკვდარიყო, კლდიდან გადავარდნის გამო გიგოიას, ვინ იცის, რის მოწყალებით კიდევ შერჩენოდა სული, მაგრამ ისე იყო დათეთქვილი ტანში, რომ მუშა კაცად თავის დღეში ველარ გამოდგებოდა. ქეთევანმა რომ ამ მდგომარეობაში დაინახა თავისი შვილი, ისეთი საზარელის კივილით მივარდა და ჩაეჭდო გულში, რომ იქ მყოფი ხალხი შიშმა აიტანა, - თავს მოიკლავსო. გამწარებული დედა დიდხანს იკაწრავდა ლოყას, ძუძუს, მკერდს და გამწარებული იგლეჯდა თმას. გიგოია სულ სისხლს მოესვარა. ხალხი ეხვეოდა, მაგრამ ვერას გახდა.

ბოლოს ქეთევანს გული წაუვიდა და ძლივს მოაბრუნეს წყლის პკურებით. გიგოია დიდხანს იწვა გაუნძრევლად, ბოლოს მოიბრუნა სული და ძლივს გასაგონად წამოიახა: “ნენავ, მომეხმარე!” “შვილო, გიგო, აგერ აგდია ძაღლის შესაჭმელი დედაშენი! გაახილე თვალი, კიდევ მითხარი რამე!” - ჩასძახოდა ქეთევანი. ხალხიც შემოეხვია და უძახოდა: “გიგო, გიგო! აბა გამეიხედე არ გეცოდება დედაშენი, თავს რომ იკლავსო”. მაგრამ გიგოიამ დახუჭა თვალები და კრინტსაც ველარ სძრავდა დაუწყეს კიდევ წყალის პკურება. რამდენისამე წამის შემდეგ, გიგოიამ კიდევ გამოახილა თვალები, “მომეხმარეთო“ დაიძახა და გულიდან ამონახეთქი სისხლი წამოუვიდა პირიდან. ხალხმა საჩქაროდ გააკეთა ჯალამბერი, ზედ დადვეს გიგოია და მიიტანეს შინ.

## II

გიგოიამ ქრისტეშობის დღესასწაულებამდე იცოცხლა.

ქეთევანი ერთ წამს ვერ შორდებოდა ავადმყოფს შვილს, უჯდა სასთუალოთან, თან უვლიდა და თან სტიროდა უპატრონობით ოჯახის საქმე, რა თქმა უნდა, უკულმა მიდიოდა: ნალია, რომელიც შორეულ ყანაში იდგა და რომლიდგანაც გიგოიას სიმინდი შინ უნდა მოეტანა, ქურდმა გასტეხა და გასცალა სიმინდისაგან; კარგი მაკე ძროხა ღამით გარეთ დარჩა, რადგანაც მომნახველი არავინ იყო და მგელმა შეჭამა; ღორები თითო-ოროლობით სულ დაიკარგა - ზოგი მგელმა შეჭამა და ზოგიც - ქურდმა. ქათმები და სხვა შინაური ფრინველები, რომლებიც ქეთევანს დიდძალი ჰყავდა, ზოგი ძერას და ქორს მიჰქონდა და ზოგი ავადმყოფის სანახავად მოსულ სტუმრებს უნდებოდა სადილ-ვახშმად. “ვაი, ოჯახო, ვაი, ნაოფლარო! ჩემი თვალით სიკვდილის წინ არ დამენახა მაინც შენი დაღუპვა!” - წამოიძახებდა ხანდახან მწარედ გიგოია. ვინლა მოუვლიდა ოჯახს? ქეთევანი იყო და თვითონ გიგოიას ვერ შორდებოდა; მაგდანა, ქეთევანის

ქალიშვილი, ამ დროს გათხოვილი იყო, და რადგანაც მის ქმარს ერთხელ ჩხუბი მოსვლოდა თავის ცოლისძმა გიგოიასთან, ამიტომ არა თუ მშობლების ოჯახის მისახედავად, მომაკვდავი ძმის სანახავადაც არ უშვებდა ქმარი; შვიდი წლის ბიჭს, სიმონას, აბა რა ოჯახის მოვლა შეეძლო!

შობის წინა დღე იყო. გიგოია უკანასკნელ დღეებში თანდათან დასუსტდა. მეტადრე ამ დღეს ძლიერ იცვალა პირი მისმა ავადმყოფობამ. შფოთავდა, რაღაც ერთგვარი მახვილი კვნესა ამოჰკიდა, თვალები ჩაულრმავდა, ცხვირის ნესტოები გაუთხელდა; უკანასკნელად ნათესავების და მეზობლების ცნობაც დაკარგა. ქეთევან მწარედ იცემდა ხელებს გულში და იგლეჯდა ძუძუებს, მაგრამ ხმის ამოღებას კი არ ანებებდენ ავადმყოფის მნახავები: “ამაზე უარესიც გვინახავს მორჩენილი, არ დაუბედო ტირილიო”. შუალამე მოახლოვებული იყო, რომ

გიგოიამ, კვნესის მაგიერ, ხრიალი დაიწყო, ეხლა ყველა ხედავდა, რომ გიგოია რამდენისამე საათის განმავლობაში დაღევდა სულს. ქეთევანმა მორთო ტირილი და იგლეჯავდა გულ-მკერდს. გამწარებული დედა მოაშორა ხალხმა მომაკვდავს; ქეთევან გაიყვანეს გარეთ და წამდაუწუმ იმას ჩასძახოდენ: ``ქრისტიანო, ცოცხალი ადამიანის ტირილი გაგიგონია! მეიცადე ერთიცახე!`` ბოლოს ხრიალიც მიუსუსტდა გიგოიას და ერთმა მნახველმა, რომელიც თავით უჯდა ავადმყოფს, დაიძახა: რაღაი მეიცადე, კაცი გაცივდაო”. ხალხი მისცვივდა, დაუწყვეს მიცვალებულს ჯვარისსახედ ხელები, გაუსწორეს ფეხები და მოჰყვენ მაღალი ხმით ტირილს. ქეთევან შემოვარდა სახლში, მივარდა გიგოიას, მერე ეცა კედელს და ისე მძლავრად აჯახებდა ზედ თავს, რომ თუ დროზე არ დაეჭირათ, თავს გაიჩეჩქავდა.

ბოლოს ხალხი დაწყნარდა. ქეთევანს ძალა გამოელია, ხმა



ჩაუწყდა, დაეცა მიწაზე და შესაზარი ხმით გმინავდა. გიგოიას გვამს ხალხმა აუნთო წმინდა თაფლის სანთელი, რომელმაც მოყვითალო, სუსტი სინათლე მოჰფინა სახლს და უცნაური საიდუმლო ფერი დასდო იქაურობას. ამ სუსტს სინათლეზე ისე მოჩანდა მკვდრის სახე, რომ გეგონებოდა, აი, ეს არის ეხლა გაინძრევა და დაიწყებს ლაპარაკსაო. როცა ხალხმა ყოველივე წესი აღასრულა, წავიდა თავიანთ სახლში. დღესასწაული თენდებოდა, რომელსაც სხვის გულისთვის არ ჩაიმწარებს სოფლელი. თუნდ ნახევარი დაიხოცოს, დანარჩენი მაინც ღზინით ეგებება დღესასწაულს. ``რა ვქნა, ძმავ, დღეს იგი არ არის, ასე ჰქვია, ხვალ მე აღარ ვიქნებიო“. ქეთევანთან დარჩა მხოლოდ ერთი ქვრივი დედაბერი, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა, მოკვდებოდა ვინმე თუ არა, დამარხვამდე აღარ გაეყრებოდა.

შობა-ახალწელ შუა დღეებში მოამზადეს გიგოიას

სატირელი პურ-ღვინო, რომელიც, რასაკვირველია, საგრძნობელ ხარჯად დაუჯდა უიმისოდაც დაზარალებულს ოჯახს. გამართეს ტირილი, აასრულეს, რაც წესი იყო, და დამარხეს მიცვალებული. სიმონა ამ საქმეში იმოდენ მონაწილეობას იღებდა, რაოდენის მონაწილეობის მიღებაც შეუძლია მისის წლოვანების ბავშვს, ესე იგი ხან უაზროდ სტიროდა დედასთან ერთად, ხან ბელელთან მიირბენდა, თავის ძმის სატირლად ნაყიდ პურს გამოართმევდა მეპურეს და მადიანად ილუკმებოდა.

### III

დარჩა ქეთევანი თავის შვილის წლის სიმონათი. იძულებული შეიქნა ხელახლა ყანაში ემუშავა მოხუცებულობის დროს და ფუტი არ გაეცივებია ობლისთვის. ეს, რასაკვირველია, ადვილი არ არის, მაგრამ ქეთევანი მამაცად ებრძოდა გაჭირვებას; დილას, ჩიტის

წამოფრენამდე, როგორც იტყვიან, ქეთევანი ამდგარი იყო, ცული ან თოხი ეჭირა ხელში და საქმეზე მიდიოდა; დაღამებამდე ვაჟკაცივით მუშაობდა ყანაში ან ტყეში. როცა დაბრუნდებოდა (ხანდახან ვახშმობისას ბრუნდებოდა), დაათვალიერებდა საქონელს და, თუ ძროხა ან ღორი აკლდა, გასწევდა საძებრად და სანამ არ მონახავდა, ღამე დაეხეტებოდა ტყეში. ვაი მისი ბრალი, ვინც რაიმე უსამართლობას მოუნდომებდა: ბევრჯერ მომხდარა, რომ ქეთევანს თოფისთვის წამოევლოს ხელი და ვაჟკაცი ეფრინოს. მართალია, ამნაირის ქცევისთვის ბევრი ლანძღვა-კიცხვა დაატყდა თავზე ქეთევანს თავის მეზობლებისაგან: ``ქალი კი არა, ქაჯია, შენი ჭირიმე, ვაჟკაცებს აშინებსო'' - ამბობდენ მეზობლები. ბოლოს კუდიანობაც დასწამა ცრუმორწმუნე ხალხმა ქეთევანს. მაგრამ მეზობლებს რაც უნდა ელახებოდათ, ქეთევან თავის საქმეს აკეთებდა, ობლის კვერს აცხობდა, უსაფუძვლო ლანძღვა-კიცხვაზე და მოგონილ ხმებზე სამართლიანი

წყევა-კრულვით აძლევდა ქეთევან პასუხს. თავის ქმარს კი ძვირად ახსენებდა და მამამთილის ხსენება კი ხშირად იცოდა: “ნეტა რა ეგონენ? გაბრიელის პატიებული უნჯი ოჯახი ასე ადვილად, გაცივდებაო! ვერ მივართვი! გეიზარდოს აგერ ჩემი სიმონ, მტერს დაუდგება თვალები! მას ენაცვალოს დედა, თლათ ბაბუამისია თვალტანათაც და საქციერთაც!”

გავიდა დრო, ქეთევან მოუსვენარი შრომით ცოტა წელში მოიხარა; თვალებიც წინანდებურად აღარ უჭრიდა, ერთ დროს ლამაზი პირისახე საკმაოდ მოემანჭა; ღამლამობით ხშირად ახველებდა, ხშირად ავადაც ხდებოდა. მართალია, მოხუცებას თავს არ უდებდა, ოჯახზე წინანდებურად ეჭირა თვალი, მაგრამ როცა ლაპარაკი მოიტანდა, მაშინ კი ამბობდა: დავბერდიო. ან თუ რომელიმე მეზობელი ეხუმრებოდა: “ქეთევან, გაგვიტყდი, ხომ კიდომ გყავს საყვარელიო”, ქეთევანი ხუმრობითვე, მაგრამ

ნაღვლიანად უპასუხებდა: “რალაი, ბიჭო, მოტყდა გული, დავბერდი, თვარა სიყვარულის ცალი სხვაი რალაა ქვეყანაზეო”. დიახ, დაბერდა ქეთევან, მაგრამ წაქცეული ოჯახი კი ორჯელ წამოაყენა ფეხზე, ორჯელ გამოზარდა ობლები, ერთხელ უფროსი შვილი, გიგოია, რომელიც ფათერაკმა ისე უდროოდ გამოაცალა ხელიდან და ეხლა უმცროსი, სიმონა, რომელიც აგერ თვრამეტ-ცხრამეტი წლის კაცი გახდა და ობლობა თითქმის არ შეუტყვია, ფრჩხილი ერთხელაც არ დასწვია. ასრულდა დედის ნატვრა: სიმონა ეხლა მტერს მტრობას გაუწევდა და მოყვარეს მოყვრობას. აი ეს იყო ქეთევანისთვის ისეთი ჯილდო, რომელიც გადახდილ ტანჯვას და ჯაფას ავიწყებდა. ცისა და ქვეყნის ნეტარება თითქო ქეთევანის ხელთ იყო, როცა თავის თვალ-ტანადს, მხარბეჭგანიერს, ვაჟკაცურ, ლამაზ პირისახეზე ულვამ ახლადმოხვითქულს შვილს უყურებდა. “მოგემატოს დედის დღე, აწი რალა მიჭირს, რაც დედას შენისთანა

შვილი მყავს!” - ჩაილაპარაკებდა ქეთევანი თავისთვის, სიმონას რომ შეხედავდა. მხოლოდ ერთი რამღა აკლდა ახლა ქეთევანს: სიმონას დაცოლშვილება. ბევრი შუამავალი მოსდიოდა, კარგი “მზითვის და გვარის” ქალებს ურიგებდენ სიმონასთვის, მაგრამ სიმონა სულ უარზე იყო: “მაცა, ერთი ჯერ წელში გავიმართო, ქვეყანაზე თვალი გავახილო, ცოლ-შვილს მერეც მოვესწრებო”. ამის შემდეგ დედაც ძალას ვერ ატანდა. “ოღონდ ცოცხალი მყავდეს და ვუმზირო, ბედნიერებად ისიც მეყოფაო”. ფიქრობდა ქეთევანი.

ის მეზობლები, რომლებიც უწინ ისე ჰკიცხავდენ ქეთევანს, ერთი იმათებური ანდაზისა არ იყოს, - “იქცეოდეს შეესიე, შენდებოდეს შეეწიეო”, - ეხლა ქებით იხსენიებდენ: დეილოცა შენი დედაკაცობა, რაც შენ ორჯერ წაქცეული ოჯახი ორჯერვე ფეხზე დააყენე და აღმასივით შვილი გამოზარდეო. ყველა მეზობელი

სიხარულით ეხმარებოდა და იხმარიებდა სიმონას ყანაშიც და სხვა საქმეშიაც; სიხარულით პატიჟობდენ ქორწილში, ნათვლაში, გასაჭირში და დასალხინში. ან ვინ დაიწუნებდა მეზობლად მუშაობაში მარჯვეს, ლხინში კარგ მოსიმღერე და მოთამაშე სიმონას!

#### IV

ძალადის მეზობლად ესახლა ერთი, მთელს სოფელში დიდად გავლენიანი და მდიდარი, მძლავრი კაცი, დავით დროიძე. დავით მაღალი, რიხიანი შეხედულების კაცი იყო, კარგი მოლაპარაკე, ენამეტყველი, თან ხუმარაც. წლოვანობით დავით ორმოცდაათის წლისაზე მეტის ხნისა იყო, მაგრამ სახესა და ჯანზე კი ორმოცი წლის კვალიც არ აჩნდა. შთამომავლობით დროიძე გლეხი იყო, ერთის აზნაურის “ნაკაცვარი”. ყმაწვილობისას დავით ვიღაც ნიგვზის ხეებით მოვაჭრე ბერძენთან იდგა, ჯერ მოჯამაგირედ და მერე “პრიკაშჩიკად”. შემდეგ, როცა

ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავითმა თვითონ დაიწყო ნიგვზის ხის სყიდვა-გასყიდვა. ამბობდენ, ვითომც ბერძენმა ფული დაუტოვა დავითს, - ხეები იყიდე ჩემს მოსვლამდე და დამახვედრეო; რადგან ბერძენი თავის ქვეყანაში მოკვდა, ბერძნის ფულები დავითს შერჩა და იმით გამდიდრდაო. მართალი იყო ეს თუ არა, ამისი რა მოგახსენოთ. მართალია, ბერძენს დავითი სანდო კაცად მიაჩნდა და აძლევდა ფულს ხეების საყიდლად; ხშირად დავითს ათას მანეთობით ჰქონია ჯიბეში ბერძნის ფული და უყიდია ბერძნისთვის ხეები სხვადასხვა სოფელში. ამას გარდა, როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავით ერთხანს კიდევ ბერძნის სახელით ყიდულობდა ხეებს. მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ გაამხილა, რომ ბერძენი აღარ დაბრუნდება, ყოველივე ანგარიში გაასწორა და ისე წავიდა, ხეებს საკუთრად ჩემთვის ვყიდულობო. ამას შემდეგ, რასაკვირველია, ხალხს საბუთი ჰქონდა ეთქვა, - დავითს



ბერძნის ფული შერჩაო. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ დავითს თავის ჯამაგირიდან შეენახოს ფული და იმითი დაეწყოს ხეების ვაჭრობა, რომელშიაც ძლიერ გამოცდილი იყო. ასე თუ ისე, დავითს თავისი საქმე კარგად მიჰყავდა. რამდენისამე ხნის შემდეგ, როცა ნიგვზის ხეები სოფლებში გაძვირდა, დავითმა დაანება თავი ხის ვაჭრობას და სიმინდის ვაჭრობას მიჰყო ხელი. ამ ვაჭრობამაც კარგა ბლომად შესძინა დავითს ფული. ამას დავითი თითონა აღვიარებდა ხანდახან: ``ძან სარგებელი ვნახე იმ სიმინდის ვაჭრობაშიო`. უკანასკნელ დავით მობრუნდა სოფელში, შეისყიდა თავისი მებატონისაგან “ნადელ”-ის მიწები, გაიკეთა კარგი ოდა და გაიჩინა ცოლ-შვილი. თუ რამ “საფოდრათო” საქმე გამოჩნდებოდა ახლომანლო და სარგებლიანობა ეტყობოდა საქმეს, დავით ხელიდან არ გაუშვებდა. თუ არა და, ცხოვრობდა თავისი ფულები პროცენტით - ფულებს მეზობლობაში ასესხებდა და დარწმუნებულად იყო, რომ არ

დაეკარგებოდა. ბოლოს, როცა დავითის უფროსი ვაჟი წამოიზარა, დავითმა გააკეთა თავის სოფელშივე დუქანი, დააწყო შიგ გასაყიდად ისეთი რამეები, რაც სოფლისთვის მიუცხილებელ საჭიროებას შეადგენს, მაგალითად: ხმელი თევზი, მარილი, ნავთი, საპონი, სანთელი და სხვა ამგვარი და დააყენა დახლში თავისი უფროსი ვაჟი. დუქანს კარგი შემოსავალი ჰქონდა. ამასობაში გამოიზარდენ დავითის უმცროსი ვაჟებიც. ეხლა დროიძის ოჯახმა განზე გაშალა ფრთები: უფროსმა ვაჟმა დაანება სოფლის “დუქნუკას” თავი და ერთს მახლობელ ქალაქში ეხლა მანუფაქტურით ვაჭრობდა; იმისი ორი ძმა მამის ხელობას დაადგა - სიმნდს და ნიგვზის ხეებს ჰყიდულობდენ და ჰყიდდენ. ორი უმცროსი შვილი დავითმა სკოლაში გაზარდა; ერთი იმათგანი პოლიციაში იყო სეკრეტრად, მეორე, სულ ყველაზე უმცროსი, იუნკრის სკოლაში ჰყავდა და იმედი ჰქონდა, რომ მალე ოფიცრობას მიიღებდა. თვითონ დავით კი ოჯახში იყო, რომ იმ გადასახადებისგან

განთავისუფლებინა თავი, რომელიც გლენს აწევს კისერზე, დავითმა თავის დროზე დახარჯა ფული და სასულიერო წოდების კაცად ჩაეწერა, თუმცა კი არავის ახსოვს რომ დავითის მამა-პაპათაგან ვინმე სასულიერო წოდების ყოფილიყო, გარდა დავითის პაპის ერთი ძმისა, რომელიც დიაკვნად ყოფილიყო ესეც რომ არ მოუხერხებია დავითს, ის სავაჭრო მოწმობანი, რომელთაც დავითის შვილები იღებდენ ყოველ წლივ, სრულიად განთავისუფლებდა დავითს გლენკაცის მოვალეობისაგან. ამიტომაც წაბლისერში დავითის ოჯახს აზნაურის ოჯახს ეძახდენ, თუმცა ბევრს კარგად ახსოვდა, რომ რაღაც ოცისა თუ ოცდაათის წლის წინათ თვითონ დავით ერთი გუდამშიერის აზნაურის შინაყმა იყო. მიწა-ადგილებს დავით თანდათან იძენდა, ასე რომ ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისთვის შეეძლო ხელის გაწვდენა. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ დავით დროიძე თავის სოფელში პატარა მეფე იყო. სიმონა

და საზოგადოდ ძალადის ოჯახი თაობიდანვე ათვალისწუნებული ჰყავდა დავითს. ``რავარ კაცის ჩამომავლობაა რომ იმისაგან კაი რამე გამევიდეს; გაბილა ძალადემ უდროოთ დააბერა თავისი ბატონიო``. - ამბობდა ძალადიანებზე. ``აი ბიჭი სათოკე იქნება, სულ ბაბუამისის მოყვანილობა და თვალები აქ!`` - იტყოდა დავით, როცა ნახავდა პატარა სიმონას, რომელიც, თუმცა პატარაობიდანვე გაბედული ბავშვი იყო, მაგრამ დავითის რიხიან ხმას, დიდრონ წარბებს და მწყრომარე თვალებს ისე შეეშინებია, რომ პატარაობისას ძლიერ ერიდებოდა დავითის შეხვედრას. ბევრჯერ ყოფილა, რომ დედას სიმონა საქმეზე გაუგზავნია, სიმონას გზაზე დავით დაუნახავს და შინ დაბრუნებულა შეშინებული.

- უიმე, ბატონო, რანაირათ ეშინია იმ ჩემ ბიჭს შენი, - უთხრა ერთხელ ქეთევანმა დავითს.

- ყოველ ავსულს ეშინია სხვისი, - უპასუხა დავითმა

ამაყად.

- გენაცვალოს ქეთევან, იმას რა ავსულობა შეუძლია, ჯერ ნაცარს არ მოშორებია! - მოკრძალებით შეუბრუნა სიტყვა ქეთევანმა.

- ჯერ ხო, არ შეუძლია, მარა გეიზდება და მაშინ შეიძლებს. გაბილას შვილისშვილი არ არის! - უპასუხა დავითმა თავისებურის ხუმრობის კილოთი.

დავითის ადგილას რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, ამ სიტყვებისთვის ქეთევანი ერთს ვაივარგლახს დააწევდა, მაგრამ დავითს, პატივცემულ დავითს, ვერც ამ გაბედულმა ქეთევანმა გაუბედა აქ სიტყვის შებრუნება, რადგანაც იცოდა, რომ დავითი თუ მოინდომებდა, კოლოსავით გასრესდა ამ საცოდავ ქვრივ-ობოლს.

განსაკუთრებით მტრობა კი, უნდა ვთქვათ, არ ჰქონია

ძალადის ოჯახთან დავითს.

თავის მხრით, სანამ ცოცხალი იყო გიგოია და მერე ქეთევან, დიდის მორიდებით ეპყრობოდენ დავითს და მის ოჯახს. ასე გასინჯეთ, ერთხელ დავითის ერთმა შვილმა ორი ღორი ერთად მოუკლა ქეთევანს, მხოლოდ იმისთვის, რომ ეზოში შემოვიდაო. სხვა მეზობელს რომ ეს გაებედა ქეთევანისთვის, ქეთევან თოფით მიუხტებოდა ოჯახში, მაგრამ დავითთან პირიქით ბოდიშიც მოიხადა:

- რა ვქნა, ქვრივ-ოხერი ვარ, პირუტყვის მოვლა ვერ შევძელი და შეგაწუხეთო - ამ სიტყვებით გულმორბილებულმა დავითმა მოკლული ღორები დაუბრუნა ქეთევანს და თან ერთი საკაბე ჩითიც აჩუქა.

## V

ერთს ზაფხულს, - მაშინ სიმონა თხუთმეტის წლისა

იქნებოდა, - ერთს სიმონას მეზობელს ნალია გაუტეხეს და სიმინდი მოჰპარეს. ამ საქმის გამო ხალხი კანცელარიასთან შეიკრიბა და მოახდინეს რჩევა, თუ როგორ მიაგნონ ქურდს.

დავით, რადგანაც მამასახლისთან მუდამ ჰქონდა საქმე, კანცელარიაში ხშირად დადიოდა. იმ დღესაც, როცა ხალხს ქურდის მონახვაზე ჰქონდა რჩევა, იქ იყო როცა სოფლის ყრილობას დაესწრებოდა დავით, თითქო ესეც ხარჯისმხდელი გლეხიაო, ისეთს მონაწილეობას იღებდა რჩევაში. რა თქმა უნდა, ვის მხარესაც დავითი დაიჭერდა, საქმე იქით გადაიხრებოდა. იმ დღეს დავით ჯერ დინჯად. დარბაისლობით, ფეხის ფეხზე შემოდებით, გრძელ ღერიანის ყალიონით სწევდა თუთუნს და ისე უყურებდა ხალხის ჩოჩქოლს. მერე ისევ დინჯადვე დარეკა ჩიბუხი, წამოდგა სკამიდან, მიიწია ხალხისკენ და დაიწყო:

- რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა. ჩვენი სოფელი აქამდე

წმინდა სოფელი იყო, სხვაი სოფლიდან თუ ვინმე შამოგვეპაროდა, თვარა შით ქურდი არ გვყოლია. ამ ბოლოს კი წახთა, ძაან იმატა წვრიმალმა ქურდობამ. გუშინდამ ბალი გამიცალეს ყურძნიდან. ხილს აბა ვინ დაგიყენებს! მართალია, ჯერ დიდიზა ვერ შეუბედავს, ვინცხაა, მარა რომ გამეიცთება, იმასაც არ დააკლებს ხელს.

აქ დავითმა სიტყვა შესწყვიტა, ცოტა ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ განაგრძო:

- იქნება არაფერ შუაშია და ტყუილა წევინწყმიდო სული... ჩემი თვალით არაფერი მინახავს მის ხელში... კიდევ ვიტყვი, ობოლი კაცია და, თუ დანაშაული არ არის დიდ ცოდვას ვიდებ კისერზე მარა...

აქ კიდევ შეყოყმანდა და შემდეგ დაფიქრებით წარმოსთქვა:



- მარა, ჩემი ფიქრით, იი ობოლი ბიჭი, სიმონაი, უნდა შობოდეს ამ წვრიმალ ქურდობას. სხვაზე მე, ჩემი ჭკუით გუმანი ვერ მიმიტანია და აწი თქვენ იცით.

ხალხი გაჩერდა და ჯერ არას ამბობდა. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში მარტო სიტყვიერ შენიშვნად მიეღო ხალხს დავითის სიტყვა და სხვა შედეგი არა მოჰყოლოდა რა, მით უმეტეს, რომ დავით მანცადამაინც დაჟინებით არ ეუბნებოდა ხალხს ჩემი სიტყვით გაათავეთ საქმეო. არა, დავითმა თავისი აზრი თქვა და მერე ისევ ხალხს შეანება საქმის გათავება. აბა ამისთანა წვრიმალეებზე დავით ხომ თავს არ გამოიღებდა! მაგრამ სიმონა, რომელიც ამ დროს იქ იყო და დავითის სიტყვები გარკვევით გაიგონა ჯერ თავზარდაცემულივით გაშეშდა, მაგრამ საჩქაროდ გამოერკვა, წამოდგა წინ და თვალებზე სიბრაზის ცრემლმოდენილმა უთხრა დავითს:

- დავით, რა დაგიშავე, რომ ჰაწაობიდან შემიძულე? ისე

შენმა ცოლ-შვილმა ნახოს ხეირი, რავაც მე შენი ან ყურძენი, ან ხილი, ან იი დათიკაის სიმინდი მევიპარე! აა, შე წაწყმედილო ქვეყნის მულაპაო, რას მერჩი რას?!

ხალხი მისცვივდა სიმონას და მიაფარა პირზე ხელი:

- ბიჭო, ხომ არ გადირიე, თავადიშვილი ვერ გაუბედავს ამას მაგისტანა სიტყვებს! შენი ტოლი ხომ არ გგონია! გაჩუმდი, გაჩუმდი!

მაგრამ სიმონა ისე იყო აღელვებული, რომ თავი აღარ ახსოვდა.

- შენ რომ ჭკუიანი იყო, გაჩვენებ სეირს, მარა სულელს რა უნდა გითხრა, დამშვიდებით უთხრა დავითმა, რომელსაც ცოტაოდნად კიდევ ებრალებოდა სიმონა: ობოლი კაციაო.

- შენ რომ ბერძენს ფულები მოპარე და იმით გაკეთდი,

ისე გგონია სხვაც! - მიაძახა გაცხარებულმა სიმონამ დავითს პირში.

აჰ კი ველარ მოითმინა დავითმა. ``მამასახლისო, მომაშორე აი ყაზილარი, თვარა!`` - გულმოსულმა დაუყვირა მამასახლისს, რომელმაც იმ წამსვე უბრძანა სიმონას დაჭერა.

მისცვივდნენ სიმონას ყარაულები და ხევისთავი, თუმცა სიმონა ძალიან დატრიალდა და შემოფანტა ხალხი, მაგრამ ბოლოს მაინც დაიმორჩილეს და წაიყვანეს ნაობახში.

- თუ გამოვედი აქედან, გიჩვენებ შენს სეირს! - გამოსძახა სიმონამ დავითს.

- ოჟო, იი ქვრივი დედაბერი არ მეცოდებოდეს, მე შენ შეგაყოლებ ზევით, ციმბირისკენ. იგია შენი ადგილი! მარა,

რომ მეცოდვება, ახლა რა უნდა გიყოს! დაილაპარაკა  
დავითმა წარბების შეჭმუნვებით.

- ნუ იკადრებ, ბატონო, უჭკუოა და ჭყამპალებს, მეტი  
შენი წყენა რა უნდა შეეძლოს იმას! უთხრა ვილაცამ  
მორიდებით დავითს.

- ჩემო ძმაო, ამისთანას უფრო შეუძლია წყენა და ვნება:  
მოგეპარება ერთ ღამეს, წაგიკიდებს ცეხლს და  
გამოგბუგავს შით; ჩაგიჯდება გზაში, გკრავს თოფს და  
გაგაგორებს! მერე მიდი და უყარე კაკალი! უპასუხა  
დავითმა თავისებურის მოსწრებულის სიტყვებით.

უკანასკნელ დავითმა იხმარა სულგრძელობა: საღამოს  
გამოაშვებინა ნაობახიდან სიმონა და სიმინდის მოპარვის  
საქმეც სამეზობლო სამართლით გაათავებია ხალხს, ესე  
იგი მეზობლობას უნდა დაეფიცა ხატზე, რომ სიმინდი  
არც თვითონ მოეპაროს და არც ქურდი იცოდეს. ვინც

ფიცზე უარს იტყოდა, ქურდობაც იმას დაატყდებოდა.

როცა სიმონა ნაობახიდან გამოიყვანეს, შეხედა დავითს, დამაცაო, ჩაილაპარაკა და გულში ჩაიკრა ხელი.

- ვაჟო, აგი აღარ ხუმრობს, მგონია! - თქვა დავითმა.

- არაფერია, შენი ჭირიმე, გამოუცთელია, ხომ მოგეხსნება გამოუცდელი კაცის ამბავი, ხვალ კიდევ შენი მორჩილი მონა და მოსამსახურე იქნება, დაამშვიდა ხალხმა დავით.

მაგრამ ხალხის სიტყვა არ გამართლდა: იმ დღიდან დაწყებული, სიმონა დავითს აღარც სალამს აძლევდა და თან, სადაც შეხვდებოდა, ისეთი თვალით კი შეხედავდა, რომ დავითი იძულეებული იყო, თვალი აერიდებია. მართალია, ქეთევან მუდამ ეჩიჩინებოდა შვილს: “შვილო, ნეფისტოლი კაცია, ჩვენისთანა მწერს, ნეკი რომ გაანძრიოს, იმით გასრესს; შეურიგდი, სალამი მიეცი,

ბოდიში მოიხადეო“, მაგრამ სიმონა თავისას არ იშლიდა. ქეთევან კი თავისი მხრით ხშირად იხდიდა დავითის წინაშე ბოდიშს: “აპატივე, ბატონო, ბაღანაია, უჭკუოო”. “შენ მებრალები, თვარა იმას ჭკუას ასტავლიან, იმისთანა ადგილზე ჩავაჯენო”, - უპასუხებდა დავით მოკლედ.

## VI

სიმინდის თესვის დრო იყო სიმონას ჩვეულებად ჰქონდა: დილას კარგა მზის ამოსვლამდე ეზოს მახლობელ ყანაში იმუშავებდა; შემდეგ ისადილებდა კვერითა და ყველით და წავიდოდა შორეულ ყანაში. ამ ჩვეულებას იმიტომ უფრო ადგა სიმონა, რომ თავისი მოხუცი დედა არ გაეტანჯა ყანაში სადილის ზიდვით. მართალია, ქეთევან არწმუნებდა: “არ მიჭირს სადილის ზიდვა, კიდევ მიხარია შენთან ყანაში სიარულიო”, მაგრამ სიმონამ კარგად იცოდა, ამას დედა იმიტომ ეუბნებოდა, რომ ეშინოდა ჩემს სიმონას არ მოშვიდეს ყანაშიო. დიალ, იცოდა დედის

გულშემატკივრობის ამბავი და ამიტომ თავისას არ იშლიდა, - შინა სჭამდა საჭმელს და ამით დედას ათავისუფლებდა ყანაში თრევისაგან. იმ დღესაც ცოტა ხანს შინ იმუშავა, სადილი ჭამა და მერე წავიდა ყანაში. სიმონას ხშირად სჭირდა: ერთი რამ უბრალო შემთხვევა მოაგონდებოდა, ერთი რამე ობლობის დროისა, ამ ერთს მოჰყვებოდა მეორე, მეორეს მესამე და ამრიგად გადაეშლებოდა მთელი ისტორია ობლობის დროინდელის გაჭირვებისა. როცა ამგვარ ფიქრებს და მოგონებაში იყო გართული, მაშინ გზაზე ნელ-ნელა მიდიოდა. იმ დღესაც რაღაცაზე მოაგონდა თავისი ძმის სიკვდილი, მერე ობლობა, დედამისის ტანჯვა-წვალება და ყანაში მუშაობა; ამას შემდეგ ის გარემოება, დავითმა რომ ნაობახში დაამწყვდევია. თუმცა ამ უკანასკნელი ამბის შემდეგ აგერ სამი წელი გასულიყო, მაგრამ სიმონას ისე ნათლად ახსოვდა ეს გარემოება, თითქო გუშინ მოხდაო. ამ მოგონების სურათებმა სიმონას ნაღვლით გაუვსო გული,

ტანში დაამძიმა და ამიტომ ზღაზვნით და ტაატით მიდიოდა გზა-გზა. ამ სახით მიუახლოვდა იმ ბილიკს, რიმელიც ბუჩქებით და ტყით იყო გარშემოზღუდული და თან ისეთი მყუდრო, რომ სიმონა, აგერ კაი ხნის ბიჭი სანამ არ გახდა, იქ გავლისა ეშინოდა: დაღამებას არ აცლიდა, ისე მზიურას დაანებებდა ყანას თავს და მორბოდა შინისაკენ. ხშირად აქ სიმონას თვალწინ გაურბენია მგელს, ხან ტურას. ხსენებულ დღესაც, მიაწია თუ არა სიმონამ ბილიკს, მისმა ძაღლმა. თოლიამ. რაღაც სუნი იკრა, ყეფით გადავარდა ტყეში და კარგა ხანს დასდევდა რაღაცას თავგანწირულის ყეფით. თითქმის ნახევარი კიდეც გაიარა სიმონამ ამ მიყრუებულის ბილიკისა, რომ შემოესმა ყმაწვილის ქალის ხმა: “ღმერთო რა ვქნა, რა მეშველება აწიო!”.

რადგანაც ამ სიტყვებში ტირილის კილო ისმოდა და თან ნაცნობ ეჩვენა სიმონა მაშინვე გადახტა იქით, საიდგანაც



ხმა შემოესმა. რა ცოტაოდენი მოშორდა გზის პირს, დაინახა თავის მეზობლის ქალი დარია, რომელსაც ერთი ხარი მიება ბუჩქზე და მეორე ხარს, რომელსაც ბაწარი წაედრო რქიდან, დასდევდა დასაჭერად, მაგრამ დარიას მიახლოვებაზე ხარი დაიფრუტუნებდა, დაემუქრებოდა, ქალს რქებით და გაიქცეოდა.

- მაცა, დარიკო, მე დავიჭირავ! - მიაძახა სიმონამ შორიდან.

- მიშველე, შენი ჭირიმე, ჩემი ძამიეი! - შეეხვეწა ქალი.

სიმონასათვის თხოვნა აღარ იყო საჭირო: მალე მივიდა ხართან, ``მოომ`` უთხრა; ხარი წამსვე გაჩერდა და სიმონამ მოაბა რქებზე ბაწარი.

- შენს მარჯვენას ვენაცვალე! დილას აქეთ ამას დავსდევდი და არ იქნა, არ მიმიკარა. ნეტა მაინც ჩვენი იყოს? ნაჭირავებია ჩემმა ძმამ იჭირავა მიხმარებაზე. რავა

დევილუპებოდი, გაგვიცთებოდა, შენ რომ არ შემხთენოდი. რა ჭირისაგან დამიხსენი, ვენაცვალე იმ შენს მარჯვენას! - განიმეორა დარია! და ისეთის მადლობის თვალით შეხედა, რომ სიმონას თავის დღეში არ ენახა ასეთი ალერსიანი თვალები.

დარიას ძმის და სიმონას ყანები ახლო-ახლო იყო ერთმანეთთან. ამიტომ გზა კარგა მანძილზე ერთად ჰქონდათ გასავლელი სიმონას და დარიკოს. ``ვო, რა მხსნელ ანგელოზსავით შემხთი შენ დღეს!`` - უთხრა კიდევ დარია სიმონას გზაზე და კიდევ ალერსიანად მიაპყრო თავისი დიდრონი შავ-შავი თვალები.

ამ მეორედ შეხედვის დროს სიმონას ძარღვებში რალაც ერთგვარმა სიტკბოებამ გაურბინა: დარიას თვალებისთანა მშვენიერი და ალერსიანი თვალები თავის დღეში არ შეხვედრია მის თვალებს. გზადაგზა, რამდენსაც მეტს უმზერდა დარიას, იმდენზე კიდევ მეტი უნდოდა

ემზირა. როცა დარიას თვალებს შეხვდებოდა მისი თვალები, ტკბილი ჟრუანტელი დაურბენდა თვალებში.

დარია იყო თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ქალი. იმისი დიდრონი შავი თვალები, სწორი, ლამაზი, მოყვანილი, ცოტათი მოშავგვრემანო პირისახე, კარგი მოყვანილი, საშუალოზე ცოტა მაღალი ტანი, ხშირი, წელამდე შავი თმა მეტად მშვენიერ ქმნილებად ხდიდა ამ ქალს. დარია რომ თავადისა ან აზნაურის ქალი ყოფილიყო, მისი ქება შორს იქნებოდა გავარდნილი.

ტანზე დარიას ყოველთვის ღარიბად ეცვა; უმეტეს ნაწილად ძველი კაბა და ძველი “სახოცი” იყო მისი ტანის სამკაული. დარიას ერთადერთი ძმა პავლია ჯაბანი კაცი იყო და ამიტომ დარია, როგორც ვაჟკაცი, ისე ეხმარებოდა ძმას სამუშევარში. როცა გადასახვევს გზას მიაწიეს, დარიამ კიდევ გადაუხადა მაღლი სიმონას და წავიდა თავისთვის. სიმონა კი კარგა ხანს გაჩერებული იყო ერთს

ადგილას და უმზერდა მიმავალს დარიას. ``ამას გარდა, სხვაი ქალი მე ცოლად არ მინდა. დღეს იმ თვალზე შევხთით, რომ ჩვენ ერთმანეთის ვართო“ - გადასწყვიტა სიმონამ თავის გულში და წავიდა ყანაში.

სალამოს სიმონა ადრე დაბრუნდა ყანიდან; უნდოდა დედისთვის ემხილა თავისი გადაწყვეტილება - დარია ცოლად უნდა შევირთოო. დედაც კაი გუნებაზე დახვდა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა იმის თქმა, რაც სათქმელი ჰქონდა. გული ისე უღელავდა, რომ ვახშამი სრულიად ვეღარ ჭამა.

- რა დაგემართა, შვილო, ავათ ხომ არ ხარ? ჰკითხა დედამ.

არა, ისე ტყულა, სხვანაირ ქეიფზე ვარ, - უპასუხა სიმონამ და ამასთან უნდოდა მოეყოლებია დარიას ამბავიც, მაგრამ არ იქნა, ვერ დასძრა ენა, თითქოს მთელი ქვეყნის მთა და ლოდი აწვა ზემოდან იმ სათქმელ სიტყვებს.

- დილას ადრე წამოდგა სიმონა, მაგრამ ყანაში წასვლას კი აგვიანებდა.

- შვილო, წუხელის აქეთ გეტყობა, რომ სხვანაირ გუნებაზე ხარ, რეზა არ მეტყვი, რა ამბავია? - უთხრა დედამ.

ამ სიტყვებმა გამოიყვანეს სიმონა გაჭირვებიდან; თავი იქით მიიბრუნა, რომ დედას არ შეეხედა თვალებში და ისე უთხრა:

- ნენა, თუ ჩემთვის ცოლს ფიქრობ მე, დარიკო რომაა, ჰავლეის დაი, იგი მინდა ცილათ სხვა ქალს მე არ შევირთავ...

ამის თქმაზე სირცხვილით გაწითლებული სიმონა, დედისთვის არც კი შეუხედავს, ისე ადგა და წავიდა ყანაში.

## VII

ქეთევანს უნდოდა თავის სიმონასთვის, თუ აზნაურის არა, ერთი შეძლებული გლეხის კარგი მზითვიანი ქალი მოეყვანა ცოლად და ამიტომ დააპირა დარიას შერთვის ფიქრს მივატოვებებო, მაგრამ სიმონას გადაწყვეტილებამ, ``თუ დარია არ შევირთე, თავის დღეში უცოლოთ დავრჩები, სხვაი ქალი არ მინდაო“, ქეთევანს დაატოვებია თავისი განზრახვა. მეტი რა ღონე იყო, ქეთევანმა თავისითვე გაურიგა შვილს დარიას მშობლებთან საქმე. სიმონას და დარიკოს ჯვარისწერა და ქორწილი, როგორც ჩვეულება აქვთ სოფელში, შემოდგომაზე, ყანების “დალაგების” შემდეგ უნდა მოეხდინათ. თუმცა ასეთი გრძელი ვადა ძნელი ასატანი იყო შეყვარებულ სიმონასთვის, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ სოფელში ახირებული ჩვეულება აქვთ: როცა ქალი და კაცი ერთმანეთზე საცოლ-ქმროდ დაინიშნებიან,

თითქოს მომდურავები არიანო, ისე უნდა ერიდებოდენ ჯვარის დაწერამდე ერთმანეთის დაახლოვებას, მაგრამ სხვა რა გზა იყო, სიმონა უნდა დამორჩილებოდა ამ შემთხვევაში ჩვეულებას. გულს იმით იფხანდა, რომ თავის ცოლისძმას, დამოყვრების შემდეგ, ყანები გაუზიარა და ამ ღონისძიებით დარიას ყოველდღე ხედავდა.

ერთ დღეს სიმონამ თავის ცოლისძმისას გაიარა - ყანაში უნდა წაეყვანა პავლია. სახლში მარტო დარია დაუხვდა, სხვები სადღაც წასულიყვნენ. ქალს შერცხვა, საქმროს დანახვაზე გაწითლდა და ხმას ვერ იღებდა.

- რა არის, დარიკო, ხომ არ მენდური, ხმას რომ არ მცემ? - მორცხვობით უთხრა სიმონამ.

- რას გემართლები სამდურავს? უპასუხა ქალმა მორცხვად.

- მითხარი, დარიკო, რავაც მე შენ, ისე გიყვარვარ?

დარია გაწითლდა პირისახეზე ერთიანად და ისე უპასუხა:

- იმ დღეს მერე, იი ხარი რომ დეიჭირე... - ველარ დააბოლოვა მორცხვობის გამო სიტყვა.

- აბა, დარიკო, ჩვენ ძაან ვიცხოვრებთ ერთათ.

- შენთან ვინ ვერ იცხოვრებს! ბედნიერი ვარ, სიმონ, თუ ღმერთმა დაგვაცალა! მე ჩემ დღეში ვერ ვიფიქრებდი, თუ ასე ბედნიერი ვიქნებოდი! რა დღე იყო ის დღე!..

- ბედნიერი დღე იყო, ბედნიერი, ჩემო დარიკო! გვიყვარდეს ერთმანეთი, ვირჩინოთ ჩვენი თავი ჩვენი შრომით და ვიყოთ. ნურვის ვაწყენთ და ჩვენც არვინ გვაწყენს. ასე, ჩემო დარიკო, ტკბილათ ვიცხოვროთ.



სიმონა ცოტა ხანს შეჩერდა და შემდეგ დაიწყო:

- იცი, დარიკო? შენ ძაან ლამაზი ხარ... არ მჯერა, შენ თავის დღეში არ მიღალატებ?

- ვის ვუღალატებ, შენ? ჰაი... ჰაი... აბა, ვერ გიცნია დარიას გული! აგი რა იფიქრე: მე შენ მიღალატებო! ჰმ...

აი ამ ლაპარაკით გათავდა დარიკოსა და სიმონას შორის სიყვარულის გამოცხადებაც და ფიციც.

## VIII

შემოდგომაზე მიწის მუშა გლეხს დიდი ჯაფა აწევს: მთელი წლის ნამუშევარს, მთელი წლის სარჩოს ამ დროს უნდა მოუყაროს თავი და შეინახოს. ამ დროს ქალი, კაცი, დიდი, პატარა - ყველა მოუსვენებლად მუშაობს. სოფლებში თითქმის სახლის მცველიც აღარ რჩება - ყველა

ყანაში მიდის.

რადგანაც სიმონას და მის ცოლისძმას ბევრი ყანა ჰქონდათ, ხან ნადით და ხან თავისით, ცდილობდნენ რამეგვარად მოესწროთ და შემოდგომის ავდრების დაწყებამდე დაელაგებიათ. დარიაც ვაჟკაცურად ეხმარებოდა მუშაობაში ძმას და საჭმროს. დარიას სიახლოვეს ყოფნით სიმონა, რა თქმა უნდა, ნეტარების მორევში ცურავდა. სიმონას თვალში ამ დროს ცასაც სხვა ფერი ედო, მიწასაც, დღესაც და ღამესაც, ასე ეგონა, ფრინველებიც ჩემ სიყვარულს მღერიანო.

სალამოობით დარია, დედამისი და ქეთევანი შინ მიდიოდნენ ღამის გასათევად; სიმონა და პავლია კი ყანაში რჩებოდნენ, რომ ღამითაც ემუშავათ რამდენსამე საათს.

ერთ დღეს, სადილად რომ ისხდნენ, სიმონას სიდედრმა გაიხსენა ერთი ახალი ამბავი:

- უი, მართლა, თქვენ ხუმრობას გული გადავაცოლე და ქე დამავიწყტა!.. წუხელის ერთი ამბავი მოხტა ჩვენს სოფელში: დავითის ტავლა გასტეხეს და მისი ლურჯი ბედაური მეიპარეს. ქურდებს დავითის მოჯამაგირისტვის გარედან კარები დეეჯორგატ, დავითის დიდი მურაც დეერჩოტ. მთელი სოფელი შეძრულია ამ ამბით. დავით ამ დილასვე კანცელარიაზე გეიქცა თურმე.

ამ ამბავმა ქეთევანს ლუკმა გაუჩერა ხელში, სიკვდილის ფერი დაედო. გაურბინა ფიქრად: “დავითი ჩემს შვილს დასწამებს იმასაო”. ერთჯელ, ახსოვდა ქეთევანს, დავითმა უტხრა: “იმ შენს ბიჭს ჭკუა ასტავლე, ისე მტერსავით რომ მიყურებს, აფერი იფიქროს ჩემი ოჯახის წყენა, ტვარა დავარჩობიებ, იცოდეო”. ცოტა არ იყოს, ერთხანს სიმონაც ჩაფიქრდა ახალ ამბის გაგონებაზე, მაგრამ შემდეგ კი მოჰყვა ხუმრობას:

- მურთას რას არჩობდენ იი ოჯახდაქცეულები! კაი იგი იქნებოდა, თითონ დავით დაერჩოთ.

- შვილო, ნუ-მეთქი, ნუ იტყვი ამისთანას! შვილო, ჩვენ ობოლი ვართ და იგი ნეფისტოლი კაცია, რომ მეინდომოს, ერთი სიტყვის თქმით დაგვლუპავს, - უთხრა ქეთევანმა შვილს.

- დამლუპავს და დავლუპავ! ვაჟო, სვინდისზე ხელი ნუ უუღია, ნუ გამაძაღლებს, თვარა გემოს არც იმას ვაჩვენებ!  
- თავის დაქნევით სთქვა სიმონამ.

ნასადილევს ყველას დაავიწყდა, გარდა ქეთევანისა, ახალი ამბავი. ქეთევანი კი ხმაამოუღებლივ, მწარედ ჩაფიქრებული იყო.

გათენდა დილა თუ არა, სიმონასთან მივიდა ხევისთავი თავისი ყარაულებით და გამოუცხადა: “კანცელარიაზე

გიბარებენო”. სიმონამ დააპირა უარის თქმა არ წავალო, მაგრამ ყველა გაუპირდა:

“წასვლა ჯობს, შენი სიმართლე უთხარი, ქვეყანამ იცის. რომ ყანაში ხარ და არა საქურდალსო”.

- იცით, მერე რაი! ჩვენი მამასახლისი დავითის ხელშია, რასაც დავით უბრძანებს, იმას იზამს! - სთქვა სიმონამ უკმაყოფილოდ, ჩაიცვა ჩოხა და გაყვა ხევისთავს.

კანცელარიაში სიმონას მისვლამდე მოემზადებიათ ყოველივე - პროტოკოლიც და რაპორტიც. დავით დროიძე იქ იყო და ხშირად ამბობდა: “არა, ამას რომ წავუყრუო, ხვალ ცეცხლს მომიკიდებს და ამომწვავსო”. როცა სიმონა დაინახა, უთხრა:

- რა ქენი ბიჭო? ამისრულე, გულზე ხელს რომ იცემდი, გაწყენო? რალამც ასე ყოფილა, კაი ვნახოთ, შენ თუ მე!

ღმერთმა იცის! დედაშენის სიბრალოლით ბევრ რამეს გითფენდი, მარა აღარ გამივიდა. აწი ნახე ერთი, თუ შეგრჩება ჩემი ოჯახის გატენა!

დავითი ისე დარწმუნებული იყო - ჩემი ცხენი სიმონამ მოიპარაო, თითქო თავისის თვალით ენახოს. მეტადრე დავით იმან უფრო დაარწმუნა, რომ ერთი მისი მოჯამაგირე, რომლისთვისაც ქურდებს კარი დაეკეტათ გარედან და სახლში დაემწყვდიათ, ამბობდა: გავიგონე ერთმა ქურდმა დაუძახა მეორეს: აქეთ, სიმონო.

სიმონას დავითის სიტყვებზე პასუხი არ მიუცია. ისე გაუარა გვერდი, მივიდა მამასახლისთან და თავისებურის გაბედულობით ჰკითხა:

- რაზე მიბარებთ, მამასახლისო?

- რაზეც გიბარებთ, თავის ადგილზე რომ მიხვალ, მაშვინ

შეიტყობ! - უპასუხა მამასახლისმა მერე ჩააბარა კონვერტები ერთს ყარაულს, მიუმატა ოთხი სხვა ყარაული და უთხრა: ``აბა, წეიყვანეთ!”

სიმონამ გაბრაზიანებულის თვალებით შეხედა დავითს და უთხრა:

- დავით, ნუ მღუპავ ამ მართალ ადამიანს, თუ არა ერთ დღეს მოგკითხავს ღმერთი ჩემ ცოდვას! ხომ იცი, რა დროა ახლა მუშა კაცისთვის! ღმერთს ენდვე, არაფელი დანაშაული მაქ, მართალი ვარ!

- მართალი თუ ხარ, რაღა გიჭირს? სასამართლოები იმიზაა რომ მართალი და მტყვანი გაარჩიონ, - მწარე ღიმილით უპასუხა დავითმა.

სიმონამ დააპირა გადალიანება. ``ნებით არ წავალ და ვნახოთ, ძალით რას გახდებიანო“, მაგრამ მერე

გადაიფიქრა: “გაძალება უარესია. წავალ, ჩემს სიმართლეს  
ღმერთი არ დამიკარგავსო და გაჰყვა ყარაულებს.

როცა მაზრის უფროსთან მიიყვანეს, ჩვენებური  
დარაჯები ჩამოეცალა, ხიშტიანი რუსები შემოადგენ აქეთ-  
იქით. მაზრის უფროსმა პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ  
რალაც რუსულად დაუწყო წყრომა და ფეხების ბარტყუნი  
და შემდეგ წაიყვანეს სატუსალოში.

## IX

თებერვლის საღამო იყო; წვიმაში ხანდახან თოვლ-ჭყაპს  
ურევდა; ქარს ზუზუნით აჰქონდა წვიმა სახლის  
კედლებზე; ზოგიერთი სახლი სახურავამდე  
დაუსველებია. ქეთევან, ძალადის ქვრივი, იჯდა კერასთან  
და ნაღვლიანად ჩაჰყურებდა ცეცხლს. მისი სახე და  
ხელების კანკალი ამტკიცებდა, რომ ამ მოხუც ადამიანს  
მძლავრი ავადმყოფობა გამოევიღო და ეხლა თუ ვინმე



ხელს არ მოჰკიდებდა, ისე ზეზე წამოდგომა აღარც კი შეეძლო. ქეთევანის გვერდით იჯდა ერთი ხუთი-ექვსი წლის ფეხშიშველა, დაფლეთილ პერანგიანი ქალი - ქეთევანის ახლო ნათესავი, უდედმამო ობოლი. ცეცხლის მეორე პირას იჯდა დარია, ესეც ძველისა და დაფლეთილის ტანსაცმელით. დარიას ერთი ხელი თავზე ჰქონდა შემოდგმული და ნაღვლიანი სახით მისჩერებოდა ერთს ქედს, რომელზედაც ქარი მოუსვენრად არხევდა ხეებს. პატარა ქალი ხანდახან გადააძრობდა “ნატეხარს” ლობიოთი სავსე ქოთანს, რომელიც ცეცხლის პირას სდულდა, დახედავდა და, თუ წყალი აკლდა, უმატებდა პირმოტეხილი დოქით. ცეცხლზე ნედლი შეშა ეყარა და ამიტომ მწარე კომლი იდგა სახლში. ხეირიანი სითბოც არ ჰქონდა, რადგანაც ნელ-ნელა და შიშინით იწვოდა. დარია ხანდახან მობრუნდებოდა, შეუკეთებდა ცეცხლს და შემდეგ ისევ მიაშტერებდა თვალებს სერისკენ. ვინ იცის, იქნება ეს სერი აგონებდა ამ ქალს იმ დროს, როცა ის და

მისი საქმრო, სიმონა, პატარები იყვენ და დარბოდე ამ სერზე შემოდგომობით, ზენაქრობის დროს, წაბლის ასაკრებად. ეს რამდენიმე თვე იყო, რაც ქეთევანი ავად შეიქნა. მას შემდეგ დარიაც აღარ მოშორებია სადედამთილოს. ერთის შეშის ნახეთქიდან, თითქო ბაწრად იგრიხებაო, ამოძვრა კომლი და დაუწყო პატარა ქალს, ქეთევანის ნათესავს, ცემა თვალებში. ქალმა ხან იქით მიიბრუნა პირი, ხან აქეთ და, რომ ვერ მოახერხა მორიდება, ატირებით წამოიძახა: “ღმერთო, რა ვუყო აწი!”

- სხვაგან დაჯექი, შვილო, სხვაგან! ნედლი შეშაა და ფუტს არ გამეიწყვეტს. ხმელის მომტანი ვინ მოქვცა! აი, ღმერთო სასტორ-სამართალო, ღმერთო, შენ ატირე და აწამე, ვინც მე ჩემი სიმონაი ამდონი ხანია სანახავათ დამიკარგა! უსამართლოთ თუკი დეეტანჯოს, ტანჯვას ნუ გამუუწყვეტ მის ოჯახს! გამოვზარდე, გავკეთთი, მოწიფული შვილი მომესწრა-მეთქინ და... ქეთევანმა

მეტის თქმა ველარ შეიძლო; სისხლგამოლეული, თეთრად მომანჭული ლოყების დასერილს კანზე ცრემლები ჩამოსცვივდა.

დარია მობრუნა პირი, შეხედა ქეთევანს და თვითონაც ცრემლებით აევსო თვალები, მაგრამ თავი შეიმაგრა და ასე უთხრა ქეთევანს:

- ნუ, ბატონო, ღმერთის წყალობით აწი ადრე მოგვივა, დროც მოაწია.

- რეთი ხანია ასე ვიძახით, მოგვივა, მოგვივაო, სადაა მერე?! იი ურჯულოები, იგინმა ღმერთი იციან? სამართალია აქ? რალა მოგვივა, რომ დააღპეს ტყვეობით! იქნება აღარც... - აქ ქეთევანმა მოუმატა ტირილს, დარია ანუგეშებდა, მაგრამ ამაოდ, მოხუცი გულამოსკვნით ტიროდა და იწყევლებოდა.

დაღამდა. ქარი და თოვლ-ჭყაპი თანდათან მატულობდა.

- კარი მოუგდე, ღამე იმზირება სახლში და არ ვარგა, უთხრა ქეთევანმა პატარა ქალს, რომელმაც ამ სიტყვებზე საჩქაროდ მოხურა კარები.

კარგა ხანი იყო, რაც ქეთევანს მშიშარობა დასჩემდა. მეტადრე ღამით ყოველისავე ეშინოდა. როცა მძლავრი ქარი ჭრიალ-ჭრიალს დააწყებინებდა სახლს და ზუზუნით გაიგრიალებდა კედლებზე, ქეთევანი ისე შეკრთებოდა, რომ სკამიდან გადმოვარდნას ცოტალა უკლდებოდა ხოლმე.

დარიკომ ჩამოიტანა სხვენიდან ნიგოზი, დასტეხა და დაუწყო ნაყვა ლობიოს შესაკმაზად. პატარა ქალი მიუჯდა დარიას, ეძებდა მიწაზე კაკლის გულის ნაფინჩხას და სჭამდა. ქეთევანი ხან სთვლემდა და ხან შეშინებული თვალით შეხედავდა კარებს, რომელსაც ქარი

არახუნებდა საკირეზე. ამ დროს მოისმა გარედან თოლიას ყეფა.

- ვინცხა მოვიდა, სთქვა დარია. ქეთევანს ხელები უფრო აუკანკალდა შიშისაგან. - ვინ იქნება ახლა? - იკითხა შეშინებით.

პატარა ქალმა გააღო კარი და გასძახა: “მობძანდი!”

- რაღა მობძანდი, ვინცხა არის, ძალღი შინაურსავით ეფერება! - სთქვა გაკვირვებით დარია.

მართლაც თოლიამ შესწყვიტა ყეფა და წკმუტუნით ეალერსებოდა ახალმოსულს. დარია მიუახლოვდა კარებს და შეშინებით სთქვა:

- ბატონო, ვინცხა ჩამოსულა ეზოში, ნელ-ნელა ათვალეერებს ეზოს და მუა აქეთ. თოლიეი ეხოვა და

ეფერება. იმისთანა ბნელია კარში, რომ ვერ ვიციანი, ვინ არის.

- ვინაა ნეტაი? ვინ ბძანდებით-თქვა, დუუდახე! - ხმის კანკალით სთქვა ქეთევანმა.

დარიამ ვერ მოასწრო დაძახება, რადგანაც ახალმოსული ამ დროს მოადგა კარებს.

- სიმონ! - სიხარულით დაიძახა დარიამ.

- ვინ სიმონ?! ჩემი სიმონ... ჩემი?... სადა?... - ბოდვის მსგავსად წამოიძახა ქეთევანმა და, თითქო ეხლა ავად აღარ არისო, წამოვარდა ზეზე.

დედა და შვილი მოეხვიენ ერთმანეთს, თან კოცნიდენ და თან ტიროდენ.

ტირილი ასეთ შემთხვევაში ისტორიაა ყველა იმ სევდა-ნაღველისა, რომელიც ნათესავებს ან შეყვარებულებს ერთმანეთთან დაშორებით გადაჰხედათ.

- შვილო, დარიკო, არ აკოცებ შენს სიმონს, არ მოეხვევი? ბევრი ცრემლი დაღვარე შენც ამის გულისთვის. შენი დაფარული ტირილი უფრო მიკლავდა გულს, - უთხრა ქეთევანმა დარიკოს, რომელიც მორცხვობის გამო ვერ ბედავდა სიმონასთან ახლო მისვლას.

- რა ქენი, დარიკო, აღარ დაგავიწყდი ამდონ ხანს? - უთხრა სიმონამ, რომელიც ამ დროს მივიდა დარიასთან. ქეთევანის სიტყვებით გათამამებული დარიაც მოეხვია საქმროს.

სამწლინახევრის განმავლობაში სიმონამ პირველად შემოდგა ფეხი თავის სახლში. რადგანაც გამოუცდელი იყო და სამსჯავროში თავისი სიმართლე ვერ ახსნა,

ამიტომ სამსჯავრომ გადაუწყვიტა სიმონას სამწელნახევარს ციხეში ჯდომა და ცხენის ფასის გადახდა. ტყუილად ჩაიარა, რა თქმა უნდა, საქმის გადაწყვეტის შემდეგ ქეთევანის არზებით ხელში გუბერნატორთან, პროკურორთან და სხვებთან სირბილმა. ტყუილად ჩაუარა ქეთევანს დავითის წინაშე ხვეწნა-ვედრებამაც, დავითი დარწმუნებული იყო, ცხენი სიმონამ მოიპარაო, და სრულიადაც არ უნდოდა სიმონას სასჯელი შემსუბუქებოდა. “თუ მართალია და, ეე სამართალი და გაამართლოს, ჩემი რა საქმეაო” - ეუბნებოდა დავითი ქეთევანს. ეხლა, ეს იყო, სიმონას შეესრულებია პატიმრობის ვადა და გამოეშვათ შინ. სიმონა დაჯდა ჯორკოზე, მიეფერა ქალს, თავისი დედის ნათესავს, და შემდეგ იკითხა:

- ნენავ, ჩვენი დიდი სახლი?

- გაგვიყიდეს, შვილო, გადასახადში, - ტირილით უპასუხა



დედამ.

- ხარებიც?

- ხარებიც.

- ახლა რაღა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე! ბარემ ჩავმკტარიყავი იმ ციხეში! მითხარით, ახლა არ ვემართლები იმას, ვინც ასე უსამართლოთ დამლუპა, იი რომ დავკლა?!.

- შვილო, შვილო ღმერთს ნუ სცოდავ, რა თქვი აი საშინელი! კაცის დაკლა რავა იქნება! შენ ცოცხალი იყავი და ყოლისფერს იშოვნო, შვილო. ჩემი დღეი შეგემატოს, დავითის საყვედურს ნურავის გააგონებ, ხომ იცი, მდიდარი კაცია და მდიდარს ყოველთვის უჭრის ხმალი ღარიბზე. ნუ, გენაცვალოს დედა, დავითის ძვირს ნუ იტყვი. გვაწყინა უდანაშაულოს და თუ მოინდომა, კიდევ

გვაწყენს.

- ჰმ! საყვედურიც აღარ ვთქვა! კაცმა უსამართლოდ დამაქცია და საყვედურიც ველარ გუუბედო! აგიც სიცოცხლეა! - მწარე ხმით თქვა სიმონამ და მიიწია ცეცხლისკენ, რადგანაც ტანში არაჩვეულებრივი სიცივე იგრძნო.

## X

სიმინდის ყანები თითქმის უმეტესი ნაწილი დათესილი იყო სოფელს წაბლისერში, რომ სიმონა ძლივძლივობით წამოუდგა ავადმყოფობას, რომელიც დაიწყო იმ ღამიდან, რა ღამესაც საპატიმროდან შინ მოვიდა, - თურმე გზაზე გაციებულყო. როცა ფეხი დაიდგა, დაიწყო მუშაობა თავისებურის მუყაითობით, მაგრამ ძნელი წამოსაყენებელი იყო ფეხზე ეს მესამეჯერ დაცემული ოჯახი. რადგანაც ქეთევანი ხშირად ავადმყოფობდა და

სიმონს საჭმელის გამკეთებელი აღარავინ ჰყავდა, აღარ მოუცადა შემოდგომამდე დარიაზე ჯვარის დაწერას; ქორწილი არ უძებნია, ისე ერთბაშად საღამოს დასწერა მღვდელმა სიმონს და დარიას ჯვარი. ამის შემდეგ დარია მოუსვენრად მუშაობდა თავის ქმრის სახლში.

- ნუ შეგეშინდება, დარიკო, ჯერ კიდევ ყმაწვილები ვართ, მევესწრებით, კარგათ მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას! - ანუგეშებდა სიმონა თავის ცოლს.

ჯერ სამი თვე არც კი გასულიყო, რაც სიმონამ დარიაზე ჯვარი დაიწერა, მაგრამ ოჯახს კი მაინც სიცოცხლე და ფერი დაეტყო ამ მამაც ყმაწვილის ქალის ხელში: დარიამ გაიჩინა ბოსტანი, შინაური ფრინველები, ღორები, ასე რომ ცოტა ხანს შემდეგ საჭამადი, ან, როგორც სოფელში იტყვიან, პირის გემო აღარ მოაკლდებოდა სიმონას ოჯახს. ქეთევანმა, მართალია, აქამდისინაც იცოდა დარიას გამრჯელობა, მაგრამ ის კი აღარ ეგონა, თუ ყმაწვილი

ქალი ამდენს გამოცდილებას და ოჯახობის უნარს გამოიჩენდა. ამიტომ გამოუთქმელს სიხარულში იყო.

- იმისთანა რძალი შემხთა, რომ ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს, - იტყოდა ხოლმე ქეთევანი.

- ნამუშიერს რომ დავალაგებ, მერე სადმე საქირაოზე წავალ და გადასახადებს გავუსწორდებიო, - ფიქრობდა იმედმოცემული და გამხნევებული სიმონა.

ერთ საღამოს სოფელს წაბლისერში ჩამოირბინა ნაცვალმა და გამოუცხადა ხალხს: ხვალ ღუბერნატორი მობძანდება, არ დააკლტეთ ყრილობას, თვარა დიდი შტრაფიაო.

- რაზე მობრძანდება, ნეტაი? - კითხულობდა ხალხი.

- რა ვიცი, იი ფოშტას რომ დახთენ და გაცარცვეს, მგონია იმაზე, - პასუხობდა ნაცვალი.

მეორე დღეს სოფლის კანცელარიის დიდი ეზო გაიჭედა ხალხით. ჯერ გუბერნატორი არ მოსულიყო; ხალხი თავისებურად ჟიჟინებდა. ივლისის დღე იყო და ძლიერ ცხელოდა. კარგა ხანს უცხუნა ხალხს ცხვირ-პირში მწველმა მზემ და ბოლოს მოისმა ცხენების დგრიალი.

მოვიდა გუბერნატორი თავის ამალით. ხალხმა შესწყვიტა ჟიჟინი და ისე განაბული იდგა, გეგონებოდათ, გაქვავებულიაო. გუბერნატორმა ჯერ მიიხმო მამასახლისი და ერთი ვაი-ვაგლახი დააყენა, გზები არ ვარგა შენს საზოგადოებაშიო. შემდეგ გამოაცხადა: ავკაცობა განძირდა, აგერ ფოსტა გაძარცვეს და დაკარგული თქვენ, სოფლის ხალხს, გაწვებათ კისერზედაო. ამიტომ საჭიროა მავნე და შენიშნული კაცები თავიდან მოიშოროთ, “პრიგავორი” შეუდგინოს საზოგადოებამ და დასაჯოთო. საქმის სისრულეში მოსაყვანად თხუთმეტი დღის ვადა მისცა

გუბერნატორმა. თხუთმეტი დღის განმავლობაში უნდა წარედგინათ “პრიგავორი” და შიგ მოხსენებული დასასჯელი მავნე კაცნი. ხალხს, რა თქმა უნდა, სიტყვა არ შეუბრუნებია გუბერნატორისთვის, ისე მიიღო გამოცხადება და შეუდგა საქმეს: იმ დღესვე ამოირჩიეს დეპუტატები და მიანდვეს საქმე, რომ სოფლის მაგიერ მოენახათ საეჭვო და მავნე კაცები, შეედგინათ განაჩენი და მიესაჯათ სასჯელი. პირველ დეპუტატად დავით დროიძე ამოირჩიეს. დავითმა სიამოვნებით მიიღო ამორჩევა, თუმცაღა შეეძლო არ მიღებაც.

როცა დეპუტატები საქმის გარჩევას შეუდგენ და საეჭვო და მავნე კაცები ჩამოსთვალეს, დავითმა დაასახელა, სხვათა შორის, სიმონა ძალაძეც. რაც სიმონა საპატიმროდან დაბრუნდა, მას შემდეგ დავითს ტკბილად აღარ სძინებია:

“იმისთანა თვალით მიყურებს, კარგს არ მიზამს, რამე

უნდა მოვუხერხოვო”, - ფიქრობდა და ეს იყო, ეხლა შემთხვევა მიეცა სიმონას თავიდან მოშორებისა. დავითისთვის წინააღმდეგობა აღარავის გაუწევია ამ შემთხვევაში; არ გაუწევიათ ერთი იმიტომ, რომ ეხატებოდნათ და წყენინებას ვერ უბედავდენ და მეორეც იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც ერთხელ, ვითომც სიმინდის მოპარვის გამო, და მეორეხელ, დავითის ცხენის მოპარვის მიზეზით, სიმონა საპატიმროში იყო, დიახ, ამ ორ შემთხვევას შემდეგ მეზობლებს სიმონა მართლადაც საეჭვო ადამიანად მიაჩნდათ, ხალხმა რა იცოდა, თუ სიმონა ორსავე შემთხვევაში ცამდის მართალი იყო. ხალხი უმეტეს შემთხვევაში ქვევრივით არის: რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახებს. გავლენიანმა დავითმა ჩასძახა, სიმონა მავნებელიაო, და ხალხიც იმეორებდა - მავნებელიაო.

დადგა ხალხის განაჩენის სისრულეში მოყვანის ვადაც. დაატოვებინა სიმონას - სიმონასთანას, რასაკვირველია,

ბევრს კიდევ სხვას, - ავადმყოფი დედა, ორსული ცოლი, გაუთოხავი ყანები და “პრიგავორის” ძალით ორის წლის ვადით უკრეს თავი საპატიმროში. ამ დღიდან დაწყებული, თავის დღეში ტანჯულს ქეთევანს, როცა ავადმყოფობას წამოუდგებოდა, მიჰქონდა არზა ხან სოფლის ყრილობასთან, ხან მაზრის უფროსთან, ხან გუბერნატორთან; ხან თხოულობდა, ხან იწყევლებოდა, ხან ილანძლებოდა, მაგრამ არა რა გაუხდა, - ვადამდი რაც გინდა ქენი, მაინც არ განთავისუფლდება სიმონაო, - ესმოდა ყოველგან.

## XI

ოცდასამი აპრილი სოფელ წაბლისერში დიდი დღესასწაულია - გიორგობა. აუარებელი ქალი და კაცი მოიყრის თავს გიორგობის წინაღამით წმინდა გიორგის ეკლესიაზე ღამის სათევად. დილამდე ისმის სიმღერა, დავლი, დაირა, ცეკვა, თამაში. რაც გინდა ღარიბი იყოს



წაბლისერელი კაცი, გიორგობას მაინც დაუთრობელს არ გაუშვებს თავის სტუმრებს. სადილიდგან დაწყებული მეორე დილამდე ისმის წაბლისერში თითქმის ყველა მოსახლისას “ჟამიერუმ” და “დალიე - დამილიე”.

დავით დროიძისას, რა თქმა უნდა, დიდი ღზინი იმართებოდა ყოველ გიორგობას. ხარის დაუკლავად არც ერთს გიორგობას არ გაუშვებდენ. დავითის ყველა შვილები საგიორგობოდ შინ იყრიდენ თავს. იმ წელსაც, რომელზედაც მე ლაპარაკი მაქვს, საგიორგობოდ დავითის შვილები ყველანი შინ იყვენ მოსულნი.

ღარიბი მეზობლები მიდიოდენ დავითისას და სიხარულით ეგზავნებოდენ დავითს და მის შვილებს, - ვინ პურისთვის, ვინ ღვინისთვის, და ვინც სად დასჭირდებოდათ. ისინი შესტრფოდენ დავითის ვაჟებს, რომლებიც ძვირფასის ტანსაცმელებით იყვენ მორთულნი. მეტადრე დიდი ყურადღება მიიქცია

სოფელს წაბლისერში დავითის ერთმა ვაჟმა, ტიტიკომ, რომელსაც პრაპორშჩიკის პაგონები ეკერა მხრებზე. წაბლისერში თავის დღეში არ ყოფილა აფიცერი. მართალია, უნახავთ კი სამხედრო კაცები ქალაქში და სოფლის კანცელარიაზე, მაგრამ ეგ სხვაა და თვითონ სოფელში რომ ეყოლებათ თავისისავე სოფლის შვილი, ის კიდევ სხვაა. ამასთან ტიტიკო ლამაზი ყმაწვილიც იყო. ნამეტურ ქალები საიდან სად არ მოდიოდენ ტიტიკოს სანახავად. ამ სანახავად მოსვლამ ბევრს მანდილოსანს ცუდი ხმაც დაუგდო, მაგრამ ამისი დარდი აღარავის ჰქონდა. იმ ხანად, რაც ბავშვი დაიბადა წაბლისერში, ვაჟებს ყველას ტიტიკო დაარქვეს მშობლებმა. სალამოობით ტიტიკო შეჯდებოდა თავის ოქროსფერ ბედაურზე და წავიდოდა სასეირნოდ. ამგვარი სეირნობაც პირველად ნახეს წაბლისერელებმა და ამას შემდეგ ბევრმა აქაურმა აზნაურის ოჯახმა შემოიღო სალამოობით ცხენით სეირნობა.

- დედავ, დედავ, რა ლამაზია! Какая красавица! სანებვეზე ვარდი ამოვაო, რომ იტყვიან, აბა ეს არის, Я, брат, очарован! Эта сельская Венера! - აღტაცებით შეალაპარაკა ერთ საღამოს სეირნობიდან დაბრუნებულმა ტიტკომ თავის ოთახში, სადაც ერთი თავისი ძმათაგანი დაუხვდა.

- რა იქნა, რა ნახე ასეთი? - სიცილით ჰკითხა ძმამ.

- აი, ის ძალაძისა, ჩვენი მეზობელი გლეხის ცოლი! - უპასუხა აღტაცებულმა ტიტკომ.

- ვერ გავიგე, ვინ ძალაძისა?

- აი, მამა რომ ამბობდა გლეხს ძალაძეზე, მაშენიკი იყო, შემეშინა, ჩვენც არ გვავნოს რაო და “Тюрьма”-ში ჩავასმევიეო, იმისი ცოლი.

- ჰოო, მივხთი, ქეთევანის რძალი, დარიკო. იმის

გულისთვის სხვებსაც ბევრი ადგება ყელზე ნერწყვი. მეც ბევრი ვსდიე, მარა არ იქნა, ვერას გავხთი. იმისთანა მიუკარებელი, ჯიუტი და გულგაუხსნელი არ მინახავს ჩემს დღეში!

- Что ты говоришь? რას ვერ გავხთიო! ქალი მოვინდომო და ვერას გავხთე! გინდა ჩვენს თავადებში საუკეთესო ქალი შევაცთინო. თვარა ეს ვინ არის, ერთი ლატაკი გლეხის ცოლი! ნებით არ იზამს, ძალა აქნევინებს. Нет, брат. ჩვენ, აფიცრებს, ასე არ გვიწერია კანონში: მოგვეწონა ქალი, кончено дело. ჩვენია!

- იქაურის რა მოგახსენოთ, არ ვიცი და აქ, ქეთევანას რძალთან ნებით ვერას გახთები და ძალით, არ გახსოვს, ქეთევანი თოფით რომ დასდევდა ვაჟკაცებს და აშინებდა? მართალია, მოაკლდა ღონეს, მაგრამ ამისთანობით მაინც ვერავინ შებედავს. იცი? მამაჩვენს ეშინია ქეთევანასი, - სიმონას საქმეში მე ბრალი არა მაქო,

ეფიცება, როცა ნახავს.

- Какой чорт, ქეთევანმა უნდა შემაშინოს! Вот скандал! ამდენი კაცი ერთ დედაბერს შეუშინებია! კაცო, ძალა თქვენ გაქვს, ფული თქვენ გაქვს და მაინც კი ერთი დასნეულებული დედაბრის უნდა გეშინოდენ და ცრუობა უნდა იფიცოთ მისი შიშით! Вот необразованный народ არ გესმით ცხოვრება! რა ოხრად გინდათ ის შეძლება და ფულები, თუკი დედაბერიც თქვენ შეგაშინებთ! ის კი არა, კრინტის დაძვრას ვერ უნდა გიბედავდენ მეზობლები, მაგრამ რომ არაფელი გესმით!

- შე დალოცვილო, არ გვესმის, არ გვესმის! კარგი დაგიჯეროთ, მაგრამ ეს ყველამ უნდა იცოდეს, რომ კაცს რომ გააძაღლებ, გიკბენს. ვინ იცის ჩვენი ცხენის ქურდობაში დანაშაული იყო თუ არა, მაგრამ ჩვენ მაინცდამაინც დანაშაულობა დავატებეთ; დავატებეთ იმიტომ, რომ შეგვეძლო საქმე კარგად წაგვეყვანა; მას

ადვოკატიც არ ყოლია სიღარიბის გამო. ვინ იცის-მეთქინ, ვანბობ, ეგება ალალ-მართალი კაცი სამ წელზე მეტი დავალპეთ სატუსალოში. ახლა იყო და მამაჩვენმა - ცუდი თვალით გვიყურებს, დაგვწვავსო - აიყვანა და ქურდების “პრიგავორში” ჩააწერია. დღესაც სატუსალოში ზის. ამასაც აღარ დავაჯეროთ, შინ მივუხტეთ და ცოლი ძალით გავუუპატიუროთ? მან რომ ველარაფერი გვაწყინოს, ქვეყანაა, ღმერთია... კაცმა რომ შეგვარჩინოს, ღმერთი არ შეგვარჩენს. მერე კიდევ იი ბიჭი სიმონაი იმისთანა შავი ჟამი ყაძახია, რომ ერთი თუ თავზე ხელი ეიღო, ჩვენს ოჯახს დაუქცეველს არ მოარჩენს...

- იცი, ლევან, - გააწყვეტია ძმას სიტყვა ტიტკომ, - სიმდიდრე და ძალა იმითია კარგი, რომ ყველა შენს წადილებს აისრულებ. თუ ჩემი წადილები არ ამისრულდება, ხალხი, დედაბერი, ვილაც ბიჭი და ყველაი მე შემაშინებს, მაშვინ რა ჯანაბად ვაქნევ სიმდიდრეს?

თუკი ის ბიჭი, სიმონაია თუ ვინცა, ჩვენი ვნება შეუძლია, მოიშორეთ თავიდან, ან სულ დააკარგვიეთ და ან მოაკვლევით. მაშ რათ გინდათ ის ფულები, თუ ეგეც არ შეგიძლიათ?

- შე კაი კაცო, დღეს ერთია ამისთანა სიმონაი, ზვალ ორი იქნება, ზეგ სამი და რა ვიცი, რამდენი დავაკარგვინოთ ან მოვაკვლევინოთ!

- რამდენი? რამდენიც საჭირო იყოს, იმდენი. არ იცი, რომ სიცოცხლე ბრძოლაა? ბურთი და მეიდანის იმას რჩება, ვინც მძლავრია. სიმძლავრე ანუ ძალა ეხლანდელ დროში ფულია. ეს ფული თქვენ საკმაოდ გაქვთ, აიღეთ და მოიხმარეთ. რის გეშინიათ? მაგრამ ამას ეხლა თავი დავანებოთ, ერთი ეს მითხარი, ნუთუ ის ქალი უარს მეტყვის, ნუთუ არ გაუხარდება, მე რომ ის მომეწონა? მერე კიდევ აგერ ერთ წელზე მეტია თურმე, რომ ქმარი შინ არ ყოფილა. Нет, не поверю არ მეტყვის უარს.

გაუხარდება კიდევ, ღმერთს მადლობას შესწირავს, რომ მე ის მომეწონა.

- გეტყობა ძალიან დაწვრილებით გამოგიკითხავს იმ ქალის ამბავი. სად ნახე, ან ვინ გითხრა, ის არისო და მერე კიდევ მისი ამბები?

- გზის პირში რომ წყაროა, იქ ვნახე. მერე ჩვენს ფეფიკოს გამოვკითხე - ფეფიკოც იქ იყო - და იმან მითხრა ყველაფერი.

- ჩემის ფიქრით, ნებით არ იზამს და ძალით არ ღირს. ისე შენ იცი, შინჯე, თუ გინდა. ისევ იგივე ფეფიკო მოგიხერხებს, თუ რამ მოხერხდება. მაგრამ კიდევ ვიტყვი, არა მგონია.

- ის მე ვიცი, ერთი ფეფიკო დავიბარო! - ამ სიტყვებით გამოვიდა და დაუძახა მოჯამაგირეს - ფეფიკო



მომგვარეო.

ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა ფეფიკოც, ქვრივი ერთი გლეხისა, რომელიც დროიძის სიახლოვეს ესახლა. ფეფიკო იყო შუახნის ქალი. ყმაწვილობისას, რადგანაც მშობლები ღარიბი ჰყავდა, სხვადასხვა დიდკაცის ოჯახში ემსახურებოდა მოახლედ. მერე ქმარი შეირთო, მაგრამ ქმარი ადრე მოუკვდა და დარჩა ფეფიკო ქვრივად ერთი მცირეწლოვანი ქალიშვილის ამარა ისეთ სიღარიბეში, რომ ზოგიერთი ადამიანი, შესაძლებელია, ფეფიკოს ადგილას მათხოვრობასაც დაიწყებდა. მაგრამ ფეფიკო მოხერხებული დედაკაცი იყო: კიდევ დიდკაცობაში დადიოდა. სძღვნობდა და იმათგან საჩუქარს, წყალობას იღებდა. ხან საცოლო ყმაწვილი კაცის და გასათხოვარი ქალი შუამავალი იყო და აქაც გასამრჯელოს იღებდა; ხან ვინმე ავადმყოფს დაუწყებდა სამსახურს და, მოკვდებოდა თუ მორჩებოდა ეს ავადმყოფი, ფეფიკო

თავის ნამსახურს მაინც ართმევდა. ამასთან ხელობაც იცოდა - ჭრა-კერვა - და ცოტაოდენს იმითაც სარგებლობდა. ამგვარის ცოდვილობით გამოზარდა თავისი ქალიშვილი, მოიყვანა ვილაც უსახლკარო ბიჭი, შერთო და ჩაისახლა სიძე შინ. ფეფიკოს მეზობლებში ზოგიერთნი ამბობდენ: “ფეფიკოს თავის დროზე საყვარლები ჰყავდა; ფეფიკო თავის ქალიშვილს, ქმრის შერთვამდისაც ურიგებდა ვილაც-ვილაცებს და ქმარი რომ შერთო, მერეც ურიგებსო”. მაგრამ ამასთან ამასაც ამბობდენ: “ფეფიკო დიდკაცობაშია გამოზდილი, სიტყვა-პასუხი და ზდილობა იცისო”. ამ ზრდილობისთვის მეზობლები პატივსა სცემდენ ფეფიკოს.

ტიტიკომ გაიყვანა ფეფიკო ცალკე და უთხრა:

- იცი, ფეფიკო, რისთვის დაგიბარე? ერთი საჭმე უნდა შემისრულო.

- თქვენ ბატონი და მე თქვენი მოახლე, ბედნიერი იქნება ფეფიკაი, თუკი რამე თქვენი სასიამოვნო შეიძლო, - უპასუხა ფეფიკომ სიტყვამარჯვედ.

- დღეს რომ ქალი ვნახეთ, აი წყაროზე, შენ რომ მითხარი, ესა და ეს არისო, ის ქალი უნდა გამირიგო, უეჭველად... არა, უარი არ შეიძლება!..

- ვიცი, ბატონო, თქვენ უარი არ მოგეხსენება, მარა... ვაი, ძაღლმა შეჭამა ფეფიკაი! უნდა მოგახსენოთ, რომ შეუძლებელია. ქვიშის საბელი რომ მიბრძანოთ, შევიძლებ, მგონია, და იმის შემძლე კი არ ვარ: ცოდვა გამჟღავნებული ჯობს, სამჯერ მივადექი იმ ერთ გლეხის გოგოს, გაუთხოვარი რომ იყო, მაშვინაც, მერეც, მაგრამ არაფერი გამიხთა. იმ მზაკვარმა ქეთევანმა მაინც სულ თავის ჭკუაზე გამოზარდა! თქვენ რომ მიბძანოთ, ზღვაში გადვიჭრები და იმ ქალთან ვერაფრის თქმას გავბედავ ამისთანაობაზე, დათხოვნილი ვყავარ.

- მაშ, ეს არის, უარს მეუბნები?! კარგი, გამაწბილე, თუ აღარ გინდა ჩვენი ოჯახი!

- ვაიმე, დაღუპულს! რა ვქნა, რომ შეუძლებელი მიბძანეთ! მარა, გნებავთ, ენა მიმაჭერით, უნდა გითხრა: რა თქვენი საკადრისია მუნიანი ყაძახის ცოლი! სხვაი ვინმე თქვენ რომ შეგეფერებოდათ, იმისთანაი მიბძანეთ და, თუ ქალი ვარ, აგისრულებთ

- არა, ეხლა სხვაი არ მინდა, ის რაღაც ჟინათ მაქვს ჩაჭრილი გულში. ან რა არის აქ შეუძლებელი? ჩემთვის უნდა ხელმიუწდომელი შეიქნეს ერთი ლატაკი გლეხის ცოლი? ჩემ მაგიერ სიტყვას მიუტან და ის უარს იტყვის? არა, ამას ვერ დავიჯერებ.

- გლეხის რომ არის და გაუნათლებელი, ამიზა იტყვის უარს, აბა განათლებული თუ იყოს, ნეფის ქალიც ღვთის მოწყალებათ ჩასთვლის თქვენისთანა ანგელოზს.

- რავაც გინდა, ისე თქვი, ისე ამიღელდა სისხლი, რომ ის ქალი უნდა დამნებდეს! ის ქალი, სხვაი კი არა, ის! ძალით თუ ნებით, უნდა მოახერხო! თუ ჩემი თავი გინდა, უნდა მოახერხო!

ფეფიკო დაფიქრდა და შემდეგ უთხრა:

- კაი ბატონო, თავს გადავდობ და ან ნებით ან ძალით რამეს გავხთები.

- ასე, ჩემო ფეფიკო, და მე ვიცი შენი პატივისცემა!

- ვეცთები, უთხრა ფეფიკომ და წავიდა შინ.

## XII

- რავა იქნება, ღამე არ უთიო, შვილო, სალოცავია ჩვენი, რამდონი ოჯახი ამოუხოცია ხატის ბრალს! ჯერ ცოცხალი

მანც ვართ და ერთი ოჯახიდან არ ევიდეს კაცი, ასე სალოცავის დავიწყება რავა იქნება! უნდა წახვიდე, შვილო, და ღამე უთიო.

- რა ვქნა, ბატონო? აქეთ შენ ავათ ხარ, აგერ ბალნაი ძუძუზე მყავს. დეილოცა მისი დიდება, იცის ჩვენი საცოდავობა და არ გვიწყენს!

- რა ვუყოთ, შვილო, მერე რომ ავათ ვარ! ხატს თავისი უნდა. ბალნაი ჩვენს მარიამს დუუტე დილამდი, მარიამ არ წავა, ახალნალოგინეცია. ასე, ბალნაი დილამდი მარიამს დუუტე, დილას მოხვალ, ბალნას დაადუძურებ და, რომ დარეკენ, ისევ წახვალ.

- შენი ნებაა, ბატონო, შენ უმფრო იცი, მარა ისე რიგი და წესი არ არის, ჩემი ქმარი ნაობახში ლპებოდეს და მე ღამის თევაში ქეიფს და თამაშს ვუყურო. თუ ღმერთი მაღირსებდა მის მოსვლას, მაშინ ღამის თევაშიც

წევდილოდით და სალოცავსაც ვილოცავდით, თუ არა და არამც მიცოცხლია უიმისოთ ერთი წამი!

- შვილო, იმიზა უნდა კიდევ ღმერთს და ხატს ხსენება, რომ შინ არ გყავს. ეგებ გადმოხედოს ჩვენ საცოდავობას და არ დაგვიკარგოს ჩვენი მაცოცხლებელი. ვაი, ვინცხამ მე იგი ამდონ ხანს სანახავათ დამიკარქა, იმას დუუკარქე სააქაოც და საიქიოც! თუ უდანაშაულოთ კი დევეწვა, წმინდაო გიორგი, შენ დაწვი და დუუდაგე საცხოვრებელი! წადი, შვილო. წადი და შეეხვეწე შენს სალოცავს. უცოდველი ადამიანი ხარ, შენსას გეიგონებს.

- ბატონო, შენ საწყენს ვერ ვიზამ, თუ არა, ჩემს ნებაზე რომ ყოფილიყო, არაფრამდი არ წევდილოდი. რალამც შენი ნებაა, წავალ.

ასეთ ლაპარაკში იყვენ გიორგობა წინდლით ავადმყოფი ქეთევან და იმის რძალი დარიკო. პირველის შვილი და

მეორეს ქმარი სიმონა კი ამ დროს საპატიმროში იჯდა; იმის განთავისუფლების ვადას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა.

დარია სიმონამ ორსული დასტოვა. რამდენისამე თვის შემდეგ სიმონას დაპატიმრებიდან დარია დალოგინდა და მიეცა ვაჟი, რომელსაც ნათლობაში უწოდეს გაბრიელ, ბაბუას სახელი. სიმონას ჯერ არ ენახა თავისი პატარა გაბრიელ. მართალია, ქეთევანმა და დარიამ მოინდომეს ბავშვის წაყვანა საპატიმროში, ვაჩვენებთო, მაგრამ როცა უნდა წასულიყვენ, იმის წინა კვირით სიმონას შემონათვალი სიტყვა მოუვიდათ: “თუ ჩემი წყეინება არ გინდებიან, ჩემთან სანახავათ ნუ მოხვალთ, მე არ მინდა ჩემს ცოლს აქანაი ვიგინდარებმა დაუწყოს ჩქმეტაო”. ამის შემდეგ დარია, რა თქმა უნდა, აღარ წავიდოდა.

ჭეშმარიტებაა, რომ ჯავრი და ნაღველი ადამიანს აჭკნობს, აჭლეჩებს, მაგრამ დარიას შესახებ არ გამართლდა ეს ჭეშმარიტება: თუმცაღა ამ ქალს თვალები ეწოდა ქმრის



მოშორების დარდით ტირილის გამო, მაგრამ ლოგინობის შემდეგ მაინც ისევ გაიხვითა, ისე გაივსო მისი ტანი, რომ ტყავში აღარ ეტეოდა, სილამაზეც ერთი ორად მოემატა. “აი ძაღლის საჭმელი აი! ამას ჭკუა აქ, მე ასე გავსუქთი! და ჩემი სიმონი კი ნაობახში დნება!..” - ბევრჯერ მწარედ მოუჩქმეტია დარიას ამ სიტყვებით თავისი ხორცი.

- ნუ, შვილო, ნუ, თავს ნუ შეიძულე, ღმერთი არ გვიზამს, რომ ხორცის საგლეჯად გაგვიხადოს საქმე! რა ვქნათ, ცოტა კიდევ გევიჭიროთ და ღმერთი გვალირსებს, შენ ყოლიფერს მოესწრობი, ბაღანაი ხარ. მე რას მიყურებ, მიწაში მიმავალს! რა ჭკუაა, შენივე ხორცი შეგიძულებია და ძაღლსავით გლეჯ! მოგემატა! რა ვუყოთ, დამოწიფულდი და ტანი მოგემატა! - ეტყოდა რძალს ქეთევან, როცა შეამჩნევდა, რომ თავის ხორცს თვითონვე იგლეჯს და იჩქმეტსო.

- პირი დეიბანე, შვილო, ტანზე ჩეიცვი, ქალსავით წადი,

ასე რავა იქნება! - უთხრა ქეთევანმა რძალს, როცა ღამისთევიაში წასვლაზე დაიყოლია.

- არა, ბატონო, ამას ველარ დაგიჯერებ, არც პირს დევიბან და არც ძველს გევიძრობ, ასე რომ ვარ, ასე ამგვართ წავალ.

- რას ჩივი, შვილო, გლახასავით წასვლა შენი ოჯახის და ქმარის შერცხვენაა!

- ბატონო, შენი ჭირიმე, დამეთხუე, არ მინდა და რა ვქნა!

- არ ვარგა-მეთქინ, არა!

როგორც იყო, ქეთევანმა დაიყოლია რძალი ახალის კაბის ჩაცმაზე, მაგრამ პირი კი ვერაფრის გულისათვის ვერ დააბანია.

ქეთევან და მისი რძალი რომ ამ ლაპარაკში იყვენ, ამ დროს ვიღაცა ქალმა დაიძახა გარეთ. “მობძანდი!” - გასძახა დარიკომ. “აქა მშვიდობა და ყოლიფერი კაი!” - შემოილაპარაკა სახლში და შემოვიდა ფეფიკო.

- რავა ხარ, ქეთევან? საცოდაო, არ მეიკეთე ცოტა მაინც? - ჰკითხა გულმტკივნეულობით ფეფიკომ ქეთევანს.

- ისე ჩემი შვილის დამღუპველმა მეიკეთოს! ლოგინიდგან ცეხლის პირში ძლივია ჩამუალ, - უპასუხა ქეთევანმა.

- უი, საცოდაო, რაც შენ წვალება გამოსწიე, ასეც რავა ხარ! ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა, ცოტა კიდევ მეითმინე და მოგივა შენი სიმონ! გუშინლამ ოსიკელაი ლაპარაკობდა, “მერცხალსავით არის, ყველაზე უმფრო ფერ-ხორცზეაო”.

- შენი ჭირიმე, ფეფიკო, ამბავი შეიტყვე? კარგათ არისო? - ერთხმად ჰკითხეს რძალმა და დედამთილმა.

- არ გითხარი, მერცხალსავით არისო. რა უჭირს იმისთანა ვაჟკაცს! სიმონისთანა დევს კი არა, საცოდავებს და ავადმყოფებს აჟენენ ნაობახში ოთხ-ხუთ წელიწადს და იგინი იტანენ; ბეჩა, თქვენ ტყუილა დეიხოცეთ ჯავრით თავი! ასე არ ვარგა, გამოუცთელობაა...

- შენს პირს შაქარი, ჩემო ფეფიკო, - ლოცავდენ კარგის ახალი ამბის მოტანისათვის ქეთევანი და დარია.

- ქალო, რას შრობი, ხომ მიხვალ ამელამ ღამისთევამი? - ჰკითსა ბოლოს ფეფიკომ.

- ჩემმა დედამთილმა არ დამაყენა, თვარა არ მინდოდა. მივალ, - უპასუხა დარიამ.

- რა ვუყო, ფეფე, სალოცავია ჩვენი, - სთქვა ქეთევანმა.

- რა ბრძანებაა, წავა, აბა რას იქს. ხატის და ჯვარის

გახსენება და ხვეწნა ახლა უმფრო გინდებიან, - დაემოწმა ფეფიკო ქეთევანს.

- მერე ამას რა ვუყო, ვის ვანდო? - აჩვენა დარიათ თავისი ჩვილი ბავშვი, რომელიც მაღიანად სწოვდა რძეს დარიას სავსე ძუძუდან.

- ჯვარი გიწერია ჩემი თვალისაგან! რა ანგელოზია! თლათ მამაა გამოსახული, - სთქვა ფეფიკომ, როცა დახედა ბავშვს და მერე დაატანა: - ბეჩა, რა დიდი საქმეა ერთ ღამეს ვინმემ ბოვში შეგინახოს მეზობლობაში! შენც მაგიერს გადუხთი.

- ბატონო, აბა, რაღამც საშველი არაა, ასე ვიზამ: შვალამემდი ვათევ, შვალამეზე ჩამუალ შინ და ხვალ წირვაზე წავალ, - დაეკითხა დარია დედამთილს, მერე მიუბრუნდა ფეფიკოს: - შენ რას იზამ, შენ არ წამოხვალ ნაშვალამევს, ფეფიკო?

- მე? რა ვიცი, ეგება მეც ქე წამოვიდე. თუ არა და რა გიჭირს ამ ერთ წუთა გზაზე. მერე კიდევ მთვარით გადაკიანთებული იქნება ცა და მიწა. ახლა, ქალო, ძველი დროი ხომ არ არის, ადამიანს რომ ყიდდენ. ახლა გინდა დღეი იარე, გინდა ღამე, ფიქრი ნუ გაქ. - უთხრა ფეფიკომ.

- ვაჟო, მაინც ვთქვი, თვარა რამდონს მიარია ღამე ზროხის საძებნელათ ტყეში! - იმედიანად სთქვა დარია.

- აკი არ ვთქვი! - დაუდასტურა სიტყვა ფეფიკომ. წამოდგა, “აგიშენოს” დაუტოვა მასპინძელს, მერე კიდევ დაეკითხა დარიას: “აბა ნამდვილ წამოხვალ ხომე, გამოგიარო”, და წავიდა შინ.

- აბა, ასე ქენი, რავაც თქვი: ნაშვალამევს დაბრუნდი და ხვალ წირვაზე წადი, - უთხრა კიდევ რძალს ქეთევანმა, როცა ფეფე წავიდა.

რომ მოსალამურდა, დარიაშ ერთი კიდევ კარგად გააძლო გაბრიელი რძით, მერე დახედა: “დედავ, შვალამემდი ვინ მოსცილდება ამ ანგელოზსაო”, - ჩაკოცნა ბავშვი და წაიყვანა მეზობლისას.

როცა დაბრუნდა, გადაიკვა ახალი კაბა, რომელიც, რაც სიმონა დააპატიმრეს, მერე ზანდუკში ჰქონდა შენახული და ერთხელაც არ ჩაეცო, და დაუწყო ცდა ფეფიკოს. ცოტა ხანს შემდეგ ფეფიკომაც გამოიარა და ერთად წავიდენ ეკლესიაზე.

### XIII

წაბლისერის წმინდა გიორგის ეკლესია სდგას ერთ ვაკიზურგიანს გორაკზე. უწინ აქ პატარა ქვის შენობა იყო ეკლესიად, ხალხის სიტყვით, ვითომ და თამარ მეფის დროს აშენებული. მერე ამ ეკლესიის მრევლთაგან ზოგიერთმა მდიდარმა კაცმა პატარა, ძველ ქვის ეკლესიას

წუნი დასდო: “არ გვეკადრება, ეკლესია კი არა, კარავიაო”, და გამოიწყეს ახალი ეკლესია, ერთი დიდი ქვის შენობა. მაგრამ ხალხს შეექნა საეკლესიო ადგილზე ცილობა; ზოგს უნდოდა ეკლესია სოფლის შუა ადგილას აშენებულიყო; ზოგი - სადაც ძველი ეკლესია იდგა, ახალიც იქ უნდა აშენდესო, ამბობდა. დავით დროიძე იმ მხარეს იყო, რომელსაც ახლის ეკლესიის აშენება ძველ ნაეკლესიარს ადგილზე უნდოდა. ამ დავის გამო ბევრი რევიზორი და კომისია გამოგზავნა სასულიერო მთავრობამ. მოგახსენებენ, ბევრი მათგანი ფულით ჯიბეგატენილი დაბრუნდაო. უკანასკნელად საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთი მხარე ხალხის მოთავე მოწინააღმდეგეებმა საიქიოს გაისტუმრეს - ღამე დაუხვდენ ჩუმად გზაში და მოჰკლეს. კარგა ხნის დავიდარაბის და დიდი ხარჯის შემდეგ დამტკიცდა ახალი ეკლესიის ასაშენებლად ისევ ის ადგილი, სადაც ძველი ეკლესია იდგა. შეუდგენ აშენებას. ამოიჩიეს დეპუტატები, რომელნიც მოჰყვენ და ას-ასი



მანეთობით შეაწერეს ლატაკს გლეხებს ეკლესიის ასაშენებელი. გეგონებოდათ ჩინგისყაენის მეხარკენი მოსულანო, ისეთნაირად ბრუნავდენ სოფელში ამ ფულის აკრეფის დროს დეპუტატები, მამასახლისი, ხევისთავები და ყარაულები. ვის ძროხას უყიდდენ, ვის - ხარს, ვის - სარჩო სიმინდს და ვის რას, ვინ მოსთვლის! ბევრი ლატაკი გლეხი კიდევ უფრო გააღატაკა ამ ეკლესიის აგების ხარჯმა. ბოლოს, ეშველა, აშენდა და, უნდა მოგახსენოთ, კარგი ეკლესიაც არის. ბევრს პატარა ქალაქშიაც ვერ ნახავთ ასეთ კარგ ეკლესიას.

ეკლესიას ერთი მხრით ტყე აკრავს; ეზო დაჩრდილოლია ნაძვისა, ურთხლისა და ბზის ხეებით. აქ, ხეებს ქვეშ, მშვენიერი, დაცემული მინდორია. ერთ მხარეს აშენებულია საყარაულო და სენაკები - პატარ-პატარა ქოხები. სამრეკლოც მშვენიერია ამ ეკლესიაზე. მაინცდამაინც იაფად არც ეს სამრეკლო და ახალი ზარი

დასჯდომია ხალხს. რასაკვირველია, ძვირფასი ზარი მდიდრების ჟინიანობით იქნა შეძენილი, თორემ ძველსაც არა უშავდა რა.

აი, ამ ეკლესიის ეზოში იყრის თავს ხალხი გიორგობის წინაღამით. დიდძალი ხალხი მოდის და დიდი თამაშიც იმართება ღამის თევის ღამეს. მოგახსენებენ, დიდს სამსახურს უწევს ზოგიერთს ამ დროს, ეკლესიის ეზოს რომ ტყე აკრავს, ისაო. თურმე, როცა ყმაწვილ ქალს და კაცს ერთმანეთის მზერით გული გაუხურდებათ, გასაგრილებლად ამ ტყეს აფარებენ თავს.

როცა ფეფიკო და დარია ავიდენ ეკლესიაზე, ხალხი საკმაოდ შეგროვილიყო და რამდენსამე ადგილს გაემართათ ცეკვა, სიმღერა და დაირა.

დავით დროიძეც აქ იყო თავისი ოჯახობით. ტიტტიკო ხან ერთს მოთამაშე გუნდს დახედავდა, ხან მეორეს და ხან

მესამეს. რასაკვირველია, სადაც კი მიიტანდა თავის ბრჭყვიალა პაგონებს და სამხედრო ტანსაცმელს, ქალებს ნერწყვი ადგებოდათ ყელზე. როცა ფეფიკო დაინახა ტიტკომ, გასწია მისკენ. დარიამ მოარიდა თავი, გასწია და შევიდა ერთს სენაკში მონაზვნებთან. ფეფიკო გაჰყვა ტიტკოს იქით, რაღაც უთხრა, ისევ დაბრუნდა დარიასთან და შემდეგ დარიას შინ წამოსვლამდე აღარ მოშორებია, თითქო კაი დედააო, ისე ატარებდა იქით და აქეთ. ცოტა ხანს შემდეგ ტიტკო და მისი მოჯამაგირე, დათიკაი წავიდენ სახლში. ერთს ადგილას დარიამ გული გადააყოლა ცეკვა-სიმღერას. მერე უცბად შემობრუნდა და სთქვა: - ვაიმე, მგონია დავაგვიანე! შვალამეზე ბეჯითათ მოვალ-მეთქი, მარიამს დავპირდი. შენ არ წამოხვალ, ფეფიკო?

- მე ველარ წამუალ, ჩემი ქალიშვილი არ მიშობს. ან კი რათ გინდებვარ? დღეი და ღამე ერთია, - უთხრა ფეფიკომ.

დარიამ შეუმჩნევლად გადაიარა ეკლესიის ეზოდან, გამოაძრო ერთი მსხვილი წკნელი ღობეში და ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისკენ. როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც გზა ტყით იყო დაჩრდილული, დარიას, ცოტა არ იყოს, შეეშინდა და თანდათან მოუმატა ნაბიჯს. გული საშინლად უცემდა.

ჯერ ნახევარიც არ გაევლო ქალს ეს ჩრდილი, რომ ვილაცამ უკანადან მაგრა მოუჭირა მხრებში ხელები. დარიას შიშისაგან სისხლი აუვარდა თავში, ისე რომ ვერც ხმა ამოიღო და ვერც ხელი გაანძრია. ამასობაში მძლავრმა კაცმა მოხვია მკლავები დარიკოს, და თითქოს მგელმა ბატკანო, ისე წაიღო ტყეში. ეს მძლავრი მკლავები იყო მკლავები დათიკასი, დროიძის მოჯამაგირისა, რომელიც ახლდა ტიტკოს და ასრულებდა მის ბრძანებას.

“ქალის ჭკუა! ჯერ თავი დეიკლა, არ წავალო და ახლა უყურე, თუ დილამდი არ დარჩეს ღამის თევაში?! ან რა გასაკვირალია, ბაღანაი ქალია. ჯავრიან გულს გადააყოლებს. საცოდავი, ამდონი ხანია ტირილიდან არ მუუსვენია მის თვალებს! დღეს ერთს მაინც გეიხედ-გამოიხედავს, თვალს წყალს დააღვეიებს. რომ არ დამეჩემებია, არც ქე აპირებდა წასვლას”, - აგრე ლაპარაკობდა თავის გულში ქეთევანი, როცა შუალამისას გამოიღვიძა და ჯერ კიდევ დარია არ მოსულიყო.

გათენდა. ხალხი დაბრუნდა თავიანთ სახლებში, მაგრამ დარია არსად ჩანდა. “რა ქნა ნეტაი, გადირია იი ქალი!.. ახლა რაღა უნდა საყტარზე! რა ვქნა, რა დიემართა, რომ არ ვიცი?!” - დაიწყო შფოთვა ქეთევანმა. მზე ამოვიდა და დარია კი არ ჩანდა. ქეთევანმა აფრინა პატარა ობოლი ქალი, რომელსაც თვითონ ზრდიდა, ფეფიკოსთან. “ფეფიკომ, მე არ ვიციო, ჩემთან აღარ ყოფილა მერეო”, -

მოუტანა ქალმა ამბავი. “აბა იქნება მარიამთან გაათია ლამე; ბალანაი იქინეი ჰყავდა დატიებულიო”, - იფიქრა ქეთევანმა და იქაც გაგზავნა პატარა ქალი. მაგრამ “აქანაი არ მოსულა და ბალანაი ძალიან ტირისო”, - მოუვიდა პასუხად. შიში მაჩვენე, მუხლს გაჩვენებო, ამ ანდაზის არ იყოს, ქეთევანს დაავიწყდა თავისი ავადმყოფობა, ადგა, დაიბიჯა ჯოხი და გაჰყვა ამბის გასაგებად მეზობლობაში. მაგრამ ზოგი ეუბნებოდა, “არ გვინახავსო”, ზოგი - “ერთხანს კი იყო საყტარზე და მერე არ ვიციო”. საწყალი ავადმყოფი მოხუცი დიდხანს დადიოდა თავისი დასუსტებულის ფეხებით იქით-აქეთ, ბევრგან მუხლებმა უმტყუნა, საკვალეში ჩაეკეცა და ძლივს წამოდგა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, ვერაფერი გაიგო რძლის შესახებ. “ფარცაგი აღარ არის ჩემ თავზე, მარა რაი რომ არ ვიცი! ძველი დროი რომ ყოფილიყო, ტყვის ყიდვა, ვიფიქრებდი, ფირალებმა დეიჭირეს-მეთქინ. ახლა ტყვის ყიდვა აღარ არის. თუ რჯულზე ხელი ეიღო და თავი შეირცხვინა, შინ

მუუსვლელობა რაღაა მაინც? თუ ვინმემ გაგვაბახა და თავს ლაფი დაგვასხა, ამდონს ხანს მაინც რაა!.. ვერაფელი გამიგია, გული მისკტება!..” - ლაპარაკობდა ქეთევანი გაგიჟებულსავით.

მზემ წამოიწია. გაისმა არემარეში დაწყნარებულ დილას ზუზუნ-ზუზუნით დიდის ზარის ხმა. ქეთევანმა უაზროდ გადაიწერა პირჯვარი და სთქვა: “კიდეც დარეკეს! ფარცაგი აღარ არის!” - ის ეხლა ხან ზედა კარს მივარდებოდა და იმზირებოდა გარეთ, ხან ქვედას. პატარა ქალი შეშინებული და თვალებდაჭყეტილი უყურებდა თავის ბებიას, როგორც ის ეძახდა. უკანასკნელად ქეთევანმა აიღო ჯოხი და აპირებდა კიდეც სადმე წასვლას, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა საით, და ამიტომ გაჩერდა ჯოხით კართან. ამ დროს ვილაცამ ცოფიანსავით შემოაღო ქვედა კარი. ქეთევანი საჩქაროდ მიბრუნდა და დაინახა დარია. მაგრამ ვაი იმისთანა

დანახვას! დარიას ადამიანის ფერი აღარ ედო; თმაგაწეწილი, კაბა დასვრილი და დახეულ-დაჭმუჭვნილი. ტუჩები ჩაღურჯებოდა, ლოყები, თითქო სისხლი აღარა აქვს შიგაო, განაცრისფრებოდა, თვალები გიჟურად უტრიალებდა, სულს ძლივს იბრუნებდა მოქანცულობისაგან.

- ქალო, გადირიე, თუ რას გავხარ?! - შეჰკვივლა ზარდაცემულმა ქეთევანმა.

- იმას ვგავარ, ჩემო დედამთილო, რომ თავიც დალუპე და მეც დამლუპე შენი წუხანდელი დაჟინებული რჩევით!.. დამიჩემე, ხატი და ღმერთიო. ჩვენისთანა უბედურისთვის არც ხატია და არც ღმერთი!.. თუ იყოს, არც ასე იქნებოდა, მგელსავით რომ შემჭამეს! არ დამეჯერა, ცოცხალი გეყოლებოდი. აწი რაღაი, გათავდა!.. მარა შენი რა ბრალია? ან შენ რა იცოდი, თუ კაცი და მგელი ერთი იყო! არ იცოდი და აგია! დედამთილო, ამას



გთხოვ, სიმონ რომ მოვიდეს, უთხარი, შენის დამლუპველის შვილმა, ტიტოკომ, ძალით მომერია და გაძლა ჩემი ხორცი-თქვა... ჰო, გაძლა!.. ჩემი არც ძალა გევიდა, არც ხვეწნა, არც ტირილი! მგელსავით წამათრიეს ტყეში! ტყეში, გზაზე რომ ტყეა! სანამ ჩემი ხორცი არ გაძლენ, არ გამიშვებს! ორი კაცი იყო, მომერია!.. რა უჭირს, იცის, მე აწი იგინს საწყენად ვერ მივსტობი! ვაი, ერთი დანა მქონებოდა!.. მარა, რომ გჭირია, მაშვინ ვინ მოქცემს! სიმონს უთხარი: “არ გიღალატებ”, რომ გითხარი, ტყუილი დარჩა, ქვეყანაში თავი მოგჭრა შენმა ცოლმა, ერთ ღამეს სხვის ხელში იყო-თქვა. მართალია, ნებით არა, მარა სულ ერთია, ქვეყანა მაინც ეტყვის, გასცინებს, “ასეთ-ისეთის ქმარი ხარო”... მარა არ შეგარცხვენ, მე აწი კაცი ვეღარ მნახავს-თქვა... სიმონს არ ეკადრება შერცხვენა, კაი ვაჟკაცია... იმედათ მიმყოფა, რომ ჩემ წვალებას არ შეარჩენს ტიტოკოს. დედამთილო, იი ჩემი პაწია გაბრიელაი შენ იცი, შენ მიჩოვილი ხარ ობლების დაზდას.

ნეტაი ერთი მანახვა! არა, არ იქნება, გვიან არის!.. ამ ჩემი შერცხვენილი თვალებით რავა შეეხედება იმ ანგელოზს! ჩემი წაპილწული ბაგე არ მიეკარება! ველარ ვნახავ!.. გათავდა, ველარ ვნახავ!.. მშვიდობით, ოჯახო, მშვიდობით, სახლო, კარო!.. მშვიდობით, მშვიდობით, სიმონ!.. ერთი ამ ბოლოს შენი თვალები დამენახა სადმეიდან ჩუმათ! ერთს შეგხედავდი ამ ბოლოს, მეტს ვერ გავბედავდი! გაბრიელავ, ჩემო პაწა გაბრიელავ! ვის ხელში იქნები, ვინ იცის! აგატირებენ!.. უჩემოთ!.. გათავდა, მშვიდობით!

აქ ერთი დაიხარა დარია და აკოცა საკარულს. ის ისე ცოფიანსავით ამბობდა ზემოხსენებულ სიტყვებს, რომ ქეთევანს ვერ მოეხერხებია თავისი სიტყვის ჩარევა, თუმცაღა კი მიხვდა, რაც მოსვლოდა დარიას და “ვაი, შერცხვენილს”, “ვაი, თავმოჭრილს”, “ვაი, გაბახულს”, “აგი გვაკლდა”! - წამოიძახებდა ის დარიას სიტყვებზე და

ჩაიცემდა მკერდში გაცოფებულსავით ხელს. ამაზე მეტი ან რა ეთქვა, ან რა ექნა? ენუგეშებია რძალი, თუ გასწყრომოდა, ჯერ ვერ გამოერკვია, რადგანაც ეს მისთვის თავზარდამცემი ახალი ამბავი ქარიშხალსავით უტრიალებდა გონებაში. დარია მ აკოცა თუ არა საკარულს, ისე გავარდა გარედ და გაქრა სადღაც, რომ ქეთევანს თვალის მოკვრაც არ მოუსწვრია. “ქალო, რას მიშობი, სა მიხვალ?! ვის უტიებ იმ ბალანას?!” - დაედევნა ქეთევანი უკან, მაგრამ დარია კი არსად ჩანდა.

როცა სიმონას სახლში ზემოაღწერილი სცენა მოხდა, დავით დროიძის დიდის ოდის ერთ ოთახში ქვემომოყვანილი ლაპარაკი ჰქონდათ ტიტკოს და მის ძმას ლევანს:

- აიღეს ის შენი აუღებელი ციხის ძირი, - უთხრა ტიტკომ ლევანს.

- არა თუ! მართლა, შენ რაღაც ამბებში ხარ, გვიანაც დაბრუნდი. რა ქენი, გაარიგე რამე? - ჰკითხა ლევანმა.

- რა ვქენი და რაც დავიჭირე, გავქენი.

- თუკი დაიჭირე, გაქნიდი, რა თქმა უნდა! არა, მართლა?

- რა მართლა? დიდი საქმეა ლტაკი გლეხის ცოლი თუ...

- ძალით, თუ ნებით?

- ძალით! სასაცილოა, ჩიტი მაინცდამაინც იქ დაჯდება, სადაც მახე უგია! თურმე რაღაც ბავშვი ყოლია, ასწია და შვალამეზე არ წამოვიდა შინ იმის გულისთვის! ჩვენ ეს წინდაწინ ვიცოდით ფეფიკოს სიტყვებისაგან. დავხთით მე და ჩემი დათო გზაზე. დათომ მოხვია თავის მძლავრი მკლავები და, თითქო მგელმა ციკანიო, იფრინა ტყისაკენ. ქალი ჯერ შეშინდა და ხმა ვერ ამოიღო. მერე, როცა

კვილი დააპირა, დათიკომ მისცა პირში ჩემი აბრეშუმის პლატოკი, მაგრამ დიდხანს კი გვაწვალა, კაცო! Чорт ее побери! კინალამ ხელი არ ავიღე და არ წამოველ შინ ხელცარიელი. მაგრამ დათო, დათო ლომია! ისე მოღალა, ისე მოქანცა, რომ ბოლოს აღარც კი განძრეულა...

- დაიმორჩილე?

- დავიმორჩილეთ. მაგრამ, უნდა გითხრა, это прелесть. Я такой не видал, აგერ დარეკის დრომდე მყავდა. იცი, კაცო? ფული ვაჩუქე და როდი წაიღო! ალბათ ეშინია, სახლში რომ შეუტყონ, სცემონ.

- ნეტაი, ტიტკო, ეს საქმე შენ არ გექნა! ჯერე, რომ ქვეყანა შეიტყობს და სირცხვილია, მერე, იი ბიჭი, სიმონაი, ხომ გითხარი, ისეთი ჟამი ყაძახია, რომ ცუდ რამეს იზამს, თუ შეიტყო. დიდი ხანი აღარ აკლია იმის გამოშობას, - უთხრა უკმაყოფილოდ ლევანმა ძმას.

- ქვეყანა საიდან შეიტყობს? მე არ ვიტყვი და შენ. მერე, თუ უნდა, შეიტყოს, დიდი საქმეა, ქეთევანის რძალს შეეხენ! იმ ყაძახმა არაფერი გაბედოს, თორემ სულს ამოვართუმ! იცოდეს, რომ მე აფიცერი ვარ!

ძმამ აღარა უთხრა რა ტიტკოს, რომელიც გაცხარებული დადიოდა ოთახში. უკანასკნელ ტიტკო დამშვიდდა და დაიძინა.

## XV

ქეთევანმა ბევრი უძახა დარიას, მაგრამ სამაგიერო არსაიდან ესმოდა. ბოლოს ერთს მეზობელს შეეხვეწა, გაგზავნა დარიას მშობლებთან, მოდიოთ, თვითონ კი დადიოდა ახლომახლო და ეძებდა. როცა დარიას დედა და ძმა მოვიდენ, ქეთევანი შინ არ დახვდათ. “დარიეი გეიქცა, ბებიეი იმის მოსანახავად არის და თქვენც წამოდიოთ”, დაახვედრა პატარა ქალმა ამათ ამბავი. ამ ამბავმა

თავზარი დასცა დარიას დედასა და ძმას, მეტადრე საწყალ დედას ენა ჩაუვარდა ჯავრით. გამოვიდენ გარეთ, მაგრამ არ იცოდენ, საით წასულიყვნენ მოსანახავად, ვერც ის გაიგეს, რა ამბავი იყო, რისთვის გაიქცა. ცოტა რომ მოშორდენ ეზოს, გაიგონეს ქეთევანის ძახილი: “დარიაო”. საჩქაროდ გასწიეს ქეთევანისაკენ და გაიგეს ყოველივე. დარიას დედას აქ სულ სიკვდილის ფერი დაედო ჯავრისაგან. პავლია გაიქცა მამასახლისთან. დარიას გაქცევა გაიგეს მეზობლებმაც. ზოგიერთი მათგანი - მათში ერია ფეფიკოც - გამოვიდენ ქეთევანის მისახმარებლად, დადიოდენ ვინ იქით, ვინ აქეთ, მაგრამ ვერა გაიგეს რა. მნახველი კაციც არ ჩანდა.

- ქალი რომ გასუქდება, ძმავ, იი მერე ავი სამწყესავია; ქალაქში წევიდოდა. წეესევიან რომე!.. - ამბობდა ერთი მეზობელი.

- შე დალოცვილო, ადამიანია იგიც. მისმა ქმარმა აღარ

მეისვენა ავკაცობისაგან და აღარც ნაობაზიდან გამოაყოფიეს თავი. ველარ მეითმინა დედაკაცმა და აგია! - პასუხობდა მეორე მეზობელი.

- ნამუსიანია, ნამუსიანია, კაცი ვერ მიეკარებაო, დეიჩემეს. ესეც თქვენი მიუკარებელი! თავის სოფელს აღარ დასჯერდა და ვინ ურჯულოებს ჩაუვარდება ახლა ხელში, ვინ იცის! - ეუბნებოდა ერთი მეზობლის ქალი მეორეს.

- მეზი კი დავაყარე მის თავს! თლათ წმინდათ რომ თავს ვერ შეინახავდა, აგი ვინ არ იცის, მარა ასე გაჭრა გაგონილა! - პასუხობდა მეორე ქალი.

- ვერ ჰხედავდით, ბატონო, რა თვალები ქონდა? იმ თვალის ქალი არ იქნება პატიოსნების გზას არ გადასცდეს, - უმატებდა მესამე.

მზე ჩავიდა და მშვენიერი, წყნარი და გრილი საღამო



ჩამოდგა წაბლისერის მწვანე არემარეში. რამდენიმე ქალი და კაცი, დარიას მძებნელი, დაბრუნებულიყო და სიმონას სახლის წინ ჩოჩქოლებდა. ქეთევანი დაგდებულიყო მიწაზე და მოთქმა-ტირილით იწყევლებოდა და ილანძლებოდა. მარიამს მოეყვანა ჩვილი გაბრიელი და ამბობდა: “იმ უსირცხვილომ, ვინცხა ეშმაკს რომ წასდია, აგი ვის დუუტია? მე ჩემისტვის ვერ მომივლიაო”. ბავშვი საშინლად ჩხაოდა, ამბობდენ, მუცელი სტკივაო. მართალია, ქეთევანი ამბობდა: “დავითის ოჯახმა დამღუპა, ტიტიკომ მოგვჭრა თავი, გამიბახა რძალიო”, მაგრამ მეზობლები კიდევ იმ აზრისა იყვენ, რომ დარია ღამისთევამი შეხვდა ვისმე და გაჰყვაო. თუმცალა მზე ჩავიდა, მაგრამ ჯერ დღის სინათლე საკმაოდ იყო დედამიწაზე, რომ სიმონას სახლის უკან, ცოტა მოშორებით, გაისმა საშინელი ცივი კივილი. ხალხი გაიქცა ამ კივილზე და ნახა, რომ სწორედ იმ ადგილას მდინარეში (ძალადის ეზოის სიახლოვეს ერთი პატარა მდინარე

მიდიოდა), რომელსაც წაბლისერელები ტბას უწოდებენ, დარიას დედა ჩამდგარიყო და კიოდა.

- რა ამბავია, რაი?! - შეჰყვირა ხალხმა.

- აგერ არის, აგერ! მომეხმარეთ, მომეხმარეთ! - კიოდა საწყალი დედა და აჩვენებდა ხალხს ხელით ერთ ადგილს, სადაც თუმცადა წყალი საკმაოდ ღრმა იყო, მაგრამ წმინდა კაშკაშა წყალში მაინც ჩნდა წყლის ფსკერზე რაღაც შავი საგანი.

- აი ცახოცი მისია, აქანაი ვნახე წყალში! მომეხმარეთ, ქრისტიანებო, ეგება ცოცხალი იყოს ჯერ კიდევ, - ტირილით აჩვენა დარიას დედამ ხალხს “ცახოცი” რომელიც წყალში ეპოვნა.

ხალხმა თვალის დახამხამებამდე გამოსჭრა გრძელი კავი, ერთი მოწიფული ბიჭი შევიდა ყელამდე წყალში, მოსდო

კავი და გამოიტანა წყლის ფსკერიდან ნაპირზე ბნელი საგანი - ეს იყო დარიას გვამი. თუმცაღა ხალხი ბევრი ეცადა, ხან თავდაღმა დაჰკიდა, ხან ფეხისგულში სცემა, ხან მდინარის პირზე არბენია, - დამზრჩვალის სული ჯერ კიდევ აქ იქნება და ეგება მოვიძიოთო, - მაგრამ დარია არ გაცოცხლდა. ამასობაში მოვიდა მამასახლისიც. ქეთევანმა და დარიას მშობლებმა განცხადება მისცეს: ტიტიკო დროიძემ გააუპატიურა და თავი იმიტომ დაირჩოო. მაგრამ მამასახლისი, როგორც ეს ერთ დროს სიმონამ სთქვა, დავით დროიძეს ხელში ჰყავდა, და არა თუ არ მიიღო ქეთევანის განცხადება, პირიქით, მათრახით კინალამ არ სცემა საწყალ ქეთევანს: “შენ შენი ვეშაპობით თავი მუაძულე, დაარჩვე და ახლა გინდა პატიოსან ოჯახს ჩირქი მოსცხოო”. იმ ღამეს მამასახლისი დავით დროიძისას დარჩა. მოგეხსენებათ, ამას შემდეგ როგორ წაიყვანდა საქმეს: “აიხსნა მეზობლების გამოკითხვით, რომ ოჯახის ვარამმა და ცუდმა მდგომარეობამ ქალი

ჭკუიდან შეშალა და წყალში თავი დაირჩოო”, - იყო დარიას შესახებ მოხსენებული მამასახლისის პროტოკოლში.

## XVI

როცა სიმონას პატიმრობის ვადა გაუთავდა და შინ დაბრუნდა, დედამ მიუტირა დარიას დარჩობა, მაგრამ სიმონას ერთი ცვარი ცრემლიც არ გადმოუგდია. ყოველივე საპატიმროშივე შეეტყო ერთის თავის მეზობლისაგან. სიმონას პატარა გაბრიელი ერთს მაღლიანს ქალს ჰყავდა გასაზრდელად აყვანილი. სიმონამ არც ამ ჯერ მისგან უნახავ შვილის ნახვა მოიწადინა. დედის სიტყვებზე: “ნახე, შვილო, შენი ვაჟი რა ანგელოზიაო”, მკვანედ უპასუხა: “დამანებე თავი, რა ნახვა უნდაო”.

შინ მოსვლის მეორე დღესვე სიმონა წავიდა საჭირაოზე,

სადაც რამდენსამე თვეს დარჩა. როცა შინ დაბრუნდა, მოიტანა ნაყიდი რევოლვერი, ხანჯალი და ბერდანის თოფი. დედას ძლიერ გაუკვირდა ამნაირი ახირებული საქციელი თავისი შვილისა. “გადასახადისათვის აგერ მოგვთხრიან, რა დროის ამაების ყიდვა იყო”, - ფიქრობდა ის, რადგანაც სიმონას თოფ-იარაღთან ტანისამოსიც ეყიდა და გამოწყობილი დადიოდა. მეზობლებში ხმა დაჰყარეს: “სიმონა ისთე გამოჩაქურებულა, ახლავე ცოლს ითხოვსო”.

მხოლოდ ქეთევანი კი, როცა ყურადღება კარგად მიაქცია შვილის საქციელს, თავგანწირულების შიშმა შეიპყრო; “რავქნა, რა მიწაში ჩევიდე! ამდონი ხანია შინ არის და ერთი საქმეზე ხელი არ მუყყვია. წავა, იმ მის ნაყიდ სიმინდს მოაფქოვიებს, მეიტანს და დააგდებს. თუ გამოუცხობ, შეჭამს, თუ არა და იმიზაც არაფერს იტყვის. ერთი ღიმი მის პირზე არ დამინახავს. მუდამ ისე აქ წარბები

მოყრილი, რომ ენის თქმაი ვერ გამიბედავს. მინდა ვუთხრა, ხელი გაანძრე, ოჯახს ნუ დააქცევ, შვილი გეზდება, შენც ჯერ მოწიფული ხარ, კიდევ მოესწრობი ოჯახის მოწყობას-მეთქინ, მარა ვერ ვუბედავ. ღამე ძილიც რომ მოსვენებული არა აქ! ათას რაცხას კი ბოდავს: “აი თვალი გამოსთხარა, აი დაკლეს, აი მოკლეს!” გუშინღამ ცხონებული ჩემი რძლის სახელიც გაურია. ხან იმ ჩვენი ოჯახის შემჭმელების სახელებსაც იძახის ძილში: ტიტკო, დავით, ლევან და სხვებს. მეშინია, ჭკუაზე არ შეირყას! რა ვიცი, გასაკვირალია, იმდონი ფიქრით ადამიანს ტვინი ეერიოს თუ! ხანდახან ისე ცოფიანსავით მიექცევა სახე და თვალები, რომ შიშით თვალი მიბნელდება. რაც დღე მუა, უმფრო და უმფრო ხმება, ძვალ-ტყავათ გადიქცა. რა ქნას უბედურმა?! რომ შემეძლოს, სამე მარჩიელთან წევიდოდი, მარა რომ აღარ შემეძლია! ახლა კიდევ მე ამომიჩემა და არ მაყენებს: წადი სენაკზე და წადიო. რას მერჩის, რამ შეაძულა ჩემი დანახვა? ღმერთმა იცის,

სანამდი შემეძლო, ჩემი ქალობა და ჯანი იმის გამოზღას გადავატანე. ახლა სახლიდან მაგდებს, სად უნდა წევდე აი უთვალყურო სნეული! ღმერთო, შენ მიუზღე, ვინც ჩემი ოჯახი ასე მოაქცია, ღმერთო, ჰკითხე დავითს!” - ქეთევანი აქ მოჰყვებოდა ტირილს.

მოაწია ოცდასამმა აპრილმა - გიორგობამ. დავით დროიძისას დიდ მზადებაში იყვენ, რადგანაც ტიტიკომ ორი თავისი ამხანაგი ოფიცერი მოიყვანა სტუმრად. კარგი დარი იდგა და დიდ ხალხსაც მოელოდენ წაბლისერელები ღამის თევაში. როცა მოსალამოვდა, სიმონამ გამოიღო თოფი მხარზე და გასწია ეკლესიისკენ. დღეს უნდა აესრულებია, რაც დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა, - უნდა მოეკლა ტიტიკო და ერთიც კიდევ დავითის რომელიმე ვაჟი. “ერთის სიკტილი ვერ მოარჩენს ჩემ გულსო”, - ამბობდა გულში სიმონა. როცა ცოტა გაიარა, იფიქრა: “თოფიანს დამინახვენ, იქნება ეჭვი აილონ და

ველარ მუვახერხო; ჯობია, გზაში ჩავჯდები, სწორეთ  
იქინეი, სადაც ჩემი დარია ისთე გამიუპატოურეს და  
გამოასალმენ სიცოცხლეს. მაცა, ჩემო დარიკო, გადავუხთი  
შენ მაწვალებელს! გუშინლამ სიზმარი ვნახე, დარიკო არ  
მომეკარა, გეიქცა... რა მისი ბრალია?! ძალით დაიჭირეს და  
აწვალეს! მაცალონ, გადავუხთიო!” ამ ფიქრით მიაწია  
სიმონამ იქ, სადაც გზას ტყე აკრავს. გადაიარა გზის  
გადაღმა და დაიმალა ტყეში.

კარგა რომ მოსალამოვდა, დაიწყო და განუწყვეტლად  
მიდიოდა ხალხი ეკლესიისკენ. მხოლოდ დავით დროიძე  
და მისი ჯალაბი კი ჯერ არსად სჩანდა. უკანასკნელ  
გამოჩნდა დავითიც, მაგრამ, გარდა უფროსი ვაჟისა და  
ქალებისა, შვილები არ ახლდენ, რადგანაც იმ დღეს  
დამთვრალიყვენ და ველარ შეეძლოთ ეკლესიაში წასვლა.  
“დავითს არ მოვკლავ, ეგდოს, გამწარდეს შვილების  
სიკტილით, ეს უკეთესი სასჯელი იქნება!” - სთქვა



სიმონამ თავისთვის. - “დღეს არ გამოიარს, ხვალ გამოიარს, არ გამოიარს, შინ მივუხთებო”, - თქვა თავის გულში და წამოწვა ერთი ხის ძირში.

მშვენიერი ღამე იყო. ხალხში რწმუნებაა, რომ გიორგობას ქარებს ბრძოლა აქვთო: რომელიც მოერევა სხვებს, წელს ის ქარი იქროლებსო. მაგრამ იმ ღამეს სიოც კი არ დაძრულა. მხოლოდ ალიონზე, თითქო ქვეყანამ ამოისუნთქაო, ერთი გაინძრა ხის წვერები და ისევ დადუმდა. სიმონას მთელი ღამე არ სძინებია, ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა, ხან დაწვებოდა. გათენდა, მაგრამ ისეთი სიცოცხლიანი, საამური დილა იყო, რომ გული ნეტარებას გრძნობდა.

წაბლისერი მეტად ლამაზი და შემკობილი მწვანე სოფელია. სიმონას ერთს დროს ძლიერ უყვარდა თავისი სოფელი, სხვა სოფელში დიდხანს გაძლება არ შეეძლო, მაგრამ ეხლა კი მის თვალში ფასი აღარ ედო არც ამ

მშვენიერს დილას და არც მის ლამაზს სამშობლო სოფელს. ის ეხლა არემარეს აღარ უმზერდა, მისი თვალი გზისკენ იყო მიპყრობილი, იმ გზისკენ, სადაც ტიტკოს უნდა გაევიდა. მხოლოდ ერთხელ გადახედა სიმონამ სოფელს და სთქვა: “რა გიშავდა, დავით, ამ ღვთის გაჩენილ ქვეყანაში მეც მეცხოვრა და შენც! ორივე დევეტევოდით. ჩემი გასრესა რომ შეინდომე, არ იცოდი, მეც სამაგიეროს გადაგიხდიდი!” ეხლა მოაგონდა სიმონას ერთი პატიმრის ნათქვამი. სიმონამ ჰკითხა: “სულის წაწყმედის არ გეშინია, ადამიანს რომ კლავ?” პატიმარმა, თურმე უპასუხა: “ჩემთვის ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადააქციეს და ჯოჯოხეთში სულზე არავინ ფიქრობსო”. “დიახ, დავითმა ეს ქვეყანა ჯოჯოხეთათ გადამიქცია. დავითი და მისი შვილები ჩემზე გამოცთილებიც არიან, ნასტავლიც არიან. იგინი არ უფროთხილდებიან სულს და მე რა ვარ, რომ მოვუფროთხილდე! ჩემდა არც სტავლა მოუცია ვინმეს და არცა რაი! ერთი მუშაკაცი ვიყავი,

გასაჭყლებათ მომინდომეს, თავზე ხელი ამალებიეს და აგია, ნახონ, თუ კაია თავზე ხელალებული კაცი!” - ელაპარაკებოდა სიმონა თავის თავს.

მზემ წამოიწია. გაისმა წაბლისერში ზარის ხმა. სიმონას აქ უფრო მოუსვენრობა დაეტყო: ტუჩებს იკვნეტავდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა, თოფს მაგრა უჭერდა ხელებს. ხალხი განუწყვეტლად მიდიოდა ეკლესიისკენ. ცოტა ხნის შემდეგ გაისმა მათრახის გატყლაშუნება. ტიტტიკო მოათამაშებდა თავის ოქროსფერ ბედაურს. ყველაზე წინ ის მიდიოდა და ხანდახან მობრუნდებოდა ძმებისა და რძლებისკენ. ერთი ლამაზი, კოპწია რძალი და ტიტტიკო ძლიერ საეჭვო თვალით უყურებდენ ერთმანეთს, - ეტყობოდათ, ნახშირჭმული იყვენ, როგორც ამბობენ ასეთს შემთხვევაში. დავითი იჯდა ერთ მსუქან ცხენზე და ისეთი მზიარული სახე ჰქონდა, რომ იტყოდით: ცისა და ქვეყნის ნეტარება ამის ხელთ არისო.

დავითი რალაცაზე ხელების ქნევით ებაასებოდა თავის სტუმარს ოფიცრებს. სიმონა გამოძვრა ხეებში, მოვიდა გზის პირას და თოფმომართული ამოეფარა ერთს ხეს. ტიტკომ შეაჩერა ერთ ადგილას ცხენი, დაუძახა თავის ძმას ლევანს და უთხრა:

- აი, აქ იყო. ე მანდ რომ მოაწია, დათომ მოჰხვია ხელი და გადაიტანა ტყეში. ნეტა რას ამბობს ის გლეხი, ხომ არაფერი გაუბედავს?

- არაფელი გამიგონია. ახლა ამბობენ, ცოლს თხოულობსო,  
- უპასუხა ძმამ.

- აკი გითხარი, რა უნდა გაბედოს? უკეთესია მოვიდეს და ფულს მივცემ. ვაგლახია, ასეთია, ისეთიაო. Какой порт! როგორ შეუძლია გაბედოს! სულს ამოვაძრობ პირში.

- ვნახოთ ვინ ვის ამოაძრობს, - ჩაილაპარაკა სიმონამ და

მიადო თოფი ხეს. როცა ტიტკო დაუპირდაპირდა ამ ხეს, თოფმა დაიჭეჭა და ტიტკო უსულოდ დაეცა მიწაზე. მშობლები, რძლები და ძმები წივილ-კივილით მიცვივდენ ტიტკოს. არავინ იცოდა, საიდან გამოვარდა თოფი. ამ დროს გავარდა მეორედ თოფი და ტყვიამ გააგორა დავითის მეორე ვაჟი, ლევანიც. “ჯერ აგიც კმარა, სხვაი მერეო”, - დაილაპარაკა სიმონამ და მისცა ტყეს თავი.

დავითი იგლეჯდა წვერსა და ულვაშს, ცოფიანსავით დარბოდა აქეთ და იქით, მაგრამ მკვლელი ვერ იპოვნა.

## XVII

დეკემბერი იყო. ძველს, თხუთმეტი დღის წინად მოსულ თოვლს ნელ-ნელა ემატებოდა კიდევ ზემოდან. ხანდახან დაუბერავდა ქარი და აათამაშებდა ჰაერში თოვლის ნაფერფლებს, ფანტელას. სოფელს წაბლისერში რამდენისამე მოსახლე კაცისას იდგენ ყაზახები თავისის

ცხენებით. მასპინძლები შეკუჭულიყვენ პატარა სახლებში, ოდას დაჰპატრონებოდენ ეს მოუწვევარი სტუმრები და თავისებურად მოეწყობთ. ისეთი პალოები და ლურსმები კი დაეკრათ სუფთა ხის კედლებში უნაგირებისა და სხვა რამეების დასაკიდად, ისე დაეხეთქათ კედლის ფიცრები, რომ მნახველს გული მოუკვდებოდა. იმათი შიშით ქალები გარეთ ფეხს ვეღარ ადგამდენ. ამბობდენ სახლებშიაც მიდიან და ურიგოდ ეპყრობიან მანდილოსნებსაო. გლახობაში დათარეშობდენ მამასახლისი და მისი ხელქვეითები “ეკუციის“ ხარჯისთვის. ამ “ეკუციის” ხარჯს თავიანთი ჯიბისთვისაც ბევრი გამოაყოლეს და აყოლებდენ კიდეც. ხალხს წელში სწყვეტდა ეს ხარჯი. ფული რომ აღარ აუთავდათ, სარჩოს - სიმინდს, ღომს და საქონელს აძლევდენ, მაგრამ არ იქნა, მაინც ვერ აუვიდენ. თუ ცოტა დაუგვიანდებოდათ ეგზეკუციის ხარჯი, სადაც წაახლებდენ ხარს, ძროხას, ღორს კლავდენ და

მიჰქონდათ. თუ პატრონი გამოცხადდებოდა და დავას დაუწყებდა, ჩემიანო - მათრახი და მისი ჯანი! ასეთს ააყოლებდენ ზურგზე, რომ, ცოლ-შვილი რომ დაეკლათ ამის შემდეგ, ხმას ვერ ამოიღებდა. “ვაი ჩვენს გაჩენას, ამოგვართვეს პირში სული!” - გმინავდა ხალხი და ცდილობდა ერთს მეორე აეფარებია წინ, ესე იგი, თავისი თავი გამოეტანა და მძიმე ტვირთი მოძმესთვის დაეტოვებია. როცა ერთს ევანიკას ადგებოდენ კარზე ხარჯისთვის, ის მეორე ევანიკასკენ იშვერდა ხელს - იმას გადაახდევით, მე არაფერი მაქვსო. მაგრამ ვერც ერთი თავს ვერ იფარავდა, - ყველას ახდევინებდენ.

ყაზახები ჩაეყენებიათ წაბლისერში იმიტომ, რომ აგერ სამს წელზე მეტი იყო, რაც სიმონა ძალაძე ფირალად გავარდა და შიშის ზარსა სცემდა თავის მტრებს. კარგი ხანი იყო მას შემდეგ, რაც დავით დროიძის დიდი ოდა ცეცხლს მისცა. ამას გარდა, სიმონას აბრალებდენ მაზრის

უფროსის დაჭრას, პრისტავის მოკვლას, ფოსტის გაცარცვას და ბევრ ამგვარს რასმეს, - ყველა ეს დანაშაულობა მოხდა სიმონას გაყაჩაღების შემდეგ. გაზეთები უიმისოდ არ მოიხსენებდნენ ყაჩაღ ძალადის სახელს, რომ არ დაემატებიათ სიტყვა “ლეგენდური”. ხალხში ხმა იყო გავარდნილი, რომ სიმონას ტყვია ვერას ავნებსო. სიმონა ხან მარტო იყო და ხან მთელი ბრბო ახლდა. პოლიცია რამდენჯერმე დაეცა თავს, ორი-სამი ამხანაგიც მოუკლა, მაგრამ სიმონა გადარჩა და გაიქცა. დავით დროიძე მწარედ დაღონებული დადიოდა და შესჩიოდა ქვეყანას: “არ გცხვენიათ, ერთმა ბიჭმა რომ აგვიკლოო”. ეხლა აგონდებოდა დავითს, სიმონას რომ უთხრა: “აბა შენ და აბა მეო”. ეხლა მიხვდა, რომ ბედნიერება უსამართლო ძლიერებასა, ფულებსა და სხვის დაჩაგვრაში არ ყოფილა. ეხლა მიხვდა, რომ თავზეხელაღებული ადამიანი საშიში ყოფილა, დიახ, ეხლა, როცა მისგან გაბოროტებულმა სიმონამ ორი შვილი



თვალწინ მოუკლა, საცხოვრებელი ცეცხლით გადაუბუგა და კიდეც, ვინ იცის, რას დამართებდა.

იმ დროს, როცა სოფელს წაბლისერში ყაზახები იდგენ, ამ სოფლის ერთ კუთხეში, ერთს პატარა, ნახევრად სახურავდარღვეულ სახლში ცხოვრობდა ორი საბრალო არსება - ერთი დაუძღურებული დედაბერი და ერთი მცირეწლოვანი პატარა ქალი. ერთი იყო სიმონა ძალაძის დედა და მეორე - ამის ნათესავი ობოლი ქალი. ორივეს ისეთი დაფლეთილი ტანსაცმელი ეცვა, რომ სხეულს ძლივს უფარავდა. ამათ ლოგინს შეადგენდა ერთი ჭუჭყიანი, დაკონკილი, თხელი საბანი და ერთი ძველი ჭილობი, შეშა ამათ არ მოეპოვებოდათ, გარდა იმისა, რომ ფეხშიშველა პატარა ქალს შემოჰქონდა ხანდახან მის მიერ ხევს ქვეშ ანაკრეფი პეწკები და ან ქეთევანი მუხლების კანკალით გავიდოდა გარეთ, ხის ტოტს ან კუნძს მოიძევდა და შემოიტანდა. კიდეც კარგი, რომ

პავლია, სიმონას ცოლის ძმა, რომელიც ეხლა დაჭერილი იყო, - ყაჩაღებს მალავსო, აბრალებდენ - სიმინდს აძლევდა ამ საცოდავებს, თორემ შიმშილით დაიხოცებოდენ. ან ვინ უპატრონებდა? ხალხი, რომელიც იმდენს ვაი-ვაგლახში ჩავარდა სიმონას ყაჩაღობის გამო, ლანძღვით იხსენიებდა ქეთევანს: “სულძაღლიანი! გამოზარდა ვეშაპმა ქვეყნის სიავკაცე და ახლა სულს გვხთიან მისი გულისთვისო”. დამწვარზე მდულარე გადაასხესო, რომ იტყვიან, იმისი არ იყოს, აქეთ სიმონა ყაჩაღად იყო გავარდნილი და იქით კიდევ ქალიშვილი, მაგდანა, რომელიც ქმართან უკმაყოფილოდ ცხოვრობდა, სადღაც გაიქცა, დაიკარგა. ზოგი ამბობდა: ვილაც რუსს წაყვავო. იმასაც ლაპარაკობდენ, რომ ქმარმა მოკლა ჩუმადო. ამ გარემოებამაც ბევრი სალაპარაკო მისცა ხალხს ქეთევანის შესახებ. “ბატონო, თითონაც უნამუსო იყო, მისი შვილებიც იმისთანაი გამევიდაო”. მთავრობასთანაც ცუდად იყო დაბეზლებული

ხალსისაგან, მეტადრე დავითისაგან, ქეთევანი. “დედის ბრალია სიმონას გაფირალეზაო”. ამიტომაც იყო, რომ მაზრის უფროსმა სოფლის კანცელარიაში დააბარებია ქეთევანი და მათრახით აცემია. “წათრით სატუსალოში ეს ქოფაკი, ესა!” - დაიყვირა, როცა ქეთევანი ცემისაგან წაიქცა. რამდენიმე დღე და ღამე გაათევიეს ქეთევანს მაზრის უფროსის ბრძანებით სოფლის საპატიმროში, მერე ისიც ზამთარში. ასე მიდიოდა ქეთევანის ცხოვრება, ქეთევანისა, რომელსაც ხვედრმა ამდენი მწარე ნაღველი დააღვეია.

- ბებია, სიმონ ბიძიეი რომ მუა შინ, დიდ ცეცხლს დაგვინთებს, შენც და მეც პელანგს გვიყიდის, - დაუწყებდა ტიტინს პატარა ქალი.

- კი, შვილო, კი, - ეტყოდა ქეთევანი და მოჰყვებოდა ტირილს და წყევლას. ვინც ჩემი შვილი დამიკარქა, ასე და ისე მოუვიდესო. ქეთევანს ახსოვდა, რომ გიორგობის წინა

დღე იყო, როცა მისი სიმონ შინიდან გავიდა. იმ დღიდან დაწყებული თვალი აღარ მოუკრავს სიმონასთვის. მის ეზოს, მის სახლს, მის კარს - ყოველივეს დარაჯი ადგა დავით დროიძის საჩივრის გამო. ერთხელ ქეთევანს ვიღაც სანდო კაცის ხელით სიმონასაგან გამოგზავნილი ფული მოუვიდა, მაგრამ ქეთევანმა არ მიიღო: “მე მისი ნახვა მენატრება, თვარა აგი რათ მინდა, ამ სიკვტილის ჟამს ნაქურდალის ჭამას ხომ არ დავიწყებო”.

## XVIII

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ქეთევანი დიდი ხანი იყო, რაც სამარეში იწვა. მის საფლავზე ისეთი ბალახი ამოსულიყო, რომ ვერც კი შეატყობდით, აქ ერთს დროს ადამიანი დაუმარხავთო. ძალაძის მიდამო გაპარტახდა, შალდამად გადაიქცა: პატარა სახლი, საძროხე, საღორე და ფაცხა დალპა და ჩაინგრა. სახლის კედლები ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ ისე, რომ მის დანახვაზე საშინელი სევდა

მოგაწვებოდათ გულზე. მეზობლის ქალები და ბავშვები, როცა გაივლიდენ ამ ყრუ მიდამოს სიახლოვეს, “წმინდა გიორგი, დამიფარეო”, გადაიწერდენ პირჯვარს და გადააფურთხებდენ სახლისკენ.

წაბლისერის გლენკაცობას ბევრი რამ გადახდა თავს ამ დროს განმავლობაში. ბევრი “ეკუცია”, “პრიგავორობა” და სხვა ამგვარი გამოსცადა. ხალხის რიცხვმაც მოიმატა. მაგრამ სამაგიეროდ უყმა იკლო, ტყე ახლომანლო გაიკაფა, შეშამ იძვირა, ტყეში ნადირი (გარდა მგლებისა და ტურისა) და წყალში თევზი გაძვირდა. მამულის პატრონებმა ღალასა და ბაჟს მოუმატეს. გლენობას შრომა, სიღატაკე და გადასახადი დღითი დღე ემატებოდა. უსწავლელობა და სიღატაკე ბადებდა ხალხში შურს, მტრობას, გაუტანლობას, სიმხდალეს, გარყვნილებას და ათას სხვა ცუდ ზნე-ჩვეულებას.

ფირალს სიმონა ძალაძეს ჯერ კიდევ შიშსა და ძრწოლაში

ყავდა თავისი მტრები. ორჯერ დაიჭირეს, მაგრამ ორჯერვე გაიქცა. დასჭრეს, მაგრამ მორჩა. სიმონა ხან გაქრებოდა, გადაიკარგებოდა სადმე, ხან ისევ გამოჩნდებოდა და მაშინ - ისევ ყაზახ რუსები და სოფელი წაბლისერი, ისევ “ეკუცია” და მისი ხარჯი. სიმონას გარდა, კიდევ გაყაჩაღდა რამდენიმე სხვა კაციც, რომელთა სახელი ისე გავარდა, რომ ცოტა უკლდა, პირველობა არ ჩამოართვეს სიმონას ფირალობაში. მთავრობა ხმარობდა ზომებს ავაზაკობის მოსასპობად, მაგრამ ეს ზომები ხალხს უფრო უარეს შავ დღეს აყენებდა, ვიდრე თვითონ ყაჩაღები და მათი მოქმედება.

დავით დროიძე? დავითის საქმე უკუღმა დატრიალდა: ის შვილი, რომელიც პოლიციაში ჰყავდა სეკრეტრად, რაღაც ყალბი ქალაქის შედგენისათვის ციმბირში გაგზავნეს. მეორე შვილი მოუკვდა; უფროსი შვილი, რომელიც მანუფაქტურით ვაჭრობდა და, რომელმაც ჯერ კარგ

სიმაღლეზე აიწია ამ ვაჭრობაში, ბოლოს გაკოტრდა და ყოველივე, რაც კი რამ ებადა, ვალში გაუყიდეს, ამის შემდეგ ჯავრისგან ლოთობას მიჰყო ხელი და საშინელ მდგომარეობამდის მიაღწია. ამის ლამაზი ცოლი კი გაიქცა და ვილაც ერთ ყმაწვილ ვაჭარ კაცთან ცხოვრობდა უგვირგვინოდ. თითონ დავითი დაბერდა, წელში მოიხარა, ჩამოჭკნა. თავის დღეში უმუშიერი, ის ეხლა მოხუცებულობისა და უძლურების დროს თავისი შრომით და თოხით ცხოვრობდა, ხვნეშა-ოხვრაში ატარებდა სიცოცხლეს: ხალხმაც დაჰკარგა დავითისადმი პატივისცემა. “ძმავ, უსამართლო სიმდიდრეს ბოლო მწარე ექნებოდა, არ იცოდა? თუ უსამართლო არ იყო, სიდან გამდიდრდა? ხელზე ტყავი არ მაქ ნამუშიერი და მაინც თავი ვერ ამიწევია, მას ერთი ოფლი არ გადმოსდენია და სასახლე გამოჭიმა! ღარიბი მწერათ აღარ მიაჩთა! იმ ბიჭს, სიმონას, მისმა საქმობამ გააცვიებია ოჯახი და დააწყებია ფირალობა”, - ამბობდენ მეზობლები

ეხლა დავითის შესახებ. თავს აღარავინ უკრავდა. ეხლა სხვა დავითები და სიმონები გამოვიდნენ სცენაზე.

ერთ ზაფხულის დილას წაბლისერში გაისმა: მოკლესო. ხალხი მიეჩქარებოდა მოკლულის სანახავად და უერთდებოდა ერთ ადგილას შეჯგუფულს ქალბსა და კაცებს. ხიდის თავში, გზის პირას, იდო ერთი ვაჟკაცურის სახისა და ტანის გვამი, რომელსაც შავს წვერ-ულვაშში და ლომის ფაფარსავით გადაყრილ თმაში აგერ-აგერ თეთრი ბალანი გამორეოდა. მიცვალებულს ეტყობოდა, რომ მიმზიდველის შეხედულობის კაცი უნდა ყოფილიყო სიცოცხლეში. ისე ორი-სამი დღის მკვდარი უნდა იყოსო, იფიქრებდა ამ გვამის მნახველი, მაგრამ ჭრილობა და შიგ ახალი სისხლი ამტკიცებდა რომ აი, ამ საათში მოუკლავთო. ჭრილობა ჰქონდა როგორც ტყვიისა, ისე ხმლისა. ეს გვამი გახლდათ სიმონა ძალაძისა, რომელიც ერთ დროს სამაგალითო მუშა გლეხი იყო და შემდეგ



განთქმული ყაჩაღი. სიმონა მოეკლა თითონ პოლიციის პრისტავს თავის საკუთარი ხელით, როგორც თითონ პრისტავი ამბობდა, რომელიც ეხლა აქ ბრძანდებოდა და ოქმსა სწერდა ამ საქმის შესახებ. როცა პრისტავმა ოქმის წერა გაათავა, მიუბრუნდა ხალხს და დაუწყო ლანძღვა: “თითონ თქვენც ასეთი რაზბონიკები ხართ, ავ კაცს ინახავთ! მე რომ გადამაყოლებთ ამის სიკვდილს, განა თითონ არ შეგეძლოთ? ორი დღე შინ აღარ გამითევია, ტყეში ვდარაჯობდი და დღეს ძლივს მოვუღე ბოლოო”. ხალხი მდუმარებდა, ბევრს ტირილიც მოსდიოდა, რომ გაახსენდა “იი კაი, მარჯვე მუშა ბიჭი, სიმონაი”, მაგრამ ეშინოდა და თავს იმაგრებდა. ბოლოს ხალხმა წაიღო გვამი და დამარხა, მგონია, დაუკურთხებელს მიწაში.

კარგა ხნის შემდეგ, როცა პრისტავმა ყაჩაღი ძალადის მოკვლით ორდენი მიიღო, სოფელს წაბლისერში ყველამ იცოდა, რომ სიმონა არავის არ მოუკლავს, თითონ

მომკვდარიყო ავადმყოფობით, მამასახლისს და პრისტავს მოეხერხებიათ, ეშოვნათ მიცვალებულის გვამი, დაეჭრათ, დაჭრილში ქათმის სისხლი ჩაესხათ და ამ გვარად ახალმოკლულად გაესაღებიათ. ერთი აზნაური დიდხანს ამბობდა: “კაი ასი მანეთი ჩამითვალეს ჯიბეში, - არ გაგვამხილოო”.

სიმონას ობოლი, გაბრიელა, ეხლა კარგი ხნის ბიჭია; მოჯამაგირობით ცხოვრობს. მამას ვერ იცნობდა. როცა უთხრეს “მამა მოგიკლესო”, მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ ერთხელ, - მაშინ გაბრიელა ექვსი წლისა იქნებოდა, - შუალამისას გააღვიძა ძიძამ და უთხრა: “მამაშენი მოვიდაო”. გაბრიელამ გაახილა თვალი და დაინახა ერთი შეთოფიარალებული კაცი, რომელიც საკოცნელად მივიდა მასთან, მაგრამ გაბრიელა ატირდა და კოცნის ნება არ მისცა. “აი სწორედ ის კაცი მუუკლავთო”, - გაიფიქრა გაბრიელამ და დავიწყებას მისცა ეს ამბავი.

რა მზეთუნახავია!

მე, ძმავ, მოხიბლული ვარ! ეს სოფლელი ვენერაა!

რას ამბობ?

არა, ძმავ.

საქმე გათავებულია.

დალაზვროს ეშმაკმა.

აი სკანდალი.

აი გაუნათლებელი ხალხი.

არა, არ დავიჯერებ.

ეშმაკმა წაიღოს მისი თავი.

მშვენიერია. ასეთი არ შემხვედრია.